



ვასცანგ
გუბუღი
70

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

პასტანბ გურული – 70

სამეცნიერო კრებული ეძღვნება პროფესორ
პასტანბ გურულის დაბადებიდან
70 წლის იუბილეს

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“
თბილისი 2023

კრებული მოიცავს საქართველოს ისტორიის, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, საქართველოს ქალაქების ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სტატიებს.

მთავარი რედაქტორი: აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**

კრებული გამოსაცემად მოამზადეს ისტორიის დოქტორმა **გვანცა ბურდულმა**, ფილოლოგიის დოქტორმა **მარინე (ხათუნა) კუხალაშვილმა** და პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრმა **კონსტანტინე გურულმა**

© გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, 2023

ISBN 978-9941-8-6091-1

St. Andrew the First-Called Georgian University of
the Patriarchate of Georgia

Vakhtang Guruli - 70

Scientific collection dedicated to professor
Vakhtang Guruli's 70th jubilee

Publishing House „Georgian University“
Tbilisi 2023

The collection was prepared to publishing by Doctor of History **Gvantsa Burduli**, PhD of Philology **Marine (Khatuna) Kukhalasvili**, Master of Political Sciences **Konstantie Guruli**

Editor-in-Chief: Academician **Roin Metreveli**

© Publishing House „Georgian University“, 2023

ISBN 978-9941-8-6091-1

სარჩევი

როინ მეტრეველი. ქვემარტი მეცნიერი, ღირსეული საზოგადო მოღვაწე.....	7
საქართველოს ისტორია	12
როინ მეტრეველი. განათლება და კულტურა საქართველოში (1900-1917 წწ.)	12
ოთარ ჟორდანიას. საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლიტიკის წმინდა გიორგის ჯვრის კავალრები	43
ვახტანგ გურული. რუსეთი მოდიოდა თუ ერეკლეს მოჰყავდა? (ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია).....	57
ავთანდილ ნიკოლეიშვილი. ეროვნული პრობლემის სტალინური კონცეფცია და საქართველო	83
ნათელა ვაჩნაძე, ელენე გიუნაშვილი. ქართლი – იმპერიათა შეჯახების სივრცე. VI საუკუნის ქართლი და სასანური ირანი: რელიგიურ მიმართებათა ასპექტები	104
ალექსანდრე დაუშვილი. ი. ბ. სტალინი და სახელმწიფო საზღვრების პრობლემა სამხრეთ კავკასიაში (1921 წელი)	116
ბეჟან ხორავა. სამეგრელო. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა	142
შოთა ვადაჭკორია. ცხინვალის რეგიონიდან ქართველთა გამოდევნის პირველი ეტაპი და „ოსური იდეის“ ხორცშესხმის დასაწყისი.	174
დალი კანდელაკი. გერმანული კოლონიები საქართველოში: უცხოელი ავტორების სამოგზაურო ჩანაწერები	195
ოთარ ნიკოლეიშვილი. იოანე ხოჯაშვილის „დღიური-მატიანე“ როგორც წყარო იმერეთის სამეფოსა და ქუთაისის ისტორიის შესასწავლად	207
რუსუდან დაუშვილი. ქართველი სტუდენტები და მეცნიერები ემიგრაციაში 1920-50-იან წლებში	227
თამარ ფხალაძე, ნინო შიოლაშვილი. საგანმანათლებლო საქმიანობა ხევში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (პერიოდული მასალების მიხედვით)	249
გელა ქისტაური. თრუსოს მოსახლეობის ეთნიკური ისტორია უძველესი დროიდან ახ. წ. აღ. XI საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით	259
რომან გოგოლაური. ბიეთის ქტიტორ ხუაშქის ვინაობის საკითხისათვის	274
ლატავრა ბუკია. თედო სახოკიას პუბლიცისტიკა 1888-1900 კორესპონდენციები	288
გელა ცაავა. ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული ეკოლოგიური პრობლემები. საფრთხეები და გამონვევები	300

წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია	309
გონელი არახამია. ახალი „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის ალდგენისათვის	309
მერაბ კალანდაძე. ქართული მედიევისტიკის ერთი საინტერესო ეპიზოდი (დანერა თუ არა დიმიტრი უზნაძემ შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო?)	315
საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია	338
მახარე (მიქაელ) ბუკია. ეპიკოპოსი კირიონი, წმიდანების ისტორიის მკვლევარი /წმიდა ნინო/.....	338
მერაბ კვხევაძე. ეპისკოპოსი ნესტორი (ყუბანეიშვილი)	350
გვანცა ბურდული. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა 1918-1921 წლებში (ერთი დოკუმენტის მაგალითზე)	375
ქალაქაჰის ისტორია	385
ჯემალ კარალიძე. მრეწველობის განვითარება ბათუმში (XIX საუკუნის ბოლო-XX საუკუნის დასაწყისი)	385
მაკა კვარაცხელია. საბინაო კრიზისი და ბინათმშენებლობის საკითხები XX საუკუნის თბილისში	396
ლიტერატურათმცოდნეობა	415
ავთანდილ არაბული. გრიგოლ რობაქიძე და ვაჟას სამყარო	415
მარინე (ხათუნა) კუხალაშვილი. პეიზაჟის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია თამაზ ჭილაძის რომანში „აჰა, მიინურა ზამთარი“	433
თამარ გელიტაშვილი. რღვევის მატთანე (კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ მიხედვით)	451
კონსტიტუციის ისტორია	477
სალომე კარალიძე. პარლამენტი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში	477
რეცენზია	494
როზეტა გუჯეჯიანი, ქეთევან ხუციშვილი. რეცენზია ჯაბა სამუშიას ახალ მონოგრაფიაზე „კვების კულტურა და ეტიკეტი შუა საუკუნეების საქართველოში (ესსე და მასალები ქართველთა გასტროისტორიიდან)“	494
ვახტანგ გურული. ბიბლიოგრაფია.....	504

როინ მატრაველი

აკადემიკოსი

ჭეშმარიტი მეცნიერი, ღირსეული საზოგადო მოღვაწე

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ გურული სამოცდაათი წლის შესრულდა. შვიდი ათეული წელი ერთი ადამიანისათვის მნიშვნელოვანი დროა და არის საშუალება, რომ პიროვნებაზე ფართოდ იმსჯელო. მითუმეტეს, როცა ეს პიროვნება ქვეყანაზე მაფიქრალი, მისი წარსულის ჩაძიებული შემსწავლელია.

ვახტანგ გურული ღირსეული პიროვნებაა, ფართო მასშტაბის მკვლევარია. იგი იმ მეცნიერთა რიგებშია, რომლებიც არა ცალკეული საკითხების გაშუქების, არამედ საქართველოს ზოგადი ისტორიის პრობლემების კვლევის გამო არიან დასაფასებელი. ერთი სიტყვით, ვახტანგ გურული წარმატებული ისტორიკოსია, აღნიშნულის თქმის საფუძველს გვაძლევს მეცნიერის საოცრად დიდი, მრავლისმომცველი შემოქმედება.

ბატონმა ვახტანგმა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. წარჩინებით კურსდამთავრებული უნივერსიტეტის ასპირანტურაში შედის, მეცნიერულ მუშაობას იწყებს პროფესორ ვალერიან მაჭარაძის ხელმძღვანელობით, იცავს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს. აქედან მოყოლებული (1980 წ.), იგი უნივერსიტეტში იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, ირჩევენ დოცენტად. მოგვიანებით, ვახტანგ გურულმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და უკვე პროფესორის ხარისხში აგრძელებს საქმიანობას. იგი ფართო მასშტაბის საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. მეცნიერი თავის ღრმა ცოდნას საზოგადოებას გადასცემს. მისი მეტად მნიშვნელოვანი, თანაც მეცნიერულად გამართული და ენობრივად დახვეწილი სატელევიზიო გამოსვლები ისტორიის სხვადასხვა მნიშვნელოვან პრობლემებზე იზიდავდა საზოგადოებას. ვახტანგ გურული უშურველად გადასცემდა ხალხს თავისი კვლევის შედეგებს და მეტად საინტერესო ინფორმაციას აწვდიდა. ეს ქმედება დღემდე გრძელდება. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ვახტანგ გურულის საორგანიზაციო საქმიანობა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. იგი წლების განმავლობაში ერთ-ერთი ხელმძღვანელი (დეკანის მოადგილე)

იყო ფაკულტეტისა და ბევრ რთულ, ამასთან, სასიკეთო საქმეს აკეთებდა. სასწავლო პროცესის ორგანიზება, სტუდენტებთან მუშაობა (ინდივიდუალურადაც), მათი თავისუფალი დროის რაციონალური ორგანიზება ბატონ ვახტანგს კარგად ხელეწიფებოდა და დიდ დროსაც ახმარდა მას.

განსაკუთრებულია ვახტანგ გურულის, როგორც მკვლევარი-ისტორიკოსის ღვაწლი. მისი კვლევის სფერო, არა მხოლოდ XIX-XX საუკუნეების საქართველოს (ახალი და უახლესი) ისტორიის ზოგადი პრობლემებია (ეს ძირითადია მის შემოქმედებაში), არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთვის დამახასიათებელი მოვლენების კვლევა-შეფასებაა. მეცნიერი გადასწვდა ისტორიული გეოგრაფიის ურთულეს საკითხებს, წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიას, ქართული ეკლესიის პრობლემებს. უყურადღებოდ არ დატოვა ლიტერატურათმცოდნეობაც და ასე ფართოდ წარმოადგინა თავისი პროფესიული მეცნიერული სახე.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მინდა განვაცხადო, რომ მე არ შემძლია დავასახელო ადამიანი (ცხადია, შესაბამის ასაკში), რომელსაც რაოდენობრივად ვახტანგ გურულის მეცნიერული შრომებისოდენი ნაღვანი ჰქონდეს. ბატონ ვახტანგს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 700-ზე მეტი ნაშრომი აქვს შესრულებული, აქედან 47 მონოგრაფია, 20 დოკუმენტებისა და მასალების პუბლიკაცია, 250-ზე მეტი საგაზეთო და საჟურნალო სტატია და სხვ. ვახტანგ გურული არის ავტორი საუნივერსიტეტო და საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებისა. დამეთანხმებით, დიდი ნამკალია.

ვახტანგ გურულის დამსახურებაა, რომ მას ზედმინევენით აქვს გამოკვლეული XVIII-XIX საუკუნეების ისტორია, XX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. მეცნიერმა დიდი ადგილი დაუთმო საქართველო-რუსეთის ურთიერთობის კვლევას, მნიშვნელოვანი დასკვნებიც მოგვცა. ცალკე ხაზგასასმელია ვახტანგ გურულის მიერ 1783 წლის ე.წ. „მეგობრობითი ტრაქტატის“ შესწავლა-შეფასება. მეცნიერმა მნიშვნელოვანი ხარკი გადაუხადა ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის პრობლემებს (ავტოკეფალიის გაუქმება და სხვ.). გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ვახტანგ გურულის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები და მასალები XX საუკუნის 20-30-იანი წლების უნივერსიტეტის ისტორიის შესახებ: „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე“ (გამოცემა შესრულებულია მ. ვაჩნაძესთან ერთად). როგორც გამოქვეყნებული საბუთები, ისე შეფასებები, ნათლად მიუთითებენ გამოქვეყნებულისა და კომენტატორის მეცნიერულ კეთილსინდისიერებასა და მოქალაქეობრივ სიმალლეზე. ვახტანგ გურულმა ცალკე გამოკვ-

ლევა მიუძღვნა 1918-1921 წლების ხელშეკრულებებში დაფიქსირებულ საქართველოს საზღვრებს.

ცალკე მინდა გამოვეყო ვახტანგ გურულის ღვაწლი ქართული დიპლომატიის ისტორიის კვლევაში. 2022 წელს განხორციელდა „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ მეორე გამოცემა. ეს წიგნი პრაქტიკულად უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს წარმოადგენს, სადაც თანმიმდევრულადაა მოთხრობილი ქართული პოლიტიკური სამყაროს მთელი ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიის სფეროში. სახელმძღვანელოს ექვსი თავი (XVIII-XIX, XX ს. დასაწყისი) ვახტანგ გურულს ეკუთვნის. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ წიგნის გამოსვლამ საფუძველი დაუდო უმაღლესი სკოლის სასწავლო პროგრამაში „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ სალექციო საგნად შეტანას.

ამ ათიოდე წლის წინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პარტიარქმა ილია II-მ, ლოცვა-კურთხევა მოგვცა „საქართველოს ისტორიის“ პოპულარული ეპიზოდური კურსის მაღალ მეცნიერულ დონეზე შედგენა-გამოცემის თაობაზე. აღნიშნული ნაშრომის შედგენაში მონაწილეობდა რამდენიმე მეცნიერი. წიგნი „დიდნი საქმენი“ 2011 წელს გამოვიდა. ჩვენმა დიდმა პარტიარქმა, საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა ამ გამოცემას. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ამ უმნიშვნელოვანეს „გულანში“ მეტად დიდი პასუხისმგებლობით მოამზადა ვახტანგ გურულმა თავები: „თეიმურაზ II“, „პატარა კახი“, „სოლომონ I“, „ალექსანდრე ბატონიშვილი“, „იოანე ბატონიშვილი“, „სამოციანელები“ და სხვ. ისტორიკოსთა ჯგუფმა მნიშვნელოვანი შრომა გასწია და მოამზადა სერიოზული გამოკვლევა „კავკასიის ისტორია“ (ორტომეული), აქაც მნიშვნელოვანი ნაწილი გამოკვლევისა ვახტანგ გურულს ეკუთვნის. იგი გარკვეულ ყურადღებას მთლიან გამოცემასაც აქცევდა. „კავკასიის ისტორია“ პრაქტიკულად სრულყოფილი სახით პირველად შეიქმნა, ადრინდელ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია და ამიტომ მისი მნიშვნელობა დიდია.

ვახტანგ გურულის შემოქმედებითი თვალსაწიერი ფართოა. მის ნაღვანში ჩვენ ვხვდებით პოლიტიკური მოღვაწეების, მწერლების თუ სხვათა შეფასებასაც. ამ მხრივ საინტერესოა ვახტანგ გურულის „მეფე-მამა, სტალინის დიდი ექსპერიმენტი“. მეცნიერი პირდაპირ ამბობს, რომ სტალინის ნაზრევისა და ნაღვანის შეცნობა ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს აღემატება და თავად ცდილობს გაარკვიოს: როგორ გახდა იოსებ ჯუღაშვილი რუსეთის (საბჭოთა კავშირის) ერთპიროვნული მმართველი, როგორ შეძლო პოლიტიკური მონინალმდევების დამარ-

ცხება, როგორ შექმნა ზესახელმწიფო და სხვა. შეიძლება ვინმემ არ გაიზიაროს ავტორის ზოგიერთი მოსაზრება, მაგრამ ერთი ფაქტია - ნიგნი საინტერესოდაა დაწერილი.

ვახტანგ გურული ლავრენტი ბერიას პიროვნებას, მის საქმიანობასაც შეეხო, განიხილა ნოე ყორდანისა მოლვანეობაც (ამ საკითხებზე არ გავჩერდებით). განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ბატონი ვახტანგის დამოკიდებულება მწერლობისადმი (ლიტერატურათმცოდნეობისადმი). სამოციანელებისა და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის შესახებ მასალები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დიდნი საქმენი“-ში გამოქვეყნდა. ამჯერად, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მეცნიერის თბილ, მეგობრულ დამოკიდებულებაზე ანგარდაცვლილ (ადრენასულ) გოდერძი ჩოხელთან. გოდერძი ჩოხელი ჭეშმარიტად მაღალი ნიჭის მოღვაწე იყო. მისი მოთხრობები გამოირჩევიან სისადავით, საქართველოს მთის ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალების ჩვენებით. ამასთან თითოეული მოთხრობა, რომანი დაწერილია მაღალი მწერლური ნიჭის აშკარად გამოჩვენებით, სიყვარულით. გოდერძი შესანიშნავ სცენარებსაც წერდა და ფილმებსაც იღებდა, ზოგიერთს თავისი მონაწილეობით. ვახტანგ გურულმა სტატიების კრებულში „მართალი გოდერძი“ სინატიფით წარმოადგინა, არ მერიდება ვთქვა, დიდი მწერალი მთელი არსით. მეცნიერმა სტატიათა მთელი ციკლი უძღვნა მწერლის ხსოვნას („გოდერძი ჩოხელის სამყარო“, „ნუ გაახმოობთ მხარზე ამოსულ ნაძვს“, „ადამიანად არყოფნის სევდა“ და სხვ).

ვახტანგ გურულის, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სახე ნათლად ჩანს მის ბრძოლაში ისტორიის გამყალბებლებთან (სამწუხაროდ, ასეთები ჯერჯერობით გვყავს). ბატონმა ვახტანგმა მკაცრად გაილაშქრა საქართველოს სკოლებში არსებული საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ეს საკითხი დღემდე მწვავედ დგას. მეცნიერმა საქართველოს ისტორიის დაცვას არაერთი სტატია მიუძღვნა („უპატრონო ეკლესია ანუ იმის შესახებ, თუ როგორ ვიცავთ ჩვენს ისტორიას“, „ასე იწყებოდა ისტორიის გაყალბება“, „გაყალბებული ისტორია ჰეგემონისტური პოლიტიკის სამსახურში“, „ქართული ისტორიული მეცნიერების ძველი და ახალი გასაჭირი“).

ვახტანგ გურულს მრავალმხრივი განათლება და მაღალნიჭიერება გამოაჩნდა მის მიერ ლიტერატურაში გადადგმული ნაბიჯებში (ლიტერატურათმცოდნეობაზე ზემოთ აღვნიშნეთ). მის მწერლურ კალამს ეკუთვნის პიესები: „არავინ წინასწარმეტყველი“, „მეფე ერეკლეს წუთისოფელი“, „რუსეთის მბრძანებელი“. ეს პიესები სხვადასხვა გამომცემლობებში დაიბეჭდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი დამდგმელიც გამოჩნდება.

ვახტანგ გურული აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო თუ რე-სპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში, გამოდის მოხსენებით ისტო-რიის აქტიუალურ პრობლემებზე - თავისი კვლევების შედეგებს წარუდგენს ფართო სამეცნიერო საზოგადოებას. ბატონი ვახტანგი სხვათა შრომების ობიექტური შემფასებელია. ამაზე მეტყველებს მის მიერ გამოქვეყნებული რეცენზიები, რომლებიც სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებსა თუ ჟურ-ნალ-გაზეთებში დაიბეჭდა.

სამოცდაათი წლის ვახტანგ გურული წარმატებით მოღვაწეობს საქა-რთველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში. იგი ღვაწლმოსილი, დამსახურებული პროფე-სორია და თავის დიდ ცოდნას გადასცემს სტუდენტობას. მას წარმატე-ბით მიჰყავს რამდენიმე მნიშვნელოვანი სალექციო კურსი. აქვე უნდა აღვნიშნო ბატონი ვახტანგის ღირსეული ოჯახის შესახებ - მეუღლე და შვილებიც სასიკეთო საქმეში არიან ჩაბმული. განსაკუთრებით მიხარია, რომ მისი უფროსი ვაჟი, სამართლის დოქტორი, პაპუნა გურული საპა-ტრიარქოს ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანია.

ღრმად მწამს, რომ ვახტანგ გურული, ამჯერადაც ფიზიკურად ძლ-იერი და შრომაში სიბეჯითითა და სიღრმით გამოჩენილი, გააგრძელებს თავის კეთილ მეცნიერულ საქმიანობას და ბევრი ახალი გამოკვლევით გაახარებს საზოგადოებას.

წარმატებები იყოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვახტანგ გურულის მარადიული თანამგზავრი.

საქართველოს ისტორია

როინ მატრეველი

აკადემიკოსი

ბანათლება და კულტურა საქართველოში (1900-1917 წწ.)

საკვანძო სიტყვები: განათლება, საქართველო, კულტურა

ათასგვარი სირთულეებითა და კატაკლიზმებით აღსავსე XX საუკუნემ თავისი ცვლილებები მოიტანა განათლებასა და კულტურაშიც. ქვეყანა დასუსტებული შეხვდა ახალ საუკუნეს – სახელმწიფოებრიობა საუკუნის დაკარგული იყო, ქართულ მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ავტოკეფალია წართმეული ჰქონდა, იდეებოდა ქართული ენა. ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მემკვიდრეობად მიიღო XX საუკუნემ. არსებული პოლიტიკური ვითარება, ცხადია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა განათლებასა და კულტურაზე. წინა საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოში განათლებასა და კულტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ეს მოძრაობა XX საუკუნეშიც გადავიდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი მთელი რიგი საზოგადოებებისა („საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება“, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „სოფლის მეურნეობის საზოგადოება“, „ხელოვნების საზოგადოება“, „არტისტთა საზოგადოება“, „კავკასიის მუზეუმი“, „ლარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოება“ და სხვ.) შემდგომ პერიოდშიც აგრძელებენ აქტიურ საქმიანობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც 1879 წელს დაარსდა თბილისში. პირველი თავმჯდომარე იყო დიმიტრი ყიფიანი, მოადგილე ილია ჭავჭავაძე; წევრები: ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე დიდებულიძე, 1885 წლიდან „საზოგადოების“ თავმჯდომარე გარდაცვალებამდე ილია ჭავჭავაძე იყო. კულტურულ-საგანმანათლებლო „საზოგადოებების“ შექმნა ახალი ხანის დასაწყისს მოასწავებდა. სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ქართული საზოგადოების რეალურ გულისთქმას, გამობატავდნენ დიდ კულტურულ ძალას.

XX საუკუნის დასაწყისში კვლავ გრძელდებოდა რუსული პოლიტიკის გატარება საქართველოში, ფრთები ეკვეცებოდა პროგრესულ იდეებს. შეიზღუდა საერობო საქმიანობა განათლების სისტემაში. ამ პერიოდის საქართველოში გარკვეული ნაბიჯები იდგმება დაწყებითი სკოლების შექმნა-გაფართოებისათვის. ეს გზას უხსნიდა სოფლის ახალგაზრდობას განათლების მიღებისათვის. ქართველი საზოგადოება ამ ტიპის სკოლებს მაღალ ამოცანებს უსახავდა, თუმცა არსებული სასწავლო დაწესებულებები თავის ფუნქციას ვერ ასრულებდა. მთავარი ნაკლი ის იყო, რომ განათლების სისტემა შორს იყო ყოველგვარი ეროვნულისაგან. სკოლა რეალურად არ იყო საერო (სახალხო).

მიუხედავად სირთულეებისა, მოსახლეობაში განათლებისკენ სწრაფვა ამკარად შეიმჩნეოდა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი იზრდებოდა. ასე მაგალითად, 1900 წელს ქვეყნის დაწყებით სკოლებში ოცდამეათი ათასი შვიდასზე მეტი მოსწავლე სწავლობდა, როცა ათი წლის წინ მხოლოდ ჩვიდმეტი ათასი იყო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ცალკეულ სკოლათა (თბილისი, ქუთაისი, ლანჩხუთი, ხარაგოული, ახალენაკი, სვირი, კულაში და სხვ.) კონტიგენტი. 1900 წელს თბილისის გუბერნიაში 14581 მოსწავლე ირიცხებოდა (ათი წლის წინ მხოლოდ 8500 იყო), ქუთაისის გუბერნიაში – 19545 (ათი წლის წინ – 8933). აქვე აღვნიშნეთ, რომ თბილისის გუბერნიის მოსწავლეთაგან ქართველი იყო 44,7%, ქუთაისის გუბერნიის მოსწავლეთაგან ქართველი 95% იყო.

ნიშანდობლივია, რომ 1900 წლისთვის (XX საუკუნის დასაწყისი) საქართველოს ყველა დიდ სოფელში სკოლა არსებობდა. რამდენიმე სკოლა ქვეყნის საზღვრებს გარეთაც არსებობდა. მაგალითად, კონსტანტინოპოლში (სტამბოლი) დაარსდა ქართულ-ფრანგული სკოლა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ 1900 წელს ქართულ-რუსული სკოლა გაიხსნა კუნძულ სახალინზე (იქ იმ დროს ქართველთა დასახლება იყო).

XX საუკუნისათვის საქართველოში იყო რამდენიმე ე.წ. საქალაქო სასწავლებელი, რომლებიც წინა საუკუნის ბოლოს სამაზრო სასწავლებლების ბაზაზე შეიქმნა. 1900 წელს მოსწავლეთა რაოდენობა 5048-ს შეადგენდა (1890 წ. - 2474). საქალაქო სასწავლებლებში ყველა საგანი რუსულად ისწავლებოდა. ცხადია, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები იბრძოდნენ ქართული ენის სწავლების შემოღებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. რუსეთის ხელისუფლება ამ საკითხთან დაკავშირებით უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა.

დაბალ დონეზე იყო ქალთა დაწყებითი განათლების საქმე. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში რამდენიმე ქალთა დაწყებითი

სკოლა იყო, რომლებიც ცალკეული პირებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების თაოსნობით იყო დაარსებული. ოთხმოცდაათიან წლებში დედოფალ მარიამის სახელობის რამდენიმე სკოლა დაარსდა. ქალთა სასწავლებლები დაარსებული იყო ბათუმში, ოზურგეთში, ფოთში, ზუგდიდში, ხონში და სხვ.

სხვა სასწავლებლების მსგავსად, ქალთა დაწყებით სკოლებში სწავლება ცხოვრებისგან მოწყვეტილი, დოგმატური იყო. ამ სკოლებისადმი გულგრილი დამოკიდებულება იგრძნობოდა, სასწავლო-მატერიალური ბაზა (მათ შორის შენობები) სუსტი იყო. სკოლების დაფინანსება დამოკიდებული იყო შემთხვევით შემონირულობებზე. მთავრობა და თვითმმართველობა განათლების ამ სისტემას გეგმაშენონილად ვერ აფინანსებდა. სკოლები განსხვავებულ პირობებში იყვნენ. 1900 წლისთვის თბილისის გუბერნიის 195 სკოლა მეტად იყო დაფინანსებული, ვიდრე ქუთაისის გუბერნიის 213 სკოლა.

გარკვეული ადგილი ეკავა საეკლესიო-სამრევლო სკოლებსა და სასულიერო სასწავლებლებს. ასეთი სკოლები ეკლესიებთან არსებობდა. როგორც ჩანს, ხელისუფლება ხელს უწყობდა სამრევლო სკოლებისა და სასულიერო სასწავლებლების განვითარებას. მათ საერობო სკოლებზე მაღლა აყენებდა. დროდადრო დაფინანსებაც იზრდებოდა. ამგვარი ტიპის სკოლების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა XX საუკუნის დასაწყისისათვის. XIX საუკუნეში არსებულ 121 სამრევლო სკოლას 1900 წლისათვის 77 მოემატა (ორმოცი სკოლა დაარსდა ქართლ-კახეთის ეპარქიაში, იმერეთის ეპარქიაში – 10, გურია-სამეგრელოში – 20, სოხუმის ეპარქიაში – 7). გადიდა მოსწავლეთა რაოდენობაც. მოსწავლეთა რაოდენობით გამორჩეული იყო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი (623 მოსწავლე); სამეგრელოში – 306, გორში – 229 მოსწავლე იყო და ა.შ.

ქრისტიანული იდეების პროპაგანდით დაინტერესებული იყო „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება“ (დაარსდა 1860 წელს) და სკოლებს ხსნიდა ქვეყნის იმ რეგიონებში, სადაც ადრე ქრისტიანული მოსახლეობა ცხოვრობდა და, რომელსაც თურქეთის გავლენით მაჰმადიანური სარწმუნოება ჰქონდა მიღებული (აფხაზეთი, აჭარის ნაწილი).¹

XX საუკუნის დასაწყისისთვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ფუნქციონირებდა სომხურ-გრიგორიანული სკოლები. ასევე იყო კათოლიკური და ლუთერანული სასწავლებლები (სკოლები), რომლებიც უშუალოდ

¹ ვ. გაგუა. სახალხო განათლება XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში. თბ., 1974, გვ. 52.

მთავარმართებლის კანცელარიას ექვემდებარებოდნენ. გაზეთ „კავკაზის“ ცნობით, თბილისში – 111, ქუთაისში – 253 სკოლა იყო. ეს რაოდენობა XX საუკუნეში საგრძნობლად გაიზარდა. ფუნქციონირებდა ებრაული სკოლებიც. აქ, ცხადია, საღმრთო სჯულის ნაცვლად იუდაური მოძღვრება ისწავლებოდა.

სასულიერო განათლების საქმეს რუსეთის წმიდა სინოდი ხელმძღვანელობდა. ყველა საშუალება იქეთ იყო მიმართული, რომ ახალგაზრდობა ტახტისა და რელიგიის მორჩილების სულისკვეთებით აღზრდილიყო. საქართველოს ეგზარხატი ამ მითითებას „წარმატებით“ ასრულებდა.

XX საუკუნის პირველივე წლებმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს ადამიანთა სულიერ ყოფას. კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ ბევრი რამ შეცვალა სამეურნეო საქმიანობაში (ცხადია, იარაღებიც შეიცვალა), მეურნეობის დარგებსა და პროდუქციის სახეებში; ცვლილებები მოხდა მოსახლეობის რაოდენობრივ და ეროვნულ-სოციალურ მდგომარეობაში. საქართველოს მოსახლეობა XX საუკუნის დასაწყისისათვის დაახლოებით ორნახევარ მილიონს მოითვლიდა, აქედან ოთხმოცი პროცენტი სოფლის მოსახლეობა იყო. ამდენად, საქართველო ამ პერიოდში წარმოადგენდა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელ ქვეყანას. ქვეყნის გლეხობა ყველა საშუალებას იყენებდა, რომ მიწებს დაუფლებოდა. შედეგი ასეთი იყო: 1904 წლისთვის მიწის მესაკუთრე იყო აღმოსავლეთ საქართველოს გლეხთა 25%, ხოლო დასავლეთ საქართველოს გლეხთა 67%. ეს რიცხვი მომდევნო ათ წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესაბამისად ქართველი თავადაზრაურობის დიდმა ნაწილმა მიწები დაკარგა.²

ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის სამიმოსვლო გზები, საცხოვრებელი სახლების ძირითადი ტიპები, ჩაცმულობა – ხალხის მატერიალური კულტურის ეს ატრიბუტები ერთგვარად განვითარდა საქართველოში. XX საუკუნის პირველ ოცწლეულში ახალი შინაარსი შეიძინა გართობა-სანახაობებმა და სახალხო დღესასწაულებმა, სამუსიკო-ქორეოგრაფიულმა და პოეტურმა ფოლკლორმა.³

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ XX საუკუნეშიც აგრძელებდა მეტად მნიშვნელოვან საქმიანობას. შეიქმნა საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები (ქუთაისი, ახალციხე,

² **А.Бендианишвили.** Грузинская деревня в 1904-1917 гг. Тбилиси. 1968, стр. 70-74.

³ **მ. გაფრინდაშვილი.** ქართული კულტურა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხანაში (1901-1921 წწ.). – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VI, თბ., 1972, გვ. 708.

ბათუმი, ბაქო, თელავი, კავკავი, სამტრედია, სენაკი, სოხუმი, ქიათურა და სხვ.), რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქვეყანაში საგანმანათლებლო მოძრაობის გაძლიერებისათვის. საზოგადოების ყურადღება აშკარად დაეცყო სასკოლო საქმიანობას. საგანგებოდ შექმნილი სასკოლო სექცია გამოცდილი პედაგოგის ლუარსაბ ბოცვაძის ხელმძღვანელობით ფართო მუშაობას ეწეოდა. სექციამ და პირადად ლუარსაბ ბოცვაძემ დიდი ამაგი დასდეს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების დაცვასა და პროპაგანდას. იყვნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც უმართებულოდ აკრიტიკებდნენ ი. გოგებაშვილს. ლ. ბოცვაძე მტკიცედ იცავდა არსებულ სახელმძღვანელოებს („ამ სახელმძღვანელოებით ი. გოგებაშვილმა პირდაპირ გადაარჩინა ქართველი ხალხის რამდენიმე თაობა ეროვნულ გადაგვარებას“ - წერდა ი. ვართაგავა).

სასკოლო სექციის თაოსნობით ქვეყანას ახალი სკოლები შეემატა (ვარიანი, აკურთა, ბორჩალო), საფუძველი ჩაეყარა სასკოლო ბიბლიოთეკებს. გარკვეული სირთულეების გადალახვის შემდეგ სკოლა გაიხსნა ნაღრიკში. 1914 წლისათვის საზოგადოებას (სექციის თაოსნობით) გახსნილი ჰქონდა 16 დაწყებითი სახალხო სკოლა. „საზოგადოება“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმძღვანელოების ხარისხს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს იმ დიდი როლის შესახებ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა („დედა ენა“, „ქართული ანბანი და საკითხავი წიგნი“, „ბუნების კარი“) რომ შეასრულეს. ნიშანდობლივია, რომ 1915 წლიდან საზოგადოების სკოლებში ყველა საგანი ქართულად ისწავლებოდა.

1919 წელს ქართული სკოლა გაიხსნა საინგილოს სოფელ თასმალოში. საზოგადოება ზრუნავდა ფერეიდნელ ქართველობაზეც. რადგან აქ სკოლის გახსნა იყო რთული, საზოგადოებამ 1907 წელს უმასპინძლა ორ ფერეიდნელ ქართველს – ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილსა და ყოლამ-რეზა ხუციშვილს, რომელთაც შეისწავლეს ქართული ენა და ფერეიდანში დაბრუნებულნი აქაურ ქართველებს ასწავლიდნენ.

სირთულეების მიუხედავად წერა-კითხვის საზოგადოებამ 1917 წლისათვის გახსნა 23 დაწყებითი სკოლა (ბათუმი, ბაქო, აკურთა, ატენი, ბორბალო, გერგეთი, გომარეთი, ვარიანი, სოხუმი, ზუგდიდი, თელავი, კავკავი, ნავთლული, საგურამო, ნუკრიანი, ნაღრიკი, წინარეზა, წერაქვი, ყალამში, შრომა, არმავირი, გულაუთა, მოდინახე).

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების (1907 წ.) შემდეგ დადგა საკითხი, თუ ვინ უნდა არჩეულიყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ. ამ თანამდებობის დასაკავებლად გარკვეული პრეტენზია ჰქონდა ცნობილ ეროვნულ მოღვაწეს ნიკო ცხვედაძეს. იგი საზოგა-

დოების ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. მანვე დიმიტრი ყიფიანთან და იაკობ გოგებაშვილთან ერთად შეადგინა საზოგადოების წესდება, დიდი შრომა გასწია საზოგადოებისათვის (ხშირად ილია ჭავჭავაძე მოუცლელი იყო და მის საქმეს ღირსებით ნიკო ცხვედაძე უძღვებოდა). მოხდა ისე, რომ საზოგადოების წევრებმა ამოცანად დაისახეს ისეთი ვინმეს არჩევა, ვისაც მთავრობის წინაშე გარკვეული გავლენა ჰქონდა, რომელსაც ხელისუფლება ანგარიშს გაუწევდა. ასეთად ჩათვალეს განათლებული და ჭკვიანი კაცი, რომელიც ახალგაზრდობაში მაღალ სამხედრო თანამდებობაზე იყო ჯერ ვარიანში, შემდეგ ვლადივოსტოკში – გიორგი ყაზბეგი. იგი დამსახურებულ პიროვნებად იყო მიჩნეული მთავრობის წრეებში. საზოგადოების ამ ნაბიჯმა ნიკო ცხვედაძე გაანაწყენა. მან უარი თქვა საზოგადოებაში საქმიანობაზე. „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ სამადლობელი ადრესი მიართვა მას. ნიკო ცხვედაძემ ეს „მადლობა“ თავაზიანად მიიღო, თუმცა, როგორც თანამედროვეები გადმოგვცემენ „ნალველი და სევდა“ მაინც შერჩა.

გიორგი ყაზბეგი (1839-1921 წწ.), რომელმაც 1908 წლის 9 მარტიდან დაიკავა თანამდებობა, დიდი მონდომებით შეუდგა საქმიანობას, ღირსებით გააგრძელა ილია ჭავჭავაძის საქმე, სრულიად გაამართლა საზოგადოების ნდობა. XX საუკუნის პირველი ოცწლეული გამოირჩეოდა წერა-კითხვის საზოგადოების აქტიური, შემოქმედებითი, ეროვნული საქმიანობით. საზოგადოების წევრთაგან გამოირჩეოდნენ: ლუარსაბ ბოცვაძე, დავით კარიჭაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ფილიპე გოგიჩაიშვილი და სხვ.

ამგვარად, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ წარმატებით გააგრძელა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქმიანობა და არსებითი წვლილი შეიტანა XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში განათლების გავრცელებისა და ხალხის ჭეშმარიტი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება-განმტკიცებაში.⁴

ნიშანდობლივია, რომ XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად გაიზარდა თვითმოქმედ საზოგადოებათა რიცხვი; დაარსდა: „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ (1907 წ.), საზოგადოება „განათლება“ (1908 წ.), „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“ (1905 წ.) და სხვ.

1907 წელს მიღებულ იქნა ახალი წესდება, რომელმაც გარკვეული ცვ-

⁴ აღნიშნულ საკითხზე იხ. **ლ. გოდერიძე**. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ., 2005.

ლილები შეიტანა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სტრუქტურაში. საზოგადოებამ ქალაქებსა და რაიონებში განყოფილებების (ფილიალების) გახსნის უფლება მიიღო. ამან გააფართოვა და ეფექტური გახადა საქმიანობა, საზოგადოება უფრო დაუახლოვდა ხალხს. 1909 წელს დაარსდა ქუთაისის განყოფილება (შედიოდა ქუთაისის, შორაპნის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში). თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი ზდანოვიჩი, მოადგილედ იოსებ ოცხელი, გამგეობის წევრები იყვნენ: იაკობ ფანცხავა, სილოვან ხუნდაძე, იასონ ბაქრაძე, სამსონ ყიფიანი და ბათლომე მოსევილი. საზოგადოებამ შემოიკრიბა სათანადო ძალები და აქტიურ საქმიანობას შეუდგა. მალე ქუთაისის გუბერნიაში გაიხსნა ბათუმის, სამტრედიის, სენაკის, ხონის, ჭიათურისა და ყვირილის ფილიალები.

განყოფილებამ სკოლებს აღმოუჩინა მრავალმხრივი დახმარება (წიგნები, სასწავლო ნივთები). ბიბლიოთეკა-სამკითხველოები გაიხსნა ქუთაისში, სვირში, ქვიტირში, სიმონეთში, კურსებში, ხრესილში, ამბროლაურში, ლალიაშში, სადმელში, ალპანაში და სხვ. ქუთაისში გაიხსნა სტამბა.

1909 წელს გაიხსნა ბათუმის განყოფილებაც. თავმჯდომარე იყო გიორგი ყურული (გამგეობის წევრები: ს. მდივანი, ნ. საბაშვილი, ალ. შატილოვი, ნ. ნაკაშიძე, გრ. ელიავა, ექვთ. ბერძენიშვილი და ვ. კრინიციკი). აჭარას მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.

სამეგრელოს მთავრის ნიკო დადიანის ქალიშვილის მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა (მალვა დადიანის და) და ანთიმოზ ჯუღელის თაოსნობით 1909 წელს სოხუმის განყოფილება გაიხსნა. მათ მიერ გატარებულ კულტურულ ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზეთის მოსახლეობის გათვითცნობიერებისათვის. 1910 წელს სოხუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. მნიშვნელოვან შრომას ეწეოდა ნიკო ჯანაშია, რომელიც 1918 წლამდე ამ სკოლის გამგედ მუშაობდა. ამ დაწესებულების გარშემო მთელი ქართველობა იყრიდა თავს. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ფართოდ იყვნენ ჩაბმულნი: გიორგი შარვაშიძე, პეტრე ჭარაია, თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი, ნიკო თავდგირიძე, ივანე გეგია და სხვ. სასწავლებელში ისწავლებოდა ქართული ენა. მალე ახალი განყოფილებები გაიხსნა ოჩამჩირესა და გუდაუთშიც (1911 წ.). თითქმის მთელი ინტელიგენცია ჩაერთო ეროვნულ კულტურულ საქმიანობაში.

1909 წელს გაიხსნა ახალი სენაკის განყოფილება (თავმჯდომარე ლუკა ყვანია), რომელიც ძალზე აქტიურად ატარებდა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს (საჯარო ლექციები, წარმოდგენები, ლიტერატურული საღამოები, სახალხო სეირნობები და სხვ.). 1909 წელსვე გაიხსნა

კავკავის განყოფილება (ხელმძღვანელი გ. ნათაძე). ნაყოფიერი იყო განყოფილების მიერ დაარსებული კავკავის ქართული სკოლის საქმიანობა, როცა მის გამგედ ვარლამ ბურჯანაძე მუშაობდა (1911-1913 წწ.).

1909 წელს ცნობილი ქართველი პედაგოგის მიხეილ თაქთაქიშვილის თაოსნობით ბაქოში გაიხსნა წერა-კითხვის საზოგადოების ფილიალი, რომელმაც ერთმანეთს დააკავშირა ბაქოს ქართველობა (4000-ზე მეტი ქართველი ცხოვრობდა ბაქოში), გაიხსნა ქართული სკოლა. განყოფილებასთან ჩამოყალიბდა მუდმივი სათეატრო დასი, მაგალობელთა გუნდი. იონა მეუნარგიას თაოსნობით 1910 წელს ფოთის ფილიალი გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ 1912 წელს ფოთს ეწვია ვაჟა-ფშაველა, რომელმაც ვასო აბაშიძესთან, იოსებ გრიშაშვილთან და კოტე ყიფიანთან ერთად თეატრალურ საღამოში მიიღო მონაწილეობა. ფოთელებმა დაწყებითი სკოლა გახსნეს (1913 წ.). 1913 წელს დაკანონდა ახალციხის განყოფილება. დაიწყო ზრუნვა სკოლისა და ბიბლიოთეკის გახსნისათვის. საზოგადოებას სოფელ უდეში სკოლა გახსნილი ჰქონდა, არ არსებობდა ბიბლიოთეკაც. ისინი ახალციხის განყოფილების მზრუნველობის ქვეშ გადავიდნენ.

1914 წელს დაარსდა ცხინვალის განყოფილება. თავმჯდომარედ გიორგი დავითაშვილი აირჩიეს. განყოფილებამ უსახსრობის გამო სკოლა ვერ გახსნა. იყო რამდენიმე ბიბლიოთეკა, სადაც ქართული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების ნაკლებობა იყო. ცხინვალის განყოფილებამ იარსება 1918 წლამდე.

1908 წელს ზუგდიდის ფილიალი დაარსდა. 1916 წელს გაიხსნა სკოლა. სწავლა მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. განყოფილებები გაიხსნა თბილისში, სამურზაყანოში, ჩოხატაურში, ალექსანდროპოლში და ხაშში. თბილისის განყოფილების თავმჯდომარე ანასტასია მაჩაბელი იყო. განყოფილება მზრუნველობდა სახალხო სკოლებს. იგი მალე გაუქმდა (1917 წ.).

სამურზაყანოს განყოფილებას (გაიხსნა 1917 წ.) ხელმძღვანელობდა ივანე გეგია. აქ გაიხსნა სამკითხველოები (ოტობაია, ბარღეფი, ჭუბურხინჯი, აჩიგვარა, საბერიო, ოქუმი). ცენტრალური გამგეობა კარგად აცნობიერებდა სამურზაყანოში საქმიანობას და შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარებოდა მატერიალურად, უგზავნიდა ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას ფილიალები ჰქონდა გახსნილი: გროზნოში, პეტროვსკში, ყარსში, ბორჩალოში, სარაყამიში, იქ სადაც ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა.

ამკარაა, რომ „ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილიალებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოში

სახალხო განათლების ფართოდ გავრცელებაში.⁵

XX საუკუნის დასაწყისისათვის გამოიკვეთა პატრიოტ ქართველ ქალთა მოძრაობა, რომელიც ორიენტირებული იყო ქალთა განათლების პოპულარიზაცისა და ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯების გადადგმაზე. 1902 წელს თბილისში დაფუძნდა „ქართველ ქალთა წრე“, რომლის მცდელობით დაარსდა დაწყებითი სასწავლებელი ქალებისათვის. მიუხედავად სირთულეებისა, გარკვეული დროის მანძილზე სკოლა წარმატებით ფუნქციონირებდა. მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა ამ სასწავლებელს, განსაკუთრებით მიუღებლად მიაჩნდათ ქართულ ენაზე სწავლება. საგანგებო შემონმების შემდეგ 1908 წელს სკოლა დახურეს. ამ სკოლის პედაგოგთა ბაზაზე შეიქმნა საზოგადოება „განათლება“, რომელშიც ძირითადად თბილისის მონინავე ქალები შედიოდნენ. საზოგადოება ემსახურებოდა სწავლა-აღზრდის საქმეს. მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ქალთა სამასწავლებლო სემინარიის დაარსებას, გახსნეს დაწყებითი სკოლა. „განათლების“ მცდელობით 1916 წელს შეიქმნა ქალთა სამასწავლებლო სემინარია, რომლის ამოცანა იყო სოფლის სკოლებისათვის პედაგოგების მომზადება. რამდენიმე წლის ფუნქციონირების შემდეგ უსახსრობის გამო სასწავლებელი („დედათა საოსტატო სემინარია“) ბიბლიოთეკითა და მუზეუმით 1918 წელს მთავრობას გადაეცა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ 1907 წელს დაარსდა „თბილისის ქალთა წრის კომისია“, რომელშიც, მიუხედავად საქმიანობის მცირე პერიოდისა (1909 წელს შეწყვიტა არსებობა), დიდი როლი შეასრულა ქალთა ფართო ფენების აქტივიზირებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ ჩართვაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის სამშობლოზე მზრუნველ ქალთა შორის გამორჩეულნი იყვნენ: ოლღა გურამიშვილი (ილია ჭავჭავაძის მეუღლე), მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ეკატერინე გაბაშვილი, მარიამ დემურია, ნინო ნაკაშიძე, დომინიკა ერისთავი (განდეგილი) და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს საგანმანათლებლო კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა „სასიტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“, რომელიც 1907 წელს დაარსდა ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით.

როგორც დავინახეთ, ცარიზმის რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა XX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა. სკოლებში სწავლება ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მძაფრი ბრძოლის შემდეგ მთავრობამ თბილისის თვითმმართველობას სკოლების ხელმძღ-

⁵ იხ. ლ. გოდერძიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

ვანელობის უფლება ჩამოართვა. ქართული სკოლისათვის თავგამოდებული ბრძოლა მიმდინარეობდა სამეგრელოში. მიძიმე ვითარება იყო აფხაზეთშიც. აქედან და სამურზაყანოშიც ქართული ენა განდევნეს. რუსული სკოლის დაარსების წინააღმდეგი იყო აჭარის მოსახლეობაც.

ქართული ინტელიგენციის ბრძოლას ეროვნული სახალხო განათლებისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია. გაიზარდა სკოლების რაოდენობა. დაწყებით კლასებში აღდგენილ იქნა ქართული სწავლება. 1900-1901 წლებში ქვეყანაში არსებობდა 420 დაწყებითი სკოლა, 10-ზე მეტი საშუალო სასწავლებელი. 1913 წელს გაიზარდა 773-მდე, 34-მდე საშუალო სასწავლებელი. ცხადია, სასკოლო ქსელი ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. ხალხი წერა-კითხვის უცოდინარი, უკეთეს შემთხვევაში, მცირემცოდნე იყო. ამჟამად, რომ ხელისუფლებამ ვერ გაართვა თავი განათლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. არის შემთხვევები, როცა XX საუკუნის დასაწყისში გამოჩენილმა ქართველებმა საშუალო ეროვნული სასწავლებლების შექმნა შეძლეს. ასეთი იყო ქუთაისის კერძო გიმნაზია, რომელიც იოსებ ოცხელმა დააარსა 1900 წელს. ქართული გიმნაზია იყო თბილისში, ქართული სკოლები კი მრავალ ქალაქსა და სოფელში, არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სწავლა-აღზრდის ეროვნული სისტემის დამკვიდრებისათვის თავგამოდებით იბრძოდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: ვასილ ბარნოვი, მოსე ჯანაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, ივანე როსტომაშვილი, პეტრე ჭარაია, სილოვან ხუნდაძე, ნიკო ჯანაშია და სხვ. ქართველ მოღვაწეთა პრაქტიკულ-შემოქმედებითმა თავდადებულმა შრომამ შექმნა წინამძღვრები ახალი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის დამკვიდრებისათვის.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგები გარკვეულ წინსვლას განიცდიან. დაწინაურდა ენათმეცნიერება, ისტორიოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა. გარკვეული წარმატება ჰქონდა საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლასაც.

უდიდესი გავლენა მოახდინა სამეცნიერო ასპარეზზე ივანე ჯავახიშვილის გამოჩენამ. 1902 წელს ახალგაზრდა მეცნიერმა საბერძნეთში, პალესტინასა და არაბეთში გამართულ სამეცნიერო ექსპედიციაში (ექსპედიციის თავკაცი ნიკო მარი იყო) მიიღო მონაწილეობა და ქართულ სავანეებში არსებული მრავალი ხელნაწერი შეისწავლა. ივანე ჯავახიშვილი სწორად აცნობიერებდა საქართველოში არსებულ ვითარებას და მიიჩნევდა, რომ

სამეცნიერო კვლევები ქეშმარიტ მეთოდოლოგიურ საფუძველზე უნდა წარმართულიყო. მკვლევარები არ უნდა აჰყოლოდნენ მამულიშვილურ გრძნობებს და გაზვიადებით არ უნდა წარმოედგინათ ესა თუ ის საკითხი.⁶ სამწუხაროდ, არსებობდა ტენდენცია ისტორიის გალამაზებისა (ამას ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწეც უჭერდა მხარს) და საკითხისადმი ზერელე მიდგომისა. ივანე ჯავახიშვილმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ისტორიის გამყალბებლები. მან 1904 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“, ხოლო 1905 წელს ცალკე წიგნაკად დაბეჭდა ნარკვევი „მეცნიერება და მამულიშვილობა“, სადაც არა მარტო თავისი დამოკიდებულება (კრედო) აჩვენა, არამედ ზოგადად მიუთითა ისტორიის ობიექტურად წერის აუცილებლობაზე. ივანე ჯავახიშვილმა მკაცრად გაილაშქრა წინააღმდეგ იმდროინდელ თავადაზნაურულ ინტელიგენციაში გავრცელებული მოსაზრებისა, რომელიც მეცნიერის მამულიშვილურ მოვალეობად (და საერთოდ ისტორიოგრაფიის ამოცანად) თვლიდა ერის ისტორიის „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი“ ხასიათით შექმნას. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ეს მიმართულება ეროვნულ უფლებათა მოსაპოვებლად სრულიად გამოუსადეგარი“ იყო.⁷ თავად ივანე ჯავახიშვილმა სწორედ ამ პერიოდში შექმნა უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები („ქართული ერის ისტორია“, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, „სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში“ და სხვ.). XX საუკუნის პირველ ოცნწლეულში სამეცნიერო კვლევების საქმეში სერიოზული მიღწევები ჰქონდათ გასული საუკუნიდან გადმოსულ მეცნიერებს. ესენი იყვნენ პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის წარმომადგენელი, რომელმაც არაერთი საენათმეცნიერო და ლიტერატურულ-ისტორიული პრობლემა გამოიკვლია, ალექსანდრე ცაგარელი, ექვთიმე თაყაიშვილი, თედო ჟორდანია, მოსე ჯანაშვილი, დავით კარიჭაშვილი, სერგი გორგაძე და სხვ. ქართველური და სხვა ენების შესწავლაში წარმატებები ჰქონდათ იოსებ ყიფშიძეს, აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს. მნიშვნელოვანი სიახლე იყო საქართველოს ანთროპოლოგიისადმი მიძღვნილი ალექსანდრე ჯავახიშვილის კვლევები. ამ პერიოდში გამოიცა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შედგენილი „საქართველოს სიძველენი“; მისივე რედაქციით გამოიცა „ქართლის ცხოვრების“ მარიაშ დედოფლისეული ვარიანტი. თედო ჟორდანიაშ გამოსცა „ქრონიკები“ ორ ტომად, სარგის კაკაბაძემ გამოაქვეყნა სიგელ-გუჯრები. ძველი ქართული მწერლობის ისტორიისადმი მიძღვნილი

⁶ რ. მეტრეველი. მამულიშვილობა და მეცნიერება. – ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976 წ., გვ. 22-28.

⁷ იქვე, გვ. 23.

ნაშრომები გამოაქვეყნა კორნელი კეკელიძემ. ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ალექსანდრე ხახანაშვილის ოთხტომეულმა „ქართული სიტყვიერების ისტორია“. 1911 წელს გამოვიდა კიტა აბაშიძის „ეტიუდები XIX საუკუნის საქართველოს ისტორიიდან“. საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია წარმოაჩინა არჩილ ჯორჯაძემ „მასალები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“ (1914 წ.). უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის დასაწყისისათვის საფუძველი ჩაეყარა ე.წ. მარქსისტულ ისტორიოგრაფიას. საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მეცნიერულ შესწავლას მიეძღვნა ალექსანდრე წულუკიძის „ოცნება და სინამდვილე“ (1903 წ.), ოსებ ჯულაშვილის „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“ (1904 წ.) და „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (1912 წ.). სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე ჰქონდა გამოქვეყნებული ნარკვევები ფილიპე მახარაძეს.

მეცნიერების განვითარების საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვით, როგორც ზემოთ საგანგებოდ აღინიშნა, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ასევე არქეოლოგიურ, სასოფლო-სამეურნეო, აღმოსავლეთმცოდნეობის, ტექნიკურ, იურიდიულ და სხვა საზოგადოებებს. გამორჩეული იყო ამ საქმეში თბილისის მუზეუმის როლი.

ცალკე უნდა შევხვით „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“⁸ საქმიანობას. ეს საზოგადოება იყო პირველი სამეცნიერო მიმართულების დაწესებულება, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსდა 1907 წელს. საზოგადოებამ მიზნად დაისახა კულტურული მემკვიდრეობის შეკრება და მისი საფუძვლიანად შესწავლა. ამგვარი საზოგადოების შექმნა მიზნად ჰქონდათ დასახული მოწინავე ქართველ ინტელიგენციის წარმომადგენლებს. თავის მხრივ ეს განპირობებული იყო შექმნილი ვითარებით. ქვეყანას ისტორიის გამყალბებლები გამოუჩნდნენ და მათზე მეცნიერული პასუხის გაცემა აუცილებელი გახდა. საზოგადოებას უნდა შესძლებოდა ამოცანის შესრულება.

ჯერ კიდევ 1900 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა შექმნა „ქართული ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრე“, რომლის წევრებმა დაიწყეს ზრუნვა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მასალების გამოცემისათვის. წრის წევრთა აქტიურობის შედეგია, რომ გამოიცა ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით „თიმსარიანი“. „ქართული ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა“ წრემ რეალური საფუძველი მოუმზადა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებას.

⁸ იხ. რ. მეტრეველი. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. თბ., 1982 წ.

უნდა აღინიშნოს, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას წინააღმდეგობა შეხვდა. მისი შექმნა ზედმეტად ეჩვენებოდათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენლებს, ზოგიერთ მესვეურსაც. მონინააღმდეგეთა შორის იყვნენ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე. „საზოგადოების“ წესდების განხილვისას იაკობ გოგებაშვილს განუცხადებია: „... ის საკითხი გადავწყვიტოთ ამ ახალი საზოგადოების დაარსება საჭიროა თუ არაო? მე მგონია არაა საჭირო, რადგან წერა-კითხვის საზოგადოება გვაქვს და ახალი საზოგადოება ზედმეტია, მხოლოდ ხელს შეუშლის ძველსაო“. არსებობს გადმოცემა, რომ იაკობ გოგებაშვილს უთქვამს, ექვთიმე თაყაიშვილი ძალზე აქტიური კაცია და ჩვენს საქმიანობას დაჩრდილავსო. ექვთიმე თაყაიშვილმა და მისმა მომხრეებმა თავისი გაიტანეს. 1907 წლის 20 სექტემბერს გაიმართა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებელი კრება. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ექვთიმე თაყაიშვილი, ნამდვილ წევრებად: ივანე აბხაზი, მიხეილ მაჩაბელი, პავლე თუმანიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, დავით კარიჭაშვილი, ილია ფერაძე, გრიგოლ დიასამიძე, კოტე მაცაშვილი, კალისტრატე ცინცაძე, კორნელი კეკელიძე, სერგი გორგაძე, ალექსანდრე ცაგარელი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, დავით მუსხელიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, ამბროსი ხელაია, ილია ზურაბიშვილი, იაკობ გოგებაშვილი.⁹ „საზოგადოებამ“ თავმჯდომარის ამხანაგის მოვალეობა დააკისრა დავით კარიჭაშვილს, მდივნად სერგი გორგაძე დაინიშნა; ილია ფერაძე წიგნსაცავ-მუზეუმის ხელმძღვანელი გახდა, ალექსანდრე სარაჯიშვილი კი ხაზინადარი.

ნიშანდობლივია, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება წერა-კითხვის საზოგადოებასთან ერთად XX საუკუნის პირველ ოცნლეულში განათლების საქმეს ემსახურებოდა. ამ პერიოდში მეცნიერული ძალები იმდენად მომძლავრდა, რომ საჭირო გახდა სამეცნიერო ტიპის დანესებულების შექმნა. ისეთი ძველი ისტორიისა და კულტურის ქვეყანას, როგორც საქართველო იყო, სათანადო შესწავლა სჭირდებოდა. ხუროთმოძღვრებისა და კულტურის დარგის სხვა ნიმუშებს გადამრჩენელი სჭირდებოდა. ხალხური შემოქმედება შემკრებ-შემსწავლელს ელოდა, სიძველეთა უნიკალურ ნიმუშებს გამომზეურება და მსოფლიოს თვალსაწიერზე გატანა სჭირდებოდა. ყველა ამ მიზნის განხორციელებას ისახავდა ამოცანად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.

⁹ ი. გოგებაშვილს თავისი დამოკიდებულება საზოგადოებისადმი შეუცვლია და მისი წევრიც გახდა, საწევრო გადასახადსაც იხდიდა და მუშაობაშიც მონაწილეობდა (ექვთიმე თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები. ტ. I, თბ., 1968, გვ. 343).

ნიშანდობლივია, რომ საზოგადოებამ მყისიერად შემოიკრიბა თითქმის მთელი მოწინავე ინტელიგენცია და ქვეყნის ისტორიის შესწავლის სამსახურში ჩააყენა. აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ზაქარია ფალიაშვილი, დავით კარიჭაშვილი, მოსე ჯანაშვილი, იუსტინე აბულაძე და მრავალი სხვა ღირსეული მოღვაწე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფრთებქვეშ ერთიანდებიან და აგრძელებენ მოღვაწეობას. საზოგადოებამ უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხალხური სიტყვიერების შესწავლასა და წარსულის ძეგლების დაცვა-პატრონობის საქმეს.¹⁰

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნას ფართო რეზონანსი ჰქონდა. ყველა განათლებული ქართველი თავის მოვალეობად თვლიდა საზოგადოების წევრი გამხდარიყო და თავისი წვლილი შეეტანა მის საქმიანობაში. თუ საზოგადოების დაფუძნების დღეს (1907 წ. 20 სექტემბერი) საზოგადოებაში 38 წევრი ირიცხებოდა, უკვე მეორე კრებისთვის (1907 წ. 8 ნოემბერი) ეს რიცხვი რამდენიმეჯერ გაიზარდა. მის რიგებში ვხედავთ მეცნიერებს: ნიკო მარს, ვასილ პეტრიაშვილს, ალექსანდრე ხახანაშვილს, ზურაბ ავალიშვილს, პეტრე მელიქიშვილს, ივანე ჯავახიშვილს, ივანე თარხნიშვილს და სხვ.; მწერლებს – აკაკი წერეთელს, ვაჟა ფშაველას, ეკატერინე გაბაშვილს, ვასილ ბარნოვს, დავით კლდიაშვილს, ნინო ნაკაშიძეს, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას და სხვ.; ხელოვნების მუშაკებს – დიმიტრი არაყიშვილს, ზაქარია ფალიაშვილს და სხვ.; სასულიერო პირებს: კირიონს, ლეონიდეს, ალექსანდრეს, პეტრეს, დავითს (ეპისკოპოსები); პიროს ოქროპირიძეს, ლოსითეოზს ბერძენიშვილს (არქიმანდრიტები) და სხვ. 1908 წლის 1 იანვრისთვის საზოგადოება 250 ნამდვილ წევრს ითვლიდა, 1909 წლის 1 იანვრისათვის 456 წევრი ირიცხებოდა. საზოგადოებამ თავის საპატიო წევრებად აირჩია აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი და კირიონ III.

საზოგადოებას ჰყავდა მზრუნველი და დამხმარე წევრები, რომლებიც მატერიალურად ეხმარებოდნენ. ასე მაგალითად, პავლე თუმანიშვილმა საზოგადოებას შესწირა ერთი დესეტინა მიწა ვერაზე, ქართული გიმნაზიის მახლობლად. მანვე გადასცა მდიდარი ბიბლიოთეკა: დიმიტრი ერმაკოვს შეუკვეთა საქართველოს სიძველეების (ეკლესია-მონასტრები და სხვ.) გრაფიკული სურათები და ოცდაათ დიდ ალბომად შედგენილი საზოგადოებას გადასცა. სხვადასხვა შემოწირულების სახით, საზოგა-

¹⁰ საზოგადოების სტრუქტურის შესახებ იხ. **რ. მეტრეველი**. დასახ. ნაშრომი, გვ. 11-17.

დოებამ დიდი დახმარებები მიიღო¹¹ კირიონ III-გან (ხელნაწერები, ნიგნები, არქეოლოგიური ნივთები, ალბომები, სურათები, ნუმისმატიკური კოლექცია), აკაკი ხოშტარისაგან (8 ათასი მანეთი), ბაქოს ქართველობისაგან (35 ათასი მანეთი), ქუთაისელ რაჭდენ დათეშიძისაგან (სხვადასხვა ნივთები, ფული, როდამ დედოფლის სასიგელო ბეჭედი, კოლხური მონეტები), პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატდოცენტის სიმონ ავალიანისაგან (ნიგნები, ალბომები). შემომწირველი ბევრი იყო. საზოგადოებას დიდი ამაგი დასდეს ეკატერინე და დავით სარაჯიშვილებმა (მნიშვნელოვანი თანხა და მინა მუზეუმის ასაშენებლად), მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა (ატენის სიონი), მოსე თოიძემ (მხატვრული ტილო „დღეობა“), დიდი ბრიტანეთის კონსულმა ბერგუნში ოლივერ უორდროპმა და სხვ.

საზოგადოების შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენლები. ჯგუფები შეიქმნა ქუთაისში, გურჯაანში, ბათუმში, ახალციხეში. საზოგადოებას ჰყავდა აგენტები, რომლებიც აგროვებდნენ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებს: ქუთაისში – იოსებ ოცხელი, ბათუმში – ილია ფერაძე, ართვინში – ნიკოლოზ ერისთავ-შარვაშიძე, კავკაეში – იოებ ლორთქიფანიძე; მოსკოვში – ალექსანდრე ჯავახიშვილი, ბაქოში – ივანე ელიაშვილი, სიღნაღში – ალექსანდრე ჯორჯაძე, ყიათურაში – გრიგოლ რუხაძე, მცხეთაში – სამსონ ლეჟავა, ნალენჯიხაში – სამსონ თვალთვაძე, საგარეჯოში – ნიკოლოზ ბაზერაშვილი, ბორჯომში – პავლე ნიკიტინ-ვინოგრადოვი და გიორგი ხმალაძე, ერევანში – იაკობ ფხალაძე და სხვ.

საზოგადოების პირველ წლისთავზე დაარსდა ლინგვისტური განყოფილება – დაიწყო ენათმეცნიერების საკითების ინტენსიური კვლევა. დაარსდა გამოცემათა ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. პირველ მათგანში დაიბეჭდა გამოკვლევები, რეფერატები, სხვადასხვა საისტორიო, სალიტერატურო და საეთნოგრაფიო მასალები; მეორეში: სიგელ-გურჯები, ისტორიული წერილები და სხვა ძეგლები. საზოგადოებამ ცალკე წიგნად გამოსცა „პალეოგრაფიული ალბომი“, „ხალხური სიტყვიერება“, „ძველი ქართული მწერლობა“, რომელშიც „მაჰნამეს“ ქართული ვერსიები შევიდა, გამოიცა აკაკი წერეთლის ცალკეული ნაწარმოებები.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება სწრაფად განმტკიცდა. ფართო ხასიათის სამეცნიერო საქმიანობამ დიდი ავტორიტეტი შეუქმ-

¹¹ ე. თაყაიშვილი. მცირე უწყება საქართველო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში (1907-1917 წწ.). – კრებ. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. თბ., 1966, გვ. 200-201.

ნა საზოგადოებას. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ოფიციალურ დოკუმენტებში მოიხსენიება, როგორც „ერთადერთი დანესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ახორციელებს“. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების კრებებს, სადაც ცნობილი მეცნიერები დამსწრე საზოგადოებას აცნობდნენ თავიანთი კვლევის შედეგებს. იმართებოდა მსჯელობა ცალკეული პრობლემების შესახებ. უდიდესი ყურადღება ექცეოდა სხვადასხვა სახის ექსპედიციების მოწყობას. ექვთიმე თაყაიშვილი ყოველმხრივ ცდილობდა მუზეუმის დაარსებას. მოთხოვნის შედეგად, სამუზეუმოდ,

სათავადაზნაურო გიმნაზიის მეორე სართულზე ოთახები მიიღეს. საზოგადოებას 1909 წლისათვის მნიშვნელოვანი ექსპონატები (ხელნაწერები, ნაბეჭდი წიგნები) გააჩნდა. შეიქმნა სამუზეუმო კომისია ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. სწორედ კომისიის დიდი მცდელობით საზოგადოებამ მიიღო მუზეუმის დაარსების ოფიციალური ნებართვა. 1912 წლის 24 იანვარს (ბიბლიოთეკის —1911 წლის 5 დეკემბერს) 1917 წლისათვის მუზეუმს ჰქონდა 9875 წიგნი, 160 ალბომი, 1427 ხელნაწერი, 8000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი, 2432 საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი, 550 ნაქსოვი ექსპონატი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ნაწარმოები (ისტორიულ პირთა პორტრეტები და სხვ.). შეგროვდა მეტად საინტერესო ნუმიზმატიკური კოლექცია.¹²

ექვთიმე თაყაიშვილმა დიდი მცდელობის შედეგად თავი მოუყარა „ვეფხისტყაოსნის“ 17 ხელნაწერს (ცნობები მოკრიბა 24 ხელნაწერის შესახებ). ხელნაწერთა შორის უძველესი იყო 1646 წლის, რომელიც საზოგადოებამ ვინმე კორინთელისაგან შეიძინა. საზოგადოების შენაძინთა შორის იყო მეფე გიორგი XI-ის მდივნის ბეგთაბეგის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ე. თაყაიშვილმა გადაარჩინა პელაგია წერეთლისეული ხელნაწერი, რომელიც სიუჟეტური მინიატურებით იყო დასურათებული.¹³

განუზომელია საზოგადოების ღვაწლი არქეოლოგიური ძეგლების

¹² რ. მეტრეველი. სააკადემიო საქმიანობის სათავე, საისტორიო ნარკვევები. თბ., 2009, გვ. 441-442.

¹³ პელაგია გურიელი ცოლად ჰყავდა საჩხერელ თავადს ნესტორ წერეთელს. ნესტორის გარდაცვალების შემდეგ ქონება (მათ შორის ხსენებული ხელნაწერი) ცოლ-შვილს დარჩა. შვილებს იგი (ყდის გასაკეთებლად მიჰქონდათ) ეტლში დარჩათ. მეეტლეს დავით სარაჯიშვილისთვის მიუყიდა, რომელსაც მისი ჩუქება განუზრახავს ბარონ დე ბისათვის. ექვთიმე თაყაიშვილის ხელნაწერი უთხოვია დ. სარაჯიშვილისათვის და მანამ არ დაუბრუნებია, ვიდრე ბარონი თბილისიდან არ წასულა. შემდგომში „ქართლის ცხოვრება“ ამ ხელნაწერის მიხედვით ექვთიმე თაყაიშვილმა გამოსცა კიდევ.

გამომზეურება-შესწავლაში. მიმდინარეობდა როგორც გათხრითი მუშაობა, ისე მინისზედა ძეგლების აღწერა-შეგროვება. გამორჩეულია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი „ახალგორის განძის“ მასალების შეგროვება-დაცვაში.¹⁴ მანვე აღმოაჩინა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობებს სამხრეთ საქართველოში, ე.წ. „თურქეთის საქართველოში“. პირველი ექსპედიცია 1902 წელს მოეწყო, მეორე – 1907 წელს, მესამე – 1917 წელს. ეს ის მიწებია, რომლებიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.¹⁵ პირველმა ექსპედიციამ გამოიკვლია არტაანის ოლქის კოლას რაიონის ძეგლები, ოლთისის ოლქის ნაწილი. 1907 წლის ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და ჩანგლში შედგა. შესწავლილ იქნა დიდი ისტორიული მასალა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ეგიდით ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა და აღწერა: კახეთის (ალავერდი, შუამთა, ბოდბე, თელავი, გრემი, იყალთო, ახმეტა და სხვ.), იმერეთის (საჩხერე, ჭრუჭი, კაცხი, ქუთაისი, გელათი და სხვ.), სამეგრელოს (მარტვილი, ცაიში, ზუგდიდი, ნალენჯიხა, ბანდა, აბაშა, სუფუნა და სხვ.), რაჭის (გლოლა, ყიორა, ღები, ონი, წესი, მრავალძალი, სხვავა, პუგეული, ნიკორწმინდა და სხვ.), ლეჩხუმ-სვანეთის (ლაბეჭინა, საირმე, ლაჯანა, ორბელი, ლენტეხი, ჩოლერი, ლაშხეთი, უშგული და სხვ.) ძეგლები.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ მონყობილ არქეოლოგიურ მოგზაურობათა შორის საინტერესო იყო 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია. შემადგენლობა ასეთი იყო: ექვთიმე თაყაიშვილი (ხელმძღვანელი), ინჟინერი ალექსანდრე კალგინი, მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, ხუროთმოძღვარი ილია ზდანევიჩი, მხატვარი ლადო გუდიაშვილი და ცნობილი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, რომელიც იმხანად მხატვრობას ეწეოდა. ექსპედიციამ მუშაობა მერდგვიდან დაიწყო, შემდეგ ოლთისში გადავიდნენ, აქედან კი ახპურორის უღელტეხილზე ხახულში ჩავიდნენ. შესწავლილ იქნა ხახულის, იმხნის, ოშკის ტაძრები. აქ წარწერებიც იქნა მიკვლეული და საგანგებოდ გადმოღებული. აღწერილ იქნა თორ თუმის ხეობაში მდებარე ექებისა და სოხთოროთის ტაძრები, ოთხთა და პარხლის ეკლესიები.

¹⁴ რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი. თბ., 1962, გვ. 43.

¹⁵ 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულების შესაბამისად ეს მხარე (არტაანი, ოლთისი და ბათუმის ოლქის მცირე ნაწილი) რუსეთის იმპერიამ მიიღო. 1921 წელს არტაანისა და ოლთისის „ოკრუგები“ კვლავ თურქებმა მიიტაცეს. საქართველოდან გატაცებულ იქნა 13072 კვ. კილომეტრი სივრცე.

ცალკე უნდა აღინიშნოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლის შესახებ უნივერსიტეტის დაარსებაში. ზედმეტია იმის აღნიშვნა, თუ რაოდენ დიდი, არსებითი ღვაწლი დასდეს პეტერბურგში მყოფმა ქართველმა მეცნიერებმა უნივერსიტეტის დაარსებას.¹⁶ ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრე-თანამდგომნი არიან ამ საქმის პრაქტიკულად დამგვირგვინებლები. აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ თბილისში მძლავრი საუნივერსიტეტო ბაზა იყო სწორედ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახით, რომელიც თავისი შინაარსითა და ოფიციალური აღიარებით „ერთადერთი აკადემიური დაწესებულება იყო, ეს იყო მაშინ ჩვენში უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც“ (კ. კეკელიძე).

ქართული უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა შორის იყვნენ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრები: ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი და სხვები.

XX საუკუნის პირველი ოცნაწიანი მწერლობის გარკვეული წარმატებით აღინიშნა. ის ფაქტი, რომ წინა საუკუნის მხატვრული სიტყვის კორიფეები: ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი XX საუკუნეშიც მოღვაწეობდნენ და შედეგებს ჰქმნიდნენ, რაც ამკარად მეტყველებს ამ პერიოდის ქართული მწერლობის მაღალ დონეზე.

ილია ჭავჭავაძე აგრძელებდა აქტიურ მწერლურ მოღვაწეობას და უძღვებოდა ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებებს. დიდი მწერალი ავითარებდა ახალი ეპოქის ლიტერატურას – კრიტიკულ რეალიზმს. იგი აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა და აფართოვებდა ეროვნული მოღვაწეობის ჩარჩოებს. ქართველი ერისათვის უდიდესი ტრაგედია იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. თანაც ეს ფაქტი აჩვენებდა, რომ ქვეყანას სერიოზული მტერი ჰყავდა, რომელიც პროგრესს ებრძოდა. დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე განსაკუთრებული მწუხარებით დაიტირა საქართველომ. ილია ჭავჭავაძის სახელი უკვდაყოფილია ჩვენს ქვეყანაში.

ახალ საუკუნეს წარმატებული შემოქმედებითი ნაბიჯებით შეხვდა აკაკი წერეთელი. მისი ბრწყინვალე პოეზია საყოველთაოდ იქნა აღიარებული. პოეტის ლირიკული ლექსები, სამშობლოს სიყვარულითა და მისთვის თავდადების მოწოდებით იყო აღსავსე. აკაკი ფართოდ ხვდებოდა საზოგადოებას და დიდ სიყვარულს ტოვებდა მათში.

თავისი შემოქმედებითი აზროვნების მასშტაბით, დიდებული პოეზიითა

¹⁶ ვრცლად იხ. **რ. მეტრეველი**. ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი. თბ., 1996.

და პროზით საერთაშორისო დონის მწერალი იყო ვაჟა-ფშაველა. იგი თავის ლირიკულ და ეპიკურ ნაწარმოებებში ღრმად, ძლიერი ჰუმანისტური წვდომით წარმოაჩინდა პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ტრადიციულ პრობლემას.

ვაჟა-ფშაველა დარბაისლური სიდიხით შეხვდა აკაკი წერეთლის ერთის მხრივ მეგობრულს, თუმცა მწვავე კრიტიკას: „ენას გინუნებ ფშაველო“. ვაჟამ მხოლოდ ათი წლის შემდეგ (1913 წ.) უპასუხა, ნუხდა „რალმერთი გამინყრა“, რომ „ვერას ვაგონებ მშობელსაო“. თანაც კითხულობდა „ბუღბუღლისათვის გალობა დაუნუნია რომელსაო?“ მისი დასკვნა მტკიცე იყო:

**„სჯობს, რომ იმაზე ვიტიროთ,
მუდამ მთქმელი ვარ ამისა,
ნუ შეგაშინებთ, არ გავნებსთ
მთიდან ყვირილი ხარისა“.**

თავისებური იყო დავით კლდიაშვილის შემოქმედება. მწერალმა ქვეყნის მძიმე მდგომარეობით შეწუხებულმა, მეტად საინტერესოდ დაგვიხატა „შემოდგომის აზრათა“ მძიმე მდგომარეობა („სოლომონ მორბელაძე“, „ქამუშაძის გაჭირება“). ტრაგიკომიკურია მთავარი გმირის (პლატონ სამანიშვილის) ბედი მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“. განსაკუთრებული თანაგრძნობით წარმოადგინა აზნაურთა ყოფა პიესებშიც („ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“).

ვასილ ბარნოვმა თავის ისტორიულ-ფსიქოლოგიურ რომანებში საქართველოს წარსული რეალურად წარმოაჩინა. 1901 წელს გამოქვეყნდა მისი რომანი „ისნის ცისკარი“. მწერლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო განმანათლებლურ-ლიბერალური თვალსაზრისი („აჩრდილი სიკვდილისა“, „მსახური ეკლესიისა“, „ბედის ვარსკვლავი“ და სხვ.). როგორც მსოფლმხედველობით, ისე შემოქმედებით ვასილ ბარნოვი კრიტიკულ-რეალისტური მწერლობის წარმომადგენელი იყო.

შოი არაგვისპირელი (დედაბრიშვილი) ცხრაასიან წლებში სახელმძღვანელო მწერალი იყო. მისი ნოველები უშუალოდ ეხება პიროვნების დამოკიდებულებას საზოგადოებასთან. მწერლის შემოქმედებაში ხაზგასმულია ქართველი გლეხობის უმწეო მდგომარეობა, მოცემულია ადამიანურ გრძნობათა სინმიზის ძებნა („გულცივობა“, „ყველაი დავკარგე“, „ბეჩა, რადა მკლავ“, „გაბზარული გული“). შოი არაგვისპირელის შემოქმედება ძირითადად პესიმისტური იყო. მისმა რეალისტურმა ფილოსოფიურმა ბელეტრისტიკამ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვეებზე.

ალნიშნული პერიოდის მოღვაწეთა შორის გამორჩეულია მწერალი

ქალი – ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, რომელმაც თავის რომანებით („მოლიბუელ გზაზე“, „მინა“, „ბედის ტრიალი“, „კერა“, ქართულ ლიტერატურაში ბევრი სიახლე შეიტანა.

კონდრატე უიარალო (თათარაშვილი) ნაწარმოებთა („მშვიდობით“, „მკვლელი და დიაკვანი“, „პროტექცია“ და სხვ.) შორის გამორჩეულია რომანი „მამლუკი“, რომელშიც აღწერილია გლეხთა ჩაგვრა, მათი უფლებბობა; შესაბამისად – მეტატონეთა აღვირახსნილობა.

XX საუკუნის ქართველ რეალისტებს (ეს მიმდინარეობა აშკარად გამოჩნდა საუკუნის დასაწყისში) შორის გამოირჩევიან იროდიონ ევდოშვილი (ხოსიტაშვილი), გიორგი ქუჩიშვილი, ნოე ჩხიკვაძე, ვარლამ რუხაძე, ჭოლა ლომთათიძე, შალვა დადიანი. იროდიონ ევდოშვილი რეალურ მონაწილეობას იღებდა 1905-1907 წლების რევოლუციაში. იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. მის შემოქმედებაში აშკარად გამოჩნდა ჩაგრულთა მხარდაჭერა, მათი სულისკვეთება და მდგომარეობა („გლეხის ფიქრები“, „მოფხამაგირე“, „ურმული“). მწერლის პათოსი, რომ მჩაგვრელი საზოგადოება თავისუფალით უნდა შეიცვალოს („მუშის სიზმარი“, „გათენდა დილა“ და სხვ.). იროდიონ ევდოშვილმა თავისუფლებისთვის ბრძოლასთან პოეზიის კავშირი წარმოადგინა ლექსში „მუზა და მუშა“. ნოე ჩხიკვაძემ ლექსების პირველი წიგნი 1918 წელს გამოსცა. მის ლირიკაში შრომის სიყვარული სამშობლოს სიყვარულთანაა შეერთებული („შრომის ჰანგი“, „შრომის ფსალმუნი“ და სხვ.).

გიორგი ქუჩიშვილის ლექსებში (პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1906 წელს) გარკვევით იგრძნობა რევოლუციური რომანტიკა. მისი შემოქმედების მასაზრდოებელი ქუჩის ხალხი (თავად ქუჩიშვილი) იყო. მას თავისი თავი „ქარიშხლის პოეტად“ მიაჩნდა და ოცნებობდა თვითმპყრობელობის დამხობასა და სიკეთით სავსე ქვეყნის დაარსებაზე.

ჭოლა ლომთათიძის ნაწარმოებები 1905 წელს დაიბეჭდა („ცხოვრების გულიდან“, „შეყვარებული“, „ზღვა“, „აღსარება“, „სიცრუე“ და სხვ.), სადაც მწერალი ქადაგებდა ძმობასა და ერთობას და გამოხატავდა ბოროტებას. მან ხმამაღლა განაცხადა, რომ „მე ყველა ჩაგრული ყველა ადამიანი მიყვარს“.

შალვა დადიანის შემოქმედება არა მარტო თემატიკით, არამედ მაღალმხატვრულობითაც გამოირჩევა. განსაკუთრებულად უნდა დავასახელოთ მისი ისტორიული რომანი „უბედური რუსი“. მწერალი პოპულარული გახადა მისმა პიესებმა, რომლებშიც ძირითადად სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლაა აღწერილი. შალვა დადიანის შემოქმედების ძირითადი მიმართულება სიმართლე და დემოკრატიზმი იყო.

XX საუკუნის დასაწყისის მწერლებში გამორჩეული ადგილი უკავია მიხეილ ჯავახიშვილს. 1984 წელს იგი გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, 1906 წელს რედაქტორობდა გაზეთ „გლეს“. პირველი მოთხრობა („ჩანჩურა“) 1903 წელს დაიბეჭდა. აქვეყნებდა კრიტიკული შინაარსის წერილებს, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას, წარმოაჩენდა ცხოვრებისაგან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს („უპატრონო“, „ეკა“, „მეჩქეძე გაბო“, „კურკას ქორწილი“), ცალკეულ ნაწარმოებებში („ეშმაკის ქვა“, „ჯილდო“, „ხალხი სამართალი“) ასახულია რევოლუციური ბრძოლის ეპიზოდები. პოპულარულია მიხეილ ჯავახიშვილის რომანები: „არსენა მარაბდელი“ და „ჯაყოს ხიზნები“. მწერალი მიიჩნევდა, რომ ადამიანის პიროვნება და ღირსება პატივისცემას და თანაგრძნობას მოითხოვდა.

ქართულ ლიტერატურაში ახალი (მეოცე) საუკუნის დასაწყისში აშკარა ტენდენცია ორიგინალური მხატვრული ფორმის შექმნიდან, რამაც შემდგომი განვითარებისკენ ნაიყვანა მწერლობა. ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, იოსებ გრიშაშვილის მინიატურები იმპრესიონიზმს უახლოვდებოდა. ეს თავის მხრივ ხელს უწყობდა ლიტერატურაში ახალი ორიგინალური ფორმის დამკვიდრებას.

ნიკო ლორთქიფანიძე მწერლობაში 1900 წელს შემოდის. წერდა მინიატურებს, სადაც ავტორი ეხება ადამიანის არსებობასა და რაობას, ფილოსოფიურ პრობლემებს („გული“, „დაუნერელი მოთხრობა“, „უფერულეზა“, „ყელსახვევის ნაფლეთები“ და სხვ.). ქვეყანაში არსებული ვითარება მწერლის სკეპტიციზმს იწვევდა. ეს ნაკლად გამოჩნდა ნ. ლორთქიფანიძის ზოგიერთ ნაწარმოებშიც („საფლავის ვარდი“, „ბუნება“ და სხვ.). მწერალი რეალისტურად ხატავს საქართველოს არისტოკრატიის ცხოვრებას („უამთა სიავე“, „მრისხანე ბატონი“, „რაინდები“). ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებამ ახალი ჟღერადობა მისცა ქართულ სიტყვას და ორიგინალური გამომსახველობითი თვისებებით გაამდიდრა ქართული პროზა.

ლეო ქიაჩელმა (შენგელაიამ) მწერლობა XX საუკუნის ათიან წლებში დაიწყო. ამ პერიოდში შექმნა ქართული პროზის გამორჩეული რომანი „ტარიელ გოლუა“ (1914-1915 წწ.), რომელშიც რეალისტურად აისახა თვითმპყრობლური წყობილების წინააღმდეგ სახალხო ბრძოლა, თავდადებული სწრაფვა თავისუფლებისათვის. ცხოვრების ღრმად გაგება და რეალისტური თვალსაზრისი ჩანს ლეო ქიაჩელის ნაწარმოებებში: „სისხლი“, „მამა და შვილი“, „მთის კაცი“.

ქართულ პოეზიაში ძველი რომანტიზმის აღდგენა სცადა პოეტმა კიტე მაცაშვილმა („რომანსი“, „იდელის საფლავთან“). ქართული პოეტური

ფორმის გამდიდრებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს იოსებ გრიგაშვილმა, ალექსანდრე აბაშელმა, სანდრო შანშიაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა და სხვ. გამორჩეული მოვლენა იყო სამწერლო ასპარეზზე გალაქტიონ ტაბიძის გამოჩენა, რომელმაც თავისი უმაღლესი დონის პოეზიით, განსაკუთრებული სიახლეებით, დიდი ნიჭიერებით, შემართებით უზარმაზარი წვლილი შეიტანა ქართული პოეზიის, ზოგადად მწერლობის განვითარებაში. XX საუკუნის დასაწყისში ამკარად გამოვლინდა ქართველი პოეტების ერთი ნაწილის (ს. შანშიაშვილი, ა. აბაშელი და სხვ.) ნეირომანტიკულ სიმბოლიზმზე გადასვლის ტენდენცია, რომელმაც ლიტერატურული სკოლის სახე მიიღო („ცისფერყანწელები“).

1915-1916 წლებში დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირი, რომელიც საზოგადოებრივი შემოქმედებითი ორგანიზაცია იყო. მისი დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე კონსტანტინე (კოტე) მაყაშვილი იყო (1926 წლამდე). მის შემოქმედების წარმატებათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ მან თარგმნა ლოპედე ვერას „ცხოვრების წყარო“ (1922 წელს დადგა კოტე მარჯანიშვილმა).

ამავე პერიოდში (1915-1916 წწ.) იქმნება ქართული ლიტერატურული დაჯგუფება „ცისფერყანწელები“ („ცისფერი ორდენი“), სახელწოდება დამკვიდრდა ბექდური ორგანოსაგან „ცისფერი ყანწები“ (1916 წ.). ამ დაჯგუფებაში შევიდნენ მეტად საინტერესო შემოქმედები: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სერგო კლდიაშვილი, ნიკოლო მინიშვილი, შალვა აფხაიძე, გიორგი ლეონიძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი და სხვ. „ცისფერი ყანწების“ გარდა ჰქონდათ გამოცემები: „მეოცნებე ნიაშირები“, „შვილდოსანი“, „ბარრიკადი“, „ბახტრიონი“. ცისფერყანწელებმა თავის მიმდინარეობად სიმბოლიზმი აირჩიეს. მათში ბოჰემური განწყობა სუფევდა. კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდათ კლასიკოსთა მიმართ. უნდა ითქვას ისიც, რომ ცისფერყანწელების შემოქმედებას მაღალი მხატვრული ღირსებები გააჩნდა. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული პოეზიის განვითარებაში.¹⁷

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1911 წელს ქართველ ხელოვანთა საზოგადოების შექმნა. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე გიორგი ყურული იყო, მდივანი იოსებ გეგელაშვილი. 1912 წლიდან საზოგადოება აქტიურ საქმიანობას შეუდგა.¹⁸ შეუდგნენ ძველი ქართული მხატვრობის

¹⁷ ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. V, თბ., 1982 წ.

¹⁸ რ. მეტრეველი. კვალი განათლებული. – ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1975, გვ. 86.

ნაშთების გადარჩენას. მნიშვნელოვანი იყო ნაბახტევში მომუშავე მხატვრების (ლადო გუდიაშვილი, მოსე თოიძე და მისი ვაჟი ერეკლე, მიხეილ ჭიაურელი, დიმიტრი შევარდნაძე) მიერ წარმოებული აღდგენითი საქმიანობა. საზოგადოების საქმიანობას დიდი ყურადღება მიაქცია ივანე ჯავახიშვილმა და დასახული მიზნის შესასრულებლად თავისი წინადადებები შესთავაზა: 1. ქართული ხელოვნების ძველი ძეგლების შეგროვება, შენახვა და მეცნერულ-მხატვრული შესწავლა; 2. XX საუკუნის პირველი ოცნლეულის ეთნოგრაფიული მასალის (შინამრეწველობის საგნები, ავეჯეულობა, ჭურჭლეულობა და სხვ. ნიმუშები) შეგროვება და შესწავლა; 3. საქართველოს ბუნების შესწავლა და „შემოქმედებითი აღბეჭდვა“. ქართველ ხელოვანთა საზოგადოება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან შეთანხმებულად მოქმედებდა. საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა 1915 წელს შექმნილმა სამეურნეო საზოგადოებამ (თავმჯდომარე დიმიტრი ჩოლოყაშვილი), რომელიც შინამრეწველობის მასალებსა და შინამრეწველობის ნიმუშებს ტექნიკური თვალსაზრისით სწავლობდა. „თუ ნაშთების შეგროვებისა და გადარჩენისათვის ყველაზე საუკეთესო ამ ორი საზოგადოების (საისტორიო და საეთნოგრაფიო და სამეურნეო – რ.მ.) შეერთებული შრომა იმქნებოდა, მხატვრობის გადმოღება, ან გადმონახვა და ამ ძეგლების მხატვრული ღირსების შესწავლა, ხელოვნების მხრივ დაფასება კი სწორედ ქართველ ხელოვანთა საზოგადოების წმინდა მოვალეობაა და აქ მას ვერავინ გაუწევს მეტოქეობას“. ეს მითითება ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის. საზოგადოებებმა გარკვეული როლი შეასრულეს კულტურის ძეგლთა შესწავლა-გადარჩენის საქმეში.

XX საუკუნის პირველ ოცნლეულში გარკვეული ადგილი ეკავა პროფესიულ თეატრს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ოთხმოცეან წლებში შეიქმნა ქართული დრამატული საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა ეროვნული თეატრის განვითარებისათვის ხელშეწყობა. საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე იყო, თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) აკაკი წერეთელი, მდივანი კოტე ყიფიანი. საზოგადოების წევრები იმ დროის გამოჩენილი მოღვაწეები: რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე მაჩაბელი, ვასო აბაშიძე და სხვ. იყვნენ. საზოგადოება ხელმძღვანელობდა თბილისის დრამატული დასის საქმიანობას, სწორედ ამ დასის განყოფილებები შეიქმნა 1907 წელს ქუთაისსა და ჭიათურაში, 1913 წელს - ბათუმში. თავის მხრივ ეს განყოფილებები ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივ პროფესიულ და თვითმოქმედ თეატრებს. იდგმებოდა ქართველ, სომეხ, რუს და დასავლეთევროპულ დრამატურგთა პიესები. გამოდიოდნენ ვასო აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, ვალერიან გუნია,

ნატო გაბუნია და სხვ. XX საუკუნის დასაწყისიდან მათ შეემატნენ: ნიკო გოცირიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, შალვა დადიანი, ალექსანდრე წუნუნავა, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვ.

ათიან წლებში კინემატოგრაფიასაც დაედო ფუძე. 1908-1911 წლებში შეიქმნა რამდენიმე დოკუმენტური ფილმი. ცალკე უნდა აღინიშნოს 1912 წელს გადაღებული მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ (რეჟისორი ვასილ ამაშუკელი). 1916 წელს ალექსანდრე წუნუნავამ გადაიღო ფილმი „ქრისტიანე“ (ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით).

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ სამხატვრო ხელოვნებაში მოღვაწეობდნენ და თავისი დიდი წვლილი შეჰქონდათ ცნობილ მოღვაწეებს – გიგო გაბაშვილს, ნიკო ფიროსმანიშვილს, ალექსანდრე მრევლიშვილს, იაკობ ნიკოლაძეს, ალექსანდრე ბერიძეს, მოსე თოიძეს და სხვ. მათი მომდევნო თაობის წარმომადგენლებიც (XX ს. ათიანი წლები) დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე და სხვ. მნიშვნელოვან მხატვრულ ნაწარმოებებს ჰქმნიან. ქართულ მხატვრობაში დიდი კვალი დატოვა ნიკო ფიროსმანიშვილმა, რომელმაც თავის ტილოებზე აღბეჭდა ქვეყნის წარსული, განუმეორებელი ბუნება, ჭეშმარიტი ხალხი: თავადი, ვაჭარი, ხელოსანი, მუშა, ყარაჩოღელი, მეეზოვე თუ მედუქნე, ცხოველთა სამყარო. ნახატები გამოირჩევა ბუნებრივი უშუალობით, განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევია ფერთა გამაზე. თვითნასწავლმა მხატვარმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა. იაკობ ნიკოლაძე ქართული ქანდაკების ფუძემდებელია. მის მრავალ მაღალი დონის ნაღვანთა შორის გამოჩეულია ილია ჭავჭავაძის ძეგლი „მწუხარე საქართველო“ (დაიდგა 1913 წელს).

გიგო გაბაშვილმა თავისი შემოქმედებით მკვეთრად გააფართოვა ქართული მხატვრობის თემატიური სპექტრი. შექმნა ნაწარმოებები (ცოცხალი ტიპაჟი, ცნობილი პიროვნებები, ხორციელი ფორმები), რომლებიც თავისი დონით იმდროინდელ საერთაშორისო მასშტაბის საუკეთესო ოსტატთა ნამუშევრებს უთანაბრდება.

ალექსანდრე ბერიძისა და ალექსანდრე მრევლიშვილის შემოქმედებაში შეუფერავი რეალიზმის პრინციპით შესრულებული სიუჟეტიდან პორტრეტებში ქართველი კაცის ყოფა ჩანს.

მოსე თოიძის მხატვრობაში რეალიზმთან ერთად აშკარაა (განსაკუთრებით ადრინდელ ნახატებში) იმპრესიონისტული ფერწერის კვალი. მხატვარმა სიახლე შეიტანა ქართულ სახვით ხელოვნებაში. მოსე თოიძე აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. მასთან ერთად „კვალში“, „ცნობის ფურცელში“ დოკუმენტური ხასიათის ჩანახატებს (ზოგჯერ

კარკატურებს) აქვეყნებდნენ. გრაფიკოსი მხატვრები ა. გოგიაშვილი, ჰ. პრინევსკი, ო. შემერლინგი, შ. ქიქოძე და სხვ.

გამორჩეულად გამოიყოფოდა ახალი თაობის წარმომადგენლების – ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის შემოქმედება. ნიშანდობლივია, რომ მათ ნალვანში ევროპელი მოდერნიზმი ძველ ქართული ფრესკული ნამუშევრების ტრადიციებს დაუკავშირდა. მათ მშობლიური სინამდვილის ეროვნული თავისებურებები მეტყველად წარმოაჩინეს თავის შემოქმედებაში.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული მუსიკის (ხალხური და აკადემიური ინდივიდუალური საგუნდო და საოპერო) გარკვეული განვითარება ხდება. წარმატებულად მუშაობდა ქართული ხალხური სიმღერების რამდენიმე ანსამბლი, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ სანდრო კავსაძე და აქვსენტი მეგრელიძე. ამავე პერიოდში მასობრივად იქმნებოდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს დიმიტრი არაყიშვილი, რომელიც იწერდა ქართულ ხალხურ სიმღერებს და შეისწავლიდა მათ; მან წარმოაჩინა ქართული ჰარმონიის განვითარების გზა, დაასაბუთა, რომ გალობის ბგერითი წყობები ქართულია, ქართველი ხალხის შექმნილია. დიმიტრი არაყიშვილმა, როგორც კომპოზიტორმა, მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა მუსიკის შემოქმედთა გალერეაში. იგი ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. 1904 წელს მან შექმნა ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ამ ნაწარმოებით იწყება ქართული ოპერის სცენური ისტორია (დაიდგა 1919 წელს).

ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელია მელიტონ ბალანჩივაძე. მან შექმნა პირველი ქართული ოპერა „დარეჯან ცბიერი“ (აკაკი წერეთლის „თამარ ცბიერის“ მიხედვით). 1917 წლიდან იგი დაბრუნდა საქართველოში (მანამდე რუსეთში მოღვაწეობდა) და გაშალა ფართო მუსიკალური მოღვაწეობა. 1918 წელს ქუთაისში დააარსა მუსიკალური სასწავლებელი, რომელიც მის სახელს ატარებს ამჟერადაც. მელიტონ ბალანჩივაძე იყო საქართველოს სამუსიკო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.

ქართული ეროვნული კულტურის უდიდესი მონაპოვარია ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება. მან ფუძემდებლური როლი შეასრულა ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბებაში, მისი პრინციპებისა და სტილის თავისებურებათა ფორმირებაში. ზაქარია ფალიაშვილის მაღალი დონის მუსიკალური ქმნილებებით (ოპერები „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“, სხვა ნაწარმოებები) ქართველმა ხალხმა თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიოს მუსიკალური კულტურის საგანძურში.

ზაქარია ფალიაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ დაარსებაში (1905 წ.), იყო აქტიური წევრი „ქართულ ენაზე ოპერის გამმართველი საზოგადოების“. საყოველთაოდაა ცნობილი ზაქარია ფალიაშვილის მეგობრობა ივანე ჯავახიშვილთან. თავის ახალ ნაწარმოებებს კომპოზიტორი ასმენინებდა ივანე ჯავახიშვილს და მისგან ბევრ რჩევა-დარიგებას იღებდა. მეცნიერი ეხმარებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხალხური სიმღერების შეკრებაში. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ზაქარია ფალიაშვილს „აბესალომ და ეთერის“ ლექური ჩაუნერია და შემდგომში მას ხუმრობით „ივანეს ლექურს“ უწოდებდა.¹⁹

ზაქარია ფალიაშვილის ოპერებზე ქართველ მომღერალთა თაობები აღიზარდა. მის სახელს ატარებს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი.²⁰

ახალი ქართული კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1905 წელს დაარსებულმა „ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ“, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ: ვასილ კარბელაშვილი, ია კარგარეთელი, ანდრია ყარაშვილი, ზაქარია ჩხიკვაძე, პეტრე მირიანაშვილი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ 1917 წელს თბილისის პირველი სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე დაარსდა უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი, სახელმწიფო კონსერვატორია, რომელიც მუსიკალური განათლების ძირითად კერად იქცა. თავდაპირველად კონსერვატორია აერთიანებდა საკუთრივ სასწავლებელს და ორწლიან უმაღლეს სამუსიკო სკოლას. თბილისის კონსერვატორიის პირველი დირექტორები იყვნენ: ნ. ნიკოლაევი (1917-1918 წწ.), ზ. ფალიაშვილი (1918-1919 წწ.).

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული პრესა შეიცვალა – ჟანრობრივ-თემატიკურად მრავალფეროვანი გახდა. იბეჭდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურული, ეკონომიკური, სამედიცინო, სახელოვნებო, საბავშვო, პედაგოგიური, სატირულ-იუმორისტული, რელიგიური ჟურნალ-გაზეთები. პრესა ძირითადად თბილისსა და ქუთაისში გამოდიოდა. ცალკეული გამოცემები ჰქონდათ: ბათუმში, ფოთში, გორში, ახალსენაკში, სამტრედიამი, ზესტაფონსა და სიღნაღში. ქართული გაზეთები საზღვარგარეთაც (პარიზი, ბერლინი, ბაქო) იბეჭდებოდა. ნიშანდობლივია, რომ XIX საუკუნის მიწურულში დაფუძნებული ჟურნალ-გაზეთები XX

¹⁹ ნათელა ჯავახიშვილი. სახელოვანი მეგობრობა. – „დროშა“, 1953, N 5, გვ. 14.

²⁰ ლ. დონაძე, ზაქარია ფალიაშვილი. ქართული მუსიკის ისტორია. ტ. I, თბ., 1986; პ. ხუჭუა, ზაქარია ფალიაშვილი. თბ., 1974.

საუკუნის დასაწყისშიც ფუნქციონირებდნენ („ივერია“ — გამოდიოდა 1906 წლამდე, „კვალი“ — 1904 წლამდე, „ცნობის ფურცელი“ — 1906 წლამდე, „ჯეჯილი“ — 1923 წლამდე, „მოამბე“ — 1905 წლამდე). ამ გამოცემებში ძირითადად თანამშრომლობდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები, სოციალ-ფედერალისტები და სოციალ-დემოკრატები.

რევოლუციური განწყობის სოციალ-დემოკრატებმა (ბოლშევიკებმა) ლადო კეცხოველმა, ალექსანდრე ნულუკიძემ და იოსებ ჯულაშვილმა (სტალინმა) დააფუძნეს გაზეთი „ბრძოლა“ (1901-1902 წწ.), რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა მუშათა მოძრაობის საკითხებს. 1903 წელს კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობის გადაწყვეტილებით „ბრძოლა“ და გაზეთი „პროლეტარიატი“ გაერთიანდა ერთ ორგანოდ „პროლეტარიატის ბრძოლა“.²¹

არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი „ბრძოლა“ გამოვიდა „თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიუროს“ ხელმძღვანელობით, 1908 წელს. გამოვიდა ოთხი ნომერი. გაზეთში იბეჭდებოდა მასალა მიმდინარე მომენტისა და პარტიული ცხოვრების შესახებ.

რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის ყოველკვირეული ორგანო გაზეთი „ბრძოლა“ გამოვიდა 1917 წელს. რედაქტორები იყვნენ მიხეილ ცხაკაია და ფილიპე მახარაძე, გამომცემელი – რკინიგზის მუშა-ბოლშევიკების კომისია. „ბრძოლამ“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში. 1918 წელს ამიერკავკასიის კომისარიატმა გაზეთი აკრძალა, სტამბა, სადაც გაზეთი იბეჭდებოდა, დაარბიეს და დახურეს.²²

1905-1907 წლების რევოლუციის დროს თბილისში გამოდიოდა პრესის ლეგალური ორგანოები: 1905-1906 წლებში გაზეთები „მოგზაური“ და „ელვა“ (რედაქტორი ფილიპე მახარაძე), 1906 წელს - „განთიადი“ და „ახალი ცხოვრება“, 1907 წელს - „ჩვენი ცხოვრება“, „დრო“, „მნათობი“ (ხელმძღვანელი ი. ჯულაშვილი-სტალინი), 1906-1907 წლებში – „ახალი დროება“ (ხელმძღვანელი იოსებ ჯულაშვილი-სტალინი, მიხეილ ცხაკაია, იოსებ დავითაშვილი). ზოგიერთი გაზეთი ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე გამოდიოდა. რევოლუციის დამარცხების შემდეგ მკვეთრად შემცირდა ბოლშევიკური პრესა. ასე მაგალითად, 1908 წელს მხოლოდ ერთი არალეგალური გაზეთი გამოდიოდა („თბილისის პროლეტარი“), 1910 წელს

²¹ გ. ჟვანია. ლენინურ-ისკრული გაზეთი „ბრძოლა“. თბ., 1953.

²² ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები. ნაწ. I, თბ., 1971.

სამი („თბილისის პროლეტარი“, „მგზავრი“, „თბილისის პროლეტარიატის ფურცელი“). 1917 წელს დაიბეჭდა გაზეთი „ინტერნაციონალი“.

უნდა აღინიშნოს, რომ 1905 წელს მენშევიკები გამოსცემდნენ ჟურნალ „სოციალ-დემოკრატს“, ბეჭდავდნენ ლეგალურ გაზეთებს („სხივი“, „წინ“, „გრიგალი“, „ზარი“, „ლამპარი“, „ნაპერწყალი“, „სიმართლე“, „ტალღა“, „ჩვენი ცხოვრება“ და სხვ.). საერთოდ მენშევიკური ჟურნალ-გაზეთები ფართოდ იბეჭდებოდა დაუბრკოლებლად. ასე, მაგალითად, 1907 წელს გამოდიოდა: გაზეთები „ლახვარი“, „რიჟრაჟი“, „საყვირი“, „ჩვენი გზა“, „ჩვენი სიტყვა“, „ცისარტყელა“, „ცისკარი“, „წყარო“ და სხვ. 1908 წელს მენშევიკი რედაქტორების თავკაცობით გამოდიოდა ჟურნალი „მნათობი“, გაზეთები: „აზრი“, „ალი“, „ახალი სხივი“, „მურდული“, „ცხოვრების სარკე“ და სხვ. 1909 წელს „ჩვენი აზრი“, „ახალი დროება“, 1909-1910 წლებში – „მომავალი“. 1917 წლიდან – „სოციალ-დემოკრატი“, „ალიონი“, „ერთობა“, „პირველი ნაბიჯი“.

საინტერესო გამოცემები ჰქონდათ სოციალ-ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატებს. მათ პარიზში 1904 წელს გამოსცეს გაზეთი „საქართველო“ (არალეგალური). 1906 წლიდან მოკიდებული ისინი პერმანენტულად გამოსცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს („მრომა“, „გლეხი“, „სოციალ-ფედერალისტი“, „სახალხო გაზეთი“, „თავისუფალი საქართველო“, „ჩვენი მეგობარი“, „ჩვენი ქვეყანა“, „სამშობლო“ და სხვ.).

ანარქისტები და სოციალისტ-რევოლუციონერებიც 1906-1907 წლებში ბეჭდავდნენ გაზეთებს („ნობათი“, „ყანა“, „ცის ნამი“, „ქარიშხალი“, „ხმა“ და სხვ.). გამოდიოდა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ინტერესების დამცველი პროფესიული გაზეთები: „ახალშენი“, „სავაჭრო გზა“, „მოსავალი“, „თემი“, „კოოპერაცია“ და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოთ XX საუკუნის ოციანი წლების სატირული-იუმორისტული ჟურნალისტიკის არსებობა. 1905 წელს გამოდიოდა „მურდული ივერიიდან“, 1906 წელს - „კოლო“, 1907 წელს – „ბზიკი“, „ეკალი“, „ემშაკი“, „ხუმარა“, „ოხუნჯი“, მეტად დიდი პოპულარობით სარგებლობდა „აკაკის მათრახი“. ეს ჟანრი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო მთელი ოცნლეულის მანძილზე.

ხელოვნების პროპაგანდას ეწეოდა ლიტერატურული, პედაგოგიური, საზოგადოებრივი და სახელოვნებო ჟურნალ-გაზეთები („განათლება“, „მზე“, „ფასკუნჯი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ოქროს ვერძი“, „საფირონი“, „ცისფერი ყანწები“ და სხვ.).

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ოფიციალურ სამთავრობო გაზეთს „კა-

ვკაზი“, თბილისში გამოდიოდა სომხური და აზერბაიჯანული გაზეთებიც.²³ როგორც ვხედავთ, ქართული პრესა, მისი მსოფლმხედველობრივი მიმართულების მიხედვით, რეალურ აღმავლობას განიცდიდა, რაც იმ პერიოდში განათლებისა და მეცნიერების უდავო წინსვლით იყო განპირობებული. საერთოდ, XX საუკუნის პირველ ოცნლეულში ქართველი ხალხის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანესი დარგები (მეცნიერება, განათლება, ლიტერატურა, ხელოვნება) გარკვეულ განვითარებას განიცდიდა, რაც მომავალში მათი აღორძინება-წინსვლის მნიშვნელოვანი საფუძველი იყო.

²³ გ. ბაქრაძე. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. თბ., 1947.

Some issues of education and culture in Georgia (1900-1917)

The first years of the 20th century had a paramount importance on the spiritual side and substance revealed on humanity. The development of capitalist production has changed many things in the economic activity, farming branches and types of products;

Changes occurred in the quantitative and national-social aspects of the population. Great changes have been made in the spheres of education and culture.

Society of spreading literacy among Georgians has successfully continued the activities of the second half of the 19th century and greatly contributed to the education of Georgia at the beginning of the 20th century. As well as spreading and formation of the true national consciousness of the people-in reinforcement. The number of self-acting societies has increased significantly; "Historical and Ethnographic Society" (1907), "Education" (1908), "Georgian Philharmonic Society" (1905) and other societies have been founded.

At the beginning of the 20th century the certain branches of Georgian science experienced progress. Among those branches are linguistics, historiography, literary studies. Certain success in public experienced the study of the history of thought. Ivane Javakhishvili and his associated supporters have practically triumphantly crowned Tbilisi University establishment in (1918). The patriotic women's movement was highlighted, which was focused on the promotion of women's education and the development in this direction.

The first twenty years of the 20th century was noted with some success in writing. The luminaries-coryphaeus of artistic speech of the last century: Iliia Chavchavadze, Vazha-Pshavela, Akaki Tsereteli, Davit Kldiashvili, Vasil Barnov, Shio Aragvispireli were active in the 20th century and created immortal masterpieces, which have determined the pivotally high level of Georgian writing of this period.

In 1915-1916, the Writers' Union of Georgia was founded. It's founder and first chairman was Konstantine (Kote) Makashvili. In 1911, the Society of Georgian Artists was established. The first Chairman was Giorgi Zhuruli. A certain place was occupied by the professional theater. The foundation was also laid for cinematography. From the beginning of the 20th century fine art has been developed. Georgian music (folk and academic individual choral and opera) have

pivotaly reached its magnificent development.

Meliton Balanchivadze is the founder of Georgian opera music. He created the first Georgian opera "Darejan Tsbieri" (Akaki Tsereteli's "Tamar Tsbieri" according to). The Georgian press has become diverse in terms of genres and themes. Have been published numerous socio-political, literary, economic, medical, artistic, children's, pedagogical, satirical-humorous, religious magazines and newspapers. Thus, in the first twenty years of the 20th century, the spirituality of the Georgian people has developed in the most important fields of culture (science, education, literature, art) and thus underwent a certain development, which in the future will lead to their revival- and was of the paramount importance in the basic progress done.

ოთარ ჟორდანი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის წმინდა გიორგის ჯვრის კავალრები

საკვანძო სიტყვები: ოფიცერთა პოლკი, სომხეთ-საქართველოს ომი, წმ. გიორგის ჯვრის კავალრები, მივინყებულნი ბიოგრაფიები.

ოფიცერთა პოლკი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შენაერთი, რომელიც შეიქმნა 1918 წ. სომხეთ-საქართველოს ომის დროს. პოლკის ფორმირება დაიწყო 1918 წლის 11 დეკემბერს პოლკოვნიკ ივანე ნარიკელაძის მეთაურობით.²⁴ საქართველოს სამხედრო სამინისტროს გეგმით, პოლკში უნდა მიეღოთ გამოცდილი ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებსაც თავიანთი წვლილი უნდა შეეტანათ ქვეყანაში შემოჭრილი სომხეთის ჯარის დამარცხებასა და მისი ქვეყნიდან განდევნაში.

1918 წლის 20 დეკემბერს ოფიცერთა პოლკის მეთაურად დაინიშნა პირველი მსოფლიო ომის გმირი, III და IV ხარისხების წმ. გიორგის ორდენის კავალერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალი ზაქარია ბაქრაძე.²⁵ ეს უკანასკნელი ენერგიულად შეუდგა პოლკის ფორმირებას, რაც 1918 წლის 25 დეკემბრისთვის, ძირითადად, დასრულდა.²⁶ პოლკი დაკომპლექტდა კადრის ოფიცრებით, გამოცდილი ჯარისკაცებით, მოხალისეებით და ა.შ. მაგალითად, პორუჩიკმა გაიოზ ბერელაშვილმა,²⁷ სამხედრო სამსახურგამოვლილი თანასოფელელებისგან, მოკლე დროში ჩამოაყალიბა ოფიცერთა პოლკის მე-2 ასეული. პოლკის დაკომპლექტებაში განსაკუთრებით აქტიურობდა კახეთის ახალგაზრდობა.²⁸

პოლკში, ქართველებთან ერთად, მსახურობდნენ სხვადასხვა

²⁴ სსცა (საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი), ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 1, § 1, ფურც. 6;

²⁵ იქვე, საქ. 1, ბრძ. № 5, 21.12.1918, § 2, ფურც. 10; იქვე, საქ. 10, ფურც. 36;

²⁶ იქვე, საქ. 1, ბრძ. № 29, 29.01.1919, § 6, ფურც. 53;

²⁷ იქვე, საქ. 10, ფურც. 105;

²⁸ იქვე, საქ. 1, ბრძ. № 4, 4.01.1919, § 3, ფურც. 26;

ეროვნების წარმომადგენლები: რუსები, ბერძნები, ოსები და სხვ., რომლებიც ერთგულად დადგნენ ქვეყნის დასაცავად. თვალსაჩინოებისთვის მოვიტან ერთ კონკრეტულ მაგალითს. რუსი ეროვნების ჯარისკაცმა ნიკოლაი კოტოვმა, რომელიც კანონის მიხედვით, თადარიგში დაითხოვეს, გამოთქვა სურვილი დარჩენილიყო პოლკში და გაეგრძელებინა ბრძოლა მომხდურ მტერთან, რაც დაკმაყოფილდა.²⁹

აღსანიშნავია, რომ გენერალ ზაქარია ბაქრაძის მიერ გატარებულმა ქმედითმა ღონისძიებებმა სამხედრო სამინისტროს მისცა შესაძლებლობა მოქმედი მუდმივი არმიის ბრძოლებში ჩაერთო ოფიცერთა პოლკის ორი ასეული. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, 1918 წლის 21 დეკემბერს, სადახლოს მიდამოებში მეტრძოლ ქართულ შენაერთებს შეუერთდა ოფიცერთა პოლკის I ასეული, რომლის შემადგენლობაში იყო 68 ოფიცერი, 10 სტუდენტი, 2 იუნკერი, 1 სამხედრო მოხელე, 1 უფროსი უნტერ-ოფიცერი, 1 ფერშალი და 17 ჯარისკაცი.³⁰

1918 წლის 24 დეკემბერს აღნიშნულმა რაზმმა დაამარცხა მონინალმდეგე და ხელთ იგდო სამხედრო ნადავლი.³¹ სადახლოს მიდამოებში წარმართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის ოფიცერთა პოლკის 18 მეომარი დაჯილდოვდა წმ. გიორგის ჯვრით. ასე წარმატებით დაიწყო ოფიცერთა პოლკის საბრძოლო ისტორია.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად არ ისახავს პოლკის საბრძოლო ისტორიის გაშუქებას. ჩვენი მიზანი უფრო მოკრძალებულია. ჩვენ გვსურს წარმოვაჩინოთ საქართველოს იმ სახელოვანი შვილების სახელები, რომლებიც წლების განმავლობაში, გასაგები მიზეზების გამო, დავიწყებას მიეცა. ქართული საზოგადოების დიდმა ნაწილმა დღემდე არ იცის ქვეყნისთვის განეული მათი ღვაწლისა და მამულიშვილობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკი სახელდახელოდ იყო შექმნილი სომხეთთან ომის გამო. იგი ხელისუფლების მიერ დაშლილ იქნა საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, 1919 წლის 15 მარტს.³²

ამრიგად, ქვემოთ ვისაუბრებთ ოფიცერთა პოლკის იმ მეომრებზე, რომლებიც იბრძოდნენ სომხეთ-საქართველოს ომში მისი დაწყებიდან 1919 წლის 2 თებერვლამდე, ე.ი. ოფიცერთა პოლკის მეომართა წმ. გიორგის ჯვრით დაჯილდოების შესახებ ბრძანების გამოქვეყნებამდე.

²⁹ სსცა, ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 45, 14.02.1919, § 1, ფურც. 75;

³⁰ იქვე, საქ. 1, ბრძ. № 5, 21.12.1918, § 4, ფურც. 1 უკ. მხ.;

³¹ იქვე, ბრძ. № 10, 26.12.1918, § 2, ფურც. 17;

³² იქვე, საქ. 1, ბრძ. № 56, 15.03.1919, ფურც. 89 უკ. მხ.

მოგვიანებით პოლკის მეომრებიდან 50 მეზრდოლი დაჯილდოვდა IV ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით.³³ ეს საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1918 წლის 27 მაისიდან 25 დეკემბრამდე, ანუ შვიდი თვის განმავლობაში, სამხედრო წარჩინებისთვის წმ. გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა სულ 71 მეომარი.³⁴

ოფიცერთა პოლკის ისტორია იმითაცაა საინტერესო, რომ რიგითი ჯარისკაცებისთვის განკუთვნილი წარჩინების ნიშნით დაჯილდოვდნენ ოფიცრებიც.

გენერალ-მაიორ ზაქარია ბაქრაძის მიერ გამოცემულ ბრძანებაში³⁵ არცერთი დაჯილდოებული სამხედრო პირი არ არის მოხსენებული სახელით, რაც ქმნის გარკვეულ სირთულეს პიროვნებების იდენტიფიცირებისას. საისტორიო არქივის ფონდებში მოიძებნა დოკუმენტები, რომლებმაც მოგვცა საშუალება დაგვედგინა ზოგიერთი მეომრის სახელი, ჯილდოს სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით კი დაგვეზუსტებინა მისი მფლობელის ვინაობა.

ზაქარია ბაქრაძის ბრძანება გამოცემულია რუსულ ენაზე, რომელშიც ზოგიერთი ქართული გვარი რუსულ ენაზე არასწორადაა გადმოცემული. ასე, მაგალითად, „კოტეტაშვილი დავითი“ ბრძანებაში მოხსენებულია როგორც „კოკეტაშვილი დავითი“, „ძაგნიძე ანდრია“ – როგორც „გაგნიძე ანდრია“ და ა.შ. ყველა ასეთი სახის შეცდომა გასწორებულია სხვა დოკუმენტებთან შედარების საფუძველზე. ბრძანების ქართულ ვარიანტში ფალავანდოვის³⁶ წარჩინების ნიშნის სარეგისტრაციო ნომერია № 263440, ხოლო ბრძანების რუსულ ვარიანტში – № 263439; თევდორე ყიფიანის³⁷ ჯილდოს № 263426 და არა №263415. ამ უკანასკნელი ნომრით ჯილდოს მფლობელია ივანე ყიფიანი და ა.შ.³⁸

ქვემოთ გთავაზობთ ოფიცერთა პოლკის IV ხარისხის წმ. გიორგის ჯვრის კავალრების მოკლე ბიოგრაფიებს, რათა მკვითხველმა მიიღოს მინიმალური ინფორმაცია იმ ადამიანებზე, რომლებიც იბრძოდნენ დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისა და ქვეყნის თავისუფლებისთვის.

ანთაძე იოსებ იოსების ძე (), მოხალისე, პეტროგრადის უნივერსიტე-

³³ იქვე, საქ. 5, ფურც. 52;

³⁴ **ჟორდანიას ო.** რუსული ჯილდოები საქართველოში. წმინდა გიორგის ჯვარი. წიგნში: მარიამ ლორთქიფანიძე - 85. თბილისი, 2007, გვ. 317;

³⁵ სსცა, ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 33, 2.02.1919, §1, ფურც. 60;

³⁶ იქვე;

³⁷ იქვე, საქ. 5, ფურც. 52-53, № 26;

³⁸ იქვე, საქ. 5, ფურც. 52, №15.

ტის სტუდენტი. ჩაირიცხა საქართველოს ოფიცერთა პოლკში – 21.12.1918. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263443).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 4, 20.12.1918, ფურც. 10-11 უკ. გვ.; ბრძ. № 33, 2.02.1919, §1, ფურც. 60; საქ. 4. ფურც. 71.

ასათიანი სამსონ (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის იუნკერი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე, მიენიჭა პრაპორშჩიკის ჩინი – 28.01.1919 (უფროსობით ჩინში – 28.04.1917- წ-დან). ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263425).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 32, 1.02.1919, ფურც. 59; ბრძ. 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52, 53, № 25.

ბედოშვილი ბენედიკტე (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის უფროსი უნტერ-ოფიცერი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263446).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 33, 22.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52 უკ. მხ., № 46.

ბროძელი იოსებ (), მოხალისე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. ჩაირიცხა საქართველოს ოფიცერთა პოლკში – 20.12.1918. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. დაიჭრა ბრძოლაში. ომში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263442).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 3, 19.12.1918, § 3, ფურც. 7; იქვე, ფურც. 12, № 74; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 4, ფურც. 60.

ბუჯიაშვილი (შეცდომით: Бужиашвили) დავით (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის რიგითი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263449).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52 უკ. მხ., № 49, იქვე, ფურც. 53 უკ. მხ., № 49.

გიორგობიანი სვიმონ (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის პრაპორშჩიკი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263416).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. ბრძ. №33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60;

იქვე, საქ. 4, ფურც. 356; საქ. 5, ფურც. 52, № 16, შეად.: ფურც. 53, № 16.

გომელაური ლაზარე (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის პოდპორუჩიკი. მანამდე მსახურობდა მე-9 საქართველოს მსროლელთა პოლკში. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე – 21.12.1918-15.01.1919. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263433).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ფურც. 7, 11, 60; იქვე, საქ. 4, ფურც. 203-205; იქვე, საქ. 5, ფურც. 52 უკ. მხ.; იქვე, საქ. 12, ფურც. 98, № 15.

გოცირიძე დავით (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის პრაპორშჩიკი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№263429).

სეასა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 5, ფურც. 52.

გრომოვი ალექსანდრე (), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის პორუჩიკი – 21.12.1918 წ-დან. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263431).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52, № 31.

გუგუშვილი ვლადიმერ იულონის ძე (), სტუდენტი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში მოხალისედ – 21.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263430).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 5, 21.12.1918, § 4, 11; იქვე, ფურც. 12, № 79; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60.

ღვეიძე გიორგი მიხეილის ძე (), პრაპორშჩიკი, ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 17.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში – 21.12.1918-15.01.1919. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263402).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, § 1, 16.12.1918, № 6, ფურც. 6; იქვე, საქ. 12, ფურც. 97, № 19.

ღემეტრაძე ალექსანდრე (), სააქართველოს რესპუბლიკის პოლკის პრაპორშჩიკი – 20.12.1918. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ.

გიორგის ჯვრით (№ 263410).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იხ.: საქ. 1, ბრძ. № 3, 19.12.1918, § 2, ფურც. 11; ბრძ. № 5, 21.12.1918, № 25; საქ. 4, ფურც. 356; საქ. № 5, ფურც. 52,

ერისთავი რაფიელ (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის პრაპორშჩიკი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263409).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 5.

თოხაძე ნიკოლოზ (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის პრაპორშჩიკი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263420).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52.

თუხარელი [ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე] (), მოხალისე-სტუდენტი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში სახალხო გვარდიელის უფლებით – 21.12.1918. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263419).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 5, 21.12.1918, № 11, ფურც. 10 უკან. მხარ.; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60.

ილაშვილი ნიკოლოზ (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის პოდპორუჩიკი – 1918 წ. 17 დეკ-დან. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე – 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263403).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 1, 16.12.1918, § 6, ფურც. 6; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; საქ. 5, ფურც. 52.

კალანდაძე დიმიტრი (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის პრაპორშჩიკი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263435).

სსცა. ფონდი 1, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 5, 21.12.1918, № 55; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. № 5, ფურც. 52 უკ. მხ., № 35.

კეკელიძე ანტონ ისაკის ძე (), პოდპორუჩიკი, ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის პოლკში – 21.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს

ველოს ომში. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263432).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ფურც. 10,11, 34 უკ. მხ., ბრძ. № 30, 30.01.1919, § 3, ფურც. 54 უკ. მხ., ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, ბრძ. № 4, 20.12.1918, § 2, ფურც. 9; იქვე, საქ. 5, ფურც. 52, № 32.

კოტეტაშვილი (შეცდომით: Кокеташвили) დავით (), საქართველოს ოფიცერთა პოლკის ფერშალი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263444).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 33, 2.02.1919, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52 უკ. მხ., № 44, § 1, ფურც. 53 უკ. მხ., № 44.

კრიალაშვილი თევდორე (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის რიგითი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე, ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263450).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 33, 2.02.1919, ფურც. 60; იქვე, საქ. № 5, ფურც. 50 უკ. მხ., № 50, ფურც. 53 უკ. მხ., № 50.

კუბანეიშვილი ვლადიმერი (), პრაპორშჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 21.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263414).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 5, 21.12.1918, № 10, ფურც. 10 უკ. მხ., 11; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. № 5, პურც. 52.

ლოლომაძე შალვა (), პრაპორშჩიკის ჩინით ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე 25.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263423).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 10, 26.12.1918, § 2, ფურც. 17; იქვე, ბრძ. № 30, 30.01.1919, § 3, ფურც. 54 უკ. მხ.; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; საქ. 5, ფურც. 52.

მაკაროვი [ფეოდორი, Фёдор] (), შტაბს-კაპიტნის ჩინით ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 21.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263401).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 4, 20.12.1918, § 2, ფურც. 9; იქვე, ბრძ. № 5, 21.12.1918, § 10, ფურც. 10.

მალაპერიძე (შეცდომით: Махлапериძე, Маглапериძე) კონსტანტინე (), პრაპორშჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 19.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა წმ. გიორგის ორდენით – 2.02.1919 (№ 263417).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. 2, 18.12.1918, § 2, ფურც. 7; იქვე, ბრძ. № 5, 21.12.1918; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52, № 17.

მესხი სერგი (), სტუდენტი, მოხალისე. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში სახალხო გვარდიელის უფლებით – 21.12.1918. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263439).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 5, 21.12.1918, § 11, ფურც. 10 უკ. მხ.; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52 უკ. მხ., № 31. ბრძანების რუსულ ტექსტში ჯილდოს ნომრად ნაჩვენებია: №263440.

მუჯავანაძე სერგი (), პორუჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 19.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263408).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. №2, 18.12.1918, § 2, ფურც. 7; იქვე, საქ. 1, ფურც. 10, § 4, ფურც. 11 უკ. მხ., № 45, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60.

მშველიძე ნიკოლოზი (), პრაპორშჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 22.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში 25.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263424).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 8, 24. 12.1918, § 2, ფურც. 15; იქვე, ბრძ. № 10, 26.12.1918, § 2, ფურც. 17; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52.

ოდუშარია ნიკიფორე (), პრაპორშჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 21.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილ-

დოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263434).

სსცა. ფონდი 1992, ანან.1, საქ. 1, ბრძ. № 4, 20.12.1918, § 2, ფურც. 9; იქვე, ბრძ. № 5, 21.12.1918, №17, ფურც. 11; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60.

ონანაშვილი მიხეილ (), საქართველოს ოფიცერთა პოლკის პოდპორუჩიკი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე 25.12.1917 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263422).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 10, 26.10.1917, § 2, ფურც. 17; იქვე, ბრძ. № 30, 30.01.1919, § 3, ფურც. 54; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52.

ოქრომჭედლიშვილი მიხეილი (), პოდპორუჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 20.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263404).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 3, 19.12.1918, § 4, ფურც. 8,10, 11 უკ. მხ.; იქვე, ბრძ. №33, 2.02.1919, ფურც. 60; იხ.: იქვე, საქ. 5, ფურც. 52; საქ. 12, § 4, ფურც. 92.

რაზმაძე ილია (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის უნტერ-ოფიცერი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02,1919 (№ 263445).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ, № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, № 45, ფურც. 52 უკ. მხ.

რამიშვილი ფილიპე (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის პოდპორუჩიკი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე 25.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის. დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263421).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ, 1, ბრძ. № 33, 2.02,1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52, № 21.

რევია თენგიზ (), პოდპორუჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 19.02.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263405).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 2, 18.02.1918, ფურც. 7; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60.

სანაკოვეი მიხეილ (), პოდპორუჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს ოფი-

ცერთა პოლკში – 17.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263407).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 6, 16.12.1918, § 6, ფურც. 6; იქვე, ფურც. 11 უკ. მხ., № 46; იქვე, საქ. 5, ფურც. 52.

სეკანია სამსონ (), პრაპორშჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს ოფიცერთა პოლკში – 17.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263418).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 6, 16.12.1918, § 6 ფურც. 6; იქვე, ბრძ. № 5, 21.12.1918, № 11; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52.

სესიაშვილი გიორგი (), პრაპორშჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 20.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263436).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 3, 19.12.1918, § 2, ფურც. 8; იქვე, საქ. № 1, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურ. 60; იქვე, ბრძ. № 5, 21.12.1918, № 42, ფურ. 11 უკ. მხ.; იქვე, საქ. 5, ფურც. 52 უკ. მხ., № 36.

სულაბერიძე ნიკოლოზ (), პრაპორშჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 21.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919. (№ 263437).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 4, 20.12.1918, § 2, ფურც. 9; იქვე, ბრძ. № 30, 30.01.1919, § 3, ფურც. 54 უკ. მხ.; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60.

სულავა ვასილ (), პორუჩიკი, ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში — 17.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263406).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 1, 16.12.1918; ბრძ. № 6, ფურც. 6; იქვე, ბრძ. № 5, 21.12.1918, ფურც. 10; იქვე, საქ. № 5, ფურც. 52.

ფალავანდოვი (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის მოხალისე. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით –

2.02.1919 (№ 263440).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. № 5, ფურც. 52 უკ. მხ. № 40, ფურც. 53 უკ. მხ., № 39; ბრძანების რუსულ ტექსტში ჯილდოს № 263439.

ფარეზაშვილი შალვა (), პრაპორშჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 20.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263411).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 3, 19.02.1918, § 2, ფურც. 8; იქვე, ბრძ. № 5, 21.12.1918, § 41, ფურც. 11 უკ. მხ.; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. № 5, ფურც. 52.

ფიჩხაია ისაკ (), პრაპორშჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში — 19.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263427).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 5, 21.12.1918, ფურც. 11 უკ. მხ.; იქვე, ბრძ. № 2, 18.12.1918, § 2, ფურც. 7; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60.

ქავთარაძე ვლადიმერ (), მოხალისე, სტუდენტი. სახალხო გვარდიელის უფლებით ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 21.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263438).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 5, 21.12.1918, ფურც. 10 უკ. მხ., 12; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.11.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52 უკ. მხ.

ყიფიანი თევდორე (), პრაპორშჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 20.12.1918. მონაწილეობდა საქართველოსომხეთის ომში 20.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263426).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 3, 19.12.1918, § 2, ფურც. 8; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, ბრძ. № 5, 21.12.1918, § 7, ფურც. 10, 52, № 26, ფურც. 53, № 26.

ყიფიანი ივანე (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის პრაპორშჩიკი. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. ბრძოლებში

გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე 4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263415).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 5, 21.12.1918, ფურც. 11. უკ. მხ.; იქვე, საქ. 1, ბრძ. № 33, 2.02.1919; იქვე, საქ. № 5, ფურც. 52, № 15.

ჩიკავა ვარლამ (), პოდპორუჩიკი, ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 17.12.1918. მანამდე მსახურობდა კოროჩინის პოლკში. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში – 21.12.1918-15.01.1919. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263441).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. №1, 16.12.1918, № 6, ფურც. 6; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52 უკ. მხ., № 47; საქ. 12, ფურც. 98, № 13.

ჩოლაძე დავით (), საქართველოა რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის პოდპორუჩიკი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263413).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1. ფურც. 7, 11 უკ. მხ., № 52; იქვე, საქ. 1, ბრძ. № 33, 2.02.1919, ფურც. 60; იქვე, საქ. 4, ფურც. 143.

ჩხეტია მირონ (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის პოდპორუჩიკი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263412).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც. 60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52- 53, № 12, საქ. 12, № 12.

ციკლაური ივანე (), რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის რიგითი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263448).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ფურც.7, 11 უკ. მხ., № 52; იქვე, ბრძ. № 33, 2.02.1919, ფურც. 60; იქვე, საქ. 4, ფურც. 143; საქ. 5, ფურც. 52 უკ. მხ., № 48, ფურც. 53 უკ. მხ., № 48.

დავნიძე [შეცდომით: Гагნიძე] ანდრია (), საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკის რიგითი. სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263447).

სსცა. ფონდი 1992, ანან. 1, საქ. 1, ბრძ. № 33, 2.02.1919, § 1, ფურც.

60; იქვე, საქ. 5, ფურც. 52 უკ. მხ., № 47, ფურც. 53 უკ. მხ., № 47.

ხომასურიძე ივანე ნიკოლოზის ძე (), პრაპორშჩიკი. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა პოლკში – 19.12.1918. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში 21.12.1918 წ-დან. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით – 2.02.1919 (№ 263428).

სსცა. ფონდი 1992, ანაწ. 1, საქ. 1, ბრძ. № 3, 19.12.1918, § 2, ფურც. 8; იქვე, ბრძ. № 5, 21.12.1918, § 23, ფურც. 11; იქვე, ბრძ. №33, 2.02.1919, § 1. ფურც. 60; იქვე, საქ, № 5, ფურც. 52.

Otar Zhordania

Knights of The George Cross of The Officers' Regiment of The Republic of Georgia

The article briefly discusses the contribution of the officer regiment of the Republic of Georgia to the Armenian-Georgian war. The officer regiment was created when the troops of the Republic of Armenia invaded Georgia without declaring war. The first commanders of the officer regiment were Colonel Ivane Narikeladze and a hero of the First World War, Knight of the Order of St. George III and IV degree, General of the Armed Forces of the Democratic Republic of Georgia Zakaria Bakradze. The merits of General Bakradze should be specially noted. He was appointed a regiment commander on 20 December 1918, and on 21 December, the regiment's company was already on the battlefield. On 24 December regiment's company was directly involved in the ongoing hostilities near Sadakhlo. For bravery during the battle, the IV degree Cross of St. George was awarded to 18 soldiers. The combatants of the officer regiment repeatedly became famous in the following fightings against the enemy.

We determined that 50 officer regiment soldiers were awarded the IV degree Cross of St. George.

Names of these famous combatants were forgotten for political reasons but over time. In the article, their brief biographical data has been published.

The officer regiment made a significant contribution to the defeat of the military arm of Armenia, the strengthening of the democratic system in Georgia, and the struggle for the State's freedom.

პასტანგ გურული

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რუსეთი მოდიოდა თუ ერეკლეს მოჰყავდა? (ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო- პოლიტიკური ორიენტაცია)

ნერილის სათაურში გამოტანილი კითხვა დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა დასვა. კითხვას თავადვე უპასუხა: **რუსეთი მოდიოდა და ერეკლეს პრორუსული ორიენტაცია სწორედ ამ რეალობის გამოხატულებას წარმოადგენდაო**. იქვე მეცნიერმა ირონიულად შენიშნა: რუსეთის პოლიტიკა საქართველოში მთავარმართებელ ალექსეი ერმოლოვს უკეთ ესმოდა, ვიდრე ზოგიერთ ქართველ ისტორიკოსსო³⁹ ნიკო ბერძენიშვილი ჭეშმარიტებას ბრძანებდა! ეს საინტერესო ნაშრომი 1955 წელს გამოქვეყნდა. მას შემდეგ ექვს ათწლეულზე მეტი გავიდა და, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, სასიკეთოდ ბევრი არაფერი შეცვლილა: ერეკლე II-ის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ობიექტური, პოლიტიკური კონიუნქტურისაგან თავისუფალი, მეცნიერული შეხედულება ვერ ჩამოყალიბდა. მკვლევართა და ფართო საზოგადოების აზრი ორად არის გაყოფილი: ერთნი ქართლ-კახეთის სამეფოს ტრაგიკულ აღსასრულს ერეკლე II-ის პრორუსულ ორიენტაციას უკავშირებენ, მეორენი მიიჩნევენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ტრაგედია და საერთოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა XV-XVIII საუკუნეებში წარმოშობილმა საშინაო და საგარეო ფაქტორებმა განაპირობა. სამეფო-სამთავროებად დაშლილი, ღრმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისში მყოფი ქვეყანა სამი დიდი იმპერიის - ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის - ბრძოლის ასპარეზად იქცა. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, გაბატონებას სამივე დამპყრობელი სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქართველი მეფეები რომელ საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას დაადგებოდნენ: პროირანულს, პროოსმალურსა თუ პრორუსულს. საქართველო დარჩებოდა იმას, ვინც ამ დაპირისპირებაში გაიმარჯვებდა, შედეგი ყველა შემთხვევაში ტრაგიკული იქნებოდა. ძნელია და, შეიძლება გარკვეული გაგებით, უმადურობის

³⁹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი V. თბილისი, 1971, გვ.255.

გამოხატულებაც კი იყოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანში ქართველი მეფეების დადანაშაულება. “პატარა ლაშქრით და დიდი გულით დიდ იმპერიებს შეჭიდებულ“ ქართველ მეფეებს, როგორც წესი, გამონაკლისის გარეშე, არჩევნის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის უხდებოდათ. არც ერეკლე II-ის ხვედრი იყო განსხვავებული.

საქართველოში პრორუსული ორიენტაცია ერეკლე II-ით არ იწყება. რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური დახმარებით ისლამური სამყაროს (ირანის, ოსმალეთის) აგრესიისაგან თავის დაცვის პირველი მცდელობა კახთა მეფე ალექსანდრე I-ს (1476-1511) ეკუთვნის. პრორუსული ორიენტაციის გზით ქვეყნის ხსნას ცდილობდნენ კახთა მეფეები: ლევანი (1518-1574) და ალექსანდრე II (1574-1605), რაც კახეთის სამეფო სახლს ძალზე ძვირად დაუჯდა. პრორუსული ორიენტაციის მარცხის მიუხედავად, ალექსანდრე II-ის შვილიშვილი, მეფე თეიმურაზ I (1606-1648) მაინც პრორუსულ ორიენტაციას ადგა.

სამხრეთ კავკასიაში პოზიციების მოპოვება პირველად რუსეთის მეფე პიოტრ I-მა (1696-1725) სცადა. 1796 წელს რუსეთი აზოვისპირეთიდან ოსმალეთის განდევნას შეეცადა. რუსეთის ჯარმა მდინარე დონის შესართავში აზოვის ძლიერი სიმაგრე აიღო. 1700 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის სტამბოლში საზავო ხელშეკრულება დაიდო. პიოტრ I ხელშეკრულებაში, სხვა ტიტულებთან ერთად, თავის თავს “ივერიის ქვეყნის, ქართლისა და საქართველოს მეფეების მბრძანებელსა და ხელმწიფეს“ უწოდებს⁴⁰. 1722 წელს რუსეთის ჯარი დარუბანდის გავლით კასპიისპირეთში შეიჭრა და ირანის პროვინციების დაკავებას შეეცადა. ირანის წინააღმდეგ რუსეთის მოკავშირედ გამოვიდა ქართლის მეფე ვახტანგ VI. იგი დიდი ჯარით რუსეთის ჯარს უნდა შეერთებოდა, მაგრამ მოულოდნელად პიოტრ I-მა ლაშქრობა შეწყვიტა და ქართლის მეფე მისი პრორუსული ორიენტაციით გაღიზიანებული ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მარტო დატოვა. ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაცია ძვირად დაუჯდა ქართლის სამეფო სახლს. მეფემ ტახტი დაკარგა და რუსეთში გადაიხვეწა. ქართლი და კახეთი ოსმალეთს დარჩა. 1723 წელს პიოტრ I-მა ლაშქრობა განაახლა და ბაქო აიღო. 1723 წლის პეტერბურგის ზავით დასუსტებულმა ირანმა რუსეთს დარუბანდი, ბაქო, გილიანის, მახანდარანისა და

⁴⁰ **Т. Юзефович.** Договоры России с Востоком. Санкт-Петербург, 1869 (ციტირებულია მეორე გამოცემის მიხედვით: **Т. Юзефович.** Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр 25); **ვახტანგ გურული.** საქართველო და გარესამყარო. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადანაწილება რუსეთ-ირან-ოსმალეთს შორის. 1700-1921. თბილისი, 2011, გვ. 11-12.

ასტრაბადის პროვინციები დაუთმო⁴¹. 1724 წლის სტამბოლის ზავით ოს-მალეთმა რუსეთის მიერ ირანის ტერიტორიის მიტაცება აღიარა⁴².

ამრიგად, 1723-1724 წლებში სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შეჭრა და ირანის ტერიტორიის მიტაცება ორი საერთაშორისო ხელშეკრულებით, პეტერბურგისა და სტამბოლის ზავებით, დადასტურდა. ერეკლე II ამ დროისათვის 3-4 წლის ბავშვი იყო.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთის გარიგებას ბოლო მოუღო ირანის სამხედრო მინისტრმა ნადირ ხანმა (ირანის შაჰი 1736-1747 წლებში). პიოტრ I-ის მემკვიდრეები იძულებული გახდნენ, ადრე მიტაცებული ტერიტორიები ნელ-ნელა დაეთმოთ⁴³. 1735 წელს ნადირ ხანი კავკასიაში ოსმალთა ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს, განჯის ციხეს შემოადგა. თბილისში გამაგრებული ოსმალთა ფაშა განჯის გარნიზონის დასახმარებლად ემზადებოდა. კახეთის სამეფო სახლის წარმომადგენლებმა, ერეკლე I ნაზარალი ხანის ვაჟმა თეიმურაზმა (მომავალი მეფე თეიმურაზ II) და თეიმურაზის ძემ, ერეკლემ (მომავალი მეფე ერეკლე II), შექმნილი უაღრესად რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სწორად შეაფასეს და ძალთა ახალი თანაფარდობის პირობებში პროირანული ორიენტაცია ირჩიეს. მამა-შვილმა თბილისიდან განჯის გარნიზონის დასახმარებლად დაძრული ოსმალთა ჯარი გაფანტა და ნადირ ხანს განჯის აღებაშიც დაეხმარა. განჯიდან ნადირ ხანი თბილისისაკენ დაიძრა. თეიმურაზმა და ერეკლემ გამარჯვებულ ირანელ სარდალს მეფური მიღება მოუწყვეს. ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის შემდეგ ნადირ ხანისათვის თეიმურაზისა და ერეკლეს საქციელი ალბათ მოულოდნელიც კი იყო. ნადირ ხანმა კარგად უწყოდა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას კვლავაც ეცდებოდა. სწორედ ამიტომ ირანისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის მოწინააღმდეგეების, თეიმურაზისა და ერეკლეს, მიმხრობა. ყოველივე ეს კარგად გაითვალისწინა ნადირ შაჰმა. 1744 წელს მან თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფეებად დაამტკიცა. მოულოდნელი იყო ის, რომ შაჰს ტახტზე ასვლის პირობად თეიმურაზისა და ერეკლესათვის ისლამის მიღება არ წამოუყენებია. ცხა-

⁴¹ **Т. Юзефович.** Договоры России с Востоком, стр. 192-193; ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო, გვ. 14-16

⁴² Полное собрание законов Российской Империи с 1649 года. Том VII.1723-1727 [СПб] 1830 стр. 303-304 (4531); **ვახტანგ გურული.** საქართველო და გარე სამყარო. 16-19.

⁴³ **Т. Юзефович.** Договоры России с Востоком, стр. 196-197; 200-202; 206, 208, 210; **ვახტანგ გურული.** საქართველო და გარე სამყარო, გვ. 19-32.

დია, ეს დათმობაც პოლიტიკური მიზნით იყო ნაკარნახევი. ირანი ჩვეულებრივი დამპყრობელი იყო, მაგრამ რა მიზანიც უნდა ჰქონოდა, ერთი ცხადია: ნადირ შაჰმა სამხრეთ კავკასიაში ქართული სახელმწიფოებრიობის (ქართლისა და კახეთის სამეფოების) არსებობა ქრისტიანი ბაგრატიონი მეფეებით სათავეში შესაძლებლად მიიჩნია.

1735 წლიდან 35 წლის განმავლობაში ქართლისა და კახეთის სამეფოები (შემდგომში ქართლ-კახეთის სამეფო) პროირანულ ორიენტაციას ადგნენ. შედეგიც ცხადი იყო: ქვეყანა დამშვიდდა, წელში გაიმართა, განმტკიცდა სამეფო ხელისუფლება, დაითრგუნა თავადური ოპოზიცია, დაიწყო კავკასიელ მთიელთა შემოსევების აღკვეთისათვის ორგანიზებული ბრძოლა. ირანში ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პირობებში, რაც ნადირ შაჰის მკვლელობის (1747 წ.) შემდეგ დაიწყო, სამხრეთ კავკასიის ირანულ სახანოებში თეიმურაზისა და ერეკლეს ავტორიტეტი ამაღლდა. განჯის, ერევნის, ყარაბაღის, ნახჭევანის ხანები, სურდათ თუ არ სურდათ, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პირველობას აღიარებდნენ. ერეკლე II რეალურად არა მარტო საქართველოს, არამედ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ლიდერად მოიაზრებოდა. ქართლისა და კახეთის მეფეებს ანგარიშს უწევდნენ ირანის შაჰის ტახტის პრეტენდენტები. თუ ყოველივე ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ, ბუნებრივად ისმის კითხვა: რატომ შეცვალა ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაცია პრორუსულით? შევეცდებით ამ საჭირობოროტო კითხვას ვუპასუხოთ.

პროირანული ორიენტაცია მომგებიანი იყო მანამ, სანამ ირანი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რეალურ ძალას წარმოადგენდა. ნადირ შაჰის მკვლელობის შემდეგ ირანში შაჰის ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. შაჰობის პრედენდენტთა შორის გამოიკვეთა ქერიმ ხან ზენდი. მან, მართალია, ირანის დიდი ნაწილი თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა, მაგრამ მისი ძალაუფლება მთელ ირანზე არასდროს გავრცელებულა, რის გამოც ქერიმ ხანმა შაჰის ტიტული ვერ მიიღო. ქერიმ ხანის მმართველობის წლებშივე (1760-1779) ნათელი გახდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ირანში შინაშლილობა ახალი ძალით გაგრძელდებოდა. თეიმურაზ II და ერეკლე II სავსებით სწორად ფიქრობდნენ, რომ სანამ ქერიმ ხანის ირანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ რეალურ ძალას წარმოადგენდა, პროირანული ორიენტაციის შენარჩუნება მომგებიანი იყო. ამასთან ერთად, მეფეებს პასუხი უნდა გაეცათ ძალზე ძნელი კითხვისათვის: შეძლებდა კი ირანი ქერიმ ხანის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რეალურ ძალად დარჩენას? ირანის დასუსტება აუცილებლად გამოიწვევდა რეგიონში რუსეთისა და ოსმალეთის გააქტიურებას. სამხრეთ-

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის შეჭრის შემთხვევაში ქართლისა და კახეთის სამეფოებისათვის პროორანულ ორიენტაციაზე ყოფნა ძალზე სახიფათო იქნებოდა. ყოველივე ეს, ცხადია, კარგად გაიაზრეს თეიმურაზმა და ერეკლემ. გადანყდა, ირანის დასუსტების შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონების ყველაზე რეალურ პრეტენდენტთან, რუსეთთან, დაენწყოთ ნიადაგის მოსინჯვა. სწორედ ამ მიზანს ისახავდა თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში (1760-1762 წწ.). თეიმურაზისა და ერეკლეს ჩანაფიქრი იმთავითვე ამოიცნეს პეტერბურგში: ქართველ მეფეებს რუსეთი მხოლოდ ირანის დასუსტების შემთხვევაში სჭირდებოდათ. ამიტომ იყო, რომ ქართლის მეფეს რუსმა დიპლომატებმა ძალზე ბუნდოვანი და ზოგადი პასუხი გასცეს. ცხადი გახდა ისიც, რომ ნადირ შაჰისა და ქერიმ ხანის მოკავშირეებს, თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს, რუსეთის საიმპერატორო კარი აშკარად არ ენდობოდა. რუსები დროს ელოდნენ. მათთვისაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები ირანში ქერიმ ხანის შემდეგ. თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში უშედეგოდ დასრულდა (მეფე ელჩობის დასრულებამდე, 1762 წლის იანვარში, პეტერბურგშივე გარდაიცვალა). ამასთან ერთად, ცხადია, ქართლის მეფის ელჩობა ირანის საწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნია ქერიმ ხანმა, თუმცა ძველი ურთიერთობა ირანსა და ქართლ-კახეთს შორის მაინც შენარჩუნდა. ლოდიინის ტაქტიკა ხელს აძლევდა რუსეთის იმპერიას, მაგრამ სრულიად მიუღებელი იყო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. ირანიდან შემამოფოთებელი ხმები მოდიოდა. ქერიმ ხან ზენდი ავადმყოფობდა, ყაჯართა ტომი ზენდებზე შურის საძიებლად ემზადებოდა. ასეთ ვითარებაში 1768 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც 1774 წლამდე გაგრძელდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა ოსმალეთის წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიის ქრისტიანი მეფე-მთავრების მიმხრობის გეგმა შეიმუშავა. ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი იმერეთის მეფე სოლომონ I რომ რუსეთს მხარს დაუჭერდა, პეტერბურგში არც ეჭვობდნენ. ამასთან ერთად, რუსი დიპლომატები დარწმუნებული იყვნენ, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს არ მიემხრობოდა. ქართლ-კახეთის სამეფო ირანის სავასალო იყო. ერეკლე II-ს მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთთან და, რუსეთის საიმპერატორო კარის მოსაზრებით, მეფე ამ ურთიერთობის შენარჩუნებას ეცდებოდა. გარდა ამისა, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მხარეზე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა მიუღებელი იქნებოდა ირანისათვის, რადგან ირანი რუსეთ-ოსმალეთის ომში ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. ოსმალეთი ირანს ურჩი ვასალის, ერეკლე II-ის, დასჯას მოსთხოვდა. სხ-

ვაგვარად ფიქრობდა ერეკლე II. მეფის აზრით, რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის მიღმა ქართლ-კახეთის სამეფოს დარჩენა წამგებანი და სახიფათოც კი იყო. მეფის დასკვნა შემდეგ მოსაზრებას ემყარებოდა: პირველი. რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის წარმატების შემთხვევაში ქართულ სამეფო-სამთავროებში და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში ერეკლე II ლიდერის ფუნქციას კარგავდა, მის ადგილს იმერეთის მეფე სოლომონ I დაიკავებდა; მეორე. იმერეთის სამეფოსა და რუსეთის ჯარების მიერ სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის დამარცხების შემთხვევაში, კონკრეტულად, აწყურის, ხერთვისის, ახალციხის, ახალქალაქის ციხეებიდან ოსმალთა გარნიზონების გაძევების შემდეგ აღნიშნული ტერიტორია რუსეთის მოკავშირეს, იმერეთის სამეფოს გადაეცემოდა, რასაც ერეკლე II ვერ დაუშვებდა; მესამე. ოსმალეთთან ომში წარმატებისა და სამხრეთ კავკასიაში ფეხის მოკიდების შემთხვევაში რუსეთი რეგიონიდან ირანის გაძევებას შეეცდებოდა და ამ დროისათვის მეფე ერეკლეს რუსეთთან ურთიერთობა მოგვარებული უნდა ჰქონოდა. ამიტომ იყო, რომ ქართლ-კახეთის მეფე რუსეთ-იმერეთის სამხედრო კავშირს შეუერთდა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. რომ არა 1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყება, რომელმაც ერეკლე II იძულებული გახადა ომის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოეხატა, ქართლ-კახეთის მეფე კვლავ პროირანულ ორიენტაციაზე დარჩებოდა, საგარეო პოლიტიკაში არაფერს შეეცვლიდა და ირანში მოვლენათა განვითარებას დაელოდებოდა.

1768 წელს დაწყებულმა რუსეთ-ოსმალეთის ომმა, როგორც აღვნიშნეთ, ერეკლე II აიძულა საგარეო-პოლიტიკური კურსი შეეცვალა და ომში რუსეთის მხარეს ჩაბმულიყო. ომამდე ერეკლეს ოსმალეთის სულთანთან ურთიერთობა მოგვარებული ჰქონდა და ალბათ არც სულთანი ელოდა ქართლ-კახეთის მეფისაგან პოზიციის ასეთ მკვეთრ ცვლილებას. მაგრამ ერეკლე მძიმე, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ამან გახადა იძულებული, სასწრაფოდ მიეღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოლომონ I-ც. იმერეთის მეფე აქამდეც თავგამოდებით ებრძოდა ოსმალეთს, თუმცა 1768 წლისათვის სულთანთან ურთიერთობა მას ასე თუ ისე მოგვარებული ჰქონდა. ომში ნეიტრალიტეტის დაცვით სოლომონ I ოსმალეთის სულთანის კეთილგანწყობას დაიმსახურებდა. ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ომში ჩაბმა ისლამურ სამყაროსთან ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ შეიძლება ბუნებრივადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ დღეს, როცა მეფეთა გადაწყვეტილებას ვაფასებთ, არ შეიძლება არ დავსვათ კითხვა: სწორი იყო თუ არა ოსმალე-

თის წინააღმდეგ ომში ჩაბმა? 1769 წლისათვის, როდესაც რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა, სოლომონ I-სა და ერეკლე II-ს არ შეიძლება სცოდნოდათ, რით დამთავრდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. ომში გამარჯვების შემთხვევაში ოსმალეთი სასტიკად ააოხრებდა როგორც იმერეთს, ისე ქართლ-კახეთს. ორივე მეფეს შეიძლებოდა პრორუსული ორიენტაცია ძვირად დასჯდომოდა და ვახტანგ VI-ის ბედი გაეზიარებინათ. ასე რომ, ერეკლე II და სოლომონ I ყოველმხრივ გაუმართლებელ რისკზე მიდიოდნენ. იმხანად მეფეებმა არ იცოდნენ, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი სამხრეთ კავკასიაში სერიოზული საბრძოლო მოქმედებების დაწყებას არც გეგმავდა და საექსპედიციო კორპუსის გამოგზავნით მხოლოდ ოსმალეთის დამინებას აპირებდა. რუსი პოლიტიკოსები და სამხედროები ვარაუდობდნენ, რომ საექსპედიციო კორპუსის სამხრეთ კავკასიაში გამოჩენა ოსმალეთს აიძულებდა აქ განლაგებული ჯარი და არტილერია აქვე დაეტოვებინა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში არ გადაესროლა. ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო საიდუმლოება იყო და მას, ცხადია, სოლომონ I და ერეკლე II ვერ შეიტყობდნენ. მიუხედავად ამისა, მეფეებს დაქვეებისათვის საკმაოზე მეტი ფაქტი ჰქონდათ. 1769 წლის აგვისტოში რუსეთიდან საქართველოსაკენ დაიძრა საექსპედიციო კორპუსი გენერალ გოტლიბ კურტ ჰენრიხ ფონ ტოტლებენის მეთაურობით. საექსპედიციო კორპუსში 480 ოფიცერი და ჯარისკაცი და 4 ქვემეხი ირიცხებოდა. ეს ძალა, რა თქმა უნდა, ოსმალეთთან საბრძოლველად ძალზე მცირერიცხოვანი იყო, მით უფრო, რომ გენერალი ტოტლებენი საქართველოს საზღვრებში ასიოდე მებრძოლითა და 2 ქვემეხით შემოვიდა, დანარჩენი ჯარი კი მოზდოკში დატოვა.

1769 წლის 29 აგვისტოს ერეკლე II, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, გიორგი და ლევან ბატონიშვილები რუსთა ჯარს სოფელ ხოდაში შეხვდნენ. ერეკლე II-მ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის პირობად საქართველოში 5.000 ოფიცრისა და ჯარისკაცის გამოგზავნა მოითხოვა, რომლის ნაწილი, 1.500 კაცი, საქართველოში დაზამთრებამდე უნდა ჩამოსულიყო. 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინა II-მ საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის რაოდენობა 3.767 კაცით განსაზღვრა. რეალურად 1770 წლის მარტში სურამში მდგარ გენერალ ტოტლებენს მხოლოდ 1.200 ოფიცერი და ჯარისკაცი ჰყავდა. ამ ჯარის ნაწილი ტოტლებენმა სადგერის ციხესთან დატოვა და აწყურისაკენ დაახლოებით 600-700 კაცით დაიძრა. ცხადია, 700 მებრძოლით ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყება იმას ნიშნავდა, რომ ტოტლებენი სერიოზული ბრძოლების გამართვას არ აპირებდა. ასეც

მოხდა. 1770 წლის 18 აპრილს გენერალმა ანყურის ალყის დაწყებიდან მეორე დღეს ჯარი უკან, სურამში დააბრუნა და ერეკლე II მარტო დატოვა. 20 აპრილს ასპინძასთან გამართულ ბრძოლაში მეფე ერეკლემ ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხა. ერეკლემ არ იცოდა, რა გეგმები ჰქონდა გენერალ ტოტლებენს, ამიტომ მან თბილისში სურამის გავლით დაბრუნება გადაიფიქრა და ჯავახეთის გზით წავიდა.

გოტლიბ ტოტლებენის ავანტიურა უამრავ კითხვას აჩენს: ვისი დავალებით მოქმედებდა გენერალი, რა იყო მისი მიზანი, როგორ უნდა განეხორციელებინა დასახული გეგმა?.. ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას სულ ოთხი ვერსია გამოიკვეთა: 1. ტოტლებენი მოქმედებდა თვითნებურად, პირადი შეხედულებით. ამ ვერსიის შემქმნელები რუსეთის საიმპერატორო კარისათვის ნამუსის მონმენდას ცდილობენ და მთელ პასუხისმგებლობას მომხდარისათვის ავანტიურისტ გენერალს აკისრებენ; 2. გენერალი უცხო სახელმწიფოების (ინგლისის, პრუსიის, ოსმალეთის) დაზვერვის მიერ შეთავაზებული გეგმით მოქმედებდა. ამ ვერსიას კვებავს ერთი საინტერესო ფაქტი: 1757-1763 წლებში პრუსიის წინააღმდეგ მიმდინარე ომში ტოტლებენი რუსეთის ჯარის გენერალი იყო. იგი ფაქტზე დაიჭირეს და ამხილეს, როგორც პრუსიის იმპერატორ ფრიდრიხ დიდის ინფორმატორი, გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. რუსეთის იმპერატორმა სიკვდილმისჯილი შეინყნარა და ქვეყნიდან გაძევებით დაკმაყოფილდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შემდეგ ტოტლებენმა კვლავ მოახერხა რუსეთში დაბრუნება და საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის მეთაურადაც დაინიშნა. 3. ტოტლებენი ქართლის თავადებმა წააქეზეს და გენერალიც მათი თანადგომით მოქმედებდა. ეს ვერსია ემყარება ქართლის თავადების მისწრაფებას ქართლის ტახტზე ვახტანგ VI-ის შთამომავლობა დაებრუნებინათ, თუმცა ძალიან ძნელი დასაჯარებელია, რომ გენერალი, თუნდაც ავანტიურისტი, ქართლის თავადების სურვილს ანგარიშს გაუწევდა და მეფის ტახტიდან ჩამოგდებას გადაწყვეტდა; 4. გენერალი ტოტლებენი საიმპერატორო კარის დავალებით მოქმედებდა, პეტერბურგში შემუშავებული გეგმის თანახმად. გენერალს ერეკლე II-ის თავიდან მოცილება ჰქონდა დავალებული. რა გზით უნდა გაეკეთებინა ეს, პირადად მას უნდა გადაეწყვიტა. ტოტლებენმა უმჯობესად მეფე ერეკლეს ბრძოლაში მიტოვება მიიჩნია, სადაც ის დაილუპებოდა და ქართლ-კახეთის ლაშქარიც განადგურდებოდა. რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმის დანარჩენი ნაწილი ჩვენთვის უცნობია, რადგან ტოტლებენის ავანტიურა ჩაიშალა, მალე იგი ქართლს საერთოდ გაეცალა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალის დადგენა მაინც შეიძლება.

ასპინძის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ერეკლე II-მ რუსეთში ელჩობა მიავლინა, რათა იმპერატორისათვის გამარჯვება მიელოცა. ელჩობის ერთ-ერთ წევრს, ქართლელ თავად ზაალ ორბელიანს რუსი სენატორი შეხვდა და უთხრა, ეკატერინა II ერეკლე II-ით უკმაყოფილოა. არც მეტი არც ნაკლები, ზაალ ორბელიანს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში ასეთი რამ განუცხადებია: “თუ მეფე (ეკატერინა II - ვ. გ.) ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე მისცეს ქვეყანა, ან – სოლომონს.“ როგორც ვხედავთ, ტოტლებენის ავანტიურის ჩაშლის შემდეგაც კი, ზაალ ორბელიანი ერეკლე II-ის ტახტიდან ჩამოგდებაზე ოცნებას არ ძეგვებდა. ზაალ ორბელიანის საუბრის ტექსტი რუსეთის საიმპერატორო კარმა ერეკლე II-ს გამოუგზავნა. რა იყო ეს, კეთილგანწყობილების გამოხატულება თუ ერეკლეს დაშინების მცდელობა? ალბათ, საპოლიემიკო არაა, რომ რუსეთის იმპერატორი ქართლის თავადებითა და რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებით ერეკლეს დაშინებას ცდილობდა.

რა დასკვნა გამოიტანა ერეკლე II-მ გოტლიბ ტოტლებენის ავანტიურისა და ამ ავანტიურაში ქართლის თავადების შესაძლო მონაწილეობისაგან? ერეკლე მეფე დარწმუნდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის მიუხედავად, ნადირ შაჰთან, ადილ შაჰთან და ქერიმ ხანთან ახლო ურთიერთობაში მყოფი და დიდი ხნის განმავლობაში პროირანული ორიენტაციის გამტარებელი ერეკლე II რუსეთის საიმპერატორო კარზე მიუღებელ და შეიძლება საშიშ მეფედაც ითვლებოდა. პროირანული ორიენტაციის უარყოფა და პრორუსული ორიენტაციის აღიარება ქართლ-კახეთის მეფეს უფრო დამაჯერებლად უნდა გამოეხატა. ერეკლეს დიდი ფიქრის დროს არ ჰქონდა, რუსეთ-ოსმალეთის ომის პირველმა ორმა წელმა აშკარა გახადა, რომ ოსმალეთი რუსეთს ვერ დაამარცხებდა, მაშასადამე, სამხრეთ კავკასიაში ოსმალთა პოზიციები შესუსტებოდა. გამარჯვებულ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე ერეკლეს წინდანი უნდა ებრუნა.

საბოლოო გადაწყვეტილება მეფემ 1771 წლის დეკემბრის მიწურულსა და 1772 წლის იანვრის დამდეგს მიიღო. 1771 წლის 30 დეკემბერს თბილისში ერეკლე II-მ ხელი მოაწერა ეკატერინა II-დმი გასაგზავნად დოკუმენტს, - ხელშეკრულების პროექტს, რომლის მიხედვითაც, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შესვლას ითხოვდა⁴⁴. 1772 წლის 6 იანვარს მცხეთაში ხელმოწერილი იქნა მეორე დოკუმენტი - ქართლ-

⁴⁴ გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა. თბილისი, 1983. გვ. 59-62; ვახტანგ გურული. მეფე ერეკლე და რუსეთი. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან (1783-1798). თბილისი, 2018, გვ. 56-59

კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს. პირველისაგან განსხვავებით ამ დოკუმენტს ხელს აწერდნენ: ერეკლე II, დედოფალი დარეჯანი, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, ბატონიშვილები: გიორგი, ლევანი, იულონი, ვახტანგი⁴⁵. 1772 წლის მაისში ერეკლე II-ის თხოვნა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღების თაობაზე კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა და ლევან ბატონიშვილმა რუსეთის საიმპერატორო კარს ოფიციალურად წარუდგინეს. ერეკლე II-ის წინადადების თანახმად, რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის სამეფოში “უცვალებლად“ უნდა შენარჩუნებულიყო მეფისა და კათოლიკოს-პატრიარქის ხელისუფლება, ანუ უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლება. ქართლ-კახეთის მეფის თხოვნას პეტერბურგში 11 წელი, 1772 წლიდან 1783 წლამდე, ყურადღებას არ აქცევდნენ. რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II ლოდინის ტაქტიკას ტყუილად არ ადგა. დაძაბული ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან (ბრძოლა პოლონეთის გადანაწილებისათვის) და ოსმალეთთან (ბრძოლა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გაბატონებისათვის) რუსეთს ირანთან ურთიერთობაში სიფრთხილისაკენ უბიძგებდა. ეკატერინა II ირანის გალიზიანებას ერიდებოდა და ქართლ-კახეთის სამეფოს ირანის ვასალად ტერიტორიად, ხოლო ერეკლე II-ს ირანის ვასალად ცნობდა. ცხადია, ირანში კარგად უწყობდნენ 1772 წელს ერეკლე II-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე - ირანის ვასალი რუსეთის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. ირანს ერეკლე II-ის დასასჯელად მიზეზები საკმაოზე მეტი ჰქონდა. ეს ეკატერინა II-მაც კარგად უწყობდა. მიუხედავად ამისა, პეტერბურგში ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებას, როგორც უკვე ვთქვით, 11 წელი აჭიანურებდნენ. საბედნიეროდ, ქერიმ ხანის სიკვდილის შემდეგ ირანში შინააშლილობა დაიწყო და ქართლ-კახეთის სამეფო დასჯას გადარჩა.

რუსეთის საიმპერატორო კარი ქართლ-კახეთის მეფეს არ ენდობოდა, არ ენდობოდა მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე II 1769 წელს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება და, ცხადია, ამით ოსმალეთთან ურთიერთობა სამომავლოდ სერიოზულად გაირთულა. ეს უნდობლობა არ გამქრალა არც მას შემდეგ, რაც 1772 წლის მაისში ერეკლე II-მ რუსეთის მფარველობაში შესვლა ოფიციალურად ითხოვა. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? ქართლ-კახეთის მეფის კარზე მყოფი რუსი რეზიდენტები პეტერბურგში გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებებში აღნიშნავდნენ, რომ 1772 წლის შემ-

⁴⁵ გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოკოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 62-64; ვახტანგ გურული. მეფე ერეკლე და რუსეთი. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან (1783-1798), გვ. 59.

დეგაც ერეკლე II-ს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ირანის გამგებელ ქერიმ ხანთან და, რაც მთავარია, მეფე არ კარგავდა იმედს, რომ ავსტრიის იმპერატორისაგან დახმარების მიღებას შეძლებდა. ეს საკითხი აქტუალური კიდევ ერთხელ გახდა, როდესაც ეკატერინა II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღება გადაწყვიტა და 1782 წლის მინურულსა თუ 1783 წლის დამდეგს მფარველობითი ხელშეკრულების პირობები იმხანად საგარეო უწყების პრაქტიკულ ხელმძღვანელს, ალექსანდრ ბეზბოროდკოს უკარნახა. აი, ამ პირობების ჩვენთვის საინტერესო ნაწილი: 1. ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორთან და სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ყოველგვარი ურთიერთობა უნდა შეენწყვიტათ; 2. ქართველი მეფეებისათვის უნდა განემარტათ, რომ ამ სახელმწიფოებს დადებული ჰქონდათ პირობა, არ ჩარეულიყვნენ რუსეთის მეზობელი აზიური სახელმწიფოების საქმეებში; 3. ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორისათვის წერილიც კი არ უნდა გაეგზავნათ⁴⁶. მართალია, ეკატერინა II-ის ეს მოთხოვნები გეორგიევსკის ტრაქტატში არ ასახულა, მაგრამ არა იმიტომ, რომ რუსეთის იმპერატორმა აზრი შეიცვალა, არამედ იმიტომ, რომ ეკატერინა II ავსტრიისა და პრუსიის იმპერატორებთან უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო. ამ აკრძალვის მიუხედავად, როგორც რუსი რეზიდენტების მოხსენებებიდან ჩანს, ერეკლე II ავსტრიის იმპერატორისაგან დახმარების მიღებას გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგაც ცდილობდა, რაც, ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარის ქართლ-კახეთის მეფისადმი უნდობლობას კიდევ უფრო ზრდიდა. ეკატერინა II-ს თავისი რეზიდენტების მოხსენებების სიმართლეში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ის, რაც შემდეგ მოხდა, ძალზე დამაჯერებელი სამხილი იყო. ავსტრიის იმპერიას ოსმალეთთან ურთიერთობა დაეძაბა და რუსეთის დახმარება დასჭირდა. ეკატერინა II-დმი თავისი კეთილგანწყობა რომ დაედასტურებინა, ავსტრიის იმპერატორმა ერეკლე II-ის მთელი მიმონერა, რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარისათვის მანამდე სრულიად უცნობი იყო, ეკატერინა II-ს გაუგზავნა. ასე რომ, რუსეთის იმპერატორი ერეკლე II-დმი უნდობლობას რომ იჩენდა, მიზეზი საკმაოზე მეტი ჰქონდა. ეკატერინა II-მ ავსტრიის იმპერატორის “საჩუქრის” შემდეგ სრულიად ლოგიკური დასკვნები გააკეთა, თუმცა მომხდარის შესახებ ერეკლე მეფისათვის არც კი მიუნიშნებია.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა მიზეზებმა განაპირობა ის, რომ თერთმეტწლიანი ლოდინის შემდეგ ეკატერინა II-მ 1783 წელს ქართლ-კახეთის

⁴⁶ გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 64-65; ვახტანგ გურული. მეფე ერეკლე და რუსეთი. გვ.60-63.

სამეფოს მფარველობაში მიღება მაინც გადაწყვიტა? დღეს ამ მიზეზებზე აღარავინ დაობს: პირველი. 1782-1783 წლებში დაძაბული ურთიერთობის შემდეგ რუსეთმა ოსმალეთი აიძულა ყირიმის სახანო დაეთმო. ამან ჩრდილო კავკასიაში რუსეთის გააქტიურებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა, რადგან უზარმაზარი სივრცე შავი ზღვიდან, უფრო კონკრეტულად, აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვამდე (ასტრახანამდე) რუსეთის კონტროლს დაექვემდებარა. კავკასიის დაპყრობაში ოსმალეთი რუსეთს ხელს ვეღარ შეუშლიდა; მეორე. ცნობილმა პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ, გრიგორი პოტიომკინმა, ოსმალეთის დაშლის გეგმა წამოაყენა. მისი აზრით, ოსმალეთი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, უნდა დაშლილიყო. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე, ბერძნების გარშემო ქრისტიანი ხალხები უნდა გაერთიანებულიყვნენ და ერთი ქრისტიანული სახელმწიფო შექმნილიყო, რომლის მეფეც რუსი უფლისწული იქნებოდა. სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის ბატონობისაგან ჩ განთავისუფლებული ქრისტიანი ხალხებისაგან (ქართველების, სომხების, ასირიელებისაგან) ასევე უნდა შექმნილიყო სახელმწიფო, რომელიც, ცხადია, რუსული ორიენტაციისა იქნებოდა. გრიგორი პოტიომკინის გეგმამ „საბერძნეთის პროექტის“ („ბერძნული პროექტის“) სახელწოდება მიიღო. ბალკანეთზე ახალი სახელმწიფოს შემქმნელი მთავარი ძალა ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ, სამხრეთ კავკასიაში – ქართველები, როგორც რეგიონში სახელმწიფოებრიობის მქონე ერთადერთი ერი. ამ სახელმწიფოში უნდა შესულიყვნენ სომხები და ქრისტიანი ასირიელები. სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის დაშლის შემდეგ ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა ერეკლე II-ის გარეშე ვერ მოხერხდებოდა, რადგან იგი არა მარტო ქართული სამეფო-სამთავროების, არამედ საერთოკავკასიურ ლიდერადაც მოიაზრებოდა. საბერძნეთის პროექტმა ერეკლე II-სა და ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში, მეტიც, აღმოსავლურ პოლიტიკაში, მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკისრა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ პეტერბურგში 11 წლის დუმილის შემდეგ ერეკლე II-ის თხოვნა გაახსენდათ და, თუ ადრე რუსები ფეხს ითრევდნენ, ახლა ერეკლე II-ს, პირიქით, აჩქარებდნენ მფარველობის თაობაზე ხელშეკრულების დადებას, რაც 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში ხელმოწერილი ტრაქტატით განხორციელდა კიდევც.

1783 წლის მფარველობითი ხელშეკრულება (ტრაქტატი) ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის, ზოგიერთი მუხლის გამოკლებით, ერეკლე II-ის მიერ წამოყენებული პირობების მიხედვით დაიდო. ტრაქტატის ძალით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რუსეთი

ვალდებული იყო, საქართველოში უმაღლესი საერო (სამეფო) და სასულიერო (საეკლესიო) ხელისუფლება უცვლელად შეენარჩუნებინა, ანუ ქართლ-კახეთს ეყოლებოდა მეფე ბაგრატიონთა დინასტიიდან (ერეკლე II-ის შთამომავლები) და კათოლიკოს-პატრიარქი; ახალი მეფის ტახტზე ასვლა რუსეთის იმპერატორს სამეფო ნიშნების, ინვესტიტურის, გამოგზავნით უნდა დაედასტურებინა; სხვა სახელმწიფოთა აგრესიისაგან დაცვის მიზნით ქართლ-კახეთის სამეფოში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსეთის ჯარი (2 ბატალიონი), რომლის რაოდენობა საჭიროების შემთხვევაში გაიზრდებოდა; ქართლ-კახეთში უცვლელი არა მარტო სამეფო ხელისუფლება რჩებოდა, არამედ უცვლელი იქნებოდა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, ქართული სამართალი და სასამართლოს სისტემა, მიმოქცევაში რჩებოდა ქართული ფული და ზომა-წონის ერთეულები; უცვლელად უნდა შენარჩუნებულიყო ქართლ-კახეთის მეფის ქვეშევრდომობა, ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები არ ხდებოდნენ რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომები. ტრაქტატი გარკვეულ ვალდებულებას აკისრებდა ქართლ-კახეთის მეფეს. ერეკლე II რუსეთის იმპერატორის სამუდამო მფარველობაში შედიოდა და არასდროს აღარ მიიღებდა სხვა სახელმწიფოს მფარველობას. ქართლ-კახეთის მეფეს საგარეო პოლიტიკა რუსეთის საიმპერატორო კართან უნდა შეეთანხმებინა. ეს იყო ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან ორი უმთავრესი ვალდებულება, რომლებიც ქვეყნის სუვერენიტეტს ზღუდავდა. ერეკლე II-ის ღირსებას ლახავდა ტრაქტატის ერთი პირობა: ქართლ-კახეთის მეფეს უშუალოდ რუსეთის იმპერატორისათვის არ შეეძლო მიემართა, მეფეს იმპერატორისათვის მოსახსენებელი ჯერ კავკასიის ხაზის მთავარსარდლისათვის უნდა ეცნობებინა. რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო, თუმცა ტრაქტატის ერთ-ერთი მუხლი ამ პირობას ეწინააღმდეგებოდა: სამოხელეო თანამდებობებზე დანიშვნისას ქართლ-კახეთის მეფეს კანდიდატის რუსეთის წინაშე დამსახურება უნდა გაეთვალისწინებინა, რაც გარკვეული დროის შემდეგ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობაზე რუსოფილებს მოამრავლებდა. ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ღირსებას ლახავდა ტრაქტატის კიდევ ერთი მუხლი: ქართველ მეფეებს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში არბიტრის როლი რუსეთის იმპერატორს უნდა შეესრულებინა. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ღირსებას გარკვეულწილად ამცირებდა ის, რომ უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელი და უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრი ხდებოდა და სინოდის წევრ მეუფეებს შორის მერვე ადგილს იკავებდა. გეორგიევსკის ტრაქტატის

მომზადებისა და დადების პერიოდში კიდევ ერთი არასასიამოვნო ფაქტი მოხდა. ერეკლე II-ის მოთხოვნით ტრაქტატის ტექსტში მისი ტიტულატურა ასე უნდა განსაზღვრულიყო: “ერეკლე II, მეფე კახეთისა და მეფე ქართლისა, მემკვიდრე მთავარი სამცხე-საათაბაგოსი, ყაზახის მთავარი, ბორჩალოს მთავარი, შამშადილუს მთავარი, კახის მთავარი, შაქის მთავარი და შირვანის მთავარი, მფლობელი და მფარველი განჯისა, ერევნისა და სხვათა“. რუსული მხარის მოთხოვნით, ერეკლე II-ის ამგვარი ტიტულატურა ტრაქტატის ტექსტში არ შესულა, რაც რუსმა დიპლომატებმა ასე ახსნეს: სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის ტერიტორიას წარმოადგენდა და მისი მემკვიდრე მთავარი ქართლ-კახეთის მეფე ვერ იქნებოდა; კახი (ჭარ-ბელაქნის ნაწილი), შაქი, შირვანი ირანის სახელმწიფოში შედიოდა, რის გამოც ქართლ-კახეთის მეფე მათი მთავარი ვერ იქნებოდა; განჯისა და ერევნის სახანოები ირანს ეკუთვნოდა, რის გამოც მათ მფლობელად და მფარველად ქართლ-კახეთის მეფე ვერ ჩაითვლებოდა. რუსმა დიპლომატებმა საბოლოოდ ასეთი დასკვნა გააკეთეს: ერეკლე II-ის ტიტულის წარდგენილი სახით დამტკიცება ლახავდა ოსმალეთისა და ირანის სუვერენიტეტს, რაც ამ ქვეყნების ხელისუფალთა გალიზიანებას გამოიწვევდა, ეს კი რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა⁴⁷.

გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების ომებს შორის დაიდო. თავდაპირველად რუსეთის იმპერიის მფარველობაში იმერეთის სამეფოც უნდა შესულიყო. იმერეთის სამეფოს საკითხი რუსეთის საიმპერატორო კარზე 1782 წლის ბოლოსა და 1783 წლის დამდეგსაც განიხილებოდა. ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ ეკატერინა II-ს მიერ ალექსანდრ ბეზბოროდკოსათვის ნაკარნახევი მფარველობითი ხელშეკრულების პირობები ეხებოდა როგორც ქართლ-კახეთის, ისე იმერეთის სამეფოს. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაპირისპირება მთელი ძალით გრძელდებოდა. რუსეთს პოლონეთის გადაწმინდვასთან დაკავშირებით დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ევროპის სახელმწიფოებთან (პოლონეთის პირველი გადაწმინდება 1772 წელს შედგა, მეორე – 1793 წელს). ორ ფრონტზე მებრძოლ რუსეთის იმპერიას ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღების გამო შეიძლებოდა ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობა დაძაბოდა, გამოორიცხული არ იყო ომიც. ამიტომ იყო, რომ ეკატერინა II

⁴⁷ გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 67-71; П. Г. Бутков. Матерялы для новой истории Кавказа с 1722. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 130; ვახტანგ გურული. მეფე ერეკლე და რუსეთი, გვ.71-72.

ფრთხილობდა. მის მიერ ნაკარნახევი ხელშეკრულების პირველ მუხლში გარკვევით იყო აღნიშნული: ქართველ მეფეებთან სამოკავშირეო ტრაქტატი დაიდოს. მათ ქვეშევდომები არ ვუნოდოთ, არამედ – რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფი მოკავშირეები. ეკატერინა II ფრთხილობდა, ირანის გალიზიანებას ერიდებოდა. 1768-1774 წლების ომის შემდგომ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა, დროდადრო, სერიოზულად იძაბებოდა. იმავდროულად ინგლისი ცდილობდა პოლონეთის დანაწილებისათვის რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის დაპირისპირება როგორმე ომში გადაეზარდა. ამ ფონზე ირანთან ურთიერთობის დაძაბვა არასასურველი, საშიშიც კი იქნებოდა. გარკვევით უნდა ითქვას, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით სერიოზულ რისკს არა რუსეთის იმპერია, არამედ ქართლ-კახეთის სამეფო სწევდა. საშიშროება მრავალმხრივი იყო: ყველაზე დიდ ხიფათს შეიცავდა ირანის გაერთიანება და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის აგრესიის აღკვეთა, როგორც ეს ნადირ შაჰმა მოიმოქმედა. ამ შემთხვევისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს “მფარველი”, ოსმალეთსა და ევროპის სახელმწიფოებთან დაპირისპირებული რუსეთი, გარკვეული ხნით კავკასიონის ქედს გადალმა დარჩებოდა. ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაციით გალიზიანებული ირანი კი შურს იძიებდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ცხადია, კარგად ჰქონდა გააზრებული ერეკლე II-ს. მაშინ, რატომ გადაწყვიტა მეფემ გეორგიევსკის ტრაქტატის დადება? ერეკლე II-ს სწამდა, რომ ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირება ადრე თუ გვიან რუსეთის გამარჯვებით დასრულდებოდა, ამიტომ უმჯობესი იყო ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის შემოჭრამდე შესულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი ქართლ-კახეთს ირანულ სახანოებთან გააიგივებდა და მასაც სახანოების მსგავსად დაიპყრობდა. ერეკლე რუსეთთან ისეთი ხელშეკრულების დადებას ესწრაფოდა, რომელიც ქართლ-კახეთს ირანული სახანოებისაგან გამოარჩევდა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარანტიას მისცემდა. ერეკლე II სავსებით ლოგიკურად აზროვნებდა, თუმცა მოვლენები სხვაგვარად, თუ შეიძლება ითქვას, სრულიად არალოგიკურად განვითარდა.

არ შეიძლება ზოგიერთი საბედისწერო გადაწყვეტილების მიღებაში ერეკლე II დავადანაშაულოთ. ჩვენი პოზიცია რომ უფრო ნათელი გახდეს, აუცილებელია რუსეთის საიმპერატორო კარის იმ გადაწყვეტილებებს შევეხოთ, რომლებიც ერეკლეს, არათუ 1782-1783 წლებში, სიცოცხლის ბოლომდეც კი არ შეუტყვია. საგარეო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილებას მეფე, სამეფო კარი იმ ინფორმაციის

ანალიზის შედეგად უნდა იღებდეს, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფოს დედაქალაქიდან აწვდიან. ერეკლე II-ის შემთხვევაში ვითარება კარდინალურად განსხვავებული იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს თეირანში, სტამბოლსა და პეტერბურგში რაიმე დიპლომატიური წარმომადგენლობის მსგავსი (ელჩი, კონსული) 1783 წლამდე არასდროს ჰყოლია. ეს იმას ნიშნავს, რომ მეფემ არაფერი უწყოდა იმ გადანყვეტილებების შესახებ, რომლებსაც ირანში, ოსმალეთსა და რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოსთან ურთიერთობის თაობაზე იღებდნენ. ერეკლეს ინფორმაცია მისდიოდა, მაგრამ ეს შემთხვევიდან შემთხვევამდე ხდებოდა, ხოლო ხშირად მონოდებული ინფორმაცია ყურმოკრული ცნობები იყო. ეს არ იყო პროფესიონალი დიპლომატების მიერ მონოდებული მასალა. ქართლ-კახეთის სამეფოს არ გააჩნდა საგარეო დაზვერვა, რომელიც ირანში, ოსმალეთსა და რუსეთში მეფის დავალებით გარკვეული სახის ინფორმაციას მოიპოვებდა. ასე რომ, ერეკლე II-ს გადანყვეტილებები ფაქტობრივად ნულოვანი ინფორმაციის პირობებში უნდა მიეღო. ასე მოხდა 1782-1783 წლებშიც. მაშინ, როდესაც რუსი რეზიდენტები ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ათწლეულების განმავლობაში წარმატებით მუშაობდნენ (ოფიციალურად ისინი მოგზაურები, მხატვრები ან ექიმები იყვნენ) ერეკლეს რუსეთის იმპერიის დედაქალაქში არცერთი დიპლომატი არ ჰყავდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა თითქმის ყველაფერი იცოდა, რაც ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ხდებოდა, ერეკლე II-მ კი არაფერი უწყოდა იმ გადანყვეტილებების შესახებ, რომლებიც პეტერბურგსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მფარველობითი ხელშეკრულების დადების პერიოდში ან შემდგომ ხანებში მიიღეს. ამიტომ იყო, რომ მეფემ ვერ ახსნა, რუსეთის საიმპერატორო კარი, რომელიც 11 წელი არ ჩქარობდა ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების დადებას, მოულოდნელად 1782 წლის ბოლოს და 1783 წლის დამდეგს რატომ აჩქარდა და ხელშეკრულების მომზადება და დადება უმოკლეს დროში რატომ მოინდომა. ქართლ-კახეთის მეფემ არ იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარის აჩქარება ორმა მიზეზმა განაპირობა: ყირიმის სახანოს საკითხის რუსეთის სასარგებლოდ გადანყვეტამ და “საბერძნეთის პროექტმა”. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, “საბერძნეთის პროექტმა” ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი ფუნქცია შესძინა. მალე ვითარება კარდინალურად, ქართლ-კახეთისათვის საბედისწეროდ, შეიცვალა. ოსმალეთის დანაწილების საკითხში რუსეთის მოკავშირე ავსტრიის იმპერია იყო. ინგლისმა, რომელსაც რუსეთისა და ავსტრიის მონაწილეობით ოსმალეთის დანაწილება ხელს არ აძლევდა, ავსტრიის იმპერატორზე გავლენა მოახ-

დინა და ავსტრია “საბერძნეთის პროექტს“ გამოეთიშა. ავსტრიის იმპერატორმა ეკატერინა II-ს მისწერა: ყირიმის სახანოს რუსეთის შემადგენლობაში გადასვლას ვცნობ; თუ ოსმალეთი რუსეთს ომს დაუწყებს, რუსეთის მოკავშირე ვიქნები, მაგრამ ოსმალეთის გადანაწილებაში მონაწილეობას ვერ მივიღებო. “საბერძნეთის პროექტის“ განხორციელება შეფერხდა და ქართლ-კახეთის სამეფომაც სამხრეთ კავკასიაში ის მნიშვნელოვანი ფუნქცია დაკარგა, რომელიც მას ოსმალეთის გადანაწილების შემთხვევაში ენიჭებოდა და რამაც გეორგიევსკის ტრაქტატის დადება დააჩქარა. “საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლას საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის, ერეკლე II-მ კი ამის შესახებ არაფერი იცოდა, ეს იყო სახელმწიფოებრივი საიდუმლო, რომელსაც პეტერბურგში მკაცრად იცავდნენ. “საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლამ რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა: თუ “საბერძნეთის პროექტიდან“ გამომდინარე, რუსეთის საიმპერატორო კარი ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების დადებას, საქართველოში ჯარის გამოგზავნას საჭიროდ მიიჩნევდა, “საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლის შემდეგ რუსეთისათვის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულება უკვე ზედმეტ ბარგად იქცა. ამიერიდან ყურადღება პოლონეთის დანაწილებაზე იქნა გადატანილი და ევროპის სახელმწიფოებთან დაპირისპირებული რუსეთი ოსმალეთსა და ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების გზას დაადგა. ეკატერინა II-მ კარგად იცოდა, რომ ირანსაც და ოსმალეთსაც ქართლ-კახეთის სამეფოში მდგარი ორი რუსული ბატალიონი უკიდურესად აღიზიანებდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოში ჯარის დამატებითი კონტინგენტის გაგზავნისაგან, რასაც ერეკლე II მრავალგზის ითხოვდა, იმპერატორი თავს იკავებდა. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში, ხოლო 1787 წელს ოსმალეთთან ომის დაწყების მომიზეზებით რუსეთმა საქართველოდან ის ორი ბატალიონიც გაიყვანა. ამ ნაბიჯით შემფოთებულ ერეკლე II-ს პეტერბურგიდან განუმარტეს: რუსეთის ჯარის ქართლ-კახეთის სამეფოში ყოფნა მეზობელ სახელმწიფოებს აღიზიანებს, ჯარის გაყვანის შემდეგ თქვენ მეზობლებთან ურთიერთობას უფრო ადვილად მოაგვარებთ⁴⁸. ალბათ, უადგილო არ იქნება ორი ასეთი ფაქტის გახსენებაც:

ამბავი პირველი: 1784 წლის 24 იანვარს თბილისში გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაცია შედგა – ერეკლე II-მ ხელი მოაწერა სარატიფიკაციო სიგელს (ამ დროისათვის “საბერძნეთის პროექტი“ უკვე ჩაშლილი იყო). რატიფიკაციის ცერემონიალის დასრულების შემდეგ მეფემ პეტერ-

⁴⁸ ვახტანგ გურული. მეფე ერეკლე და რუსეთი, გვ. 155-159

ბურგში გამგზავრება და ეკატერინა II-თან შესხვედრა გადაწყვიტა. რუსეთის იმპერატორმა პეტერბურგში ერეკლეს ჩასვლა საჭიროდ არ მიიჩნია და მეფეს შვილების გაგზავნა ურჩია. ეს უკვე ცუდის ნიშანი იყო. მეფე ერეკლე ამას იმთავითვე მიხვდა, მაგრამ მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ამის მიზეზი “საბერძნეთის პროექტის” ჩაშლა იყო. რუსეთის იმპერატორი დიპლომატიურ თამაშს ენეოდა: ეკატერინა II უკვე ხელმოწერილი ტრაქტატის რატიფიკაციაზე უარს არ ამბობდა, სამაგიეროდ, ერეკლე II-ის პეტერბურგში ჩასვლაზე თავი შეიკავა, ეს კი იმის მომასწავებელი იყო, რომ იგი რუსეთის იმპერატორი ტრაქტატის პირობების შესრულებას არ აპირებდა. იმპერატორი სწორად ვარაუდობდა, რომ ქართველი მეფის პეტერბურგში ჩასვლა ირანისა და ოსმალეთის გალიზიანებას გამოიწვევდა. გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელის აღების შემდეგ ერეკლე II-ის პეტერბურგში ჩასვლა რუსეთისათვის არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა. რუსეთი ჩვეულ ორპირობას განაგრძობდა: ეკატერინა II-მ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს ბრილიანტის ჯვარი უბოძა და 2.500 მანეთით დააჯილდოვა, დედოფალი დარეჯანი წმ. ეკატერინას ორდენით დაჯილდოვდა, სხვადასხვა სახის ჯილდოები მიიღეს გიორგი, იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებმა. პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება ებოძა 17 წლის მირიან ბატონიშვილს, ხოლო 18 წლის თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელიც ანტონის სახელით ბერად იყო აღკვეცილი, იმპერატორი რუსეთში მიწვევას და არქიეპისკოპოსის ხარისხში აყვანას დაჰპირდა. რუსული რევერანსები გათვალისწინებული იქნა. 1784 წლის 23 მაისს ეკატერინა II-ის სურვილის თანახმად, მირიან ბატონიშვილი და თეიმურაზ ბატონიშვილი (ბერ-დიაკონი ანტონი, მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II) იმპერიის დედაქალაქს გაემგზავრნენ⁴⁹.

ამბავი მეორე: გეორგიევსკის ტრაქტატის დადებასთან დაკავშირებით 1784 წლის 6 დეკემბერს ეკატერინა II-მ ერეკლეს 24 ქვემეხი და ყუმბარების 2 კომპლექტი უბოძა. ეს მეფის დასამშვიდებელი ქმედება იყო, რადგან ამ დროისათვის პეტერბურგში საიდუმლო გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო, რომლის ძალითაც რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებაზე ფაქტობრივად უარს ამბობდა, თუმცა მის იურიდიულად გაუქმების საკითხს არ აყენებდა. მეფე ერეკლეს დასამშვიდებლად ნაბოძებმა 24-მა ქვემეხმა დიდხანს იმოგზაურა: 1785 წლის თებერვალში ქვემეხები პეტერბურგიდან ტვერში გაგზავნეს, შემდეგ მდინარე ვოლგით ქალაქ ცარიცინამდე ჩაიტანეს, საიდანაც ისევ სახმელეთო გზით ეკატერინოგრადში გადაიტანეს და ქვემეხებმა თბილისში მხოლოდ 1787 წელს

⁴⁹ ვახტანგ გურული. მეფე ერეკლე და რუსეთი, გვ. 77-82.

ჩამოაღწია, ისიც ნაწილმა. მეორე ნაწილის ჩამოტანა იმდენად დაგვიანდა, რომ კრწანისის ომსაც კი (1795 წლის სექტემბერი) ვერ მოუხსნო. ერეკლე II-ის მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, ქვემეხების თბილისში ჩამოტანა 1797 წლის 31 დეკემბერსაც კი არ იყო დასრულებული. ერეკლე II ისე გარდაიცვალა, რომ ნაბოძები ქვემეხების სრულად ნახვას ვერ ეღივრა⁵⁰.

ერეკლე II-მ, როგორც აღვნიშნეთ, არაფერი უნყოდა არც “საბერძნეთის პროექტის” არსებობის, არც მისი შეფერხების, ხოლო შემდეგ საერთოდ მივიწყების შესახებ. მეფემ არც ის იცოდა, რომ რუსეთმა პოლიტიკური ვექტორი დასავლეთისაკენ მიაბრუნა, მთელი ყურადღება პოლონეთის გადაწმინდაზე გადაიტანა, ეს კი ირანსა და ოსმალეთთან მშვიდობის შენარჩუნებას ითხოვდა. რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ახალი დებულება – “სინყნარე სამხრეთის საზღვრებზე” – ფაქტობრივად, ქართლ-კახეთის სამეფოს განირვას, მისი ირანისა და ოსმალეთის პირისპირ მიტოვებას და, მაშასადამე, გეორგიევსკის ტრაქტატის ფაქტობრივ გაუქმებას ნიშნავდა. ამ პერიოდის ისტორიიდან კიდევ ერთი მრავალმეტყველი ფაქტის გახსენება შეიძლება. ეკატერინა II უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის წარმომადგენლებთან ერეკლე II-ის თხოვნის საფუძველზე საქართველოში ჯარის დამატებითი კონტინგენტის გაგზავნის საკითხს იხილავდა. ჯარის გაგზავნას თათბირის მონაწილეთაგან ზოგი მხარს უჭერდა, ზოგიც ეწინააღმდეგებოდა. ეკატერინა II-მ დასვა კითხვა: არსებობს კი იმის გარანტია, რომ საქართველოში მყოფ ორ ბატალიონს ოსმალები არ ამოახრჩობენ? როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, იმპერატორმა განაცხადა: თუ ორი ბატალიონის უსაფრთხოების გარანტია არ არსებობს, მაშინ დამატებითი ჯარი რატომღა უნდა გავიმეტოთ. ცხადია, ერეკლე II-მ არც ამ გადაწყვეტილების შესახებ უნყოდა რაიმე, ამიტომაც დაბეჯითებით, თუმცა ამაოდ, ითხოვდა რუსეთის ჯარის ახალი ნაწილების გამოგზავნას.

დღეს ხშირად სვამენ კითხვას: რა მოხდებოდა, რუსეთის იმპერიას გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულება რომ შეესრულებინა? ჩვენი ღრმა რწმენით, არაფერი შეიცვლებოდა. ქართლ-კახეთის სამეფო ისევ ისე დაასრულებდა არსებობას, როგორც დაასრულა 1801-1802 წლებში, სამეფო ყველა შემთხვევაში გაუქმდებოდა, ან ცოტა ადრე, ან ცოტა მოგვიანებით. რუსეთის საიმპერატორო კარი, ეკატერინა II გეორგიევსკის ტრაქტატს არ განიხილავდა, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს გადარ-

⁵⁰ Грамоты и другие исторические документы относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.- Петербург, 1898, стр. 112, 89-91, 180. ვახტანგ გურული. მეფე ერეკლე და რუსეთი, გვ. 75-76.

ჩენის მიზნით დადებულ ხელშეკრულებას. ტრაქტატი საქართველოში მშვიდობიანად, ომის გარეშე შემოღწევის საშუალებას წარმოადგენდა. ეს იმ პირობებში, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო ირანის, იმერეთის სამეფო კი ოსმალეთის ვასალი იყო, ხოლო ჩრდილო კავკასია რუსეთს ჯერ არ დაეპყრო და მოკლე დროში ვერც დაიპყრობდა. ასეთ ვითარებაში რუსეთს საქართველოში ერთბაშად, ომის გზით შემოღწევა სახიფათოდ მიიჩნეოდა. რუსეთის საიმპერატორო კარი საქართველოს დაპყრობას სამ ეტაპად გეგმავდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების დადება (ომის გარეშე შემოღწევა; სამეფოს საშინაო ვითარებაში, ეკონომიკურ მდგომარეობასა და სამხედრო სიძლიერეში გარკვევა); 2. ქვეშევრდომობითი ხელშეკრულება (პოზიციების განმტკიცება, ერეკლე II-ის ოპოზიციის ნახალისება, რუსული ორიენტაციის ძალების ორგანიზება – რუსეთის მეხუთე კოლონის შექმნა); 3. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ქვეყანაში რუსული მმართველობის, საოკუპაციო რეჟიმის დამყარება. პირველი ეტაპი ერეკლე II-ის მეფობის ბოლო პერიოდში (1783-1798 წწ.) დასრულდა; მეორე ეტაპი გიორგი XII-ის დროს (1798-1800 წწ.) უნდა დასრულებულიყო, ფაქტობრივად დასრულდა კიდეც, ოღონდ მეფის გარდაცვალების გამო რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ქვეშევრდომობითი ხელშეკრულება იურიდიულად ვერ გაფორმდა. მესამე ეტაპი 1801-1802 წლებში განხორციელდა, როდესაც რუსებმა მათ მიერვე ტახტის მემკვიდრედ აღიარებულ დავით გიორგის ძეს ტახტზე ასვლის უფლება არ მისცეს და ქვეყანაში რუსული მმართველობა შემოიღეს.

აუცილებელია პასუხი გავცეს კითხვას: რეალურად მიიჩნევა თუ არა ერეკლე II რუსეთის იმპერიის მხრიდან გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებას? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, აუცილებელია აღინიშნოს: გეორგიევსკის ტრაქტატი არ წარმოადგენდა რაიმე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, ისეთ ხელშეკრულებას, რომელსაც შეიძლებოდა ქართლ-კახეთის სამეფო გადაერჩინა. დიდი მნიშვნელობა გეორგიევსკის ტრაქტატს რუსულმა იმპერიულმა ისტორიოგრაფიამ პოლიტიკური მოსაზრებით მიანიჭა. რუს ისტორიკოსებს სურდათ რუსეთის იმპერიისათვის “დამპყრობლის” სტატუსი მოეხსნათ და “მფარველის” სტატუსი მიენიჭებინათ. პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიასაც, რუსულსაც და ქართულსაც. არ შეიძლებოდა „უფროსი ძმა“ დამპყრობელი ყოფილიყო, იგი ქართლ-კახეთს მფარველად, მეგობრად, მზრუნველად უნდა მოვლენოდა. რუსეთის იმპერიული და საბჭოთა ისტორიოგრაფია გეორგიევსკის ტრაქტატის გაიდევლებით 1801 წლის 12 სექტემბრის აქტის შერბილებას, რუსეთის საიმპერატორო კარისათვის

პირის მობანას ცდილობდა. ეს მზაკვრული ჩანაფიქრი კარგა ხანს ძლიერ სააგიტაციო საშუალებას წარმოადგენდა, თუმცა ჭეშმარიტების საბოლოოდ დამალვა შეუძლებელია. რაც შეეხება ზემოთ დასმულ კითხვას, მასზე პასუხის გაცემა ძნელია, რადგან დოკუმენტებიდან არ ჩანს, რას ფიქრობდა მეფე ერეკლე. ერთი რამ ცხადია, ერეკლე დაიმედებული იქნებოდა იმით, რომ მფარველობითი ხელშეკრულება რუსეთის ინიციატივით დაიდო. 1782-1783 წლებში რუსეთი ერეკლე II-ს მფარველობითი ხელშეკრულების დადებას აჩქარებდა. სხვა ინფორმაცია ქართლ-კახეთის მეფეს არ ჰქონდა, რადგან გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარის ახალი კავკასიური პოლიტიკა დიდ სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა. ამ საიდუმლოების გაგების გარეშე კი ერეკლე II ვერანაირად ვერ შეიტყობდა, თუ რატომ არ ასრულებდა რუსეთის იმპერიას ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებებს. არა ერეკლე II-ის დაცვის, მისი გამართლების მიზნით, არამედ ჭეშმარიტების დადგენისათვის აუცილებლად მივიჩნით იმ საკითხზე მსჯელობა, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ხოლმე. ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების მომზადება, დადება და შემდეგ მის შესრულებაზე კონტროლი გამოცდილი დიპლომატების და რაღაც დონეზე მაინც საგარეო დაზვერვის არსებობას მოითხოვს. როგორც აღვნიშნეთ, არც ერთი, არც მეორე ერეკლე მეფეს არასდროს ჰყოლია. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ერეკლე II თბილისში ინახულა რუსმა რეზიდენტმა, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა: მეფის ჯანმრთელობა შერყეული მეჩვენა, მხრებში მოხრილიყო, მაგრამ თვალებიდან დიდი ძალა გამოკრთოდა. დაიწყო თუ არა საუბარი, მაშინვე დავრწმუნდი, რომ მეფე აღმოსავლური დიპლომატიის ხელოვნებას ბრწყინვალედ ფლობდაო. მეფე კი იყო გამოცდილი დიპლომატი, მაგრამ გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებასა და დადებაში არც ერთი პროფესიონალი დიპლომატი არ მონაწილეობდა. ტრაქტატზე ხელის მომწერებს, გარსევან ჭავჭავაძესა და იოანე მუხრანბატონს, დიპლომატიურ ასპარეზზე მოღვაწეობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ, უფრო მეტიც, ისინი მოლაპარაკების მაგიდას ისე მიუსხდნენ, რომ რუსულ ენას ვერ ფლობდნენ. აქედან გამომდინარე, მათ არ იცოდნენ, რა ეწერა ტრაქტატის რუსულ ეგზემპლარში. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენლად (მინისტრად) რუსულის არმცოდნე გარსევან ჭავჭავაძე დაინიშნა. თბილისიდან გაგზავნილ ოფიციალურ დოკუმენტებს პეტერბურგში მას რუსულად უთარგმნიდნენ და ისიც ქართული ასო-ნიშნებით ხელს აწერდა: „პოლნომოჩნი მინისტრი გარსევან ჭავჭავაძე“. „პოლნომოჩნი მინისტრი“

თბილისში ისე დაბრუნდა, ვერც რუსული ისწავლა და ვერც რაიმე არსებითი შეიქცო, თუ რატომ არ ასრულებდა რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს. ან რისთვის უნდა მიეღნია გარსევან ჭავჭავაძეს, როცა მას ურთიერთობა ინგლისში, საფრანგეთში, პრუსიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე რუსეთის დიპლომატებთან ჰქონდა. გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად, რუსეთის საიმპერატორო კართან ურთიერთობა ჰქონდათ სრულიად ახალგაზრდა ბატონიშვილ მირიანს და არქიმანდრიტ გაიოზს. მართალია, ორივენი დროსა და ენერგიას არ იშურებდნენ მეფე ერეკლეს დავალებების შესასრულებლად, მაგრამ რუს დიპლომატებთან ურთიერთობაში ისინიც ბევრს ვერაფერს აღწევდნენ. ასე გაგრძელდა ერეკლეს სიცოცხლის ბოლომდე. როდესაც იგრძნო, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს აღსასრული მოახლოებული იყო, გარსევან ჭავჭავაძე საგანგებო წერილში იმპერატორ პაველ I-ს (1796-1801) სთხოვდა ავადმყოფი მეფისათვის სანუგეშებელი წერილი გაეგზავნა⁵¹. ეს უკვე ქართველი დიპლომატის მიერ კაპიტულაციის გამოცხადებას ჰგავდა. ცხადია, იმპერატორს ერეკლე II-თვის სანუგეშო წერილი არ გამოუგზავნია.

ეკატერინა II-ის მმართველობის ბოლო წლებში გეორგიევსკის ტრაქტატი სრულ ფიქციად იქცა. თუმცა ერთი იმედისმოძვენი გარემოებაც იყო: 1796 წელს რუსეთის ჯარი ირანის დაპყრობის მიზნით კასპიისპირეთში შეიჭრა და სერიოზული წარმატებებიც მოიპოვა. ჯარის ერთი ნაწილი ქართლ-კახეთის სამეფოში შემოვიდა და განჯისა და ერევნის სახანოებზე შეტევისათვის დაიწყო მზადება. სამწუხაროდ, ეკატერინა II-ის გარდაცვალების შემდეგ ახალმა იმპერატორმა, პაველ I-მა დედის ჩანაფიქრზე ხელი აიღო და ლაშქრობა შეწყვიტა. ინგლისის დასამარების მოსურნე იმპერატორი ფრთხილობდა: “ოსმალეთმა არ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ ომის საბაბს ვეძებთ.“

ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ: **ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში იმგვარად განვითარდა, რომ ერეკლე II იძულებული გახდა 35-წლიანი პროირანული ორიენტაცია პრორუსულით შეეცვალა.** რუსეთის საიმპერატორო კარი არც ამის შემდეგ ენდობოდა ერეკლე II-ს და მასთან პოლიტიკურ თამაშს აგრძელებდა: ხან ირანითა და ოსმალეთით აშინებდა, ხან – ქართლის თავადებითა და რუსეთში გადახვენილი ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებით. ერეკლე ჭკვიანი დიპლომატი იყო და იმთავითვე მიხვდა, რომ მართალია 1770 წელს

⁵¹ Грамоты и другие исторические документы относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. стр 146; **ვახტანგ გურული.** მეფე ერეკლე და რუსეთი, გვ. 304-305.

გენერალ ტოტლებენის ავანტიურა ჩაიშალა და რუსეთმა მისთვის არასასურველი მეფის თავიდან მოშორება ვერ შეძლო, მაგრამ სავსებით ცხადი იყო, რომ რუსეთი მზგავს ქმედებებს კვლავაც გააგრძელებდა. რუსეთის საიმპერატორო კარი კარგად იყენებდა იმას, რომ 1769 წელს ერეკლე II ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება, რითაც მუსლიმურ სამყაროსთან ურთიერთობა სერიოზულად დაეძაბა. რუსეთის მომავალი ფარული თუ აშკარა აგრესიის პირობებში ერეკლე II-მ გადაწყვიტა კავკასიის მომავალ მპყრობელს მორიგებოდა და რუსეთის მფარველობა მიეღო. ამის შემდეგ ყველაფერი რუსეთის საიმპერატორო კარზე დაწერილი სცენარით განვითარდა. ერეკლე II-ს, ცხადია, არ შეეძლო შეეცვალა რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის არსი.

მეფე ერეკლე „რუსეთის კაცი“ არ ყოფილა და არც რუსეთი მოუყვანია საქართველოში. სიმათლე უნდა ითქვას: რუსეთი მოდიოდა და საქართველოს დასაპყრობად მას არც გეორგიევსკის ტრაქტატი და არც ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაცია სჭირდებოდა. რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში მთავარი არა გეორგიევსკის ტრაქტატი და ერეკლე II-ის ორიენტაცია, არამედ ირანის დამარცხება, ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა, ოსმალეთის დამარცხება და იმერეთის სამეფოს დაპყრობა იყო. გეგმა, ერთი შეხედვით, რთული, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, განხორციელებადი იყო. 1804 წელს აშკარა ანტირუსული ორიენტაციის იმერეთის მეფე სოლომონ II სამხედრო ძალის გამოყენების მუქარით აიძულეს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა მიეღო. იმერეთის სამეფოს გაუქმება 1804 წლიდან 1809-1810 წლებამდე მხოლოდ იმიტომ გადაიდო, რომ 1806 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. სანამ რუსეთმა ამიერკავკასიაში წარმატებები არ მოიპოვა, იმერეთის სამეფოს გაუქმებისაგან თავი შეიკავა. ომში ოსმალეთის მარცხი იმერეთის სამეფოს გაუქმებასაც ნიშნავდა! დღევანდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ ერევნის, განჯის, ნახჭევნის, ყარაბაღის, შაქის, შირვანის, ბაქოსა და სხვა სახანოებს რუსეთის იმპერიასთან გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულებები არ დაუდიათ, მაგრამ 1803-1804 წლიდან დაწყებული რუსეთმა ეს სახანოები ზედიზედ დაიპყრო. დაიპყრო იმიტომ, რომ 1804-1813 წლების ომში ირანი დაამარცხა და აიძულა, ამიერკავკასიის სამფლობელოები მისთვის დაეთმო. რუსეთი ამიერკავკასიაში გამარჯვებულის უფლებით მოვიდა. ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი გაგვეხსენებინა: ევროპის სახელმწიფოთა კოალიციამ (რუსეთი, ინგლისი, პრუსია) ნაპოლეონი დაამარცხა. 1815 წელს ვენაში კონგრესზე შეკრებილი ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები კონტინენტის

მომავალზე მსჯელობდნენ, სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულების პრინციპებს არკვევდნენ. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებმა გადანყვიტეს, როგორმე ევროპა რუსეთის ჯარისაგან გაეთავისუფლებინათ და ამ საკითხის კონგრესის სხდომაზე დაყენება კლემენს ფონ მეტერნიხს მიანდეს. გაიხსნა თუ არა სხდომა, მეტერნიხმა განაცხადა: ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რა უფლებით დგას რუსეთის 120.000-იანი ჯარი ვარშავის საჰერცოგოში? სამარისებური სიჩუმე ალექსანდრ I-მა დაარღვია: „გამარჯვებულის უფლებით!“ ამჯერად სიჩუმეში მეტერნიხის ხმა გაისმა: „გადავიდეთ დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე.“

სამხრეთ კავკასიაში „გამარჯვებულის უფლებით“ მოსული რუსეთის იმპერია ყველა სამეფოს, სამთავროსა და სახანოს უბოდიშოდ დაეპატრონებოდა, როგორც დაეპატრონა ჟეჩ-პოსპოლიტას დამარცხების შემდეგ უკრაინას, შვედეთის დამარცხების შემდეგ – ლიტვას, ლატვიას, ესტონეთსა და ფინეთს, ოსმალეთის დამარცხების შემდეგ – მოლდოვას.

სამი დამპყრობლის, ირანის, ოსმალეთის, რუსეთის, დაპირისპირებაში მეფე ერეკლე ყოველნაირად ცდილობდა ისეთი საგარეო პოლიტიკა აერჩია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრიობა გადაერჩინა. დიდ პოლიტიკას დიდი სახელმწიფოები განსაზღვრავენ, ხოლო რიცხვით მცირე ერის, პატარა სახელმწიფოს მეფეს დიდი პოლიტიკის მიმართულების შეცვლა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე, ყველაფერს არა ერეკლე II-ის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია, არამედ ის წყვეტდა, თუ რით დასრულდებოდა ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში. საქართველო ამ დაპირისპირებაში გამარჯვებულს უნდა დარჩენოდა. **ერეკლე II-ს ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა: წინდანინ გაერკვია ამ გამარჯვებულის ვინაობა, შესაფერი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია შეემუშაებინა და კავკასიის მომავალი მპყრობელისაგან ქართლ-კახეთის სამეფოს შენარჩუნების გარანტია მიეღო. დიდმა პოლიტიკამ მეფე ერეკლეს სხვა არჩევანი არ დაუტოვა.**

Was Russia Coming or Was It Led by Erekle? (Foreign Policy of Kingdom of Kartli-Kakheti)

Resume

The foreign policy of Erekle II of Kartli-Kakheti (1744-1798) has not yet been objectively comprehended in Georgian historiography. After analysis of documents and materials it becomes clear:

1. By the beginning of the 18th century, the confrontation between Iran, the Ottoman Empire and Russia for dominance in the South Caucasus came to the decisive phase. All three states considered dominance in the South Caucasus to be vital.

2. By 1735, even before his coronation, the future king of Kartli Teimuraz II (1744-1762) and his son, the future king of Kakheti, and then the king of Kartli-Kakheti Erekle II (1744-1798) pursued a pro-Iranian policy, which brought its positive results.

3. Erekle II was not going to change pro-Iranian policy. In 1768, the Russo-Turkish War broke out, and in 1769 a Russian expeditionary force arrived in Georgia, the official goal of which was, in cooperation with the Kartli-Kakheti and Imereti kingdoms, to liberate the Georgian lands occupied by the Ottoman Empire. Erekle II was forced to join the war on the side of Russia. The military and political union between Kingdom of Imereti, Kingdom of Kartli-Kakheti and Russian Empire turned out to be unsuccessful because of Russian policy and the Ottoman Empire retained its positions in South Caucasus.

4. Erekle II found himself alone against the Islamic world (Iran, Ottoman Empire), which was dissatisfied because of his support for Russia. The way out that the king chose was to look for protection from the Russian Empire, which was accomplished in 1783 in Georgievsk by signing the Treaty of Georgievsk.

5. The Treaty of Georgievsk was viewed by Erekle II as a means of saving the country, while the Russian Emperor Catherine II considered it a sophisticated plan to enter Kartli-Kakheti without war, and then abolish and occupy the Kingdom. That's why Russian Empire did not fulfill a single term of the treaty. In 1801-1802 Russia achieved its goal: abolished the kingship in Kartli-Kakheti, occupied the country and established Russian rule there.

6. Erekle II was never a "man of Russia" and never led it into Georgia. Anyway,

Georgia would be occupied by the side which would have won the confrontation between Iran, the Ottoman Empire and Russia. In this case neither the pro-Russian policy of Erekle II nor the Treaty of Georgievsk have played a major role for Russian Empire. For Russia, the key was to defeat Iran and the Ottoman Empire, after which no one would prevent it from occupying the South Caucasus. Erekle II was solely trying to identify the future ruler of Caucasus in advance and thus to save the Kingdom of Kartli-Kakheti.

ავთანდილ ნიკოლაიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ეროვნული პრობლემის სტალინური კონცეფცია და საქართველო

საკვანძო სიტყვები: სტალინი, საქართველო, დამოუკიდებლობა, რუსეთი, სოციალ-დემოკრატია

1917-1921 წლებში საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არსებული მდგომარეობისადმი იოსებ სტალინის დამოკიდებულებაზე საუბრის დაწყებამდე რამდენიმე სიტყვა იმ მოსაზრებებზეც მინდა ვთქვა, რომელსაც აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გამოთქვამდა იგი თავის მანამდელ ნაშრომებში. როგორც ცნობილია, 1874 წელს, გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სტალინმა სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც აქტიური ურთიერთობა დაამყარა რუსეთიდან ამიერკავკასიაში გადმოსახლებულ რევოლუციონერებთან. 1898 წელს ის უკვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა და ამ დროიდან მოყოლებული, უმთავრეს მიზნად მარქსისტული რევოლუციური იდეებისადმი უღალატო სამსახური დაისახა.

სოციალ-დემოკრატიული იდეებით მის ამგვარ დაინტერესებას ყრმა სტალინის ცხოვრებაში წინ უძღოდა პოეზიით მისი გატაცების ხანმოკლე პერიოდი. კერძოდ, 1895-1896 წლებში ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოშვალ „ივერიასა“ და გაზეთ გაზეთ „კვალში“ სოსელიოსა და ი. ჯ-შვილის ხელმოწერებით მან რამდენიმე ლექსიც გამოაქვეყნა, რომელთაც იმდროინდელი ლიტერატურული საზოგადოების მოწონება დაიმსახურეს. როგორც ამ ლექსებითაც თვალნათლივ გამოჩნდა, მისი იმდროინდელი ცნობიერება უპირველეს ყოვლისა ქართველ „სამოციანელთა“ პატრიოტული იდეებით იყო აღბეჭდილი.

სამწუხაროდ, პოეზიით სტალინის გატაცება მეტად ხანმოკლე გამოდგა და თავისი შემდგომი ცხოვრების უმთავრეს მიზანსწრაფვად მან რევოლუციური მოღვაწეობა დაისახა. შესაბამისად, რადიკალურად შეიცვალა მისი ეროვნულ-მოქალაქეობრივი მისწრაფებებიც, რის შედეგადაც ყრმა სოსელიოს ოცნება „ივერთ მხარის ლხენასა“ და „ტურფა ქვეყნის აყვავე-

ბაზე“ სოციალური სამართლიანობის დამყარებისთვის ბრძოლის იდეებმა შეცვალა. ამ ბრძოლის ეპიცენტრად კი მთელი რუსეთის იმპერია იქცა და ამიერიდან უკვე სტალინად გარდაქმნილი მარქსისტი რევოლუციონერი საბოლოოდ გაემიჯნა მის ადრინდელ პატრიოტულ იდეალებს.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს სტალინის ეროვნული თვალთახედვის ჩემულ შეფასებაზე, შევეცადები, მოკლედ წარმოვაჩინო აღნიშნული მიმართულებით გამოთქმული მისი უმთავრესი დებულებები.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სტალინის ეროვნული, სოციალური და პოლიტიკური მრწამსი არსებითად განსაზღვრა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფუძემდებლურმა პრინციპებმა. აქედან გამომდინარე, ეს მოვლენა სავსებით ლოგიკურად იქცა მისი ეროვნული თვალთახედვის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად. პირველ ყოვლისა სწორედ ამ გარემოების თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენს ის დამოკიდებულება, რასაც სტალინი ქართველი და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი სხვა არარუსი ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემებისადმი იჩენდა მთელი ცხოვრების განმავლობაში.

მის პარტიულ თვალთახედვას განსაკუთრებულ მასშტაბებს ამ შემთხვევაში ისიც სძენდა, რომ იგი ამით მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთა ანტიეროვნულ პოლიტიკას კი არ ერთგულებდა, არამედ თავად იყო ამ პოლიტიკის მთავარი შემოქმედი.

თუმცა ეს ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სტალინს ყოველივე ეროვნულისადმი (არარუსულისადმი) ჰქონდა მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამგვარ უკომპრომისოდ ნეგატიურ დამოკიდებულებას იგი მხოლოდ იმ მიმართულებით ავლენდა, თუ ამ მოვლენას საბჭოთა (იმავე რუსული) იმპერიის სახელმწიფოებრივი მთლიანობისთვის ძირის გამომთხრელ ფაქტორად მიიჩნევდა. სხვა შემთხვევაში კი მისი ეროვნული ნიჰილიზმი ნაკლებად მასშტაბურ გამოვლინებას იძენდა.

უფრო მეტიც, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, სტალინის ცხოვრებაში ისეთი ეპიზოდებიც იყო, როცა მას ქართული კულტურის წარმოჩენისა და ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში საგულისხმოდ მნიშვნელოვანი როლიც აქვს შესრულებული.

თუმცა როგორც კი ქართველ მოღვაწეთა ეროვნულ მისწრაფებებში საბჭოთა იმპერიის სახელმწიფოებრივი მთლიანობისგან ჩვენი ქვეყნის გამიჯვნის წარმომჩენ რაიმე გამოვლინებას დაინახავდა, ამ მოვლენის ამოსადირკვად უმკაცრეს ზომებს ატარებდა. ეს ყველაფერი კი იმის შეუ-

ვალი რწმენის შედეგს წარმოადგენდა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საქართველოს არსებობა სტალინს არარეალურ მოვლენად მიაჩნდა და ჩვენს ქვეყანას საბჭოთა (რუსული) იმპერიული სივრცის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა.

მის ამგვარ თვალთახედვას პარტიული მოღვაწეობის საწყის ეტაპზევე ჩაეყარა მყარი საფუძველი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1904 წელს გამოქვეყნებული მისი წერილი „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ ხსენებულ პუბლიკაციაში სტალინმა პირველად გამოკვეთა ნაციონალური საკითხის სოციალ-დემოკრატიული გაგების უმთავრესი არსი და საზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის გასამარჯვებლად და სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად არსებითია არა ეროვნული, არამედ კლასობრივი მიზანსწრაფვა. ამ პრობლემის სწორედ ამგვარმა გაგებამ მიიყვანა იგი იმის აღიარებამდე, რომ „პროლეტარიატის გასამარჯვებლად საჭირო იყო ყველა მუშის შეერთება, განურჩევლად ეროვნებისა.“

ასე რომ, რევოლუციის გამარჯვების უმთავრეს პირობად სტალინმა უწინარეს ყოვლისა ნაციონალური ზღუდეების დანგრევა და სხვადასხვა ეროვნებათა პროლეტარების მჭიდრო შეკავშირება მიიჩნია. ეროვნული და კლასობრივი ინტერესების ამგვარი მკვეთრი გამიჯვნითა და ურთიერთდაპირისპირებით იგი რადიკალურად გაემიჯნა ეროვნული ერთობის მქადაგებელ ჩვენს დიდ მამულიშვილებს, რომელთაც ქართველი ხალხის წინაშე მწვავედ მდგარ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემათა გადაწყვეტის უმთავრეს პირობად ერთმანეთისაგან კლასობრივად გათიშულ ძალთა გაერთიანება მიაჩნდათ.

მათგან განსხვავებით, სტალინი ეროვნული ერთობის ამგვარ პერსპექტივას ასეთ შეფასებას აძლევდა: „თუ ამ გზაზე სიარულს გავაგრძელებთ, ადრე თუ გვიან იძულებული ვიქნებით, დავასკვნათ, რომ „ნაციონალური“ და კიდევ სხვა „განსხვავებანი“, მაგალითად, სომეხი პროლეტარისა ისეთივეა, როგორიც სომეხი ბურჟუაზიის, რომ სომეხ პროლეტარსა და სომეხ ბურჟუას ერთნაირი ხასიათი და ზნე-ჩვეულებები აქვთ, რომ ესენი ერთ ხალხს, ერთ „ნაციას“ შეადგენენ. აქედან დიდი მანძილი აღარ არის საერთო მოქმედების ნიადაგამდე, რომელზედაც უნდა შედგნენ ბურჟუები და პროლეტარები და მეგობრულად ხელი გაუწოდონ ერთმანეთს, როგორც წინაპრებმა ერთი და იმავე „ნაციისა“.⁵²

როგორც ვხედავთ, ეროვნული ერთობისა და „საერთო მოქმედების“ იმ თეორიას, რომელიც ჩვენი ერის დიდი შვილების დაუეჭვებელი რწმე-

⁵² სტალინი ი. თხზ. ტ. 1, 1901-1907 წწ. თბ., 1947 (1), გვ. 38.

ნით, ქვეყნის გადარჩენისა და გამარჯვების უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა, სტალინმა „კლასთა ანტაგონიზმი“ დაუპირისპირა და თავისი რევოლუციური მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანსწრაფვად „ნაციონალური კედლების დანგრევა“ და არა მათი „გამაგრება“ მიიჩნია.

სტალინის განმარტებით, სოციალ-დემოკრატების უმთავრესი მიზანი იყო არა სოციალურად განსხვავებულ კლასთა და ძალთა გაერთიანება ერთობლივი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ხორცშესასხმელად, არამედ „ერთა შორის ამართული ნაციონალური კედლების დანგრევა“ და ამ გზით უფრო მეტად დაახლოება „რუსეთის პროლეტარებთან.“ სტალინის ხაზგასმით, მის უმთავრეს მიზანს კი ის წარმოადგენდა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას „თავის დროშის ქვეშ თავი რომ მოეყარა არა მარტო რუსი პროლეტარებისათვის, არამედ რუსეთის ყველა ერის პროლეტარებისათვის,“ რაც შესაძლებლობას მიცემდათ, „ძირს დაეცათ მათ შორის ამართული ნაციონალური კედლები.“

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ობიექტურობა მოითხოვს, აქვე ისიც აღინიშნოს, რომ ხსენებული პუბლიკაციის მიხედვით, სტალინისეული თვალთახედვის წარმომჩენ ერთ-ერთ მთავარ დებულებას რუსეთში მცხოვრებ არარუს ხალხთა ეროვნული ინტერესების დაცვაც წარმოადგენდა. კერძოდ, მისი ხაზგასმით, მათი ბრძოლის მიზანი ისიც იყო, „რუსეთის ერების პროლეტარებს სრული უფლება რომ ჰქონოდათ იმ ენით სარგებლობისა, რომელზედაც უფრო თავისუფლად შეეძლებოდათ სწავლა-განათლების შექენა... ამნაირ ენად კი ცნობილი იყო სამშობლო ენა“.⁵³

იმისათვის, რომ რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს შეუზღუდველად გამოევილინათ თავიანთი ეროვნული ინტერესები, სტალინის აზრით, მათ ასევე თავისუფლად უნდა ესარგებლათ „ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის“ უფლებით. თუმცა რუსეთის იმპერიისგან რომელიმე მათგანის გამოყოფასა და მის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებაზე ხსენებულ სტატიაში არაფერია ნათქვამი.

მართალია, სტალინი ერთგან საქართველოს „ნაციონალური დამოუკიდებლობის“ მოთხოვნის მიზანშეწონილობის შესახებაც ამბობს რამდენიმე სიტყვას, მაგრამ, მისი თქმით, „საქართველოსტების“ (იგულისხმებანი ქართველი ფედერალისტების მიერ 1903-1905 წლებში პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოცემული გაზეთის - „საქართველოს“ ირგვლივ შემოკრებილი ქართველი „ნაციონალისტები“) მიერ კატეგორიული ფორმით დასმულ შეკითხვაზე: „სასარგებლო იყო თუ საზარალო

⁵³ სტალინი ი. თხზ. ტ. 1, 1901-1907 წწ. თბ., 1947 (1), გვ. 43.

პროლეტარიატისათვის ნაციონალური დამოუკიდებლობა,“ „გადაჭრილი პასუხი“ არ შეიძლებოდა არსებულებით.

ამ კითხვაზე „ასე ახირებულად „გადაჭრილი“ პასუხის მოთხოვნას სტალინიმა სისულელე უწოდა და განაცხადა, რომ საკითხი იმასთან დაკავშირებით, „სასარგებლოა მათთვის თუ საზარალო ნაციონალური დამოუკიდებლობა,“ თავად ამ ერებმა უნდა გადაჭრან და გაარკვიონ. თავად სტალინიმა კი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია ხსენებულ სტატიაში ამგვარად ჩამოაყალიბა: „ჩვენ ვალდებული ვართ შევეცადოთ, რომ ერთა სურვილები ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული იყოს, რომ ეს სურვილები პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდეს... ამისთვის კი საჭიროა სოციალ-დემოკრატიული კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ ზოგიერთი რეაქციონული „ნაციონალური“ ზნე-ჩვეულება და დანესებულება“.⁵⁴

როგორც დამონშემებული ფრაგმენტებითაც ჩანს, სტალინი „ნაციონალური დამოუკიდებლობის“ მოთხოვნაზე მნიშვნელოვან მოვლენად „პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული სურვილების“ აღსასრულებლად ბრძოლას მიიჩნევდა და საქართველოს მაგალითზე იმასაც აღნიშნავდა, რომ „სქელშუბლიანი „საქართველოსტების“ მიერ გაფეტიშებული „არავითარი ნაციონალური სული“ არ არსებობდა და „არც შეიძლებოდა არსებულებით“.⁵⁵

1904 წლიდან მოყოლებული 1913 წლამდე დაბეჭდილ თავის ნაშრომებში სტალინს ეროვნული პრობლემა განსაკუთრებული ყურადღების საგნად აღარ უქცევია. ამ წელს კი მან ამასთან დაკავშირებით ორი წერილი დაბეჭდა - „ნაციონალიზმის გზით“ და „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“. აღნიშნული პრობლემით სტალინის ამგვარი დაინტერესება არსებითად განაპირობეს იმხანად განვითარებულმა დიდმნიშვნელოვანმა მოვლენებმა.

პირველ სტატიას ქვესათაურად „წერილი კავკასიიდანაც“ ჰქვია და ეროვნულ პრობლემაზე მსჯელობა მასში ძირითადად კავკასიაში, უპირატესწილად კი საქართველოში, აღნიშნული თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის ავტორისეულ ანალიზს წარმოადგენს. სტალინის განსჯის უმთავრეს საგნად ამ შემთხვევაში იმის გარკვევა იქცა, რამდენად იყო მიზანშეწონილი რუსეთის იმპერიის ამ რეგიონში ეროვნული თვითმმართველობის შემოღება. კერძოდ, მისი აზრით, მათი პარტიისთვის ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა იმის გარკვევას, როგორ

⁵⁴ სტალინი ი. თხზ. ტ. 1, 1901-1907 წწ. თბ., 1947 (1), გვ. 51.

⁵⁵ სტალინი ი. თხზ. ტ. 1, 1901-1907 წწ. თბ., 1947 (1), გვ. 52.

გამოიყენებდა ერი ამ უფლებას და „როგორ გადაწყვეტდა თავის ბედს - ცენტრალიზმის თუ სეპარატიზმის სასარგებლოდ“.⁵⁶ სტალინის აზრით, ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო, აქტიურად ჩარეულიყვნენ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის პროცესში და „გავლენა მოეხდინათ ეროვნების ნებაზე ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერებოდა პროლეტარიატის ინტერესებს.“

როგორც საკითხის ამგვარი დასმითაც თვალნათლივ ჩანს, ამ დასკვნის გამოტანით სტალინი ფაქტობრივად რუსეთში მცხოვრებ არარუს ხალხთა, მათ შორის ქართველთაც, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალურ მონინალმდეგედ გამოვიდა.

თავისი პარტიული მოღვაწეობის ადრინდელ ეტაპზე იგი არათუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამკარა მონინალმდეგე იყო, არამედ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიისაც კი. ეს რომ ნამდვილად ასეა, ეს ზემოთ ნახსენები პუბლიკაციებიდანაც თვალნათლივ ჩანს. მაგალითად: „1906 წელს, კავკასიის საოლქო კონფერენციაზე პირველად წამოიჭრა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის საკითხი. იგი წამოაყენა და მის გადაწყვეტას მოითხოვდა ქუთაისელთა პატარა ჯგუფი. საკითხი, როგორც მაშინ ამბობდნენ, „სამარცხვინოდ ჩაფლავდა“ იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ ერთნაირად მკაცრად გაილაშქრა ორივე ფრაქციამ (იგულისხმებთან ბოლშევიკები და მენშევიკები - ა. ნ.) კოსტროვისა (ნ. ჟორდანიას ფსევდონიმია - ა. ნ.) და ამ სტრიქონების დამწერის სახით. გადანყდა, რომ ეგრედ წოდებული „კავკასიის საოლქო თვითმმართველობა“ ნაციონალური საკითხის საუკეთესო გადაწყვეტაა და ყველაზე უფრო შეეფერება ბრძოლაში გაერთიანებული კავკასიის პროლეტარიატის ინტერესებს“.⁵⁷

როგორც დამონმებული ფრაგმენტებითაც თვალნათლივ ჩანს, თავისი ამგვარი პარტიული თვალთახედვის დაფიქსირებით სტალინი კიდევ ერთხელ გამოვიდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმის აქტიურად დამცველის როლში.

ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხთა განსჯა-გააზრებაში კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა სტალინის მიერ 1913 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი.“ ამ ნაშრომის გაანალიზების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ამჯერად მხოლოდ იმ ეპიზოდებს მივაპყრობ, რომლებშიც წინამდებარე ნარკვევის მიზანდასახულობასთან დაკავშირებული საკითხებია განსჯის საგნად ქცეული.

⁵⁶ სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 307.

⁵⁷ სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 309.

მიუხედავად იმისა, რომ ერის რაობასთან დაკავშირებით ავტორის მიერ გამოთქმული ცალკეული მოსაზრებანი დღესაც მისაღებია, საკუთრივ ქართველ ერთან მიმართებით დაფიქსირებულ შეხედულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი პრინციპულად მცდარია და რეალობას მონყვეტილი. ამ გარემოებას არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული პრობლემა ავტორს მხოლოდ პარტიული თვალთახედვით აქვს შეფასებული. ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს ხსენებული ოპუსიდან.

ავტორის მტკიცებით, იმისდა მიუხედავად, რომ რეფორმამდელ ხანაში (იგულისხმება ბატონყმობის გაუქმება საქართველოში) „ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, ისინი არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ, ვინაიდან დანაწილებული იყვნენ ერთმანეთისაგან მონყვეტილ სამთავროებად“.⁵⁸

პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, სტალინი ეროვნულ ინტერესებთან შედარებით არსებითად მნიშვნელოვან როლს პირველ ყოვლისა კლასობრივ მისწრაფებებს ანიჭებდა და სწორედ ამ თვალთახედვით აანალიზებდა მოვლენებს. კერძოდ, „ყველა ეროვნების მუშების გაერთიანება კლასობრივ-სოციალური ინტერესების საფუძველზე“ მას იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა, რომ იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის დროს განსხვავებულ კლასთა გაერთიანებას „ინტერესთა ჰარმონიის“ საფუძველზე. ამიტომაც მიაჩნდა მას პრინციპულად მიუღებლად ამ ბრძოლაში პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ყოველგვარი თანამოკავშირეობა.

როგორც ცნობილია, „მარქსიზმისა და ნაციონალური საკითხის“ მეშვეობით სტალინი ერთა თვითგამორკვევის უფლების აქტიურად დამცველის როლშიც მოგვევლინა სიტყვიერად. კერძოდ, მისი ხაზგასმით, მოთხოვნა იმისა, რომ ყოველ ერს თავად ჰქონდა უფლება საკუთარი ბედის განსაზღვრისა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპროგრამო დებულებას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, არავის ჰქონდა უფლება, ძალდატანებით ჩარეულიყო მის ცხოვრებაში, დაენგრია მისი სკოლები და სხვა დანესებულებანი, შეეწინააღმდეგებინა მისი ენა და შეეკვეცა მისი ეროვნული უფლებები.⁵⁹

ცხადია, ყველა ეს მოთხოვნა დღესაც ყავლგაუსვლელ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ისევე როგორც ავტორისეული მსჯელობა ეროვნული თვითგამორკვევის ისეთ ფორმებზე, როგორებიცაა: ავტონომია, ფედერ-

⁵⁸ სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 317.

⁵⁹ სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 333.

აცია და სრული დამოუკიდებლობა. ამ ფორმათა დახასიათების დროს სტალინი არაერთგზის უსვამდა ხაზს იმ ფაქტს, რომ „ყოველი ერი სუვერენულია და თანასწორუფლებიანი,“ რომ ყოველ ერს შეუძლია თავადვე განსაზღვროს თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმა.⁶⁰

მაგრამ დღევანდელი თვალთახედვითაც მისაღები ამ თეორიული მსჯელობის შედეგად გამოთქმულ დებულებებს პრინციპულად ეწინააღმდეგება თავად სტალინის მიერ ცალკეული ერების ცხოვრებიდან დამონმებული მაგალითები. სახელდობრ, ნაშრომის მესამე თავში („საკითხის დაყენება“), მსჯელობს რა ერის უფლებაზე - „თავისუფლად გადაწყვიტოს თავისი ბედი,“ სტალინი ყურადღებას იმაზეც ამახვილებდა, ავტონომიური თვითმმართველობისაკენ ერის მისწრაფება არავითარ შემთხვევაში რომ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „ერის უმრავლესობის,“ უფრო ზუსტად, პროლეტარიატის ინტერესებს.

სწორედ ამ საშიშროების გამოვლინებად მიიჩნევადა სტალინი კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას და ხსენებულ ნაშრომში არაერთგზის აღნიშნავდა მის „მანებლობასა“ და „უვარგისობას.“ მისი ხაზგასმით, ავტონომიის ეს ფორმა არა თუ წინ ეწევა ერის კულტურულ განვითარებას, არამედ, პირიქით, „პირდაპირ სანინაალმდეგო მიმართულებით მოქმედებს, ვინაიდან იგი ძველ ნაჭუჭებში ამწყვდევს ერებს, აჩერებს მათ კულტურის დაბალ საფეხურზე, ხელს უშლის მათ, კულტურის მაღალ საფეხურზე ავიდნენ“.⁶¹

როგორც ვხედავთ, სტალინის ამ მსჯელობიდან თვალნათლივ ვლინდება მისი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ავტონომიის ფორმისადმი, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიული მონყობისთვის პრინციპულად მიუღებლად მიიჩნევს. მისი აზრით, აღნიშნული თვალსაზრისით გაცილებით კარგ ფორმას წარმოადგენდა ქვეყნის ტერიტორიული მონყობა საოლქო ავტონომიის, ანუ რეგიონალიზმის საფუძველზე. ტერიტორიული მონყობის ამ სახეობის უპირატესობად იგი იმას მიიჩნევადა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა ამდაგვარი ტერიტორიული ერთეულების გამოყოფასთან არა ნაციონალური პრინციპის საფუძველზე, არამედ მხოლოდ რეგიონული მასშტაბების გათვალისწინებით.

სახელმწიფოს ამგვარი ფორმით მონყობის უპირატეს მხარედ სტალინი იმას მიიჩნევადა, რომ იგი ადამიანებს ერთმანეთისგან „არ მიჯნავდა ერების მიხედვით; არ ამაგრებდა ნაციონალურ ტიხრებს და მოსახლეობას იმისათვის აერთიანებდა, რომ გზა გახსნოდა სხვაგვარ გამიჯვნას,

⁶⁰ სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 334.

⁶¹ სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 379.

კლასების მიხედვით გამიჯვნას“.⁶²

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ტერიტორიული მონყობის სტალინისეული მოდელი ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესებსაც ითვალისწინებდა, იგი რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნების შელამაზებულ ვარიანტს წარმოადგენდა. საამისო საფუძველს კი პირველ ყოვლისა ავტორის პარტიული იდეოლოგია ქმნიდა, რომლის უმთავრეს მიზანსაც ხალხთა არა ეროვნული ნიშნის მიხედვით შეკავშირება წარმოადგენდა, არამედ კლასობრივი ერთობის დამკვიდრება და ეროვნული „ტიხრების“ უპირობო მოსპობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსეთის სახელმწიფოს მოსაწყობად სტალინს ყველაზე მეტად მისაღებ ვარიანტად სწორედ ტერიტორიული მონყობის ის ფორმა მიაჩნდა, რომელსაც იგი საოლქო ავტონომიის სახელით მოიხსენიებდა. მისი აზრით, სწორედ ეს იქნებოდა რუსეთში ნაციონალური პრობლემის გადანყვეტის საუკეთესო გზა.

სახელმწიფოებრივი მონყობის აღნიშნული მოდელის უპირატესობის დასაბუთებას სტალინი კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, ეროვნული თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგადაც შეეცადა. სამწუხაროდ, იმხანად რუსეთის იმპერიაში შემავალ ამ რეგიონში ამ მხრივ არსებული მდგომარეობის ავტორისეული ანალიზი და შეფასებანი პრინციპულად მცდარია და ნაკლებად შეესაბამება რეალობას. უფრო მეტიც, სტალინის მიერ გამოთქმული არაერთი მოსაზრება ძირსაც კი უთხრის საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ ჩვენს ეროვნულ ერთობას და ქართველ ხალხს ტომობრივადაც და ენობრივადაც ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჯგუფთა კონგლომერატად წარმოადგენს.

აღნიშნული გარემოება სტალინს იმის მყარ არგუმენტად მიაჩნდა, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივ სივრცეში კავკასიის გამოყოფა ცალკე კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიად „უაზრო და სულელური“ გადანყვეტილება იქნებოდა. კერძოდ, აი, რა არგუმენტები მოჰქონდა მას კატეგორიული ფორმით გამოთქმული ამ მოსაზრების დასაბუთებლად: „კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ეროვნებებს, განვითარებული კულტურით, ლიტერატურით. უამპირობებოდ ეს ავტონომია ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, უაზრობად იქცევა.“ კავკასიაში მცხოვრებ „მთელ რიგ ხალხებს“ კი, სტალინის აზრით, პრიმიტიული კულტურა და განსაკუთრებული ენა აქვთ“ და „მოკლებული არიან მშობლიურ ლიტერატურას.“

ეს ყველაფერი ავტორს მყარ საფუძველს აძლევდა საიმისოდ, ავ-

⁶² სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 390.

ტონომიის ზემოთ აღნიშნული ფორმის მოთხოვნათა სრულ აბსურდულობაში ღრმად დარწმუნებულს რომ ეკითხა: „როგორ მივუყენოთ მათ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია? რა ვუყოთ ასეთ ხალხებს? როგორ „მოვანყოთ“ ისინი ცალკეულ კულტურულ-ნაციონალურ კავშირებად, რასაც კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს?“⁶³

მკითხველს სასვებით ბუნებრივად გაუჩნდება შეკითხვა, ვის გულისხმობს ავტორი „პრიმიტიული კულტურისა და განსაკუთრებული ენის მქონე ამ ხალხებში?“ სტალინის აზრით, ესენი არიან მეგრელები, აჭარლები, ქობულეთელები, სვანები და სხვები. ისინი თუმცა „სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ. რა ერებს მივაკუთვნოთ ისინი? - გაცემით კითხულობს იგი, - შესაძლებელია თუ არა მათი „მონყოლა“ ნაციონალურ კავშირებად, რა „კულტურული საქმეების“ გარშემო „მოვანყოთ“ ისინი“.⁶⁴ მეგრელების, სვანების, აჭარლებისა და ქობულეთელების გამოცხადება ცალკე ერებად ფაქტობრივად იმ პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება იყო, რომელსაც მეფის რუსეთის ხელისუფლება მიზანმიმართულად ატარებდა საქართველოში. სწორედ ამ პოლიტიკის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა ქართველი ერის დანაწილება სტალინის მიერ სახელდებულ ზემოთ ხსენებულ „ეროვნულ ერთეულებად.“ აქედან გამომდინარე, ქართველი ერის მისეული დანაწევრებაც ფაქტობრივად რუსეთის კოლონიური პოლიტიკის თავისებურ გაგრძელებად ან განახლებულ ვარიანტად შეიძლება მივიჩიოთ.

ყველაზე გონივრული გამოსავალი, რომელიც სტალინს კავკასიაში (შესაბამისად საქართველოშიც) არსებული ამ მდგომარეობიდან მიაჩნდა მიზანშეწონილად, საოლქო ავტონომიის შექმნა იყო, რაც, მისი აზრით, სასურველ პირობებს შექმნიდა „ნაციონალური კარჩაკეტილობის ნაჭუჭიდან“ (მისი სიტყვებია) იქ მცხოვრები ხალხების გამოსაყვანად.

1913 წლიდან 1917 წლის მარტამდე ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით სტალინს წერილობითი სახით არაფერი გამოუქვეყნებია და ამ მოვლენისადმი განსაკუთრებული ინტერესი მის ნაშრომებში განახლებული ძალით მხოლოდ 1917 წლის თებერვალის რევოლუციის შემდეგ გამოვლინდა. ეს გარემოება არსებითად განაპირობა ამ რევოლუციის გამარჯვების შედეგად რუსეთის იმპერიის სათავეში დროებითი ხელისუფლების მოსვლამ, რის შედეგადაც მწვავედ დაისვა ამ იმპერიაში მცხოვრებ არარუს ხალხთა სამომავლო ბედის გარკვევის პრობლემა. როგორც სტალინის იმდროინდელი ნაწერებიდან თვალნათლივ ჩანს, იგი ძალზე აქტიურად

⁶³ სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 377.

⁶⁴ იქვე.

ჩაება ამ პრობლემის გადაწყვეტის პროცესში და მიზანსწრაფულად შეეცადა არარუს ხალხთა სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე მეტად მისაღები ფორმის მოძებნას როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ისე მისგან გამოყოფითაც. ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად ქვემოთ შევეცდებით, იმდროინდელი მისი ნააზრევებიდან მოკლედ წარმოვაჩინო აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მის მიერ გამოთქმული უმთავრესი მოსაზრებანი.

1917 წლის 25 მარტს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ“ სტალინმა კიდევ ერთხელ აქცია მსჯელობის საგნად რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ არარუს ხალხთა ეროვნული პრობლემები. მისი შეფასებით, „ძველი რუსეთის ერთ-ერთი იარა, რომელიც სამარცხვინო ლაქას ცხებდა მას, ნაციონალური ჩაგვრის იარა იყო. რელიგიური და ნაციონალური დევნა, „უცხოტომელთა“ ძალდატანებითი გარუსება, ნაციონალურ კუტურულ დანესებულებათა დევნა, საარჩევნო უფლებათა წართმევა, მისვლა-მოსვლის თავისუფლების წართმევა, ეროვნებების ერთი-მეორეზე წასისინება, რბევა და ხოცვა-ჟლეტა, - აი, იგი, ავად მოსაგონარი ნაციონალური ჩაგვრა.“

როგორც ციტირებული ფრაგმენტიდანაც თვალნათლივ ჩანს, სტალინი ყოველგვარი შენიღბვისა და შელამაზების გარეშე წარმოაჩენდა იმ უმძიმეს მდგომარეობას, რაშიც რუსეთის იმპერიაში არარუსი ეროვნების ხალხებს უხდებოდათ ცხოვრება. თებერვლის რევოლუციის გამარჯვებამ და ხელისუფლების სათავეში დროებითი მთავრობის მოსვლამ რეალური საფუძველი შექმნა ამ პრობლემის გადასაწყვეტად. სტალინი, თავისი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში და რეალურად შეეცადა აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ყველაზე მეტად ოპტიმალური გზით.

მისი აზრით, იმ მომენტში პირველ ყოვლისა ორი რამის გაკეთება იყო სასწრაფოდ აუცილებელი: „ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ეროვნებათა უფლებების ჩამოყალიბება და ამ უფლებების კანონმდებლობითი განმტკიცება.“ იგი კმაყოფილებით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ დროებითა მთავრობამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი და გამოსცა დეკრეტი სარწმუნოებრივ და ეროვნულ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ. მაგრამ სტალინს ეს ყველაფერი არასაკმარისად მიაჩნდა იმის გამო, რომ ხსენებული „დეკრეტი არ ამყარებდა ნაციონალურ თანასწორუფლებიანობას ენის მხრივ“ და მოითხოვდა, არარუს ხალხთა ენების სრულ გათანაბრებას რუსულ ენასთან.

რუსეთში მცხოვრებ ხალხთა თანასწორუფლებიანობის მისაღწევად

სტალინი ასევე აუცილებლად მიიჩნევდა, მთავრობას სასწრაფოდ შეემუშავებინა „ნაციონალური ჩაგვრის მოსპობის დადებითი გეგმა“ და იქვე თავადაც განსაზღვრავდა ამ გეგმის ორ უმთავრეს პუნქტს: „1) პოლიტიკური ავტონომია (და არა ფედერაცია!) იმ ოლქებისა, რომლებიც წარმოადგენენ მთლიან სამეურნეო ტერიტორიას მოსახლეობის განსაკუთრებული ყოფა-ცხოვრებით და ნაციონალური შემადგენლობით, მშობლიურ ენაზე „საქმის წარმოებითა“ და „სწავლებით;“

2) თვითგამორკვევის უფლება იმ ერებისათვის, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზით არ შეუძლიათ დარჩნენ სახელმწიფოებრივი მთელის ფარგლებში.“

სტალინის მართებული ხაზგასმით, სწორედ „ასეთია ის გზა, რომელსაც ნაციონალური ჩაგვრის მოსპობისაკენ, ეროვნებათა თავისუფლების იმ მაქსიმუმის უზრუნველყოფისაკენ მივყავართ, რომელიც შესაძლებელია კაპიტალიზმის დროს.“

ხსენებულ პრობლემაზე მსჯელობა სტალინმა სამი დღის შემდეგ, 28 მარტს, „პრავდაში“ გამოქვეყნებულ ახალ წერილშიც - „ფედერალიზმის წინააღმდეგ“ განაგრძო.⁶⁵ აღნიშნული სტატიის დაწერის მიზანს რუსეთისა და მის შემადგენლობაში მყოფი ხალხების ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ოპტიმალური სტრუქტურის ძიება წარმოადგენდა. კერძოდ, სტალინი მწვავედ ეკამათებოდა ესერების გაზეთ „დელო ნაროდაში“ გამოქვეყნებული წერილის - „რუსეთი - ოლქთა კავშირი“ ავტორს - ი. ოკუ-ლიჩს, რომელიც მოითხოვდა, აშშ-ს გამოცდილების გათვალისწინებით, რუსეთი გადაქცეულიყო ოლქთა კავშირებისგან შექმნილ „ფედერალურ სახელმწიფოდ.“ სტატიის ავტორს სწორედ ასეთ ოლქებად ჰქონდა წარმოდგენილი რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ისეთი რეგიონები, როგორებიცაა: მალოროსია, საქართველო, ციმბირი, თურქისტანი და სხვ.

სტალინის აზრით, ამის გაკეთება რუსეთის რეალობაში პრინციპულად მიუღებელ მოვლენას წარმოადგენდა, რადგანაც ამერიკის შემთხვევაში ცალკე ტერიტორიულ ერთეულებად შტატების გამოყოფა გეოგრაფიული ნიშნით იყო განსაზღვრული და არა ნაციონალური ფაქტორის გათვალისწინებით. რაც შეეხებოდა რუსეთს, იქ გამოსაყოფ საოლქო რეგიონებში ეროვნული თვალსაზრისით არსებითად განსხვავებული მდგომარეობა არსებობდა. კერძოდ, სტალინის ხაზგასმით, „ის, რასაც რუსეთში ჩვეულებრივ ეწოდება ოლქები, რომლებსაც ავტონომია ესაჭიროებათ (უკრაინა, ამიერკავკასია, ციმბირი, თურქისტანი და სხვ.), უბრალო გეოგრაფიული ოლქები როდია... არამედ რუსეთის გარკვეული კუთხეები

⁶⁵ სტალინი ი. თხზ. ტ. 1, 1901-1907 წწ. თბ., 1947 (1), გვ. 25-30.

გარკვეული ყოფაცხოვრებით და მათი მოსახლეობის (არარუსულის) ნაციონალური შემადგენლობით.“ აქედან გამომდინარე, სტალინი თვლიდა, რომ ოლქებად რუსეთის დანაწილებას „საფუძვლად ნაციონალური ნიშანი“ უნდა დასდებოდა.

აღნიშნული რეალობის გათვალისწინებით, რუსეთში ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალურ ფორმად სტალინს ასეთი რამის გაკეთება მიაჩნდა: „1) გამოყოფის უფლება რუსეთის განსაზღვრულ ოლქებში მოსახლე იმ ერებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ, არ სურთ დარჩნენ მის ფარგლებში;

2) პოლიტიკური ავტონომია ერთიანი (გაერთიანებული) სახელმწიფოს ფარგლებში კონსტიტუციის ერთიანი ნორმებით იმ ოლქებისათვის, რომლებიც განსაზღვრული ნაციონალური შემადგენლობით განირჩევიან და მთელის ფარგლებში რჩებიან.“

მართალია, რუსეთის შემადგენლობაში ცალკეული ოლქებისათვის ავტონომიის მინიჭების უფლებას სტალინი ადრეც უჭერდა მხარს, მაგრამ ამგვარი ოლქების შექმნას საფუძვლად იგი არა ნაციონალურ პრინციპს მიიჩნევდა, არამედ მხოლოდ ტერიტორიულ ფაქტორს. ზემოთ აღნიშნულ დებულებაში კი მისი ეს მოთხოვნა უკვე არსებითად იყო შეცვლილი და ავტონომიური ოლქის შექმნის უმთავრეს პირობად ხსენებული ტერიტორიული ერთეულის „ნაციონალური შემადგენლობით გამორჩეულობა“ იყო მიჩნეული.

ჩაგრულ ერთა სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს სტალინმა განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის ბოლშევიკების მეშვიდე (აპრილის) კონფერენციაზე გამოსვლის დროსაც მიაქცია. კერძოდ, ამ კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში⁶⁶ მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა პირადად მისი და მისი თანაპარტიელების პოზიცია რუსეთი სახელმწიფოებრივ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

სტალინის აზრით, „რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ჩაგრულ ხალხებს უნდა მიცემოდათ უფლება, თვითონ გადაეწყვიტათ საკითხი - რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში სურდათ დარჩენა, თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფა.“ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ცხადია, უადრესად პროგრესული მოვლენაა და დღესაც მისაღები, მაგრამ კონკრეტულად იმდროინდელ ვითარებასთან მისადაგებით ამ მოსაზრების ავტორის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება აშკარად შეუსაბამოა აღნიშნულ დებულებასთან. კერძოდ, თუ იმხანად რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ფინეთის პრობლემაზე საუბრის დროს სტალინი პრინ-

⁶⁶ სტალინი ი. თხზ. ტ. 1, 1901-1907 წწ. თბ., 1947 (1), გვ. 54-61.

ციპულად უჭერდა მხარს რუსეთისაგან მის გამოყოფასა და ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, იგი ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის შემადგენლობაში შემავალი სხვა ეროვნული რეგიონების მისგან გამოყოფას.

სტალინის ხაზგასმით, ერთა თავისუფალი გამოყოფის უფლების აღიარება არამც და არამც არ უნდა გაგვევიგვივინა ერის გამოყოფის აუცილებლობასთან. მისი თქმით, მათი „ერთმანეთში არევა შეუწყნარებელია და ეს საკითხი პროლეტარიატის პარტიამ ყოველ ცალკე შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს ვითარების მიხედვით. როდესაც ჩაგრულ ეროვნებათა გამოყოფის უფლებას, თავიანთი პოლიტიკური ბედის გადაჭრის უფლებას ვაღიარებთ, ჩვენ ამით არ ვწყვეტთ საკითხს - უნდა გამოეყონ თუ არა რუსეთის სახელმწიფოს მოცემულ მომენტში ეს და ეს ერები. მე შემიძლია ვაღიარო ერის გამოყოფის უფლება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მე იგი ვაღიარებ ვაღიარებ, ასე მოიქცეს.“

როგორც დამონმებული ფრაგმენტიდან ნათლად ჩანს, სტალინის მიერ თავად ერის მიერ გადასაწყვეტ უზენაეს ნებად გამოცხადებული ეროვნული თვითგამორკვევის უფლება ფაქტობრივად მხოლოდ სიტყვიერ განაცხადად დარჩა და ავტორი ამ უფლების რეალურად აღსრულების მთავარ პირობად თავად ერის ნებას კი არ მიიჩნევდა, არამედ მის გადაწყვეტას მხოლოდ პარტიული პრინციპების საფუძველზე თვლიდა მიზანშეწონილად.

ამიერკავკასიასთან და კავკასიასთან (ცალკე ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულად სტალინი საქართველოზე გაცილებით ხშირად სწორედ ამ რეგიონს მოიხსენიებდა ხოლმე) დაკავშირებით კი მისი პოზიცია ზემოთ ხსენებულ ნაშრომში ავტორს ასე ჰქონდა ჩამოყალიბებული: „მე პირადად წინააღმდეგი ვიქნებოდი ამიერკავკასიის გამოყოფისა, ვიღებ რა მხედველობაში საერთო განვითარებას ამიერკავკასიასა და რუსეთში, პროლეტარიატის ბრძოლის განსაზღვრულ პირობებს და სხვ.“

ეროვნულ საკითხს სტალინი 1917 წელს კიდევ ერთი სტატიით გამოეხმაურა. ესაა 1917 წლის 13 აგვისტოს დაბეჭდილი წერილი „კონტრრევოლუცია და რუსეთის ხალხები“⁶⁷, რომელშიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი პარტიული თვალთახედვა მან შემდეგნაირად განსაზღვრა: „ჩვენ სრულებით არა ვართ წინააღმდეგნი ხალხთა ერთ მთლიან სახელმწიფოდ გაერთიანებისა. ჩვენ სრულებითაც არ ვემხრობით დიდი სახელმწიფოების წვრილ სახელმწიფოებად დაქუცმაცებას, ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ წვრილი სახელმწიფოების დიდ სახ-

⁶⁷ სტალინი ი. თხზ. ტ. 3, 1917 წ. მარტი-ოქტომბერი, 1948 (1). გვ. 233-237.

ელმწიფოებად გაერთიანება ერთ-ერთი პირობაა, რომელიც ადვილებს სოციალიზმის განხორციელების საქმეს.“ მართალია, სტალინი ამ შემთხვევაში კონკრეტულად არ ასახელებდა მისეული დასკვნის მიღმა ნაგულისხმევ სახელმწიფოებს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი პირველ ყოვლისა რუსეთს რომ გულისხმობდა, ეს არაორაზროვნად ჩანს ხსენებული პუბლიკაციიდან.

მოკლედ, ასეთია ის უმთავრესი პარტიულ-პოლიტიკური პრინციპები, რომლებიც სტალინს ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით ჰქონდა ჩამოყალიბებული რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის (გადატრიალების) მოხდენამდე გამოქვეყნებულ თავის წერილებში.

1917 წლის რევოლუციის (გადატრიალების) შემდეგ, ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლით, კი ფაქტობრივად რადიკალურად შეიცვალა სტალინის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვა. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმან, რომ იგი უკვე ამ მოვლენის შედეგად რუსეთის იმპერიაში დამკვიდრებული საბჭოთა ხელისუფლების მმართველი ელიტის ერთ-ერთი უპირველესი წარმომადგენელი გახდა, რომელსაც რეალური შესაძლებლობა მიეცა იმისა, თავად განეხორციელებინა რუსეთში მცხოვრებ ერთა თვითგამორკვევისა და ეროვნული ჩაგვრის აღმოფხვრის ის გამოვლინებანი, რასაც თავადაც ამხელდა ამ მოვლენამდე დაწერილ თავის წერილებში.

ქვემოთ შევეცდები, თვითონ სტალინის პუბლიკაციებზე დაყრდნობით, მკითხველს არგუმენტირებულად დავანახო, რამდენად განახორციელა მან მის მანამდელ პუბლიკაციებში ხაზგასმით და მრავალგზის დაფიქსირებული მონოღება რუსეთში მცხოვრები არარუსი ხალხების ეროვნული ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველ ეტაპზე, როცა ომის ქარცეცხლში გახვეული რუსეთის ახალი ხელისუფლების წინაშე მთელი სიმწვავეით დადგა ძალაუფლების შენარჩუნების პრობლემა, მმართველი ძალის მიერ გატარებული ეროვნული პოლიტიკა რამდენადმე კომპრომისული იყო. სათანადო სამხედრო ძალის არქონის გამო, ხელისუფლება მმართველობით კონტროლს უკვე ვეღარ უწევდა იმპერიის განაპირა, არარუსული ეთნოსებით დასახლებულ, რეგიონებს, რომლებიც თანდათანობით გამოდიოდნენ მპყრობელი ქვეყნის შემადგენლობიდან და აქტიურად ემზადებოდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ფორმირებისათვის. მართალია, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მესვეურები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ამ პროცესს წინ რომ აღდგომოდნენ, მაგრამ რამდენიმე რეგიონმა მიზანს მაინც მიაღწია და რეალურად გამო-

აცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მათ შორის იყო საქართველოც.

როგორც სტალინის ბიოგრაფიდანაც და წერილობითი ნააზრევებიდანაც თვალნათლივ ჩანს, მას თავიდანვე მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა იმ პოლიტიკისადმი, რომელიც ქართველ მამულიშვილთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის უმთავრესი მიზანსწრაფვის საგანს წარმოადგენდა იმხანად. მისმა ამგვარმა თვალთახედვამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

კერძოდ, სტალინი პრინციპულად დაუპირისპირდა 1917 წლის ნოემბერში თბილისში შექმნილ ამიერკავკასიის კომისარიატს და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე, 1918 წლის 15 იანვარს, წარმოთქმულ სიტყვაში ამიერკავკასიის ხალხთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების ბრძოლას „ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის მხოლოდ და მხოლოდ ფარისევლური საფარი უნოდა მშრომელი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღებული ლაშქრობისა“.⁶⁸

ამიერკავკასიელ ხალხთა ნაციონალისტ თავკაცებთან დაპირისპირების დროს სტალინი განსაკუთრებულ აგრესიას ქართველი ლიდერების მიმართ ავლენდა, რასაც არსებითად განაპირობებდა რწმენა იმისა, რომ ხსენებული მოვლენის ცენტრად მას თბილისი მიაჩნდა, რომელსაც „ანტისაბჭოთა კოალიციის დედაქალაქსა“ და „მძინარა ქალაქს“ უწოდებდა.

სტალინი არა მარტო გარედან ადევნებდა თვალს ამიერკავკასიაში იმხანად მიმდინარე მოვლენებს, არამედ თავადაც გამოდიოდა ამ მოვლენათა წარმმართველის როლშიც. როგორც მისი ბიოგრაფიდანაც ცნობილი, იგი საგანგებო მისიით რამდენჯერმე იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიასა და ბაქოში და პირადად მიიღო მონაწილეობა აქ მიმდინარე რევოლუციური ბრძოლების გააქტიურების საქმეში.

1918 წელს გაზეთ „პრავდის“ 26 და 27 მარტის ნომრებში გამოქვეყნებულ წერილში „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით“ სტალინი უდიდესი კმაყოფილებით ამცნობდა საზოგადოებას იმ ფაქტს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის ფრონტზე საბჭოთა რუსეთის მიერ მოპოვებულ წარმატებათა შედეგად „ჩრდილოეთიდან მომავალი საბჭოთა რევოლუციის ტალღები უბოდიშოდ შეიჭრა ამიერკავკასიის კოალიციის სამეფოში და მის არსებობას დაემუქრა“.⁶⁹ სტალინის ინფორმაციით „ჩრდილოეთიდან მომავალმა რევოლუციამ ახ-

⁶⁸ სტალინი ი. თხზ. ტ. 4, 1917 წ.ნოემბერი – 1920 წწ. თბ., 1948 (2).

⁶⁹ სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 64.

ალი ბრძოლისთვის იმდენად აამხედრა ამიერკავკასიის პროლეტარიატი,“ რომ „მენშევიკური კონტრრევოლუციის დასაყრდენის, მძინარა თბილისის მუშებიც კი ზურგს აქცევდნენ ამიერკავკასიის კომისარიატს და მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებას“.70

საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში შექმნილი მდგომარეობით სტალინის განპირობებულმა შემფოთებამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შეიძინა ამ ქვეყნების მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების წინარე პერიოდში. ამ თვალსაზრისის დასტურად აქ 1918 წლის 23 მაისს, ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სამი დღით ადრე, გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული მისი წერილი - „მდგომარეობა კავკასიაში“ მინდა გავიხსენო. ამ პუბლიკაციის მეშვეობით სტალინი უღრმეს შემფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ (22 აპრილს), რასაც ხელ-ფეხი უნდა გაეხსნა თბილისის „მთავრობისათვის“, მისი შეფასებით, ნამდვილად საერთაშორისო ხაფანგში გააბა იგი“.71

სტალინი მკვეთრად ნეგატიურ შეფასებას აძლევდა მენშევიკური მთავრობის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. თბილისის „მთავრობის“ ამგვარი მოქმედებით აღშფოთებული, იგი კმაყოფილებით იუნყებოდა, რომ მათ წინააღმდეგ თითქოსდა ერთსულოვნად აჯანყდა მთელი აფხაზეთი, რომლის მოსახლეობა „გმირულად გამოვიდა „თბილისის „მთავრობის“ შავი ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად“ და იარაღით ხელში იცავდა სოხუმს მათი აგრესიისაგან. საბედნიეროდ, აფხაზეთში იმხანად შექმნილი მდგომარეობა მალევე მოწესრიგდა. კერძოდ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, „ბოლშევიკებისაგან აფხაზეთის გასაწმენდად“ და იქ წესრიგის დასამყარებლად ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება იქ სახალხო გვარდიის გაგზავნის შესახებ, რომელმაც 1918 წლის 17 მაისს დაამარცხეს ბოლშევიკების ჯარი და ზემოთ შევიდნენ სოხუმში.72

სტალინის იმდროინდელი წერილებიდან თვალნათლივ ვლინდება მისი აქტიური მცდელობა, რუსეთის იმდროინდელ მესვეურებს ყველაფერი გაეკეთებინათ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად და რუსეთის იმპერიულ სივრცეში მოსაქცევად. სტალინის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას 1918 წლის 31 აგვისტოს მის მიერ ლენინისთვის გაგზავნილი წერილიდან დამონშებული ეს ფრაგმენტიც ნათლად

70 სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 65.

71 სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 103.

72 მაზნიაშვილი გ. მოგონებანი, თბ., 1990. გვ. 55.

ადასტურებს: „წარმოებს ბრძოლა სამხრეთისა და კასპიისათვის. მთელი ეს რაიონი რომ შევიწარჩუნოთ (და იგი შეიძლება შევიწარჩუნოთ!), საჭიროა გვექონდეს მსუბუქი ტიპის რამდენიმე ნაღმოსანი და ორიოდ წყალქვეშა ნავი... გემუდარებით დაამსხვრიოთ ყველა დაბრკოლება (ხაზგასმა ჩემი - ა. ნ.) და ამით გააადვილოთ ყოველივე იმის მიღების საქმე, რაც საჭიროა. ბაქო, თურქისტანი, ჩრდილოეთ კავკასია ჩვენი იქნება (უეჭველად!)“. ⁷³

მიუხედავად იმისა, რომ დამონმებულ ფრაგმენტში უშუალოდ საქართველო მოხსენიებული არ არის, კონტექსტიდანაც და სტალინის იმდროინდელი მოღვაწეობის წარმომჩენი სხვა დოკუმენტებიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ გასატარებელი ამ აგრესიული პოლიტიკის ობიექტად ის და მისი კოლეგები თავიანთი დამპყრობლური პოლიტიკის სამიზნედ ჩვენს ქვეყანასაც მოიაზრებდნენ. მაგრამ, ამგვარი აქტიურობის მიუხედავად, საბჭოთა რუსეთმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების „განთლება“ და თავის სახელმწიფოებრივ შემადგენლობაში განმეორებით მისი შეყვანა მაინც ვერ შეძლო. იმის ნათელსაყოფად, ამ ტრაგიკული მოვლენის ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი სტალინიც რომ იყო, დავიმონებ რამდენიმე ფრაგმენტს მისი იმდროინდელი ნააზრევიდან.

1920 წლის 30 ნოემბერს „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილში - „მდგომარეობა კავკასიაში“ კავკასიიდან დაბრუნებული სტალინი დაწვრილებით მიმოიხილავდა იქ არსებულ მდგომარეობას და მკაფიოდ განსაზღვრავდა საბჭოთა რუსეთის სახელმწიფოებრივ სტრატეგიას ამ რეგიონთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი არაორაზროვნად აცხადებდა, რომ „რევოლუციისთვის კავკასიის დიდი მნიშვნელობა“ მარტო იმით კი არ იყო განპირობებული, რომ ეს მხარე „ნედლეულის, სათბობისა და სურსათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპასა და აზიას შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული გზების არსებობით (ბათუმი - ბაქო, ბათუმი - თავრიზი - არზრუმი)“. ⁷⁴ სტალინის აზრით, აქედან გამომდინარე, რუსეთისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, „ვინ მოიკიდებდა ფეხს კავკასიაში - რევოლუცია თუ ანტანტა.“ მისი შეფასებით, იმდროინდელი თბილისი „კონტრრევოლუციური მუშაობის ბაზად“ იყო ქცეული და ანტანტის ძლიერ დასაყრდენ ცენტრს წარმოადგენდა.

როგორც დამონმებული ფრაგმენტებიდანაც თვალნათლივ ჩანს, საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში იმხანად მიმდინარე იმ მოვლენებისადმი, რომელთა უმთავრეს მიზანსაც ამ რესპუბლიკების

⁷³ სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 103.

⁷⁴ სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 444.

დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დამკვიდრება წარმოადგენდა, სტალინი არა მარტო სიტყვიერად გამოხატავდა მკვეთრად ნეგატიურ დამოუკიდებლობას, არამედ ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიურ ორგანიზატორადაც გვევლინებოდა და ყველაფერს აკეთებდა განახლებული იმპერიის ფარგლებში მათ დასამკვიდრებლად. და როცა 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოცხადდა, „პრავდის“ 4 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ მის წერილში - „გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!“ იგი სიხარულით ამცნობდა მკითხველებს, რომ „განანამებმა და მრავალტანჯულმა სომხეთმა საწადელს მიაღწია და თავი საბჭოთა ქვეყნად გამოაცხადა,“ რითაც „ნაციონალური განახლების“ გზა იპოვა.⁷⁵

სტალინის შეფასებით, აღნიშნული თვალსაზრისით ყველაზე კრიტიკული მდგომარეობა საქართველოში არსებობდა. კერძოდ, ჩვენს ქვეყანაში იმხანად მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოვლენებისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოუკიდებულება მან განსაკუთრებული ძალით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ გამოავლინა და „გაკოტრებული ქართველი სოციალ-მედუქნეების“ (სტალინის სიტყვებითა - ა. ნ.) მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება ამგვარად შეაფასა: საქართველოს, როგორც „დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს, წარმოშობამ ვერ დაამყარა და არც შეეძლო დაემყარებინა ეროვნებათა მშვიდობიანი თანაცხოვრება, ვერ მოსპო და არც შეეძლო მოესპო ნაციონალური უთანასწორობა, არც ნაციონალური ჩაგვრა“.⁷⁶

სტალინმა ეს მოსაზრება 1921 წლის 10 თებერვალს გამოთქვა. მისი უკმაყოფილება ამ შემთხვევაში იმითაც უნდა აიხსნას, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთისაგან განსხვავებით, საქართველო იმხანად ჯერ კიდევ ინარჩუნებდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად რუსეთი უკვე იწყებდა ფართო მასშტაბიან და აქტიურ საბრძოლო ოპერაციებს. ლენინთან ერთად, ამ ტრადიკული მოვლენის მთავარ ორგანიზატორს სტალინიც რომ წარმოადგენდა, ამას საქართველოში რევკომის შექმნის პროცესში მისი აქტიური მონაწილეობაც ადასტურებს.

ამ მოვლენიდან ოთხ თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, 1921 წლის 6 ივლისს გამართულ საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის კრებაზე გაკეთებულ მოხსენებაში - „კომუნისტების მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ სტალინმა ამიერკავკა-

⁷⁵ სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ., 1947 (2). გვ. 449.

⁷⁶ სტალინი ი. თხზ. ტ. 5, თბ. 1921- 1923 წწ. თბ., 1949. გვ. 15.

სიის რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არსებობა შეუძლებლად მიიჩნია და ერთ ფედერაციულ სახელმწიფოდ მათი გაერთიანება მოითხოვა. მისმა პარტიულმა დირექტივამ ის შედეგი გამოიღო, რომ 1922 წლის 12 მარტს ოფიციალურად იქნა მიღებული გადანყვეტილება ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის შესახებ. მის შემადგენლობაში ურთიერთშორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შევიდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოციალისტური რესპუბლიკები; 1922 წლის 16 დეკემბერს კი ამ ფედერაციას აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაც შეუერთდა, რომელიც 1921 წლის 16 დეკემბერს თბლისში გაფორმებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე ე. წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკად შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში.

როგორც ცნობილია, თავის მხრივ, 1922 წლის 30 დეკემბერს ამიერკავკასიის ფედერაცია სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდა. 1931 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების მეექვსე ყრილობის გადანყვეტილებით, აფხაზეთს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი ჩამოერთვა და იგი საქართველოს სსრ შემადგენლობაში უკვე ავტონომიური რესპუბლიკის სახით გაერთიანდა; 1936 წლის 5 დეკემბერს კი ამიერკავკასიის ფედერაციაც დაიშალა და სამივე რესპუბლიკა ფორმალურად დამოუკიდებელი რესპუბლიკების სტატუსით ცალ-ცალკე შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში.

The Stalinist Concept of The National Problem and Georgia

Stalin's national, social, and political beliefs were determined by the basic principles of the Social Democratic Party. A clear manifestation of this circumstance is the attitude he had towards the national-state problems of Georgian and other non-Russian peoples within the Russian Empire (later the Soviet Union). The fact that he was not only committed to the anti-national policy of the Social Democratic Party's leaders but that he was the primary architect of this policy added special dimensions to his party's point of view. Therefore, he considered the existence of Georgia as an independent state to be an unreal event and considered our country to be an integral part of the Soviet (Russian) imperial space. This point of view was established as a solid foundation during the preliminary stages of his party's activity. Based on his party interests, Stalin assigned an essentially significant role to class aspirations compared to national interests and analyzed events from this point of view. A special interest in the national problem was manifested in his works with renewed force after the revolutions in Russia in 1917. Unfortunately, Stalin had a strongly negative attitude towards the state independence of Georgia and actively opposed the supporters of this idea throughout his life. Therefore, he played an extremely negative role in the conquest of our country by Soviet Russia in 1921.

ნათელა ვაჩნაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ელენე გიუნაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ქართლი – იმპერიათა შეჯახების სივრცე. VI საუკუნის ქართლი და სასანური ირანი: რელიგიურ მიმართებათა ასპექტები

საკვანძო სიტყვები: VI საუკუნის ქართლი, ისლამამდელი ირანი, ზოროასტრიზმი, ქართული ჰაგიოგრაფია.

ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა ნათელს ჰფენს არა მხოლოდ ქართლის სამეფოს პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ვითარებას, არამედ ორი, იმ დროის უძლიერესი იმპერიის ბიზანტიის და სასანიანთა ირანისას, რომელთაც ქართლი (რესპიციტივე: აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო) ძლიერი პოლიტიკური შეჯახებებისა და ხანგრძლივი ომების ასპარეზად აქციეს. სამწუხაროა, რომ ამ იმპერიების შესახებ არსებულ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში, განსაკუთრებით სასანური ირანის რელიგიისა და კულტურის ისტორიას რომ შეეხება, თითქმის არ გამოიყენება ქართული ჰაგიოგრაფიის ისეთი ნიმუში, როგორცაა აბიბოს ნეკრესელის „ნამეხის“, ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი ტექსტი. სწორედ ამ თხზულებას ვეყრდნობოდით, როდესაც არც თუ დიდი ხნის წინ ვიხილავდით ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ვითარებასა და სასანელთა მიერ მასში გატარებულ რელიგიურ პოლიტიკას, რომლის რეკონსტრუქციისთვის უიშვიათეს ცნობებს სწორედ ჩვენს მიერ შერჩეული ზემოაღნიშნული ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება გვანვდის.⁷⁷

⁷⁷ წინამდებარე კრებულში განთავსებულია 2019 წლის 11-14 ოქტომბერს საქართველოში /ბათუმი-ტრაპიზონი/ საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კავშირის მიერ ჩატარებული დიდი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „შავი ზღვა და შავი ზღვისპირეთის ქვეყნები - კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინი IV-XV საუკუნეებში“ (იხილეთ აბსტრაქტების კრებული) - კრებულისთვის მომზადებული სტატიის ახალი ვერსია. როგორც ცნობილია, ისტორიკოსის ნააზრევი დიდადაა დამოკიდებული წყაროთმცოდნეობით ბაზაზე: ისტორიკოსი ეყარება ან საკუთრივ მის მიერ მიგნებულ და გამოსაცემად

აბიბოს ნეკრესელის „ნამებაში“ აღწერილია VI ს-ის II ნახევრის ქართლის პოლიტიკური და რელიგიური ვითარების ამსახველი სურათი, თავად თხზულება დაწერილი უნდა იყოს IX საუკუნის II ნახევარში ქართლის კათალიკოსის არსენ დიდის მიერ. აღნიშნული დათარიღება ტექსტის მხოლოდ ერთ – ვრცელ ვერსიას ეხება. მაგრამ ეს ქრონოლოგიის საკითხია

მომზადებულს, ანდა იმ წყაროს, რომელიც მეცნიერებს სწორედ იმ მომენტში მოუპოვება, როდესაც მკვლევარი მისთვის საინტერესო პრობლემაზე იწყებს მუშაობას. ჩვენს შემთხვევაში სწორედ ასე მოხდა, ამიტომაც დღემდე გამოქვეყნებული ჩვენი ყველა სტატია, ა ბ ი ბ ს ნ ე კ რ ე ს ე ლ ი ს მონამებრივი აღსასრულისადმი მიძღვნილი, ემყარება იმ ორ ყველაზე მნიშვნელოვან ხელნაწერს /დანარჩენი ხელნაწერების მონაცემები კითხვა-სხვაობებშია მოტანილი/, რომელიც დადგენილი და გამოცემულია ბატონ ილია აბულაძის – გამოჩენილი ტექსტოლოგის —ხელმძღვანელობითა და რედაქციით და აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის /ამჟამინდელი ეროვნული ცენტრი/ უმაღლესი რანგის სპეციალისტთა ერთი ნაწილის მონაწილეობით. მაშინ, როდესაც იწერებოდა ეს მოხსენება, ხოლო შემდგომ სტატია კრებულისთვის / „ბიზანტიოლოგია საქართველოში - 5“/: „შავი ზღვა და შავი ზღვისპირეთის ქვეყნები - კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინი IV-XV საუკუნეებში“, ჯერ არ იყო გამოცემული ბატონ ზაზა ალექსიძის „საქმენი იოვანე ზედაზანელისანი“ და „მარტვლობა აბიბოს ნეკრესელისა“. სინური რედაქციები. გელათის მეცნიერებათა აკადემიის და კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი გამოცემა, თბილისი, 2019. „ელენე გიუნაშვილის შეკითხვაზე: „ბატონო ზაზა, როდის გამოვა თქვენი ახალი წიგნი?“ – იყო ბატონი ზაზას პასუხი: „მალე, სულ მალე“. მაგრამ ჩვენი ერთობლივი მოხსენების თეზისები უკვე გადაცემული იყო გამოსაქვეყნებლად, რატომაც მასში ვერ ჰპოვა ასახვა ახალმა აღმოჩენამ.

ჩვენს მოხსენებაში გამოყენებული იყო აბიბოს ნეკრესელის „ნამების“ ორი რედაქცია და ჩვენი მსჯელობაც სწორედ მათ ემყარებოდა ისევე, როგორც ეს ჩვენს ერთობლივ სტატიაში, უფრო ადრე გამოცემულში, იყო (იხ.: ვაჩნაძე, ნ., გიუნაშვილი, ე., (2019) „... დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და ივინი ელმნიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა (VI ს.)“. „ისტორიანი“. სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2019, გვ. 62-81 (თანდართული სამეცნიერო ლიტერატურა და ინგლისური რეზიუმეები). ბატონი ზაზა ალექსიძის ახალი წიგნის წინათქმამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ავტორი წერს: „სამწუხაროდ, აქამდე ვერ მომიხერხდა ტექსტოლოგთათვის ასეთი ძვირფასი ტექსტის სრულად გამოქვეყნება, რის გამოსწორებასაც წინამდებარე ნაშრომში შევეცდები. არ ვარგა თავის მართლება, მაგრამ მაინც მიინდა ვთქვა, რომ წმ. ეკატერინეს მონასტერში ჩემ მიერ გამოვლენილი კავკასიის ალბანეთის პალიმფსესტური ტექსტის ამოკითხვამ, იდენტიფიკაციამ და გაშიფრვამ ყველაზე ნაყოფიერი დრო წაიღო“ (ზაზა ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5). ავტორის ეს სიტყვები მკითხველისადმი პატივისცემის გამოხატულებად მივიღეთ (ნ. ვ., ე. გ.).

და მარტოოდენ მისით ვერ შემოვიფარგლებით, საჭიროა ტექსტის სტრუქტურას შევხვით.

ჯერ კიდევ როდის წერდა ბატონი ივანე ჯავახიშვილი: „...არსენი კათალიკოსს ხელთ ჰქონია „ნ ი გ ნ ა მ ე ბ ი ს ა ა ბ ი ბ ო ს ნ ე კ რ ე ს ე ლ ი ს ა ა“, რომელშიაც აღწერილი ყოფილა აბიბოსის „ს ა ქ მ ე ნ ი და შ რ ო მ ა ნ ი“ (ორივე შემთხვევაში დაყოფა ივანე ჯავახიშვილისეულია), სხვათა შორის იქ ქართველ წარმართთა შორის მისი მქადაგებლობითი მოღვაწეობა და მათი გაქრისტიანების ამბავი და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ვ ი ს ე ბ ი ს ნ ი ნ ა ს ნ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ც ყ ო ფ ი ლ ა, რ ო მ ე ლ ი ც ა ს რ უ ლ ე ბ უ ლ ა“ (სიტყვათა გამოყოფა ჩვენია, ნ.ვ., ე.გ.).⁷⁸ ამიტომ ფიქრობდა ბატონი ივანე, რომ „... არსენი კათალიკოსის აღწერილ ცხორებაში მარტო პირადად მისი მოთხრობა და სტილისტიკა კი არ უნდა იყოს, არამედ მისი წყაროს ნაწყვეტებიც, ზოგჯერ, ალბათ, სიტყვა-სიტყვითი მოთხრობაც და სტილისტიკაც უნდა გვეგულებოდეს“.⁷⁹ აბიბოს ნეკრესელის „ნამების“ ტექსტის განხილვისას, ბატონი ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას აპყრობს სწორედ ქართლის ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, კერძოდ, მის დაპყრობას სპარსთა მიერ, დამპყრობთა განმძვინვარებასა და სამეფოს უპირველესი ნიშნის – სამეფო ტახტის გაუქმებას, რაც გამოხატულია წინადადებაში: „მიერთგან ერისთავნი იქნნეს მპყრობელ ქართლისა, და სხუანი მრავალნი, ვ ი თ ა რ ც ა ნ ე რ ი ლ ა რ ი ა ნ ნ ი გ ნ ს ა მ ა ს ნ ა მ ე ბ ი ს ა მ ი ს ი ს ა ს ა“.⁸⁰ მთელი ეს მსჯელობა შეეხება არქეტიპს ისევე, როგორც აბიბოსის წინასწარმეტყველება: „... მ ო ვ ი დ ე ს ბ ე რ ძ ე ნ ნ ი დ ა გ ა ნ ა ს ხ ნ ე ს უ ს ჯ უ ლ ო ნ ი ი გ ი ს პ

⁷⁸ ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნიდან ამოღებული ეს ციტატა დამონმებულია შემდეგი გამოცემიდან: ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I, თბილისი, 1979, გვ.399.გამოცემის კონტრტიტულზე აღნიშნულია, რომ „წინამდებარე მეექვსე გამოცემაში გათვალისწინებულია ზუთივე გამოცემის ყველა ძირითადი თავისებურება. ამავე დროს ახლად რედაქტირებული ტექსტის დედანი შედარებულია „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნის ავტორისეულ ხელნაწერთან“ და ჩამოთვლილია გამოცემათა წლები: 1908, 1913, 1928, 1951, 1960. ჩვენ მიერ ციტირებულ ტექსტებს არ ატყვია არავითარი ცვლილების კვალი ამ ახალ გამოცემაში (ავტორები).

⁷⁹ Ibid., გვ. 399.

⁸⁰ Ibid. შდრ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.). დასაბუჯდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964, გვ. 24632-33 (), ასევე 24634-35 ().

არსნი და დაიპყრეს ქუეყანა ექუენი“...⁸¹⁵ ბატონი ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ეს ცნობები უძველესი და „პირვანდელი წყაროდან ამოღებული უნდა იყოს და მაშინდელი ცხოვრების უტყუარ სურათს წარმოადგენდეს.

ამ მხრივ ეს ძეგლი ევსტათემ ცხეთელის მართვით ეწინააღმდეგება იმ გარემოებასაც, რომ ჯერ კიდევ „აკად.[მარი-ფელისიტე] ბროსესა და პროფ. კ. კეკელიძესაც ჰქონდათ აღნიშნული, რომ აბიბოს ნეკრესელის წინასწარმეტყველება და მისი ახდომა VI საუკუნის დამლევის აღმ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის სრულებით კონკრეტულ შემთხვეულობას ჰგულისხმობს, რომ ამ ცირეპიზოდის ცოდნამ ხოლოდ თანამედროვეს შეიძლება ჩაარჩომოდამეხსიერებაში“⁸³⁷ (დაყოფა ჩვენია, ნ.ვ. ე.გ.)

ბატონი ივანეს დასკვნა ასეთია: „წამების“ პირვანდელი წიგნი ან VI საუკუნის დამლევის, ანდა VII საუკუნის დამლევის უნდა იყოს, უკიდურეს შემთხვევაში, მის პირველ ნახევარში თანამედროვის მიერ შექმნილი.“⁸⁴⁸ გარდა ვრცელი რედაქციისა, არსებობს იგივე „წამების“ მეორე, შემოკლებული რედაქციაც, შექმნილი X საუკუნის მოღვაწის არსენ II-ის (955-980), ქართლის კათალიკოსის, მიერ, რომელიც ემყარება კათალიკოს არსენ დიდის შექმნილ ტექსტს, რომელშიც არქეტიპიდან მომდინარე წინასწარმეტყველების ეპიზოდი, უნდა ვიფიქროთ, სწორედ კათალიკოს არსენ დიდის მიერ შეთხზული ვერსიიდან მომდინარეობს, თუმც მათ შორის განსხვავებაც თვალნათლივ შეიმჩნევა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდის დასასრულს შეეხება მხოლოდ და სრულიად არ ეხება წარმოდგენილი ეპიზოდის შესახებ ჩვენს მსჯელობას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ დასასრულს თავისთავად „წამების“ ტექსტის გააზრებისთვის, განსაკუთრებით მოკლე ვერსიისას, დიდი მნიშვნელობა არ აქვს.⁸⁵⁹ ბატონმა ზაზა ალექსიძემ ერთი უცნობი დედაკაცისთვის ნაწინასწარმეტყველებ სასწაულში აღწერილი პოლიტიკური ვითარება ო და რედაქციებისა შეუდარა მესამე რედაქციას – N/მინ.გეო50-ს და მივიდა დასკვნამდე, რომ „...აბიბოსის

⁸¹ ჯავახიშვილი, ივ., დასახელებული ნაშრომი. გვ.398.

⁸² Ibid., გვ. 401.

⁸³ Ibid.

⁸⁴ Ibid.

⁸⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.). გვ. 24623-35 ().

მარტვილობის ტექსტში ბერძენთა მოსვლა ჰერაკლეს მიერ ქართლის აღებას უნდა გულისხმობდეს (VII ს-ის 20-30-იანი წლები)“,⁸⁶ ხოლო არქეტიპის დაწერის თარიღი VII საუკუნის 30-იანი წლების ახლო ხანა უნდა იყოს.⁸⁷

შემოთავაზებული დასკვნა მიღებულია არა მხოლოდ ახლახან აღმოჩენილი აბიბოსის მარტვილობის ტექსტის მიხედვით, არამედ იმავე N/Sin. geo50-ში შემონახულ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებთან ჰერაკლეს ქართლში შემოსვლისა და იქ დატრიალებული მთელი რიგი მოვლენების შესახებ მისივე შედარებით. ამ შედარებიდან გამომდინარე, მეცნიერი ფიქრობს, აგრეთვე, რომ ჩვენთვის საინტერესო არქეტიპი ისევე უნდა დასრულებულიყო, როგორც ამავე თხზულების ხელნაწერით შემორჩენილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ანუ ბიზანტიის კეისრის – ჰერაკლეს – ქართლში ლაშქრობით. არსებობს კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება: პირველქმნილთან, ცხადია, უფრო ახლოს არის, ე.წ. ვრცელი რედაქცია.⁸⁸

ქართველ მწერლებს (სასულიო პირებს) ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ სასაწერო ირანის პოლიტიკურ და კულტურულ თავისებურებებზე, აგრეთვე, საქართველოში იმპერიის მიერ შექმნილ რელიგიურ ვითარებაზე, რასაც გვიდასტურებს წამებათა ციკლის ქართული ორიგინალური წერილობითი ძეგლები, მათ შორის აბიბოს ნეკრესელის „წამება“, არაერთი ქართველი მეცნიერის მიერ ღრმად შესწავლილი და გაანალიზებული როგორც ფილოლოგიური, ისე ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული და ხელნაწერთმცოდნეობითი თვალსაზრისით.

აქვე უნდა აღინიშნოს ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა შესწავლაში ის ღვაწლი, რომელიც რამდენიმე უცხოელმა მეცნიერმა (ქართველოლოგმა) გაიღო. ეს სახელებია: მარი-ფელისიტი ბროსესე, გერტრუდა პეჩი, დევიდ ლენგი, დონალდ რეიფილდი, მარგიტ ბირო, გაბრიელა ვინკლერი და სხვ.

აღსანიშნავია ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების, როგორც ადრექრისტიანული ქართლის სასაწერო ირანთან კულტურულ ურთიერთობათა ამსახველი პირველწყაროების კვლევისადმი მიძღვნილი ბერნადეტ მარტენ-ჰიზარისა და სტივენ რაპის თანამედროვე პუბლიკაციები.⁸⁹

⁸⁶ ალექსიძე, ზ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 193.

⁸⁷ Ibid.

⁸⁸ Ibid.

⁸⁹ **Martin-Hisard, B.,** (1998). Le «Martyre d'Eustathe de Mxeta»: Aspects de la vie politique et religieuse en Ibérie à l'époque de Justinien», EYΨYXIA. Mélanges offerts à Hélène Ahrweiler (Byzantina-Sorbonensia, vol. 16/II). Paris. Éditions de la Sorbonne,

VI საუკუნის ირანის რელიგიისა და კულტურის საკითხების კვლევისთვის მეტად მნიშვნელოვანია თანადროული ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ისეთი ნიმუში, როგორცაა აბიბოს ნეკრესელის „ნამება“, ჩვენამდე მოღწეული ახლა უკვე სამი რედაქციით.

VI საუკუნე სასანელთა ისტორიაში ცნობილია მრავალსახოვანი რეფორმების ხანად, რომელიც უკავშირდებოდა ჯერ მეფეთ-მეფე კავადს (498-531), ხოლო შემდეგ მისი ვაჟის – ხოსრო I ანუშირვანის (531-579) სახელს.

სახელმწიფო-ადმინისტრაციული სისტემის მრავალმხრივი რეფორმა, რომელიც მიმართული იყო ქვეყნის ცენტრალიზაციისა და სოციალურ-ეკონომიკური, ასევე, სამხედრო-სტრუქტურული გაძლიერებისთვის, მნიშვნელოვნად აისახა იმ ხანის ირანის რელიგიურ ცხოვრებაზეც. კერძოდ, როგორც ცნობილია, V-VI საუკუნეების ირანის შესახებ არსებული ბიზანტიური, სპარსული, სირიული, არაბული წყაროებიდან და სამეცნიერო ლიტერატურიდან (ა. ქრისტენსენის, ნ. პიგულევსკაიას, რ. ფრაის, ფ. ჟინიუს და სხვათა შრომებიდან), ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა ქრისტიანობა (უმთავრესად მონოფიზიტური ორიენტაციის, ძირითადად, ნესტორიანობა), რომელიც ნიადაგს აცლიდა ოფიციალურ რელიგიას – ზოროასტრიზმს, ანუ მაზდეანობას. ცეცხლთაყვანისმცემი მოგვები მთელ რიგ ღონისძიებებს მიმართავდნენ, რათა შეეჩერებინათ ეს პროცესი: მეტად ხშირი იყო ქრისტიანთა დევნა, რაც სათანადოდ აისახა კიდევ ჰაგიოგრაფიულსა და საისტორიო თხზულებებში.⁹⁰

ბატონი კორნელი კეკელიძე, აბიბოს ნეკრესელისადმი მიძღვნილი თხზულების ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, მას განიხილავდა როგორც „ანტიმაზდეანურ ტრაქტატს“, რომელშიც ზოროასტრულ-ქრისტიანული ფილოსოფიური საფუძველი გახლავთ წარმოდგენილი.⁹¹

აბიბოს ნეკრესელი, როგორც ტექსტიდანაა ცნობილი, ცეცხლთაყვა-

pp. 493-520; **Martin-Hisard, B.**, (2008). Controverses chrétiennes en terre géorgienne à l'époque sassanide dans la littérature géorgienne originale, Controverses des chrétiens dans l'Iran sassanide". Textes réunis par Christelle Jullien (Studia Iranica. Cahier 36). Paris, pp.171-190; **Rapp, S.**, (2014). The Sasanian World through Georgian Eyes: Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature. Ashgate.

⁹⁰ ქრისტიანობის შესახებ ისლამამდელ ირანში იხ. „Encyclopaedia Iranica“ -ში გამოცემული იმ სტატიათა კრებული, რომლებიც: <https://iranicaonline.org/articles/christianity-ი>, ქრისტიანთა დევნის შესახებ მოგვითხრობს სასანურ ირანში.

⁹¹ **კეკელიძე, კ.**, (1955). ანტიმაზდეისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 3, თსუ-ს გამომცემლობა, გვ.42-60.

ნისმცემლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ემყარებოდა ანტიკურ ფილოსოფიას, კერძოდ, ოთხი ელემენტის თეორიას, რომლის თანახმად სამყარო წარმოიქმნა ცეცხლის (გამოყოფა ჩვენია, ნ. ვ., ე. გ.), წყლის, მიწისა და ჰაერისაგან. ეს თეორია აბიზოს ნეკრესელის შეხედულებებში შერწყმულია ქრისტიანულ წარმოდგენაზე ღმერთზე, როგორც შემოქმედზე, რაც დიდი ხანია აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი, ისე ფილოსოფიურში.

თხზულების სამივე რედაქციაში დაცული ცნობა, რომ სასანელები „... ბილნსა მას კერპთმსახურებასა – ცეცხლისა მის თაყუანის-ცემასა და მსახურებასა – აღასრულებდეს მარადის“ (წ რედაქცია) მეტყველებს იმაზე, რომ აქ კერპთმსახურება განზოგადებულია როგორც არაქრისტიანული, წარმართული რელიგია, რომლის მთავარი ღვთაებრივი რელიგია ცეცხლია.⁹²16 სწორედ ამ წინადადებაშია ჩადებული არსი ცეცხლის თავდაპირველი თაყვანისცემისა, რაც მნიშვნელობას მატებს როგორც მოტანილ ექსცერპტს, ისე მთელ თხზულებას და ეხმარება VI საუკუნის ირანის რელიგიისა და კულტურის ისტორიის საკითხების მკვლევარს ცეცხლის კულტის რაობის ამოსახსნელად სხვადასხვა ეპოქაში. განხილული წინადადების გაგრძელება საინტერესოდ მივიჩნით ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც წინა სტატიაზე ვმუშაობდით.⁹³17 გაგრძელება ეხება ირანის ძველი და „ახალი“ ღმერთების საკითხს, აგრერიგად მნიშვნელოვანს იმპერიის რელიგიისა და კულტურის ისტორიის კვლევისას. მაგრამ მხოლოდ ეს არ წარმოადგენს მის ღირსებას: იგი სწორედაც რომ ნათლად წარმოაჩენს ქართველი უზენაესი სასულიერო წოდების მატარებელი ავტორის ან მისი წყაროს შემქმნელის უდიდეს განსწავლულობას ზოროასტრული მოძღვრების საკითხში.⁹⁴18 ეს სიტყვები იწერებოდა მაშინ, როდესაც სამეცნიერო მიმოქცევაში ჯერ არ იყო შემოსული მესამე ხელნაწერი. მკითხველს ვთავაზობთ აღნიშნულ ადგილს სამივე რედაქციიდან:

N/Sin.geo-50	ვრცელი ვერსია (წ):	მოკლე ვერსია (ყ):
„... ბაბილონისა მის ჩუეულებასა სადმე ოქროსა და სხუანი სხუასა რასამე და ოდესმე ცეცხლსა	„ბაბილოვნურსა მას ჩუეულებასა, სადამე ოქროსა და სხუანი სხუასა რასამე (რასამე DE, რ'ასამე BCFH)	„რამეთუ ჟამსა მას, ოდეს სამეფოჲ ესე ჩუენი ქართლი, სპარსთა მეფესა დაეპყრა და

⁹² ძეგლები, I, გვ. 24139-2421-3 (წ).

⁹³ ვაჩნაძე, ნ., გიუნაშვილი, ე., (2019). „... დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ჳელმნიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა (VI ს.)“, გვ. 73-74.

⁹⁴ Ibid., გვ. 70-74.

ჟამითი-ჟამად, და ოდესმე ცეცხლსაბილწსა მას
 ვითარცა ისწავებდეს ჟამად-ჟამად, ვითარცა მსახურებასა
 თვისსა მისგან ბოროტად ინუეოდეს (ინუებოდეს ჭ) ალასრულებდეს,
 მასწავლელისა ეშმაკისა“. თვისსა მისგან ბოროტად ვითარცა ესწავა
 მასწავლელისა ეშმაკისა“. ბოროტად მასწავლელისა მათისა ეშმაკისაგან“.

როგორც ვხედავთ, N/Sin.გეო-50-სა და Ⴀ რედაქციებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის, ხოლო რაც შეეხება Ⴀ რედაქციას, იქ საერთოდ არ არის ნახსენები: „ბაბილოვნურსა მას ჩუეულებასა, სადამე ოქროსა და სხუანი სხუასა რასამე ... და ოდესმე ცეცხლსა ჟამად-ჟამად...“ და გაგრძელებაშიც განსხვავება შეინიშნება. როგორც ცნობილია ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან, Ⴀ რედაქცია მომდინარეობს Ⴀ-დან, მაგრამ მოკლეა, შემოკლებამ კი მოიყოლა წინადადების სწორედ ის ნაწილი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია, საინტერესო და აშკარად მომდინარეობს არქეტიპიდან.

ზოგადად, ქართველი ინტელექტუალური წრეები, როგორც ბატონი ვალერიან გაბაშვილი აღნიშნავდა, „კარგად იცნობდნენ ძველ აღმოსავლეთს ბიბლიის ტექსტების მიხედვით და, სავარაუდოდ, მრავალი უცხოენოვანი წყაროთი (სირიული, ბერძნული, არაბული). ქართველი მოღვაწეები კარგად იყვნენ გათვითცნობიერებულნი „მსოფლიო ისტორიის“ ფაქტებში, ძველი სამყაროსთვის (ასურეთ-ბაბილონეთი, ეგვიპტე, ირანი...) დამახასიათებელ ისტორიულ მოვლენებში.“⁹⁵

ჩვენი ავტორიც არ კმაყოფილდება მარტოოდენ ცეცხლის განმარტებით, რადგან თხზულებაში ამავე დროს წარმოდგენილია სასანელებისგან ძალზე დაშორებული ეპოქის – აქემენიდების ხანის (550-330 წწ. ძვ. წ. ა.) – ძველი ირანული პანთეონი, სადაც აღნიშნულია, რომ ირანელები „ბაბილოვნურსა მას ჩუეულებასა“ მისდევდნენ, კერძოდ, „სადამე ოქროსა და სხუანი სხუასა რასამე და ოდესმე ცეცხლსა ჟამად-ჟამად“ ეთაყვანებოდნენ. როგორც ცნობილია, ბაბილონური ლიტერატურის თანახმად, სადამე ოქროს გამოსახულებებს, კერპებს ეთაყვანებოდნენ და სხვანი სხვასა, არა ოქროს სალოცავებს და შემდგომ კი – ჟამთა მსვლელობაში – ცეცხლს, როგორც სასანელთა ხანაში გაბატონებული ოფიციალური რელიგიის – ზოროასტრიზმის მთავარ ატრიბუტს.⁹⁶ აქ წარმოდგენილია სრული სუ-

⁹⁵ გაბაშვილი, ვ., (1984). საქართველო და აღმოსავლეთი (V-X სს.). საქართველო და აღმოსავლეთი: კრებული ეძღვნება საქ.სსრ მეცნ.აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ.მეხსიას ხსოვნას.თბილისი. მეცნიერება, გვ.12.

⁹⁶ ამ საკითხის შესახებ უფრო მეტია ჩვენს ერთობლივ სტატიაში: იხ.: ვაჩნაძე, გიუნაშვილი,ე., დასახელებული ნაშრომი, გვ. 73-79.

რათი ძველი ირანული რელიგიური წარმოდგენებისა, რომლებიც უკავშირდება ირანული სახელმწიფოებრიობის დამაარსებელი დინასტიის – აქემენიდების (550-330 წწ. ძვ. წ. ა.) პირველ მონარქებს – კიროსსა და კამბიზს, კერძოდ, კიროს II-ის (600-530 წწ. ძვ. წ. ა.) მიერ ბაბილონის დამხობას (539 წ. ძვ. წ. ა.) და შუამდინარეთის ძველი საკულტო ღვთაებების აღდგენას. ეს ცნობა დაცულია აქადურ ენაზე შესრულებულ ცილინდრული ფორმის თიხის ფირფიტაზე, ცნობილს „კიროსის ცილინდრად“. იგი აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების დროს მესოპოტამიაში, რომლის ერთი ფრაგმენტი ინახება ბრიტანეთის მუზეუმში, ხოლო მეორე ფრაგმენტი – იალეს უნივერსიტეტის ძველი აღმოსავლეთის კოლექციების მუზეუმში. არსებობს წარწერის არაერთი კრიტიკული გამოცემა და თარგმანი. როგორც ტექსტი გვამცნობს, ბაბილონურმა ღვთაებებმა, რომელთა ოქროს კერპებს, ბაბილონური რიტუალისამებრ, ეთაყვანებოდნენ, მათ შორის მთავარმა – მარდუქმა მოავლინა კიროს დიდი მსოფლიოს მპყრობელად და რომლის დახმარებით კიროსის ფერხთით დაემხო ბაბილონი. ბაბილონურ ღვთაებათა განდიდება და აღიარება არ შეიძლება ჩაითვალოს კიროსის უბრალო პროპაგანდად, როგორც ფიქრობს მეცნიერთა ერთი ნაწილი, თუმცა ეს აზრი არ ეწინააღმდეგება შემდეგი აქემენიდი მონარქების – დარიოსისა და ქსერქსეს აჭურა-მაზდასადმი მტკიცე რწმენას, რაც გამოიხატა მათ სახელმწიფო და რელიგიურ პოლიტიკაში. შეიძლება ვივარაუდოთ, როგორც ამას თვლიდა ქალბატონი მერი ბოისი, რომ კიროსის ქმედებები და მისი დამოკიდებულება სხვა (არაირანული) რელიგიებისადმი, განპირობებული იყო უფრო დიპლომატიური პრაგმატიზმით, ვიდრე საკუთარი რელიგიის, ანუ ზოროასტრიზმის დაგმობით⁹⁷21.

ზოროასტრიზმის კანონიზაცია გაცილებით გვიან, სასანელთა ეპოქაში (224-651 წწ.) მოხდა. უკვე III საუკუნეში სასანელთა კარის მთავარი მოგვის – კარტირის რეფორმების შედეგად სრულიად აღმოიფხვრა არაირანული, ბაბილონიდან შეთვისებული საკულტო ტაძრები და კერპთმსახურება. კარტირი თავის წარწერებში (მათგან ყველაზე სრული და ვრცელია სარი მეშქედის წარწერა, ფარსის პროვინცია, ირანის სამხრეთი) გვაუწყებს, რომ მისი მოღვაწეობის შედეგად ირანის დიდ იმპერიაში დაარსდა ზოროასტრული სალოცავები, იქ დასახლდნენ მოგვები (ცეცხლთაყვანისმცემენი), რომლებიც გაერთიანდნენ მოგვთა კორპორაციებში (მოგუსტანებში), ხოლო მრევლი იხდიდა ხარკს ზოროასტრული ეკლესიის სასარგებლოდ. მთავარი მოგვის თქმით, „მე დავაარსე ცეცხლნი და მივანიჭე მოგვებს ბრწყინვალეობა არაერანშაჰრშიც, არაერანის იმ ქვეყნებში,

⁹⁷ იხ. ვაჩნაძე, ნ., გუუნაშვილი, ე., დასახელებული ნაშრომი. გვ. 74-79.

რომლებშიც ცეცხლნი და მოგვები იყვნენ, სადაც კი შევიდნენ მეფეთ-
მეფის ცხენები და მხედრები.....⁹⁸22

აბიბოსის „წამების“ დისკურსში, გარდა საკუთრივ ძველი ირანული
პანთეონისა, მოხსენებულია თანადროული, სასანურიც, რომელსაც ჰაგი-
ოგრაფი კარგად იცნობს: „ბაბილოვნურსა მას ჩუეულებასა“ მისდევდნენ,
კერძოდ, „სადამე ოქროსა და სხუანი სხუასა რასამე (რასამე DE, რასამე
BCFH) და ოდესმე ცეცხლსა ჟამად-ჟამად, ვითარცა ინუეოდეს (ინუებოდეს
F) თვისისა მისგან ბოროტად მასწავლელისა ეშმაკისა“.⁹⁹23

სასანელთა დუალისტური რელიგია – ზოროასტრიზმი, რომლის
მიხედვითაც დასაბამიდანვე არსებობდა სიკეთე და ბოროტება და მათი
დაპირისპირება, პოლითეისტური რელიგიაა, მაგრამ მასში ყველაზე მთა-
ვარი ღვთაება, სხვა ღვთაებათა შორის, აჰურა-მაზდაა, მისი ატრიბუტი კი
– ცეცხლი (ავესტური ātar/საშუალო სპარსული ādar/ ādur). სასანელთა
რელიგიურ პანთეონში ერთ-ერთი მთავარი ბოროტების დემონია (X)ēšm
(ავესტური Aēšma „რისხვა, მრისხანება, გაცოფება“), რომელიც ქართულში
გადმოვიდა, როგორც **ეშმაკი** (ქრისტიანული ცნება) და რომელსაც დიდი
სიმბოლური დატვირთვა აქვს ფალაურ (ზოროასტრულ) ლიტერატურაში:
იგი უპირისპირდება კეთილ სანყისებს და მოაქვს ნგრევა, სიკვდილი, და-
პირისპირება როგორც დემონოლოგიურ სამყაროში, ასევე მოკვდავთა შო-
რის. (X)ე მ ერთ-ერთი დემონთაგანია, რომელიც თავს ესხმის გარდაცვ-
ლილთა სულს. „ბოროტად მასწავლელი ეშმაკი“ ირანული დემონოლოგიის
ანარეკლია ცეცხლთან ერთად, რომელსაც „ახლა ღმერთად აღიარებთ“?!
გაკვირვებით კითხულობს აბიბოს ნეკრესელის „წამების“ ავტორი.

შეუძლებელია, ქართული წყაროს შემქმნელს, ღრმად მორწმუნე და
ფრიად განსწავლულ ქართველ უმაღლეს იერარქს თავისი პირადი აზრი
გამოეთქვა ესოდენ რთულ, მნიშვნელოვან და სათუთ პრობლემაზე. ე ს ა
ზ რ ი, უთუოდ, ა ვ ტ ო რ ი ს მ ი ე რ გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი უ ძ ვ ე ლ
ე ს ი დ ა ს ა ნ დ ო წ ყ ა რ ო დ ა ნ მ ო მ დ ი ნ ა რ ე დ უ ნ და მ ი ვ ი
ჩ ნ ი ო თ (დაყოფა ჩვენია, ნ.ვ., ე.გ.), რომელიც შემდგომი კვლევის საგა-
ნია, და, ვფიქრობთ, მოითხოვს სხვადასხვაენოვან (სპარსული, სირიული,
არაბული, ბერძნული) წყაროებზე მომუშავე მკვლევართა ჩართულობას.

⁹⁸ საშუალო სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი დამონმებულია **თეო
ჩხეიძის** პუბლიკაციიდან: ჩხეიძე, თ., (1993). საქართველოსა და ქართველების
აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულ ენებში. საქართ-
ველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლო-
გია. თბილისი, მეცნიერება, გვ.112; კარტირისა და მისი რელიგიური მოღვაწეო-
ბის შესახებ იხ. ჰიტტუს://ირანიცაონლინე.ორგ/არტიცლეს/კარტირ.

⁹⁹ ძეგლები, I, გვ. 2423-8 (ჯ რედაქცია).

დასასრულ, კვლავ ვუბრუნდებით აბიბოს ნეკრესელის ერთ წინასწარმეტყველებას: „... ანუ ვითარ დედაკაცსაცა (დედაკაცსა CEFHL) მას უწინასწარმეტყუელა შემდგომად ხოლო მისსა მოსლვაჲ ბერძენთაჲ და დაპყრობაჲ ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ, რომელიცა იგი იქმნა მსწრაფლ“.10024 მართლაც, „მისსავე დედაკაცისა ზე მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანაჲ ესე ჩუენი“.10125ორივე წინადადება სამივე ხელნაწერში თითქმის იდენტურია, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ვრცელი ვერსიის აღნიშნული ფრაგმენტის ქეშმარიტება ეჭვს საერთოდ არ ბადებს, რადგან იგივე ფრაგმენტი დასტურდება N/Sin.geo-50-ში.10226

ამრიგად, დასრულდა ეპოქა სასანური ირანის ქართლში ბატონობისა (დასავლეთ საქართველო ამ დროს ბიზანტიელთა ხელშია) და მცირეოდენი შესვენების შემდეგ გამოჩნდება ახალი ძალა მაჰმადიანური არაბული სახელმწიფოს სახით, რომელმაც კარგახნით შეცვალა აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ბედი. ასე დაიწყო ახალი ეპოქა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, არაბთა მფლობელობის ხანა – ახალი წმინდანებით, ეთნიკურად არაქართველებით და საკუთრივ ქართველებით, ახალი რელიგიური პოლიტიკით, ახალი სასწაულებით ჰაგიოგრაფიაში, რომელთა მნიშვნელობა მეცნიერთათვის განუზომელი შეიქმნა ეპოქის შესამეცნებლად განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოიცა ჰაგიოგრაფიის უბადლო მკვლევრის ფრანტიშეკ გრაუსის მონოგრაფია ევროპულ ჰაგიოგრაფიაზე.10327

¹⁰⁰ ძეგლები, I, გვ. 24622-27. (წ რედაქცია).

¹⁰¹ Ibid.,24627-30.

¹⁰² ალექსიძე, ზ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 2351-4.

¹⁰³ Graus, F., (1980) Die Nationenbildung der Westslawen im Mittelalter. Jan Thorbecke Verlag. Sigmaringen. მიუხედავად იმისა, რომ **ფრანტიშეკ გრაუსი** დაიბადა და აღიზარდა სოციალისტური ბანაკის ქვეყანაში, ჩეხოსლოვაკიაში, იდეოლოგიურმა წნეხმა მის აზროვნებას გეზი ვერ შეუცვალა, მაგრამ სამშობლო დაატოვებინა: ეს მისი პირადი გადაწყვეტილება იყო, წასულიყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხოლო შემდგომ დიდი წვლებით, ბერლინის კედლით, გადასულიყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და იქ დასახლებულიყო. მისი ხსენება ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მოხდა 1993 წელს სრულად მითითებით მის მონოგრაფიაზე. ამის შესახებ იხ.: **ვაჩნაძე, ნ.**, სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი (V-X სს.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1993 წ. სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი დაბეჭდილია და გავრცელებული ქართულ და რუსულ ენებზე იმ დროს არსებული კანონების თანახმად. დისერტაცია მონოგრაფიად გამოიცა დაცვიდან ხუთი წლის შემდეგ (1998 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

NatelaVachnadze

Helen Giunashvili

Kartli: Space of Empires' Clash

VI Century Kartli and Sasanian Iran: Issues of Religious Interrelations

Georgian hagiographic writings elucidate political and religious history of the state of Kartli as well as of the two powerful empires – Byzantine and Iran, which made Kartli /respicite: Eastern Georgian kingdom/ the domain of political controversies and incessant struggles. It should be mentioned that in scientific literature concerning cultural-religious issues of Sasanian Iran the most distinguished and important Old Georgian source of that period “The Martyrdom of St. Abibos of Nekresi” that has reached us in three handwritten versions has not been considered up to the present. All versions of “the Martyrdom” attest many passages on how “Sasanians eternally worshipped and served their evil idol – the fire.” In addition, the author shows deep erudition in religions situation of Achaemenid epoch, when he mentions that “due to Babylonian rites, they (worshipped) golden (idols) in ancient times, while others – (non-golden) deities”. This is related to the name of the founder of the Achaemenian Empire, Cyrus II the Great /600-530BC/ and his conquest of Babylon and the restoration of the cult, reflected in the famous cylinder inscription in Akkadian. In the inscription, Cyrus the Great is proclaiming himself as the appointee of the Babylonian deity – Marduk. The Georgian source together with the cylinder inscription of Cyrus confirm the idea that it could not be a pure propaganda. Cyrus’s active benevolence towards the religions and deities of his non-Iranian subjects could be more inspired by his diplomatic pragmatism than by the lack of personal religious conviction as supposed by some scholars. The passages cited by the Catholicon in “the Martyrdom of Abibos” were undoubtedly based on the ancient and reliable source.

ტის გამომცემლობის მიერ, დისერტაციის სამეცნიერო კონსულტანტის, პროფესორ არონ გურევიჩის წინასიტყვაობით, ინგლისური რეზუმეით, წყაროთა ანოტირებული ნუსხით და ბიბლიოგრაფიული საძიებლით.

ალექსანდრა დაუშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ი. ზ. სტალინი და სახელმწიფო საზღვრების პრობლემა სამხრეთ კავკასიაში (1921 წელი)

სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრების გამიჯვნის პრობლემა, მასზე მსჯელობა საბჭოთა პერიოდში ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მუდამ უხერხულ თემად ითვლებოდა – ამ საკითხზე ან საერთოდ არ ლაპარაკობდნენ, ან თუ საუბრობდნენ – კულუარებში, სამეცნიერო ნაშრომებში ამ პრობლემებს არ იხილავდნენ, არ სწავლობდნენ – აპრიორულად ითვლებოდა, რომ „ამიერკავკასიაში გასაბჭოებისთანავე საზღვრების პრობლემა გადაწყდა სამართლიანად და ხალხთა ინტერნაციონალური ერთიანობისა და ძმობის სულისკვეთებით“. საკითხისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულებით უნდა აიხსნას, რომ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, აკად. ი. კაჭარავას 50-იანი წლების მონოგრაფიულ გამოკვლევებში საერთოდ არ იკითხება 1921 წელს, ი. სტალინის მონაწილეობით საზღვრების საკითხებზე დისკუსია და არ არის მოცემული შესაბამისად რკპ(ბ) ცეკას კავბიუროსა და საქართველოს კპ (ბ) ცეკას შესაბამისი სხდომების დადგენილებების კრიტიკული ანალიზი¹⁰⁴.

ამ პრობლემას არ იხილავს არც პროფ. ვ. შელია, თავის საკმაოდ მოცულობით მონოგრაფიაში, რომელიც XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნდა¹⁰⁵. ამ საკითხებზე სრული დუმილია განმარტოვებულ ნაშრომში „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, რომელიც „იმელის“ თბილისის ფილიალის თანამშრომლებმა 1971 წელს გამოაქვეყნეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში მეტად ავტორიტეტული სომეხი ისტორიკოსის ს. ხარმანდარიანის მონოგრაფიულ გამოკვლევაში დეტალურად არის საუბარი სამხრეთ კავკასიაში საზღვრების გამიჯვნის

¹⁰⁴ ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში., თბ., 1958.

¹⁰⁵ ვ. შელია, საქართველოს კომუნისტების ბრძოლა სახალხოტემურნეობის აღდგენისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის, თბ., 1957.

პრობლემაზე¹⁰⁶, მაგრამ მისი მოსაზრებები სამხრეთ კავკასიაში სასაზღვრო საკითხის გადანყვევებაში ი.ბ. სტალინის მონაწილეობის შესახებ, გარკვეულ ეჭვებს აღძრავს და ჩვენ მას ქვემოთ, სპეციალურად შევხებით.

ცოტა მოგვიანებით, 1976 წელს აკად. ი. კაჭარავამ უკვე გაბედა და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VII ტომის შესაბამის ადგილზე, როცა სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრების პრობლემას ეხებოდა, აღნიშნა შემდეგი: „საქართველოს კომუნისტებმა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრების საკითხი გადანყვევტეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით, როდესაც წავიდნენ გარკვეულ ტერიტორიულ დათმობებზე მოძმე ხალხთა სასარგებლოდ, რაც გაუგებარი დარჩა წვრილბურჟუაზიული მოსახლეობისა და ქართველი ინტელიგენციის ნაწილისათვის. ესეც თავიდან იქნებოდა აცილებული და ადგილი არ ექნებოდა არავითარ გაუგებრობას, რომ კომუნისტური ორგანიზაციები არ აჩქარებულებყვნენ და დროებით გადაედოთ საზღვრების საკითხი ამიერკავკასიის ეროვნებათა შორის უნდობლობის აღმოფხვრამდე“.¹⁰⁷

მაქსიმალურად ნეიტრალური პოზიციაა, მაგრამ ასეთი თვალსაზრისის გამოთქმაც კი იმჟამად მხოლოდ ამ რანგის მეცნიერს ხელენიფებოდა და ისიც, როგორც ვხედავთ, მეტად ზომიერად აღნიშნავს რაღაც „ტერიტორიულ დათმობებზე“, „საკითხის გადანყვევტაზე პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით“, რაღაც „აჩქარებაზე“ სამხრეთ კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მხრიდან, „რაც გაუგებარი დარჩა წვრილბურჟუაზიული მოსახლეობისა და ქართველი ინტელიგენციის ნაწილისათვის“ და ა.შ. ეს, უდავოდ, იყო მაქსიმუმი, რისი აღნიშვნაც შეეძლო ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

საკვლევმა პრობლემამ სიმწვავემ მოიპოვა და ეს სიმწვავე დღემდე არ დაუკარგავს საბჭოთა სისტემის კრიზისის, მისი დამხობისა და სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის შემდეგ. ეს საკითხი აქტუალური გახდა კავკასიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლებისთანავე – მიტინგებზე, არაფორმალთა შეხვედრებზე მას პოლიტიკოსებმა შესძინეს დიდი სიმწვავე. ხოლო ცოტა უფრო მოგვი-

¹⁰⁶ **С. В. Хармандарян**, Ленин и становление Закавказской федерации 1921-1923, Ереван, 1969.

¹⁰⁷ **ი. კაჭარავა**. საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და სახალხო მეურნეობის აღდგენა საქართველოში (1921-1925 წწ.), იხ.: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976, გვ. 104.

ანებით ურთიერთ ტერიტორიული პრეტენზიებს გარკვეული თეორიული საფუძვლიც კი გამოუძენეს.

სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობის 30-მა წელმა დაგვანახა, თუ რაოდენ გადაუჭრელი აღმოჩნდა ეს პრობლემა პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით. თავისებურება ამ ეტაპზე უკვე ის იყო, რომ მეცნიერულ პაექრობას ამჯობინეს სამხედრო შეჭიდება სასაზღვრო პრობლემების გადასაჭრელად: კონფრონტაცია, დაძაბულობის ესკალაცია, ერთა შორის დაპირისპირება.

საზღვრების პრობლემა სამხრეთ კავკასიაში 1921 წელს, როგორც მეცნიერული ინტერესის ობიექტი, ჩვენი კვლევის დროსაც გამოჩნდა, და ის დღესაც ბოლომდე გადაუჭრელია, მიუხედავად იმისა, რომ ამ წლების მანძილზე საკმაოდ იმატა ნაშრომების რიცხვმა, არის საყურადღებო მონოგრაფიებიც, რომლებშიც ასახულია ჩვენთვის საინტერესო საკითხები და მოცემულია ორიგინალური, ზოგჯერ აშკარად თამამი მოსაზრებები.

მაგალითად, აღსანიშნავია თანამედროვე სომეხი ავტორის ა. ე. ხაჩიკიანის მოსაზრებები: 1921 წელს სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ტერიტორიულ გამიჯვნის საქმეში ი. ბ. სტალინის როლს ძალიან მნიშვნელოვნად თვლის და სწორედ მას აბრალებს აზერბაიჯანის სასარგებლოდ მთიანი ყარაბაღის კუთვნილების საკითხის გადაწყვეტას¹⁰⁸. მსგავსი შეხედულებები აქვთ მოსკოვის სომხური ლობის მიერ ანგაჟირებული ისტორიკოსების მნიშვნელოვან ნაწილს და რუსეთის პროსომხურ პუბლიცისტიკასაც.

მაგალითად, სამხრეთ კავკასიაში საზღვრების გამიჯვნის, ტერიტორიების „გადაცემის“, „ჩუქების“ საქმეში ი. ბ. სტალინის გადამწყვეტ როლზე საუბრობს რუსი ავტორი ა. შიროკორადი, რომელიც თავის განმაურებულ ნაშრომში სპეციალურ პარაგრაფს უძღვნის ჩვენთვის საინტერესო პრობლემებს და ხაზგასმით აღნიშნავს ი. სტალინის მნიშვნელობას 1921 წელს რიგი ტერიტორიებს, მაგალითად, სამხრეთ ოსეთის, ჯავახეთის საბჭოთა საქართველოსათვის გადაცემის („ჩუქების“) საქმეში¹⁰⁹.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემის გარშემო საყურადღებო მოსაზრებები აქვს რუს მეცნიერ ე. არხიპოვას¹¹⁰, აზერბაიჯანელ ს. მუსტაფაევას¹¹¹

¹⁰⁸ **А.Э.Хачеян.** История Армении, Ереван, 2016, с.211.

¹⁰⁹ **А.Б. Широкопад.** Грузия. Закавказский тупик, М., 2010, с.115.

¹¹⁰ **Е.В. Архипова.** Формирование границ на Кавказе в XIX _ начале XXI в.: Границы между Азербайджаном, Грузией и Россией, автореферат диссертации кандидата исторических наук. М., 2005.

¹¹¹ **С. Мустафаева.** Советская Россия и формирование границ между государствами Кавказа. Интернет издание «Кавказ глобализация», 2010, т.4, выпуск 1.с. 230-240.

, სომეხ კ. ამბარცუმიანს¹¹² და სხვებს, რასაც ჩვენ ქვემოთ, სამეცნიერო დისკუსიის დროს წარმოვაჩენთ ან გავიზიარებთ, თუმცა ისინი ი. ბ. სტალინის „ღვანულს“ ამ ნაშრომებში საერთოდ არ ეხებიან.

საქართველოში კი, მრავალი ათეული წლის მანძილზე, ყოფითი ცნობიერება საქართველოს ისტორიული ტერიტორიების გასხვისებას უფრო სერგო ორჯონიკიძის სახელს უკავშირებდა, თუმცა ოფიციალურად ეს თვალსაზრისი ისტორიკოსთა შრომებში წარსულში ნამდვილად არ ფიგურირებს.

პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიოგრაფია საზღვრების საკითხს უდიდეს ყურადღებას უთმობს და საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დანაშაულს სწორედ ისტორიული ტერიტორიების გასხვისებას უკავშირებს. ამ დასკვნას აკეთებს ყველა ქართველი ისტორიკოსი, ვინც ამ პრობლემას მეტ-ნაკლებად შეეხო, თუმცა ი. სტალინის როლზე, მის მიერ „გაჩუქებულ ქართულ ტერიტორიებზე“ მინიშნებებს მათთანაც ვერ მივაკვლიეთ, უფრო ზოგადი განცხადებებით კმაყოფილდებიან.

ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, უკვე 1991 წელს აღინიშნა, „ახალმა ხელმძღვანელობამ, კრემლის კარნახით, ხალხის ინტერესების საპირისპიროდ, ოსმალეთს დაუთმო ქართული ტერიტორიის ნაწილი. ამასთან, თვითნებურად, ისტორიული სამართლიანობის დაცვის გარეშე განხორციელდა ამიერკავკასიის შიდა საზღვრების დაკანონება“¹¹³.

მნიშვნელოვან ადგილს უთმობს და სპეციალურად ჩერდება სამხრეთ კავკასიაში საზღვრების პრობლემაზე ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ლ. თოიძე. ის ეხება ი. სტალინის მონაწილეობას რკპ(ბ) კავბიუროს 1921 წ. 7 ივლისის სხდომის მუშაობაში. მართალია, ის სტალინის რაიმენაირ „დამსახურებას“ საზღვრების გადანაწილების საქმეში ერთი სიტყვითაც არ ეხება, მაგრამ იზიარებს ს. ხარმანდარიანის ერთ შენიშვნას, რაც ჩვენ ნაკლებად სანდოდ გვეჩვენება (ამის შესახებ ქვემოთ)¹¹⁴.

მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისათვის ნ. მირიანაშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა, რაშიც მას საკანდიდატო ხარისხი მიენიჭა და, რომელშიც ის საკმაოდ სრულად ეხება საბჭოთა სისტემის

¹¹² 9 **Р.Амбарцумян.** «Грузия нужна нам как временный буфер»: международные факторы большевистской советизации южного кавказа (1920-1921 годы), Интернетиздание «Россия и Мир».

¹¹³ **ა.სურგულაძე, პ.სურგულაძე,** საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 245.

¹¹⁴ **ლ. თოიძე,** საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები. თბ., 1999, გვ.102.

არსებობის პერიოდში სამხრეთ კავკასიაში საზღვრების ფორმირების საკითხებს. მართალია, მას არა აქვს უშუალოდ ნანახი რკპ(ბ) ცეკას კავში- უროს 1921 წლების ოქმები მოსკოვის არქივში და რიგ საკითხზე მსჯელო- ბისას მთლიანად ს. ხარმანდარიანის ზემოაღნიშნულ გამოკვლევას ეყრდ- ნობა, მაგრამ მის ნაშრომში არის ბევრი საგულისხმო ფაქტი და დასკვნაც, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ არაერთხელ დავიმონწმებთ¹¹⁵.

2003 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს სახელმძღვანელო: „საქართველოს ისტორია XX საუკუნე“, რომელშიც ხაზგასმულია შემდეგი: „მოსკოვის ანტიქართული პოლიტი- კა ძირძველი ქართული ტერიტორიების საქართველოდან ჩამოცილება- შიც გამოიხატა. მოსკოვის ნების თანახმად საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მოსულმა ქართველმა ბოლშევიკებმა სომხეთს დაუთმეს ბორჩალოს მაზრის ნაწილი (3812 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია), ხოლო აზერბაიჯანს – საინგილო ანუ ზაქათალის ოლქი (3564 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია)“¹¹⁶ და ა.შ.

პროფ. ო. ჯანელიძე თავის მონოგრაფიაში აღნიშნავს: „საბჭოთა რე- ჟიმის პირველ წლებში უკანონოდ იქნა გასხვისებული ძირძველი ქართუ- ლი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი“, თუმცა ამ გასხვისების საქმეში ის ი. სტალინის რაიმენაირ „დამსახურებას“ ის არ ხედავს.¹¹⁷

კომუნისტური ხელისუფლების მიერ მეზობლებისთვის გადაცემულ ტერიტორიების საკითხს ვეხებით ჩვენს ნაშრომში: „საქართველოს უახ- ლესი ისტორია“, რომელიც პროფ. მ. ნათელაძესთან ერთად დაინერა. ამ საკითხს წიგნში სპეციალური პარაგრაფი მიეძღვნა და მისი ავტორია პროფ. მ. ნათელაძე. ის აღნიშნავს: „საქართველოს საბჭოთა ხელისუ- ფლების პირდაპირი მოვალეობა უნდა ყოფილიყო, თუ იგი ეროვნული ინტერესებით იხელმძღვანელებდა, საქართველოსაგან თუნდაც უკვე ჩა- მოცილებული ისტორიული ტერიტორიების საზღვრების მონესრიგება და შემომტკიცება, მათ შორის თითქმის დაკარგული საინგილოს მხარისა. მაგრამ, სამწუხაროდ, პირიქით მოხდა. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც 1921 წ. უმაღლესი ხელისუფლების ფუნქციებს ას- რულებდა, არა თუ შეეცადა დაებრუნებინა საქართველოსათვის იმხანად

¹¹⁵ **ნ. მირიანაშვილი**, საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკა- სიის რესპუბლიკებთან 1918-1938 წლებში, თბ., 2012. გვ. 104.

¹¹⁶ საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. პროფ. **ვახტანგ გურულის** რედაქციით. თბ., 2003, გვ.114.

¹¹⁷ **ო. ჯანელიძე**, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ.152.

სადავოდ გამხდარი ზაქათალას ტერიტორია, არამედ მან საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგატთა კონფერენციაზე ფაქტობრივად დააკანონა მანამდე დაუკანონებელი საინგილოს მიერთება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ¹¹⁸. ავტორი საერთოდ არ განიხილავს ი. სტალინის რაიმე მონაწილეობას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიული პრობლემების მოწესრიგების საქმეში. პროფ. მ. ნათმელაძემ თავისი ეს შეხედულებები გაიმეორა უკვე 2012 წელს გამოცემულ კოლექტიურ ნაშრომში - „საქართველოს ისტორია“ (ოთხტომეული), რომელიც საკმაოდ დიდი ტირაჟით დაიბეჭდა¹¹⁹.

პროფ. მ. ნათმელაძის მოსაზრებებში გარკვეული წინააღმდეგობა შეიმჩნევა: ის თან საუბრობს „თითქმის დაკარგული საინგილოს მხარის“ შესახებ, და თან საქართველოს რეგკომს ბრალს დებს იმაში, რომ ის „არა თუ შეეცადა დაებრუნებინა საქართველოსათვის იმხანად სადავოდ გამხდარი ზაქათალას ტერიტორია, არამედ მან საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგატთა კონფერენციაზე ფაქტობრივად დააკანონა მანამდე დაუკანონებელი საინგილოს მიერთება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ“. ამ საკითხზეც ჩვენ ქვემოთ სპეციალურად შევჩერდებით.

სახელმწიფო საზღვრების გასხვისების საკითხს „სტალინის ჩარევის გარეშე“ მკვეთრად უარყოფითად აფასებენ კოლექტიური ნაშრომის „საქართველო და ქართველები“ ავტორები¹²⁰, საყურადღებო ნაშრომის „ყოველი საქართველო“ შემქმნელები¹²¹. ამ უკანასკნელი ნაშრომის თანავტორი ნ. მირიანაშვილია, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მსჯელობისას გაიმეორა თავისი, ჩვენ მიერ ზემოთ უკვე აღნიშნულ მონოგრაფიაში განვითარებული თავისი მოსაზრებები.

ამრიგად, თანამედროვე პოსტსაბჭოთა ქართული ისტორიოგრაფია ცალსახად უარყოფითად აფასებს საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ქართველი კომუნისტების მიერ „ძირძველი ქართული მიწების“ მეზობლებზე გასხვისებას, მაგრამ ამ საქმეში ი. სტალინის გამორჩეულ „დამსახურებას“ ან ვერ, ან არ ამჩნევენ.

სანამ უშუალოდ საკვლევი პრობლემაზე გადავალთ, ჩვენ გვინდა მკითხ-

¹¹⁸ მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004, გვ. 118-119.

¹¹⁹ საქართველოს ისტორია (ოთხტომეული), ტ. 4, თბ., 2012, გვ. 332-334.

¹²⁰ ზ. აბაშიძე, მ. ბახტაძე, ო. ჯანელიძე, საქართველო და ქართველები, თბ., 2013, გვ. 607.

¹²¹ ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ქვიციანი, ყოველი საქართველო, თბ., 2014, გვ. 142.

ველს გავაცნოთ თვითონ ი.ბ. სტალინის დამოკიდებულება „ძირძველი ქართული მიწების“ გასხვისებისა და საერთოდ საზღვრების საკითხებზე. არსებობს ი.ბ. სტალინის მიერ საქართველოს საზღვრების გასხვისების საკითხის მისეული შეფასება. ეს თავისი შეხედულება მან გააჟღერა საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობასა და ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელთან მეგობრული შეხვედრის დროს, 1946 წლის ოქტომბერში. ი. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ერის ტერიტორიის დათმობისა და გარეუქების უფლება არავის აქვს, ერის ტერიტორია ხელშეუხებელია“¹²².

ეს მართებული თვალსაზრისი კი ეკუთვნის პოლიტიკურ მოღვაწეს, თავისი პოლიტიკური კარიერის ზენიტში მყოფს, რომელსაც უკვე არც მარჯვნიდან და არც მარცხნიდან კრიტიკოსი აღარავინ ჰყავს და მან ძირითადად უკვე განვლო თავისი პოლიტიკური ცხოვრების ურთულესი პერიოდი. რა თქმა უნდა, მისი შეხედულებები 1946 წელს განსხვავდებოდნენ ახალგაზრდა პოლიტიკური მოღვაწის თვალსაზრისისაგან, ჯერ მარტო იმიტომ, რომ 1921 წელს ის არ იყო პარტიისა და სახელმწიფოს ერთადერთი ლიდერი, არამედ იყო თანასწორთა შორის ერთ-ერთი, რომელიც მუდამ ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რომ მისი უდიდესი ღვაწლი რუსეთის კომუნისტური რევოლუციის წინაშე ერთ ფრაზას, ან ერთ გაუფრთხილებელ ქმედებას რადიკალურად არ გადაეხაზა, მისი პოლიტიკური კარიერა არ დაენგრია. უნდა გვახსოვდეს, რომ 1921 წელს ი. ბ. სტალინი სრული თავისუფალი თავის მოქმედებებსა და გამონათქვამებში, უდავოდ, არ იქნებოდა.

ახლა დავიწყოთ საუბარი იმაზე, თუ 1921 წელს სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრების გადანაწილების დროს რა „დამსახურება“ ჰქონდა ი.ბ. სტალინს და რამდენად „დააზარალა“ მან სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიული მთლიანობა.

ჩვენ საკითხზე მსჯელობას დავიწყებთ საქართველოში საისტორიო გეოგრაფიის სამეცნიერო მიმართულების დამფუძნებლის აკად. დავით მუსხელიშვილის შემდეგი მოსაზრებით: „ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია არ იყო მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე, შემთხვევით მოქცეული გარკვეული პოლიტიკური ნების გავლენის არეალი. ჰპირუკუ, ეს იყო იმანენტური სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკურ-კულტურული მრავალსაუკუნოვანი განვითარების კანონზომიერი პოლიტიკური გამოვლინება მოცემულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გარემოში. ამდენად, საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ეს იყო, შეიძლება ითქვას, ერთიანი ორგანული სისტემა“.

¹²² ა. ვასაძე, აქტიორის თვალთ (ხელნაწერის უფლებით), გვ. 17.

ეს მეცნიერულად სრულიად მისაღები და ჭეშმარიტი დებულებაა. ჩვენ ამ ამონარიდიდან განსაკუთრებით გამოვყოფთ „ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია“, ხოლო მასში წინა პლანზე გამოვიტანთ ცნებას „ისტორიული“.

საზღვარი – ისტორიული კატეგორიაა და საუკუნეების მანძილზე ყალიბდება. პოლიტიკური საზღვარი ეთნიკური საზღვებიდან – ბინადრობის საზღვრებიდან წამოიმართება და მისი ამოცანაა ეთნიკური ერთობის, ეთნიკური კონსოლიდაციისა და სოციალური პროგრესის მიღწევა გარკვეულ ლოკალურ სივრცეში. ბინადრობის საზღვრები მუდამ უნდა იყოს გამოკვეთილი. ეს კი უკვე შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც ადამიანმა ცივილიზაციის ეტაპზე შეაბიჯა და კერძო საკუთრება დაიკანონა. მას შემდეგ ყველაფერი – შრომის იარაღიდან დაწყებული, ბინადრობის საზღვრებით დასრულებული, უკვე ღირებულია, უკვე მნიშვნელოვანია.

გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, საზღვარი „ჩვენსა“ და „მათ“ შორის – ეთნიკურად, კულტურულად განსხვავებულ მეზობლებს შორის, აშკარად იკვეთება. „მათ“ არ უნდა შემოაღწიონ „ჩვენთან“ - ე.ი. უნდა არსებობდეს გამყოფი. მიტომაც ჩამოყალიბდა „სოფლის საზღვარი“, „გვარის საზღვარი“, „ტომის საზღვარი“. სახელმწიფოს, როგორც უმაღლესი პოლიტიკური ინსტიტუტის ფორმირება, ასევე განაპირობებს საზღვრის ფორმირებას, რაც მას, მის მესვეურებს (მონარქს) ამყოფებს გარკვეულ ტერიტორიულ ჩარჩოებში – რაც „მისია“ და რაც „მისი არ არის“. საუკუნეების მანძილზე, როგორც ამას მსოფლიო ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, ხდებოდა სხვისი ტერიტორიების მისაკუთრებაც – ფეოდალიზმის პერიოდში ეს შეიძლება იყოს წარმატებული ომის საფუძველზე (მაგალითად, ირლანდიის დაპყრობა ინგლისის მიერ), ან დინასტიური გარიგებით (ბრეტონის შეერთება საფრანგეთთან, შოტლანდიის მიერთება ინგლისთან) და ა.შ. ზოგჯერ ის პროცესი გრძელდება ერთი-ორი საუკუნე, ზოგჯერ ეს კავშირი და ერთიანობა მრავალი საუკუნის მანძილზე იწელება და ხდება შეერთებული მოსახლეობის სრული ინკორპორაცია იმდენად, რომ ადგილობრივ ხალხებს, ეთნოსებს ეკარგებათ მშობლიური ენა, ეროვნული ცნობიერება, მთლიანად ერწყმიან დამპყრობელ ხალხებს – ხდება ტოტალური ასიმილაცია. მაგალითად მოვიტანთ ლორენ//ლოტარინგიის ისტორიული განვითარების გზას: გერმანული ძირებისა და ტრადიციების მქონე, საფრანგეთთან საუკუნეების მანძილზე სოციალურ-პოლიტიკურად და კულტურულად ასოცირებული მხარე, ფრანგული სამყაროს განუყოფელი ელემენტი გახდა. მან და მისმა პოლიტიკურმა ელიტამ უდიდესი როლი შეასრულეს გვანფეოდალური ხანის საფრანგეთის

პოლიტიკურ ისტორიაში. ფრანგული ცივილიზაცია მათთვის იმდენადღორგანული და ბუნებრივი გახდა, რომ როცა გერმანიის სახელმწიფომ ორჯერ, ჯერ 1871 წელს შეუერთა ეს მხარე გერმანიის II იმპერიას, ხოლო ა. ჰიტლერმა უკვე 1940 წელს გერმანიის III იმპერიას, ეს კუთხე ომის დამთავრების შემდეგ კვლავ თავის ნამდვილ სამშობლოს - საფრანგეთს დაუბრუნდა. ასეთ დროს აპელირება ისტორიულ ძირებზე, გერმანულ ფესვებსა და გერმ ანულ ტოპონიმიკაზე ყოველგვარ აზრს კარგავს. ეს ისტორიული ექსკურსი ჩვენ დაგვჭირდა გარკვეული ანალოგიებისათვის, შედარებებისა თუ განზოგადებისათვის, რასაც ჩვენ შევეცდებით ქვემოთ წარმოვუდგინოთ მკითხველს.

საქართველოს შემთხვევაში განხორციელდა უარესი სცენარი - ქართველმა ბაგრატიონებმა კავკასიის თითქმის სრული დაქვემდებარება შეძლეს მხოლოდ სულ რაღაც ასორმოცდაათი წლის მანძილზე. მაგრამ ისტორიის ტრაგიკულმა განვითარებამ, პალიტიკურმა, ეკონომიკურმა და სამხედრო დასუსტებამ, ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ, სეპარატიზმისა და ცენტრიდანული ტენდენციების გაძლიერებამ „სხვა, მიერთებული თუ დამორჩილებული ტერიტორიები“ კი არა, სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა ქართული ერთიანი ეთნიკური ორგანიზაციის მომავალი შინაგანი განვითარების საკითხი.

ტერიტორიულ დანაკარგებთან ერთად მოხდა ფეოდალური პარტიკურარიზმის გაძლიერება იმდენად, რომ XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძე სერიოზულად წუხდა ტერმინი „ქართველის“ რეალური შინაარსისა და ქართულ ეთნოსებში მონოლითურობის დაკარგვის გამო: „აბა დაიძახე: ქართველო თქო, თუ შავი ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ლიპ-გადმოგდებულის ქართლელის გარდა (ე.ი. გორის მაზრის მცხოვრებმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნებ კახელმაც თავისი მსხვილი კისერი შენსკენ მოილრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქოს იმათ არ ეძახიო. თითქოს ისინი ქართველები არ არიანო“ - ძალიან მკაცრი, მაგრამ ჭეშმარიტი შეფასებაა. ასეთი იყო საქართველო XIX საუკუნის შუა ხანებში, როცა ილია ჭავჭავაძემ და „თერგდალეულებმა“ ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი დაიწყეს. ეს კი ტიტანურ შრომას და მიზანმიმართულ საქმიანობას მოითხოვდა.

ქართველ ახალგაზრდებს ილიას ხელმძღვანელობით კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ ერთიანობის, მონოლითურობის დაკარგვა ერის შიგნით ერთჯერადი პროცესი არ იყო, რომ ის საუკუნეების მანძილზე გაგრძელდა და თავისი დამანგრეველი შედეგი მოიტანა. მისი აღმოფხვრა კი ასევე დროში განერიღ მიზანმიმართულ საქმიანობას შეეძლო.

თუ როგორ ხდებოდა ისტორიულ პერსპექტივაში ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიის თანდათან დაკარგვა და ამ ტერიტორიაზე სხვა ეთნოსის გაბატონება, ამის საილუსტრაციოდ გვინდა დავიმოწმოთ დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც აღნიშნავს შემდეგს: „ვითარცა მოსაზღვრე კუთხეს, საქართველოს ამ ნაწილსაც ზედმა მრავალჯერ მიაყენა ზიანი და არა ერთხელ გაანადგურა (საუბარია საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებზე, ჰერეთზე – ა.დ.). პირველად ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში მონღოლთა ბატონობის წყალობით, სხვათა შორის, ჰერეთიც ძალზე დაზიანდა (ყამთაალ. 875. გვ. 719). მაგრამ ამ ქვეყანას განსაკუთრებით შაჰბაზმა მიაქცია თავისი მსახვრელი ყურადღება და ჯერ ისე ააოხრა და გააუკაცრიელა, რომ მცხოვრებნი აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა. ხოლო შემდეგ მათ მაგიერ თავის ერთგულ მაჰმადიან ტომს მისცა. მეტადრე მე-17 ს.-ითგან მოყოლებული სპარსეთის შაჰების წყალობით და დაღესტნელთა შემოსევის და დაშინების გამო, მაჰმადიანობამ ჰერეთში ქრისტიანობის დაძლევა დაიწყო და ქართველი მოსახლეობაც შემცირდა. ძველი საგეოგრაფიო სახელების მაგიერ ახალი გაჩნდა. გარეშე ძალის გავლენით, ეს კუთხე სამ ერთეულად გაიყო. მათ დაერქვა „აღის სასულთნო“, მეორე – „ელისენი“, მესამეს „ჭარი“¹²³

როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილი აღმოსავლეთ საზღვრებზე სერიოზულ პრობლემებს უკვე მე-13 საუკუნიდან ხედავს და მას მონღოლების ექსპანსიას უკავშირებს. ამრიგად, ამ კუთხის საქართველოსაგან მოწყვეტის პროცესი თითქმის 7 საუკუნეა მიმდინარეობდა. შაჰ აბასმა ეს მხარე მოსრა და მოაოხრა, ეთნიკური სურათი რადიკალურად შეუცვალა („მცხოვრებნი აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა. ხოლო შემდეგ მათ მაგიერ თავის ერთგულ მაჰმადიან ტომს მისცა“).

ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებამ ადგილობრივ მოსახლეობას შეუცვალა პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციები, დააკარგვინა იდენტობა, გააფერმკრთალა საქართველოს – როგორც დედა სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა, თუმცა არა ტოტალურად - ამ ტერიტორიებზეც დარჩნენ ეთნიკურად ქართული სოფლები, მაგრამ მათი რაოდენობა უკვე ძლიერ მოკრძალებული იყო.

ძალიან ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ივ. ჯავახიშვილის შემდეგ მიანიშნებს: „მაჰმადიანობამ ჰერეთში ქრისტიანობის დაძლევა დაიწყო და ქართველი მოსახლეობაც შემცირდა“. ქრისტიანობა, როგორც ქართველობის იდენტობის მთავარი მარკერი, ივანე ჯავახიშვილის აზრით ამ ტერიტორიებზე „დაიძლია“, მისი მნიშვნელობა „შემცირდა“.

¹²³ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, თბ., 1996, გვ. 10.

როდესაც ი. ჯავახიშვილი ამ კუთხეში ქართველი მოსახლეობის შემცირებაზე საუბრობს, აქ ალბათ ქრისტიანობა დაკარგული ქართველები, გადამუსლიმანებული ქართველებს გულისხმობს, რომლებმაც ფაქტობრივად კავშირი განწყვიტეს დედა-სამშობლოსთან.

მსგავს ტენდენციებს ადგილი ჰქონდა საქართველოს ძალიან ბევრ კუთხეში – მესხეთ-ჯავახეთში, აჭარაში, კოლა-არტაანში, აფხაზეთში, შიდა-ქართლში და ა.შ.

რას შეეძლო ეს ცენტრიდანული ტენდენციები ძირეულად შეეცვალა – აღმოეფხვრა?

კვლავ ერთიან, ძლიერს „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ გადაჭიმულ საქართველოს ერთინი ძლიერი მონარქით სათავეში. მაგრამ ბაგრატიონ მეფე-უფლისწულებს, დადიანებს, გურიელებსა და შარშვაშიძეებს ერთიანობაზე უფრო დინასტიურ—მემკვიდრეობითული საკითხები აღელვებდათ და მათ საუკუნეების მანძილზე პარტიკულარიზმის ეს დამანგრეველი ვირუსი ვერ მოიშორეს. მხოლოდ კახელმა ბაგრატიონებმა XVIII საუკუნეში მოახერხეს ქართლ-კახეთის გაერთიანება და ამ ისტორიული ფაქტით ქართლის ბაგრატიონები საშვილიშვილოდ გადაიმტერეს.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს გაერთიანებამ, მოგვიანებით ტერიტორიები კი დააბრუნა (რუსეთის იმპერიას და არა საქართველოს), მაგრამ ისინი გადანაწილდნენ თბილისსა და ქუთაისის გუბერნიებში, კავკასიის სამეფისნაცვლოში. თუმცა ეს ფაქტობრივად, მოხდა იურიდიულად საქართველოს მეფის ძალით „ადგილმონაცვლის“ რუსეთის იმპერატორის დროშის ქვეშ. ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებით რუსი ეროვნების „საქართველოს მეფემ“ პირნათლად შეასრულა გეორგიევსკის ტრაქტატის საიდუმლო მუხლები და ჰიპოთეტურად საქართველოსაც ამ ტერიტორიებზე იურიდიულ-სამართლებლივი უფლებები უკვე აშკარად დაუკანონა.

მაგრამ რუსეთის იმპერიის რეალური კავკასიური პოლიტიკა არ გულისხმობდა ქართველებისათვის ისტორიული, ტერიტორიული, ეთნიკური პრობლემების გადაწყვეტას – მისი დივერსიული დემოგრაფიული პოლიტიკარ,ფ (მსომხების, გერმანელების, ბერძნების, ესტონელების და სხვათა თვითნებური ჩასახლებები ქართველებისაგან დაცლილ მიწებზე) სწორედ ქართველებისათვის მომავალში პრობლემების შექმნას გულისხმობდა – რუსეთი გეგმავდა იმპერიაში მცხოვრები ყველა არარუსი ეთნოსის ასიმილაციას და რუსეთის იმპერიის ერთიანობის მიღწევას – აქეთკენ იყო მიმართული რუსეთის ადგილობრივი ინსტიტუციების მთელი საქმიანობა (პოლიტიკური, რელიგიური, საგანმანათლებლო და ა.შ.). განსაკუთრებით

ამ საქმეში აქტიურობდა რუსეთის იმპერიული სახელმწიფო-რელიგიური ინსტიტუტცია საქართველოს საეგზარქოსო და მისი ადგილობრივი ორგანიზაციები. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესისათვის. საყურადღებოა ერთი დეპეშა მოსული სანკტ-პეტერბურგიდან, რომელშიც ხაზგასმულია შემდეგი: „რაც შეეხება ქართელთა მონდომებას, რომ ამ მხარეში ქართული მართლმადიდებლობა გაბატონდეს, ეს ჩვენთვის არ არის მისაღები და მათ ამაში ხელი უნდა შეეუშალოთ, რადგან ქართველები ნაციონალისტები არიან და ისინი დაიწყებენ... ამ მხარეში ნაციონალისტური იდეების ქადაგებას და ეს კი ჩვენთვის სახიფათოა“¹²⁴,

თუმცა, ეს იდეა არ იყო რუსული იმპერიალიზმის „მიგნება“. ანალოგიურად იქცეოდა ყველა ევროპელი კოლონიზატორი თავის უკიდევანო კოლონიებში. უბრალოდ, ზოგი ამას უფრო წარმატებით აღწევდა, ზოგიც – ვერა.

ეს მცირე ისტორიული ექსკურსი ჩვენ იმიტომ დაგვჭირდა, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს საზღვრების ფორმირების კონკრეტული საკითხების გარკვევისას, ისტორიული გამოცდილებაც უნდა იყოს გათვალისწინებული და მშობლიური ტერიტორიების გასახვისებაში ბრალი ჯერ ბაგრატიონ-შერვაშიძე-მაჩაბლებს უნდა დავდოთ და ხოლო უკვე შემდეგ – მათი უკვე მაგრად გაფუჭებული საქმის კიდევ უფრო ცუდად დამაგვირგვინებლბს.

დასკვნა 1. რუსეთის იპერიის არსებობისა და მის შემადგენლობაში სამხრეთ კავკასიის ერების ძალით გაერთიანება უკვე მთლიანად გამორიცხავდა ერთმანეთის მიმართ რაიმე ტერიტორიულ პრეტენზიებს და ამ მიმართულებით გადადგმულ რაიმე კონკრეტულ ნაბიჯებს ეროვნული პოლიტიკური ელიტის მხრიდან: ეს ტერიტორიებიც და მისი შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გამიჯვნის მიმდინარე თუ პერსპექტიული საკითხები მთლიანად იმპერიული ხელისუფლების ინტერესების გათვალისწინებით წყდებოდა და ამ საქმეებში არასოდეს არ ითვალისწინებდნენ ადგილობრივი ეთნოსების ინტერესებსა და ისტორიულ თავისებურებებს.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის, დროებითი მთავრობისა და მის მიერ „ოზაკომის“ დაფუძნების შემდეგაც, შემორჩენილი საარქივო დოკუმენტები არ ადასტურებენ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ელიტაში რაიმე სახის ტერიტორიული პრეტენზიების არსებობას ერთ-

¹²⁴ ამ თემაზე დეტალურად: დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი, ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები ლა თავისებურებები უხსოვარი დროიდან დღემდე, თბ., 2016 გვ. 195.

მანეთის მიმართ – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, ხოლო ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ – ამიერკავკასიის სეიმი, ქართველი სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით, ცდილობდა ცხოვრებაში გაეტარებინა კავკასიის ხალხთა ერთიანობის იდეა, რასაც ისინი მრავალი წლის მანძილზე ხალხში ავრცელებდნენ.

მაგრამ ყველა ეს მცდელობა ძალიან ადვილად ჩაიფუშა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ შექმნილი ვითარების გამო, როცა კომუნისტურმა რუსეთმა ზავის სანაცვლოდ გერმანიასა და მის მოკავშირეებს, დიდი ტერიტორიები დაუთმო, როცა სამხრეთ კავკასიაში გერმანიის იმპერიის მოკავშირე – თურქეთის იმპერია შეეცადა I მსოფლიო ომის დროს მიყენებული ყველა მარცხის კომპენსაციას სამხრეთ კავკასიის ხალხთა ტერიტორიების მისაკუთრების ხარჯზე. თურქეთის სამხედრო შემოტევამ ძალიან ადვილად დაშალა სამხრეთ კავკასიის ხალხთა ერთიანობა, უზრუნველყო დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა და ამით ხელი შეუწყო ტერიტორიული პრეტენზიების გამოვლინებას-გაძლიერებასაც.

ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ერთგულნი იყვნენ მარქსისტული იდეებისა და პროლეტარიატის საერთაშორისო ძმობის, პროლეტარიატის ინტერესების პრიმატი მათთვის ფუჭი სიტყვები არ იყო. ისინი პირველ ეტაპზე ცდილობდნენ როგორმე მოეხერხებინათ საგარეო საფრთხეების წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიის ხალხების ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო დარაზმვა. მაგრამ მათ ამ მცდელობებს სერიოზული პრობლემები გაუჩინა სწორედ წრეგადასულმა ტერიტორიულმა პრეტენზიებმა სამხრეთ კავკასიაში.

უნდა გამოორჩეულად აღინიშნოს სომხურ-ქართული დაპირისპირება 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში, როცა ტერიტორიული პრეტენზიები სომხეთის სახელმწიფოს მხრიდან გადაიზარდა ისტორიაში არგაგონილ ქართულ-სომხურ სამხედრო დაპირისპირებაში. ახლადშექმნილი სომხეთის სახელმწიფო სამხრეთ საქართველოში სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე აცხადებდა პრეტენზიებს. ეს ომი დასრულდა ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ხელმძღვანელების აქტიური ჩარევით და მოხდა შეთანხმება – სადავო ბორჩალოს მაზრა გაიყო სამ ნაწილად – ჩრდლოეთი დარჩა საქართველოს, სამხრეთი – სომხეთს, ხოლო შუა ნაწილი – გამოცხადდა ნეიტრალურ ზონად.

ძალიან გაურთულდა აზერბაიჯანს ტერიტორიული ურთიერთობა სომხეთის რესპუბლიკასთან – მათ შორის განუწყვეტელი კონფლიქტები ძალებს აცლიდა კავკასიელთა ერთიანობის მიღწევის ყველა მცდელობას. ექსპერტი ს. მუსტაფაევა სომხეთის ტერიტორიულ პრეტენზიებს მია-

კუთვნებს შემდეგ ტერიტორიებს: გაზახს, ყარაბაღს, ნახჭევანს და ზანგ-ეზურს. ავტორი დეტალურად განიხილავს იმ პრობლემებს, რაც დამატებით კიდევ თან ერთვოდა სომხურ-აზერბაიჯანულ დაპირისპირებას¹²⁵.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასაც ჰქონდა სერიოზული პრეტენზიები მეზობელი – აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიმართ. ექსპერტი ნ. მირიანაშვილი დეტალურად მიმოიხილავს ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის სასაზღვრო პრობლემებს საქართველოს | რესპუბლიკის პერიოდში, მოაქვს სპეციალური სასაზღვრო კომისიის მუშაობის შედეგები, წარმოაჩენს გადაუჭრელ სასაზღვრო პრობლემებსაც და აღწერს იმ მცდელობებს, რაც ამ პრობლემის გასაწესრიგებლად განხორციელდა¹²⁶.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნ. მირიანაშვილი და სხვა ქრთველი ექსპერტები არ იცნობენ, ან შეიძლება იგნორირებას უკეთებენ საქართველოს | რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდებში შემონახულ ერთ დოკუმენტს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ჩვენი ვარაუდით, უნდა მიეღო ადგილობრივი აგენტ-ინფორმატორისაგან. ეს დოკუმენტი მრავალმხრივ საინტერესოა. ჩვენ ის ადრე მოკლე კუპიურებით უკვე გამოვაქვეყნეთ და ახლა მკითხველს საკმაოდ დიდ ამონარიდს შევთავაზებთ: „ზაქათალის ოლქი ოფიციალურად უკვე შედის ადერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში. ამისათვის ოსმალეთის მთავრობას გამოგზავნილი ყავდა განსაკუთრებული პირები აგიტაციისათვის. ეს ჯერ კიდევ ამიერკავკასიის რესპუბლიკის დროს. ოსმალეთის ორიენტაციას მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მოღვაწეები და ბეგები. მათ ზაქათალის დემოკრატიებიც ჩაითრიეს და მხარი დაუჭირეს ამ ორიენტაციას სხვადასხვა დაპირებებით. ფაქტობრივად დღეს ზაქათალა შეკავშირებულია ადერბაიჯანის რესპუბლიკასთან, რომელსაც ყავს გამოგზავნილი ზაქათალაში ასეული ოსმალის ჯარიკაცი. ზაქათალაში ცხოვრობს შესამჩნევი რიცხვი ქართველი ინგილოებისა (რამდენიმე სოფელი), რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კავშირს აღიარებენ. ეკონომიკური და თვით პოლიტიკური მდგომარეობა კი პირდაპირ უკარნახებს ზაქათალის ოლქის მუსულმანებს იყოს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, რადგან მათი ნაწარმოების გამსაღებელი თბილისის გუბერნიაა, განსაკუთრებით სიღნაღის მაზრა.... ერთადერთი გზა, რომლისთაც ჩვენ შეგვიძლია ზაქათალის ოლქის გადმოხრა, ეს

¹²⁵ **С. Мустафаева.** Советская Россия и формирование границ между государствами кавказа. Интернет издание «Кавказ глобализация», 2010, т.4, выпуск 1.с. 230-231.

¹²⁶ **ნ. მირიანაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 66-80.

არის ეკონომიკური მხარე მათი.

მეორე გზა – ეს არის ძალით შემოერთება, რაც გამოინვევდა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან შეჯახებას, რადგან ფაქტიურად უკვე შეკავშირებულია მათთან და თუ ზაქათალის ოლქი ადერბაიჯანის რესპუბლიკის ნაწილად დარჩა, მაშინ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობამ უნდა იზრუნოს ინგილოების ბედზე, რადგან ისინი მუდამ შევინროვებულნი იქნებიან ადერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებში¹²⁷ 4.

დოკუმენტი იმდენად საინტერესოა, რომ ჩვენ მასზე შევჩერდებით. ინფორმაცია დაწერილია 1918 წლის 16 აგვისტოს – დამოუკიდებელი რესპუბლიკები სამხრეთ კავკასიაში ჯერ კიდევ ყალიბდებიან. ვვარაუდობთ, რომ წერილი უნდა ეკუთვნოდეს საქმეში მეტად ჩახედულ პიროვნებას (წერილი ხელმოუწერელია), რომელიც შეიძლება იყოს ან საქართველოს ოფიციალური საელჩოს წარმომადგენელი, ან ადგილობრივი ინფორმატორი. აქ მთავარი კი ის არის, რომ წერილის ავტორი ვითარებას ობიექტურად ასახავს და მიუთითებს პრობლემებზე, რაც ამ კუთხის ინკორპორაციის პროცესში შეიძლება მოელოდეს საქართველოს. ავტორი რამდენჯერმე იმეორეს: „ზაქათალის ოლქი ოფიციალურად უკვე შედის ადერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში“, „ფაქტობრივად დღეს ზაქათალა შეკავშირებულია ადერბაიჯანის რესპუბლიკასთან“. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფოს ეს ტერიტორია თავისად მიაჩნია და ამის დამამტკიცებელი არგუმენტებიც აქვს.

ავტორი ამ „შეკავშირებას“, ამ ერთიანობას უკავშირებს თურქეთის სახელმწიფოს პროპაგანდისტულ მოღვაწეობას – ანუ „თურქეთის ფაქტორს“. ამ სახელმწიფოს მხრიდან „პანთურქული“ იდეის პროპაგანდა კავკასიის მაჰმადიანების ერთიანობის მიღწევა, არ გამქრავლა თურქეთის იმპერიის დაცემისა და ათათურქის სახელმწიფოს მშენებლობის შემდეგაც.

ავტორი არ გამორიცხავს (პირიქით – გულისხმობს) ზაქათალაში პროქართული ორიენტაციის არსებობასაც, მაგრამ ამასთან შედარებით აშკარად ძლიერად ეჩვენება პროთურქული ორიენტაცია - „ოსმალეთის ორიენტაციას მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მოღვაწეები და ბეგები. მათ ზაქათალის დემოკრატიებით ჩაითრიეს და მხარი დაუჭირეს ამ ორიენტაციას სხვადასხვა დაპირებებით“.

ინფორმატორის (წერილის ავტორის) კეთილგონიერებაზე მიუთითებს მისი რეკომენდაცია მთავრობისადმი: „ეკონომიკური და თვით პოლიტიკური მდგომარეობა კი პირდაპირ უკარნახებს ზაქათალის ოლქის მუ-

¹²⁷ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, ს.ტ 9, ფურც. 50-51.

სულმანებს იყოს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, რადგან მათი ნაწარმოების გამსაღებელი თბილისის გუბერნიაა, განსაკუთრებით სილნალის მაზრა.... ერთადერთი გზა, რომლისთაც ჩვენ შეგვიძლია ზაქათალის ოლქის გადმოხრა, ეს არის ეკონომიკური მხარე მათი“. ეს შენიშვნა, ჩვენის აზრით, იმაზეც მიანიშნებს, რომ ინფორმაციის ავტორი შეიძლება სოციალ-დემოკრატი იყოს, რომელიც ეკონომიკურ დეტერმინიზმს აღიარებდა.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების თავისებურებები 1918-1920 წლებში შეიძლება სწორედ ამ წერილის შინაარსითაც ყოფილიყო ნაკარნახევი – ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ინფორმაცია არ გაცენოთ სახელმწიფოს ხელმძღვანელებისათვის, იმდენად მნიშვნელოვანია ის. ამ თვალსაზრისს გვიმყარებს ისიც, რომ ფაქტობრივად ორ მეზობელ სახელმწიფოს ჰქონდა სერიოზული ტერიტორიული დავა, ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები (იყო პერიოდები, როცა აზერბაიჯანი პრეტენზიას აცხადებდა საქართველოში მცხოვრებ ყველა მაჰამადიანის ინტერესის გამოხატვაზე და ბათუმის ოლქის ინკორპორაციაზეც ოცნებობდა – არის ამის დამადასტურებელი დოკუმენტებიც) და, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც აქტიურად თანამშრომლობდნენ დიპლომატიურ ფრონტზე, გააფორმეს მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან 1919 წლის 16 ივნისის სამხედრო ხელშეკრულება, ძალიან ინტენსიურია მათი ერთობლივი ძალისხმევა პარიზის 1919 წლის სამშვიდობო კონფერენციაზე და, რაც მთავარია, მათი თანაარსებობის ამ მოკლე პერიოდში ერთმანეთთან არ მოსვლიათ სამხედრო კონფლიქტი¹²⁸.

სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიული პრეტენზიების გამო ვითარება გარკვეულ ეტაპზე იმდენად დაიძაბა, რომ თბილისში 1919 წლის 29 მაისს შეკრებულმა საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც მიზნად ისახავდა სამხრეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკების ერთიანობას გენერალი დენიკინის სამხედრო მუქარების წინააღმდეგ, შედეგი ფაქტობრივად ვერ გამოიღო. სომხეთის წარმომადგენელი კატეგორიულად აცხადებდა, რომ სომხეთის რესპუბლიკა არ ნავიდოდა არავითარ შეთანხმებაზე მეზობლებთან, სანამ არ გაირკვეოდა ტერიტორიული ურთიერთობები: „სომხეთის ხელისუფლება აყენებს საკითხს - ერთობლივი პოლიტიკური გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ ტერიტორიული საკითხების გადაწვეტის შემდეგ“¹²⁹.

¹²⁸ ამის შესახებ: გრ. ზოგვერაძე, საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია 1918-1920 წწ. ქუთაისი, 2005, გვ. 59-60.

¹²⁹ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.

დასკვნა 2. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა, რომლებიც თავის თავს დასავლეთის ფასეულობების მხარდამჭერად და დემოკრატიულ სახელმწიფოს წარმომადგენლებად თვლიდნენ, თავიანთი ქვეყნებისათვის მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ვერ მოახერხეს საგარეო საფრთხის წინააღმდეგ გაერთიანება და დაუსაბუთებელი ტერიტორიული პრეტენზიებით, ზოგჯერ სასაზღვრო კონფლიქტებით და სამხედრო აგრესიითაც კი (მაგალითად, სომხეთის სახელმწიფოს აგრესია საქართველოს მიმართ 1918 წ., აზერბაიჯან-სომხეთის სასაზღვრო შეტაკებები და ა.შ.) აშკარად უზრუნველყვეს ბოლშევიკური რუსეთის ხელმეორე შემობრუნება და მთელი კავკასიის გასაბჭოება.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ძალით გასაბჭოების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება კომუნისტური გახდა, ტერიტორიულ-სასაზღვრო პრობლემები დღის წესრიგიდან მაინც არ მოიხსნა. უფრო მეტიც - ის საკმაოდ გამწვავდა. რატომ?

საერთოდ, სოციალ-დემოკრატიული, კომუნისტური იდეოლოგია, ინტერნაციონალისტურია თავისი შინაარსითაც და მიზანდასახულობებით. კ. მარქსი და ფ. ენგელსი საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერნაციონალურ გაერთიანებას იმიტომაც გეგმავდნენ, რომ ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ უნდა შექმნილიყო პროლეტარული სახელმწიფო, რომელსაც არ ექნებოდა საზღვრები და სადაც არ იქნებოდნენ მდიდრები და ღარიბები. თავის საპროგრამო ნაშრომებში მარქსიზმის ფუძემდებლებმა მკაცრად განსაზღვრეს ეროვნულისა და ინტერნაციონალურის თანაფარდობა – ეროვნული მუდამ ითვლებოდა მეორეხარისხოვან, დაქვემდებარებულად პრობლემად, რომელიც რაღაც ეტაპზე საერთოდ გაქრებოდა და ის ხელს ვერ შეუშლიდა პროლეტარიატის ინტერნაციონალურ გაერთიანებას. „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა – შეერთდით!“ - ლაღადებდა სოციალ-დემოკრატების მთავარი ლოზუნგი.

არსებობს ვ.ი.ლენინის რევოლუციამდელი არა ერთი გამონათქვამი, რომელშიც ასევე განსაზღვრულია პროლეტარიატის ერთიანობის იდეა, დაგმობილია ფეოდალური გადმონაშთი – საზღვარი და ისტორიული ტერიტორია. ის ნაშრომებში არა ერთგან არის ხაზგასმული, რომ ნაციონალიზმმა, ეროვნულმა საკითხმა ხელი არ უნდა შეუშალოს პროლეტარიატს ერთიანი ძალისხმევით ხელში აიღონ პოლიტიკური ხელმძღვანელობა. კომუნისტები თეორიულად ასაბუთებდნენ მსოფლიოში ერების შერწყმის შესაძლებლობას კომუნისტური საზოგადოების ამენების დამავიროვნებელ ეტაპზე, როცა აღარ იქნებოდა არც საზღვრები და არც ერები.

1863, აღ.1, საქ. 735, ფურც. 10.

აქედან გამომდინარე – ჭეშმარიტ კომუნისტს საზღვრები მხოლოდ უნდა „დაენგრია“ და არ უნდა „შენებინა“. მაგრამ სამხრეთ კავკასიაში მოხდა პირიქით. ვითარება ამ საკითხების გარშემო ისე დაიძაბა, რომ კავბიუროს ხელმძღვანელმა სერგო ორჯონიკიძემ, ლენინთან შეთანხმების გარეშე, ი.ბ. სტალინი კუთვნილ შვებულებას მონყევიტა და თბილისში ჩამოიყვანა.

ი. ბ. სტალინის თბილისში ყოფნის დროს კავბიუროს სხდომებზე განხილულ საკითხთა შორის ტერიტორიული პრობლემები, ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი – უმნიშვნლოვანესი იყო და მას დიდი ყურადღება დაუთმეს.

დასაწყისში მოდი ვნახოთ როგორც მანიპულირებს ფაქტებითა და გარემოებებით მკვლევარი ს. ხარმანდარიანი, რომელსაც, სხვებისგან განსხვავებით, მართლაც ნანახი აქვს რკპ (ბ) ცეკას კავბიუროს 1921 წლის ოქმები (ფონდი 64), „იმელის“ პარტიული არქივის სერგო ორჯონიკიძის ფონდიც (ფონდი 85) და ჩინებულად იცის, რომ ამ დოკუმენტებში სტალინის სიტყვით გამოსვლა, თვალსაზრისი ან რაიმე რჩევა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული გამიჯვნასთან დაკავშირებით არ ფიქსირდება („სტალინი კენჭისყრაში არ მონაწილეობდა, თუმცა, როგორც რკპ (ბ) ცეკას წევრს, რომელიც განხილვაში მონაწილეობდა, მას შეეძლო კენჭისყრაში მონაწილეობა“¹³⁰ - აღნიშნავს ს. ხარმანდარიანი.). მაგრამ მას ძალიან სჭირდება, რომ მთიანი ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტის საქმესთან რაიმენაირად დააკავშიროს. მიტომაც მიმართავს შემდეგ „ცულობებს“:

1.ს. ხარმანდარიანი ამტკიცებს (და მის ამ შეხედულებას სრულად იზიარებს ლ. თოიძე), რომ სომეხმა კომუნისტებმა (მიასნიკოვმა და ბეკუა-დიანმა) თავისი სურვილი საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის „ჩამოეჭრათ ტერიტორიები სომხეთის სასარგებლოდ“ ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე გააცნეს მოსკოვში ი. სტალინს და ეს შეხედულება „სტალინმა სავსებით გაიზიარა“¹³¹.

ჩვენ ს. ხარმანდარიანის წიგნში მოტანილი მოსაზრება – სომეხი პარტიული ლიდერებისათვის ი. სტალინის მხრიდან საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიების სომხეთისათვის ჩამოჭრის მიზანშეწონილობის „სავსებით გაიზიარების“ შესახებ და აქედან გამომდინარე შორსგამიზნული დასკვნების გაკეთება – მართლზომიერად არ გვეჩვენება. ამას არ ადასტურებს არცერთი საისტორიო დოკუმენტი.

¹³⁰ **С. В. Хармандарян**, Ленин и становление Закавказской федерации 1921-1923, Ереван, 1969. с.108.

¹³¹ **ლ. თოიძე**, დასახ. ნაშრომი. გვ. 98.

2.ს. ხარმანდარიანი ამტკიცებს: „დოკუმენტებიდან ჩვენთვის ცნობილია (ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრის დამდგენი კომისიის ოქმები და სხვ.), რომ სტალინმა მხარი დაუჭირა სომხებით უპირატესად დასახლებული ტერიტორიების საბჭოთა სომხეთისათვის მიერთებას და სხვ.“¹³². მაგრამ ს. ხარმანდარიანი წყაროს არ უთითებს – რომელ ოქმში ნახა მან ეს მასალა, რომელიც მას ასეთი თვალსაზრისის გამოთქმის შესაძლებლობას აძლევდა.

უნდა აღინიშნოს, რომ, მართლაც, რკპ (ბ) ცეკას კავბიუროს 1921 წლის ოქმებში ინახება რამდენიმე ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრის დამდგენი კომისიის ოქმი, რომლებიც ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავენ, მაგრამ ამ სხდომებს სტალინი არ ესწრებოდა., კომისიის წევრები ძირითადად მეცნიერები იყვნენ (მაგალითად, პ. ინგოროყვა, ს. მაჩაბელი საქართველოს მხრიდან). ამ ოქმებში სტალინის თვალსაზრისი არსად ფიქსირდება – ი. სტალინი ხომ ამ კომისიების მუშაობას არ ესწრებოდა და არც კომისიის წევრებს არ გახსენებიათ ის?

ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა 2004-2005 წლის სამეცნიერო მივლინების დროს მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ყოფილი „იმელი“) გვენახა ეს მასალა (ფონდი, 64, ს. 61, ფურც. 1-7 და სხვ.) და დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ სტალინის აზრი იქ არსად არ ფიგურირებს. ამრიგად, ს. ხარმანდარიანი აშკარად ეწევა ფალსიფიკაციას.

ი. ბ. სტალინის თბილისში ყოფნის დროს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიების გამიჯვნის საკითხი პირველად განიხილეს რკპ (ბ) ცკ კავბიუროს 1921 წლის 4 ივლისის სხდომაზე. როგორც დასტურდება, ი.ბ. სტალინი, მართალია, ესწრებოდა კავბიუროს სხდომებს, მაგრამ ის კენჭისყრაში არ მონაწილეობდა – ოფიციალურად ის კავბიუროს წევრი არ იყო, თანაც ის იყო შვებულებაში – ანუ უფლებამოსილებაც არა ჰქონდა. ის ფაქტობრივად არაოფიციალურად ესწრებოდა სხდომებს და შეიძლება მხოლოდ აზრი გამოეთქვა არაოფიციალურად, მაგრამ ოქმებში ეს არაოფიციალური თვალსაზრისიც არსად არ დაფიქსირებულა.

კავბიურომ სპეციალურად განიხილა „ყარაბაღის საკითხი“. დისკუსიის დროს გამოიკვეთა რამდენიმე თვალსაზრისი: 1. ყარაბაღი რჩება აზერბაიჯანის შემადგენლობაში (ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს: ნარიმანოვმა, მახარაძემ, ნაზარეტიანმა; წინააღმდეგი იყვნენ – ორჯონიკიძე, მიასნიკოვი, ფიგატნერი); 2. ჩატარდეს პლემბისციტი მთელ ყარაბაღში სომეხი და მაჰმადიანი მოსახლეობის მონაწილეობით (ამ წინადადებას მხარი

¹³² იქვე.

დაუჭირეს ნარიმანოვმა და მახარაძემ); 3. მთიანი ყარაბაღი შეუერთდეს სომხეთს (ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს: ორჯონიკიძემ, მიასნიკოვმა, ფიგატნერმა, კიროვმა - ე.ი. კავბიუროს უმრავლესობამ); IV. იყო მოსაზრება, რომ პლებიციუსტი ჩატარებულიყო მხოლოდ სომეხი მოსახლეობისათვის (ამ თვალსაზრისს მხარი დაუჭირეს ორჯონიკიძემ, მიასნიკოვმა, ფიგატნერმა, კიროვმა და ნაზარეტიანმა – ანუ კავბიუროს კიდევ უფრო დიდმა უმრავლესობამ).¹³³

ამრიგად, 1921 წლის 4 ივლისის სხდომაზე კავბიუროს უმრავლესობის მოსაზრებით მთიანი ყარაბაღი (პლებიციუსტით ან პლებიციუსტის გარეშე) უნდა გადასცემოდა სომხეთის სსრ-ს. მაგრამ ამ საკითხზე კავბიუროს დადგენილება არ მიუღია – ნ. ნარიმანოვის თხოვნით საკითხის განხილვა გადაიდო სხვა დღისათვის.

პოსტსაბჭოთა სომხურ და სომხების მიერ ანგაჟირებულ რუსულ ისტორიოგრაფიაში მიუთითებენ, რომ კავბიურომ ამ სხდომაზე მთიანი ყარაბაღი გადასცა სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. მაგალითად, მკვლევარი ა. ხაჩიკიანი აღნიშნავს: „1921 წლის 3 ივლისს კომუნისტური პარტიის კავკასიურმა ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ცნო მთიანი ყარაბაღი სომხეთის ნაწილად. საბჭოთა სომხეთის მთავრობამ ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად ა. მრავიანი მთიანი ყარაბაღის საგანგებო კომისრად დანიშნა. მაგრამ საბჭოთა აზერბაიჯანის მთავრობამ უკან წაიღო თავისი გაცხადება და მოითხოვა მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანისათვის მიერთება... საკითხი კვლავ დადგა კომპარტიის კავბიუროს პლენუმზე. 1921 წლის 4 ივლისს გადაწყდა მთიანი ყარაბაღის მიკუთვნება სომხეთისათვის. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარე ნარიმან ნარიმანოვი. მისი მოთხოვნით საბოლოო გადაწყვეტილების მიღება უნდა გადატანილიყო მოსკოვში – კომუნისტური პარტიის ცენტრში. მაგრამ ი. სტალინის ზეგავლენით, მეორე დღეს (ხაზგასმა ჩემია – ა.დ.) კავბიუროს პლენუმმა გადასინჯა თავისი გადაწყვეტილება. 1921 წლის 5 ივლისს კავბიურომ მიიღო გადაწყვეტილება მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანისადმი მიკუთვნების შესახებ“¹³⁴.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ისტორიით მანიპულირების ტიპიურ, კლასიკურ შემთხვევასთან. ზემოთ მოტანილი ამონარიდი ადასტურებს, რომ ა. ხაჩიკიანს რკპ (ბ) ცეკას კავბიუროს (და არა “კომპარტიის ცეკას კავკა-

¹³³ Государственный архив социально-политической истории РФ (ГАСПИ РФ), ф. 64, оп.1, д.1, с.117.

¹³⁴ **А. Э. Хачикян**, История Армении, Ереван, 2016, с.208.

სიური ბიურო“ – როგორც ის მას უწოდებს) შესაბამისი ოქმები მოსკოვის „სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში“ (ყოფილი „იმელი“) არ უნახავს და მიზანმიმართულად აყალბებს მთელ ამ ისტორიას.

ვერ ერთი – 1921 წლის 3 ივლისის სხდომაზე საერთოდ არ დამდგარა ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი. იმ დღეს დისკუსია შეეხო ს. ორჯონიკიძის მიერ დაყენებულ საკითხს - „რა აზრს ვდებთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობაში?; უნდა ის გავიგოთ ბურჟუაზიული თუ პროლეტარული გაგებით?“ და ა.შ.¹³⁵

აქედან გამომდინარე, კავბიურო 3 ივლისს ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანისადმი მიკუთვნების შესახებ. ეს საკითხი კავბიუროს ხელმძღვანელობამ განიხლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ – 4 ივლისს და მის შესახებ ჩატარდა დისკუსიაც, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. 4 ივლისს კავბიუროს დადგენილება არ მიუღია და არც ერთი რესპუბლიკისათვის მთიანი ყარაბაღი არ გადაუცია. ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ ორჯონიკიძე, მთიანი ყარაბაღი და ფიგატინი მხარს უჭერდნენ სადავო ტერიტორიის სომხეთისათვის გადაცემას. მაგრამ ისიც ვნახეთ, რომ იყო სხვა შეხედულებებიც. ამაზე პატივცემული ა. ხაჩიკიანი დუმს – მან ან არ იცის მათ შესახებ, ან სპეციალურად აყალბებს ფაქტებს.

კავბიუროს ოქმებში არსად არ არის მინიშნება სადავო საკითხის მოსკოვში – რკპ (ბ) ცეკას პლენუმზე ან ცეკას პოლიტბიროს სხდომაზე მისი გადატანის შესახებ. ი.ბ. სტალინსაც არ გამოუთქვამს ამ საკითხზე არავითარი შეხედულება (ეს არ არის დაფიქსირებული ოქმებში).

მე მინდა ამასთან დაკავშირებით ერთ გარემოებაზე გავამახვილო ყურადღება – რას ფიქრობდა ი.ბ. სტალინი ყარაბაღის კუთვნილების საკითხზე, ყველაზე უფრო ინფორმირებული იქნებოდა სერგო ორჯონიკიძე, რომელიც სტალინის თვალსაზრისს, ალბათ, გაითავისებდა და ამიტომაც როცა 4 ივლისს, ორივე შემთხვევაში დაფიქსირდა ს. ორჯონიკიძის მხარდაჭერა (პლუბისციტით, უპლუბისციტით) მთიანი ყარაბაღის სომხეთისათვის გადაცემაზე, შეიძლება დავუშვათ, რომ გარკვეულწილად ის სტალინის თვალსაზრისსაც ასახავდა. ი.ბ. სტალინს კი ერთ დღეში თვალსაზრისი დამოუკიდებლად არ შეეცვლებოდა – თუ კი მკვლევარს სურვილი აქვს ამ საკითხის გადაწყვეტისას ვინმეს ზეგავლენა დაუშვას, შეიძლება ამ ვარაუდმა მოსკოვში, რკპ (ბ) ცეკას პოლიტბიუროს უფრო გავლენიანი წევრების ლობირების დაშვების საკითხამდეც კი მიგვიყვანოს.

¹³⁵ Государственный архив социально-политической истории РФ (ГАСПИ РФ), ф. 64, оп.1, д.1, с.88.

უნდა გვახსოვდეს, რომ 1921 წელს ი. სტალინის ზეგავლენა არ ქარბობდა პოლიტბიუროს სხვა წევრების ზეგავლენას – ის მათ შორის მხოლოდ ერთ-ერთი იყო. ამიტომ ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსისა თუ მასმედიის წარმომადგენლის მტკიცება მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანისათვის დატოვების საქმეში ი. ბ. სტალინის დიდი ძალისხმევის შესახებ - ისტორიული მითების სფეროს შეიძლება მივაკუთვნოთ.

1921 წლის 5 ივლისს კავბიურო კვლავ მიუბრუნდა მთიანი ყარაბაღის საკითხს ორჯონიკიძისა და ნაზარეთიანის წინადადებით და ამჯერად კი უკვე მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: „მუსლიმანებისა და სომეხების ეროვნული მშვიდობის გამო და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ზემო და ქვემო ყარაბაღი, მათი მუდმივი კავშირის გამო აზერბაიჯანთან, დარჩეს მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ადმინისტრაციული ცენტრი გახდეს – შუშა. აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაევალოს საზღვრების დადგენა და ა.შ.“¹³⁶

სწორედ ეკონომიკური მიზანშეუნონილობისა და ახალქალაქისა და ხრამის რაიონების თბილისთან მჭიდრო კავშირის გამო სომეხ კომუნისტებს უარი ეთქვათ ამ რაიონების მიმართ მათ პრეტენზიაზე. ამასთან ერთად, სომეხმა კომუნისტებმა კავბიუროს წინაშე დააყენეს ლორეს ნეიტრალური ზონის სომხეთისათვის „მთლიანად გადაცემის“ საკითხი. ამ წინადადებას კი კავბიუროს 6 წევრმა დაუჭირა მხარი, თუმცა ისიც დაადგინეს, რომ ეს საკითხი უნდა განეხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საბოლოო გადაწყვეტილება მას უნდა მიეღო (ხაზგასმა ჩემია – ა.დ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტის პოლიტბიურომ ლორეს ნეიტრალური ზონის სომხეთისათვის გადაცემის საკითხი განიხილა 1921 წლის 16 ივლისს. პოლიტბიუროს ორმა წევრმა ფ. მახარაძემ და მ. ორახელაშვილმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხზე კავბიუროს უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას. მესამემ – ბუდუ მდივანმა განაცხადა, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია კავბიუროს მიერ, თორემ ის მიზანშეუნონილად თვლიდა მოსახლეობის გამოკითხვას (პლენისციტს)¹³⁷.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელებს შეეძლოთ დაეცვათ საქართველოს ტერიტორიული ინტერესები ისევე, როგორც ახალქალაქისა და ხრამის ტერიტორიაზე პრეტენზიების შემთხ-

¹³⁶ Государственный архив социально-политической истории РФ (ГАСПИ РФ), ф. 64, оп.1, д.1, с.121.

¹³⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 1, ს. 7, ფურც. 1.

ვევაში გააკეთეს, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ამის სურვილი უკვე აღარ ჰქონდათ.

რაც შეეხება პლებისციტის ჩატარებას აღნიშნულ რეგიონში, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლორეს ნეიტრალურ ზონაში ძირითადად სომეხი ეთნოსი ცხოვრობდა, ამკარა ხდება, რომ პლებისციტის ჩატარებას აზრი არა ჰქონდა – სომეხი მოსახლეობა მხარს სომხეთის სსრ-ს შემადგენლობაში ყოფნას დაუჭერდა, აქედან გამომდინარე ბ. მდივანის წინადადებას ამ შემთხვევაში რეალური მნიშვნელობას კარგავდა – ის ვერ შეუნარჩუნებდა საქართველოს თავის ისტორიულ ტერიტორიას.

კამათი და აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხების გარშემო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემდეგაც გაგრძელდა. საჭირო იყო პარტიული გადაწყვეტილებების სახელმწიფოებრივი რეალიზება, რისთვისაც გამოიყო ავტორიტეტული დელეგაციები.

დადგინდა საქართველოს საზღვარი აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან. ამ მიზნით სპეციალური მთავრობათაშორისი კომისია შეიქმნა. ქართულ დელეგაციაში შედიოდა პავლე ინგოროყვა და სოლომონ მაჩაბელი. როგორც შემორჩენილი დოკუმენტური მასალა ადასტურებს, მომავალში აღიარებული და დამსახურებული ქართველი მეცნიერი პ. ინგოროყვა აქტიურად ცდილობდა საქართველოს პოზიციების ლობირებას, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული როგორც ქართველი, ისე მაჰმადიანი მოსახლეობის ინტერესები. ის ითხოვდა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრას, ადგილებზე ვითარების გაცნობას. კომისიამ გაითვალისწინა პ. ინგოროყვას რჩევა და სხდომა გადაიდო 10 ოქტომბრამდე. კომისიის წევრები ესაუბრნენ სოფლების: კესალოს, ნაზარლოს, ვოიკოვისა და კაპანახჩის მოსახლეობას.

1921 წლის 15 ნოემბერს საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის სასაზღვრო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა და ის ძალაში შევიდა. როგორც დოკუმენტი იუნყება: „საზღვარი იწყება წითელი ხიდიდან, მიემართება ჩრდილოეთით ტორპახ-ტაპაზე მიდის სწორი ხაზი, კვეთავს მდნარე მტკვარს და კოზლუხის ტყის გავლით მიდის ყარაიაზის ველის მე-17 სარწყავი არხის სამხრეთის ბოლო¹³⁸და ა.შ.

ამ ხელშეკრულებით, ზაქათალას ოლქი, ინგილოებით დასახლებული ტერიტორიებით, გადაეცა აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკას, მაგრამ ი. ბ. სტალინის ჩარევის გარეშე.

არ ვიქნებით სამართლიანი, თუ აზერბაიჯან-საქართველოს სასაზღვრო

¹³⁸ Государственный архив социально-политической истории РФ (ГАСПИ РФ), ф. 64, оп.1, д.61, с.5.

ღვრო პრობლემაზე მსჯელობისას არ გავითვალისწინებთ ივანე ჯავახიშვილისა და აგენტ-ინფორმატორის რელაციაში ჩამოყალიბებულ რეალობებს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაკეთდეს შესაბამისი ობიექტური დასკვნა.

სასაზღვრო საკითხები მოგვარდა სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან. 1921 წლის 6 ნოემბრის სამთავრობო დადგენილებას საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ შორის საზღვრების დადგენის შესახებ ხელი მოაწერეს ა. მისანიკოვმა და ბ. მდივანმა. ამ ხელშეკრულებით ლორეს ნეიტრალური ზონა მთლიანად გადაეცა სომხეთის მხარეს. სოფლები ირგანჩაი, საათლო, ჯანდარი, ახკერპი, ოფრეთი, ხოფორნი, ბრდაძორი, სადახლო დარჩა საქართველოს შემადგენლობაში. სახელმწიფო საზღვარი გადიოდა მთა უჩ-ტაპალარის მთიდან, კლაკნილი ხაზით, დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიემართება 8456 დიუმის სიმალიდან, აღწევს ორთელდაბის უღელტეხილამდე (8030) ხოლო ოკიუზ-დაგის მთებიდან ხაზი უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით“ და ა.შ. დასავლეთიდან აღმოსავლეთით სიმაღლე 8456, უღელტეხილ ორთულ-დაგამდე და მთა სკიუზ-დაგამდე, აქედან საზღვარი უხვევდა ჩრდილო-აღმოსავლეთით და მიდოდა ტბა მადატოფის, სოფელ ტროიცკამდე, ხოლო სამხრეთიდან – დასახლება ტატოი-ხარაბამდე და ა.შ.¹³⁹

დასკვნა 3. რკპ (ბ) ცეკას კავბიუროს 1921 წლის 4-7 ივლისის სხდომებზე მონაწილეობის მიუხედავად დოკუმენტურად არ დასტურდება ი. ბ. სტალინის რაიმე აქტივობა სამხრეთ კავკასიის სამი მეზობელი ქვეყნის ტერიტორიული გამიჯვნის გადანყვეტის მიღების საქმეში. ავტორები, რომლებიც ი. ბ. სტალინს ამ საკითხში აქტიურ მონაწილეობას აბრალებენ ან არ იცნობენ საარქივო დოკუმენტებს, ან არა და ანგაჟირებული არიან ამ პრობლემით დაინტერესებული მხარეების მხრიდან. ი. ბ. სტალინის აქტიური მონაწილეობა საზღვრების გადანაწილების დროს ზოგიერთ ანგაჟირებულ ისტორიკოსს და პოლიტიკოსს დასჭირდა მ. გორბაჩოვის „გარდაქმნის“ დროს ანტისტალინური ფსიქოზის ვითარებაში მოხერხებინა რაიმენაირად თეორიული საფუძველი გამოეძებნა თავისი დაუსაბუთებელი ტერიტორიული პრეტენზიებისათვის.

როგორი იყო საქართველოს საზოგადოებრივი აზრის რეაგირება სამხრეთ კავკასიელი კომუნისტების სასაზღვრო პრობლემების მოგვარების დროს და ვის აბრალებდნენ ეროვნული ინტერესების ლალატს?

საქართველოს ინტელიგენცია ამ საქმეში ძირითადად ადანაშაულებს ს. ორჯონიკიძეს „რომელმაც გააჩუქა საქართველოს ისტორიული ტერი-

¹³⁹ 6. მირიანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

ტორიები“. ჩვენ ვთვლით, რომ ობიექტურად და საქმის ცოდნით შეაფასა სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი დამფუძნებელი კრების წევრმა, სოციალ-დემოკრატიმა, იმუამად პოლიტპატიმრობაში მყოფმა, ანდრო ჭიაბრიშვილმა ლ. ტროცკისადმი 1923 წელს საპატიმროდან გაგზავნილ თავის წერილებში და ამკარად დაადანაშაულა ისინი: „ისეთმა ხელმძღვანელებმა ეროვნული პოლიტიკისა, როგორებიც არიან მახარაძე, ქავთარაძე, ცინცაძე და სხვები, რომლებმაც არა ერთხელ მოხსნეს მატერიალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის რეკორდები, შემოიყვანეს საქართველოში რუსეთის არმია და ამით ამაყობდნენ (ბ. მდივანი თავადაც აღნიშნავდა, რომ საზღვრების შესახებ ხელშეკრულებებს ხელს ისე აწერდნენ, რომ არც კითხულობდნენ“¹⁴⁰.

როგორ ვხედავთ, ამ ჩამონათვალში არც სტალინია და არც ორჯონიკიძე (ორივე რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის არა მარტო მოქალაქე, არამედ დიდმოხელე იყო), სამაგიეროდ დასახელებულია მახარაძე, ქავთარაძე, ცინცაძე, მდივანი, რომლებიც როგორც საქართველოს მოქალაქეები ვალდებულებიც იყვნენ უფრო მოქნილი დიპლომატია და კიდევ უფრო შორსგამიზნული პოლიტიკა განეხორციელებინათ.

დასკვნა 4. პასუხისმგებლობა სამხრეთ კავკასიაში 1921 წელს განხორციელებულ ტერიტორიული გამიჯვნის დროს დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულისათვის ეკუთვნით იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ვინც თავისი თანამდებობებით ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში და ხელშეკრულებას ხელს „ისე აწერდნენ რომ არც კითხულობდნენ“.

ხოლო რაც შეეხება ი. სტალინის რაიმე აქტიურ მონაწილეობას სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრების გამიჯვნის დროს, ეს დოკუმენტურად არ დასტურდება, თუმცა მოგვიანებით, უკვე II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სწორედ ი. სტალინის ინიციატივით დაიწყო სამხრეთ კავკასიაში ტერტიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვისა და დაზუსტების პროცესი. მაგრამ ეს უკვე სხვა, სპეციალურად შესასწავლი თემაა.

¹⁴⁰ კ. წენგუაშვილი, ქართველი პოლიტპატიმრის წერილები ტროცკის, „ანალები“, 2005 წ. №1, გვ. 68.

J.B. Stalin and the problem of state borders in the South Caucasus (1921)

The existence of the Russian Empire and the forcible unification of the peoples of the South Caucasus completely ruled out any territorial claims against each other and any specific steps in this direction on the part of the national political elites: these territories and current or future issues of their administrative-territorial division were resolved exclusively with taking into account the interests of the imperial government. In these cases, the interests and historical characteristics of local ethnic groups have never been considered.

The leaders of the South Caucasian republics, who considered themselves supporters of Western values and representatives of democratic states, in a challenging political situation for their countries, could not rally in front of external threats and their unfounded territorial claims, border conflicts, and even military aggression (for example, the aggression of the state of Armenia against Georgia in the 1918 year, Azerbaijani-Armenian border clashes, etc.) ensured the second coming of Russia, this time Bolshevik, and the Sovietization of the entire Caucasus.

Despite his participation in the meetings of the Caucasian Bureau of the RCP on July 4-7, 1921, no activity of I.B. Stalin to influence a decision on the territorial division of the three neighboring countries of the South Caucasus is not documented. The authors who accused I.B. Stalin of active participation in this matter either are unfamiliar with archival documents or directly engaged with parties interested in this problem. The alleged active participation of Stalin in the redistribution of borders was necessary for some interested historians and politicians to find somehow a theoretical basis for their unfounded territorial claims during Gorbachev's "transformation" in the conditions of anti-Stalinist psychosis.

Responsibility for the mistakes and crimes committed during the territorial division of the South Caucasus in 1921 lies with those politicians who were obliged to participate in this matter but signed the agreements without even reading them.

Thus, no active participation of Stalin in the South Caucasus during the delimitation of territorial-administrative borders was recorded. However, later, after the end of World War II, precisely on the initiative of Stalin, the process of revising and clarifying the territorial-administrative borders within the South Caucasus began. But this is a topic for a special study.

ბაჟან სორავა

ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სამეგრელო. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

საკვანძო სიტყვები: სამეგრელო, ოდიშის სამთავრო, ისტორიული გეოგრაფია, ოროგრაფია, ჰიდროლოგია, ისტორიული ტოპონიმია.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სამეგრელო დასავლეთ საქართველოს ცენტრალურსა და დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. დასავლეთით მას შავი ზღვა ეკვრის; ჩრდილო-დასავლეთით მისი საზღვარი ძირითადად მდ.ენგურის ქვემო დინებაზე (შესართავიდან სოფ. ფახულანამდე), შემდეგ ოხაჩქუეს მასივზე და ჩრდილოეთით ეგრისის (სამეგრელოს) ქედის თხემზე გადის, მიუყვება ეგრისის ქედს აღმოსავლეთით გოდირაკილის ქედის და მდ.საწისქვილესწყლის და მდ.აბაშის წყალგამყოფი ქედის თხემამდე; აღმოსავლეთით – მდ.ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირს გასდევს; სამხრეთით – მდ.ცხენისწყლის შესართავიდან ჯერ მდ.რიონის მარჯვენა ნაპირს მიუყვება, შემდეგ მდ.რიონის მარცხენა მხარეზე გადის და მდ.ფიჩორს ემთხვევა პალიასტომის ტბასთან მის შეერთებამდე, გასდევს ტბის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროს და შავ ზღვას ებჯინება.¹⁴¹

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, სამეგრელოში შედის: აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხორონყუს, ნალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტები, ქალაქები – ზუგდიდი და ფოთი.

სამეგრელოს ჩრდილოეთით ეგრისის ქედი საზღვრავს. ეს არის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გასწვრივი გვერდითი ქედი, მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფი. მისი სიგრძეა 62 კმ, სიგანე – 37 კმ. იგი ინტენსიურად არის დანაწევრებული მდინარეების –

¹⁴¹ საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1, ფიზიკური გეოგრაფია (2000), მთავარი რედაქტორი **ზურაბ ტატაშიძე**. თბილისი, „მეცნიერება“, გვ. 264; კორსანტია კ. (2012), სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი. თელავი, „ბარტონი“, გვ. 22-23; **ალფენიძე მ., კორსანტია კ., მაისურაძე რ., ესებუა ე., მზარელუა ლ.** (2015), ოდიში: ბუნებრივი პირობები, რესურსები და სამეურნეო პრაქტიკა, – აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომათა კრებული, ტ. 4, გვ. 56.

მაგანას, ჭანისწყლის, ტეხურის, ხობისწყლის და მათი შენაკადების ხეობებით. ქედის თხემზე და მისგან სამხრეთისაკენ გამოწვილ შტოქედებზე აღმართულია მწვერვალები: ოხაჩქუე (2167 მ), ურულაფუ (2120 მ), ოთიფურემ-დუდი (3040 მ), დიდლალი-დუდი (3167 მ), ლაკუმურამ-დუდი (3111 მ), ჭითაგვალა (3226 მ), კატახტიმ-დუდი (2947 მ), სამაჭირხოლო (3170 მ), ტეხურიმ-დუდი (3001 მ), ცეკური (3178 მ), გოდირაკილი (2520 მ).¹⁴²

ეგრისის (სამეგრელოს) ქედის სამხრეთით, მდინარეების ენგურის და ცხენისწყლის ხეობებს შორის, ვრცელდება ოდიშის ჩრდილო კირქვიანი ზოლი, რომელიც მდინარეების: ენგურის, მაგანას, ჭანისწყლის, ხობისწყლის და ტეხურის ხეობებით დაყოფილია ნულიშის (1124 მ), ყვირას (2038 მ), გაუჩას (950 მ), მიგარიას (2024 მ) იზოლირებულ მასივებად. ამ ზოლს მიეკუთვნება ოხაჩქუეს მასივი, რომელიც ენგურის მარჯვენა ნაპირზეა; ასევე ასხის მასივის უკიდურესი დასავლეთი ნაწილი, რომელიც მდინარეებს ტეხურსა და ცხენისწყალს შორის ტერიტორიას მოიცავს.¹⁴³ ასხის მასივის უმაღლესი მწვერვალია გოდირაკილის მთა (2520 მ).

მდინარეების ხობისწყლისა და ტეხურის, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ტეხურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფებს შორის აღმართულია ჯახუნაბუსა (2759 მ) და ყვირას (2038 მ) შტოქედები. ჯახუნაბუ ერთმანეთთან აკავშირებს ეგრისის ქედსა და მიგარიას კარსტულ მასივს; ყვირას ქედი მდინარეების მაგანისა (ენგურის მარცხენა შენაკადი) და ინწრის (ჭანისწყლის მარცხენა შენაკადი) სათავეების წყალგამყოფია. უმაღლესი მწვერვალია ყვირა (2038 მ.). იგი ეგრისის ქედის თხემური ნაწილისა და ასხის მასივის დამაკავშირებელი ოროგრაფიული ერთეულია. ქედის სამხრეთ კალთაზე ნიფლნარ-რცხილნარია, არის მუქწინვიანებიც, მაღალ ნაწილში სუბალპური მდელოებია; მდინარეების ხობისწყლისა და მაგანას წყალგამყოფია მთა ცაშკიბული, რომელიც ეგრისის ქედის მთავარ წყალგამყოფსა და ყვირასა და გაუჩას კირქველ მასივებს ერთმანეთთან აკავშირებს.¹⁴⁴

სამეგრელო დასავლეთ კავკასიონისა და კოლხეთის ლანდშაფტური ოლქების საზღვრებში შედის. აქ ორი ლანდშაფტური ქვეოლქი გამოი-

¹⁴² **მარუაშვილი ლ.** (1964), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბილისი, „ცოდნა“, გვ. 140; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1, ფიზიკური გეოგრაფია (2000), გვ. 263-264.

¹⁴³ **მარუაშვილი ლ.** (1964), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 142; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1, ფიზიკური გეოგრაფია (2000), გვ. 264.

¹⁴⁴ **მარუაშვილი ლ.** (1970), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. II, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 48; **კორსანტია ვ.** (2012), სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 31.

ყოფა – მთიანი სამეგრელო და ოდიშის ბარი. მთიანი სამეგრელო მოიცავს ეგრისის ქედის თხემურ ზოლს, მის სამხრეთ ფერდობებს და წულიშის, ყვირას, გაუჩას, მიგარიას და ასხის მასივებს. ოდიშის ბარში შედის: კოლხეთის დაბლობის ვრცელი უბანი – ოდიშის ვაკე-დაბლობი, ცენტრალური ოდიშის პლატო და მისი განაპირა გორაკბორცვიანი ზოლი.¹⁴⁵ მთიანი სამეგრელოს ერთ ნაწილს, ეგრისის ქედის მთისწინა ზოლს, რომელიც ენგურის მარცხენა ნაპირიდან ტეხურამდე აღწევს და მთისწინა სოფლებსაც მოიცავს, ლაკადას (ლაკად, სვან. „სანაჯახე“, ანუ ტყიანი) ეძახიან. ადრე, გეოგრაფიული თვალსაზრისით, სამეგრელოს სამ ნაწილად ყოფდნენ: ზემო სამეგრელო – მთიანი ნაწილი, შუა სამეგრელო – ცენტრალური ოდიშის პლატო და მისი განაპირა გორაკბორცვიანი ზოლი, ქვემო სამეგრელო – ოდიშის ვაკე-დაბლობი.

ოდიშის ვაკე-დაბლობი კოლხეთის ლანდშაფტური ოლქის ცენტრალურ, ყველაზე დაბალ ნაწილს მოიცავს, რომელიც თავისი დასავლეთი ნაწილით შავ ზღვას ებჯინება. ცენტრალური ოდიშის პლატო მდებარეობს კოლხეთის ჩრდილო გორაკბორცვიანი განაპირა ზოლის საზღვრებში. მას დასავლეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით ურთის, ეკისა და უნაგირას მაღლობები ეკვრის.¹⁴⁶

სამეგრელო ზომიერი და სუბტროპიკული კლიმატური სარტყლების საზღვარზე მდებარეობს. რთული რელიეფი და შავი ზღვის სიახლოვე მისი ჰავის წარმომქმნელი ძირითადი ფაქტორებია. სამეგრელოში ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა გავრცელებული. ვაკე-დაბლობი და გორაკ-ბორცვიანი ზოლი გამოირჩევა ნოტიო, თბილი ჰავით, უთოვლო ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. საშუალო და მაღალმთიანი ზოლისთვის დამახასიათებელია ზომიერად ცივი და ცივი ჰავა თოვლიანი ზამთრითა და ხანმოკლე ზაფხულით.¹⁴⁷ ნოტიო ჰავა და რთული რელიეფი ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელის არსებობას განაპირობებს. სამეგრელოზე გაედინება ტრანზიტული მდინარეები: ენგური, ცხენისწყალი, რიონი; უშუალოდ სამეგრელოს ადგილობრივი მდინარეებია: აბაშა, ნოღელა, ტეხური, ხობისწყალი, ჭანისწყალი, ჯუმი, ჩხოუში, ცივი, ჭურია და სხვ.

საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარეა ენგური (სიგრძე 221 კმ,

¹⁴⁵ საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1, ფიზიკური გეოგრაფია (2000), გვ. 266.

¹⁴⁶ კორსანტია კ. (2012), სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 102-105.

¹⁴⁷ მარუაშვილი ლ. (1964), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 217; კორსანტია კ. (2012), სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 37.

აუზის ფართობი 4060 კმ²), რომელიც სათავეს იღებს სვანეთში, შხარას მწვერვალის მყინვარ ენგურზე, ზღვის დონიდან 2614 მ-ზე და შავ ზღვას სოფელ ანაკლიასთან ერთვის.¹⁴⁸ მდინარის ძველი სახელწოდებაა ეგური, რასაც დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1758) თხზულება და გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს რამდენიმე საეკლესიო დოკუმენტი მოწმობს.¹⁴⁹ სახელწოდება ეგური უკავშირდება ეგრი ტომის სახელს, რომლის განსახლების ძირითად რეგიონს ამ მდინარის ქვემო წელი წარმოადგენდა, და ქვეყნის სახელს ეგრისი (ეგრული, ეგრისული წყალი).¹⁵⁰ ენგურის ქვემო დინების ერთი მონაკვეთი სამეგრელოს აფხაზეთისაგან გამოყოფს. ენგურის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე კურორტი ანაკლია მდებარეობს.

ანაკლია წყაროებში პირველად XVII საუკუნეში იხსენიება, მაგრამ უეჭველად დიდი ხნით ადრე არსებობდა; საბუთებში და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში ანაკლიას სახელით იხსენიება.¹⁵¹ შუა საუკუნეებში ის ოდიშის სამთავროს მნიშვნელოვანი ნავსადგური იყო. 1703 წელს მას თურქები დაუფლნენ და აქ ციხე ააგეს, რომელიც 1723 წელს უფრო მეტად გაამაგრეს. ოსმალთა ხელში ანაკლია ტყვეებით ვაჭრობის ბუდედ გადაიქცა. XIX საუკუნის დასაწყისში თურქებისა და მათი ხელდებული აფხაზთა მთავრის მფლობელობისაგან განთავისუფლების შემდეგ ანაკლია სამეგრელოს სამთავროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნავსადგური გახდა.¹⁵²

¹⁴⁸ **მარუაშვილი**. (1969), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 90; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია (2000), გვ. 267.

¹⁴⁹ **ბატონიშვილი ვახუშტი** (1973), აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, გვ. 776, 779; ქართული სამართლის ძეგლები (1970). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III. თბილისი, „მეცნიერება“, გვ. 648.

¹⁵⁰ **Кипшидзе И.** (1914), Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., Типография Императорской Академии наук, გვ. 217; ბერაძე თ. (2018), ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, ნიგნ. ბერაძე თ. შრომების კრებული სამ ტომად, ტ. I. თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 32.

¹⁵¹ **ბატონიშვილი ვახუშტი** (1973), აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 779; **არახაშია გ.** (2009), „ბიჭვინტის იადგარი“ (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა). თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გვ. 80.

¹⁵² **Берадзе Т. Н.** (1989), Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тбилиси, «Мецниერება», გვ. 28-29; **ტულუში ა.** (1991), ანაკლიის ისტორია. ზუგდიდი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრი - ისტორიის მუზეუმი, გვ. 19.

ანაკლია, ზღვის სანაპირო ზოლით, ჰავითა და კლიმატური თავისებურებებით, საუკეთესო კურორტია.

ენგურის ქვემო წელში, მის მარცხენა ნაპირზე, რუხის ციხე-სიმაგრე დგას. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ანაკრიის აღმოსავლით, ამ მდინარეზედ (ენგურზე, - ბ.ს.) არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე“.¹⁵³ ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ციხე-სიმაგრე 1647 წელს ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს (1611-1657) აუგია. იგი სამთავროს პოლიტიკურ ცენტრს, ზუგდიდს, დასავლეთიდან იცავდა, ამასთანავე ზღვიდან ციხემდე ნაგები ამოდიოდა. რუხში ციხე-სიმაგრის აგება სწორედ სამთავროს პოლიტიკურ ცენტრთან (8 კმ) და ზღვასთან (34 კმ) სიახლოვემ და მდ.ენგურზე ნაოსნობის შესაძლებლობამ განაპირობა.¹⁵⁴ ციხესიმაგრე ნაგებია რიყის ქვით. იგი შედგებოდა ციტადელისა და ქვემო ეზოსაგან, რომლებიც ერთმანეთთან ფართო კარებით იყო დაკავშირებული. ციხესიმაგრის გალავანი 10-12 მ სიმაღლის იყო მთელ სიგრძეზე და ყრუ კედელს წარმოადგენდა. მის ზემო ხაზზე საბრძოლო ბილიკი გადიოდა.¹⁵⁵

ენგურის მნიშვნელოვანი შენაკადებია მაგანა და ჯუმი. მდინარე მაგანა (სიგრძე 24 კმ, აუზის ფართობი 141 კმ²) სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2460 მ სიმაღლეზე, გაედინება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მდ.ენგურს მარცხენა მხრიდან, ქ. ჯვართან ერთვის. ჯვარი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შედის. მან ქალაქის სტატუსი 1981 წელს მიიღო. აქ შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები; სვანეთისკენ მიმავალ გზაზე დგას XIII-XV სს. კოშკი.¹⁵⁶ ენგურზე აგებულია ჰიდროელექტროსადგური. მის შემადგენლობაში შედის კაშხალი, რომელიც ჯვართან წყალსაცავს ქმნის. ჯვრის წყალსაცავი მდინარის ჩამონადენის რეგულირებისა და ენერგეტიკული მიზნებით შეიქმნა. მისი ზედაპირის ფართობია 13,5 კმ², სიგრძე – 30 კმ, სიღრმე – 226 მ, წყლის მოცულობა – 1100 მლნ. მ3 შეადგენს.¹⁵⁷

¹⁵³ ბატონიშვილი ვახუშტი (1973), აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 779.

¹⁵⁴ Берадзе Т. Н. (1989), Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 238; **ბერაძე თ.** (2018) XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, წიგნ.: ბერაძე თ. შრომების კრებული სამ ტომად, ტ. I. თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 78.

¹⁵⁵ **Закарая П. П.** (1982), Древние города и крепости Грузии. Тбилиси, «Сабчота Сакартвело», გვ. 64-65.

¹⁵⁶ **ჭითანავა დ.** (2010), ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში. თბილისი, „მნიგნობარი“, გვ. 374-375.

¹⁵⁷ **ალფენიძე მ., კორსანტია კ., მაისურაძე რ., ესებუა ე., მზარეულა ლ.** (2015), ოდიში: ბუნებრივი პირობები, რესურსები და სამეურნეო პრაქტიკა, გვ. 66.

მდინარე მაგანის სათავეებში, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2650 მ სიმაღლეზე მყინვარული წარმოშობის ულამაზესი ტობავარჩხილის ტბა (მეგრ. ვერცხლის ტბა) მდებარეობს. ოფიციალურად მას ჭითავგალამ ტობა ჰქვია. მისი სარკის ფართობია 0,21 კმ², წყლის მოცულობა 3,3 მ³, საშუალო სიღრმე 15,8 მ, მაქსიმალური სიღრმე 35 მ. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით.¹⁵⁸ ტბიდან სათავეს იღებს მდ. მაგანა, რომელიც ტბის სიახლოვეს ულამაზეს კანიონსა და ჩანჩქერს ქმნის. ეგრისის ქედზე კიდევ რამდენიმე მცირე ზომის მყინვარული ტბაა: დიდლაღიმ ტობა (ზ. დ. 2600 მ), კალაღიმ ტობა (ზ. დ. 2540 მ), ნაქანყარიმ ტობა (ზ. დ. 2700 მ), ცაშკიბულიმ ტობა (ზ. დ. 2550 მ), დიდი ტობავარჩხილი (ზ. დ. 2292 მ) და სხვ.

მდინარე ჯუმი (სიგრძე 61 კმ., აუზის ფართობი 379 კმ²) სათავეს ეგრისის ქედის სამხრეთ მთისწინეთში, ზ. დ. 310 მ სიმაღლეზე იღებს და სოფელ დარჩელთან ენგურს მარცხენა მხრიდან ერთვის. ჯუმის მარჯვენა ნაპირზე, ურთის მთის ძირას მდებარეობს ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელშიც შედის ღვთისმშობლის გუმბათოვანი ტაძარი, ორსართულიანი სამრეკლო და საეპისკოპოსო სასახლე. კომპლექსს შემოვლებული აქვს ფართო და მაღალი გალავანი. ცაიშის ტაძარი საეპისკოპოსო კათედრალს წარმოადგენდა. ცაიშის საეპისკოპოსო ერთ-ერთი უძველესი ეპარქიაა საქართველოში. საისტორიო წყაროებში ის VI-VII საუკუნეებიდან იხსენიება. საფიქრებელია, რომ იმდროინდელი საეპისკოპოსო ტაძრის ადგილას, X-XI სს. მიჯნაზე დარბაზული ეკლესია ააგეს. მისი დანგრევის შემდეგ, XIII-XIV სს. მიჯნაზე ააგეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც 1614 წელს მიწისძვრამ დაანგრია. ოდიშის მთავრის ლევან II დადიანისა (1611-1657) და აფხაზეთის კათალიკოსის მალაქია გურიელის თაოსნობით 1616-1619 წლებში ტაძარი აღადგინეს. იმავე ხანებში ტაძარი შიგნიდან მთლიანად მოხატეს. ტაძრის გალავნის გარეთ შემორჩენილია საეპისკოპოსო სასახლის ნანგრევები.¹⁵⁹

¹⁵⁸ **მარუაშვილი ლ.** (1964), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 145-146; **ალფენიძე მ., კორსანტია კ., მაისურაძე რ., ესებუა ე., მზარელუა ლ.** (2015), ოდიში: ბუნებრივი პირობები, რესურსები და სამეურნეო პრაქტიკა, გვ. 63-64.

¹⁵⁹ **თაყაიშვილი ე.** (2017), არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, წიგნ. **თაყაიშვილი ე.** თხზულებანი, 4. თბილისი, „არტანუჯი“, გვ. 154; **ზაქარაია პ.** (1981), ქართული ცენტრალურგუმბათოვანი არქიტექტურა XI-XVIII სს. თბილისი, „ხელოვნება“, გვ. 89-163; **ტულუში ა.** (2001), ცაიშის საეპისკოპოსო. ზუგდიდი, „ორნატი“, გვ. 4-36; **კალანდია გ.** (2004), ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედი, მოქვი, სობი). თბილისი, „არტანუჯი“, გვ. 28-34; **ჭითანავა დ.** (2010), ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 81-95.

ჯუმის მარჯვენა შენაკადია მდინარე ჩხოუში (სიგრძე 41 კმ, აუზ-ის ფართობი 119 კმ²), რომელიც სათავეს ეგრისის ქედის მთისწინეთში იღებს. იგი მდ.ჯუმს სოფელ დიდი ნეძის მიდამოებში ერთვის. მდინარე ჩხოუშის ნაპირებზე, ოდიშის დაბლობზე, გაშენებულია ქალაქი ზუგდიდი. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „ზუგდიდი“ მომდინარეობს ზურგ-დიდი-დან (ე. ი. დიდი გორა) ან გეოგრაფიული სახელწოდებიდან ზუბი (ზუბ-დიდი). ზუგდიდი წყაროებში პირველად XVI საუკუნის ამბების თხრობისას იხსენიება. XVI-XIX სს. ის ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ცენტრი იყო. მიჩნეულია, რომ ძველი ზუგდიდი მდებარეობდა ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით იმ ბორცვზე, რომელიც „მანცხვარკარის“ (მაცხოვრის კარის) სახელითაა ცნობილი. აქ დგას კვირაცხოვლობის სახელობის XIII საუკუნის ეკლესია, რომელსაც ერში „მანცხვარკარის“ ეკლესიას უწოდებენ.¹⁶⁰

ზუგდიდის ცენტრში მდებარეობს ბოტანიკური ბაღი, რომელსაც საფუძველი სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა და დედოფალმა ეკატერინე ჭავჭავაძემ ჩაუყარეს როგორც სასახლის ბაღს. აქვე მდებარეობს დადიანთა სასახლეები (XIX ს.) და ვლადიკავის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც 1830 წელსაა აგებული. ზუგდიდის კეთილმოწყობას დიდი ყურადღება მიაქციეს სამეგრელოს მთავრებმა ლევან V დადიანმა (1805-1840) და დავით დადიანმა (1840-1853). XIX საუკუნის 30-50-იან წლებში ზუგდიდი გაფართოვდა, დამშვენდა, მოსახლეობა გაიზარდა. დავით დადიანის მიერ სამეგრელოს სამთავროს 1840 წლის ადმინისტრაციული დაყოფით შეიქმნა ზუგდიდის მაზრა, რომელშიც დ.ზუგდიდი შედიოდა. ყირიმის ომის (1853-1856) დროს, 1855 წლის ოქტომბერში, ზუგდიდი თურქთა ჯარმა დაიკავა. ნოემბერში ქართველთა სახალხო ლაშქარმა გენერალ-მაიორ გრიგოლ დადიანის მეთაურობით ზუგდიდი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა, თუმცა თურქებმა მას დიდი ზიანი მიაყენეს, გაძარცვეს და გადაწვეს იგი, დაწვეს მთავრის სასახლე, გაჩეხეს მთავრის ბაღი. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების დროს, 1857 წლის მაისში, აჯანყებულებმა სამი დღის ბრძოლის შემდეგ დაიკავეს და ერთი თვის განმავლობაში ფლობდნენ მას. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, 1857 წლის სექტემბრიდან, ის სამეგრელოს დროებითი მმართველობის და ზუგდიდის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. 1857-1861წწ. ზუგ-

¹⁶⁰ მესხია შ. (1986), „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“, წიგნ.: მესხია შ. საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბილისი, „მეცნიერება“, გვ. 263-170; ცხადაია პ. (2010), სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II. ზუგდიდის რაიონი. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 12-17; ჭითანავა დ. (2010), ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 171-177.

დიდის ოკრუგის უფროსი იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი, რომელმაც ზუგდიდს ღრმა კეთილისმყოფელი კვალი დაამჩნია. სამეგრელოს სამთავროს ოფიციალურად გაუქმების შემდეგ, 1867 წელს, შეიქმნა რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ზუგდიდის მაზრა, რომელიც ყოფილი სამეგრელოს სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა. მისი ადმინისტრაციული ცენტრი დ.ზუგდიდი იყო. 1867-1917წწ. ზუგდიდის მაზრა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროსაც არსებობდა ზუგდიდის მაზრა ადმინისტრაციული ცენტრით დ.ზუგდიდში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წელს, ზუგდიდს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. 1921-1930წწ. ქ. ზუგდიდი კვლავ ზუგდიდის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან – ზუგდიდის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1933 წლის 25 თებერვალს ზუგდიდში საქალაქო საბჭო შეიქმნა. 1967 წლის 16 მაისს ქ. ზუგდიდი გამოეყო ზუგდიდის რაიონს და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაიქმნა. 2007 წლიდან ქ. ზუგდიდი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.¹⁶¹

ენგურის სამხრეთ-დასავლეთით ზღვას პატარა მდინარე ჭურია უერთდება. მდინარე ჭურია (სიგრძე 12 კმ, აუზის ფართობი 296 კმ²) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაედინება, იგი ტიპური ჭაობის მდინარეა, იქმნება მდინარეების მუწჩიისა და ოჩხომურის შეერთებით და შავ ზღვას ყულევის დასავლეთით ერთვის.

მდინარეებს ჭურიასა და რიონს შორის შავი ზღვის სანაპირო ზოლი ჭაობიანია, აქ გავრცელებულია კოლხური ჭაობიანი ტყეები, სადაც კოლხური ხობობი (ლათ. *Phasianus colchicus*) ბუდობს. კოლხური ხობობის სამშობლო კოლხეთის დაბლობია. ის ქათმისნაირ ფრინველთა რიგს ეკუთვნის და მეტად ლამაზი გარეგნობა და შეფერილობა აქვს. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული რიონის ჭალებში. ძველმა ბერძნებმა კოლხეთიდან გაიყვანეს და შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა. რიონის ძველი ბერძნული სახელიდან ფაზისი (*Phasis*) მომდინარეობს მისი ლათინური სახელწოდება *Phasianus* („ფასიანუს“, ანუ ფრინველი ფაზისიდან), ასევე ჰქვია მას უმრავლეს ევროპულ ენებზე.¹⁶²

¹⁶¹ **პაჭკორია მ.** (1974), ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, გვ. 48-52; **მესხია შ.** (1986), „ზუგდიდი“ თუ „ზუგდიდი“, გვ. 263-270; **ცხადაია პ.** (2010), სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II. ზუგდიდის რაიონი, გვ. 12-17.

¹⁶² **კუტუბიძე მ.** (1980), კოლხური ხობობი, ქსე, ტ. 5. თბილისი, ბეჭდვითი სიტყ-

ენგურის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჭანისწყალი მოედინება. ჭანისწყალს (სიგრძე 63 კმ, აუზის ფართობი 315 კმ²) სათავე აქვს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 1960 მ სიმაღლეზე და ხობისწყალს მარჯვენა მხრიდან სოფელ ბიას მახლობლად ერთვის.

ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე ქალაქი წალენჯიხა მდებარეობს. მისი მეგრული სახელწოდებაა „წენდისა“, ხოლო ჭანისწყლის – „წენწყარი“. მიჩნეულია, რომ „წანი“ ერთ-ერთი დასავლურქართული ტომის „ჭანის“ სახესხვაობაა. ამდენად, წალენჯიხა „ჭანების სამკვიდროს“, ჭანების ციხეს (ჯიხას) ნიშნავს, ხოლო მდინარეს, რომელიც აქ გაედინებოდა – ჭანისწყალი „ჭანების მდინარე“ ეწოდა.¹⁶³ წალენჯიხის აღმოსავლეთით, მაღალ გორაკზე დგას მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც X-XI სს. აგებული. ტაძარში შემორჩენილია XIV-XVII სს. ფრესკული მოხატულობა. XIII-XIV სს. წალენჯიხაში იყო ოდიშის ერისთავების, დადიანების, ერთ-ერთი რეზიდენცია, აქ ჰქონდათ სასახლე და საჭურჭლე. XVII საუკუნეში წალენჯიხის ტაძარი საეპისკოპოსო ცენტრი გახდა.¹⁶⁴ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „მთის ძირზედ, არის ჭელენჯიხი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიადამ ზღუამდე“.¹⁶⁵

დავით დადიანის მიერ სამეგრელოს სამთავროს 1840 წლის ადმინისტრაციული დაყოფით სოფელი წალენჯიხა ჯვარის მაზრაში შედიოდა, ხოლო 1867-1917წწ. – ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროს სოფელი წალენჯიხა ისევ ზუგდიდის მაზრის შემადგენლობაშია. 1921 წლიდან ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1929 წლიდან წალენჯიხის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან – წალენჯიხის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში წალენჯიხა ჩაის გადაამუშავების ერთ-ერთ ცენტრად გადაიქცა, რამაც ხელი შეუწყო

ვის კომბინატი, გვ. 598.

¹⁶³ **ჭითანავა დ.** (2010), ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 336; **გაბისონია ზ.** (2017/2018), დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის და ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები (I-V საუკუნეები), „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XIX-XX, გვ. 37-38.

¹⁶⁴ **თაყაიშვილი ე.** (2017), არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 194-209; **ლორთქიფანიძე ი.** (1977), წალენჯიხის ტაძრის მოხატულობა, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №12, გვ. 57-63; **ჭითანავა დ.** (2010), ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 335-344.

¹⁶⁵ **ბატონიშვილი ვახუშტი** (1973), აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 778.

დასახლების ურბანიზაციას. 1957 წელს სოფელი წალენჯიხა ქალაქის ტიპის დასახლებად, დაბად, გარდაიქმნა. 1964 წლის 25 იანვარს დაბა წალენჯიხამ რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიიღო. 2007 წლიდან ქ.წალენჯიხა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.

ჭანისწყლის ულამაზეს ხეობაში, ზღვის დონიდან 450-500 მ-ზე კურორტი სქური მდებარეობს. აქ გამოედინება ბუნებრივი მინერალური წყალი. ჭანისწყლის მარცხენა ნაპირზე, სქურის ტერიტორიაზე დგას დარბაზული ეკლესია (IX-X სს.), სქურის ციხე (XII ს.), მაცხოვრის შობის სახელობის ფეოდალური ხანის ეკლესია.¹⁶⁶ ჭანისწყლის შუა წელზე, მის მარჯვენა ნაპირზე, გორაკზე დგას ჭაქვინჯვის ციხე, რომელიც IV-V სს. აგებული. შუაფეოდალურ ხანაში ციხე ოდიშის საერისთავოს ცენტრი იყო. იგი აფხაზეთიდან, სვანეთიდან, იმერეთიდან, შავი ზღვიდან მომავალ გზათა შესაყარზე მდებარეობდა. ციხეში შემორჩენილია დადიანთა სასახლისა და კარის ეკლესიის ნანგრევები.¹⁶⁷ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან აქ შეიქმნა სოფელი, რომელსაც ჯიხასკარი ეწოდა.

ენგურის სამხრეთ-აღმოსავლეთით დიდი მდინარეა ხობისწყალი (სიგრძე 150 კმ, აუზის ფართობი 1340 კმ²). იგი სათავეს იღებს ეგრისის ქედზე, მთა ლაკუმურასთან (ლაკუმურამ-დუდი), ზღვის დონიდან 2326 მ სიმაღლეზე, მიედინება კოლხეთის დაბლობზე და შავ ზღვას სოფელ ყულევთან შეერთვის. ვახუშტი ბატონიშვილი მას „ხორგის წყალს“ უწოდებს და აღნიშნავს: „მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა“.¹⁶⁸ ხორგა ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა მდ. ხობისწყლის ორივე მხარეს ხობიდან ყულევამდე. აქ იყო აფხაზეთის კათალიკოსის სასახლე. საისტორიო წყაროებში პირველად XVII საუკუნეში იხსენიება როგორც „ხომალდების სადგომი“.

ხობისწყლის ქვემო წელში, მის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ნოჯიხევიში, ხობის მონასტერი მდებარეობს. სამონასტრო კომპლექსში შედის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, სასახლე და გალავანი. ტაძარი XIII-XIV სს. მიჯნაზეა აგებული ოდიშის ერისთავის გიორგი I დადიანის (გარდ. 1323 წ.) მიერ. იგი ოდიშის ერისთავების დადიანების საძვალეს წარმოად-

¹⁶⁶ **ჭითანავა დ.** (2010) ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 352-353.

¹⁶⁷ **ბერაძე თ.** (2018), ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 72-73; **ზაქარაია პ. კაპანაძე თ.** (1991), ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბილისი, „მეცნიერება“, გვ. 153-156; **ჭითანავა დ.** (2010), ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 139-142.

¹⁶⁸ **ბატონიშვილი ვახუშტი** (1973), აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 778.

გენდა. ტაძარი დარბაზული ტიპისაა, ინტერიერი მოხატულია XIII-XVII სს. ფრესკებით. როგორც ირკვევა, იგი აგებულია ნატაძრალზე, რომელიც X-XI სს. თარიღდება. ტაძარში 1923 წლამდე დასვენებული იყო ქრისტიანობის უდიდესი სინმიდე – ღვთისმშობლის კვართი, აგრეთვე იოანე ნათლისმცემლის, წმ. გიორგის, წმ. მარინეს, წმ. კვირიკეს წმიდა ნაწილები.¹⁶⁹ ხობისწყლის პირას, 554 წელს ბიზანტიელებმა ღალატით მოკლეს ეგრისის (ლაზიკის) მეფე გუბაზ II (დაახლ. 540-554წწ.). გადმოცემით, გუბაზ მეფის სულის მოსახსენიებლად, სწორედ ამ ადგილას აუგიათ ეს ეკლესია.¹⁷⁰

ხობისწყლის ქვემო წელში, მის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქი ხობი მდებარეობს. თავდაპირველად, ხობი ეწოდებოდა ღვთისმშობლის ტაძარს და მის მიმდებარე ტერიტორიას. აქედან მიიღო სახელწოდება მდინარეც, რომელიც ხობის ტაძართან მიედინება. დავით დადიანის მიერ სამეგრელოს სამთავროს 1840 წლის ადმინისტრაციული დაყოფით სოფელი ხობი ზუგდიდის მაზრაში შედიოდა. 1867-1917 წლებში იგი ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის შემადგენლობაშია. XIX საუკუნის შუა ხანებში, როდესაც სენაკი-ზუგდიდის გზატკეცილი გაიყვანეს, ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე გაჩნდა დასახლება ხობის სახელწოდებით, რომელიც ნოჯიხევის თემში შედიოდა. XX ს. 20-იან წლებში იგი დამოუკიდებელ დასახლებად გადაიქცა. 1923 წლიდან სოფელი ხობი ზუგდიდის მაზრის ხობის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია, 1929 წლიდან ხობის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან – ხობის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. 1961 წელს მას დაბის, ხოლო 1981 წელს რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიენიჭა. 2007 წლიდან ქ. ხობი ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.¹⁷¹

მდინარეებს ხობისწყალსა და ჯუმს შორის, მათ ქვემო წელში, კოლხეთის დაბლობის ჩრდილოეთ ნაწილში, ურთის მთა (446 მ) მდებარეობს. იგი შემოსილია წიფლნარით, შემონახულია დაფნის ბუნებრივი ტყის ნაშთები. მთის კალთებზე ბევრი მღვიმე და გამოქვაბულია. ქვის ხანაში მათი ნაწილი საცხოვრისად, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში სახიზრებად გამოი-

¹⁶⁹ თაყაიშვილი ე. (2017), არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 126-127; ბერიძე ვ. (1973), ხობის ტაძრის ისტორიისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის სერია, №2, გვ. 73-81; ჭითანავა დ. (2010), ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 269-292.

¹⁷⁰ ჩიტაია გ. ხობის სიძველენი. თბილისი-ხობი, „საარი“, გვ. 6-7.

¹⁷¹ ცხადაია პ. (2007), სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III. ხობის რაიონი, ქ. ფოთი. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 21-23.

ყენებოდა. მთაზე მდებარეობს შუა საუკუნეების წმ. გიორგის არქიტექტურული კომპლექსი „ჯეგეთა“. იგი შედგება ეკლესიის, სასახლის, გალავნისა და სხვა ნაგებობათა ნაშთისაგან.¹⁷²

ურთის მთის სამხრეთ-დასავლეთ კალთის ძირას სოფელი ხეთა მდებარეობს. სოფლის მახლობლად, გაშლილ ველზე ციხე-სიმაგრის ნაშთებია შემორჩენილი. აქვე იყო სასახლე, და კარის ეკლესია.¹⁷³ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „მთის ძირს, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და სასახლე დაღიანისა“.¹⁷⁴

სოფელ ხეთის ტერიტორიაზე, ურთის მთის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, კარსტული წარმოშობის პატარა პაპანწყვილის ტბა მდებარეობს. ტბის სარკის ფართობია 0,62 ჰა, მაქსიმალური სიღრმე 7 მ. ტბის წყალი ცისფერი და გამჭვირვალეა. გამდინარე ტბა წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით საზრდოობს.¹⁷⁵

ხობისწყლის შესართავთან სოფელი ყულევი მდებარეობს. შუა საუკუნეებში მას კემხელი ერქვა. პირველად იგი ოდიშის ერისთავის შამადავლე დაღიანის (1470-1474წწ.) სიგელში იხსენიება. XVIII ს. 30-იან წლებში თურქებმა აქ კოშკი (თურქ. კულე) ააგეს. ამ დროიდან, თურქები სოფელს კულეს, ხოლო ქართველები ყულევს ეძახდნენ. 1804 წელს რუსებმა დაიკავეს ხობისწყლის შესართავი, სადაც პატარა სიმაგრე (რედუტი) და ნავსადგური ააგეს. რუსებმა თურქული კულე (კოშკი) გაიაზრეს როგორც „კალე“ (ციხე) და სიმაგრეს „რედუტ-კალე“ უწოდეს. ამ დროიდან სოფლის სახელი კემხელი რედუტ-კალემ შეცვალა. აქ აგებულმა მცირე ნავსადგურმა XIX ს. I ნახევარში რედუტ-კალე სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი სავაჭრო და სატრანზიტო პუნქტი, ევროპისთვის ნამდვილი „საზღვაო კარიბჭე“ გახადა. 1840 წელს მას ქალაქის სტატუსი მიენიჭა. ყირიმის ომის (1853-1856) დროს, 1856 წელს, თურქებმა უკანდახვევისას იგი გადაწვეს. ამის შემდეგ მის აღდგენაზე არავის უზრუნია. XIX ს. 60-იან წლებში ფოთის ნავსადგურის მშენებლობისა და 1872 წელს თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ მან პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა. 1918 წელს სოფელს ყულევი დაერქვა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი ჰქონდა. 2008 წელს

¹⁷² ჩიტაია გ. (2017) ხობის სიძველენი, გვ. 94-97.

¹⁷³ ბერაძე თ. (2018) XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, გვ. 81; ჭითანავა დ. (2010), ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 292-294.

¹⁷⁴ ბატონიშვილი ვახუშტი (1973), აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 778.

¹⁷⁵ ალფენიძე მ., კორსანტია კ., მაისურაძე რ., ესებუა ე., მზარელუა ლ. (2015), ოდიში: ბუნებრივი პირობები, რესურსები და სამეურნეო პრაქტიკა, გვ. 65.

აქ საზღვაო ტერმინალი აშენდა, რომელსაც წელიწადში 10 მლნ. ტონა ნავთობპროდუქტების გადატვირთვის შესაძლებლობა აქვს.¹⁷⁶ სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები. ყულევის ტერიტორიაზე, ზღვასთან შეერთებამდე 300-400 მ დამორებით, მდ.ხობისწყალს მარცხენა მხრიდან ჭაობის მდინარე ცია უერთდება.

ხობისწყლის ზემო წელში, იქ, სადაც მდინარე მთებიდან გამოდის, სოფელი მუხური მდებარეობს. მუხური შესანიშნავი საბავშვო კურორტია. აქ ხობისწყლის ხეობის ნაზი ჰავაა, რომელიც ზღვისა და მთის ჰაერის ნაზავს წარმოადგენს. სოფლის ჩრდილოეთით, ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სამკურნალო მინერალური წყალი ლუგელა გამოედინება. აქვე ახლოს არის კარსტული მღვიმე შურუბუმე, რომელიც ლუგელას ხეობაში იღებს სათავეს და ათეულ კილომეტრზეა განვითარებული.¹⁷⁷ სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია ანტიკური ხანის დასახლების ნაშთები, სადაც ტერასული მინათმოქმედება იყო განვითარებული. მუხური ქართული მეფუტკრეობის ერთ-ერთ ცენტრად ითვლება. ქართული მთის რუხი ფუტკრის წმინდა სახით გავრცელების ერთ-ერთი კერა ხობისწყლის ხეობაა. ამ ფუტკარმა პოპულარობა თვინიერებით, პროდუქტიულობითა და ხორთუმის სიგრძით მოიპოვა. ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, სოფლების მუხურისა და თაიას თავზე, ოცინდალეს ეკლესია მდებარეობს. ოცინდალეს წმ. გიორგის ეკლესია წარმოადგენს დარბაზული ტიპის ერთნავიან ნაგებობას. იგი XIV-XV სს. თარიღდება. მას გარს შემოვლებული ჰქონდა გალავანი, რომლის ნაშთი შემორჩენილია. ტაძარი მოხატული იყო ფრესკებით. გვიან შუა საუკუნეებში და XIX საუკუნეშიც ოდიშის სამთავროს ეკლესიების ძვირფასეულობის ნაწილი აქ ინახებოდა.¹⁷⁸

ხობისწყლის შუა წელზე, მის მარცხენა ნაპირზე, ოდიშის დაბლობზე დაბა ჩხორონწყუ მდებარეობს. სახელწოდება „ჩხორონწყუ“ „ცხრა წყაროს“ ნიშნავს. გადმოცემით, აქ ცხრა წყარო გამოედინებოდა. როგორც დასახლებული პუნქტი, XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან იხსენიება. 1867-1917წწ. სოფელი ჩხორონწყუ ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრაში შე-

¹⁷⁶ **Берадзе Т. Н.** (1989), Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 29-30; **პაჭკორია მ.** (1974), რედუტ-კალე. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, გვ. 10-17.

¹⁷⁷ **ახალაია ვ.** (2002), ჩხორონწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა). თბილისი, „ენა და კულტურა“, გვ. 13.

¹⁷⁸ **ბერაძე თ.** (2012), ოცინდალეს ძეგლი, „მომბე“, I. ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო-შემოქმედებითი ჟურნალი. ჩხორონწყუ, გვ. 12.

დიოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროს კვლავ ზუგდიდის მაზრაში შედიოდა. 1921 წლიდან ზუგდიდის მაზრის ჩხორონწყუს რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია; 1929 წლიდან ჩხორონწყუს მაზრის, ხოლო 1930 წლიდან ჩხორონწყუს რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1959 წლის დეკემბერში სოფელი ჩხორონწყუ დაბად გარდაიქმნა. 2018 წელს დაბა ჩხორონწყუ ქალაქის სტატუსი მიიღო. 2007 წლიდან ქ. ჩხორონწყუ ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.

ხობისწყლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაკადია ოჩხომური (სიგრძე 47 კმ, აუზის ფართობი 159 კმ²). იგი სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ჯვარის მთის სამხრეთ ფერდობზე, ზ. დ. 1400 მ სიმაღლეზე და ხობისწყალს მარცხენა მხრიდან სოფელ ლესიჭინესთან ერთვის. სახელწოდება გაფორმებულია -ო და -ური პრეფიქს-სუფიქსით და „სათევზაოს“ ნიშნავს. ოჩხომურის ზემო წელში, მის მარცხენა მხარეს, გორაკ-ბორცვიან ზოლში სოფელი ჭოლა მდებარეობს. აქ აღმოჩენილია რკინის მეტალურგიის კერა, რომელიც ძვ. წ. IX-VIII სს. თარიღდება. როგორც ირკვევა, ჭოლა კოლხეთში რკინის ნარმოების ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი იყო.¹⁷⁹ სოფლის მიდამოებში არის მღვიმე ყალიჩონა, რომელიც მეტად საინტერესოა გეომორფოლოგიური თვალსაზრისით. იგი რამდენიმე დარბაზისგან შედგება, სადაც გვხვდება სტალაქტიტები და სტალაგმიტები. აქვე აღმოჩნდა ადამიანთა ცხოვრების ნაკვალევი.¹⁸⁰

ხობისწყლის მარცხენა შენაკადია ზანა (ქვემო წელში ზანაძგა). მდინარე ზანა (სიგრძე 42 კმ, აუზის ფართობი 70 კმ²) სათავეს იღებს ეგრისის ქედის მთისწინეთში, ზ. დ. 341 მ სიმაღლეზე და ხობისწყალს მარცხენა მხრიდან სოფელ ხორშთან ერთვის.

ხობისწყლის აღმოსავლეთით შედარებით პატარა მდინარე ცივი (მეგრულად ცი) მოედინება. ცივი (სიგრძე 60 კმ, აუზის ფართობი 199 კმ²) სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ მთისწინეთში, 363 მ სიმაღლეზე და მდ.რიონს მარჯვნიდან სოფ.თეკლათის მიდამოებში ერთვის. მდინარის სახელწოდება მომდინარეობს თელას მეგრული სახელისაგან (ცი, მეგრ. „თელა“). ცივის მარცხენა მხარეს, ეკის მთის კალთებზე, ისტორიული სოფელი ეკი მდებარეობს. იგი წყაროებში პირველად XVII ს. 20-იანი წლებში იხსენიება.¹⁸¹ სოფელში, მდ. ცივის მახლობლად, მაღალ მთაზე აღმართულია ციხე, რომელიც IV-V სს. თარიღდება. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთაზე მდებარეობს იოანე ნათლისმცემლის ერთნავიანი

¹⁷⁹ ახალაია ვ. (2002), ჩხორონწყუს რაიონი, გვ. 230-231.

¹⁸⁰ ახალაია ვ. (2002), ჩხორონწყუს რაიონი, გვ. 11.

¹⁸¹ ქართული სამართლის ძეგლები (1970), ტ. III, გვ. 502.

ეკლესია (IX-Xსს.) და მისი სამონასტრო კომპლექსი; სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მაცხვარკარის (XIIIს. II ნახ.) ეკლესია.¹⁸² სოფელში აღმოჩენილია ანტიკური ხანის მონეტების განძი.

ცივის მარცხენა ნაპირს, სოფელ მოხაშიდან სოფელ სახარბედომდე, გასდევს ეკის მთა (467 მ), რომელიც ცივის აუზს ტეხურის აუზისგან გამოყოფს.

ტეხური (სიგრძე 109 კმ, აუზის ფართობი 994 კმ²) სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, მთა ტეხურიშ-დუდთან, ზღვის დონიდან 2400 მ სიმაღლეზე და მდ.რიონს მარჯვენა მხრიდან ერთვის.¹⁸³ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ტეხური ... იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყოფს ხიდსა და სხუასა რაის“.¹⁸⁴ სათავედან სოფელ დობერაზენამდე ტეხური ღრმა ხეობაში მიედინება. მთებიდან გამოსვლის შემდეგ ხეობა განიერდება და ნოქალაქევის ქვემოთ კოლხეთის დაბლობზე მიედინება. ზემო წელში, რელიეფის დახრილობის გამო ბობოქარი დინება ახასიათებს, ვაკეზე გასვლის შემდეგ მშვიდი დინებით ხასიათდება. მისი კალაპოტი ულამაზესი კლდოვანი კანიონებითა და ქვაბულების სიმრავლით გამოირჩევა. ტეხურის ხეობის ზემო ნაწილში, წინვოვანი ტყეების ზონაში, მთებით გარშემორტყმულ ქვაბულში, ზ. დ. 1600 მ სიმაღლეზე კურორტი ლებარდუ მდებარეობს. იგი სიმაღლით, ბუნებით, მთის ჯანსაღი ჰაერით და სამკურნალო მინერალური წყლებით უნიკალური კურორტია.

ტეხურის მარცხენა შენაკადია ნაჩხური (სიგრძე 12 კმ, აუზის ფართობი 108 კმ²), რომელიც მდ.ტეხურს მარცხნიდან, სოფელ დიდი ჭყონის მახლობლად ერთვის.

ტეხურის ქვემო წელზე, იქ, სადაც მდინარე ვიწრო ხეობიდან ვაკეზე გამოდის, მის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი ნოქალაქევი, სადაც შემორჩენილია ანტიკური ხანის ციხე-ქალაქის ციხეგოჯის ნანგრევები. ნოქალაქევისა და ციხეგოჯის იგივეობის მოსაზრება, ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა გამოთქვა: „ან სენაკს ზეით არს ნაქალაქევი, ციხეგოჯად წოდებული, ეს აღაშენა მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე“.¹⁸⁵ არქეოლოგიური გათხრებისას ნოქალაქევი აღმოჩნდა ძვ. წ. IV-ისს. სამარხები მათთვის დამახასიათებელი ინვენტარით, რამაც დაადას-

¹⁸² **ჭითანავა დ.** (2010), ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 408-412.

¹⁸³ **მარუაშვილი ლ.** (1969), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I, გვ. 90.

¹⁸⁴ **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 777.

¹⁸⁵ **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 777.

ტურა აქ ამ ხანის ნამოსახლარების არსებობა და გაამყარა ნოქალაქევისა და ციხეგოჯის იგივეობის მოსაზრება. ციხეგოჯი საისტორიო ტრადიციით აგებულია ეგრისის მეფის ქუჯის მიერ ძვ. წ. IV საუკუნეში, აქედანაა სახელწოდება ქუჯის ციხე (ციხეგოჯი). ფრანგი მეცნიერი და მოგზაური ფრ. დიუბუა დე მონპერე, რომელმაც 1833 წელს იმოგზაურა ამ მხარეში, ის ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებულ არქეოპოლისს (სიტყვასიტყვით „ძველი ქალაქი“) დაუკავშირა. IV-VIII სს. არქეოპოლისი ეგრისის სამეფოს დედაქალაქი იყო. ციხე-ქალაქი მაღალი მთის ფერდობზე იყო გაშენებული და სამი ნაწილისაგან შედგებოდა: ქვედა ქალაქი, შუა ციხე და ციტადელი. მას 3 კმ სიგრძის გალავანი ჰქონდა შემოვლებული და ფაქტობრივად აუღებელი იყო. სამი მხრიდან მას მდინარე და ციცაბო კლდეები ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთიდან კი სამი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. ციხე-ქალაქს სახმელეთო და სამდინარო კარიბჭეები ჰქონდა. სახმელეთო – აღმოსავლეთით, ვაკეზე, ხოლო სამდინარო – ტეხურის პირას. ციხეში დგას ორმოც მონამეთა ეკლესია (V ს.). ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სასახლეების, ქრისტიანული ტაძრების, აბანოების, გვირაბების და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობათა ფრაგმენტები. მდინარეზე ჩამავალი გვირაბი წყალმომარაგების ფუნქციასთან ერთად სამდინარო ჭიშკრის მოვალეობასაც ასრულებდა. გამუდმებული ომების შედეგად იგი დაკნინდა და მცირე სოფლად გადაიქცა. ამის შემდეგ დაერქვა ნოქალაქევი („ნაქალაქარი“). XVI-XVIII სს. იგი ოდიშის მთავრების ერთ-ერთი რეზიდენცია იყო.¹⁸⁶ ნოქალაქევაში, მდ. ტეხურის პირას მინერალური წყლებია.

მდინარე ტეხურის ქვემო წელში, მის მარჯვენა ნაპირზე, ოდიშის დაბლობზე ქალაქი სენაკი მდებარეობს. ადრე სენაკი ერქვა სოფელს, რომელიც საისტორიო წყაროებში XVII საუკუნიდან იხსენიება. აქ იყო შუა საუკუნეების ტაძარი, აფხაზეთის კათალიკოსის ერთ-ერთი რეზიდენცია. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ტეხურისავე კიდეზედ, არს სენაკს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოზისა“.¹⁸⁷ სახელწოდება „სენაკი“ მომდინარეობს ეკლესიის სენაკის, ბერის, მონაზვნის ცალკე ოთახის („მცირე სახლაკი“) სახელიდან.¹⁸⁸ დავით დადიანის მიერ სამეგრელოს სამთავროს 1840 წლის ადმინისტრაციული დაყოფით

¹⁸⁶ ზაქარაია პ. კაპანაძე თ. (1991), ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, გვ. 7-113, 165-198, 215-228; ჭითანავა დ. (2010), ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 433-443, 445-446, 448-450.

¹⁸⁷ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 777.

¹⁸⁸ ცხადაია პ. (2013), სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 110.

სოფელი სენაკი სუფუზის მაზრაში შედიოდა. 1857 წლიდან სენაკის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ, 1867 წელს შეიქმნა რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სენაკის მაზრა, ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში, ადმინისტრაციული ცენტრით დაბა სენაკში. თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანასთან ერთად, დ. სენაკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 7 კმ-ში, სოფელ თეკლათის ტერიტორიაზე, 1870 წელს რკინიგზის სადგური აშენდა. ამის შემდეგ აქ გადმოვიდა სენაკის მაზრის ცენტრი და ადგილს ახალი სენაკი ეწოდა, ხოლო მაზრის ყოფილ ცენტრს – ძველი სენაკი. 1917 წლამდე სენაკის მაზრა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ.) დროს დაახალი სენაკი სენაკის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრია. სენაკმა ქალაქის სტატუსი ოზაკომის განკარგულებით 1917 წლის 20 აგვისტოს მიიღო. 1921 წლიდან ქ.ახალი სენაკი სენაკის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან, სენაკის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1935 წლის 17 ივნისს ქ. ახალ სენაკს ცნობილი რევოლუციონერის მიხა ცხაკაიას პატივსაცემად მიხა ცხაკაია ეწოდა, სენაკის რაიონს – მიხა ცხაკაიას რაიონი, ხოლო რკინიგზის სადგურს – სადგური მიხა ცხაკაია. 1989 წლის 6 ივლისს აღადგინეს ძველი სახელწოდება: ცხაკაიას სენაკი ეწოდა, ცხაკაიას რაიონს – სენაკის რაიონი, ხოლო რკინიგზის სადგურს – სადგური სენაკი. 2007 წლიდან ქ.სენაკი სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.¹⁸⁹

სენაკის აღმოსავლეთით, ტეხურის ნაპირებს გასდევს უნაგირას მთა, რომელიც მდინარეების ტეხურისა და აბაშის წყალგამყოფია. მისი სიგრძე 45 კმ-ია. სოფელ ნოქალაქევთან მას ტეხურის ვიწროები შუაზე ქრის. ტეხურის ქვემო წელში ის მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, ხოლო მდინარის შუა წელში – მარცხენა მხარეს. უნაგირას სერის თხემზე ალაგ-ალაგ ჩადაბლებებია, უნაგირები, რომლებიც მას მაღლობებად, ბორცვიან სერებად და მაღალ მთებად ჰყოფენ. მათგან აღსანიშნავია: ეკის მთა (467 მ), დადიანის ტახტა (349 მ), ნაქალაქევის მთა (395 მ), აბედათის მთა (624 მ).¹⁹⁰ უნაგირას სერის სამხრეთ დაბოლოებაზე, შხეფის მთის თხემზე აღმართულია ციხე-სიმაგრე, რომელიც სამეგრელოს დაბლობს გადაჰყურებს და მეტად მოხერხებული მდებარეობა უკავია. ვახუშტი ბატონიშვილი მის შესახებ წერს: „უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის

¹⁸⁹ ცხადაია პ. (2013), სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, გვ. 8, 10.

¹⁹⁰ მარუაშვილი ლ. (1964), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 231; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1, ფიზიკური გეოგრაფია (2000), გვ. 266.

კიდევად, არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“.¹⁹¹ შხევის ციხე აგებულია IV საუკუნეში, შემდეგ იგი მნიშვნელოვნად გაუფართოებიათ. თავდაპირველად ციხე ეგრისის სამეფოს თავდაცვის საერთო სისტემაში შედიოდა; XVI-XIX სს. იგი დადიანთა სამთავრო სახლის ერთ-ერთი რეზიდენცია იყო.¹⁹²

ტეხურის აღმოსავლეთით მდინარე აბაშა (სიგრძე 66 კმ, აუზის ფართობი 370 კმ²) მოედინება. იგი სათავეს ასხის მასივის სამხრეთ კალთებიდან იღებს და ტეხურს სოფელ ზანათის მიდამოებში მარცხნიდან უერთდება. მისი მდგენელებია ტობა და რაჩხისწყალი. ასხის მასივის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობსა და აბედათის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ბოლოს შორის, სოფელ გაჭედილთან, აბაშა 50-70 მ სიღრმის ვიწრო, 5-6 მ კანიონს აჩენს. კანიონში შემონახულია 75 მლნ. წლის წინ დედამიწაზე მოზინადრე ცხოველების გაქვავებული ძვლები; კანიონის ზოგიერთ მღვიმეში აღმოჩნდა უძველესი ადამიანის არსებობის ნაშთები, ნაპოვნია გადაშენებული ცხოველების ზოგიერთი სახეობის, მათ შორის მღვიმის დათვისა და ბიზონის ნაშთები.

მდინარე აბაშის მარცხენა შენაკადია პატარა მდინარე ინჩხია (სიგრძე 4 კმ), რომელიც სათავეს ტაბაკონას მთის სამხრეთ კალთაზე იღებს. ინჩხიას მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ქალაქი მარტვილი, მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. მისი თავდაპირველი სახელი იყო ჭყონდიდი. გადმოცემით, ჭყონდიდი ძველ საქართველოში წარმართობის მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. აქ, გორაკზე მდგარა წარმართთა კერპი – დიდი მუხა (მეგრ. დიდი ჭყონი, ჭყონდიდი), რომლის სახელწოდებაც სოფელზე გავრცელდა. VII საუკუნის I ნახევარში აქ ყველა წმინდანის (მარტვილთა) სახელზე ეკლესია ააგეს. რადგან ტაძარი მარტვილთა სახელს ატარებდა, სალოცავის სახელწოდება დასახლებულ პუნქტზეც გავრცელდა. X საუკუნეში, „აფხაზთა“ მეფის გიორგი II-ის (922-957) დროს, ეკლესია გადააკეთეს, მაშინვე დაარსდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა. გვიანდელ შუა საუკუნეებში ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე აკურთხეს და მარტვილი მხოლოდ დასახლებული პუნქტის სახელად დარჩა, რომელიც წყაროებში XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან იხსენიება. მარტვილის პარალელურად სოფელს ჭყონდიდიც ეწოდებოდა. შემდეგ სოფლის სახელად მარტვილი დარჩა, საეპისკოპოსო კათედრალს კი ძველი

¹⁹¹ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 777.

¹⁹² ზაქარაია პ. კაპანაძე თ. (1991), ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, გვ. 139-150; ჭითანავა დ. (2010), ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 421-423.

სახელი ჭყონდიდი შერჩა.¹⁹³ დავით დადიანის მიერ სამეგრელოს სამთავროს 1840 წლის ადმინისტრაციული დაყოფით შეიქმნა მარტვილის მაზრა, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი სოფელი მარტვილი იყო. სოფელი მარტვილი 1867-1917წწ. სენაკის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროს ისევ სენაკის მაზრის შემადგენლობაშია; 1921 წლიდან სენაკის მაზრის მარტვილის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია; 1929 წლიდან მარტვილის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან მარტვილის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის 1936 წლის 3 აგვისტოს დადგენილებით, სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 8 ივლისის დადგენილების შესაბამისად, სოფელ მარტვილს ცნობილი რევოლუციონერის ალექსი გეგეჭკორის პატივსაცემად გეგეჭკორი, ხოლო მარტვილის რაიონს გეგეჭკორის რაიონი ეწოდა. 1956 წლის ოქტომბერში გეგეჭკორმა დაბის სტატუსი მიიღო და მის შემადგენლობაში შევიდა სოფლები ნაღვესაო, ნახარებაო, საელიავო, ქვაითი. 1982 წლის 21 დეკემბერს დაბა გეგეჭკორმა რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიიღო. 1989 წლის 6 ივლისს გეგეჭკორს დაუბრუნდა სახელი მარტვილი, ხოლო რაიონს მარტვილის რაიონი ეწოდა. 2007 წლიდან ქ. მარტვილი მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.

მდინარის ქვემო ნელში, მის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი ძველი აბაშა, რომლის უწინდელი სახელია აბაშა. სახელწოდება „აბაშის“ ეტიმოლოგიის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთი მოსაზრებით, ჰიდრონიმისა და ოიკონიმისათვის ამოსავალია აბჩა, რაც სპარსულად „პატარა წყალს, პატარა მდინარეს“ ნიშნავს. სხვა მოსაზრებით, სახელწოდებაში „აბაშა“ აბა ელემენტი ადამიანის საკუთარ სახელს უნდა ნიშნავდეს, ხოლო ში/შა – მანარმოებელ სუფიქსს, ე. ი. „აბაშა“ გაიგება როგორც „აბას სამფლობელო“.¹⁹⁴ მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სახელწოდება „აბაშა“ ჯერ კიდევ არაა დამაჯერებლად განმარტებული.¹⁹⁵ თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, სოფლი-

¹⁹³ **თაყაიშვილი ე.** არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 45-46; ბერაძე თ. XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, გვ. 79-80; **კეკელია ი.** (2010), მარტვილის რაიონის ოიკონიმი. ქუთაისი, „ენციკლოპედია ქუთაისის“ გამომცემლობა და სტამბა, გვ. 72; **ჭითანავა დ.** ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010, გვ. 178-179.

¹⁹⁴ **კეკელია ი.** (2011), აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი. ქუთაისი, „ენციკლოპედია ქუთაისი“, გვ. 18-20.

¹⁹⁵ **ცხადაია ჰ.** (2013), სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII. აბაშის რაიონი. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 14, 104.

დან სამხრეთით, 5 კმ. დაშორებით რკინიგზის სადგურს უწოდეს აბაშა, ხოლო სოფელ აბაშას – ძველი აბაშა. 1923 წელს აბაშას დაბის სტატუსი მიენიჭა. 1930 წლიდან დ.აბაშა აბაშის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1964 წლის 25 იანვარს დ.აბაშას რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიენიჭა. იმავდროულად, გაუქმდა ნოლახაშის ს/საბჭო და მასში შემაჯავლი სოფლები ნოლახაში და კაპანა მათი ქალაქ აბაშასთან ტერიტორიულად შეზრდის გამო. 2007 წლიდან ქ. აბაშა აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.

მდინარე აბაშის აღმოსავლეთით პატარა მდინარე ნოლელა (სიგრძე 51 კმ, აუზის ფართობი 130 კმ²) მოედინება. იგი სათავეს იღებს ასხის მასივის სამხრეთ-დასავლეთით, ტაბაკონას (ტაბაკელას) მთაზე 680 მ სიმაღლეზე და მდ.რიონს მარჯვენა მხრიდან სოფ. ნახსაკაოს მიდამოებში ერთვის.

მდინარე აბაშის აღმოსავლეთით დიდი მდინარეა ცხენისწყალი (სიგრძე 183 კმ, აუზის ფართობი 2117 კმ²). იგი სათავეს იღებს სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ფასის მთის დასავლეთით, 2710 მ სიმაღლეზე და მდ. რიონს მარჯვენა მხრიდან, სოფელ ქვიშანჭალასთან (უწინდელი ორპირი) ერთვის.¹⁹⁶ ცხენისწყლის ზემო და შუა დინება კავკასიონის სამხრეთ კალთაზე მოედინება, ხოლო ქვემო დინება – კოლხეთის დაბლობზე.

საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარეა რიონი (სიგრძე 327 კმ, აუზის ფართობი 13 390 კმ²). იგი სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, ფასის მთაზე, 2990 მ სიმაღლეზე, და შავ ზღვას ფოთთან ერთვის.¹⁹⁷ მისი მარჯვენა შენაკადებია ცხენისწყალი, ნოლელა, ტეხური, ცივი (მეგრ. ცი).

მდინარე ცხენისწყლის რიონთან შესართავში მდებარეობდა სოფელი ორპირი (ამჟამად სოფ. ქვიშანჭალა, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე), რომელიც XIX საუკუნეში მნიშვნელოვანი სატრანსპორტო პუნქტი იყო: ორპირსა და ფოთს შორის ნაგებით, ხოლო 50-იანი წლებიდან ორთქლის გემებით ხორციელდებოდა მიმოსვლა.¹⁹⁸

რიონის შესართავთან საქართველოს საზღვაო კარიბჭე ქალაქი ფოთი მდებარეობს. ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში რიონის შესართავში, ქართული დასახლების გვერდით ბერძნული სავაჭრო ფაქტორია ფაზისი

¹⁹⁶ მარუაშვილი ლ. (1969), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I, გვ. 90.

¹⁹⁷ მარუაშვილი ლ. (1969), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I, გვ. 90.

¹⁹⁸ ბოროზდინი კ. (1934), სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი. თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. ტფილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, გვ. 300-303.

გაჩნდა. სახელწოდება მომდინარეობს მდ. რიონის ბერძნული სახელწოდებიდან ფაზისი (ფასის მთის მდინარე). ძვ. წ. IV-I სს. აქ მთავრდებოდა სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს და ინდოეთს ევროპის ქვეყნებთან აკავშირებდა. ანტიკურ ხანაში აქ იდგა არტემიდას ტაძარი, ხოლო რიონის შესართავთან აღმართული იყო ადგილობრივი ქალღმერთის მარმარილოს ქანდაკება. სახელწოდება „ფოთი“ პირველად სომეხი მემატიანის ლევონდის (VIII ს.) თხზულებაში იხსენიება. ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ფოთი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრად გადაიქცა. VI საუკუნეში პალიასტომის ტბის პირას იდგა ტაძარი, რომელიც ფაზისის სამიტროპოლიტოს საკათედრო ეკლესია იყო. XI საუკუნის დასაწყისში ფაზისის სამიტროპოლიტო კათედრა მოიშალა და მისი მთავარი პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი ქუთაისის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში გადაასვენეს. შუა საუკუნეებში, ისევე როგორც ანტიკურ ხანაში, ფოთი საქართველოს მთავარ ნავსადგურად რჩებოდა. 1579 წელს ფოთი თურქებმა დაიპყრეს და აქ ციხე-სიმაგრე ააგეს. 1640 წელს ფოთი ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657) გაათავისუფლა, მაგრამ XVIII ს. დასაწყისში თურქებმა ისევ დაიკავეს. 1723 წელს თურქებმა ფოთის ციხე განაახლეს. ამ დროიდან ის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თურქების მთავარ საზღვაო ბაზად გადაიქცა. ოსმალთა ბატონობის დროს ფოთი ტყვეებით ვაჭრობის ერთ-ერთი კერა იყო. 1828 წლის ივნისში ფოთის ციხე რუსთა ჯარმა და სამეგრელოს სახალხო ლაშქარმა დაიკავა. 1858 წლის 31 მარტს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ (1855-1881) ხელი მოაწერა ბრძანებულებას ფოთში ნავსადგურის გახსნის შესახებ, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ, 1859 წლის 1 იანვარს, მან სანავსადგურო ქალაქის სტატუსი მიიღო. 1872 წელს თბილისი-ფოთის რკინიგზის მშენებლობა დასრულდა. 1863-1905 წწ. მიმდინარეობდა ფოთის ნავსადგურის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა. ფოთის ნავსადგურის მშენებლობას, ქალაქის აღმშენებლობას 1894-1912 წწ. სათავეში ქალაქისთავი ნიკო ნიკოლაძე ედგა.¹⁹⁹

ფოთის ცენტრში დგას ბიზანტიური სტილის მაცხოვრის აღდგომის ტაძარი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში ააგეს და ღვთისმშობლის შობის სახელზე აკურთხეს. 1907-1917 წწ. ტაძარი გურია-სამეგრელოს ეპარქიის ცენტრს წარმოადგენდა. 30-იან წლებში ტაძარი გადააკეთეს და აქ თეატრი განთავსდა. 2005 წლიდან ეს შენობა საქართველოს საპატრიარ-

¹⁹⁹ **Берадзе Т. Н.** (1989), Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 59, 244; **პაჭკორია მ.** (1974), ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, გვ. 26-32.

ქოს გადაეცა, მას რესტავრაცია ჩაუტარდა და პირვანდელი სახით აღდგა.

ფოთის სამხრეთით, ზღვასთან ახლოს პალიასტომის ტბა მდებარეობს. ვახუშტი ბატონიშვილი მის შესახებ წერს: „ფოთის სამხრით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღუას მდინარე ამისივე“.²⁰⁰ ტბის ზედაპირის ფართობი 18 კმ²-ს, ხოლო მაქსიმალური სიღრმე 3 მ შეადგენს. იგი ზ. დ. 0,3 მ დაბლა მდებარეობს. ტბას თითქმის ოთხკუთხედის ფორმა აქვს, მისი სიგრძე-სიგანე თითქმის ერთმანეთის ტოლია და დაახლ. 4 კმ უდრის. საზრდოობს წვიმის წყლით და მცირე შენაკადებით. ოდესღაც ტბის ადგილას შავი ზღვის ყურე იყო, რომელიც შემდეგ ტბად გადაიქცა. ტბის სახელწოდება ბერძნულად სწორედ „ძველ შესართავს“ ნიშნავს. 1961 წელს ტბის ფსკერზე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძვ. წ. II ათასწლეულის დასახლების ნაშთები. ეს ადგილი ქალაქ ფაზისის სავარაუდო ადგილსამყოფელს წარმოადგენს. ტბიდან პატარა მდინარე კაპარჭინა გამოედინება, რომელიც ზღვის პარალელურად მიედინება და შემდეგ მას უერთდება. 1924 წელს ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირიდან გაიყვანეს არხი და ზღვას შეუერთეს. 1933 წლის დეკემბერში ძლიერი ზეირთცემის შედეგად არხი გაფართოვდა და სრუტედ გარდაიქმნა. შესაბამისად, ტბის წყალი მლაშე გახდა. ტბა შედის კოლხეთის ეროვნული პარკის შემადგენლობაში.²⁰¹

მდინარე რიონის სამხრეთით, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თითქმის მის პარალელურად, მდინარე ფიჩორი (სიგრძე 66 კმ, აუზის ფართობი 405 კმ²) მიედინება. იგი სათავეს იღებს აჭარა-მესხეთის ქედის კალთაზე და პალიასტომის ტბაში ჩაედინება.²⁰²

კოლხეთის დაბლობზე, შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჭაობების დაშრობისა და ჩაისა და ციტრუსების გაშენების შემდეგ აქ გავრცელებული კოლხური მცენარეულობა ძალიან შემცირდა. მათი დაცვის მიზნით, 1935 წელს შეიქმნა კოლხეთის ნაკრძალი, რომელიც 1999 წელს კოლხეთის ეროვნულ პარკად გადაკეთდა. კოლხეთის ეროვნული პარკი მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ფიჩორსა და ჭურჩას შორის, პალიასტომის ტბის აუზს და ორი მხარის, სამეგრელოსა და გურიის, ნაწილია. ეს ერთადერთი პარკია საქართველოში, სადაც ხმელეთის გარდა შავი ზღვის სანაპირო ზოლიცაა დაცული. 1962 წელს აბაშის რაიონში სამრეწველო თე-

²⁰⁰ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 790.

²⁰¹ Апхазова И. С. (1975), Озера Грузии. Тбилиси, «Мецниереба», გვ. 127-130; ალფენიძე მ., კორსანტია კ., მაისურაძე რ., ესებუა ე., მზარელია ლ. (2015), ოდიში: ბუნებრივი პირობები, რესურსები და სამეურნეო პრაქტიკა, გვ. 65.

²⁰² Апхазова И. С. (1975), Озера Грузии, გვ. 129-130.

ვზის გამრავლების მიზნით გამოიყო 295 ჰა მიწის ფართობი, სადაც 1964 წელს დაარსდა კაცობურის სამონადირეო მეურნეობა. 1997 წლიდან სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის ბაზაზე შეიქმნა კაცობურის ალკვეთილი, რომელიც აბაშის მუნიციპალიტეტის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. მისი ჩრდილოეთი საზღვარი მდ.რიონის სანაპიროს გასდევს; დასავლეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით შემოფარგლულია სოფელ კეთილარის მიწებით. ალკვეთილის ფართობი 270,8 ჰა-ს შეადგენს.

სამეგრელოს ჰიდროგრაფიული ქსელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ჭაობები წარმოადგენს. უშუალოდ შავი ზღვის სანაპირო და მდ. რიონსა და მდ. ფიჩორს შორის ტერიტორია პალიასტომის ტბიდან სოფელ კეთილარამდე, დაახლ. 45 კმ მანძილზე, ინტენსიური დაჭაობების არეა. ჭაობებს შორის ყველაზე დიდია ფიჩორი-პალიასტომის, ჭალადიდი-ფოთის და თიქორი-ჭურჩის მასივები.²⁰³ შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჭურჩიანბადის ჭაობები საერთაშორისო მნიშვნელობის ჭაობების სიაშია შეტანილი.

სამეგრელოს სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია მინერალური და მტკნარი წყლების, საწვავი და ლითონური წიაღისეულის, სამშენებლო მასალების, მათ შორის: გრანიტის, მარმარილოს, ქვიშაქვის, თაბაშირის, ცარცის, ფერადი კირქვების, თაბაშირიანი კირქვების, მერგელის (კირქვიანი მკვრივი თიხა), სააგურე თიხის, ტორფის, აგრეთვე ანდეზიტ-ბაზალტის, ბარიტის, დოლომიტის საბადოები; გვაქვს აგრეთვე ქვანახშირის (მაგანის, ხუდონის), ლიგნიტის (ფახულანი) და მანგანუმის (ნახუნაო, სენაკი) გამოვლინებები.²⁰⁴

სამეგრელოში უხვადაა ბუნებრივი მინერალური წყლები: კალციუმ-ქლორიანი (სქური, ლუგელა), კალციუმ-ნატრიუმ-ქლორიანი (ლებარდე), ნატრიუმ-ქლორიანი (აბასთუმანი, ურთა, ძველი ხიბულა); თერმული წყლები: ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი (ნოქალაქევი), ნატრიუმ-კალციუმ-მაგნიუმიანი (ნოქალაქევი), გოგირდწყალბადიანი-ქლორიდული (მენჯი, ცაიში, ურთა), გოგირდწყალბადიანი (ბია, ზანა), ქლორიდულ-კალციუმ-ნატრიუმიანი (ხორგა), ქლორიდულ-სულფატური-ნატრიუმ-კალციუმიანი (ქვალონი), ქლორიდულ-მაგნიუმ-კალიუმიანი (ყულევი).²⁰⁵

²⁰³ კორსანტია ვ. (2012), სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 68-69.

²⁰⁴ მარუაშვილი ლ. (2020), საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულების ბუნებრივი პირობები, თბილისი, „სვეტი“, გვ. 219-244.

²⁰⁵ მარუაშვილი ლ. (1964), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 146; კორ-

ბუნებრივ-კლიმატური პირობები ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტების სიმრავლეს განაპირობებს: სქური, ცაიში, მენჯი, ნოქალაქევი, ბია, ხორგა (ბალნ.), ლებარდე, ყულევი (კლიმ.-ბალნ.), ანაკლია და განმუხური (კლიმ.).²⁰⁶ მხარე მდიდარია მიწისქვეშა კარსტული რელიეფის ფორმებით: ურთის მღვიმური სისტემა მდ. ჯუმის ხეობაში, ცაიშის მიდამოებში (ზუგდიდის მუნიც.); საგუნიოს მღვიმე მდ. ცივის ხეობაში, სოფელ ეკის მიდამოებში (სენაკის მუნიც.); ნოლას მღვიმე მდ. შების (მდ.ცივის მარცხ. შენაკადი) სათავეში, სოფ. ნოლის (მარტვილის მუნიც.) მიდამოებში; გარახის მღვიმე მდ.ბუმეს (მდ. ოჩხომურის შენაკადი) ხეობაში, სოფ. გარახის (ჩხორონწყუს მუნიც.) მიდამოებში; კორცხელის მღვიმე მდ. ჯუმის მარცხენა ნაპირზე, სოფ. კორცხელის (ზუგდიდის მუნიც.) მიდამოებში; ნაზოდელავოს და სავეკუოს მღვიმეები მდ. ზანის ხეობაში, სოფ. ახუთის (ჩხორონწყუს მუნიც.) მიდამოებში; შურუბუმუს მღვიმე მდ. ხობისწყლის ხეობაში, სოფ. მუხურის (ჩხორონწყუს მუნიც.) მიდამოებში; ყალიჩონას მღვიმე მდ. ბუმეს (მდ. ოჩხომურის შენაკადი) ხეობაში, სოფ. ქოლის (ჩხორონწყუს მუნიც.) მიდამოებში და სხვ.²⁰⁷

სამეგრელოში ორი მკაფიოდ განსხვავებული ლანდშაფტური ქვეოლქია: ოდიშის ბარი და მთიანი სამეგრელო. ბარის ლანდშაფტები არსებითად შეცვლილია ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის შედეგად, უკეთ არის შემონახული მთიანი სამეგრელოს ბუნებრივი ლანდშაფტები.²⁰⁸ მხარის დიდი ნაწილი ვაკე-დაბლობებსა და გორაკ-ბორცვებს, ასევე მთისწინეთებს უჭირავს. სამეგრელოს ტერიტორია ზღვიდან მაღალი მთებისკენ შეფენილი ვაკე-დაბლობების, გორაკ-ბორცვების, დაბალი და საშუალო მთების ამფითეატრს წარმოადგენს, რომლის განაპირა ზოლი მაღალი მთებითაა გარშემორტყმული. ზღვისპირა ნაწილი ჭურჩისა და ცის ქვაბულებს უკავია. ჭურჩის ტაფობი ენგურსა და ხობისწყალს შორის მდებარეობს და მას მდ. ჭურჩის ორ ნაწილად ყოფს; ცის ქვაბული ხობისწყლის, ცივის და რიონის კალაპოტებითაა შემოსაზღვრული. მისი ფართობი 176 კმ² შეადგენს.²⁰⁹ ვაკისა და დაბლობის ზონაში დიდი ფართობი უკავია

სანტია კ. (2012), სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 189-191.

²⁰⁶ **კორსანტია კ. (2012),** სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 145-149.

²⁰⁷ **ალფენიძე მ., კორსანტია კ., მაისურაძე რ., მზარელუა ლ., ესებუა ე. (2015),** ოდიში: რელიეფი და მისი სამეურნეო შეფასება, – აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომათა კრებული, ტ. 4. გვ. 203-205.

²⁰⁸ საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1, ფიზიკური გეოგრაფია (2000), გვ. 268-269.

²⁰⁹ **კორსანტია კ. (2012),** სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პო-

კულტურულ ლანდშაფტებს. აქ გვხვდება ბალები, ვენახები, ბოსტნები, ჩაისა და ციტრუსოვნების პლანტაციები. ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის სათანადო ფაუნის ჩამოყალიბებისათვის.

სამეგრელოს მცენარეული საფარი, ისევე როგორც ბუნებრივი პირობები, დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ გავრცელებულია ძელქვა, ურთხელი, ბზა, ნიფელი, მუხა, ნაბლი, რცხილა, ცაცხვი, აკაცია, იფანი, თელა, წყავი, გარეული ვაზი, თხმელა, მუქწინვიანები – ნაძვი, სოჭი; მაღალმთიან ზონაში სუბალპური და ალპური მდელოებია, რომელიც გამოყენებულია საზაფხულო საძოვრებად.²¹⁰ კულტურული მცენარეებიდან დიდი რაოდენობითაა კაკალი, თუთა, ვაშლი, მსხალი, ატამი, ტყემალი, ქლიავი, კომში, ბრონეული, თხილი და სხვ. სუბტროპიკული მცენარეებიდან აღსანიშნავია: ჩაი, კეთილშობილი დაფნა, იაპონური ხურმა, ციტრუსები და სხვ.

მრავალფეროვანი ბუნება, არაერთგვაროვანი ჰავა, აქ მობინადრე ფრინველებისა და ცხოველების მრავალფეროვნებას განაპირობებს. ვაკისა და დაბლობის ზონაში გვხვდება ზღარბი, თხუნელა, მაჩვი, ციყვი, კურდღელი; ტყეებში მტაცებლები: კავკასიური მურა დათვი, ფოცხვერი, ტყის კატა, მგელი, მელა, ტურა, მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი გარეული ღორი, შველი, კავკასიური ირემი; ფრინველებიდან გავრცელებულია: მწყერი, გნოლი, ბუ, ჭოტი, გუგული, გვრიტი, გარეული მტრედი, ოფოფი, კოდალა, ყორანი, ყვავი, კაჭკაჭი, ჩხიკვი, შოშია, ბელურა, ტოროლა, მწყერჩიტა, ბულბული, მერცხალი, ნითელი იხვი, ჩვეულებრივი გარეული იხვი, თეთრი ყანჩა; მტაცებელი ფრინველები – კავკასიური შევარდენი, კავკასიური ქორი, ჩვეულებრივი მიმინო, ევროპული ძერა, არნივი და სხვ. სამწუხაროდ, თითქმის განადგურებულია ისეთი სახეობები, როგორიცაა ხოხობი, შურთხი, როჭო, ოდიშის ჯიხვი, შველი, ირემი.²¹¹ სამეგრელო მდიდარია სხვადასხვა სახეობის თევზით, რაც განპირობებულია მდინარეთა ხშირი ქსელით და შავ ზღვის ნაპირზე მდებარეობით. ზღვიდან მდინარეებში შემოდის ზუთხი, სვია, კოლხური თართი, შავი ზღვის ორაგული, მდინარეებში მრავლადაა თეთრულა, კალმახი, კობრი, კოლხური ტობი, მურნა, ქაშაპი (უნგვარო), ციმორი, ნვერა, ჭანარი, ხრამული და სხვ.²¹²

ტენციალი, გვ. 27.

²¹⁰ **მარუაშვილი ლ.** (1964), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 147-148.

²¹¹ **მიქაია ნ.** (2015), ოდიშის ცხოველთა სამყარო. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომათა კრებული, ტ. 4, გვ. 240-244.

²¹² **მიქაია ნ.** (2015), ოდიშის ცხოველთა სამყარო, გვ. 244-245.

სახელწოდება „სამეგრელო“ ისტორიული მხარის – ეგრისის სახელიდან მომდინარეობს. დასავლეთ საქართველოს უძველესი მოსახლეობის ძირითად ნაწილს, ქართული მოდგმის ტომი „ეგრი“ წარმოადგენდა. ამიტომ საქართველოს ამ ნაწილს უძველესი დროიდან ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნემდე ეგრისი ეწოდებოდა. ჩვენი მეზობლები, ძველი აღმოსავლური, ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური მწერლობის ძეგლების თანახმად, ამ მნიშვნელობით „კულხა“, „კოლხა“, „კოლხიდა“ და „ლაზიკე“ სახელებს იყენებდნენ. ქვეყნის სახელიდან ეგრისი, პრეფიქს-სუფიქსის დახმარებით, ამ ქვეყნის მოსახლის სახელწოდება „მეგრელი“ მივიღეთ, ამ სახელიდან კი – გეოგრაფიული სახელწოდება სამეგრელო, ე. ი. მეგრელთა ქვეყანა. ქართული მწერლობის ძეგლებში ეს გეოგრაფიული სახელი პირველად XI საუკუნის პირველ ნახევარში გვხვდება. „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა ნეტარისა მამისა ჩვენისა მაქსიმე აღმსარებლისა“, რომელიც ქართველი მწიგნობრის, მთარგმნელისა და სასულიერო მოღვაწის ექვთიმე ათონელის (955-1028) კალამს ეკუთვნის, ნათქვამია: „წარგავლინეს სამარადისო ექსორიობასა და პყრობილებასა კერძოთ სამეგრელოსა“. ტექსტის ბერძნულ დედანში სამეგრელოს ნაცვლად ლაზიკე იხსენიება, მაგრამ ის, რაც ბიზანტიელებისთვის ლაზიკე ანუ მთელი დასავლეთ საქართველო და მისი მომიჯნავე სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთია, ექვთიმე მთაწმინდელისთვის „სამეგრელოა“.²¹³

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „სამეგრელო“ XI საუკუნიდან არის დამოწმებული, ამ გეოგრაფიულმა სახელწოდებამ მთელი შუასაუკუნეების მანძილზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დატვირთვა საქართველოში ვერ მოიპოვა. შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში ამ მხარის სახელწოდებად ყველგან ოდიში გვხვდება, ევროპულ წყაროებში კი – **Mingrelia** (სამეგრელო).²¹⁴ სახელწოდება „ოდიში“ პირველად XI საუკუნის აპოკრიფული (ადრექრისტიანული ხანის ლიტერატურული არაკანონიკური თხზულება) ლიტერატურის ძეგლის „ანდრია სალოსის ცხოვრების“ ანდერძში იხსენიება: „ღმერთმან უწყის რაიცა ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიჭირე, მაგრამ დედაი ოდიშს დაწერილი იყო“.²¹⁵ „ოდიშის“ ეტიმოლოგიის შესახებ მოსაზრებები გამოთქმუ-

²¹³ **ბერაძე თ.** (1993), „მეგრელი“, „სამეგრელო“, „ოდიში“, კრებ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, „მეცნიერება“, გვ. 459.

²¹⁴ **ბერაძე თ.** (1993), „მეგრელი“, „სამეგრელო“, „ოდიში“, გვ. 460.

²¹⁵ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (1948). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. 3. თბილისი, „მეცნიერება“, გვ. 291.

ლი აქვთ ვახუშტი ბატონიშვილს, იოანე ბატონიშვილს, ნიკო მარს, მოსე ჯანაშვილს, სარგის კაკაბაძეს და სხვებს. ერთი, სხვებზე უფრო სარწმუნო მოსაზრებით, რომელიც ვუკოლ ბერიძეს ეკუთვნის, „ოდიში“ წარმართული ღვთაება ოდის სახელისაგან მომდინარეობს და ღვთაება ოდის ქვეყანას ნიშნავს. ოდი ქვეყნის პატრონია, მის მიწა-წყალზე დასახლებული ხალხის ღვთაება.²¹⁶ საინტერესოა ასევე ენათმეცნიერ გიორგი კლიმოვის მოსაზრება, რომლის თანახმადაც სახელწოდება „ოდიში“ შესაძლოა უკავშირდებოდეს სვანურ ად-რა//ჰად-რა (Azalea pontica, შქერი) ად-/ჰად – ძირს, სადაც -რა სუფიქსი მცენარეთა სიმრავლის გამომხატველია. მისი აზრით, ამავე ძირს უნდა უკავშირდებოდეს სვანური ტოპონიმი ადიში//ჰადიში. მეგრული ოდიში ნაწარმოები ჩანს ოდ- ძირიდან, რომელიც სვანური ად-ძირის შესატყვისი უნდა იყოს.²¹⁷

ოდიში თავდაპირველად ისტორიული ეგრისის ერთ მხარეს ერქვა, ზღვისპირა ტერიტორიას მდინარეებს ენგურსა და ტეხურს შორის. მოგვიანებით, ეს ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა გაფართოვდა და ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის მეგრელების განსახლების ტერიტორია თანდათან მოიცვა.²¹⁸ როგორც ჩანს, ოდიში იგულისხმება ვახუშტი ბატონიშვილისეულ ბედიის საერისთავოში, რომელიც VIII საუკუნის მიწურულს „აფხაზთა“ სამეფოში ჩამოყალიბდა. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, საერისთავო მოიცავდა ტერიტორიას მდ. ეგრისწყლიდან (ლალ-იძგა) მდ. ცხენისწყლამდე და რიონიდან სვანეთამდე.²¹⁹ XII საუკუნის 80-იან წლებში ოდიშის საერისთავო იხსენიება თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.²²⁰

XIV საუკუნის 20-იან წლებში ოდიშის ერისთავმა ცხუმის საერისთავო შეიერთა და ამ დროიდან საერისთავოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ანაკოფიის მდინარეზე (ფსირცხა) გავიდა. XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ოდიშის საერისთავო იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. XVI საუკუნის შუახანებში,

²¹⁶ ბერიძე ვუკ. (1962), „ოდი – ოდიში. – ოდოია“, ჟურნ. „მნათობი“, №12, გვ. 54.

²¹⁷ Klimov G. (1998), Etimologikal Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin/New York, 1998, გვ. 1.

²¹⁸ ბერაძე თ. (2018), ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 40; არახამია გ. (2003), ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI ს. - XVI ს. I ნახ). თბილისი, „მემატიანე“, გვ. 4-5.

²¹⁹ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 796.

²²⁰ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (1959). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II. თბილისი, „სახელგამი“, გვ. 33-34.

დადიანმა იმერეთის სამეფო კარისაგან სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია და ოდიშის საერისთავოს ბაზაზე ოდიშის სამთავრო ჩამოყალიბდა. ამის შემდეგ ოდიშის მთავრები „ხელმწიფე დადიანის“ ტიტულს ატარებდნენ. XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის დასაწყისში ოდიშის სამთავროს საზღვარმა ჩრდილო-დასავლეთით მდ.კელასურზე გადმოინაცვლა, რისი მიზეზიც საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მთის ჩამონოლა და დასავლეთ კავკასიელ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი აფხაზური ეთნოსის (აფსუა) ექსპანსია იყო. სამთავროს აღმოსავლეთ საზღვარი უცვლელი დარჩა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ოდიშის სამთავრო დასუსტდა. ამით ისარგებლეს აფხაზებმა და განაახლეს თავდასხმები, რასაც შედეგად მოჰყვა 1681 წელს მათ მიერ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის, მდ. კელასურიდან მდ. ლალიძგამდე, მიტაცება. ამ ტერიტორიაზე დაიწყო აფხაზთა ჩამოსახლება და მისი ეთნიკური ათვისება. 80-იან წლებში მათ მდ. ლალიძგიდან მდ. ენგურამდე ტერიტორიაც მიიტაცეს. XVII საუკუნის 70-იან წლებში ოდიშის სამთავროში დაწინაურდნენ ლეჩხუმის ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები – ჩიქოვანები. ამ დროიდან ლეჩხუმი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. 1701 წელს გიორგი ჩიქოვანმა, რომელიც ფაქტობრივად განაგებდა სამთავროს, დადიანის ტიტული მიიღო და ოდიშის მთავართა ახალ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი. ახალმა მთავარმა, გიორგი IV დადიანმა (1701-1714) 1702 წელს შეძლო დაებრუნებინა აფხაზთა მიერ მიტაცებული ოდიშის სამთავროს მიწების ერთი ნაწილი, ტერიტორია მდინარეებს ენგურსა და ლალიძგას შორის, თუმცა ამ მხარის გამგებლად აფხაზთა სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები დარჩნენ. მოგვიანებით, XVIII საუკუნის 30-40-იან წლებში, ამ მხარეს მისი მფლობელის მურზაყან შარვაშიძის სახელის მიხედვით სამურზაყანო ეწოდა.²²¹

ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში მეურნეობის წამყვანი დარგი მინათმოქმედება იყო. მარცვლეული კულტურებიდან ითესებოდა ღომი (*Setaria italic L.*) და ფეტვი (*Panicum miliaceum L.*), რომლებიც ძირითადი საკვები კულტურები იყო. ითესებოდა აგრეთვე ბრინჯი, ზოგან მცირე რაოდენობით ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი. ბოსტნეული კულტურებიდან გავრცელებული იყო ნიორი, ხახვი, პრასი, კამა, ქინძი, ნიახური, ოხრახუმი, პიტნა, ქონდარი, ცერეცო და სხვ. პარკოსნები – მუხუდო, ოსპი, ძაძა, ბარდა, ცერცვი, ცულისპირა, ხანჭკოლა, რომლებიც შემდეგ ლო-

²²¹ **ხორავა ბ.** (1996), ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბილისი, „კერა XXI“, გვ. 121-122.

ბიომ შეცვალა; საზეთე-ბოჭკოვანი კულტურები – ბამბა, სელი, კანაფი. საოჯახო მოთხოვნილებებისათვის ამზადებდნენ კანაფის ბანარს, ბამბის, სელის კანაფის ტილოებს. დიდი რაოდენობით ამზადებდნენ აბრეშუმის პარკს; განვითარებული იყო მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა. მაღლარი ვენახი ხეებზე იყო მიშვებული. დაბლარის სიმცირე არ მოითხოვდა ვენახისთვის სპეციალურად ნაკვეთების გამოყოფას. ბუნებრივი პირობები ხელსაყრელი იყო მეფუტკრეობის განვითარებისათვის, დიდი რაოდენობით ამზადებდნენ თაფლსა და ცვილს. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მესაქონლეობას ამ დარგს განსაკუთრებით მთიან ადგილებში, ტეხურისა და ხობისწყლის ზემო ნელში, აგრეთვე კოლხეთის დაბლობზე, ენგურისპირა სოფლებში მისდევდნენ. ადგილობრივმა მოსახლეობამ ხალხური სელექციით შეძლო გამოეყვანა საუკეთესო ჯიშის საქონელი. ფართოდაა ცნობილი მეგრული ჯიშის ცხენი, ძროხა, თხა, რომელიც ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს კარგად იყო შეგუებული. ჰყავდათ აგრეთვე ლორი, კამეჩი, მცირე რაოდენობით ცხვარი. მინათმოქმედებაში გამწევ ძალად გამოიყენებოდა ხარი და კამეჩი. მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნადირობასა და მეთევზეობას.²²² მეურნეობის ნატურალურ ფორმას თან ახლდა მისთვის დამახასიათებელი შინამრეწველობა, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო სოფლის მეურნეობასთან. მისდევდნენ ტყავის დამუშავებას, ფარდაგებისა და შალეულის ქსოვას, ამზადებდნენ ქალამანს, ქეჩას, ნაბადს, ყაბალახს; თიხის, ხისა და რქისაგან – ჯამ-ჭურჭელს.

XVIII საუკუნიდან თანდათან გავრცელდა სიმინდი, რომელიც კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს. ის ღომზე უფრო ამტანი, მოსავლიანი და ნაკლებ შრომატევადი აღმოჩნდა, ამიტომ XIX საუკუნიდან სამეგრელოს მარცვლეულ მეურნეობაში სიმინდი გაბატონდა, ხოლო ტრადიციული კულტურების – ღომის, ქერის, ფეტვის, ჭვავის ნათესები შემცირდა. იმავე ხანებიდან ლობიოს გავრცელებამ გამოიწვია პარკოსანი კულტურების – მუხუდოს, ცერცვის, ბარდას, ოსპის, ძაძას, ცულისპირას, ხანჭკოლას, საზეთე-ბოჭკოვანი კულტურის – სელის, თანდათან მივიწყება.²²³

ოდნში (სამეგრელოში) იკვებებოდნენ რძისა და ხორცის პროდუქტე-

²²² **მეუნარგია ი.** (1957), დავით დადიანი და მისი დრო (მასალები), წიგნ. **მეუნარგია ი.** ქართველი მწერლები, II. შედგენილი სოლომონ ცაიშვილის მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვიითა და შენიშვნებით. თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, გვ. 141-147; **თოფჩიშვილი რ.** (2017), საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბილისი, „საჩინო“, გვ. 262-265.

²²³ **გოცაძე ნ. მაისაია ი.** (2015), აღვადგინოთ მივიწყებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 11-84.

ბით, თევზეულით და მხალეულით. საკვებად მრავალნაირ მხალეულს იყენებდნენ, მათ შორის ჭინჭარს, ეკალას, ნაცარქათამას, მხალი ბაიას, სატაცურს და სხვ. განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ცხარე სანელებლებს, ციების საფრთხეს წინაკის გამოყენებით ებრძოდნენ; ნიგვზით და თხილით კერძების შენელება ძველი დროიდან მოდის. მარილი საქართველოში ძირითადად აღზევანიდან შემოჰქონდათ, დასავლეთ საქართველოში – შავი ზღვის ნავსადგურებიდან.

1804 წელს ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შევიდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ამ მხარის სახელად თანდათან „სამეგრელო“ დამკვიდრდა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან სანაპირო ზოლში ფეხი მოიკიდა სასაქონლო-ფულადმა ურთიერთობამ. თანდათან სოფლის მეურნეობის ძირითადმა დარგებმა სასაქონლო ელფერი შეიძინა. 50-იანი წლებიდან საზღვარგარეთ გადიოდა ღვინო, სიმინდი, ცვილი და თაფლი, ძვირფასი ჯიშის ხეტყე. 1857 წელს რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს სამთავროს ავტონომია ფაქტობრივად გააუქმა და რუსული მმართველობა შემოიღო, 1867 წელს კი სამეგრელოს სამთავრო იურიდიულადაც გააუქმა.²²⁴ სამთავროს გაუქმების შემდეგ სამეგრელო ზუგდიდისა და სენაკის მაზრების სახით შედიოდა ქუთაისის გუბერნიის, ხოლო 1918-1921 წლებში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921-1991 წწ. სამეგრელო, ზუგდიდისა და სენაკის მაზრებისა და ქ. ფოთის, ხოლო მაზრების რაიონებად გარდაქმნის (1930 წ.) შემდეგ ზუგდიდის, სენაკის (შემდეგ ცხაკაიის), აბაშის, მარტვილის (შემდეგ გეგეჭკორის), ჩხორონწყუს, წალენჯიხის, ხობის რაიონებისა და ქ. ფოთის სახით შედიოდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში. 2007 წლიდან, რაიონების მუნიციპალიტეტებად გარდაქმნის შემდეგ, სამეგრელო წარმოდგენილია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხორონწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქ. ფოთის სახით.

XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან ძირეულად შეიცვალა მეურნეობის სტრუქტურა – შეიქმნა მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობა, რომლის მთავარი დარგი მეჩაიეობა და სუბტროპიკული მეხილეობა გახდა. გაშენდა ტექნიკური კულტურები – ტუნგი, დაფნა, ეთერზეთოვანი კულტურები. ფართოდ განვითარდა მარცვლეული მეურნეობა (მესიმინდეობა), მებოსტნეობა, მევენახეობა, აგრეთვე სარძევე-სახორცე მიმართულების

²²⁴ მაკალათია ს. (1941), სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება, გვ. 176-178.

მეცხოველეობა. მნიშვნელოვნად განვითარდა კვების მრეწველობა, რომელიც წარმოდგენილი იყო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, განსაკუთრებით ჩაისა და ხილეულის გადამამუშავებელი მრეწველობით. 1991 წელს სამეგრელოში იყო უახლესი ტექნიკით აღჭურვილი 28 ჩაის ფაბრიკა და კომბინატი, კარგად განვითარებული საკონსერვო (ხილისა და ხილეულის ნყლების) წარმოება, მეღვინეობის ქარხნები; დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკურორტო მეურნეობას (მენჯი, ცაიში, სქური, მუხური და სხვ.); ბუნებრივი რესურსების გამოყენებით შეიქმნა მძლავრი ელექტროენერგეტიკული, ხე-ტყის და საშენ მასალათა მრეწველობა.

ამრიგად, ნაშრომში შესწავლილია სამეგრელოს გეოგრაფიული და ისტორიული საზღვრები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, დასახლებული პუნქტების ისტორიული გეოგრაფია, საფორტიფიკაციო და საეკლესიო გეოგრაფია, ისტორიული ტოპონიმია, ფლორა და ფაუნა, ჰიდროგრაფია, ოროგრაფია, ბუნებრივი რესურსები, მხარის ფიზიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები ისტორიულ წარსულში.

Samegrelo. A Brief Historical-Geographical Review

One of the historical-geographical corners of our country, Samegrelo is located in the West and the Central part of West Georgia, on the banks of the Black Sea, between the rivers Enguri and Rioni. The river Enguri and spurs of the Big Caucasus _ Kodori and Abkhazian-Svanetian ranges separate Samegrelo from the neighboring Georgian regions _ Svaneti and Abkhazia. To the east, it follows the right bank of the river Tskhenistskali; In the south, from the confluence of the river Tskhenistskali, it first follows the right bank of the river Rioni, then moves to the left side of the river Rioni and meets the river Fichori before joining Paliastomi Lake, follows the eastern and southern shores of the lake, and flows into the Black Sea.

According to the modern administrative-territorial division, Samegrelo includes: Abasha, Zugdidi, Martvili, Senaki, Chkhorotsku, Tsalenjikha, Khobi municipalities, Zugdidi and Poti cities.

The term «Samegrelo» has been attested in historical sources since the XI century. Despite this, this geographical name did not receive administrative-territorial significance in Georgia during the entire Middle Ages. In medieval Georgian sources, the name of this region is found everywhere as «Odishi», and in European sources _ as Mingrelia. Odishi was a duchy within the Georgian Kingdom.

In the historical-geographical essay, nature and geographical environment, physical- geographical and historical boundaries, flora and fauna, hydrography, orography, natural resources of Samegrelo are examined in detail, as well as issues of its historical development, historical geography of inhabited localities, fortifications, church-historical geography, historical toponymy, historical-economic geography.

შოთა ვადაჭკორია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცხინვალის რეგიონიდან ქართველთა გამოდევნის პირველი ეტაპი და „ოსური იდეის“ ხორცშესხმის დასაწყისი.

საკვანძო სიტყვები: ცხინვალის რეგიონი, ქართველთა გამოდევნა, „ოსური იდეის“ ხორცშესხმა.

XX საუკუნის 90- იანი წლები, ქართულ-ოსური ურთიერთობების ურთულეს მონაკვეთს წარმოადგენს. საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაცია, ოს სეპარატისტებს, ცხინვალიდან ქართველთა გამოდევნის ღონისძიებების შემუშავების შესაძლებლობას აძლევდა. ამ მავნებლური ჩანაფიქრის შესაჩერებლად და ქართველთა დასაცავად, მაშინდელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლება იმ ეტაპზე უძღური და „შორიდან მაყურებლის“ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაღალი ტრიბუნიდან მხოლოდ საპროტესტო განცხადებების გაკეთება და ოსი სეპარატისტების სინდის-ნამუსზე შეგდება, ცხინვალის რეგიონის ქართველებსთვის არაფრის მომტანი იყო. პირიქით, საქართველოს ხელისუფლების ყოველ განცხადებას, ქართული ოჯახების მიმართ სეპარატისტები უმკაცრესი ღონისძიებების გატარებით პასუხობდნენ. რამდენადაც, ოსების მთავარ მიზანს, ქალაქ ცხინვალის ქართველებისგან სრულად მოსუფთავება წარმოადგენდა, საქართველოს ხელისუფლების მმართველ წრეებს, ოსების ჩანაფიქრის ხელშემშლელი ბარიერის შექმნაზე წინასწარვე უნდა ეფიქრა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით პრაგმატული ღონისძიებების გატარებისთვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავება უდიდეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან იგი შესატყვისი კომპრომისების აუცილებლობას საჭიროებდა. მიუხედავად ამისა, არსებული პოლიტიკური კონიუნქტურა დიპლომატიური ლავირების შესაძლებლობას იძლეოდა. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ ცხინვალიდან ქართველთა დეპორტაციისთვის საფეხური, „სამხრეთ ოსეთის“ მმართველი წრეებისგან საბჭოთა ხელისუფლების პერიოდიდანვე მზადდებოდა და მის განსახორციელებლად, ოსი სეპარატისტები ხელსაყრელ სიტუაციას ელოდნენ. დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ ოსების 70 წლიანი

ანტიქართული საქმიანობის აღსაკვეთად და ცხინვალის რეგიონის ქართველთა უფლებების დასაცავად, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების მმართველი წრეები ნაკლებად ზრუნავდა. ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯის გადადგმას, „ინტერნაციონალური უფლებების შეზღავდა“ აღიქვამდნენ.

რაც შეეხება იმ პერიოდში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის უდიდეს ნაწილს, ვისაც ცხინვალის რეგიონის ქართველთა ბედი მეტ-ნაკლებად უნდა გაესიგრძეკანებინა, დუმილს ამჯობინებდნენ და საბჭოთა საქართველოს მაღალჩინოსნებთან ერთგულების „კეკლუცი“ იყვნენ დაკავებულნი. არც იმ უმძიმეს ხვედრზე ფიქრობდნენ, რომელსაც განგება ცხინვალის რეგიონის ქართველობას უმზადებდა. მათი საღათას ძილიდან გამოსვლა მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. ისინი გონს მას შემდეგ მოეგნენ და ალაპარაკდნენ, როცა ოსი სეპარატისტების გამძაფრებული შეტევების შედეგად, ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გამოდევნილმა ქართველებმა, გორისა და თბილისის სასტუმროები გავსო. ამ მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება მიიქცია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1991 წელს დაბეჭდილმა არჩილ ბეგიაშვილის პუბლიკაციამ: „აუცილებელი დასკვნები“. იგი გულისტკივილით წერდა: ცხინვალიდან ქართველთა „ფარული დეპორტაციის ჩასატარებლად იყო აღნიშნულ ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის ძირითადი მოქალაქეობრივი უფლებების შელახვა: ქალაქად ბინის არმიცემა, სოფლად საკარმიდამო ნაკვეთის უსასრულოდ დაგვიანება,... რაც იწვევდა წასვლას ამ რეგიონიდან. ეს იმ დროს, როდესაც არაქართველ მოსახლეობას ლამის სხვა რესპუბლიკებიდან იწვევდნენ დასასახლებლად. სულ ბოლო წლებამდე,... ავტონომიურ ერთეულებში ქართველები წარმოადგენდნენ მოსახლეობის ყველაზე უუფლებო ფენას.“ სწორედ ამ უუფლებოდ გადაქცეული ფენის, ქართველების გამოდევნა ჰქონდა მიზნად დასახული ოსი სეპარატისტებს. ეროვნულმა მოძრაობამ ვერანაირი შეღავათი ვერ მისცა გაუსაძლის პირობებში მყოფ ცხინვალის რეგიონის ქართველობას და მათი უსაფრთხოების დამცავი მექანიზმის შემუშავებაც ვერ შეძლო. პირიქით, ოსური სეპარატისტული დაჯგუფებები იმ დონეზე მომზლავდნენ, რომ ცხინვალის ქართველთა ოჯახებს ამოწყვეტილი ემუქრებოდნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სასტუმრო „აფხაზეთში“ თავშეფარებულმა ცხინვალიდან დევნილმა ერთ-ერთმა ქალბატონმა გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ ჟურნალისტ მაია თუნგიასთან საუბარში განაცხადა: „ქალაქის ცენტრში ვცხოვრობ. არაფერს ვამბობ სროლისას რომ ზუზუნი გაჰქონდათ სახლზე ტყვიებს. ერთ პარტარა ოთახში შევიყუყუ-

ბოდით ხოლმე, იქედან წამოსვლას და ჩემი ოჯახის დატოვებას არ ვაპირებდი, მაგრამ დარჩენა შეუძლებელი გახდა. ღამე რამდენჯერმე დაგვიბრახუნეს კარებზე. აქედან თუ ახლავე არ აბარგებულხართო... და ისეთი სიბინძურე უთხრეს მეუღლეს, გამეორებაც მიჭირს. გოგონების პატრონი ვარ, რა ვქნა... ჩავყარეთ პატარა ჩანთაში ზოგი რამ და მეზობელ ოსს გამოცილება ვთხოვეთ. გარეთ გამოსულებს მეზობელი ქალები ქვებით გამოგვეკიდნენ. სხვებმა გააჩერეს, ამათი გულისთვის ცხინვლი წასვლა არ ღირსო. ძვლივს გამოვასწარით.“ ცხინვლიდან დევნილმა და იმავე სასტუმროში ცოლ-შვილით თავშეფარებულმა ფელიქს ქესანაშვილმა განაცხადა: „გამაფრთხილეს, 24 საათში დამეტოვებინა იქაურობა. წინააღმდეგ შემთხვევაში დახოცვით გვემუქრებოდნენ. სახლ-კარი გადამინვეს.“ პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი მასალებიდან ირკვევა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ქართველები ცხინვალს არ დატოვებდნენ, ადგილზევე კლავდნენ. ასე მოექცნენ მ.კობალაძე-ფირცხალაიშვილს, ხოლო მისი მეუღლე წინააღმდეგობის განევის გამო მძიმედ დაჭრეს.²²⁵

ოსი სეპარატისტების მხრიდან ქართველთა ძალისმიერი გზით ცხინვლიდან გამოძევების შესახებაა საუბარი 1991 წლის მაისში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ გივი ბორცვაძის პუბლიკაციაში – „სად არის სიმართლე?“ „რამდენიმე დღის წინ – ვკითხულობთ წერილში – ქ.ცხინვალში კომაროვის ქუჩის № 47- ში მცხოვრებ მ.რევაზიშვილს კარს მიადგნენ ოსები და პრინციპულად მოითხოვეს დაეტოვებინათ ბინა და ქალაქი. გაოგნებულმა ქალბატონმა ქალაქის რომელ ინსტანციას აღარ მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ... ყველგან ერთ პასუხს ღებულობდა – ცხინვალი ოსების ისტორიული მიწა-წყალია და ქართველებს აქ არაფერი გესაქმებათო.“

ანალოგიური სახის ალან-ოსური ნაციზმით დამძიმებული შემზარავი ფაქტია მოტანილი ვასილ საბანაძის საგაზეთო სტატიაში – „ცხინვალი სფინქსით აღსდგება.“ ამ პიბლიკაციაში ყურადღებაა გამახვილებული სოფელ გუჯაბაურის შესახებ, რომლის ქართული მოსახლეობა ოსმა სეპარატისტებმა სრულიად გამოდევენა და ქართველებისგან „მოასუფთავა“. ამასთან დაკვეშირებით ვ.საბანაძე წერს: „იმ ხალხს, ვის მიწაზედაც ოსები სახლობენ, უბრძანეს წასულიყვნენ სოფლიდან. თუ ვინმე გაუძლიანდა, მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. მოკლეს ვალიკო ჭამპურიძე, გივი ჭამპურიძე მძიმედ დაჭრეს, სხვები ცემა-ტყეპითა და ჯარისკაცების დახმარებით გამოირეკეს. მათი სახლ-კარი კი გადაწვეს. დაუფერებელია, მაგრამ

²²⁵ თუნგია მ. „ჩვენები ცოცხლები არიან?“. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 2 თებერვალი. თბილისი, 1991

ფაქტია, რომ ოსმა ექსტრემისტებმა გამოიყენეს თათარ-მონღოლთა ცნობილი მეთოდი— ვაზის განადგურების შესახებ. ბულდოზერით გადათელეს ვაზის ხეივნები, ხოლო ცოცხლად გადარჩენილი ვაზის ძირები ნაჯახით აჩეხეს.²²⁶

ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები, ქართველთა მიმართ ოსების მხრიდან ბიოლოგიურ სიძულვილზე მეტყველებს. ქართველმა ერმა, იოსებ სტალინისა და სერგო ორჯონიკიძისგან „ინტერნაციონალური მისიით“ საქართველოს 1921 წლის 25 თებერვლის ოკუპაციის შედეგების ნაყოფი მოიმკა. არადა, როგორც ნაშრომის მეორე თავში გვქონდა აღნიშნული, 1917 წლის აღწერის მონაცემებით, ქალაქ ცხინვალში 1521 ქართველი ცხოვრობდა, და რაც მთავარია, იმავე დოკუმენტის მიხედვით, ქალაქ ცხინვალში არცერთი ოსის ცხოვრების ფაქტი არ დასტურდება. რაც შეეხება ცხინვალის საზოგადოების (თემის) შემადგენლობაში შემავალ ერთადერთ სოფელ გუჯაბაურს, აქ 186 ქართველი და 40 სული ოსი ცხოვრობდა.²²⁷

XX საუკუნის 90-იანი წლების ოსი სეპარატისტების მიზანი, ცხინვალიდან და სოფელ გუჯაბაურიდან ქართველების გამოდევნა იყო და ამ ჩანაფიქრს, რუსი სამხედროების დახმარებით მალალ დონეზე ასრულებდნენ. ცხინვალიდან გამოქცეული ქართველები უკან რომ არ დაბრუნებულიყვნენ, შეიარაღებული ოსური დაჯგუფებები დაშინების ახალ მეთოდს მიმართავდნენ. გზად მიმავლებს ავტომატის ჯვრით მოაცილებდნენ და მათ მანქანებს ტყვიას უშენდნენ. ამის შესახებ ალექო ასლანიშვილის პუბლიკაციაში— „შემზარავი სისასტიკე“ ვკითხულობთ: „პირველ იანვარს, თავს დაესხნენ და სროლა აუტეხეს ფრიდონ ბორცვაძეს, რომელსაც მანქანით ცოლ-შვილი მიჰყავდა. ტყვიები დაახალეს ვიკენტი ქრისტესიაშვილის მანქანასაც. ორივე სასწაულით გადარჩა.“

რამდენადაც, ქართული მოსახლეობის სიცოცხლის ხელშეუხებლობის გარანტიას საქართველოს მამინდელი ხელისუფლება ვერ ქმნიდა, ბუნებრივია, ოსი სეპარატისტების ავტომატის ჯვრს საასწაულით გადარჩენილი ქართველები, ცოლ-შვილის სიცოცხლის სასწაულზე დადების საპირწონედ უკან არ დაბრუნდებოდნენ. ოსი სეპარატისტების მიზანიც ეს იყო. მათი მხრიდან გახმოვანებული მბრძანებლური მიმართვა— „ქართველებო წადით ცხინვალიდან!“ საფეხურებრივად სრულდებოდა. ცხინვალში მაცხოვრებელ ქართველებს, ოსმა სეპარატისტებმა იმდენად გაუსაძლისი

²²⁶ **საბანაძე ვ.** „ცხინვალი სფინქსივით აღსდგება“. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 15 მაისი. თბილისი, 1991

²²⁷ **ვადაჭკორია შ.** ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წწ.). გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2020, გვ. 279

სიტუაცია შეუქმნეს, რომ მათი რეგიონიდან გამოყვანა აუცილებელი შეიქმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოსური შეიარაღებული რაზმებისგან სრული ამონყვეტა ემუქრებოდა. ეს მძიმე ტვირთი და კორიდორის ფუნქცია, ქართულმა მილიციამ იკისრა. ცხინვალის ქართულმა მოსახლეობამ სრულად დატოვა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ჩეხი ჟურნალისტის ლუბომ პალატის სტატიაში, რომელიც გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაბეჭდა, ვკითხულობთ: „ქართულ მილიციასთან ერთად, ცხინვალისგან გამოვიდა მთელი ქართველი მოსახლეობა. დღეისთვის ცხინვალს მთლიანად ოსთა შეიარაღებული რაზმები აკონტროლებენ. ვინ არიან ისინი?“ სვამს რიტორიკულ კითხვას ჟურნალისტი ლუბომ პალატი და იქვე თვითონვე პასუხობს: „მათთან საუბარში გინდა თუ არ გინდა, ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ საქმე გვაქვს ტვინგაყინულ კომუნისტებთან, რომლებსაც უნდათ სოციალიზმი და არ დაუშვებენ საბჭოთა კავშირის დაშლას. „მტკიცე ხელის“ მომხრენი არიან და წესრიგის დასამყარებლად პირდაპირ მოითხოვენ სამხედრო დიქტატურას ოსური თეთრ-წითელ-ყვითელი დროშა საბჭოთა დროშასთან ერთად ფრიალებს.“

ამ ამონაწერის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, მისი ძირითადი ნაწილი სიმართლეს შეესაბამება. ჟურნალისტი მხოლოდ იქ უშვებს შეცდომას, სადაც ოს სეპარატისტებს ტვინგაყინულ კომუნისტებს, სოციალიზმის მოტრფიალესა და სსრ კავშირის არდაშლის მომხრეებს რომ უწოდებს. სოციალიზმისა და სსრ კავშირის შენარჩუნებისადმი ოსი სეპარატისტების გარეგნული მხარდაჭერა, მ.გორბაჩოვის ხელისუფლებისადმი ერთგულების გამოცხადების ნიღაბს წარმოადგენდა და ამ ნიღბის ქვეშ, რუსეთის მხარდაჭერით იმ ჩანაფიქრის ხორცშესხმას ახდენდნენ, რომელიც ცხინვალის რეგიონიდან ქართველთა გამოძევებას და ტერიტორიის ქართული გენისგან მოსუფთავებას ისახავდა მიზნად. ამისთვის „ეთაყვანებოდნენ“ ისინი გარეგნულად საბჭოურ სიმბოლოებსა და საბჭოთა იმპერიის დროშას. ეს იყო ოსი სეპარატისტების მხრიდან ქამელეონის ნიღბით შეფუთული მოქნილი ტაქტიკური მანევრირება. თუკი მიუდგომელი პოზიციიდან შევაფასებთ მათი ქმედების შედეგებს, ოსმა სეპარატისტებმა 10-0 მოუგო ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, რომლებმაც მკერდზე მუშტის ბაგუნისა და არაფრისმომტანი საპროტესტო განცხადებების გაკეთების გარდა, ცხინვალის ქართული მოსახლეობის ელემენტარული დაცვის პოლიტიკური მექანიზმიც ვერ შეიმუშავა. მათი გაუაზრებელი და სამომავლო შედეგებზე არაორიენტირებული ქმედებების კურსის ნაყოფს, ქართველებისგან ქალაქ ცხინვალის და სოფელ გუჯაბაურის „მოსუფთავება“, და ოსი სეპარატისტებისთვის საზეიმო პირობების შე-

ქმნა წარმოადგენდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ს სპეციალური კორესპოდენტი ვაჟა გურჩიანი 1991 წლის თებერვასლში დაბეჭდილ საგაზეთო სტატიამი- „ბრალდება ერთი- და- ნაშაული ქართველი ერის წინაშე“- გულისტყვივით წერდა: „ამბობენ, ქართველებისგან დაცლილ ან უკვე „წმინდა ოსურ“ ქალაქ ცხინვალში, როცა დალამდება, იწყება ჟრიაამული და ხორხოცი, მთვრალი ექსტრემ- ისტები, ანთებული მაშხალებით ქუჩა-ქუჩა დაალაჯებენ და ქართველე- ბზე გამარჯვებას ზეიმობენ. თავგასულობასა და ბოროტებას, (ჩვენც ხომ არ ჩავერიოთ), ღმერთი უთუოდ დასჯის. ისე, ჩვენს გასაკეთებელ საქმეს ჩვენს მეტი ვერავინ გააკეთებს.“

მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა დაადასტურა, რომ ოსი სეპა- რატისტები-ბისგან ქართველებთან მიმართებაში ჩადენილი უმსგავსებანი, ჯერ-ჯერობით ოსებს ღმერთმა აპატია. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონის ქართველებისადმი სულში ჩამფურთხებელი ჩრდილოელი „მართლმადიდე- ბელი“ გესლიანი ქვეწარმავალისადმი პასუხის გაცემას, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსგან ეს საშვილიშვილო მისია დღემდე არვის უკისრია. მათი უდიდესი ნაწილი, ქვეყნის ძარცვითა და ფულის მოხვეჭით იყენენ და არიან დაკავებულნი. ბუნებრივია, ერის ღირსებაზე ზრუნვა, თითოეული მათგანისთვის მეათე ხარისხოვანია. ისინი ბიზნეს- მენის, ანუ პირად გამდიდრებაზე ორიენტირებული საქმოსანი ადამიანების განზომილებით განიხილავდნენ და დღესაც ამ განზომილებით განიხი- ლავენ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მათი ფიქრისა და აზროვნების საფუძველზე მიღებული ყოველი პრაგმატული გადაწყვეტილება, პირადი მოგების შედეგიანობაზეა გათვლილი. ეს მანე, ანტისახელმწიფოებრივი ტენდენცია დღესაც გრძელდება. სანამ ერი საღათას ძილითაა გათანგუ- ლი, ავისა და კარგის გარჩევა არ ძალუძს, ხოლო მის მიერ „ნაკურთხი“ ხელისუფლება ფულის შოვნაზე დახარბებული საქმოსნების (ბიზნეს- მენებად შეფუთულის) ლობირებაზეა ორიენტირებული, მანამ ქართველთა ეროვნული ღირსება მუდამაჟამს ლაფში იქნება ამოსვრილი.

ჩვენი ასეთი პოზიცია იმ მასალების საფუძვლიანად შესწავლამ გა- ნაპირობა, რომელიც პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა და ცხინვალის რეგიონიდან, ქართველების აყრა-გამოძევებას აღწერდა. ამ მხრივ, გან- საკუთრებულ ყურადღებას გივი ბორცვაძის პუბლიკაცია- „როდემდე?“ იქცევს. მასში ის შემზარავი ფაქტებია მოტანილი, რომელიც ქართული სოფლების ქართველებისგან დაცლას, ამ სოფლების ნაქართველარ სო- ფლებად გადაქცევას ეხება. „ყოველდღიურად- ვკითხულობთ წერილში- ცხინვალიდან, ზნაურისა და ცხინვალის რაიონების ქართული სოფლე-

ბიდან თბილისისკენ მოედინება ლტოლვილნი– მოხუცები, ქალები, ბავშვები... მათ მოწყობა-დაბინავების საქმეს ხელმძღვანელობს სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის საზოგადოების გამგეობა (გამგეობის თავმჯდომარე პროფ. გ.შარაძე).“ ისიც ცნობილი ხდება, რომ 1991 წლის ივ-ნისისთვის, ოსმა სეპარატისტებმა, ცხინვალსა და ჯავას შორის არსებული 5 ქართული სოფელი მთლიანად განმინდა ქართველებისგან. ამ შემთხვევაში ისინი პრაგმატულად მოქმედებდნენ. მათ მიზანს აღნიშნული მონაკვეთის (ცხინვალ- ჯავას) ხაზის ოსებით დასახლება და როკის გვირაბამდე ქართველთა სახით ხელშემშლელი ბარიერის მოშლა წარმოადგენდა. ეს პროცესი ათეული წლების განმავლობაში, ქართული სოფლების შეფარვითი ფორმით გაოსებისა და ოსე-ბისგან მიზანმიმართულად „ჩაყლაპვის“ ტენდენციით მიმდინარეობდა. რამდენადაც ამ პროცესმა გაჭიანურებული სახე მიიღო, ამ ფაქტმა ოსი სეპარატისტები წონასწორობიდან გამოიყვანა და დასახული მიზნის აღსრულებისთვის „სამხრეთ ოსეთის“ ხელისუფლებამ ძალადობრივი ფორმები გამოიყენა. ასეთი დანაშაულებრივი ქმედებით შეძლეს ცხინვალ- ჯავას ტერიტორიული სივრცის დექართველიზაცია. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართველთა ეთნიკური წმენდა, რომელიც 1990- 1992 წლებში განხორციელდა, ცხინვალისა და ზნაურის რაიონების ქართულ სოფლებში, ოსი სეპარატისტებისათვის არასრულფასოვანი შედეგის ჩარჩოში თავსდება, რადგან მათი კონტროლი დიდი და პატარა ლიხვის ხეობებზე ვერ ვრცელდებოდა. ეს ფაქტი, ოსების წინაშე ამ ხელშემშლელი ბარიერის მოშლისთვის შესაბამისი საჭირო გეგმის შემუშავების საკითხს აყენებდა. დასახული ამოცანის სრულფასოვნად განსახორციელებლად, ოსი სეპარატისტები განსაკუთრებულ იმედს, შიდა ქართლში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებულ ძალებზე ამყარებდნენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ქართველი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილში– „ვიცოდეთ წარსული, ვხედავდეთ აწმყოს, ვფიქრობდეთ მომავალზე“ ჩვენს მიერ მოტანილ ფაქტებთან მიმართებაში ვკითხულობთ: „აიდუმლო როდია, რომ ცხინვალსა და ზოგიერთ მიმდებარე ქართულ სოფლებში დღეს თითქმის აღარ დარჩნენ ქართველები... ისიც უნდა ითქვას, რომ შიდა ქართლში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მოქმედება, მხოლოდ ამწვავებს სიტუაციას. ისინი აშკარად მხარს უჭერენ ოს ექსტრემისტებს. უკანასკნელ ხანს კი პროვოკაციები მიმართეს ქართული მოსახლეობისა და მილიციის წინააღმდეგ, რომელიც... თითქმის მთლიანად განიარაღებულია 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ. იგი მხოლოდ

იგერიებს რაკეტებით, ავტომატებითა და სხვა თანამედროვე იარაღით აღჭურვილი მონინალმდევე ძალების თითქმის განუწყვეტელ იერიშებს.“ ამ ამონაწერში არსებული ფაქტებიდან გამომდინარე ისმება კითხვა: 1) შესაძლებელი იყო თუ არა ზემოაღნიშნული უბედურებების წინასწარი გამოცნობა და მისი გარკვეული ფორმით მართვა; 2) საქართველოს ხელისუფლებისადმი ცნობილი იყო თუ არა რუსი სამხედრო მაღალჩინოსნების მძულვარე დამოკიდებულება ქართველებთან მიმართებაში; 3) საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას გაცნობიერებული ქონდა თუ არა, რომ საბჭოთა რუსეთის მაღალჩინოსნები, ოსი სეპარატისტების დაფინანსებაში იარაღებს მოახდენდნენ. აქედან გამომდინარე, ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობის დაცვის და მისი მამა-პაპულ საცხოვრისზე დამაგრების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, შესაბამისი მოქმედების ტაქტიკა – თუნდაც რომელიმე იდეის ან პრინციპის უკან ნაღების ხარჯზე დაუყოვნებლივ უნდა შემუშავებულიყო. მისი ამოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ეფექტური, თუკი ხელისუფლებას, წინასწარ მომზადებული რამდენიმე სახის პრაქტიკულად ასამოქმედებელი გეგმა-პროექტი ექნებოდა. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებია და შედეგიც შესაფერისი მივიღეთ. ამ უმოქმედობამ და მხოლოდ არაფლის მომტანმა ზედაპირულმა განცხადებებმა, ოსი სეპარატისტები ისე გაათამამა, რომ ქართველ ერს აქეთ დაემუქრენ: ქალაქ ორჯონიკიძეში მცხოვრებ 12 ათას ქართველს იმ შემთხვევაში ამოწყვეტდნენ, თუკი ქართველები ჭკუას არ მოუხმობდნენ და ოსების „ხოცვა-ჟლეტას“ არ შეწყვეტდნენ.

ამ ფაქტის დადასტურებას, ჟურნალ „მახ-დევის“ რედაქტორის აღსარ ქოძათის მიერ გამოგზავნილი დეპეშა წარმოადგენს. ამ პასკვილს და მუქარას, ღირსეული პასუხი გასცა ქართველ მწერალთა გამგეობის სამდიონომ და თვით აღსარ ქოძათის მეგობარმა მწერალმა ნოდარ ხუნდაძემ. მხედველობაში გვაქვს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მისი ავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაცია „აღსარ ქოძათს“. იგი ა.ქოძათს ახსენებდა 1972 წლიდან მასთან და ნაფი ჯუსოითთან ერთობლივ ურთიერთობას, იმ მეგობრულ დამოკიდებულებას, რომელიც ერთმანეთთან მიმართებაში გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, ურთიერთ პატივისცემას და თანადგომას ადამიანურ ვალდებულებად მიიჩნევდა, მითუმეტეს, თუკი საქმე მეგობრობას ეხებოდა. ამ ფონზე, ნ.ხუნდაძე საყვედურის ფორმით მიმართავდა ა.ქოძათს: „მოველოდი შენგან და ნაფისგან ამ ადამიანური ვალის მოხდას, სინამდვილეში რა მოხდა? – ნაფიმ სსრკ სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე ისეთი დემაგოგიური განცხადება გააკეთა,

რომ იმის ადგილას ნამუსიანი ადამიანი თვალს ველარ გაუსწორებდა ქართველ კაცს. ხოლო შენ კი, აი რა შინაარსის დეპეშა გამოგიგზავნია: თუ სამხრეთ ოსეთში ქართველ ექსტრემისტებს ოსთა ხოცვა-ჟლეტას არ მოაშლევინებთ, იმ 12 ათას ქართველს, ორჯონიკიძეში რომ ცხოვრობს, ცოცხალს ველარ იხილავთო.

აფერუმ შენს ვაჟკაცობას, აღსარ! შე კაი კაცო, ამას სჯობდა, გადმოსულიყავი სამხრეთ ოსეთში, შენი თვალთ გენახა რაც ხდება და დასკვნები მერე გაგეკეთებინა? ნუთუ ინტელიგენტმა, ჰუმანისტმა შეიძლება მსგავსი მკრეხელური აზრი გამოთქვას?! რა ვქნათ აღსარ, უგუნური ჩოჩიევის მიერ დანთებულ ცეცხლს ნავთი დავასხათ თუ იმ ხანძრის ჩაქრობას შევეცადოთ, ასე უღმობლად რომ ანადგურებს საუკუნოებით ნაგებნალოლიავენ მეგობრობას და ნათესაობას?²²⁸

ეს ვრცელი ამონაწერი შეგნებულად მოვიტანეთ, რათა მკითხველისადმი გვეჩვენებინა, რომ ქართველთან მიმართებაში ოსური მეგობრობა არ არსებობს. ისინი მხოლოდ მეგობრობის ნიღაბს ატარებენ, რომელშიც ქართველისადმი გენეტიკური ზიზლი და სიძულვილი იმალება. თუკი ეს ასე არ არის, მაშინ რამ შეუშალა ხელი ა.ქოძათს, სინამდვილე გაერკვია და მისი ქართველი მეგობრის ნ.ხუნდაძის წინაშე პირნათელი ყოფილიყო? იგი მოქმედებდა არა ჩრდილო კავკასიის მთის ერებისათვის დამახასიათებელი მეგობრობის ფოლადისებური ტრადიციის პრინციპით, არამედ, პოლიტიკური კონიუნქტურითა და მომთაბარე ალანების დაუნდობელი გენეტიკური კოდით. მითუმეტეს, ოსი „ინტელიგენტი“ ქართველებს იმ საშინელებას აბრალებდა ოსებთან მიმართებაში, რაც ოსებმა ჩაიდინა და ჩადიოდა ცხინვალის რეგიონის ქართველების მიმართ. ასეთი ცილისწამება, ათეული წლების განმავლობაში გრძელდება და მისადმი საფუძვლიანი პასუხი დღემდე არავის გაუცია. იმავე დეპეშით ისიც იკვეთება, რომ ორჯონიკიძელი ოსების ინტელიგენციას, იქ მცხოვრები ქართველები ეზიზღებოდათ და მათდამი ისეთივე ანგარიშსწორების კანიბალური მეთოდების საფეხურს ამზადებდნენ, რაც ალაგირელი ქართველების მიმართ 1919 წლის 11 იანვარს ჩაიდინეს ალან ჩოჩიევის, აღსარ ქოძათის, ნაფი ჯუსოითის, ვასილ აბაევის თანამემამულე ოსების წინაპრებმა. იმ ეტაპზე ორჯონიკიძეში (ამჟამად ვლადიკავკაზი) მცხოვრები ქართველების მიმართ თუკი თავშეკავების ფორმა აირჩიეს, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ქართველმა ინტელიგენციამ, ჩრდილოეთის ორჯონიკიძელ ოსებს, საქართველოში 160 ათასი ოსის ცხოვრების ფაქტი შეახსენა.

²²⁸ ხუნდაძე ნ. აღსარ ქოძათს. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 16 მარტი. თბილისი, 1990

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართველ ერს არასოდეს აუჩრჩევია ველურობის ის ფორმა, რომელიც უდანაშაულო არაქართველის, თუნდაც ოსის ჩანჩხვლაზე და ქართული მიწიდან გაქეზებაზე იქნებოდა დაფუძნებული. ალბათ, ჩვენი გენეტიკური ტრაგედიაა, რომ უცხო გადამთიელი-სადმი განსაკუთრებულ შემწყნარებლობას ვიჩენთ და შეწყნარებული, ქართული მიწიდან ჩვენვე გვაქცევს დევნილად. ამ საკითხზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ოსი და რუსი კორესპოდენტები, მეცნიერები თუ ლიტარატორები სიტყვასაც ვერ იმეტებენ იმ უდანაშაულო ქართველი დევნილების შესახებ, რომლებიც საქართველოში მამა-პაპეული საცხოვრისიდან გამოაძევეს. ასე იქცეოდა ნაფი ჯუსოითი, აღსარ ქოძათი და ცნობილი ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ცნობილი ქართველი მეცნიერი აკაკი განერელია, საგაზეთო პუბლიკაციაში – „პროფესორ ვასილ აბაევს“ პირდაპირ მიმართავდა: ცხინვალის რეგიონის ქართველთა უმძიმესი „გარემოება არ გაკრთობთ იმ პერიოდში, როცა მშობლიური კუთხიდან ძალით აყრილი ქართველი ხანდაზმული მამაკაცები, ქალები და ატირებული ბავშვები სტოვებენ თავიანთ გაჩანაგებულ კერებს? და ეს არიული სისხლის მქონე სახელგანთქმულ წარმომადგენელს ეპატიება?“ ეს შეკითხვა სავსებით კანონზომიერია, მაგრამ, იმის არ დანახვა რაც ცხინვალის რეგიონში ქართველთა მიმართ მიმდინარეობდა, მხოლოდ სეპარატიზმზე ამალღებული პიროვნების მიმართ შეიძლება დაისვას, თორემ ვასილ აბაევი ისეთივე სეპარატულად მოაზროვნე იყო, როგორც აღ.ჩოჩიევი და მისი მსგავსნი. მას ისევე ეზიზღებოდა ქართველობა, როგორც ოსური სეპარატიზმის სხვა წარმომადგენლებს. ამის საუკეთესო დადასტურებას მისი წერილი – „სამხრეთ ოსეთის ტრაგედია: გზა თანხმობისკენ“ წარმოადგენს. დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ეს პუბლიკაცია, ნილაბაფარებული ისეთი მოაზროვნე ადამიანის შემოქმედების ნიმუშია, რო-მელიც ბოლომდე გაურბის პირადი პოზიციის გაშიშვლებას. ცდილობს, მკითხველ საზოგადოებას ფსევდო ობიექტური სახე მოაჩვენოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვაგვარად ვერაფრით აიხსნება: ა) ოსების მიერ ქართველებთან მიმართებაში ჩატარებული კანიბალიზმის ექსპერიმენტებისადმი (ცოცხლად ხეზე მიბმული ადამიანებისადმი ბენზინის გადასხმა და დაწვა, ცოცხალი ადამიანებისადმი გულის ამოკვეთა, გატაცებული ადამიანების სხეულის დანაკუნება და მისი კიდურების ოჯახისადმი გაგზავნა, აკვნის ბავშვის მიმართ საკონტროლო გასროლა და აკვანშივე ჩაცხრილვა, პატარა ბავშვებისადმი საფეთქელზე ავტომატის მიბჯენა და დახვრეტის იმიტაციის გათამაშება, არასრულწლოვანი გოგონების გაუპატიურება, ქართველთა სახლ-კარის გადანვა...), მისი

მხრიდან თვალის დახუჭვა და ქართველებისგან ოსების ვითომ გენოციდზე საუბრის ფორმით თავგამოდება; ბ) ქართველებთან მიმართებაში ოსი სეპარატისტების შემზარავი ნამოქმედარის არდანახვა, ისეთივე შავბნელი აზროვნების კატეგორიას განეკუთვნება, რომლის შესატყვისი ტერმინოლოგია, დღემდე ცივილური სამყაროს ცნობილ ენათმეცნიერებსაც არ შეუქმნიათ; გ) მითუმეტეს, XX საუკუნის 90-იან წლებამდე, კაცობრიობის ისტორიაში დიოგენეს ფანრითაა საძებარი და შეიძლება ვერც იპოვოს ისტორიის სპეციალისტებმა მსგავსი საშინელებების ისეთი ნუსხა, რომელიც ოსმა სეპარატისტებმა ჩაიდინა ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობის მიმართ.

ზემოაღნიშნული უბედურებებით იყო განპირობებული, ცხინვალის რეგიონის უიარალო ქართველების მხრიდან მამა-პაპეული საცხოვრისის მიტოვება. იმ პერიოდის პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, გორის ტურბაზა და სასტუმრო, თბილისის სასტუმროები: „აფხაზეთი“ და „კოლხეთი“ ცხინვალის რეგიონიდან ქართველი დევნილებით იყო სავსე. მარტო ივანე მაჩაბლის საზოგადოების მიერ, ცხინვალიდან დევნილი ქართველების თბილისში დაბინავების მონაცემთა ბაზაში 700 ოჯახი იყო შეტანილი. 1991 წლის 8 თებერვლის მონაცემებით, სასტუმრო „აფხაზეთში“ 1500-ზე მეტი დევნილი ცხოვრობდა, რომელთაგან უმეტესობა ბავშვები იყო.²²⁹ ხოლო 28 თებერვლისთვის, ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა რაოდენობამ გორსა და თბილისში 7000 კაცს გადააჭარბა.

ეს არასრული სტატისტიკაა, რადგან დევნილთა დიდმა ნაწილმა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ნათესავ-ახლობლებს შეაფარა თავი. ამ რეალურ სინამდვილეს, სეპარატისტულად მოაზროვნე ოსური ინტელიგენციის წარმომადგენლები და თვით ვასილ აბავეი მკითხველ საზოგადოებას უმაღავდა.

თუკი ქართველთა ისტორიას გადავხედავთ, ქართველი კაცის მამა-პაპეული საცხოვრისიდან გასახლება, მხოლოდ გარეშე მტრების: სპარსელების, ოსმალების და სხვათა შემოსევების შედეგად, ქართველთა სოფლების გადანვა-გავერანებას უკავშირდება. რამდენადაც მტერი ნაძარცვით დატვირთული უკან ბრუნდებოდა, იძულებით დევნილი ქართველი თავის ნაფუძარს უბრუნდებოდა, თავდადებული შრომით გავერანებული სახლ-კარის აღდგენას ახდენდა და ჩამკვდარი ქართული სიცოცხლის განახლების საფეხურს ამზადებდა. შიდა ქართლის ცხინვალის რეგიონში, იმავე ქართველთა ხელშეწყობით ჩამოსახლებულ-დამკვიდრებული

²²⁹ ბერძენიშვილი დ. სიმართლე ერთია. – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 13 თებერვალი. თბილისი, 1991

უცხო ტომელთა ისეთი ნაშეირი გაბატონდა, რომელმაც გამოდევნილი ქართველების ისტორიულ ნაფუძარს დაეპატრონა და იგი პირად ისტორიულ კუთვნილებად გამოაცხადა. სწორედ ეს ფაქტორი ქმნიდა იმ დაუძლეველ უფსკრულს, რომელიც დევნილ ქართველობას უკან დაბრუნების შესაძლებლობას არ აძლევდა. ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო გივი ბორცვაძის საგაზეთო პუბლიკაციამ „როდემდე?“ ცხინვალიდან დევნილმა ერთ-ერთმა ქალბატონმა მასთან საუბარში განაცხადა: „პრესაში, ტელევიზიაში ბევრი ინერება და გადაიციემა, მაგრამ ამით რას გვიშველით? მითხარით, პრესას და ტელევიზიას ჩვენთვის რა შედეგები მოაქვს? ჩემს სამშობლოში დამარბიეს, გამძარცვეს, სახლი გადამინვეს და ლტოლვილად მაქციეს. თუ ჩვენს მამაპაპეულ მინაზე აღარ გვეცხოვრება, მაშინ გვითხარით სად წავიდეთ? გუშინ ცხინვალის მისადგომებთან ვიყავი. ზღუდარის ფერდობიდან თვალცრემლიანი გავცქეროდი მშობლიურ ქალაქს. როდესაც თვალი ჩემს სახლს შევავლე, გული მეტკინა. 30 წლის ნაშრომი ოჯახი დამინგრეის და დღეს იმის საშუალებაც არ მაქვს, ჩემს სახლში შევიდე. გვითხარით როდემდე გაგრძელდება ასე?“

ეს არის საუკუნის კითხვა, რომელზედაც პასუხი, არა ყურნალისტს, არამედ ხელისუფლების შესაბამის ხელმძღვანელს და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს უნდა გაეცა. რამდენადაც ეს რიტორიკულ-სევდიანი და ტრაგედიით დამძიმებული შეკითხვა დღესაც ძალაშია, მასზე პასუხს არა მხოლოდ ცხინვალის რეგიონიდან დევნილები, არამედ სრულიად საქართველოს ინტელექტუალური საზოგადოება მოითხოვს. ამ საკითხის შესახებ, ქვეყნის ნებისმიერი დროის ხელისუფალი უნდა ფიქრობდეს, თუკი მის წევრებს, პირად გამდიდრებასა და ფუფუნებაზე მეტად, ქართული სახელმწიფოსა და ქართველთა გადარჩენის ბედი ადარდებს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების შიდა ქართლის ქართველებისთვის სიმწარე, ქუდბედად თანდაყოლილ მოვლენად იქცა. XX საუკუნის 90- იან წლებში, ოსი სეპარატისტების ნამოქმედარმა, იმავე საუკუნის 20- იანი წლების უმძიმესი იარების გახსენების მიმე სატიკივარის პარალელურად, ქართველ ერს, ოსებისგან მიყენებული შეუხორცებელი ჭრილობა ისევ შეახსენა. მხედველობაში გვაქვს: ა) კანიბალიზმის სენით დამძიმებული ჯვაციოზმის შთამომავალთა მხრიდან ქართველთა ზიზღი; ბ) ქართული გენის ცხინვალის რეგიონიდან სრულად ამოშანთვა-გაქრობის და ოსების საოცნებო საფეხურის შექმნის გარდუვალობის საფრთხე. აღნიშნულმა ფაქტმა და არსებული რეალობის გაცნობიერებამ ათქმევინა მამაპაპეული სამკვიდროდან ოსებისგან გამოძევებულ ქართვე-

ლებს ცრემლნარევი სინანულის სიტყვები: „რა ვიცოდით, ასე გვე-გონა, რომ ჩვენს შორის მართლაც იყო მეზობლობა, ჩვენ კეთილად ვმეგობრობდით ოსებს, ისინი კი? თუმცა ახლა ყველაფერი ნათელია!“ ან კიდევ: „ახლა ყველაფერს ვხვდები. მათი ინტერნაციონალური მოღვაწეობა ყალბი ყოფილა. განა მათ შვილებს, მეზობლებს, მახლობლებს არ უჟავიათ ქართველთა წინააღმდეგ შემართული იარაღი?“²³⁰

ამ ფონზე, გ.ბორცვაძის შეკითხვაზე ნუთუ ყველა ოსი ასეთი იყო, იმავე დევე-ნილებიდან ერთმა შუა ხნის ასაკს გადაცილებულმა მამაკაცმა უპასუხა: „რა მოგახსენოთ, მაგრამ... ერთი რამ კი მიკვირს, სად არიან ოსი საზოგადო მოღვაწეები: ნაფი ჯუსოითი, ბაგრატ ტეხოვი, რევაზ ასაევი, იური გაგლოითი და სხვები. ისინი ხომ წლების მანძილზე ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობას ქადაგებდნენ? ამ კრიტიკულ სიტუაციაში ძველი მეგობრობა დაავინყდათ? რატომ არ მოუწოდებენ თავიანთ ხალხს, რომ ისინი მცდარ გზას ადგანან. განა სამაჩაბლოელთა დარბევა-ანოკება ოს ხალხს გვირგვინს დაადგამს?“

აქ ჩამოთვლილი ოსური ინტელიგენციის წარმომადგენლები, სეპარატისტთა ავანგარდში იდგა და ქართველთა წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანიით იყვნენ დაკავებული. ამის დასტურად, ნაფი ჯუსოითის მიერ სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე გამოსვლაც იკმარებდა. რაც შეეხება ვასილ აბაევს, მან ხელი მოაწერა გაზეტ „იზვესტიაში“ 1991 წლის თებერვალში დაბეჭდილ იმ წერილზე, სადაც ქართველებისგან „ოსების გენოციდის“ ბრალდება იყო შეითთხნილი და ოსი ექსტრემისტ-კრიმინალების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები ქართველებზე იყო გადმობრალებული.²³¹

ცხინვალის რეგიონში ქართველთა მიმე ტრაგედია და ოსი ინტელიგენციის დიდი ნაწილის მხრიდან ქართველთა სიძულვილის გამომჟღავნების ფაქტების ანალიზიდან გამომდინარე, გაზეტ „საქართველოს რესპუბლიკას“ სპეციალური კორესპოდენტი ვაჟა გურჩიანი 1991 წლის 14 თებერვალს დაბეჭდილ პუბლიკაციაში – „ბრალდება ერთია – დანაშაული ქართველი ერის წინაშე“ – გამაფრთხილებელი ფორმით მიმართავდა სრულიად საქართველოს საზოგადოებას: „ახლა მაინც მოვეგოთ გონს! – ჩვენივე წინაპრების უანგარო ხელგაშლილობისა და გულკეთილობის გამო, ჭკუის სასწავლებელი ის არის, რომ აწი მაინც ნულარ ჩავიხუტებთ

²³⁰ **ხუნდაძე ნ.** აღსარ ქოძათს. – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 თებერვალი. თბილისი, 1991

²³¹ **განურელია ავ.** პროფესორ ვასილ აბაევს. – გაზ. საქართველოს რესპუბლიკა“ 23 აპრილი. თბილისი, 1991.

გულში ყველა გამვლელ- გამომვლელს, უცხო თესლს, თორემ წისქვილის ქვა, დღეს რომ ჩვენს თავზე ტრიალებს, მომავალში ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თავზე დატრიალდება.“

ძნელი სათქმელია, შეისმინა თუ არა ქართველობამ ეს მართლაცდა საყურადრებო და ანგარიშგასანევი შეგონება. მითუმეტეს, დაეჭვების საფუძველს, საქართველოს ხელისუფალთა არაეროვნულ ცნობიერებაზე დაფუძნებული ქმედებები და მისგან გამომდინარე ქართველი ერის სანინალმდეგო შედეგები იძლევა. ეს დანაშაულებრივი პროცესი, აღმატებული ფორმით დღესაც, ამ სტრიქონების დაწერის პერიოდშიაც გრძელდება. სამთავრობო და სასულიერო იერარქიის მაღალი წოდების წარმომადგენლებმა, იმ ეტაპზე ლამის დაგინწყებას მისცეს ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ქართველობის პარალელურად, იმავე რეგიონის სოფლებში დარჩენილი ქართული მოსახლეობა, რომელიც „მართლმადიდებელი ქვეყნის“ რუსული ჯარის ნაწილებისა და ოსური ბანდფორმირებებისაგან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ იმყოფებოდა. არც ერთი და არც მეორე უწყებისგან მნიშვნელოვანი ხასიათის ოფიციალურ საპროტესტო განცხადებებს ადგილი არ ჰქონია.

ოსი სეპარატისტები თვითნებურად მოქმედებდნენ და ქართულ მხარეს სურ-ვილისამებრ კარნახობდნენ თავიანთ პრეტენზიულ მოთხოვნებს. ამის დადასტურებას ოსი სეპარატისტების მიერ ყორნისის რაიონის სოფელ ოქონაში რუსულ წარწერიანი ფირნიშის რსფსრ- აღმართვა და ფრონისხეობელი დევნილებისადმი ულტიმატუმის წაყენება წარმოადგენს. მხედველობაში გვაქვს, დევნილების მიმართ გაკეთებული განცხადება: „სამხრეთ ოსეთი უკვე შეყვანილია რუსეთის ფედერაციაში და დევნილებს უფლება ეძლევათ დაბრუნდნენ საკუთარ ოჯახებში უკვე რსფსრ შემადგენლობაში.“ ეს იმას ნიშნავდა, რომ ცხინვალის რეგიონის ქართველობას უარი ეთქვა საქართველოს მოქალაქეობაზე და იმ ქვეყნის ქვეშევრდომი გამხდარიყო, რომლის დახმარება-ხელშეწყობითაც, ოსებმა მათთან მიმართებაში არაადამიანური დამოკიდებულება გამოავლინა. მეორე მხრივ, თითოეულ მათგანს ხელშეუხებლობის არანაირი გარანტიები არ ეძლეოდა. ეს ფაქტი, დევნილ ქართველებს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და მათი შელახული ეროვნული ღირსების კომპენსაციაც შეუძლებლად მიაჩნდათ. ამსათან დაკავშირებით, იმავე ფრონისხეობელ დევნილებთან გასაუბრების შედეგად გაკეთებული ანალიზის საფუძველზე გივი ბორცვაძე წერდა: „ფრონისხეობელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, მშობლიურ მიწას და სახლ-კარს მხოლოდ მაშინ დაუბრუნდნენ, როდესაც ყოფილი ოლქის ოსური მოსახლეობა ოფიციალურად სცნობს საქართველოს სუვერენულ

რესპუბლიკას, როდესაც მათი მშვიდობიანი ცხოვრებაც გარანტირებული იქნება.“

იმ შემთხვევაში, თუკი აქ დასმულ საკითხებზე მაღალი დონის გარანტია არ იქნებოდა მიღებული, ქართველი დევნილების ოს სეპარატისტებთან მიბრუნება, უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული. მითუმეტეს, მათი ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო. ლტოლვითა პირვანდელ საცხოვრისზე დაბრუნების საკითხი იქნა განხილული და შეთანხმებული ჯავაში ე.შევარდნაძე- ლ.ჩიბიროვის 1997 წლის 14 ნოემბერში გამართული შეხვედრის დროს. მიღებულ დოკუმენტში საუბარია ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი უსაფრთხო დაბრუნების შესახებ. კონკრეტულად თუ ვის გულისხმობდა მხარეები ლტოლვილთა პირვანდელ საცხოვრისზე დაბრუნების ცნებაში, ამის გარკვევა იმავე დოკუმენტით ხდება შესაძლებელი. მასში კმაყოფილება გამოთქმული, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე პირვანდელ საცხოვრისზე ლტოლვილების დაბრუნების საკითხში გარკვეული პრო-გრესი იქნა მიღწეული. ამ ფონზე საქართველოს მხარე პასუხისმგებლობას იღებდა ოსი ოჯახების დაბრუნების ყოველმხრივ ხელშეწყობაზე. „საქართველოს მხარე კვლავ ადასტურებს, რომ მზად არის ხელი შეუწყოს ოსთა ოჯახების დაბრუნებას, რომლებიც თავის დროზე იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ კონფლიქტის ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე საქართველოს რეგიონები მათდამი არამართლზომიერი მოქმედების გამოყენებასთან დაკავშირებით.“²³²

შეთანხმების დოკუმენტიდან ჩვენს მიერ მოტანილი ამონაწერის მიხედვით, მხოლოდ ქართული მხარე იღებდა ვალდებულებას, კონფლიქტის წარმოქმნის პერიოდში, საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან წასული ოსური ოჯახების უსაფრთხოდ უკან დაბრუნებაზე. ანალოგიური სახის ვალდებულების ფორმულირების ტექსტი, ქართული ოჯახების პირვანდელ საცხოვრისზე დასაბრუნებლად, ოსური მხარისგან პასუხისმგებლობის აღების შესახებ არსად არ ფიგურირებს. მთელი ეს შეთანხმება, მხოლოდ და მხოლოდ, ლტოლვილი ოსური ოჯახების უსაფრთხოდ დაბრუნების და მისადმი ეკონომიკური დახმარების ფონზეა შედგენილი. მასში ვერსად ვერ აღმოაჩინთ სიტყვას– ქართველი დევნილების, ან ქართული ოჯახების დაბრუნებასთან მიმართებაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მხარისგან, ოსი ლტოლვილების უსაფრთხოდ დაბრუნების გარანტიის პასუხისმგებლობის

²³² განცხადება ე. შევარდნაძისა და ლ. ჩიბიროვის შეხვედრის შედეგების შესახებ. (1997) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 15 ნოემბერი, თბილისი.

აღების პარალელურად, ანალოგიური სახის გარანტიები უნდა აელო თავის- თავზე ოსი სეპარატისტების წარმომადგენელს ლ.ჩიბიროვსაც. სამ- ნუხაროდ, ასეთი სახის ფორმულირება იმავე შეთანხმებაში არსად არ ფიგურირებს. ჩვენს მიერ შესწავლილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ე.შევარდნაძე- ლ.ჩიბიროვის ზემოაღნიშნული შეთანხმების ძირითადი დებულებები დაედო საფუძვლად, შემდგომი პერიოდის ყველა იმ დად- გენილებებს, რომლებიც ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, საქართ- ველოდან ლტოლვილი ოსების პირვანდელ საცხოვრისზე დაბრუნების ხელ-შეწყობას ისახავდა მიზნად. მხედველობაში გვაქვს: (ად ჰოც) სხდომე- ბი, საოქმო ჩანანერები და მიღებული გადაწყვეტილებები: 1)1997 წლის 25 ნოემბერს მიღებული დოკუმენტის № 6 მუხლში საუბარია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაბრუნებელი დადებითი ფო- ნის შექმნაზე; 2)1998 წლის 30 სექტემბრის სხდომის დადგენილების № 2 მუხლში, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა თბილისში, გორში, ცხინვალსა და სხვა ადგილებში დაბრუნების მექანიზმის შე- მუშავება-სრულყოფის უზრუნველყოფაზეა საუბარი. იმავე დოკუმენ- ტის № 4 მუხლის (ა) პუნქტი, პირვანდელ საცხოვრისზე დაბრუნებული ლტოლვილებისადმი სამართლებრივ მხარდაჭერას, ხოლო (გ) პუნქტი, და- ბრუნებული ლტოლვილების მიწის ნაკვეთებით და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით უზრუნველყოფას ითვალისწინებდა.

ე. შევარდნაძე - ლ. ჩიბიროვის 1997 წლის 14 ნოემბრის შეთანხმე- ბით, ქართული მხარისგან აღებული ვალდებულებით გათვალისწინებუ- ლი პასუხისმგებლობა დაედო საფუძვლად შემდგომ ეტაპზე ლტოლვითა დაბრუნების საკითხთან მიმართებაში მიღებული ახალი შეთანხმებების ძირითად დებულებებს. ისინი მხოლოდ ლტოლვილობაში მყოფი ოსების პირვანდელ საცხოვრისზე დაბრუნების პარალელურად, მიწის ნაკვეთე- ბითა და სასოფლო- სამეურნეო სავარგულებით მათი უზრუნველყოფის გარანტიას ავალდებულებდა ქართულ მხარეს. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონიდან დევნილ ქართველებთან მიმართებაში ოსური მხარის ვალ- დებულებას, ისინი ყოველგვარი პასუხისმგებლობიდან თავისუფდებოდა. იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენი კოლეგები არ დაგვეთანხმებიან, კეთილი ინებონ და გვიჩვენონ ზემოაღნიშნულ ან სხვა შეთანხმებებში ფორმული- რების ისეთი ტექსტი, რომელიც ოსურ მხარეს, ქართველი დევნილების უკან დაბრუნებაზე და მის უსაფრთხოებაზე ისეთივე პასუხისმგებლობას დააკისრებდა, როგორც ე.შევარდნაძე- ლ.ჩიბიროვის შეთანხმებაშია ოსურ ოჯახებთან მიმართებაში ქართული მხარისგან გაცხადებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1997 წლის 14 ნოემბრის

ე.შვეარდნაძე- ლ.ჩიბიროვის შეთანხმება, არა მარტო ქართული სახელმწიფოს ღირსების შემლახავ, არამედ ქალაქ ცხინვალიდან და მის გარშემო მდებარე ქართული სოფლებიდან იმ ეტაპზე 10 ათასობით დევნილი ქართველისადმი სულში ჩაფურთხებას, ოსებისგან წამებით მოკლული ქართველების საფლავების ნაბილწვას წარმოადგენდა. ამ დოკუმენტით, ე.შვეარდნაძის ხელისუფლების მესვეურებმა, ოს სეპარატისტებს დაუდასტურა, რომ მას ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ქართველების ბედი ნაკლებად აინტერესებდა.

რამდენადაც ზემოაღნიშნული შეთანხმება ოს სეპარატისტებს ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა, ლ.ჩიბიროვის სეპარატისტული ხელისუფლება რეგიონის ქართველთა წინააღმდეგ სურვილისამებრ მოქმედებდა. მხედველობაში გვაქვს დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში მცხოვრები ქართველების მაქსიმალურად შევიწროების ფაქტები.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ, რამდენადაც ზემოაღნიშნულ შეთანხმებაში დევნილი და ადგილზე დარჩენილი ქართველების ინტერესების დაცვის შესახებ სიტყვაც არ იყო ნახსენები, ამ ფაქტმა, ლ.ჩიბიროვის დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართველებისადმი პრეტენზიული მოთხოვნების წაყენების შესაძლებლობა მისცა. ამის უტყუარ დადასტურებას მის მიერ გაკეთებული მიმართვა წარმოადგენს, სადაც ხაზგასმითაა მითითებული: „დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებმა ქართველმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა და აქტიურად იბრძოლოს მისი დამოუკიდებლობისათვის... თუ ქართულ მოსახლეობას არ სურს ოსეთში ცხოვრება, მათმა, ოსებს უნდა გადაულოცონ ბინები, რომ შეიქმნას კომპაქტური (ოსური შ.ვ.) დასახლებები...“²³³

სეპარატისტთა ლიდერის მიერ გაკეთებული ეს განცხადება, საქართველოს სახელმწიფოებრიობის უარყოფაზე და ძირძველი ქართული მოსახლეობის მხრიდან არჩევანის გაკეთებაზე იყო გათვლილი. მან ცხინვალის რეგიონის ქართველობას პირდაპირ უთხრა: ა)იმ ქართველებს, რომლებსაც „სამხრეთ ოსეთში“ სურდა ცხოვრება, მისი დამოუკიდებლობის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო; ბ)ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კუთვნილი მამა-პაპეული სახლ-კარი და ბინები დატოვებათ და ოსეთთვის გადაელოცათ; გ)დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართველთა ყოფილი ნაფუძარი, კომპაქტურად დასახლებული ოსური მოსახლეობით უნდა შევსებულიყო. ლ.ჩიბიროვის ზემოაღნიშნული განცხადება და „სამხრეთ ოსეთში გლეხური მეურნეობის შექმნის შესახებ“

²³³ გელაძე გ. ინფორმაცია ჩრდილო ქართლიდან. – გაზ. „საქართველოს სამრეკლო“ 3- 10 თებერვალი. თბილისი, 1998

მის მიერ გამოცემული კანონი, ქართველთა დევნისა და დისკრიმინაციის ოფიციალური გამოვლინების საუკეთესო დემონსტრირებას წარმოადგენდა. მითუმეტეს, აღნიშნული კანონის შესაბამისად, მიწის მიცემა მხოლოდ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ მოქალაქეებზე ვრცელდებოდა. ამით, 10 ათასობით დევნილი ქართველი, კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული. მეორე მხრივ, ვინც ქართველთა შევიწროების შესახებ რაიმე ინფორმაციას გაახმოვანებდა, იგი „სამხრეთ ოსეთიდან“ მაშინვე მოიკვეთებოდა და დევნილთა რიგებს შეუერთდებოდა.

ლ.ჩიბიროვის ეს ქართველთა მოძულეობის განახლებული პოლიტიკური კურსი, ე.შევარდნაძე-ლ.ჩიბიროვის ჯავაში ხელმოწერილი შეთანხმებიდან (1997 წლის 14 ნოემბერი) 108 დღის შემდეგ იქნა გატარებული. ეს არცაა გასაკვირი, რადგან როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, აღნიშნულ და სხვა სახის ორმხრივად ხელმოწერილ დოკუმენტებში, სიქტვა ქართველი დევნილი (გნებავთ ლტოლვილი) და ცხინვალის რეგიონის ქართველთა დისკრიმინაცია-შევიწროების შესახებ ფორმალური ხასიათის მინიშნებაც კი, არსად არ ფიგურირებს. ისიც ცნობილია, რომ ზემოაღნიშნული შეთანხმების შესასრულებლად, საქართველოდან თავისი ნებით და არა იძულებით წასული ოსების უკან დასაბრუნებლად, ქართულმა მხარემ მაქსიმუმი გააკეთა. რაც შეეხება ოსურ მხარეს, ამ მიმართულებით ზემოაღნიშნული დოკუმენტები მათ არაფერს არ ავალდებულებდა და ბუნებრივია, ქართველ დევნილებთან მიმართებაში იოტისოდენა სასიკეთო ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ: 1) ოსი სეპარატისტების მიერ ათეული წლების განმავლობაში ქართველთა ცხინვალიდან გამოდევნის საფეხურის მომზადება და მბრძანებლური ფორმით გაკეთებული განცხადება: „ქართველებო წადით ცხინვალიდან!“, საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას, რეგიონის ქართული მოსახლეობის დამცავი მექანიზმის შემუშავებას ავალდებულებდა. ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯის ვერგადადგამ, ოს სეპარატისტებს ცხინვალ-ჯავას შორის არსებული 5 ქართული სოფლის დექართველიზაციის (1991 წლის ივნისი) და როკის გვირაბამდე ხელშემშლელი ბარიერის-ქართველებისგან განმეიდის შესაძლებლობა მისცა.

სალათას ძილით გათანგულმა ქართველმა ინტელიგენციამ, ზარები მხოლოდ ცხინვალიდან დევნილი ქართველებით თბილისისა და გორის სასტუმროების გავსების შემდეგ დაარისხა (1991 წლის 28 თებერვლის მონაცემებით, ცხინვალის რეგიონიდან 7000 კაცი იყო გამოდევნილი). მათი საგაზეთო პუბლიკაციები, არსებული მდგომარეობიდან გამოსავლის

ძიების ნაცვლად, ქართველთა ინტელექტუალურ გოდებას წააგავდა; 2) დოკუმენტური მასალის გაანალიზებით სრულფასოვნადაა წარმოჩენილი: ნაფი ჯუსოითის, აღსარ ქოძათის, ბაგრატ ტეხოვის, ვასილ აბაევის და სხვათა შენიღბული სეპარატისტული სახეები. დასაბუთებულია, რომ ეს ადამიანები, ოსების მიერ ქართველებთან მიმართებაში ჩადენილი დანაშაულის მიფუჩჩებას, ოსების უდანაშაულობის მანტიით შემოსვას და „ოსების ხოცვა-ჟლეტაში“ ქართველების მიზანმიმართულად დადანაშაულებას ცდილობდნენ; 3) დევნილთა პირვანდელ საცხოვრისზე დასაბრუნებლად, ე.შევარდნაძე- ლ.ჩიბიროვის 1997 წლის 14 ნოემბრის შეთანხმება, ოსურ ოჯახებზე იყო გათვლილი და ოსების მიწის ნაკვეთებით, სასოფლო-სამეურნეო საფარგულებით უზრუნველყოფას ითვალისწინებდა. ამ მოთხოვნების შესრულების პასუხისმგებლობა, ქართულ მხარეს ევალებოდა. იმავე დოკუმენტში, ქართველი დევნილების უსაფრთხოდ დაბრუნებასთან მიმართებაში, ოსი სეპარატისტების პასუხისმგებლობა არსად არ ფიგურირებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დოკუმენტი თავისი შინაარსით ანტიასახელმწიფოებრივი ხასიათის მატარებელია, რადგან: ა) დევნილი ქართველებისადმი საქართველოს ხელისუფლების მმართველი წრეების ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ოფიციალურად ადასტურებს; ბ) არაფერს ამბობს დიდი და პატარა ლიხვის ხეობებში იმ ეტაპზე დარჩენილი ქართველების უსაფრთხოების გარანტიის შექმნის შესახებ.

ე.შევარდნაძე-ლ.ჩიბიროვის შეთანხმებიდან 108 დღის შემდეგ, ლ.ჩიბიროვის მიერ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ქართველებისადმი „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ მოქალაქეობის მოთხოვნის ულტიმატუმი, სამი ძირითადი ამოცანის შესრულებას ითვალისწინებდა: ა) ქართველებისგან ქართული სახელმწიფოებრიობის უგულებელყოფას; ბ) „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ მოქალაქეობაზე უარისმთქმელი ქართველების, რეგიონიდან გამოდევნის გარდუვალობას და გ) ცხინვალის რეგიონიდან 100 ათასობით გამოდევნილი ქართველის კანონგარეშედ გამოცხადებას.

The First Stage of Expulsion of Georgians from the Tskhinvali Region and the Beginning of the Implementation of the “Ossetian~ idea

Based on the analysis of documentary materials, the following facts are substantiated in the article:

1) The measure to expel the Georgians from Tskhinvali prepared by the Ossetian separatists for ten years, and the command message “Georgians, get out of Tskhinvali!” obliged the national government of Georgia to develop a mechanism to protect the Georgian population of the region. The failure to take a pragmatic step in this direction gave the Ossetian separatists the opportunity to de-Georgificate five Georgian villages located between Tskhinvali and Djava (June, 1991) and clear the road to the Roki tunnel from the obstacle - the Georgians.

The Georgian intelligentsia, being in a state of lethargy, started beating the alarm only after the refugees from Tskhinvali started to fill the hotels in Tbilisi and Gori (according to February 28, 1991, 7,000 people were expelled from Tskhinvali region), while their newspaper articles, instead of looking for a way out of the situation, resembled an intellectual whining of Georgians.

2) The analysis of the documentary material gives a real picture of the disguised separatists: Nafi Djusoity, Ahsar Kodzati, Bagrat Tekhov, Vasil Abaev and others. It is proved that these people tried to hide the crimes committed by Ossetians against Georgians, to camouflage Ossetians with an image of being innocent, to deliberately accuse Georgians of “massacring Ossetians~.

3) The agreement concluded between Shevardnadze and Chibirov to return of refugees to their original places of residence was in reality intended for Ossetian families only and envisaged the provision of Ossetians with homestead and agricultural lands, while responsible for implementing these requirements was the Georgian side. The document did not mention any responsibility of the Ossetian separatists for the safe return of the Georgian refugees to the places of their original residence. Thus, the above document, with its contents, is anti-state, because it: a) officially confirms the indifferent attitude of the governing circles of the Georgian government towards displaced Georgians; and b) says nothing about creating a guarantee for the safety of the Georgians who remained in the Didi and Patara Liakhvi valleys at that time.

The ultimatum issued by Chibirov to the Georgians living in Tskhinvali region

to accept the citizenship of the “Republic of South Ossetia” 108 days after the conclusion of the Shevardnadze-Chibirov agreement had three main objectives: a) Rejection of Georgian statehood by Georgians, b) Inevitable expulsion of Georgians from the region who refused citizenship of the “Republic of South Ossetia”, and c) Declaration of 100 thousand Georgians expelled from Tskhinvali region as illegal;

4) Measures taken by the Ossetian separatists against the Georgian intelligentsia of Tskhinvali region (deliberate isolation, attempted bribery, expulsion of the unbridled from the region...) were aimed at free destruction of the cultural heritage, which confirmed the indigenous identity of Georgians and the arrival of Ossetians in the region;

5) Explosion of monuments of Georgian cultural heritage and burning of schools (in 1991-1997: two Georgian Orthodox churches, the first, fourth and fifth Georgian schools in Tskhinvali, as well as the Georgian theater of Tskhinvali and its museum exhibits were burned; the house-museum of Ivane Machabeli was blown up, the original wall stone with the Georgian inscription “disappeared” from the Church of Our Lady in Tskhinvali) was caused by the biological hatred of Georgians and a desire to erase and uproot the cultural traces that prove their existence. An analogue of the grave vandalism of the 20th century the Ossetian separatists demonstrated against the Georgian cultural heritage can be found only in the criminal acts of the Turkmen tribes of the Middle Ages, while in this case, we mean the destruction of the Cathedral of Hagia Sophia, the world’s cultural heritage, and the erasure of its unique image of Byzantine architecture.

დალი კანდელაკი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გერმანული კოლონიები საქართველოში: უცხოელი ავტორების სამომზაურო ჩანაწერები

საკვანძო სიტყვები: საქართველო, გერმანული კოლონიები, რუსეთის იმპერია, უცხოური წერილობითი წყაროები, XIX საუკუნე.

კავკასიაში გერმანელების ისტორიული მემკვიდრეობისა და მათი ეთნიკური იდენტობის შესახებ საკითხების შესწავლა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სხვადასხვა დარგის მეცნიერების მიერ ინტენსიურად მიმდინარეობს. მკვლევრები კოლონიების ისტორიას განიხილავენ მრავალი მიმართულებით - სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და სხვა. გერმანული კოლონიების ისტორიას საქართველოში იკვლევენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები. ამ თემას ეხება არაერთი ნაშრომი, რომლებიც XIX-XX საუკუნეებშია შექმნილი²³⁴. მკვლევართა ინტერესი ამ ეტაპზეც არ შენელებულა; მეცნიერები ქმნიან მთელ რიგ სამეცნიერო შრომებს საქართველოში გერმანელთა კოლონიზაციის სხვადასხვა ასპექტებზე²³⁵. საკითხის სრულყოფილად შესწავლისთვის მნიშ-

²³⁴ **Schrenk Fr.** (1869). Geschichte der deutschen Colonien in Transkaukasien: zum Gedachtnitz des fünfzigjährigen bestehens derselben bearbeitet. Tfl., 197 S.; **Басихин П.** (1900). «Немецкая колонии на кавказе». Этнографический очерк. Кавказский вестник, ежемесячный научно-литературный журнал. Тифлис, № 1. с. 14-25.; **ბურჭულაძე გ.** (1911), გერმანელთა ახალმშენები ამიერკავკასიაში. ტფ., ელექტრომბეჭდ. ნიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობა. 48 გვ.; **მანჯგალაძე გ.** (1974), გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში. თბილისი, მეცნიერება, 193 გვ.; **სონლულაშვილი ა.** (1995). გერმანელები საქართველოში. თბილისი. მეცნიერება, 53 გვ.

²³⁵ **Чернова-Дёке Т.Н.** (2008). Немецкие поселения на периферии Российской Империи. Кавказ: взгляд сквозь столетие (1818-1917): (к 190-летию основания немецких колоний). Москва: МСНК-пресс. 208 с.; **Ерохина О. В., Шайдунов В. Н.** (2020). «Немецкий фактор» в экономическом развитии Закавказского края. Вопросы истории. № 10. С. 143-154.; **Tatarashvili N.** (2018). Die Deutschen Siedlungen und das deutsche Architektonische Erbe in Georgien. German Settlements and architectural Heritage in Georgia. Cezanne Printing House, 240 S.; **Föll R.** (2017). Verlorene Spuren: Schwäbische Auswanderung in den Kaukasus 1817: Dokumentation zur Ausstellung im Heimatmuseum Reutlingen. Herausgeber Werner Ströbele; fotos: **Eduard Ohngemach**, Werner Ströbele. Reutlingen: Stadtverwaltung Reutlingen. 93, [1] p.; **Nachtigal R.** (2016).

ვენელოვანია სამეცნიერო მიმოქცევაში XIX საუკუნის უცხოელი ავტორების ნაშრომების შემოტანა, რომლებიც მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას გვანდებენ. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე უკვე არაერთი უცხოელი ავტორის ნაშრომი თარგმნილი²³⁶, სადაც გვხვდება ცნობები გერმანული კოლონიების შესახებ.

საქართველოში ჩამოსახლებული გერმანელები შედარებით მცირე ჯგუფს წარმოადგენდნენ და განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის გამოცემულ აქტებში

Verkehrswege in Kaukasien: ein integrationsproblem des Zarenreiches 1780-1870. Wiesbaden: Reichert Verl., 448 p.; **Springhorn D.** (2004). Deutsche in Georgien. Tbilissi. Goethe-Institut, 221 p.; **Канделаки Д.** (2021). Из истории немецких колоний в Грузии. Материалы второй международной научной конференции «Этнические меньшинства в истории России». СПб.: Ленинградский Гос. Университет им. **А.С. Пушкина**. С. 9-16; **კანდელაკი დ., რაისნერი ე.** (2022). მრავალეროვანი და მრავალფეროვანი კავკასია: ტრაუგოთ ვალდფოგელის სამოგზაურო ჩანაწერები. საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესის მოხსენებათა თეზისები. თბილისი, თსუ გამომცემლობა, გვ. 45-46 (ქართულ ენაზე), გვ. 168 (ინგლისურ ენაზე).

²³⁶ **ჰაქსტაუზენი აუგუსტ** (2011), საქართველოს შესახებ. თარგმანი გ. გელაშვილისა, თბილისი. გამომცემლობა არტანუჯი, 228 გვ.; **ახვალდი ედუარდ** (2013), საქართველოს შესახებ. თარგმანი **გ. გელაშვილისა**, თბილისი. გამომცემლობა არტანუჯი, 332 გვ.; **ვაგნერი მორიც** (2002), საქართველოს შესახებ. თარგმანი **გ. გელაშვილისა**, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, 184 გვ.; **გელაშვილი გ.** (2017), ინგლისელი მოგზაური ჯეიმს ბრაისი თბილისის შესახებ (1876). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1 (20), თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 410-430; **გელაშვილი გ.** (2019), ელიმ ჰენრი დ'ავიგდორი თბილისის შესახებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1 (23), თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 187-198; **ნაჭყებია ი.** (2018). ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ (1). მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემული გრანტის „აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ირანელი და ფრანგი ავტორები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ“ (№FR/269/1-10/14) ფარგლებში; **კანდელაკი დ.** (2009), ევროპელები კავკასიის შესახებ, გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 106 გვ.; **კანდელაკი დ.** (2003), საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები გერმანულ წყაროებში, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 206 გვ.; **კანდელაკი დ.** (2017), რუსეთი და კავკასია (მე-19 საუკუნის უცხოური წყაროების მიხედვით). პირველი საერთაშორისო კონფერენციის „ისტორია, ხელოვნება, ისტორია და კულტურა შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში“ სტატიების კრებული. გვ. 269 - 275; **კანდელაკი დ.** (2001), გერმანულ მეცნიერთა და მოგზაურთა შრომები საქართველო - რუსეთის ურთიერთობის შესახებ (XIX საუკუნის I ნახევარი), თბილისი, თსუ გამომცემლობა. 80 გვ.

განთავსებულია ა.პ. ერმოლოვის²³⁷ მიერ შინაგან საქმეთა მინისტრ ო.პ. კოზოდავლევისადმი²³⁸ 1816 წლის 31 დეკემბერს გაგზავნილი წერილი. ის ითხოვდა შრომისმოყვარე გერმანელების 30 ოჯახის ჩამოსახლებას, რომელიც საკუთარი მეთვალყურეობის ქვეშ ეყოლებოდა. მათ მისაბაძი მაგალითი უნდა მიეცათ მკვიდრი მოსახლეობისათვის, რომელიც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროს სათანადო ცოდნას არ ფლობდა²³⁹. 1817 წლის შემოდგომისთვის თბილისში ჩამოვიდა შვაბი სეპარატისტების 31 ოჯახი. 1818 წელს საქართველოში კიდევ 500 ოჯახი ჩამოვიდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერილი ეს გადმოსახლება სახელმწიფო კოლონიზატორული პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა. ა. ერმოლოვი თავის „ჩანაწერებში“ აღნიშნავს, რომ მას ქართველებისთვის სამეურნეო წესრიგის მაგალითის მიცემა სურდა და ამიტომ მოითხოვა გერმანელების მხოლოდ 30 ოჯახის გადმოსახლება; მინისტრმა კი პირველი შემხვედრები ჩამოსახლა, რაც არ წამოადგენდა მის მიზანს. ის უკმაყოფილო იყო, რადგან ჩამოვიდნენ სექტანტი სეპარატისტები, რომლებიც ყოველგვარი ზნეობის გარეშე, გარყვნილებისადმი მიდრეკილები, თავშეუკავებლები, დაუდევრები და უსაქმურები აღმოჩნდნენ.²⁴⁰ რუსეთის ხელისუფლებამ ისინი იზოლირებულად დაასახლა და შესაბამისად, გარემომცველი სოციალური ცალკე ჯგუფს წარმოადგენდნენ, სახელწოდებით „გერმანელები“. კოლონისტები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისგან რწმენით, ენით, ეკონომიკური საქმიანობით. რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმების შემდეგ მათ მიმართ განსაკუთრებული პოლიტიკის გატარება დაიწყო; კოლონისტები მიიჩნიეს უცხო ეთნიკურ ჯგუფად, „ეთნიკურ უმცირესობად“.

წინამდებარე სტატიაში მოყვანილია ცნობები რამდენიმე უცხოელი ავტორის ნაშრომიდან, რომლებიც რუსეთის იმპერიას ემსახურებოდნენ სამხედრო, სამოქალაქო თუ სამეცნიერო სფეროებში და XIX საუკუნის

²³⁷ ალექსეი პიოტრის ძე ერმოლოვი (1777-1861) - რუსი გენერალი და სახელმწიფო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი (1818), არტილერიის გენერალი (1837), საქართველოს მთავარმართებელი 1816-1827 წლებში.

²³⁸ ოსიპ პიოტრის ძე კოზოდავლევ (1754-1819) - სენატორი, საიდუმლო მრჩეველი, 1810 წლიდან - რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი.

²³⁹ 6 Акты, собранные Кавказской археографической комиссией (1874). Архив Гл. упр-ия наместника Кавказского. Т. 6. Ч. 1. Тифлис. Док. N 302. С. 248. о.р. კოზოდავლევის პასუხი იხილე იქვე, დოკ. N 422-423, გვ. 313-315.

²⁴⁰ Записки А. П. Ермолова 1798-1826 гг. (1991). Сост., подгот. текста, вступ. ст., коммент. В. А. Федорова. М.: Высшая школа. С. 323.

სხვადასხვა პერიოდში იმყოფებოდნენ საქართველოში. ასევე განვიხილავთ მოგზაურთა მიერ დატოვებულ ცნობებს, რომლებიც ბევრად უფრო მიუკერძოებლები არიან, როდესაც განიხილავენ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის საკითხებს.

გერმანელთა გადმოსახლების საკითხის განხილვისას უცხოელი ავტორები თხრობას იწყებენ ა. ერმოლოვის ღვანლზე გერმანული კოლონიების შექმნაში. ისინი ყურადღებას ამახვილებენ კოლონისტების ადმინისტრაციული მართვის, რელიგიური ცხოვრების, შვაბების სულიერი კულტურის თავისებურებებზე, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და სხვ.

იმპერიის ხელისუფალთა და ა. ერმოლოვის ქება-დიდების შემცველია რუსეთის სამსახურში მყოფი სამხედრო პირის მორიც ფონ კოცებუს (1789 – 1861, რუსული სახელი - მავრიკი ევსტაფის ძე კოცებუ) ნაშრომი „მოგზაურობა სპარსეთში რუსეთის იმპერიის საელჩოსთან ერთად 1817 წელს“²⁴¹, რომელიც კოლონისტების პირველი ნაკადის ჩამოსვლიდან ორ წელში გამოიცა. წიგნში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ადგილი ეთმობა საქართველოში გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლების საკითხს. რუსეთის სამსახურში მყოფი მავრიკი ევსტაფის ძე იმედიანად უყურებს თანამემამულეების მომავალს: „აქაურ აგრარულ კულტურაზე და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაზე უდავოდ დიდი გავლენა ექნება ვიურტემბერგულ კოლონიას, რომელიც მთავარმართებელმა გამოიწერა და უკვე ჩამოსულია. მათ, კოლონისტებს, თბილისში სახლებს აუგებენ და ისინი მიიღებენ ყოველგვარ დახმარებას ფულის, საქონლის, საოჯახო საჭიროების ნივთების სახით; მოკლედ, ყველაფერს, რაც სჭირდებათ. მე მალე გავიხარებ გერმანელი გლეხების ყურებით, რომელიც თბილისის ბაზარში კარაქს, ყველს და ალბათ ლუდსაც ჩამოატარებენ. ეს შესანიშნავი ხალხი გერმანიაში ნამდვილად შიმშილის ზღვარზე დგას... მე ვიმედოვნებ, რომ ეს კოლონია ქართველების ზნეობაზეც მოახდენს გავლენას, რაც ძალიან საჭიროა“²⁴².

წიგნის ამ მცირე ნაწყვეტიდანაც კი ირკვევა, რომ რუსეთის მთავრობა აქტიურად არის დაკავებული გერმანელებისათვის ყველანაირი პირობების უზრუნველყოფით. ავტორი თანაუგრძნობს თანამემამულეებს უცხო ქვეყანაში. თვალსაჩინოა მორიც კოცებუს დამოკიდებულება ქართველების მიმართ, რომელთა მორალზეც კოლონისტებს ზეგავლენა

²⁴¹ **Kotzebue von M.** (1819). Reise nach Persien mit Russisch kais. Gesandtschaft im Jahre 1817. Weimar. In der Hoffmannischen hofbuch-handlung.

²⁴² **Kotzebue von M.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

უნდა მოეხდინათ. ადმინისტრატორ ალექსეი ერმოლოვსაც დიდი იმედი ჰქონდა ამ ზეგავლენის გერმანელების ჩამოსახლებისას, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წლების შემდეგ კოლონიზაციის არასწორ პოლიტიკას აღიარებდა. გერმანელი ავტორის ნაშრომიდან აშკარად ჩანს, რომ ის რუსეთის იმპერიის ღირსეული ოფიცერია, რომელიც უპირობოდ ასრულებს მის ნებისმიერ დავალებას არა მხოლოდ იარაღით, არამედ კალმითაც.

მ. ფონ კოცებუს მოგზაურობიდან რვა წლის შემდეგ საქართველოში ცნობილმა ფრანგმა ბოტანიკოსმა და ნატურალისტმა, საპატიო ლეგიონის ოფიცერმა, შარლ-პაულუს ბელანჟემ²⁴³ (1805-1881), იმოგზაურა. ის თბილისში 1825 წლის 28 მარტიდან 15 აპრილამდე იმყოფებოდა²⁴⁴. საინტერესო ცნობებია²⁴⁵ მოთავსებული თბილისში არსებული გერმანული კოლონიის შესახებ მოგზაურობის შემდეგ გამოცემულ წიგნში - „მოგზაურობა აღმოსავლეთ ინდოეთში, ჩრდილოეთ ევროპის გავლით კავკასიის პროვინციებში, საქართველოს, სომხეთსა და სპარსეთში, თანდართული ტოპოგრაფიული, სტატისტიკური და სხვა დეტალები პეგუზე, იავის, მავრიკისა და ბურბონის კუნძულებზე, კეთილი იმედის კონცხზე და წმინდა ელენეს კუნძულზე 1825, 1826, 1827, 1828 და 1829 წლებში“²⁴⁶. მოგზაური თბილისში „ათასწლოვანი სამეფოს“ სწავლების მიმდევარი კოლონისტებით დასახლებულ სოფელს აღწერს: „ეს გერმანელები ტიფლისს ბოსტ-

²⁴³ შარლ პაულ ბელანჟე საქართველოში ინდოეთში საფრანგეთის სამფლობელოების მმართველად დანიშნულ ეჟენ პანონ დესბასენ დე რიშმონდთან (საფრანგეთის კოლონიების ადმინისტრატორი, საფრანგეთის მთავრობამ საქართველოსა და სპარსეთში მიავლინა ჟაკ-ფრანსუა გამბას სავაჭრო გეგმების შესაფასებლად) ერთად ჩამოვიდა. ბელანჟეს კავკასიასა და აზიის ქვეყნებში ეთნოგრაფიული ხასიათის მასალისა და ძვირფასი საბუნებისმეტყველო კოლექციის შეგროვება ევალებოდა.

²⁴⁴ მასალა მოძიებულია ი. ნაჭყებიას ნაშრომიდან „ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ (1), გვ. 40-61.

²⁴⁵ ფრანგი ავტორების ცნობები თბილისში არსებული გერმანული კოლონიების შესახებ იძებნება სტატიაში: ნაჭყებია ი., სანიკიძე გ. (2018), თბილისი ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურების თხზულებებში (XIX საუკუნე - XX საუკუნის დასაწყისი). იხ.: აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ირანელი და ფრანგი ავტორები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 214-313.

²⁴⁶ **Bélangier Charles** (1838). Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, suivi de détails topographiques, statistiques et autres sur le Pégou, les îles de Java, de Maurice et de Bourbon, sur le cap de Bonne-Espérance et Sainte Hélène pendant les années 1825, 1826, 1827, 1828 et 1829, I-VIII, 8 et 3 atlas grands. Paris, 1836-1846. Historique. t. II, Paris.

ნეულთ, კარაქით, შაშხითა და დამარილებული ღორის ხორციტ ამა-რაგებენ. საქართველოში კარტოფილის კულტურის შემოტანაც მათი და ტიფლისიდან 5 ვერსზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე დასახლებული გერ-მანელების სხვა კოლონიების დამსახურებაა. მომეჩვენა, რომ ისინი თავიანთი ბედით ნაკლებად კმაყოფილები არიან. ზოგიერთ მათგანს ძლიერ უბედური შესახედაობა აქვს, რაც რუსების აზრით მათი სიზარმაცის ბრალია. უცხოელები კი აცხადებენ, რომ მათზე დაკისრებული გადასახადი მათ შესაძლებლობებს აღემატება. მიუხედავად ამისა, ამ ემიგრანტების სახლები კარგად არის აშენებული და შეამჩნევ იმ სისუფთავეს, რაც გამომარჩევს გერმანელებს²⁴⁷.

ბელანჟეს ინფორმაციით, ირკვევა, რომ ჩამოსახლებული გერმანელები ჩართულები იყვნენ მრავალეროვანი ქალაქის ცხოვრებაში; ისინი ძირითადად სოფლის მეურნეობას მიყვებოდნენ. როგორც ჩანს, ქართველების მსგავსად კოლონისტებიც არ იმსახურებდნენ რუსების პოზიტიურ დამოკიდებულებას. ამ პერიოდში საქართველოს მთავარმართებელი კვლავ მათზე განაწყენებული ალექსეი ერმოლოვი იყო.

როგორც კავკასიაში მოგზაური, ბელანჟე მიეკუთვნება მზვერავთა იმ ჯგუფს, რომელთა მიზანს დასავლეთ ევროპული კაპიტალის ინტერესებიდან გამომდინარე, კავკასიაში მეფის რუსეთის კოლონიალური რეჟიმის დამყარების გამოყენება წარმოადგენდა.²⁴⁸

ბელანჟეს მოგზაურობიდან ხუთი წლის შემდეგ, 1829-1830 წლებში, კავკასიას ეწვია უნგრელი მოგზაური იანოშ კაროი ბეში (ფრანგული ტრანსკრიფციით - ჟან-შარლ დე ბესი; 1765-1842 წწ.). 1838 წელს მან გამოაქვეყნა თავისი სამოგზაურო ჩანაწერები ფრანგულ ენაზე ცალკე წიგნად - „მოგზაურობა ყირიმში, კავკასიაში, საქართველოში, სომხეთში, მცირე აზიასა და კონსტანტინოპოლში 1829 და 1830 წლებში“²⁴⁹. ის ახასიათებს 8 გერმანულ კოლონიას - ახალი-ტიფლისი, სოფელი ალექსანდერ-დორფი, მარიენფელდი, პეტერსდორფი, ელიზაბეთტალი, კატარინფელდი, არმენფელდი, ელენენდორფი. მოყვანილი აქვს ინფორმაცია თითოეულ კოლონიაში მცხოვრები ადამიანების რაოდენობის, მათი საქმიანობის შესახებ²⁵⁰.

²⁴⁷ **ნაჭყებია ი.** (2018). ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ (1), გვ. 49.

²⁴⁸ **Полиевктов М.А.** (1946). Европейские путешественники по Кавказу, 1800-1830 гг. Арх. упр. МВД Груз. ССР. Тбилиси: тип. Заря Востока. с. 70.

²⁴⁹ **Besse Jean-Charles** (1838). Voyage en Crimée, au Caucase, en Georgie, en Arménie, en Asie Mineure en a Constantinople, en 1829 et 1830. Paris: Delaunay, Libraire, au Palais-Royal.

²⁵⁰ **ნაჭყებია ი., სანიკიძე გ.** (2018), დასახ. ნაშრომი, გვ. 229-232.

საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე, გრაფი კონსტან-ლუი-ალექსანდრ დე სიუზანე²⁵¹ (1814-1862), ორჯერ ეწვია კავკასიას 1835 და 1840 წლებში. სიუზანე დადებითად აფასებს თბილისიდან სიღნაღისკენ მიმავალ გზაზე ნანახ გერმანული კოლონიის ცხოვრებას. „მოსახლეობა მთავრობის მიერ მიცემული უპირატესობის გამო დიდი კეთილდღეობით ცხოვრობს. მაგრამ, ისინი ჯერ კიდევ არ არიან ისე განვითარებული, როგორც ეს შესაძლებელია. გერმანელები მხოლოდ იმ მიწას ამუშავებენ, რომელიც მათ გამოუყვეს და არა მათ გარშემო მდებარე ნაყოფიერ ნიადაგს. კოლონისტების რაოდენობა დაახლოებით ათასია“²⁵².

ფრანგი ექიმის და მედიცინის დოქტორის ჟიულ-მარლ ტეიულის (1802-1869) თხზულებაში²⁵³ არ არის აღნიშნული მოგზაურობის წლები, ზოგიერთი ცნობა მიანიშნებს, რომ მან საქართველოში ევგენი გოლოვინის მმართველობის დროს, სავარაუდოდ 1837-1841 წლებში, იმოგზაურა. ის თბილისში მცხოვრებ გერმანელ კოლონისტებს მშვიდობიან ფერმერებს უწოდებს, რომლებსაც საკმაოდ სუფთა პატარა სახლები აქვთ და ყოველ მათგანს გარშემო რამდენიმე მეტრი თავისუფალი ადგილი აქვს გამოყოფილი ბოსტნეულისა და ყვავილებისთვის; ეს სასიამოვნო ბაღები ერთმანეთისგან მესერიითაა გამიჯნული²⁵⁴. სოფლის ცენტრში პროტესტანტული ეკლესია დგას; ის ისევე პატარაა, როგორც მოსახლეობა, რომელსაც ის იტევს და თავისი ფორმით ისევე სადაა, როგორც ლოცვა, რომელსაც იქ მოისმენ. მოგზაური ასევე აღნიშნავს, რომ კოლონიის საქმიანობა რეგულირდება ე.წ. ოჯახის საბჭოს მიერ და პროვინციის გუბერნატორთან ერთად ყველას ინტერესს ითვალისწინებს“²⁵⁵.

გერმანელი კოლონისტების ცხოვრება, მათი ემიგრაციის მიზეზები, არსებული ეკლესიიდან განდგომა, მთავრობის ზომები გადასახლების

²⁵¹ 18 Suzannet Le Comte de. Les Provinces du Caucase sous la domination russe. La Géorgie, le Daghestan, le littoral de la mer Caspienne et les rives du Kouban. Revue des Deux Monde. 4/26. 1841: 50-106.

²⁵² ნაჭყებია ი. (2018). ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ (1), გვ. 66.

²⁵³ Teule Jules Charles (1842). Pensées et notes critiques extraites du journal des mes voyages dans l'empire du sultan de Constantinople, dans les provinces russes géorgiennes et tartares du Caucase et dans le royaume de Perse. Arthus Bertrand, Librairie-Editeur. Paris.

²⁵⁴ გერმანული კოლონია ალექსანდერსდორფი, რომელიც 1819 წელს დაარსდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დღევანდელი დიდუბის ადგილზე.

²⁵⁵ ნაჭყებია ი. (2018). ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ (1), გვ. 99.

მცდელობის თავიდან ასაცილებლად, გერმანული კოლონიების გავლენა მეზობელ ხალხსა და ქვეყნებზე, ამ კოლონიების მნიშვნელობა და მრავალ სხვა საკითხებს აფასებენ XIX საუკუნის 40-60-იანი წლების ევროპელი ავტორები - მორიც ვაგნერი²⁵⁶, ავგუსტ ფონ ჰაქსტჰაუზენი²⁵⁷, ტინკო მარტინუს ლიკლამა ა ნიეჰოლტი²⁵⁸ და სხვები.

ინგლისელი მოგზაური, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ჯეიმს ბრაისი საქართველოში 1876 წელს იმყოფებოდა. ორი წლის შემდეგ მან გამოაქვეყნა წიგნი „ამიერკავკასია და არარატი. 1876 წლის შემოდგომის არდადეგების დროს შემდგარი ექსპედიციის ჩანაწერები“²⁵⁹. მისი ნაშრომის მე-4 თავი ეძღვნება თბილისს (გვ. 131-156), სადაც ეხება გერმანულ კოლონიებს²⁶⁰: ის საუბრობს ვიურტემბერგიდან 60 წლის წინათ თბილისში ჩამოსული ემიგრანტების შთამომავლებზე, აღწერს მათ სახლებს, ჩაცმულობას, საქმიანობას; აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობა ყოველთვის სიამოვნებით იცავდა მშრომელ და მშვიდობიან კოლონისტებს, რომლებიც თბილად მიიღეს. კოლონისტები ინახავენ თავიანთ პროტესტანტულ მრწამსს და მღერიან თავისი ძვირფასი ძველი საგალობლიდან. ისინი თითქმის ყველა პროტესტანტია და აქვთ ზნეობრივი პროტესტანტული უპატივცემულობა მათი ცრუმორწმუნე ქართველი და სომეხი მეზობლების მიმართ. მოგზაური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კოლონისტები „ერთმანეთში მხოლოდ გერმანულად ლაპარაკობენ და არ ამჟღავნებენ, ან მცირედ სურვილს რუსულის მიმართ, ასევე ხელს უშლიან გაითქვიფონ ირგვლივ მცხოვრებ ხალხებში. აქ ისინი გადმოსახლდნენ უფრო მაღალი ცივილიზაციიდან დაბალში; სამწუხაროდ, ამ კარგმა შვებებმა არაფერი მოიმოქმედეს, რათა თავისი უპირატესი ცივილიზაცია განევრცოთ... მათმა უმეტესობამ შეინარჩუნა საკუთარი ენერგია და შრომისმოყვარეობა, ხოლო

²⁵⁶ **Wagner M.** (1850). *Reise nach Kolchis und nach den deutschen Colonien jenseits des Kaukasus.* Arnoldische Buchhandlung. Leipzig. 348 S.

²⁵⁷ **Haxthausen A. von** (1856). *Transkaukasien: Andeutungen über das Familien- und Gemeindeleben und die socialen Verhältnisse einiger Völker zwischen dem Schwarzen und Kaspischen Meer. Reiseerinnerungen und gesammelte Notizen.* Leipzig: Brockhaus. 640 S.

²⁵⁸ **Lycklama A Nijeholt, T. M.** (1872). *Voyage en Russie, au Caucase et en Perse exécuté pendant les années 1866, 1867 et 1868.* T. I. Paris-Amsterdam.

²⁵⁹ **Bryce James** (1878). *Transcaucasia and Ararat, being notes of a vacation tour in the autumn of 1876.* London.

²⁶⁰ **გელაშვილი გ.** (2017), ინგლისელი მოგზაური ჯეიმს ბრაისი თბილისის შესახებ (1876). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1 (20), თბილისი, გამომცემლობა უნივერსალის, გვ. 410-430.

ზოგმა მათგანმა, განსაკუთრებით მენონიტებმა შეძლეს აყვავება. მაგრამ მათ ვერ გააუმჯობესეს ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის მდგომარეობა. ალბათ რელიგიების სხვაობა უდევს საფუძვლად ამ სეპარატიზმს. ეს ხელს უშლის ერთმანეთში ქორწინებას... განსაკუთრებული აზრი ჰქონდა, რომ რუსი ქვეშევრდომებისთვის ესწავლებინათ შრომისმოყვარეობა-მომჭირნეობის ჩვევები და აგრიკულტურის უკეთესი საშუალებები... გერმანელი მოსახლეობა ტფილისში დღეს უნდა ითვლიდეს 5-6 ათას სულს. მათი უმეტესობა ხელოსანია, ან მებაღე (მებაღეობა მთლიანად მათ მიანებეს ზარმაცმა ქართველებმა), მხოლოდ ცოტანი არიან დუქნების (მაღაზიების) მფლობელები, ან ვაჭრები²⁶¹. აღსანიშნავია, რომ კოლონისტების გადმოსახლების მიზეზთა შორის დომინანტური იყო რელიგიური მოტივი და ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო რუსეთის იმპერიაში რელიგიური თავისუფლების შენარჩუნება, რაც მოახერხეს კიდევ. ინგლისელი პოლიტიკოსის ნაშრომის ამ მცირე მონაკვეთიდანაც იკითხება, რომ კოლონისტები მყარად იცავდნენ საკუთარ რელიგიას და ტრადიციებს ჩამოსახლებიდან 60 წლის შემდეგაც, რამაც ფაქტობრივად ადგილობრივი მოსახლეობისგან მათი იზოლირება გამოიწვია.

ბელგიელი სტუდენტი, ერნესტ ორსოლი²⁶², რომელმაც 1882 წელს იმოგზაურა საქართველოში, მოხიბლულია კოლონისტების ცხოვრების წესით, ტრადიციებით, მათი სახლებით. მისი ცნობები ფაქტობრივად იდენტურია ინგლისელი მოგზაურის ჯეიმს ბრაისის ჩანაწერებისა. ისიც კოლონიების სხვადასხვა ასპექტზე აკეთებს აქცენტს: „ლამაზი სახლები, წინ პატარა ბალებით, რასაც ამ ემიგრანტების შთამომავლებიც მიეჩვივნენ, ამ კოლონიას, ასე დაცილებულს მდინარე რაინიდან, პატარა გერმანული ქალაქის კოპნია იერს სძენს... გერმანელები, არ რუსდებიან და ინარჩუნებენ აშკარად გამოკვეთილ ნაციონალურ ინდივიდუალობას; მათ აქვთ თავიანთი ტაძრები, სკოლები, ლაპარაკობენ გერმანულად, მათმა ქალებმა რუსულიც კი არ იციან, ხოლო რადგან ერთმანეთში ქორწინდებიან, სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი დიდხანს უცვლელად შეინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ ხასიათს... როგორც მოელოდნენ, ამ კოლონიებმა ვერ იქონიეს გავლენა რუსებზე და თათრებზე. ყველა გერმანული სოფელი ნარმატებული და აყვავებულია, მათი მოსახლეობა და ქონება ყოველწლიურად იზრდება, მათი დაუდევარი მეზობლები კი კვლავ უმცირეაბაში, თავიანთ აპათიასა და ტრადიციულ ჭუჭყში ცხოვრობენ; ძლიერ ზარმა-

²⁶¹ გელაშვილი გ. (2017), ინგლისელი მოგზაური ჯეიმს ბრაისი თბილისის შესახებ (1876). გვ. 415-417.

²⁶² Orsolle Ernest (1885). Le Caucase et la Perse. Plon, Nourrit et Cie, Paris.

ცები საიმისოდ, რომ მიბაძონ გერმანელებს, რომლებსაც შურთ და მათი სიძულვილით კმაყოფილდებიან²⁶³.

ე. ორსოლის აზრს იზიარებს ინგლისელი მოგზაური ელიმ ჰენრი დ'ავიგდორი (1841-1895) სამოგზაურო წიგნში „ჩანანერები კავკასიის შესახებ“²⁶⁴, როდესაც თბილისის საზოგადოებას ახასიათებს. ის აღნიშნავს, რომ „რუსებს რატომღაც არ უყვართ გერმანელები; გერმანელებსაც მოჩვენებითად უყვართ და ეჯავრებათ რუსები. ორივეს ეზიზღებათ სომხები, ასევეა საპასუხო გრძნობები. ამას გარდა პოლონელებს ეჯავრებათ რუსები, გერმანელები და სომხები (ყველა, ფაქტიურად ხშირად პიროვნულადაც). მაჰმადიანებს ძირითადად არ აკარებენ რუსულ სამსახურებს. მე ვფიქრობ, რომ ქართველები არიან ყველაზე შემწყნარებლები (ტოლერანტულები) და საერთოდ ყველასთან კარგად არიან“.²⁶⁵

1892 წელს კავკასიაში ექვსი თვის განმავლობაში იმოგზაურა 31 წლის შვეიცარიელმა მასწავლებელმა ტრაუგოთ ვალდფოგელმა, რომელმაც 5 წლის შემდეგ გამოაქვეყნა წიგნი - „მოგზაურობის სურათები კავკასიიდან“²⁶⁶. სავარაუდოა, რომ მოგზაურის ჩამოსვლის მიზანს გერმანული კოლონიების მონახულება წარმოადგენდა. მისი წიგნის თითქმის ნახევარზე მეტი საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებული კოლონიების აღწერას, მათ დახასიათებას ეთმობა. ვალდფოგელი აღწერს სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები გერმანელი კოლონისტების ყოველდღიურ ცხოვრებას, მთავრობის გატარებულ ზომებს და მათ დამოკიდებულებას რუსეთის იმპერიის ადგილობრივი ხელისუფლებისადმი, არსებულ ენობრივ სიტუაციას, გერმანელების ემიგრაციის მიზეზებს, რელიგიისადმი მათ დამოკიდებულებას, გერმანული კოლონიების გავლენას ადგილობრივ მოსახლეობაზე, კოლონიების მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკაში და სხვა. მოგზაურის კოლონისტებთან სტუმრობის დეტალების გადმოცემისას თანამედროვე მკითხველს წარმოდგენა ექმნება რეგიონში გადმოსახლებული გერმანელების ყოველდღიურ ყოფაზე, ადათ-ჩვევებზე და ტრადიციებზე. მას ახარებდა ლამაზი ადამიანების, გამორჩეული გლეხების, გამოკვეთილი თვისებების მქონე ძლევაშოსილი გერმანელების

²⁶³ ნაჭყებია ი. (2018). ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ (4), გვ. 40 - 42.

²⁶⁴ D'Avigdor Elim Henry (1883). „Notes on the Caucasus“. London. გამოქვეყნებულია ფსევდონიმით „ჭანდერერ“.

²⁶⁵ გელაშვილი გ. (2019), ელიმ ჰენრი დ'ავიგდორი თბილისის შესახებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1 (23), თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, გვ. 189.

²⁶⁶ Waldvogel T. (1897). Reisebilder aus dem Kaukasus. Schaffhausen: Schoch. 155 S.

დანახვა, რომლებმაც მიუხედავად ყველაფრისა, წლების შემდეგაც შეინარჩუნეს თანდაყოლილი ბუნება. ავტორი ხაზს უსვამს, რომ იზოლირებული ცხოვრების მიუხედავად, კავკასიის კოლონისტებმა კარგად იციან დროსტარება. მძიმე სამუშაო დღეების შემდეგ აწყობენ მრავალდღიან რბოლებს და ლაშქრობებს მთაში. ისინი მოიკალათებენ ტყეების ჩრდილში და ატარებენ მყუდრო დღეებს ტრადიციული გერმანული წესით - ამზადებენ და წვავენ, სვამენ და ცეკვავენ, აწყობენ რაინდულ თამაშებს. ზოგი ნადირობს მგელზე და დათვზე, ზოგი უფრო მშვიდობიან ცხოველებზე - კურდღლებსა და გარეულ ფრინველზე. მხიარული სიმღერებს მღერიან ორიგინალურ შვაბურ დიალექტზე.

ტ. ვალდფოგელის წიგნში ერთი თავი - „სხვადასხვა ინფორმაცია კოლონიებიდან“²⁶⁷ - ეთმობა კოლონიების ზოგად აღწერას. ის წერს, რომ „ჩვენთვის ტიპიური გართობა კავკასიის კოლონისტებისთვის უცხოა, მაგრამ რადგან ადამიანებს ყოველთვის აქვთ ყოველდღიური ცხოვრებისგან თავის დაღწევის მოთხოვნილება, ისინი მუდამ პოულობენ ამის მიზეზს“²⁶⁸. ვალდფოგელი ობიექტურად აღწერს მოვლენებს კოლონისტების რეალური ცხოვრებიდან. მან მომავალ თაობებს დაუტოვა საინტერესო ინფორმაცია მის მოგზაურობამდე 70 წელზე მეტი ხნის წინ კავკასიაში ემიგრირებულ გერმანელებზე.

უცხოელ ავტორთა ნაშრომები მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა საქართველოში გერმანული კოლონიების ისტორიის შესასწავლად. მათი ნაშრომებიდან მკითხველი ეცნობა XIX საუკუნეში შორეული ევროპული ქვეყნიდან გადმოსახლებული კოლონისტების ისტორიას, მათ ხასიათს, ცხოვრების წესს, ტრადიციებს და ბევრ მნიშვნელოვან საკითხს. ავტორთა უმრავლესობა მათ საკმაოდ დადებითად ახასიათებს - მშვიდობიანი ფერმერები, მშრომელი და მშვიდი გერმანელები, რომლებიც არ რუსდებიან და ეროვნულ ინდივიდუალობას და წეს-ჩვეულებებს ინარჩუნებენ, ინახავენ თავიანთ პროტესტანტულ მრწამსს, თუმცა თავიანთი ბედით ნაკლებად კმაყოფილები არიან. მათ არ ჰქონიათ ღია დაპირისპირება ხელისუფლებასთან და მათი მხრიდან ეს ფარული უკმაყოფილებით გამოიხატებოდა. ყველა აღნიშნავს, რომ კოლონისტებს ფაქტობრივად იზოლირებული ცხოვრება ჰქონდათ და ნაკლებად იყვნენ ინტეგრირებულები რუსეთის იმპერიის სისტემაში.

²⁶⁷ Waldvogel T. (1897). დასახ. ნაშრომი, გვ. 133-140.

²⁶⁸ Waldvogel T. (1897). დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

Dali Kandelaki

German colonies in Georgia: Travel notes of foreign authors

The article discusses foreign written sources of the 19th century about the German colonies established in Georgia by the Russian Empire. The authors of the essays are travelers or members of a scientific expedition organized by the Russian Academy of Sciences. The authors describe the daily life of the German colonists, the measures taken by the government and their attitude to the local authorities of the Russian Empire, the existing language situation, the reasons for the emigration of Germans, their attitude to religion, the influence of the German colonies on the local population, the importance of the colonies in the economy of the country, and others. The opinions of the authors are different depending on their political views and the period of their stay in Georgia. Reports of foreign authors are interesting material for studying the history of German colonies in Georgia.

ოთარ ნიკოლიაშვილი

ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

იოანე ხოჯაშვილის „დღიური-მატიანე“ როგორც წყარო იმერეთის სამეფოსა და ქუთაისის ისტორიის შესასწავლად

საკვანძო სიტყვები: იმერეთი, ქუთაისი, ისტორია, რელიგია

ჩვენამდე მოღწეულ იმ წერილობით წყაროებს შორის, რომლებიც იმერეთის სამეფოსა და ქუთაისის ისტორიულ წარსულთან დაკავშირებით ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება მივიჩნიოთ უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალად, უსათუოდ უნდა დავასახელოთ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის სასულიერო მოღვაწის, კათოლიკე მღვდლის - იოანე ხოჯაშვილის „დღიური-მატიანე“. ხსენებული დოკუმენტის ხელნაწერი ახალციხის მუზეუმში აღმოაჩინა და მის მეცნიერულად შესასწავლად პირველი მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილმა ქართველმა კათოლიკე მღვდელმა, მწერალმა, ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ ივანე გვარამაძემ (ვინმე მესხმა) (1831-1912 წწ.).²⁶⁹

იოანე ხოჯაშვილის „დღიური-მატიანის“ ხელნაწერთა მეცნიერულად შესასწავლად ივანე გვარამაძის შემდგომ ასევე დიდი სამუშაო შეასრულეს ცნობილმა მეცნიერებმა: ნიკო ბერძენიშვილმა, შოთა ლომსაძემ, ავთანდილ იოსელიანმა და მიხეილ ქავთარიამ. მათ არა მარტო შეისწავლეს ხსენებული ხელნაწერები, არამედ სათანადო კომენტარების თანდართვითაც გამოსცეს იგი.

აღნიშნულ გამოცემათაგან ყველაზე მეტად ფასეულია ნ. ბერძენიშვილისა და მ. ქავთარიას მიერ მომზადებული და 2015 წელს გამოცემული ტექსტი, რომელიც იოანე ხოჯაშვილის ყველა ხელნაწერთანაა შეჯერებული. ხსენებულ გამოცემას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს მ. ქავთარიას მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც ხსენებულ გამოცემას

²⁶⁹ ი. გვარამაძის მიერ ამ მიმართულებით განეული შრომატევადი საქმიანობის შესახებ დაწვრილებით იხ. წიგნში: ახალციხური ქრონიკები. დღიური-მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბ. 2015, გვ. 255-274.

კომენტარის სახელწოდებით ერთვის.

აღნიშნული კომენტარისადმი ინტერესს არა მარტო ის ფაქტი განსაზღვრავს არსებითად, რომ მასში საფუძვლიანადაა გაანალიზებული იოანე ხოჯაშვილის დღიურების ხელნაწერებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, არამედ მასში ამ ხელნაწერთა მანამდელი შესწავლისა და კომენტარების დროს დაშვებული შეცდომებიცა და უზუსტობანიცაა არგუმენტირებულად ნაჩვენები და განხილული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე მსჯელობის დროს ჩვენ პირველ ყოვლისა სწორედ აღნიშნულ გამოცემას ვეყრდნობით და შეძლებისდაგვარად ვაფასებთ მას, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვან წერილობით წყაროს XVIII საუკუნის 60-70-იანი წლების იმერეთის სამეფოსა და ქუთაისის ისტორიის შესასწავლად.

მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკე მღვდელმსახურ იოანე ხოჯაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბევრი დეტალი სათანადო მასალების არარსებობის გამო ჯერ-ჯერობით უცნობია, მკვლევრებმა მაინც შეძლეს იმ დოკუმენტების მოძიება, რომელთა მეშვეობითაც გარკვეული წარმოდგენა გვექმნება მის საღვთისმსახურებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაზე. მ. ქავთარიას ვარაუდით, იგი დაბადებული უნდა იყოს 1737-1740 წლებს შორის. მიუხედავად სომხურ კათოლიკურ მისიონთან განსაკუთრებული სიახლოვისა და სომხური ენის კარგად ცოდნისა, იმ ფაქტს სადავოდ არავინ ხდის, იოანე ხოჯაშვილი ეროვნებით ქართველი რომ იყო და ქართული ენა მისთვის მშობლიურ ენას წარმოადგენდა.

ცხოვრებისა და მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი მან სამცხეში გაატარა და ღვთისმსახურებას ძირითადად ახალციხესა და უდუში ეწეოდა, ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში კი თურქეთის მიერ მისაკუთრებულ ქართულ რეგიონებში: სოფელ ველშიცა და ქალაქ არტაანშიც საქმიანობდა.

1767-1777 წლებში ი. ხოჯაშვილს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა ქუთაისსა და მის მიმდებარე სოფლებში.²⁷⁰

იოანე ხოჯაშვილი გარდაიცვალა 1809 წელს. დაკრძალულია ახალციხეში. 1862 წლიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე ი. ხოჯაშვილი დღიურების სახით აკეთებდა ფრაგმენტულ ჩანაწერებს, სადაც ცალკეული დღეების მიხედვით აღწუსხავდა მის მიერ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენებად მიჩნეულ ამბებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩანაწერები ძა-

²⁷⁰ ი. ხოჯაშვილის ბიოგრაფიის შესახებ დაწვრილებით იხ ნიგში: ახალციხური ქრონიკები. დღიური-მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბ. 2015, გვ. 274-287.

ლზე სქემატურია და ფრაგმენტული და მათი გარკვეული ნაწილი თავად იოანეს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ ამბებს ეხება, მათ შორის ისეთი ჩანაწერებიც საკმაოდ მრავლად გვხვდება, სადაც ავტორი იმხანად მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებსაც აღწერს და მათ გარკვეულ შეფასებებსაც გვანდის ხოლმე. მკვლევარ-ისტორიკოსისთვის ი. ხოჯაშვილის „დღიური-მატიანე“ უპირველეს ყოვლისა სწორედ მისი ამ ნაწილითაა განსაკუთრებით საინტერესო. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხსენებული დღიურებიდან მის იმ ნაწილზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც ქუთაისში ი. ხოჯაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდს ეძღვნება.

როგორც უკვე ითქვა, ქუთაისში ი. ხოჯაშვილი 1767-1777 წლებში ცხოვრობდა და აქტიურ საღვთისმსახურებლო მოღვაწეობას ეწეოდა როგორც ამ ქალაქში, ისე მიმდებარე სოფლებშიც. სამწუხაროდ, ქუთაისში მისი გადმოსახლების ზუსტი მიზეზი უცნობია. ქუთაისში საცხოვრებლად მისი გადმოსვლა შეიძლება იმით ყოფილიყო განპირობებული, რომ განსხვავებით იმხანად ოსმალეთის მიერ დაპყრობილი მესხეთისგან, სადაც იქ მცხოვრები კათოლიკეები რელიგიურად შეზღუდულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, იმერეთსა და მის დედაქალაქში, საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით, ამ თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა არსებობდა.

მ. ქავთარიას აზრით, აქედან გამომდინარე, ახალციხის საფაშოდან გამოხიზნულ კათოლიკეებს „გული უფრო იმერეთისაკენ მიუწევდათ“, რადგანაც თავს აქ „უფრო მყარად გრძნობდნენ, ვიდრე სხვაგან“.²⁷¹

ახალციხიდან ქუთაისში ი. ხოჯაშვილი 1767 წლის 23 მაისს გამომგზავრებულა და აქ 25 მაისს ჩამოსულა (ფრაგმენტები იოანე ხოჯაშვილის „დღიური-მატიანიდან“ დამონმებულია ხსენებული ტექსტის 2015 წლის გამოცემიდან. იმის გამო, რომ ციტატების მოტანის დროს შესაბამისი წლებიცა და დღეებიც იქნება აღნიშნული, დასახელებული წიგნიდან გვერდების მითითება საჭიროდ აღარ მივიჩნიეთ).

ი. ხოჯაშვილი ქუთაისში ჩამოსვლის პირველივე დღეებში შედგომია აქტიურ საღვთისმსახურებლო და საზოგადოებრივ საქმიანობას. მაგალითად, აი, რას წერს თავად ის ამასთან დაკავშირებით: „ივნისი 7... ჩვენ ვაყუბთან ფსონში გავერიე ქუთაის“. თვის ბოლოს, 30 ივნისს, კი უკვე პირველი სნეულიც უნახავს და მის განსაკუთრებლადაც უზრუნია.

²⁷¹ ახალციხური ქრონიკები. დღიური-მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბ. 2015, გვ. 280.

როგორც ი. ხოჯაშვილის დღიურებიდან თვალნათლივ ჩანს, ავტორის მიერ აღწერილ პერიოდში იმერეთს, კერძოდ კი ქუთაისსა და ახალციხეს შორის მიმოსვლა საკმაოდ გასპირებული იყო. მართალია, „დღიურ-მატიანეში“ ხსენებულ რეგიონებს შორის მიმსვლელ-მომსვლელთა საქმიანობა დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ ი. ხოჯაშვილის მიერ მონოდეტული ცნობებითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ შორის საკმაოდ მრავლად იყვნენ ვაჭრები და კათოლიკური მისიის წარმომადგენლები. მაგალითად, ი. ხოჯაშვილის ინფორმაციით, ქუთაისში მისი დამკვიდრების პირველივე წელიწადს ამ ქალაქში ახალციხიდან ჩამოსულან: ვინმე მელქონაი, თაფურბეგი, კრუხიჭამიანთ ანტონაი, ქირიშჯიანთ ყაზარა, მხატვარი სილიბისტრე და თადეოზი და სხვანი. ახალციხეში კი იმავე წელს გამგზავრებულიან: ზემოთ ნახსენები მელქონაი, ვილაც არუთენას შვილი, თერძ სიმონას შვილი აკობოსაი, თებურ ბეგი, ირიქიანთ ყაზარაი და ა. შ.

1767 წელი გამონაკლისი არ ყოფილა და „დღიურ-მატიანიდან“ თვალნათლივ ჩანს, რომ ქუთაისსა და ახალციხეს შორის ამგვარი მიმოსვლა მომდევნო წლებშიც ძალზე გააქტიურებული ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ ი. ხოჯაშვილი ხსენებულ ადამიანთა ეროვნებას არ აკონკრეტებს, მათი სახელებიდანაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმერეთსა და მესხეთს შორის მიმომსვლელთა შორის, გარდა ქართველები-სა, სომხებიც მრავლად იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ XVII-XIX საუკუნეებში ქუთაისშიცა და იმერეთის სხვა ადგილებშიც სომეხთა არცთუ მცირე რაოდენობა ცხოვრობდა, ამაში მოულოდნელი არაფერია.

მაგალითად, ქუთაისის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასთან დაკავშირებით ცნობილი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 1631-1649 წლების განმავლობაში ეწეოდა საღვთისმსახურებლო საქმიანობას დასავლეთ საქართველოში (უმთავრესად სამეგრელოში), ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ იმ დროისათვის ქუთაისში საკმაო რაოდენობით ცხოვრობდნენ სომხები, რომლებიც ძირითადად ვაჭრობას ეწეოდნენ. განსხვავებით უცხო ეროვნების სხვა ვაჭრებისაგან, რომლებიც აქ სავაჭრო ურთიერთობის საწარმოებლად თავიანთი ქვეყნიებიდან დროდადრო ჩამოდიოდნენ ხოლმე, სომეხ ვაჭრებს ქუთაისში საკუთარი სახლები ჰქონდათ და ვაჭრობის პროცესში ძალზე აქტიურად და მასშტაბურად იყვნენ ჩართული.

ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ შესაბამისი ფრაგმენტი ლამბერტის ტექსტიდან: „სხვებზე მეტი ვაჭრები იქ სომხები არიან. სომხებს ქუთაისში თავიანთი სახლები აქვთ. ესენი დადიან თურქეთში, ირანში და ქართლში

და ბლომად მოაქეთ იქიდან იშვიათი საქონელი“.²⁷²

ლამბერტი გამონაკლისი არ არის და XVIII-XIX საუკუნეების ქუთაისში სომხური მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობით არსებობასთან დაკავშირებით იმ პერიოდის სხვა ავტორებიც აღნიშნავენ ხაზგასმით. მაგალითად, გერმანელი ორიენტალისტი ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროტი, რომელიც 1807-1809 წლებში იმყოფებოდა საქართველოში ფილოლოგიურ და ისტორიულ-ეთნოლოგიურ კვლევათა სანარმოებლად, წერს, რომ იმ დროისათვის ქუთაისში „ასობით სომხური ოჯახი ცხოვრობდა“.²⁷³ როგორც ი. ხოჯაშვილისეული მონათხრობიდ ირკვევა, იმერეთისა და მესხეთის დამაკავშირებელი ყველაზე მეტად მოსახერხებელი გზა იმხანად ასეთი მარშრუტით გადიოდა: ქუთაისი-ბაღდათი-ხანი-ახალციხე.

სწორედ ამ მარშრუტით გამგზავრებულა ი. ხოჯაშვილი ქუთაისიდან ახალციხეში 1777 წლის 7 აპრილს, როცა მან საბოლოოდ დატოვა ეს ქალაქი. აი, რას წერს თავად ის ამასთან დაკავშირებით:

„აპრილი 7, პარ[ასკევი] ბაღდადს მოვედით.

აპრილი 8, შაბ[ათი] წ. ხანს მოვედით.

აპრილი 9, კვ[ირე] ახალციხეს მოვედით“.²⁷⁴

ქუთაისში დამკვიდრებული იოანე ხოჯაშვილი საღვთისმსახურებლო საქმიანობას არა მარტო ამ ქალაქში ეწეოდა, არამედ ამ მისიის შესასრულებლად მახლობელ სოფლებშიცა და ქალაქებშიც ხშირად დადიოდა ხოლმე. კერძოდ, მისი ინფორმაციით, ამ მიზნით იგი სისტემატურად სტუმრობდა ხონს, ჩხარს, ზარათს, ქვიტირს, ოფურჩხეთს, ვახანს, ჩიხორსა და სხვა ადგილებს, სადაც ატარებდა ნათლობებს, წესს უგებდა და კრძალავდა მიცვალებულებს, საქორწილო რიტუალს უტარებდა ახლად დაქორწინებულებს და ა. შ.

მაგალითად, ქუთაისში ცხოვრების პერიოდში მას 50-ზე მეტი ახალშობილი მოუნათლავს. ი. ხოჯაშვილის დღიურებში ისინი პერსონალურადაც არიან დასახელებული.

როგორც ი. ხოჯაშვილის მიერ მონათლული ბავშვების საცხოვრებ-

²⁷² არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ. 1938, გვ. 11.

²⁷³ ქუთაისის მოსახლეობის რაოდენობასთან და ეთნიკურ შემადგენლობასთან დაკავშირებით იხ. ნიგნი: ნიკოლეიშვილი ა. ნიკოლეიშვილი ო., ევროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ (XV-XIX საუკუნეები), ქუთაისი, 2012, გვ. 46-66.

²⁷⁴ ახალციხური ქრონიკები. დღიური-მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბ. 2015, გვ. 14.

ლი ადგილების დასახელებიდან ნათლად ჩანს, კათოლიკეები იმ დროისათვის არა მარტო ქუთაისში ნაცხოვრებან, არამედ მის მიმდებარე სხვა დასახლებულ პუნქტებშიც. იმის გამო, რომ კათოლიკური ეკლესიები იქ არ არსებობდა, ნათლობის რიტუალი, ისევე როგორც სხვა რელიგიური ცერემონიალები, ძირითადად სახლში ანდა ნებისმიერ სხვა ადგილშიც ტარდებოდა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ერთი ვარაუდიც გვინდა გამოვთქვათ: ი. ხოჯაშვილი მის მიერ მორწმუნებულ ბავშვთა მოსანათლად ადგილად ქუთაისის ყოვლად წმიდის ეკლესიასაც ასახელებს. სამწუხაროდ, ტექსტიდან არ ჩანს, ქუთაისში არსებული კათოლიკური საყდარი და დასახლებული ეკლესია ერთი და იგივე რელიგიური დაწესებულება იყო თუ არა. მათ იგივეობაში ის ფაქტი გვაეჭვებს, რომ ისინი ყოველთვის ცალ-ცალკეა დასახელებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაგვიჩნდეს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ავტორის მიერ მოხსენიებული ქუთაისის ყოვლად წმიდის ეკლესია ან ამ ქალაქში არსებულ მეორე კათოლიკურ სამლოცველოს წარმოადგენდა, ანდა მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის იმხანად არსებული კარგი დამოკიდებულების გათვალისწინებით, კათოლიკური ნათლობის რიტუალი ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა მართლმადიდებლურ ეკლესიაშიც ტარდებოდა.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ რამდენიმე ამონაწერს ი. ხოჯაშვილის „დღიური-მატიანის“ პირველი დამატებიდან. 1. „ოფურჩხეთს ქოლქაშვილის პაპუნას ვაჟი მოვნათლე გიორგი ერთს საწნახელში... ფერერის დ(4)-ს 1768“; „ტერ სარქისის შვილის პეტრეს ქალი ანნაი მოვნათლე ქუთაისის შიგან სახლში, აპრილის ეი (15)-ს, 1769“; „გაბრიელის შვილი ივანიკაი მოვნათლე ქვიტირს სინაურიძის ფაცხაშიგან ხიზნობად თებერვრის გ (3)-ს 1770-ს“; „ქუთაისს აბანოსთან რომ წისქვილი იყო, იმაშიგან მოვნათლე აკოფას შვილი... გიორგობის თვის ა (1)-ს 1770-ს“; „ქუთაისს ჩვენს საყდარში მოვნათლე პირველად გოჭაპარიას დავითას ყმარწვილი... 1771-ს“; „აივაზას ქალიშვილი ელენე მოვნათლე ქუთაისს ეკლესიაშიდ ყოვლად წმიდისა მარტის 16, 1774“; „აკოფას ვაჟიშვილი მოვნათლე ქუთათისს ყოვლად წმიდის ეკლესიაშიდ“ (ხაზგასმები ჩვენია - ო. ნ.).²⁷⁵

გარდა ღვთისმსახურებისა, ქუთაისში ცხოვრების პერიოდში ი. ხო-

²⁷⁵ ახალციხური ქრონიკები. დღიური-მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბ. 2015, გვ. 139-141.

ჯაშვილი სამკურნალო საქმიანობასაც ეწეოდა. ამის შესახებ თავად ის აღნიშნავს თავის ჩანაწერებში. მაგალითად: 1767 წლის 30 ივნისი: „ქუთაისში პირველი სნეულის ნახვა ჩემი ეს არის“; 1768 წლის 18 ნოემბერი: „ხონიდგან ქუთაის მომიყვანეს ავათმყოფი“; 1771 წლის 24 მაისი: „გელათიდან ავათმყოფი ქუთაისს ჩემთან, საყდართან, მოიყვანეს“.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც იოანე ხოჯაშვილის „დღიურ-მატიანეზე“ დაყრდნობით შეიძლება გამოვიტანოთ, იმაში მდგომარეობს, რომ მართლმადიდებელ და კათოლიკე მღვდელმსახურებსა და თვით უმაღლეს სასულიერო პირებს შორისაც კი იმხანად საკმაოდ კეთილგანწყობითი დამოკიდებულება არსებულა და ისინი ხშირად სტუმრობდნენ ხოლმე ერთმანეთს.

ქუთაისში ყოფნის პერიოდში ი. ხოჯაშვილი სწორედ ამგვარი ახლო მეგობრული ურთიერთობებით ყოფილა დაკავშირებული იმერეთის სამეფოს ისეთ მაღალ სასულიერო პირებთან, როგორებიც იყვნენ: კათოლიკოსი იოსები, მაქსიმე ქუთათელი და სხვები.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად დავიმონებთ რამდენიმე ციტატას ი. ხოჯაშვილის „დღიური-მატიანიდან“: 1773 წლის 29 აგვისტო: „ქუთათელმან ხატი მიბოძა“; 1772 წლის 10 მაისი: „კათალიკოზი ვნახე“; 1776 წლის 12 ივნისი: „ქუთათელი მაქსიმე კათალიკოზად აკურთხეს ქუთაისსა შინა ყ[ოვლა]დ წმიდის ეკლესიაში, რომ მეც... დავესწარ“; იმავე წლის 19 ივნისი: „ახალი კ[ათალიკოზ]ი მაქსიმე ვნახე ალერსობით“. 1772 წლის 27 ივლისი: „კათალიკოზის გერასიმე ბერი ჩემთან იყო სადილად“.

იოანე ხოჯაშვილი იოსებ კათოლიკოსის გარდაცვალებასთან და დაკრძალვასთან დაკავშირებითაც გვანვდის საინტერესო ინფორმაციას. კერძოდ, აი, რა ჩანაწერები გაუქეთებია მას ამის შესახებ თავის დღიურებში: 1776 წლის 11 მაისი: „კათალიკოზი ქუთაისს მოიყვანეს ავათმყოფი სანავარდოდგან“. 13 მაისი: „კათალიკოზი მოკვდა იოსები ქუთაისს მწვანე ყვავილაში“. 16 მაისი: „კათალიკოზი იოსების გვამი გელათს წაიღეს მწვანე ყვავილიდგან დასაფლავათ“. 17 მაისი: „კათალიკოზი იოსები გელათს მინაში მიიღეს“.²⁷⁶

მართლმადიდებელ და კათოლიკე მღვდელმსახურებს შორის იმხანად იმდენად კარგი და ახლომეგობრული ურთიერთობაც კი არსებულა, რომ ისინი ეკონომიკურადაც ეხმარებოდნენ ხოლმე ერთმანეთს დროდადრო.

²⁷⁶ ახალციხური ქრონიკები. დღიური-მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბ. 2015, გვ. 46.

მაგალითად: 1773 წლის 27 მარტის ჩანაწერი: „ხონის მთავარეპისკოპოს: კ: (20) მარჩილი ვასესხე ქველის ხელით“. 1771 წლის 6 აგვისტოს კი ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „ხონის მთავარეპისკოპოზი ჩემთან მოვიდა საყდარში დასადგომად“.

მიუხედავად მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და მის მღვდელმსახურებთან ამგვარი დამოკიდებულებისა, ქუთაისელი კათოლიკეები მაინც მათგან განცალკევებულნი იყვნენ და თავიანთი საყდარი ჰქონდათ. ი. ხოჯაშვილი მისი მონაწილეობით აქტიურად მიმდინარე ამ საყდრის მშენებლობასთან დაკავშირებთაც გვანვდის კონკრეტულ ინფორმაციებს.

დღიურებიდან ნათლად არ ირკვევა, კათოლიკეთა ხსენებული საყდარი მანამდეც არსებობდა და იმხანად მხოლოდ მისი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა, თუ ი. ხოჯაშვილი ახალი საყდრის მშენებლობის შესახებ საუბრობს. მიუხედავად ამისა, ტექსტიდან გარკვევით ჩანს, რომ ი. ხოჯაშვილი ძალზე ატიურად ყოფილა ჩართული ამ მიმართულებით განეული საკმოდ დიდი და შრომატევადი სამუშაოს შესრულების პროცესში.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმონწებთ ამონაწერებს მისი დღიურებიდან: 1770 წლის 25 გიორგობისთვე: „ქუთაისის საყდარს ხელი მიეყავით გასაკეთებლად“; 18 ქრისტეშობისთვე: „მე ავთ გავხდი, საყდრის კეთებაზედ რომ გავცივდი“; 1771 წლის 7 აპრილი: „ქუთაისის საყდარი დავახურვინე. ქარმა მოხადა“; 16 გიორგობისთვე: „ქუთაისის საყდრის ბუხარი გავაკეთებინე“; 1772 წლის 21 აგვისტო: „კირი მოვატანინე საყდრისთვის“; 25 აგვისტო: „ქუთაისის საყდრის შელესვა კირით დავინყეთ გარედან“; 21 ოქტომბერი: „კვალად საყდარს გლესა დავუწყეთ“; 27 ოქტომბერი: „საყდრის გარედან ლესვა დავამტავრეთ“; 12 დეკემბერი: „საყდარი გავალესინი შიგნიდგან ტრაპეზისა“; 1773 წლის 24 მარტი: „საყდართან ქუთაისს ხილნარი ჩავაყრევინე და ვენახი“; 19 აგვისტო: „ჭის ამოთხრა დავინყეთ“; 21 აგვისტო: „ჭა კლდიანი გამოვიდა და გავაშვებე“; 6 და 9 ნოემბერი: „საყდრის სახურავი ქარმა ს[რულია]დ მოგლიჯა... საყდარი დავხურეთ ს[რულია]დ“.

დღიურებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ კათოლიკეთა ხსენებული საყდარი არა მარტო საღვთისმსახურებლო ადგილს წარმოადგენდა, არამედ მას საცხოვრებლადაც იყენებდნენ ხოლმე, რის გამოც იქ ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების კეთილმოსანწყობადაც აქტიურად ზრუნავდნენ. ი. ხოჯაშვილის ინფორმაციით, ქუთაისში ყოფნის პერიოდში თავად ის ძირითადად სწორედ ამ საყდარში ნაცხოვრება. მაგალითად, აი, რას წერს იგი 1771 წლის 7 თებერვალს: „ქუთაისის საყდარშიგან დავდეგი მარტოდ“. საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და საყდარში

სხვა პირებისთვისაც ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად ი. ხოჯაშვილს აქტიურად უზრუნია იქ ახალი საცხოვრებელი ოთახების მისაშენებლად და ბუხრის ასაგებად. მაგალითად, 1771 წლის 16 გიორგობისთვის ჩანანერში აღნიშნავს: „ქუთაისის საყდრის ბუხარი გავაკეთებინე“. 1774 წლის 28 გიორგობისთვის კი წერს: „საყდარში ფიცრის ოდა გავაკეთებინე“; ხოლო 1776 წლის 5 ივლისს ჩაუნიშნავს: „ქუთათისის საყდრის ოთახს შენება დაუწყეთ“.

საყდრის ასაშენებლად და კეთილმოსაწყობად საჭირო თანხებს ი. ხოჯაშვილი და მისი თანამოსაქმე კათოლიკეები მათი მრევლისგან მიღებულ შემონირულობათა გზით აგროვებდნენ. აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით 1771 წლის 12 ღვინობისთვის: „მალაქაი თეთრის მოსაკრეფათ დავაყენე ქუთაისის საყდრისათვის“.

ამგვარი ძალისხმევის შედეგად კეთილმონყობილ საყდარში კი უკვე ყველა პირობა არსებულა იქ ყოველდღიური საღვთისმსახურებლო საქმიანობის ჩასატარებლად და ახალგაზრდების განსასწავლად. მაგალითად, აი, რა ინფორმაციას გვანვდის ი. ხოჯაშვილი ამასთან დაკავშირებით 1774 წლის 9 მარტს: „ყმარწვილებს საქრისტიანოს თქმა საყდარში დავანყებინე“.

სამწუხაროდ, ი. ხოჯაშვილის მიერ მოხსენიებული კათოლიკური საყდარი ამჟამად დანგრეულია და მისი ზუსტი ადგილსამყოფელი უცნობია. თუმცა „დღიური-მატიანიდან“ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ქალაქის ქვედა ნაწილში, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე, XIX საუკუნეში აგებული ყოფილი კათოლიკური ტაძრის ტერიტორიაზე, უქიმერიონის ციხის მოპირდაპირე მხარეს, უნდა არსებულებოდა. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის ინფორმაცია, რომელსაც უქიმერიონის ციხის აღებასთან დაკავშირებით გვანვდის ი. ხოჯაშვილი თავის ერთ-ერთ ჩანანერში: „ქუთაისის ციხეს რუსებმან ზარბაზნის სროლა დაუწყეს მწვანე ყვავილიდგან გინა თუ ჩვენი საყდრიდგან პირველად“.²⁷⁷

იოანე ხოჯაშვილის დღიურები საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ ავტორი მართლმადიდებლური საეკლესიო დაწესებულებების მშენებლობასთანაც და ქალაქის ინფრასტრუქტურის კეთილმოსაწყობად იმხანად განეულ საქმიანობასთან დაკავშირებითაც გვანვდის კონკრეტულ ცნობებს. მაგალითად: 1773 წლის 14 იანვარი: „დედოფალმან ქუთაისის დანგრეული საყდრების შენება დააწყებინა ხუროებს“; 26 თებერვალი: „მეფემ

²⁷⁷ ახალციხური ქრონიკები. დღიური-მატიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბ. 2015, გვ. 20.

წყალწითელას ხიდი აკეთებინა“; 21 მარტი: „სასახლეში მეფემ სახლები დაადგმევინა“; 29 მარტი: „ქუთათელმა საყდრის შენება დაიწყო“; 1776 წლის 18 და 21 ივნისი: „ქვის ხიდი დავანყებინე ბაზარში... დიდი ქვა ჩავატანინე ხიდისათვის“.

გარდა მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმსახურებისა, ქუთაისში ცხოვრების პერიოდში იოანე ხოჯაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონია როგორც იმერეთის მეფესთან - სოლომონ პირველთან, ისე სამეფო კარის სხვა წარმომადგენლებთან და დიდგვაროვან ფეოდალებთან და საპატიო სტუმრის რანგში ხშირად ესწრებოდა მათ მიერ გამართულ წვეულებებს. მათ ამგვარ დამოკიდებულებას არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ ხსენებულ პიროვნებებს არა მარტო მასთან ჰქონდათ ასეთი განსაკუთრებული დამოკიდებულება, არამედ საერთოდ მთელს კათოლიკურ მისიასთანაც და ცალკეულ შემთხვევებში მათ რელიგიურ რიტუალებსაც ესწრებოდნენ ხოლმე.

მაგალითად: 1770 წლის 4 მკათათვე (ივნისი): „...კვალადცა ბატონი ჯენერალის ჭამაში ვიყავი, მეფე სოლომონი, კათალიკოზი და სხვა მრავალნი მიტრაპოლიები და თავადებიც რომ იყვნენ“; 1771 წლის 10 აგვისტო: „მეფე სოლომონი წირვაზედ მოვა სანახავად“; 2 ღვინობისთვე: „ერეკლე მეორის თავადი მოვიდა, ციცისშვილი გივი“; 9 ღვინობისთვე: „ბერი წულუკიძემ ჩემთან სადილი ჭამა“; 1772 წლის 7 ივნისი: „მეფე სოლომონი ჩემთან მობძანდა საყდარში“; 17 ივლისი: „მეფის ბადითან... სანახავათ მიმიყვანეს“; 1776 წლის 19 აპრილი: „მეფე მობძანდა ჩემთან“; 8 მაისი: „ალექსანდრე ბატონისშვილი, მდივანი დავით წირვაზე და ქადაგებაზე მოვიდა“; 1773 წლის 28 აპრილი: „ალექსანდრე ბატონისშვილი... ჩვენს საყდარზედ მოვიდა სანახავათ“.

ქუთაისელ კათოლიკეებთან სოლომონ მეფის სიახლოვის დასტურად აქ იმ ფაქტსაც გავიხსენებ, რომ მეფე მათ დროდადრო მატერიალური დახმარებისთვისაც მიმართავდა ხოლმე. მაგალითად: 1773 წლის 19 აგვისტო: „მეფემ თეთრი სთხოვა ქუთათურ ახალციხელთ“; 21 თებერვალი: „ქუთათურებს მეფემ თვითო საპალნე ღვინო სთხოვა, ჩვენს ვაჟებსაც“; 1770 წლის 15 გიორგობისთვე: „მეფეს სოლომონს ჩემი სკივრი მივართვი“.

ი. ხოჯაშვილისადმი სოლომონ მეფის განსაკუთრებულად პატივისმცემლური დამოკიდებულება ქუთაისში მისი ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში გაგრძელებულა და მხოლოდ 1777 წლის მარტ-აპრილში შეცვლილა რადიკალურად ჩვენთვის სრულიად უცნობი მიზეზის გამო. სამწუხაროდ, ი. ხოჯაშვილის დღიურებში ამ ცვლილების განმაპირობებელ გარემოებაზე კონკრეტულად არაფერია ნათქვამი, გარდა შემდეგისა: 22

მარტი: „სომხის მარტიროზ ვარდაპეტი ქუთაისის მოვიდა ორი ტერტერე-ბით, სადაოთ“. 25 მარტი: „მეფემ გორელ ტერ საჰაკასთან მალაპარაკა და მადავა“. 3 აპრილი: „მარტიროზ ვართაპეტთან ვილაპარაკე ჩქემი ერთი მეფესთან“. 4 აპრილი: „მეფემ მოციქულობა დამინყო საყდრისა და ერისათვის ქუთოურის“. იმავე დღეს „მეფემ საყდარი დამაცლევინა, გამამართვა და მიბძანა: წადი, ნუ დადგებიო“. 5 აპრილი: „თათარ ალა აბულაძე წამოვიდა და თან წამოვჰყვევი ახალციხისკენ“.²⁷⁸

ასე დამთავრდა იოანე ხოჯაშვილის ქუთაისში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ათწლიანი პერიოდი.

იოანე ხოჯაშვილის „დღიური-მატიანედან“ იმ პრობლემებზეც გვექმნება ნათელი წარმოდგენა, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა ქუთაისის მოსახლეობა XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში. ეს პრობლემები იყო:

1. 1768 წლის სექტემბერში ჟამიანობის მოსალოდნელი გავრცელების გამო მოსახლეობის ნაწილი თავის გადასარჩენად იძულებული გამხდარა ქალაქიდან გახიზნულიყო. მაგალითად, აი, რას წერს ი. ხოჯაშვილი ამასთან დაკავშირებით 4 სექტემბრის დღიურში: ამ სენით ერთ-ერთი ქუთაისელი მოქალაქის გარდაცვალების გამო „ქუთაისიდგან ხიზნად წამოვედით მამუკა მდივნის სასახლეში და სრულ ქუთათელებიც აიყარენ“.

ჟამიანობის გავრცელების შიშს მომდევნო წელსაც იმდენად შეუშფოთებია მოსახლეობა, რომ მათი გარკვეული ნაწილი ამჯერადაც გახიზნულა ქალაქიდან. აი, რა ჩანანერი გაუკეთებია ი. ხოჯაშვილს ამასთან დაკავშირებით: „აპრილი 21,... ქუთაის ჟამი გამოჩნდა მეორედ, ყასაბ მაჰმუდის სახლშიგან...“

მაისი 4... ქუთაისიდგან ხიზნათ წასვლა დაიწყეს“.

2. XVIII საუკუნის 60-70-იანი წლების ქუთაისსა და, საერთოდ, მთელი იმერეთის სამეფოში არსებულ ერთ-ერთ საჭირობო პრობლემად ი. ხოჯაშვილს ლეკიანობა და ჩვენი ქვეყნის ცალკეულ კუთხეებს შორის პერმანენტულად მიმდინარე საომარი კონფლიქტები მიაჩნდა, რის გამოც მოსახლეობა იძულებული იყო ამგვარი საფრთხისაგან თავის დასახსნელად საკუთარი კარ-მიდამო მიეტოვებინა და სხვაგან გახიზნულიყო. ამ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით მის მიერ მოწოდებულ კონკრეტულ ინფორმაციათა მეშვეობით ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმ რთულ ვითარებაზე, რაც პერმანენტულად მიმდინარე ამ მოვლენათა შედეგად იყო იმხანად შექმნილი დასახლებულ რეგიონებში.

²⁷⁸ ახალციხური ქრონიკები. დღიური-მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბ. 2015, გვ. 50.

მაგალითად: 1769 წლის 27 ენკენისთვე: „ლეკების შიშისაგან ტყეში და-
ვიხიზნეთ“; 1771 წლის 25 მაისი: „ვახანი ლეკებმა მოაოხრეს“; 1772 წლის
29 ივლისი: „ქუთაისს შიში შეიქმნა თათრისა და ლეკისაგან“; იმავე წლის 4
სექტემბერი: „კვალად თათრის და ლეკის შიში იქმნა ქუთაისს“; 1773 წლის
24 ივნისი: „ქუთაისს ავიყარეთ სრულ ყველა თათრის და ლეკის შიშით“;
1774 წლის 9 იანვარი: „ქუთაისი ავიყარა თათრისა და ლეკის შიშისაგან“;
18 და 23 იანვარი: „დადიანისგანაც შიში შეიქმნა... ქუთაისს შიში განძლი-
ერდა“. 1776 წლის 21 თებერვალი: „ქუთათისს შიში ჩამოვარდა ლეჩხუ-
მელთაგან და ავიყარეთ“.

იოანე ხოჯაშვილის „დღიურ-მატიანეს“ განსაკუთრებულ მნიშვნელო-
ბას სძენს ის ფაქტი, რომ იგი 1770 წელს უქიმერიონის ციხიდან თურქი
მეციხოვნეების საბოლოოდ განდევნასთან და ბაგრატის ტაძრის დანგ-
რევისთან დაკავშირებითაც გვანდის მეტად საგულისმომი ინფორმაცია.
კერძოდ, როგორც ხსენებული დღიურებიდან ნათლად დასტურდება,
აღნიშნული საბრძოლო ოპერაციის განხორციელების დროს რუსული
ქვემეხებიდან გასროლილ ჭურვებს ქართული ხუროთმოძღვრული ხე-
ლოვნების ამ ბრწყინვალე ძეგლისთვისაც მიუყენებიათ ზიანი. ასე რომ,
ბაგრატის ტაძრის დამანგრეველის როლში მხოლოდ ოსმალო დამპყრობ-
ლები კი არ მოგვევლინენ, არამედ იმჟამინდელი საბრძოლო ოპერაციის
მთავარი მონაწილენი - გენერალი ტოტლებენი და მისი თანმხლები რუსი
მებრძოლები.

როგორც ცნობილია, იოანე ხოჯაშვილი იმ დროისათვის ქუთაისში
იმყოფებოდა და უშუალო თვითმხილველი იყო აღნიშნული მოვლენისა.
ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ შესაბამისი ჩანაწერები მისი „დღიური-
მატიანიდან“:

„მკათათვე 8, ხუთ[თშაბათი] ქუთაისის ციხეს რუსებმან ზარბაზნის
სროლა დაუნყეს მწვანე ყვავილიდგან გინა თუ ჩვენი საყდრიდგან პირვე-
ლად.

მკათათვე 9, პა[რასკევი] რუსებმა ზარბაზნის და ყუმბარის სროლა
დაუნყეს ქუთაისის ციხეს და დღეში ასოდენ გინა მეტი.

მკათათვე 14, ოთ[ხშაბათი] რუსებმან ქუთაისს შუალამისა[ს] დიად
მრავალი ყუმბარა და ზარბაზნები ესროლეს.

მკათათვე 21, ოთ[ხშაბათი] რუსის ჯარი სილაზე დაებარგა.

მარიობის თვე 6, პა[რასკევი]... ქუთაისის ციხეზე რუსებმან იერიში
ქნეს და აიღეს და თათრები ზოგი დახოცეს და ზოგი დაიჭირეს და ზოგ-
ნიც გაიქცნენ“.²⁷⁹

²⁷⁹ ახალციხური ქრონიკები. დღიური-მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს

დამონმებულ ფრაგმენტში იოანე ხუცესის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ადასტურებს და ახალი შტრიხებით ამდიდრებს ევროპელ ავტორთა ერთი ნაწილიც. მაგალითად, გერმანელი მოგზაური, გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი მორიც ვაგნერი (1813-1887 წწ.), რომელიც XIX საუკუნის 40-იან წლებში იმყოფებოდა ჩვენს ქალაქში, მიუხედავად ამკარად გამოვლენილი თავისი პრორუსული პოზიციისა, ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ უქიმერიონის ციხე-სიმაგრე და იქ არსებული ბაგრატის ტაძარი რუსმა მეზობლებმა დაანგრიეს ტოტლებენის ბრძანებით.

გერმანელი ავტორის გადმოცემით, ზემოთ ხსენებული ამბავი 1769 წელს (სინამდვილეში ეს მოვლენა 1770 წლით თარიღდება) შემდეგნაირად მოხდა: იმერეთის იმჟამინდელი მეფის – სოლომონ პირველის დასახმარებლად გენერალი ტოტლებენი ქართლიდან იმერეთში გადმოვიდა და თავისი ჯარით ქუთაისის ციხეს მიაღდა.

ვაგნერის ინფორმაციით, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, სოლომონისთვის ამგვარი დახმარების აღმოჩენა თითქოს მის წინააღმდეგ აჯანყებული ქვეშევრდომებისაგან დასაცავად გამხდარა საჭირო. ამბოხებული თანამემამულეების მოსაგერიებლად და სამეფო ტახტის „რუსული ხიშტი დასაცავად“ ტოტლებენი თავისი ჯარით ქუთაისის ციხეს მწვანეყვავილადან მიდგომა. ვაგნერის თქმით, აჯანყებულ იმერლებს დახმარებისთვის თურქი მეზობლებისთვის მიუ-მართავთ, რომლებიც „ქვეყნის ყველა გამაგრებულ ადგილებს ფლობდნენ“.

ამ ამბით აღშფოთებულმა ტოტლებენმა თავისი არტილერია „მეზობელ სიმაღლეზე“ (იგულისხმება მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე მწვანეყვავილას გორაკი) განალაგა, საიდანაც ყუმბარები დაუშინა თურქთაგან გამაგრებულ უქიმერიონის ციხე-სიმაგრეს. თურქებმა როგორც კი დაინახეს, რომ ციხის „ძველი გახეთქილი ლოდები რუსული ყუმბარების წინააღმდეგ დასაცავად არ გამოადგებოდათ, მიატოვეს ქუთაისი და თავისი პროტეჟეები და ასევე დაცალეს იმერეთის სხვა გამაგრებული ადგილებიც“²⁸⁰.

სინამდვილეში კი ასე მოხდა: როგორც ცნობილია, თურქებთან ბრძოლის დაწყების წინ ტოტლებენმა ერეკლე მეორეს უღალატა, აწყურიდან გამოიქცა და იმერეთში გადმოვიდა, სადაც სოლომონ პირველს დაუკავა-აკად. **ნიკო ბერძენიშვილმა** და **მიხეილ ქავთარიამ**. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო **მიხეილ ქავთარიამ**, თბ. 2015, გვ. 20; აგრეთვე: **ლომსაძე შ.**, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბ. 1979, გვ. 129.

²⁸⁰ **ვაგნერი მ.** საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო **გია გელაშვილმა**, თბ. 2002, გვ. 113

შირდა და 2 ივლისს მასთან ერთად მონაწილეობა მიიღო თურქი მეციხოვნეებისაგან ბალდათის ციხის განთავისუფლებაში. სოლომონისა და ტოტლებენის გაერთიანებულმა ძალებმა ამის შემდეგ ქუთაისის ციხესაც შეუტიეს, რის შედეგადაც თურქებმა ექვსი აგვისტოს ღამეს ციხე დატოვეს და ქუთაისიდან გაიქცნენ.²⁸¹

როგორც ვხედავთ, ვაგნერის ზემოთ დამონებული მონათხრობი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სიმართლეს. კერძოდ, მის მიერ მონოდეტული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თითქოს ტოტლებენმა ეს სამხედრო ოპერაცია აჯანყებული ქვეშევრდომებისაგან სოლომონის დასაცავად და მისთვის ტახტის შესანარჩუნებლად მოაწყო, მცდარია და ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, არც იმის სათქმელად არსებობს საფუძველი, თითქოს აჯანყებულმა იმერლებმა სოლომონის წინააღმდეგ წამოწყებულ ამ ბრძოლაში დასახმარებლად თურქებს მიმართეს.

მთავარი და არსებითი მომენტი, რითაც ვაგნერის ზემოთ ხსენებული მონათხრობი იქცევა განსაკუთრებულ ყურადღებას, იმის ხაზგასმაა, რომ უქიმირონის გორაზე მდებარე ბაგრატის საკრებულო ტაძარი და მათთან ერთად იქ არსებული სხვა „უმრავლესი სიძველენი“, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავდაპირველად 1691 წელს დაანგრეს ოსმალებმა, საბოლოოდ სწორედ ამ საბრძოლო ოპერაციის შედეგად განადგურდა რუსული არტილერიის მიერ გასროლილი ყუმბარების შედეგად.

თავად ვაგნერი ამ ამბავს შემდეგნაირად მოგვითხრობს: „ასე დაანგრია რუსმა გენერალმა უპირველეს ყოვლისა ქუთაისის ციხე და მასთან ერთად უმრავლესი სიძველენი; ახლაც ვხედავთ უამრავ დახეთქილ გალავნის ქვებს, რომლებიც მთის საკმაოდ დიდ ნაწილზეა მოფენილი, ხოლო ციტადელში ეკლესიის ნარჩენებს, რომლის სკულპტურები მიგვანიშნებენ ჭიშკრის თაღის ქართულ სტილზე. დანგრეული ციტადელის უმაღლეს ადგილას, საიდანაც თვალი სწვდება მთელ მშვენიერ გარემოს, ჯერაც დგანან ლაზი მეფეების გამაგრებული სასახლის ნარჩენები. ციტადელის ირგვლივ მრავლადაა ნანგრევთა ფრაგმენტები, კართა ნაშთები, წყალსადენები და წყალსაცავები მიმოხეული. და ბოლოს, ზემო ქალაქის შუაში შეიმჩნევა ძველი კათედრალი, ლამაზი შენობა მრავალი ქანდაკებით, რომლის მელანქოლიური ნანგრევები დღეს ლამაზ, წყნარ ადგილას განლაგებულ რუსულ და იმერულ საფლავებს მოიცავენ“.²⁸²

²⁸¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 655.

²⁸² **ვაგნერი მ.** საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ. 2002, გვ. 114.

რუსების მიერ უქიმერიონის ციხისა და ბაგრატის ტაძრის დანგრევასთან დაკავშირებით ვაგნერის მიერ მოწვედილი ინფორმაციის სიმართლეს სხვა ევროპელი ავტორებიც ადასტურებენ. მაგალითად, XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩვენს ქალაქში სტუმრად ნამყოფი რუსი მწერლისა და ეთნოგრაფის - ევგენი მარკოვის ხაზგასმით, ქუთაისში ისინი „ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდნენ ეკლესიების, ძეგლების, კედლების, კოშკებისა და სახლების ნარჩენებს, უფრო ზემოთ და ტაძრის ჩრდილოეთით ნამომართული ყოფილა ძველი აკროპოლისი, სავსე საკულტო და სხვადასხვა ნაგებობებით. მისი კედლები და კოშკები მთიანი ქუთაისის სხვა სიმაგრეებთან და შენობებთან ერთად ბოლოს 1769 (უნდა იყოს 1770) წელს იქნა დანგრეული რუსეთის ჯარის მიერ ტოტლებენის მეთაურობით“.²⁸³

უქიმერიონის ციხე-სიმაგრეიდან თურქი მეციხოვნეების განდევნასთან და ბაგრატის ტაძრის დანგრევის ზემოთ აღნიშნულ ვერსიასთან დაკავშირებით არსებითად განსხვავებული აზრისაა მკვლევარი გრიგოლ ბოგვერაძე. მისი მტკიცებით, იმ ქართველ და უცხოელ ავტორთა ვერსია, რომლებიც თვლიან, რომ თურქი მეციხოვნეებისაგან ქუთაისის ციხე-ქალაქის განთავისუფლება მწვანეყვავილას გორიდან ზარბაზნებით დაბომბვის გზით გახდა შესაძლებელი, პრინციპულად მცდარია და რეალურ ვითარებასთან შეუსაბამო.

გ. ბოგვერაძის აზრით, რუსი მეზობლების ხელთ იმჟამად არსებული ზარბაზნების საშუალებით ამ მანძილიდან უქიმერიონის „ციხის კედლების შენგრევა შეუძლებელი იყო და ეს მხოლოდ საბრძოლო მასალის ფუჭი ხარჯვა იქნებოდა... ზარბაზნების განლაგებას მწვანეყვავილას კონცხზე აზრი არ ჰქონდა, რადგან კორპუსის ნაწილები თითქმის ციხე-ქალაქის კედლებთან იდგნენ და რასაკვირველია, ახლო მანძილიდან უფრო უპრიანი იქნებოდა ცეცხლის გახსნა“.²⁸⁴

შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მკვლევარი იმ ავტორთა შეხედულებასაც მიიჩნევს „ნაკლებად სავარაუდოდ“, რომელნიც ფიქრობენ, რომ ბაგრატის ტაძარი მაშინ სწორედ მწვანეყვავილადან გასროლილი ქურვების შედეგად დაზიანდა. გ. ბოგვერაძის მტკიცებით, ეს ვარაუდი ნაკლებად სარწმუნოა და საფუძველს მოკლებული, რადგან „ძეგლი ისე იჯდა ქალაქის არქიტექტურულ სისტემაში, რომ მას ყველა მხრიდან იცავდა არა მარტო ციხის, არამედ ციტადელის მაღალი კედლები

²⁸³ მარკოვი ე. როინის დაბლობი, თარგმნა ზურაბ კუხიანიძემ. – უფრნალი „განთიადი“, ქუთაისი, 1993, № 5-6, გვ. 128.

²⁸⁴ ბოგვერაძე გ. ქუთაისის ციხე-ქალაქის განთავისუფლების ისტორიისათვის (1770 წელი), ქუთაისი, 2003. გვ. 42.

და კოშკები“.²⁸⁵

ზემოთ დამონშებული უცხოელი ავტორებისაგან განსხვავებით, გ. ბოგვერაძე ფიქრობს, რომ ბაგრატის ტაძრის „გარკვეულ წილად დაზიანება“ მაშინ სულ სხვა გარემოებამ გამოიწვია. „ქუთაისის ციხე-ქალაქის განთავისუფლებისთანავე მეფე სოლომონმა ბრძანა, ქალაქის ყველა კედელი, განსაკუთრებით კი ციხე-სიმაგრე, საფუძვლიანად დაეგრიათ... ამასთან დაკავშირებით იმერეთის მეფის მოსაზრება ასეთი იყო: ვინაიდან იმერეთი ჩამორჩებოდა თურქეთს შეიარაღების მხრივ, ციხეები დანგრევითა და დანვით უნდა გაუფარგისებულიყო, რათა ქვეყანა ღია ველად გადაქცეულიყო და თურქ დამპყრობლებს შემდეგ მასში ქვემეხებით ჩაჯდომა გაძნელებოდათ. ეს აზრი, ნაკარნახევი იმერეთის სამხედრო დაცვის საჭიროებით, სწორი იყო მაშინდელ ისტორიულ პირობებში“.²⁸⁶

მიუხედავად იმისა, რომ გ. ბოგვერაძის მიერ სათანადო ისტორიული დოკუმენტებზე დაყრდნობით გამოთქმული ეს მოსაზრება სავსებით სწორია და ლოგიკურად დასაბუთებულიც, ამ მოვლენასთან ბაგრატის ტაძრის დანგრევის დაკავშირება, რასაც ავტორი ქვემოთ გვთავაზობს, ჩვენის აზრით, მაინც საჭიროებს მეტ და დამატებით არგუმენტაციას. კერძოდ, მისი მტკიცებით, სოლომონ მეფის ზემოთ ხსენებული განკარგულების შესასრულებლად, გენერალ ტოტლებენის ბრძანებით, ციხე-ქალაქის ყველა საფორტიფიკაციო ნაგებობის ბალავერში იმდენად დიდი რაოდენობის ფეთქებადი ნივთიერება ჩაანყვეს, რომ მათი აფეთქების შედეგად არა მარტო გალავნის კედლები, კოშკები და მათთან დაკავშირებული ნაგებობანი დაინგრა საფუძვლამდე, არამედ ბაგრატის ტაძარიც „დაზიანდა გარკვეულწილად“.²⁸⁷

ჩვენის აზრით, იმისათვის, რომ გ. ბოგვერაძემ ქუთაისის ციხე-სიმაგრის განთავისუფლებასთან და ბაგრატის ტაძრის დანგრევასთან დაკავშირებით გამოთქმულ მისეულ მოსაზრებებს სათანადო დამაჯერებლობა შესძინოს, მან პირველ ყოვლისა ზემოთ ხსენებულ უცხოელ ავტორთა და მსგავსი მოსაზრებების გამოთქმულ ქართველ მკვლევართა ის შეხედულებანი უნდა გააქარწყლოს არგუმენტირებულად, რომლებიც მისგან განსხვავებული თვალთახედვით აშუქებენ აღნიშნულ მოვლენას. მის მოსაზრებას ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საეჭვოს თუნდაც ზემოთ

²⁸⁵ ბოგვერაძე გ. ქუთაისის ციხე-ქალაქის განთავისუფლების ისტორიისათვის (1770 წელი), ქუთაისი, 2003. გვ. 42.

²⁸⁶ ბოგვერაძე გ. ქუთაისის ციხე-ქალაქის განთავისუფლების ისტორიისათვის (1770 წელი), ქუთაისი, 2003. გვ. 43.

²⁸⁷ იქვე.

დამონმებული ის ცნობაც ხდის, რომელსაც ხსენებული საბრძოლო ოპერაციის პერიოდში ქუთაისში პირადად ნამყოფი ახალციხელი კათოლიკე მღვდელი იოანე ხოჯაშვილი გვანჯდის ქუთაისის ციხის განთავისუფლებასთან დაკავშირებით.

ი. ხოჯაშვილი საგულისხმო ცნობებს იმ პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებითაც გვანჯდის, რასაც იმერეთის მეფე სოლომონ პირველი ეწეოდა იმხანად რუსეთის მფარველობის მოპოვების გზით თავისი სამეფოს ოსმალეთის აგრესიისაგან დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ ამ თვალსაზრისით მოწოდებულ ინფორმაციაში ახალი და მოულოდნელი არაფერია, ხსენებული ჩანაწერები, როგორც აღწერილ მოვლენათა უშუალოდ თვითმხილველი პიროვნების მიერ მოწოდებული მასალა, მაინც უნდა შეფასდეს, როგორც მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყარო საქართველო-რუსეთს შორის იმხანად არსებული ურთიერთობის შესასწავლად.

მაგალითად, ი. ხოჯაშვილის დღიურების მიხედვით, 1769 წლის 3 ღვინობისთვის იმერეთში გადმოსული რუსის ჯარი, რომელსაც გენერალი ტოტლებენი ხელმძღვანელობდა, თავდაპირველად შორაპნის ციხესთან შეჩერდა, 1770 წლის 30 აპრილს კი ქუთაისში ჩამოვიდა. ი. ხოჯაშვილის ინფორმაციით, სოლომონ მეფეს, რომელიც თავისი ჯარით „ქუთაისის ციხეს ადგა“, ეს ამბავი „რუსის ელჩმა“ შეატყობინა. უქიმერიონის გორაზე მდებარე ქუთაისის ციხეში ერთი საუკუნის განმავლობაში დაბანაკებულმა ოსმალებმა 19 თობათვეს, „განთიადისა დაწვეს გალავნის კარი და სხვაც და შიგნით ციხეში შევიდნენ“.

ოსმალთაგან უქიმერიონის ციხის განსათავისუფლებელი საბრძოლო ოპერაციის დაწყებამდე, 2 მკათათვეს, „რუსის ჯარი ბაღდადს მოვიდა. ციხეს შემოადგა ტ-უ-სი (300-400) ზარბაზანი, ორ საჭათშიგან ესროლა და იმავე დღეს აიღეს“²⁸⁸.

ი. ხოჯაშვილის „დღიური-მატიანე“ იმ საქმიანობასთან დაკავშირებითაც გვანჯდის კონკრეტულ ინფორმაციას, რასაც ავტორის მიერ აღწერილ პერიოდში ეწეოდა მეფე სოლომონ პირველი მეტად აქტიურად ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად და განსავითარებლად. მეტი სიცხადისათვის დავიმონმებ რამდენიმე ფრაგმენტს ავტორისეული ჩანაწერებიდან.

1769 წლის 4 და 23 მარტი: „რაჭას სოლომონ მეფესთან რუსები მოვიდნენ“; 14 მაისი: „მეფე სალამონი ქართლით წავიდა ირაკლი მეფის სახილველად“; 1770 წლის 30 აპრილი: „რუსის ელჩი და მოსვლის ამბავი

²⁸⁸ ახალციხური ქრონიკები. დღიური-მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბ. 2015, გვ. 20

მოუვიდა მეფე სოლომონსა, ქუთაისის ციხეს რომ ადგა“; 5 მაისი: „ცურ-ცხათის ციხე აიღო მეფე სოლომონმან“; 12 მაისი: „ქუთაისის ხიდის კარი და სხვა ჯიხურები აიღო მეფე სოლომონმან“; 1773 წლის 1 ოქტომბერი: „მეფე სოლომონი ახალციხისკენ წავიდა ჯარით“; 11 ოქტომბერი: „ირაკლი მეფე და სოლომონ მეფე ჯავახეთს მივიდნენ“; „1774 წლის 7 ივნისი: „მეფე ქუთაისიდგან ხონს წავიდა დადიანის გასარიგ-შესაყარად“; 1776 წლის 24 თებერვალი: „მეფე ოდიშიდგან ნამაშევს მოვიდა ჯარით და ჯარიც მოშალა და დადიანს გაურიგდა“; 3 მაისი: „გურიელი გიორგი მეფეს გაურიგდა და შვილები მძევლად მოსცა“; 17 მაისი: „სახლთუხუცესი დავით აბაშიძე ახალციხეს წავიდა ფაშასთან გასარიგებლად მეფე სოლომონისაგან“; 24 ნოემბერი: „მეფე დადიანის შესაყარათ წავიდა“.

როგორც დამონმებული ფრაგმენტებითაც თვალნათლივ ჩანს, დასავლეთ საქართველოში იმხანად განსაკუთრებით გამწვავებული შინაური დაპირისპირების უმთავრეს შემოქმედს სამეგრელოს მთავარი კაცია დადიანი წარმოადგენდა. ეს ტრაგიკული მოვლენა ქუთაისში ი. ხოჯაშვილის ცხოვრების პერიოდში იმდენად დიდი მასშტაბების მომცველ უბედურებად ყოფილა ქცეული, რომ ავტორი მის შესახებ საკმაოდ ხშირად გვანვდის კონკრეტულ ცნობებს.

მაგალითად: 1769 წლის 2 ღვინობისთვე: „დადიანისაგან გავიქეციოთ ქვიტირს“; 4 ღვინობისთვე: „ხონი და მისი ახლო სოფლები დაათარეშეს დადიანის ჯარმან“; 18 ღვინობისთვე: „დადიანი გაიქცა მეფე სოლომონისაგან მათხოჯს და აფხაზები მრავალი დაიჭირეს და დახოცეს“; 1773 წლის 24 და 25 ივლისი: „დადიანის შიშისაგან სულ აიყარა ქუთაისი... ამ საღამოს გავიქეციოთ დადიანისაგან და მამუკა მდივნის ეზოში ჩავედით“.

ქუთაისში ცხოვრების პერიოდში ი. ხოჯაშვილი აქტიურ სამწიგნობრო საქმიანობასაც ეწეოდა. სწორედ ამის ერთ-ერთ დადასტურებას წარმოადგენს მის მიერ მოწოდებული შემდეგი ინფორმაცია: 1774 წლის 4 მაისი: „საბა ორბელიანის მიმოვლის წიგნის წერის დაწყება“. ამ ინფორმაციას განსაკუთრებული ყურადღება პირველ ყოვლისა იმიტომ უნდა მივაქციოთ, რომ ჩვენამდე არასრული სახით და უსათაუროდ მოღწეული იმ წიგნის სახელწოდებად, რომელსაც დღეს პირობითად „მოგზაურობა ევროპაში“ ჰქვია, ი. ხოჯაშვილი „მიმოვლის წიგნის“ სახელით მოიხსენიებს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საბას ამ წიგნის გადწერის დროს (სამწუხაროდ, მისი ეს ვარიანტი ნაპოვნი არ არის) მის ხელთ არსებულ ხელნაწერში, რომელიც ალბათ სრული სახისა იქნებოდა, ნაწარმოებს სწორედ ასე ერქვა.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ყოველ-

გვარი გადაჭარბების გარეშე დავასკვნათ, რომ იოანე ხოჯაშვილის „დღიური-მატიანის“ ის ნაწილი, სადაც ავტორი ქუთაისში მისი ცხოვრების დროინდელ (1767-1777 წლები) მოვლენებთან დაკავშირებით გვანვდის კონკრეტულ ცნობებს, ახალი დეტალებით ავსებს და ამდიდრებს იმ პერიოდის იმერეთის სამეფოსა და ქუთაისის ისტორიას.

Ioane Khojashvili's "Diary-Chronicle" as a source to study the history of the Kingdom of Imereti and Kutaisi

Among the written sources that can be considered as extremely important documentary material about the Kingdom of Imereti and the historical past of Kutaisi, we should mention the "Diary-Chronicle" of the Catholic priest and public figure of the second half of the XVIII century and the beginning of the XIX century, Ioane Khojashvili. He lived in Kutaisi in 1767-1777 and was active in this city as well as in nearby villages. As is clear from the authorial narrative, there has long been quite a benevolent attitude between Orthodox and Catholic priests. During his stay in Kutaisi, Ioane Khojashvili had such close and friendly relations with the Orthodox clergy of the Imereti Kingdom. Nevertheless, the Catholics of Kutaisi were still separated from them and had their own seat. Ioane Khojashvili also provides information about the ongoing construction of this cathedral with his participation.

During his life in Kutaisi, Ioane Khojashvili also had close relations with the King of Imereti—Solomon I—as well as with the representatives of the royal court and noble feudal lords. Of particular importance to his "Diary" is the fact that he gives us very interesting information about the final expulsion of the Turkish peasants from the prison of Ukimerion in 1770 and the demolition of the Bagrati temple. In particular, the mentioned diaries clearly confirm that the shells fired from the Russian cannons during the mentioned combat operation caused damage to this magnificent monument of Georgian architectural art. So, it was not only the Ottoman invaders who played the role of destroyer of the Bagrat Temple, but also General Tottleben and the Russian warriors who accompanied him.

Based on all the above, we can conclude once again that the part of Ioane Khojashvili's "Diary-Chronicle", where the author provides information about the events of his life in Kutaisi, adds new details and enriches the history of the Imereti Kingdom and Kutaisi of that period.

რუსუდან დაუშვილი

ისტორიის დოქტორი

ქართველი სტუდენტები და მეცნიერები ემიგრაციაში 1920-50-იან წლებში

საკვანძო სიტყვები: ქართველი ემიგრანტები, სტუდენტები, მეცნიერები, ევროპა, უნივერსიტეტები, კათედრები

პირველი ტალღის ქართველ ემიგრანტთა შორის იყვნენ ცნობილი ქართველი მეცნერები, ახალდაარსებული ქართული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ისინი ემიგრაციაში საქართველოს ოკუპაციის გამო აღმოჩნდნენ. იმ დროს ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სამთავრობო, თუ კერძო დაფინანსებით 200-მდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა. მათი პატრონობა და მომავალი სამეცნიერო კადრების აღზრდა ემიგრაციაში დაკაშირებულია ექვთიმე თაყაიშვილის სახელთან. მისი ინიციატივითა და თავმჯდომარეობით 1921 წლის 19 ივლისს შეიქმნა „სტუდენტთა დამხმარე კომიტეტი“²⁸⁹. მდივანი იყო – საქართველოს ლეგაციის პირველი მდივანი სოსიპატრე ასათიანი, ნევრები – სახელმწიფო მინისტრი აკაკი ჩხენკელი და პროფესორი ზურაბ ავალიშვილი²⁹⁰. შედგა სია, სადაც აღნუსხული იყო ევროპაში გაფანტულ სტუდენტთა ყველა მონაცემი. აგრონომიულ, იურიდიულ, სამედიცინო, ეკონომიკურ, კომერციულ, სავაჭრო, საფინანსო, კოოპერაციულ, ელექტროტექნიკურ, ისტორიულ, ფილოსოფიურ, ფილოლოგიურ, სატყეო, სატრანსპორტო, სამშენებლო ფაკულტეტებზე სწავლობდა 97 სტუდენტი (92 ვაჟი და 5 ქალი), მათგან: 34 - გერმანიაში, 12 - საფრანგეთში, 43 - ჩეხოსლოვაკიაში, 5 - პოლონეთში, 2 - ბელგიაში. სიებში მითითებული იყო სტუდენტის დაბადებისა და საშუალო სასწავლებლის დამთავრების წლები, ადგილი; სად და რომელ უმაღლეს სწავლებელში სწავლობდა, რომელი წლიდან, როდის დაამთავრებდა, რა სახსრებით არსებობდა - სტიპენდიით, მშობლების დახმარებით თუ საკუთარი შრომითი შემოსავლით.

²⁸⁹ განცხადება, 1929, – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, N38, გვ.16.

²⁹⁰ ქართველები საფრანგეთში, 1929 – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, N38, გვ.16.

სტუდენტთა მდგომარეობის შესწავლის შემდეგ შეიქმნა სტიპენდიაზე წარსადგენ და გაჭირვებულ სტუდენტთა სიები, გამოიყო თანხები²⁹¹. სასწავლებლების დამთავრების შემდეგ, სტუდენტთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილი კი ემიგრაციაში დარჩა. მათ შორის იყვნენ შემდგომში მეცნიერების და კულტურის ცნობილი ემიგრანტი მოღვაწეები - ვიკტორ ნოზაძე, კიტა ჩხენკელი, ძმები ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეები, ვახტანგ ლამბაშიძე, ისიდორე მანწკავა, კირილე ვეკუა, გიორგი გამყრელიძე, ალექსანდრე ქართველიშვილი, მიხეილ მუსხელიშვილი, სიმონ ბერეჟიანი, ნიკოლოზ ჭუმბურიძე, ბარნაბ გელაზანია, შოთა ნიკოლაძე, გიორგი ნაკაშიძე, კონსტანტინე კობახიძე, გიორგი ჯაყელი, დავით ბერეკაშვილი და სხვები.

10 წელიწადში ემიგრაციაში ახალი თაობა წამოიზარდა. საჭირო იყო მათზე ზრუნვა. 1933 წელს „ქართველ ლტოლვილთა ოფისის“ დირექტორის მოადგილემ, მდიდარმა ქართველმა „ნიუ-იორკ სიტი ბანკის“ პარიზული ფილიალის ხელმძღვანელი და უმდიდრესი ქალის ბარბარა ჰატენის ქმარმა ალექს მდივანმა გადაწყვიტა სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა. სასტიპენდიო კომიტეტში მიიწვიეს ექვთიმე თაყაიშვილი. „სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა ალექს მდივანის მოწვევით მისგან დაარსებულს სასტიპენდიო კომიტეტში და თუ ეს საქმე მან შესძლო და ჯეროვნად დააყენა, დიდი საქმე იქნება. კომიტეტს უკვე ქონდა სხდომა და 72 თხოვნაში ამოარჩია კანდიდატები, რომელნიც შეეფერებოდნენ რეგლამენტს თვით მდივანის დასწრებით და მონაწილეობით შემუშავებულს, ესე იგი წესდებას და წარუდგინა მას ამერიკაში მისი თხოვნის მიერ. სიაში სულ 28 კანდიდატია. ამდენს, რასაკვირველია, სტიპენდიას ვერ მისცემს ჯერჯერობით მაინც, მაგრამ 15-საც რომ დაუნიშნოს, ესეც დიდ საქმედ უნდა ჩაითვალოს. სტიპენდია ჯერხანად მარტო საფრანგეთში მოსწავლეთათვის არის დაწესებული და ამიტომ გერმანელი სტუდენტები სიაში ვერ მოექცნენ“, - წერდა ექვთიმე თაყაიშვილი ამის შესახებ ცნობილ მეცნიერს გრიგოლ დიასამიძეს ამერიკაში²⁹². პირველ სხდომაზე განხილვის შემდეგ შეირჩა საფრანგეთში მოსწავლე 15 სტუდენტი. სტიპენდია დაენიშნა გოგი ჭაჭიაშვილსაც, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა სორბონის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და პროფესორ პაპენისათვის სადოქ-

²⁹¹ შარაძე. 1997, ერის ისტორიული მესხიერების დაბრუნება, ლევილის სამთავრობო არქივის კატალოგი ქართველ სტუდენტთა დამხმარე საგანგებო კომიტეტი, თბ. საქართველოს პარლამენტის საგამომცემლო სამსახური, გვ.531-535.

²⁹² შარაძე. 1992, ამერიკელი ქართველები, თბ. „სამშობლო“, გვ.95-96.

ტორო თემა უნდა ჩაებარებინა²⁹³. ალ. მდივანი შანხაიშიც ჩავიდა და სტიპენდიები იქ მოსწავლე ხარბინელ ქართველ სტუდენტებსაც დაუნიშნა²⁹⁴. 1935 წელს ის ავტოკატასტროფაში დაიღუპა და სტიპენდიების საქმე ჩაიშალა. კომიტეტს დიდი წვალეზა და ხვეწნა-მუდარა უხებოდა სტუდენტთა დასახმარებლად. დაფინანსება ოჯახების, კერძო პირებისა და მეცენატების საშუალებით ხდებოდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ კომიტეტის საქმიანობა შეწყვიტა, ექ. თაყაიშვილს კი ქართულ განძეულთან დაკავშირებით მრავალი თავსატეხი გამოუჩნდა.

რაც შეეხება სხვა მეცნიერებს - მათი მანილი, პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელებთან და საზოგადო მოღვანელებთან ერთად, 1922 წელს დააპატიმრა საქართველოს საბჭოთა მთავრობამ და მეტეხის ციხრში ჩასვა. პატიმათა ერთი ჯგუფი რუსეთში გადაგზვნეს, სადაც მათ დახვრეტა ელოდათ. ბერლინში მყოფმა დიპლომატიური კორპუსის წევრებმა ყოფილი ელჩის, ვლადიმერ ახმეტელის მეთაურობით, მთელი მსოფლიო ფეხზე დააყენეს. ემიგრაციაში ატეხილმა ხმაურმა საბჭოთა ხელისუფლება აიძულა 1922 წელს 62 ქართველ პატიმრებისათვის გერმანიაში წასვლის უფლება მიეცა, სადაც მათ პოლიტიკური თავშესაფარი მიიღეს. ერთი წლის შემდეგ გასახლებასა და რეპრესიებს გადარჩენილი პოლიტიკური პატიმრები ისევ დააპატიმრეს, მერე 30 კაცი კიდე გაასახლეს საზღვარგარეთ²⁹⁵. ლტოლვილთა ნაწილი შემდეგ სხვა ქვეყნებში გადავიდა საცხოვრებლად, ნაწილი კი - ვისაც თავის დროზე უმაღესი განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული - დარჩა. ამიტომ იყო, რომ ქართული ემიგრაციის ინტელექტუალური ნაწილი სწორედ გერმანიაში ცხოვრობდა, ისინი ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა ინსტიტუტებს, კათედრებს, სასწავლო კურსებს უნივერსიტეტებში და უმაღლეს სკოლებში.

გერმანიაში მოღვანეობდნენ: ფიზიკოსები ალექსანდრე და ივანე ნიკურაძეები, ქიმიკოსები - კირილე ვეკუა, რაჟდენ რუსიშვილი, ფილოლოგები - გრიგოლ დიასამიძე, ნიკო ნაკაშიძე, კიტა ჩხენკელი, აღმოსავლეთმცოდნე მისაკო წერეთელი; ისტორია-ფილოლოგიის დარგში საფრანგეთში მოღვანეობდნენ ვიკტორ ნოზაძე, ზურაბ ავალიშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, კალისტრატე სალია, იურისპრუდენციაში - მიხეილ მუსხელიშვილი, აგრონომიაში - ვახტანგ ციციშვილი; იტალიაში - საეკლეს-

²⁹³ ქართველები საფრანგეთში, 1933 - ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, N114, გვ.16.

²⁹⁴ ალექს მდივანი, 1935 - ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, N17-18, გვ.58-59.

²⁹⁵ ნოზაძე ვ. 1972-73, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან ქართველ საზოგადო მოღვანეთა გაძევება - ჟურნ. „კავკასიონი“, პარიზი, XVI-XVII, გვ.57-94.

სიო ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარი მიხეილ თარხნიშვილი, იურისტი და მთარგმნელი რაფიელ ივანიცკი-ინგილო, „სიმენსის“ ფირმის ინჟინერ-ელექტროტექნიკოსი მიხეილ ყაუხჩიშვილი, ისტორიკოსი შალვა ბერიძე, ინგლისში - ისტორიკოსი ანდრია გუგუშვილი, ბელგიაში - ისტორიკოსი მარკოზ ტულუში, შვეიცარიაში - იურისტი ლეო კერესელიძე, პოლიტოლოგი ხარიტონ შავიშვილი, პოლონეთში - თეოლოგი დეკანოზი გრიგოლ ფერაძე, ფილოლოგი - გიორგი ნაკაშიძე და სხვები. ევროპის გარდა ქართველი მეცნიერები მოღვაწეობდნენ ამერიკის კონტინენტზე: საქართველოს ყოფილი კონსული ჩინეთში (მანჯურიაში), ნერგული და ანემიური დაავადებების სამკურნალო ახალი პრეპარატის „ჰემოდინის“ შემქმნელი ექიმი ნიკოლოზ ჯიშკარიანი; ამერიკულ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პროფესორებმა: ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ბიზანტოლოგმა კირილე თუმანიშვილმა, ითაკის კორნელის უნივერსიტეტში აგრიკულტურისა და მცენარეთა დაცვის დარგში პავლე კვარაცხელიამ, პენსილვანიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგმა ალექსანდრე გრიგოლიამ, არგენტინაში მოღვაწე, ბუენოს-აირესის უნივერსიტეტის იურისტმა არჩილ ხაჩიძემ და ქიმიკოსმა ლეო ჭეიშვილმა და სხვებმა.

ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ ისტორია-ფილოლოგიისა და ქართველოლოგიის დარგში ევროპაში მოღვაწე 11 მეცნიერზე - ექვთიმე თაყაიშვილი, მიხაკო წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, კიტა ჩხენკელი, ვიკტორ ნოზაძე, ანდრია გუგუშვილი, შალვა ბერიძე, მარკოზ ტულუში, თამარ და აკაკი პაპავები, კალისტრატე და ნინო სალიები, მათ ღვანლზე და საქმიანობაში ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე. პირველად მათ შესახებ ინფორმაცია გურამ შარაძემ მიიწვია ქართულ საზოგადოებას და შეიტანა თავის წიგნებში.

დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953) 1921 წლის თებერვალში საქართველოს სახელმწიფო ხაზინისა და ეროვნული განძის საფრანგეთში დაუნჯების შემდეგ ლევილის „შატოში“ დასახლდა და ემიგრაციაშიც განაგრძო სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა. იკვლევდა ქართულ სიძველეებს ევროპაში, თანამშრომლობდა ქართულ და უცხოურ სამეცნიერო წრეებთან, გამოცემებთან, მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში და ა.შ. ექ. თაყაიშვილის ბიოგრაფიის ემიგრანტული პერიოდის ყველა ეტაპი სათანადოდ შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის. ბევრისთვის უცნობია, რომ ის იყო ქართველ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე, ბელგიაში ქართული ენის კათედრის შექმნის ინიციატორი, პარიზის წმ. ნინოს სახელობის

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მრავალი კულტურულ-სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი საქმიანობის მონაწილე.

1933 წელს პარიზში ექ. თაყაიშვილის 64-გვერდიანი ბროშურა „პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი“ გამოსცა ემიგრანტმა არჩილ მეტრეველმა, რომელიც შემდეგ გახდა ცნობილი გამომცემელი, ბერლინსა და მიუნხენში ქართული სტამბების დამაარსებელი. წიგნის წინასიტყვაობაში ექ. თაყაიშვილი მადლობას უხდოდა თავის ყოფილ მონაფეს არ. მეტრეველს, რომელმაც გამოცემის „ხარჯი იკისრა“²⁹⁶.

დიდი ეროვნული საქმის აღსასრულებლად - ყოფილი ოლთისის ოკრუგში 1907 წელს, ყარსის ოლქისა, სამუსულმანო საქართველოში, ტაოისპირში 1917 წელს, ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, იმერეთში, რაჭაში, გურიაში და სხვა არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშების 6 წიგნად გამოსაცემად 1936 წლის ნოემბერში ექ. თაყაიშვილმა ემიგრაციას მიმართა. მან თავისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს გამართვაზე უარი თქვა და ზეიმის ნაცვლად წიგნების გამოსაცემად ფინანსური დახმარება ითხოვა²⁹⁷. მის მიმართვას მთელი ქართული ემიგრაცია გამოეხმაურა. ექ. თაყაიშვილის ინიციატივით, პარიზში დაარსდა „ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდი“ და მალევე მიიღო პირველი შეწირულობანი. პარტიათა გაერთიანების ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“ ყოველ თვეში ბეჭდავდა ექ. თაყაიშვილის დაწვრილებით ანგარიშებს ფონდის შემოსავლებზე, შემომწირველთა გვარებს, თანხებს. კერძო პირთა გარდა, შემომწირველთა შორის ქართული ორგანიზაციებიც იყვნენ: სოშოს, ნიუ-იორკის, პოლონეთის, ხარბინის, ბრიუსელის, თეირანის ქართული სათვისტომოები, „ქართული კერა“, „ქართული დრამატული დასი“, სპორტული საზოგადოება „შევარდენი“ და ა.შ. წიგნების გამოცემა ვიქტორ ნოზაძემ იკისრა, მარტო გამომცემლის შრომას არ დასჯერდა და 14 სექტემბერს „მიუზე სოსიალეს“ დარბაზში ფონდის სასარგებლოდ წაიკითხა ფასიანი მოხსენება „ქართველი ერის შექმნისათვის“²⁹⁸.

²⁹⁶ **თაყაიშვილი ექ.** 1933, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, გვ.3.

²⁹⁷ **თაყაიშვილი ექ.** 1936, მიმართვა ქართული ემიგრაციისადმი, – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, N129, გვ. 16.

²⁹⁸ უწყება, ქართული ემიგრაციის მიერ ჩატარებული ლიტერატურული საღამოებისა და შეკრებების მოსაწვევი ბარათები და მოსაწვევები, 1992. – ლიტერატურის მატეანე“, თბ. გვ.389.

1937 წლის ბოლოს შეგროვილი თანხით გამოიცა მონუმენტური, 440-გვერდიანი ნაშრომი „არხეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“. წიგნის წინასიტყვაობაში ექვთიმე თაყაიშვილი მადლობას უცხადებდა წიგნის გამოცემისათვის ვიქტორ ნოზაძეს, წიგნის სათაურის დახატვისათვის - ნესტორ კალანდაძეს, კორექტურისათვის - სამსონ ფირცხალავას და სოსო გოგოლაშვილს²⁹⁹. 1938 წლის მაისში გამოცხადდა სახსრების შეგროვება მეორე წიგნისათვის. 1938 წლის ბოლოს დაიბეჭდა მხოლოდ 88-გვერდიანი „არხეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს“. ექ. თაყაიშვილი წერდა, რომ შეგროვებული თანხა დიდი წიგნის გამოსაცემად საკმარისი არ აღმოჩნდა³⁰⁰. მესამე წიგნი „არხეოლოგიური ექსპედიცია სამუსულმანო საქართველოში, ტაო-თორთუმ-ისპირში 1917 წელს“, რომელშიც აისახებოდა პირველხარისხოვანი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები - იშხანი, ოპკი, ხახული, ოთხთა ეკლესია, პარხალი და სხვა³⁰¹, 1939 წლის ბოლოს უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ვეღარ მოესწრო მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო.

ეს ორი ფუნდამენტური გამოკვლევა კი დღემდე საუკეთესოდ რჩება მრავალი ან უკვე განადგურებული თუ დასაღუპად განწირული ძეგლის შესასწავლად. პარიზში დაბეჭდილი ეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნები 1991 წელს გამომცემლობა „მეცნიერება“ გურამ შარაძის ძალისხმევით, შეიტანა პროექტში „დაბრუნება“ I-II ტომებში, 2016 წელს კი გამომცემლობა „არტუფმა“ ექ. თაყაიშვილის თხზულებათა 10-ტომრულის I ტომში. ექ. თაყაიშვილის ნაშრომთა ნაწილი ჯერ კიდევ არაა გამოცემებული, ასევე მოძიებული არაა ემიგრაციაში უცხოურ თუ ქართულ გამოცემებში გაფანტული ნაშრომები.

ქართული ემიგრაციის ერთ—ერთმა ყველაზე გამორჩეულმა მოღვაწემ მიხეილ (მიხაკო) ნერეთელმა (1878-1965) მსოფლიო მასშტაბის მეცნიერმა ძველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგში, ფილოლოგმა, პუბლიცისტმა, სოციოლოგმა, ემიგრაციის პირველივე წლებიდან განაგრძო აქტიური პოლიტიკური და სამეცნიერო მუშაობა. ოკუპაციის პირველივე წელს იყო სტამბოლში შექმნილი სამთავრობო კომისიის წევრი, ზეპარტიული პატრიოტული დარეზიმულობა „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი მეთაური,

²⁹⁹ **თაყაიშვილი ექ.** 1937, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, გვ.16.

³⁰⁰ **თაყაიშვილი ექ.** 1938, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, გვ. 3-8.

³⁰¹ **თაყაიშვილი ექ.** 1937, ანგარიში „ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა“. – ჟურნ, „დამოუკიდებელი საქართველო, N157, გვ.16.

გაზეთ „თეთრი გიორგის“ რედაქტორი, „ქართული ეროვნული კომიტეტის“ ხელმძღვანელი და სხვა. რაც შეეხება სამეცნიერო საქმიანობას - უკვე 1922 წელს რომში ჟურნალ „ორიენტ მოდერნოში“ დაბეჭდა იტალიურ ენაზე სტატია „შუმერული და ქართული“, 1924 წელს სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანესთან არსებულ სტამბაში დაბეჭდა 2 ნიგნი: მესოპოტამური ეპოსის „გილგამეშინის“ ქართული თარგმანი და „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“. 1928 წელს ჰაიდელბერგის აკადემიამ გერმანულ ენაზე გამოსცა მისი „ქალდეური ენები“. 1933-35 წლებში ჟურნალში „რევიუ დე ასირიოლოჯი“ დაბეჭდა „ურარტული ეტიუდები“, თუმცა გამოუქვეყნებელი დარჩა რჩეული ურარტული ტექსტები სამეცნიერო აპარატით, ტრანსკრიპციებით და თარგმანებით. ინტენსიური იყო მისი საქმიანობა ქართველოლოგიის დარგშიც. 1933 წელს ბერლინში გამოიცა სულხან—საბა ორბელიანის ნიგნის „სიბრძნე—სიცრუისა“ მ. წერეთლისეული გერმანული თარგმანი. იმავე წელს ლონდონში, ჟურნალ „გეორგიკას“ პირველივე ნომერში, რომლის სარედაქციო საბჭოს უცვლელი წევრიც მიხაკო წერეთელი იყო, დაიბეჭდა ქართული წარმართობისადმი მიძღვნილი მისი გამოკვლევა. იმავე პერიოდშია შექმნილი მისი ნაშრომები „ქართლის ცხოვრებზე“, „ბალავარიანზე“, „ბუნებისათვის კაცისა“ პეტრინისეულ თარგმანზე, „ქართული ენის გრამატიკა“ და სხვა.

ექ. თაყაიშვილმა ბელგიაში ყოფნისას ბრიუსელის უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და ისტორიის ინსტიტუტში ქართული ენის კათედრის გახსნის საკითხი დასვა. იქ უკვე მუშაობდა სომხური ენის კათედრა და პროფესორი ადონცი. ქართველოლოგიური კვლევის ცენტრის საორგანიზაციო კომისია ცნობილი და გამოჩენილი პირებით დაკომპლექტდა: თავმჯდომარე - ბრიუსელის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ჯორჯ სმეტსი, მოადგილე - ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი ბიზანტიოლოგი ჰენრიხ გრეგუარი, მდივანი და ხაზინადარი - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი მარკოზ ტულუში და ინჟინერი დავით ბერეკაშვილი. პროფესორად დასახელდა მიხეილ წერეთელი, რომელიც ლექციებს ასირიოლოგიაშიც წაიკითხავდა³⁰².

თანხის შესაგროვებლად კომისიამ მოწოდებით მიმართა საზოგადოებას. თანხა მალე შეგროვდა და 1932 წელს 29 სექტემბერს ბრიუსელის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრა ოფიციალურად გაიხსნა. გრეგუარმა შეკრებილთ ქართული და ასირიული ენების შესწავლის მნიშვნელობა და ლექტორი მ. წერეთელი გააცნო. სიტყვა მ. წერეთელმაც

³⁰² ქრონიკა, 1932. - გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, N58-59, გვ.4.

წარმოთქვა. ისაუბრა ასირიოლოგიაზე, ქართულ ფილოლოგიასთან მის მიმართებაზე³⁰³. ის ხელმძღვანელობდა ბრიუსელი უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრა, სანამ გერმანიაში, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორად და აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის გამგედ მიწვევდნენ.

მიხაკო წერეთლის არქივი კალისტრატე და ნინო სალიებმა გადასცეს ხელნაწერთა ინსტიტუტს, მას დაემატა სხვათა არქივებში არსებული და შექნილი ცალკეული მასალები, თუმცა მათი დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელია. ქართული საზოგადოებისათვის ჯერაც უცნობია სხვადასხვა ევროპულ ენებზე ევროპულ ჟურნალებსა და კრებულებში ან ქართულ ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებული უამრავი ნაშრომი.

ემიგრანტ მეცნიერთა შორის თვალსაჩინო ფიგურაა ზურაბ ავალიშვილი (1874-1944) - იურისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, დიპლომატი. მას სახელი გაუთქვა 1901 წელს გამოცემულმა სამაგისტრო თემამ, ისტორიულ-სამართლებრივი ხასიათის ნაშრომმა „საქართველოს შეერთება რუსეთთან“.

1921 წლის თებერვალი-მარტში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს ზურაბ ავალიშვილი პარიზში საქართველოს საელჩოს მრჩეველი იყო და ემიგრაციაში დარჩა. იქაც გააგრძელა აქტიური პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობა. საქართველოს წარმოადგენდა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე, იყო პარიზის წმ. ნინოს სახელობის პარიზის მართლმადიდებლურ ეკლესიის ერთ-ერთი დამფუძნებელი³⁰⁴, ქართული სათვისტომოს აქტიური წევრი, პარიზში შექმნილი ქართული ორგანიზაციების „კავკასიის შემსწავლელი საზოგადოების“, „ქართული სამეცნიერო წრის“ წევრი, მონაწილეობდა მათ მუშაობაში და კითხულობდა ლექციებს³⁰⁵. ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოცემული აქვს რამდენიმე ფუნდამენტური გამოკვლევა საქართველოს ისტორიისა და ძველი ქართული მწერლობის საკითხებზე, აგრეთვე, უამრავი წერილი ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია 1921 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები“, 1924 წელს - „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ (ინგლისური თარგმანი 1940 წელს დაიბეჭდა ლონდონში), 1929 წელს - „ჯვა-

³⁰³ ქართული ენის კათედრა ბელგიის უნივერსიტეტში, 1932 - ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, N78, გვ.13.

³⁰⁴ ქართული ეკლესია პარიზში, 1929 - გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, N15, გვ.4.

³⁰⁵ დაუშვილი რ., 2007, ქართული ემიგრაცია 1921-39 წლებში, თბ. „რაეო“, გვ.151, 156.

როსანთა დროიდან“ (ოთხი საისტორიო ნარკვევი), და სხვა. 1933 წელს გამოსცა გამოკვლევა დავით კურაპალატოს შესახებ, მ. წერეთლის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილ სულხან-საბა ორბელიანის ნიგნს „სიბრძნე-სიცრუისა“ წაუმძღვარა ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული განხილვა. ზ. ავალიშვილის გამოკვლევები იბეჭდებოდა პარიზში ჟურნალში „რევიუ დე ლ'ორიენტ“, ლონდონში - „აზიატიკ რევიუ“, ბრიუსელში „ბიზანტიონ“ და ა.შ. მნიშვნელოვანია მისი თანამშრომლობა ჟურნალში „გეორგიკას-თან“, სადაც 1937 წელს ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა „თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომელიც ქართულად 1938 წელს გამოქვეყნდა. სამწუხაროდ, გერმანულ ენაზე გამოცემული მისი „საქართველოს ისტორია“ და მრავალი სხვა ნაშრომი ჯერაც უცნობია.

ანდრია გუგუშვილი (1895-1970) გეოლოგიის შესასწავლად იყო გერმანიაში ჩასული და პირველი მსოფლიო ომის გამო სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა. ლონდონში დასახლდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ის საქართველოს საელჩოს მდივანი იყო. საელჩოს გაუქმების შემდეგ ლონდონის უნივერსიტეტში ქართულ ენას ასწავლიდა, მეგობრობდა და თანამშრომლობდა გამოჩენილ ქართველოლოგებთან: ოლივერ უორდროპთან, უილიამ ალენთან, დევიდ ლენგთან, რობერტ სტივენსონთან. გახდა უ. ალენის მიერ დაარსებული „საქართველოს საისტორიო საზოგადოებისა“ და ჟურნალ „გეორგიკა“-ს მდივანი, თუმცა - ფაქტობრივი რედაქტორი, რადგან მის ზურგზე გადადიოდა ჟურნალის მასალების მოძიების, ავტორებთან ურთიერთობისა და ბეჭდვის მთელი სიმძიმე. სხვა ცნობილ ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაშრომებთან ერთად, ჟურნალში მისი წერილებიც იბეჭდებოდა: „ქართული ანბანი“, „საქართველოს ეთნოგრაფიული და ისტორიული დანაწილება“, „საქართველოს მეფეთა ქრონოლოგიურ-გენეალოგიური შტო“. მისი ძალისხმევით 1937 წლის ნოემბერში გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი ჟურნალის საგანგებო N4-5. თავად ნივთიერად და ფიზიკურად შეჭირვებული ექ. თაყაიშვილზე ზრუნავდა, სამკურნალოდ ფულს უგზავნიდა, ზამთრისათვის ნაწმირის, ფეხსაცმელის, თბილი ტანსაცმლის საყიდლად ავანსის გადაგზავნას ჩქარობდა. აგროვებდა ქართულ სიძველეებს და თაყაიშვილს ევროპაში გატანილი ქართული საგანძურის შევსებაში ეხმარებოდა³⁰⁶.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჟურნალის გამოცემა შეწყდა, ანდრია გუგუშვილი კი ინტენსიურ სამეცნიერო საქმიანობას განაგრძობდა, მისი ნაშრომები იბეჭდებოდა ქართულ ემიგრანტულ და უცხოურ სამეცნიერ-

³⁰⁶ გუგუშვილი ა. წერილი ექ. თაყაიშვილისადმი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი ფონდი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, N1717.

რო გამოცემებში. ხელნაწერთა სახით უმეტესობა დაცულია ბრიტანეთის მუზეუმის, ლონდონის უნივერსიტეტისა და სხვა სამეცნიერო ცენტრებში და დღემდე შეუსწავლელია.

შალვა ბერიძემ (1892-1970) სამეცნიერო მუშაობა სტუდენტობისას დაიწყო. 1919 წელს, როგორც მოსკოვის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის თანამშრომელი, ბერიძე ნიკო მარისა და ალექსანდრე ხახანაშვილის ინიციატივითა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით საქართველოში ჩამოვიდა. დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა შეკრიბა და 3 წიგნად აპირებდა გამოცემას, მაგრამ მხოლოდ I წიგნის, 220 გვერდიანი ნაკვეთის „მეგრული (ივერიული) ენა, შესავალი და მასალები“, გამოცემა მოასწრო. იმავდროულად, ინტენსიურად იკვლევდა ქართულ და რუსულ ლიტერატურას.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ შ. ბერიძე ემიგრაციაში წავიდა. 1924 წელს გახდა ანტიბოლშევიკურ ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი³⁰⁷. აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთი „თეთრი გიორგისთან“. 1934 წელს, სორბონის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას, სწავლობდა ბასკურ-ქართულ ურთიერთობებს, ქართულ-აღმოსავლურ კონტაქტებს, თარგმნიდა იტალიურად ქართველ მწერლებს. წერილებს ქართულ კულტურაზე ფრანგულ-იტალიურ-ინგლისურ ენებზე აქვეყნებდა უცხოურ სამეცნიერო და პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებში. მათგან საყურადღებოა 1930-31 წლებში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ანთოლოგია „ქართველი პოეტები“, ფრანგულად – „მედიცინა აღმოსავლეთში“, „აზია და ევროპა“, „მოგზაურები კავკასიაში“, „საქართველო და ფრანგული მწერლობა“, „ბაირონი და პუშკინი“, იტალიურად – „პიეტრო დელა ვალე კავკასიაში“, „ლერმონტოვი საქართველოში“.

1935 წელს შ. ბერიძე მიიწვიეს ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც ასწავლიდა ქართულ ენას. ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში საქართველოსა და კავკასიაზე რამდენიმე ჩანაწერი აღმოაჩინა და გამოსცა: კაპუცინების ორდენის ბერის ბერნარდო დი ნაპოლის ორი ჩანაწერი, რომელიც 1670-1680 წლებში იმყოფებოდა საქართველოში. ორი მწერლის აზრი შამილზე და სხვა. 1936 წელს რომში ბიზანტიოლოგთა კონგრესზე წაიკითხა მოხსენება „ბიზანტია, რომი და კავკასია“. აქტიურად მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში არა მარტო იტალიაში, არამედ საფრანგეთში.

³⁰⁷ ბერიძე შ. 1933, მოგონება 1924-33 წლებში – გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, NN69-71, გვ.8.

დიდა შ. ბერიძის ღვაწლი რუსთაველოლოგიაში. პირველი ნაშრომი „რუსთაველი-ფილოსოფოსი“ მან ფრანგულ ენაზე 1926 წელს გამოაქვეყნა რომში. 1927 წელს შალვა ბერიძის ორგანიზებით პარიზში ჩატარდა რუსთაველის საღამო³⁰⁸, 1936 წელს მისი ინიციატივით ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა „რუსთაველის კონკურსი“ გამოაცხადა და საუკეთესო ნამუშევრისათვის ფულადი ჯილდო – 1000 ლირა დაანეს³⁰⁹, რომელიც გადაეცა ალექსანდრე მანველიშვილს ნაშრომისთვის „ვეფხისტყაოსნის“ ეროვნული ხასიათი³¹⁰. 1937 წელს ბერიძემ ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება რუსთაველზე³¹¹, იტალიურ ენაზე გამოსცა გამოკვლევები: „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი“, „შოთა რუსთაველი - მისი ცხოვრება, პოემა, გამონათქვამები და ფილოსოფია“ და სხვა. 1939 წელს ნეაპოლში რუსთაველზე ვრცელი ნაშრომი გამოაქვეყნა, ხოლო 1945 წელს – მის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ იტალიელი მხატვრის ფულვიო ბიანკონის ძველი მინიატურების სტილში დასურათებული იტალიური პროზაული თარგმანი. 1967 წელს რომში იტალიურ ენაზე გამოქვეყნებულ მის ბიბლიოგრაფიაში მითითებულია ბევრი საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნებული ან ხელნაწერის სახით იტალიურ, ინგლისურ ფრანგულ ენებზე. ომის შემდეგ ქართული და სხვა ენების კათედრების მუშაობა შეჩერდა, თუმცა შ. ბერიძე საჯარო ლექციებს ქართულ კულტურაზე 7 წელი კითხულობდა ნეაპოლში და კამპობასოში, რომელთა ნაწილი დაიბეჭდა. ურთიერთობა ჰქონდა რომის, მილანის უნივერსიტეტების პროფესორებთან და მრავალი მეგობარი და დაინტერესებული პირი შესძინა ქართულ ენასა და კულტურას³¹². მის ნაშრომთა უმეტესობაც მოსაძიებელია.

პეტრე (კიტა) ჩხენკელი (1895-1963) მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. 1920 წელს უფროსი ძმის, დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, შემდეგ კი საფრანგეთში სრულუფლებიანი ელჩის აკაკი ჩხენკელის ხელშეწყობით სახელმწიფო სტიპენდიით გერმანიაში

³⁰⁸ შოთა რუსთაველის საღამო, 1927 - გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, N9, გვ.4.

³⁰⁹ ნეაპოლის ინსტიტუტის კონკურსი „ვეფხისტყაოსნისათვის“, 1936. - ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, N126, გვ.16.

³¹⁰ მანველიშვილი ალ. 1938, „ვეფხისტყაოსნის“ ეროვნული ხასიათი. - გაზ. „მომავალი“, პარიზი, NN10-11, გვ.1-2.

³¹¹ შალვა ბერიძის მოხსენება, 1937. - ჟურნ. „ქართლოსი“, პარიზი, N1, გვ.15.

³¹² შარაძე გ. 1991, შალვა ბერიძე. - „უცხოეთის ცის ქვეშ“, თბ. „მერანი“, ტ. I, გვ.351-376.

გაემგზავრა. დაამთავრა ჰალეს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1930-იან წლებში კიტა მიინვიეს ჰამბურგის უნივერსიტეტში ჯერ რუსული ენის, მერე - ქართული ენის მასწავლებლად, სადაც მისი მსმენელთა წრე სწრაფად იზრდებოდა³¹³. პარალელურად აგროვებდა მასალებს დიდი ქართულ-გერმანული ლექსიკონისათვის. მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943 წლის დიდი დაბომბვისას მთელი მისი ბიბლიოთეკა და არქივი, მათ შორის სალექსიკონო მასალაც დაიღუპა. ომის შემდეგ შვეიცარიაში გადასახლდა, სადაც ციურხის უნივერსიტეტში რუსული და ქართული ენების პედაგოგად მიინვიეს. იქ კ. ჩხენკელმა ხელახლა დაიწყო სახელმძღვანელოზე და ლექსიკონზე მუშაობა და განადგურებული მასალის აღდგენა. მონაფეთა და თანამოაზრეთა დახმარებით, საფუძველი ორ დიდ საქმეს ჩაუყარა: დააარსა გამომცემლობა „ამირანი“ და ქართველოლოგიური ცენტრი იოლანტა მარშევის, რუთ ნოიკომისა და ლეა ფლურის შემადგენლობით, რომელმაც მალევე მოიპოვა ავტორიტეტი, როგორც სოლიდურმა სამეცნიერო ცენტრმა. „ამირანის“ საერთაშორისო მნიშვნელობა გაიზარდა 1957 წელს „ვის-რამიანის“ ჩხენკელ-ნოიკომის თარგმანის, 1958 წელს კი ჩხენკელის მიერ უცხოელთათვის შედგინილი ქართული ენის გრამატიკა და ქრესტომათიის (საკითხავი წიგნი საქართველოს ისტორიასა და ქართულ ლიტერატურაში) 2 ტომიანი 1500 გვერდიანი სახელმძღვანელოს გამოცემის შემდეგ. გამომცემლობამ გარს შემოიკრიბა მეცნიერები და ასე ჩამოყალიბდა ციურხისში პატარა ქართველოლოგიური წრე³¹⁴. 1960 წელს დაიწყო ყველაზე სრული ქართულ-გერმანული, 26 ნაკვეთად მომზადებული ლექსიკონის ბეჭდვა. 1963 წლის კიტა ჩხენკელი პნევმონიით გარდაიცვალა ისე, რომ ლექსიკონის მხოლოდ 6 ნაკვეთის გამოცემა მოასწრო. დანარჩენი 20 კი მისმა ასისტენტმა ქალებმა გამოსცეს დიდი მეცნიერის ვიკტორ ნოზაძის დახმარებით, 1974 წელს გამოიცა კიტა ჩხენკელისა და რუთ ნოიკომის მიერ დაწყებული „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანი.

გარდაცვალებამდე 2 წლით ადრე, 1961 წელს ციურხისის უნივერსიტეტმა საზეიმო ვითარებაში დოქტორის „ჰონორის კაუზას“ ღირსება მიანიჭა სამ ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს - შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრს, გამოჩენილ ამერიკელ მწერალ ვალდერს და ქართველ ემიგრანტს კიტა ჩხენკელს³¹⁵.

³¹³ **პაპავა თ.** 1970, გაბნეული საფლავები, პარიზი, გვ.51-53.

³¹⁴ **რიში ე.** 1953, კიტა ჩხენკელი. - ჟურნ. „კავკასიონი“, პარიზი, IX, გვ.159.

³¹⁵ **მეგრელაძე ი.** 1972, კიტა ჩხენკელის ბოლოთქმა - გაზ. სამშობლო“, თბ. 9 V, გვ.5.

კიტა ჩხენკელმა კიდევ ერთი დიდი სამსახური გაუწია სამშობლოს და გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ საქართველოს დაუბრუნა თავისი დამოუკიდებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. 2000 წელს შვეიცარიაში საქართველს საელჩოს ატაშე გიორგი შარაძემ ჩამოიტანა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ატრიბუტიკის: 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ და ხელმეორედ 1919 წლის 12 მარტს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დამოუკიდებლობის აქტების, 1918 წლის 27 დეკემბრს მიღებული გერბის და შტანდარტის, ასევე 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის დედნები. ისინი აკაკი ჩხენკელთან ინახებოდა მის გარდაცვალებამდე (1959), შემდეგ კოტა ჩხენკელთან, ბოლოს კი ლეა ფლურთან³¹⁶.

ვიკტორ ნოზაძე (1893-1974) 1920 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიერ ევროპის ქვეყნებში უმაღლესი განათლების მისაღებად შერჩეულ ახალგაზრდებს შორის იყო. ის ჯერ ლონდონში ჩავიდა, მაგრამ მალევე ბერლინში გადავიდა, სადაც თავმოყრილი იყო ქართველ სტუდენტთა უმრავლესობა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში აღმოჩნდა ძმასთან, გიორგისთან ერთად. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1928 წელს საფრანგეთში გადავიდა და პარიზში დასახლდა და დაიწყო აქტიური ლიტერატურული-საგამომცემლო და პოლიტიკური მოღვაწეობა.

ქართული საზოგადოება ვიკტორ ნოზაძეს იცნობს, როგორც შესანიშნავ რუსთაველოლოგს, „ვეფხისტყაოსნის“ განკითხვანის“ 6 ნიგნის ავტორს. რუსთაველის შესწავლა მან ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე დაიწყო. მისი რედაქტორობით (1935-36) პარიზში დაბჭდილ გაზეთ „თეთრ გიორგის“ და ჟურნალ „ქართლოსის“ (1937-39) ნომრებს დართული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია-ლექსიკონი. 10 ნიგნად ჩაფიქრებულ „განკითხვანზე“ მუშაობა ომის დროს გერმანიაში დაიწყო. მაგრამ დაიბეჭდა მხოლოდ 6 – „ფერთამეტყველება“ (1953), „მზისმეტყველება“, „ვარსკვლავთმეტყველება“, რომელშიც ჩართული იყო „ბუნებისმეტყველება“ (1957), „საზოგადოებათმეტყველება“ (1958). ეს 4 ნიგნი დაიბეჭდა სანტიაგო დე ჩილეში, სადაც ვ. ნოზაძე ცხოვრობდა ცნობილი მრეწველისა და ქველმოქმედის ავთანდილ მერაბაშვილის მიწვევით³¹⁷. ყველაზე მონუმენტური, 560-გვერდიანი „ღვთისმეტყველება“ (1963) და „მიჯნურთმეტყველება“ (1975) კი - პარიზში დაასრულეს მისმა ძმამ გიორგი ნოზაძემ

³¹⁶ შარაძე გ. შარაძე გ. 2001, ისტორიული რელიქვიების დაბრუნება 1918-1921, თბ. „მეცნიერება“, გვ.5-7.

³¹⁷ დაუშვილი რ. 2014, „ქართული ემიგრაცია ამერიკაში“, თბ. „რაეო“, გვ. 215-217.

და მიხეილ ქავთარაძემ. წინასიტყვაობაში მითითებულია კიდევ 4 წიგნი, რომელთა გამოცემაც ვერ მოასწრო „ზნეთამეტყველება“, „სიყვარულთ-მეტყველება“, „სიბრძნისმეტყველება“, „მსოფლმხედველობა“. მსოფლიო ლიტერატურასა თუ რელიგიებში დაძებნილ პარალელების წყალობით ეს წიგნები ენციკლოპედიური ხასიათის და, ამდენად, უნიკალური არიან არა მარტო რუსთველოლოგიაში, არამედ მთელ ქართულ ლიტერატურაში. ამ წიგნების დანერა და გამოცემა დიდი გმირობა იყო საქართველოსა და მშობლურ ლიტერატურას მოწყვეტილი ემიგრანტისა და ისეთი ხელმოკლე ადამიანისათვის, როგორც ვ. ნოზაძე გახლდათ. მით უმეტეს, რომ თითქმის 30 წელი იხეტიალა სხვადასხვა ქვეყნებში - საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, არგენტინა, ჩილე, ესპანეთი, სანამ 1960 წელს კვლავ პარიზში დაბრუნდებოდა და საბოლოოდ ლევილში დამკვიდრდებოდა. ტექსტს თვითონვე აწყობდა ლინოტიპზე, თვითონვე კინძავდა და დაინტერესებულ პირებს თუ ორგანიზაციებს უსასყიდლოდ უგზავნიდა. წიგნებთან ერთად ვ. ნოზაძე ახერხებდა პარიზი სქელტანიანი ჟურნალების „კავკასიონის“ (1929-1931, 1966-1977), „ორნატის“ (1933-35), „ქართლოსის“ (1937-1939), არგენტინაში, ბუენოს-აირესში კი - ამერიკის კონტინენტზე პირველი ქართული ბეჭდური ორგანოს ჟურნალ „მამულის“ (1951-53) გამოცემასაც. ამ დაძაბულ და შრომატევად საქმიანობას 1963 წელს დაემატა კ. ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ 11 წლის განმავლობაში წელიწადში რამდენჯერმე შვეიცარიაში ქართველოლოგი ქალების ლეა ფლურის, იოლანტა მარშევის და რუთ ნოიკომის დასახმარებლად ჩასვლა და ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე მუშაობა³¹⁸.

ვიკტორ ნოზაძემ დატოვა უმდიდრესი მემკვიდრეობა, რომელსაც უვლიდნენ მისი ძმა და რძალი გიორგი და ლიდა ნოზაძეები. მათი ანდერძის საფუძველზე გურამ შარაძემ 1996 წელს სამთავრობო არქივის პარიზულ (ლევილის) ნაწილთან ერთად ჩამოიტანა ვ. ნოზაძის არქივი. ემიგრაციაში გამოქვეყნებული ნაშრომების გარდა, ლიტერატურის ინსტიტუტის 10 ტომეულში უნდა შესულიყო ნოზაძის გამოუქვეყნებული თხზულებები და ეპისტოლარული მემკვიდრეობა. გამოცემის რედაქტორმა გ. შარაძემ 2004-7 წლებში მოასწრო 3 ტომის დაბეჭდვა, მის შემდეგ გამოიცა კიდევ 2 ტომი. გამოცემა გრძელდება, რადგან რუსთველოლოგიის გარდა ვ. ნოზაძის მოღვაწეობის დიაპაზონი და ინტერესების სფერო მეტად ფართოა: ლიტერატურა, ისტორია, თარგმნა, ლექსიკოგრაფია, ჟურნალ-ისტოკა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იყო მრავალი

³¹⁸ კუპრეიშვილი ნ. 1987, ვიკტორ ნოზაძის წერილები. - „ლიტერატურული საქართველო“, თბ. 27 XI, გვ.12.

მნიშვნელოვანი ქართული საქმის ინიციატორი და შემოქმედი, რის გამოც მიხაკო წერეთელმა მას „პარტიარქი“ და „თანამედროვე საქართველოს გიორგი მთანმინდელი“ უწოდა.

მარკოზ ტულუში (1900-1971) სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში. მუშაობდა ფოსტა-ტელეგრაფში, მამინ დაუკავშირდა ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა წრეს. საქართველოს ოკუპაციის მერე მონაწილეობდა ახალგაზრდა პარტიის არალეგალური ორგანოს „მებრძოლთა ხმის“ გამოცემაში, რისთვისაც რამდენჯერმე იჯდა მეტეხისა და ჩეკას ციხეებში. 1923 წელს „დამკომის“ სამხედრო ცენტრის დახვრეტის მერე მ. ტულუში ემიგრაციაში წავიდა. ჯერ საფრანგეთში ცხოვრობდა, შემდეგ საქართველოს მთავრობის რეკომენდაციით გაიცნო გამოჩენილ ბელგიელ სოციალისტები ემილ ვანდერველდე და დე ბრიუკერი. მათი დახმარებით ბელგიაში დასახლდა, დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, მიიღო პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და გარდაცვალებამდე იყო ემილ ვანდერველდეს სახელობის ცნობილი ინსტიტუტის მთავარი ბიბლიოთეკარი. წერილებსა და გამოკვლევებს აქვეყნებდა, ფრანგულ და ქართულ ენებზე. 1946 წელს ფრანგულ ენაზე ბრიუსელში გამოიცა მისი წიგნი „ეროვნული პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის შენაძენად აღიარეს. თანამშრომლობდა, როგორც ვალონურ (ფრანკოფონურ), ისე ფლამანდურ გამოცემებთან, ასევე აქვეყნებდა ვანდერველდეს სახელობის ინსტიტუტის შეკვეთით დაწერილ ნაშრომებს, რომელთაც ბელგიური პრესა ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა³¹⁹.

1932 წელს მ. ტულუში იყო მდივანი და ხაზინადარი საგანგებო კომიტეტის, რომელსაც ევალეობდა თანხების მოზიდვა ქართული ენის კათედრის მოსაწყობად აღმოსავლეთის ფილოლოგიისა და ისტორიის ინსტიტუტთან ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტში. კომიტეტმა მისია წარმატებით შეასრულა და იმავე წლის შემოდგომაზე ახალდდაარსებულ ქართული ენის კათედრაზე ქართულ და ასირიულ ენებს ასწავლიდა მიხეილ წერეთელი. მისი ბერლინში მიწვევის მერე კათედრას უძღვებოდა მ. ტულუში³²⁰. მისი ინიციატივით ბევრი მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური ღონისძიება ჩატარდა. მათ შორის მნიშვნელოვანია 1938 წელს ბრიუსელში ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ ჩატარებული ლიტერატურული საღამო. ილიას სურათითა და სამფეროვანი დროშებით მორთულ დარბაზში ქართველების, უკრაინელების და სხვა ერთა წარმომადგენლების წინაშე

³¹⁹ **შარაძე გ.** 1990, ფრანგული დღიური. თბ. „ცოდნა“, გვ. 79-82.

³²⁰ ქრონიკა 1933, - გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, N67-71, გვ.8.

ილიაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მ. ტულუში, წაიკითხეს ფრანგულად თარგმნილი ილიას ლექსები. ქართულმა გუნდმა ილიას ტექსტზე დაწერილი სიმღერები „რა კარგი რამ ხარ“ და „ტყემ მოისხა ფოთოლი“ შეასრულა³²¹.

1950 წელს მ. ტულუშმა ბელგიაში დააარსა პოლიტიკური ორგანო „პრო ევროპა“, რომელსაც რედაქტორობდა „მარკ იბერის“ ფსევდონიმით. ჟურნალი თავის უმთავრეს დანიშნულებად თვლიდა ევროპულ კონტინენტზე მცხოვრებ ადამიანთა და ერთა თავისუფლებისა და უფლებათა დაცვას. ამ ჟურნალში მან მოათავსა წერილების მთელი სერია საქართველოს მიმდინარე და ბოლო პერიოდის პოლიტიკური მოვლენებზე, ასევე ილუსტრირებული სტატიები უძღვნა მშობლიური ქვეყნის ისტორიას და კულტურას³²². ნაშრომებს აქვეყნებდა ქართულ ემიგრანტულ ჟურნალებში: „კავკასიონი“, „სახალხო საქმე“, „მებრძოლი საქართველო“. მას აღმოუჩენია 1707 წელს ვახტანგ VI გაგზავნილი წერილი სტამბოლში საფრანგეთის ელჩ ფერიოლისადმი. შეუსწავლია და მოხსენების სახით 1952 წელს წაუკითხავს პარიზის ქართულ სათვისტომოს სხდომაზე. მოხსენება ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1973 წელს გამოაქვეყნა ვიქტორ ნოზაძემ „კავკასიონში“³²³.

მარკოზ ტულუშის არქივში მრავლადაა დაცული ლიტერატურულ-მეცნიერული ხასიათის ნაშრომები ფრანგულ და ქართულ ენებზე, რომლებიც ჯარ კიდევ შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელია.

თამარ (1888-1976) და აკაკი (1890-1964) პაპაევები გამორჩეული არიან ქართულ ემიგრაციაში. თამარი სამწერლო ასპარეზზე ძალიან ახალგაზრდა გამოვიდა და მაშინვე მიიქცია ყურადღება. აკაკი დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა სოციალისტ-ფედერალისტთა სიით, იყი მწერალთა კავშირის მეორე თავმჯდომარე, ჟურნალ „ხელოვნების“ რედაქტორი, მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ და სალიტერატურო გამოცემებში. 1922 წელს აკაკი „გასაბჭოებული“ საქართველოდან ბერლინს ჩავიდა და ერთხანს იქდან თანამშრომლობდა ქართულ გამოცემებთან. 1923 წელს თამარი ორი პატარა გოგონათი მიუღლესთან ჩავიდა და იმ ხანიდან იწყება პაპაევების ემიგრანტობა.

³²¹ ილია ჭავჭავაძის საღამო ბრიუსელში, 1938 - გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, N102, გვ.4.

³²² **ურუშაძე ნ.** 1970, მარკოზ ტულუში - ჟურ. „კავკასიონი“, პარიზი, XIV, გვ.183-187.

³²³ **ტულუში მ.** ვახტანგ VI წერილი საფრანგეთის ელჩ ფერიოლისადმი, 1973 - ჟურ. „კავკასიონი“, პარიზი, XVI -XVII, გვ.57-59.

პაპაევები ცხოვრობდნენ ჰამბურგსა და ბერლინში, სადაც მათი სახლი ემიგრანტთა თავშესაფრის ადგილი იყო. 1930-იან წლებში თამარ პაპაევას ისტორიული ნარკვევები „ისახარის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა პარიზში ვიკტორ ნოზაძის ჟურნალ „კავკასიონში“. 1937 წელს პარიზშივე გამოქვეყნდა თამარის შესანიშნავი წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“. მასში შევიდა როგორც უკვე გამოქვეყნებული, ასევე ახალი ნარკვევებიც. დიდი ფორმატის, 322-გვერდიან წიგნს დართული აქვს ექვთიმე თაყაიშვილის წინასიტყვაობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1949 წელს პაპაევები სამხრეთ ამერიკაში, არგენტინაში გადასახლდნენ. დანგრეული ევროპიდან ყველაზე მეტი ლტოლვილი არგენტინაში, ბუენოს-აირესის გარეუბან ლომას დე ზამორაში დასახლდა. 1950-იანი წლებში იქ საკმაოდ ხალხმრავალი, 100-კაციანი ქართული დიასპორა იყო. აკაკი და თამარ პაპაევების სახლი ბუენოს-აირესშიც გახდა ქართული ემიგრაციის ცენტრი. ისინი იყვნენ ყველა ქართული საქმის სული და გული. 1950 წლის 29 ოქტომბერს არგენტინაში მყოფმა ქართველებმა ჩამოაყალიბეს სათვისტომო „წმინდა გიორგი“. პირველ თავმჯდომარედ ვიკტორ ნოზაძე აირჩიეს, საპატიო თავმჯდომარედ - აკაკი პაპაევა³²⁴. 1952 წლიდან თავმჯდომარე თამარ პაპაევა გახდა³²⁵. პაპაევების წყალობით სთვისტომოს ძალიან საინტერესო და და მჩქეფარე ცხოვრება ჰქონდა³²⁶. მიუხედავად აქტიური საზოგადოებრივი ცოვრებისა, თამარმა გააგრძელა ისტორიული კვლევებში აკაკიმ - პუბლიცისტური საქმიანობა: ბეჭდავდა ქართულ ემიგრანტულ და არგენტინულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოსცა 5 ლექსების წიგნიც.

1951 წელს ბუენოს აირესში, ვიკტორ ნოზაძის ჟურნალ „მამულში“ ნოე ჟორდანიას წინასიტყვაობით და გაგრძელებებით დაიბეჭდა თ. პაპაევას ნარკვევი დარეჯან დედოფალზე, რომლითაც დაიწყო წიგნის „დიდი სახეები“ II ტომი - ამერიკაში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნი. წიგნში შესულია სხვა ნარკვევებიც. წიგნის 11 ნარკვევში აღწერილია ქართველი ქალის როლი იმ გმირულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებში, რომელსაც ქართველები აწარმოებდნენ XIX საუკუნეში სხვადასხვა კუთხეების დაპყრობის შემდეგ. ეს შესანიშნავი წიგნი ემიგრაციაში სამ-

³²⁴ ქართული საზოგადოების ცხოვრება არგენტინაში, 1951 - ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, N1, გვ. 30.

³²⁵ არგენტინის ახალშენის ცხოვრება, 1953 - ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, N6, გვ.196-198.

³²⁶ დაუშვილი რ. 2009, ქართველები არგენტინაში XX საუკუნის 50-იან წლებში - კრ. „სამშობლო“, თბ. N1, გვ.45-50.

ჯერ გამოიცა, საქართველოში კი დიდხანს იყო დაფარული სიმართლე ერეკლე II-ის შთამომავლობაზე და 1832 წლის შეთქმულებაზე. წიგნი მხოლოდ 1990 წელს, დამოუკიდებელ საქართველოში გამოქვეყნდა. ბოლო წიგნი „გაბნეული საფლავები“ 1970 წელს პარიზში გამოიცა და ის თამარს 1921 წლის ოკუპაციის მერე უცხოეთის მიწაში გაჭრილმა საფლავებმა და ლევილის ქართველთა სავანემ შთააგონა. შესანიშნავი ეტიუდები ეძლევენბა დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს და წევრების: ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს, კარლო ჩხეიძეს, ევგენი გეგეჭკორს, კონსტანტინე კანდელაკს, აკაკი ჩხენკელს, სიმონ მდივანს, ირაკლი წერეთელს, სპირიდონ კედიას, ვალოდია გოგუაძეს, სვიმონ წერეთელს, გიორგი გვაზავას, გიორგი ჟურულს, მოგონებები კი - ვლადიმერ ახმეტელს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ზურაბ ავალიშვილს, მიხაკო წერეთელს, ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეებს, ვიკტორ ნოზაძეს, კიტა ჩხენკელს, სამსონ ფირცხალავას, გრიგოლ რობაქიძეს, შალვა ამირეჯიბს და სხვებს.

1998 წელს პაპავების არქივის ნაწილი არგენტინიდან გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორმა პაატა ნაცვლიშვილმა ჩამოიტანა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა. 2009 წლის მისივე ინიციატივით, ცენტრში ჩატარდა თამარ და აკაკი პაპავებისადმი მიძღვნილი დღეები, რომელშიც მათი 6 შვილიშვილიდან 4 მიიღო მონაწილეობა. გაიხსნა მათი სახელობის კაბინეტი, მოენყო გამოფენა, ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებები დაიბეჭდა კრებულში „სამშობლო“³²⁷. 2014 წელს პ. ნაცვლიშვილმა პაპავების არქივის მეორე ნაწილი და დიდი ბიბლიოთეკა ჩამოიტანა. არქივის ორივე ნაწილი გაერთიანდა და ამ მასალებზე უკვე არაერთი უბლიკაცია გამოქვეყნდა.

1922 წელს მეტეხის ციხიდან გასახლებულთა პირველ ნაკადში ახალგაზრდა კალისტრატე სალიაც (1900-1986) იყო, ის გერმანიაში დარჩა. დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტთან არსებული გერმანული ენის ინსტიტუტი, სწავლობდა ჰალეს უნივერსიტეტის 1924 წელს საფრანგეთში გადასახლდა, 1927 წელს დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტის ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტი. 1924 წელს გახდა ახალი ქართული ნაციონალისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ დამფუძნებელი. პოლიტიკური და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის სტატიებს ბეჭდავდა გაზეთ „თეთრ გიორგიში“ და სხვა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში.

ნინო ქურციკაშვილს (1898-1992) დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგში სამედიცინო ფაკულტეტი, შემდეგ კი ვარშავაში უმაღლეს-

³²⁷ ნაცვლიშვილი პ. 2009, „სამშობლოს“ ახალი სიცოცხლე - კრ, „სამშობლო“, N1, გვ.5-8.

სი კურსები ისტორიის განხრით. ნინო პირველ მეუღლესთან ერთად ხარბინში შეძლებულად ცხოვრობდა. 1925 წელს დაწყებული ჩინეთის რევოლუციისა და კომუნისტების ხელისუფლებაში მოსვლის გამო ქართველებმა მანჯურია დატოვეს. ნაწილი სამხრეთ ჩინეთში შანხაიში გადასახლდა, ნაწილი საბჭოთა კავშირში დაბრუნდა, ნაწილმა კი - ევროპასა და ამერიკას მიაშურა³²⁸. საფრანგეთში გადასახლდა ნინოს ოჯახიც. 1926 წლიდან პარიზში ცხოვრობდა, იკვლევდა საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის საკითხებს. 1929 წელს გაიცნო კალისტრატე სალია და ცოლად გაჰყვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აღარ არსებობდა ომამდელი ქართული პრესა, ამიტომ ნინო და კალისტრატე სალიებმა თავიანთი სახსრებით და საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო კვლევების ეროვნული ინსტიტუტის დახმარებით, 1948 წელს დააფუძნეს ისტორიულ-ლიტერატურული ჟურნალი „ბედი ქართლისა“. ჟურნალი გახდა პირველი სამეცნიერო ქართველოლოგიური გამოცემა და 35 წელი იარსება. „Bedi Kartlisa. Revue de Kartvélogie“-ს გამოცემა განახლდა 1985 წლიდან ახალი სახელწოდებით Revue des Etudes Georgiennes et Caucasiennes. მისი რედაქტორი იყო აკადემიკოსი ჟორჟ დუმეზილი, შემდეგ სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე გიორგი შარაშიძე. 1948-58 წლებში ჟურნალში სტატიები ძირითადად ქართულ ენაზე იბეჭდებოდა, 1958-83 წლებში - ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე. ჟურნალმა თავის გარშემო შემოიკრიბა უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგები და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. სხვა ემიგრანტული გამოცემებისაგან განსხვავებით „ბედი ქართლისა“ უცნობი არ დარჩენილა საქართველოში, იბეჭდებოდა ქართველ, აზერბაიჯანელ, ჩრდილოკავკასიელ საბჭოთა მეცნიერთა სტატიები. კ. სალიაც ჟურნალში ბეჭდავდა ნაშრომებს საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის საკითხებზე, უცხოურ ენციკლოპედიებში - ქართული სინამდვილის ამსახველ წერილებს. დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა უცხოელ ქართველოლოგებსც. იყო სააზიო, ლინგვისტური, ისტორიის, ბიზანტინისტიკის და სხვა სამეცნიერო საზოგადოებათა წევრი, მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი. 70 წლის კ. სალიას ღვანლი საბჭოთა საქართველოშიც აღიარეს³²⁹. 1980

³²⁸ ქართველები მანჯურიაში, 2004 - „ქართული დიპლომატია“, თსუ, ტ. XI, გვ.135-147.

³²⁹ ტაბალუა ი. 1971, კალისტრატე სალია 70 წლისა - ჟურ. „ცისკარი“, თბ, №9, გვ.157-158.

წელს ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ მის 550-გვერდიან ნაშრომს „ქართველი ერის ისტორიას“ საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემია მიენიჭა და საქართველოშიც გახდა ცნობილი³³⁰.

ნინო სალია აგვარებდა ჟურნალის ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და ფინანსურ საქმეებს. თავადაც წერდა და 1970-იან წლებში „ბედი ქართლისაში“ გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი: „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები“ (1971), „წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შესახებ“ (1972), კალისტრატე სალიასა და ვახტანგ ბერიძის თანაავტორობით - „საქართველო (ისტორიულ—კულტურული მიმოხილვა)“ (1972), „პორტუგალიური მასალები ქეთევან დედოფლის ნამებაზე“ (1973).

1980 წელს ნინო და კალისტრატე სალიების პირადი ბიბლიოთეკა და ნივთები საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადაეცა. სალიების მემორიალურ კაბინეტში დაცულია რამდენიმე ათასი წიგნი და პერიოდული გამოცემა. წიგნადი ფონდი განსაკუთრებით მდიდარია ქართველოლოგიური, ორიენტალისტური ლიტერატურით, ლექსიკონებით, ენციკლოპედიებითა და სხვა უნიკალური, ბიბლიოგრაფიულ იშვითობად მიჩნეული გამოცემებით.

ქართველ ემიგრანტ მეცნიერთა და მკვლევართა ნაშრომების გარდა, ქართული კულტურისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპაში ქართული ენის კათედრების და კურსების დაარსებას. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1932 წელს 29 სექტემბერს ბრიუსელის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის გაიხსნა. ბრიუსელის უნივერსიტეტის ინიციატივამ და 1933 წელს მიხეილ წერეთლის ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტში პროფესორად მიწვევამ ბიძგი მისცა ევროპაში ქართული ენის სხვა კათედრების დაარსებას. გერმანიაში, ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათა სემინარში ქართულ კულტურასა და ენას უძღვებოდა პროფესორი რიჰარდ მეკელაინი. საზოგადოების ინტერესის გამო 1934 წელს გადაწყდა ქართული ენის კათედრის დაარსებაც, რომელსაც სათავეში ნიკო ნაკაშიძე ჩაუდგა. ქართული ენის კერძო გაკვეთილებს მ. წერეთელთან იღებდნენ³³¹.

აღმოსავლური ფაკულტეტი 1935 წელს ვარშავის უნივერსიტეტშიც დაარსდა. პროფესორად გრიგოლ ფერაძე მიიწვიეს, ქართული ენის ლექ-

³³⁰ შარაძე გ. 1991, კალისტრატე და ნინო სალიები. - „უცხოეთის ცის ქვეშ“, თბ. „მერანი“, ტ. I, გვ.449-456.

³³¹ ქართული ენის შესწავლის საქმე ბერლინში, 1934. - გვ. „კლდე“, ბერლინი, N2, გვ.4.

ტორად - გიორგი ნაკაშიძე³³².

ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის დეკრეტით გრაფ ბარბიელინის ინიციატივით 1936 წლის ნოემბერში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა დაარსდა, რომელსაც 1936-43 წლებში სათავეში პროფესორი შალვა ბერიძე ედგა. მსმენელთა ფართო წრე კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხებსაც ამუშავებდა³³³.

ამრიგად, ამ ქართველი მეცნიერის საქმიანობა ემიგრაციაში არა მარტო ნაშრომებით იქცევდა ევროპული სამეცნიერო წრეების ყურადღებას, არამედ ქართველოლოგიური ცენტრებითაც. მეორე მსოფლიო ომამდე ბრიუსელის, ბერლინის, ვარშავის უნივერსიტეტებში, ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრების, კურსების, შვეიცარიაში გამომცემლობა „ამირანის“, ლონდონში ჟურნალ „გეორგიკას“ და პარიზში ჟურნალ „ბედი ქართლისა“ წყალობით 1930-50-იან წლებში ქართველოლოგია წარმატებით ვითარდებოდა ევროპაში.

³³² ქართველები ვარშავაში, 1934. - ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, N97, გვ.16.

³³³ ქართული კულტურული მუშაობა ნეაპოლის ინსტიტუტში, 1937 - ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, N140, გვ.11-12.

Georgian students and scientists in emigration in the 1920s-50s

The article talks about the Georgian students and scientists who remained in exile after the occupation of Georgia in 1921.

In 1922-23, more than 94 Georgian university professors and leaders of political parties were first put in prison and threatened to be shot. Scientists of various professions were among them. Among them, 11 scholars working in the field of history-philology and Georgian studies - in France, Germany, Switzerland, England, Italy, Belgium, Argentina - Ekvtime Takaishvili, Mikhako Tsereteli, Zurab Avalishvili, Kita Chkhenkeli, Viktor Nozadze, Andria Gugushvili, Shalva Beridze, Markoz Tughushi, On the activities of Tamar Papava, Kalistrate and Nino Salia.

Ekvtime Takaishvili was a chairman of the committee which was formed to help 200 Georgian students who emigrated after the Soviet occupation in 1921. After the graduation some students returned to their homeland and others decided to stay abroad. The committee also helped new generation which grew up in emigration. It sought for scholarships and found sponsors to finance their education. Many famous prominent figures joined the Georgian emigration.

In 1932 at the Brussels University Takaishvili was the initiator to establish the Department of the Georgian Language under the guidance of Mikheil Tsereteli and then, Markoz Tughushi. This initiative was the stimulus to establish the Departments of the Georgian Language in Europe. In 1934 the department was established at the Berlin University under the guidance of Niko Nakashidze, in 1935 _ at the Warsaw University under the leadership of Grigol Peradze and Giorgi Nakashidze and in 1936 _ at the University of Naples "L'Orientale~ under the guidance of Shalva Beridze.

თამარ ფხალაძე

ასოცირებული პროფესორი

ნინო შიოლაშვილი

ასოცირებული პროფესორი

საგანმანათლებლო საქმიანობა ხევში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (პერიოდული მასალების მიხედვით)

საძიებო სიტყვები: ხევი, თრუსო, სკოლა

XIX საუკუნის ქართული პერიოდული გამოცემები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ განათლების საკითხების გაშუქებას. განათლების პრობლემატიკაზე გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან მასალებში საკმარისი ადგილი უკავია ხევში არსებული სიტუაციის მიმოხილვას. მათში იკვეთება რამდენიმე აქტუალური საკითხი: (ა) სკოლების ნაკლებობა; (ბ) ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულება ადგილობრივთა განათლების მიმართ; (გ) მოსახლეობის სიღატაკე, რაც აბრკოლებდა სასოფლო სკოლების დაარსების პროცესში მათ ქმედით მონაწილეობას; (დ) პედაგოგთა ნაკლებობა და (ე) სასწავლო რესურსების ქრონიკული დეფიციტი, მათ შორის, სამკითხველოების არ არსებობა.

აღნიშნულის მიუხედავად, XIX საუკუნის მიწურულს, ხევში საკმაოდ აქტიურად გაიშალა საგანმანათლებლო საქმიანობა. კერძო პირების, თემისა თუ სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების აქტიურობით გაიხსნა რამდენიმე სკოლა, დაარსდა სამკითხველოები, გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა. ამ პროცესს არამარტო ასახავდა იმდროინდელი პერიოდული გამოცემები, არამედ, საკითხის აქტუალიზებით შეჭქონდა მნიშვნელოვანი წვლილი, როგორც სკოლებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თვალსაზრისით, ასევე, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით.

ხევში სასწავლებლის გახსნა ქართული პრესის ინტერესს თავიდანვე იწვევდა. 1867 წელს გაზ. „დროება“ სპეციალურ წერილს აქვეყნებს სტეფანწმინდაში გახსნილ სკოლაზე, სადაც მასწავლებლად ადგილობრივი დიაკვანი და თავადის ქალი მუშაობდა. გაზეთი საგანგებოდ ამახვილებდა

ყურადღებებს ქალის როლზე განათლების პროცესში, რაც შეიძლება ერთგვარი გამონაკლისიც იყო საქართველოს მთიანი რეგიონისთვის და, ამასთან, წამახალისებელ იმპულსაც ქმნიდა სხვებისთვის - უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ საგანმანათლებლო საქმიანობაში - „... ამგვარნი პატიოსანი ქალები ყოველთვის პატივისცემის ღირსნი არიან საზოგადოებისაგან. მამ ყოფილან ჩვენშიაც ნასწავლი ქალები, რომ სწავლას ფუჭად არ სცვლიან ჩაცმა-დახურვაზედ. ამისთანა ქალები მშვიდად მოღვაწეობდნენ ჩვენი მოძმე გლეხებისათვის“³³⁴.

ხევის სკოლების მდგომარეობას სისტემატურად აშუქებდა გაზეთი „ივერია“. იკითხება რამდენიმე პრობლემური საკითხი: სკოლების დეფიციტი, ერთკლასიანი სასწავლებლები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ ხარისხიან განათლებას და სხვ. თუმცა, მათში ჩანს დადებითი ტენდენციაც - მოსახლეობა სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა სწავლის მნიშვნელობაში - ადგილობრივები მზად იყვნენ საკუთარი წვლილი გაელოთ სკოლების გახსნისა თუ შენახვის საქმეში.

ადვილი არ იყო ხელმოკლე მოსახლების დარწმუნება ხარჯი გაელოთ სკოლების დასაარსებლად. ეს მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, თუ ისინი დაინახავდნენ განათლების მნიშვნელობას და მის პრაქტიკულ საჭიროებას. ამ მხრივ, დიდი შრომა გასწიეს ადგილობრივი საზოგადოების გამორჩეულმა პირებმა, რომელთაგან აუცილებლად უნდა გამოვეყოთ გ. ყაზბეგი, პ. ლუდუშაური, ი. ლუდუშაური, ა. კობაიძე, გ. ბედოშვილი, ა. გულისაშვილი³³⁵ და სხვ. სწორედ ისინი გამოდიოდნენ ხევში სკოლების გახსნის ინიციატორებად. აღსანიშნავია ა. კობაიძის წვლილი, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, მიხეილ ყიფიანთან, იაკობ გოგებაშვილთან, იონა მეუნარგიასა და სხვ. მოღვაწეებთან. ამის დასტურია ი. ჭავჭავაძის წერილი - „დიდად პატივცემულო ბატონო ანდრია მამუკას ძეგ [კობაიძე]! თანახმად ვლადიკავკაზის სკოლის გამგე კომიტეტის თავჯდომარის მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის წინადადებისა, თქვენ და ბატონი გიორგი ლუდუშაური ამორჩეული ბრძანდებით „წერა-კითხვის საზოგადოების“ დამხმარებელ წევრად, ანუ აგენტად... იმავე ყიფიანის წინადადების გამო, თქვენ სახელობაზე გამოაგზავნა ჩვენმა საზოგადოებამ: 1. ოცი ცალი ყდიანი დედაენა; 2. ოცი დაფა და სამი ყუთი გრიფილი, ბატონ ლუდუშაურისათვის გადასაცემად, რომელსაც ყაზბეგში კერძო სკოლა ჰქონია, რადგან

³³⁴ გაზ. „დროება“, 1867, N49, გვ.3. (ამბები სოფლებიდან).

³³⁵ მღვთის ბლალოჩინი, რომელმაც სამრევლო სკოლები გახსნა მღვთისა და კობში.

ნიგნების უქონლობის საქმე ამ სკოლის გაჭირვებაში ყოფილა, ამის გამო „საზოგადოებამ“ უსასყიდლოდ გამოუგზავნა ეს სასკოლო ნივთები და სრული იმედი ექნება, რომ სკოლისათვის, რომელიც ყაზბეგში გაიმართება, ყმანვილებს მოამზადებს“³³⁶

მოსახლეობას განათლების მნიშვნელობაზე ესაუბრებოდნენ XIX საუკუნის II ნახევრის ცნობილი ქართველი სასულიერო პირები. უნდა აღინიშნოს იერომონაზი ლეონიდე ოქროპირიძე, (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) - „22-ს ოქტომბერს სოფ. სტეფანწმინდაში აკურთხეს სოფლის სკოლა, რომელიც ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სახელობაზედ დაარსდა... სკოლის კურთხევის დღეს ადგილობრივს ეკლესიაში მწირველი იყო იერომონაზი ლეონიდი თანამწირველობით კობის ბლალოჩინის მ. ნასარიძესა, სნოს მღვდლის მ. სირაძესა, სიონის მღვდელ ს. კობაიძესა და ადგილობრივ მღვდელ პ. ბარნაბიშვილისათა; წირვას ბევრი ხალხი დაესწრო, ასე, რომ ეკლესიაში ტევა აღარ იყო... განაგრძო მამა ლეონიდმა: მაგრამ დღეს - კი, რადგანაც ხელმწიფის და ეგსარხოის წყალობა არის თქვენზედ და ისინი მსურველნი არიან, აქ გაჰმართონ სკოლა, რომელსაც სჭირდება თქვენის მხრით სახლი, შენობა, სანთელი და მოსამსახურე, მოიმედე, ვარ, რომ სტეფანწმინდელები უარს არ იტყვიან და დიდი სიამოვნებით იკისრებთ ამ ჩემს მიერ ნათქვამ მოვალეობას და დაადგენთ ამაზედ საერთო საზოგადოების განაჩენს. რაც შეეხება მასწავლებლის ჯამაგირს, სასკოლო და სასწავლო ნივთებს, ამაებს ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება იკისრებს და თქვენ არაფერი მოგეთხოვებათრაო. ჩამოვარდა დიდი ლაპარაკი და კამათობა და ბოლოს ისევ სკოლის მომხრეებმა დასძლიეს... დღეს სკოლის კარებზედ მომდგარია 120 მონაფე,- ადგილობრივს მკვიდრ შვილები. სხვა საზოგადოებიდამ ბევრს უნდა სკოლაში ბავშვების მიბარება, მაგრამ სამწუხაროდ, სკოლაში მიღებული 60 მონაფეზედ მეტი არ იქნება, რადგანაც არც სკოლის შენობაში მოთავსდებიან მეტნი და არც მასწავლებელს შეუძლია 60 მონაფეზედ მეტის სწავლება. საკვირველი ის არის, რომ ვინც წინად სკოლის გამართვაზედ წინააღმდეგობას გვინევდნენ, დღეს ისინი უფრო წინ იწევენ სკოლაში ბავშვების მოსათავსებლად.სწავლა დაიწყეს გიორგობის თვის დამდეგს. როგორ იხარებს და იმოქმედებს სკოლა, დრო გამოაჩენს“.³³⁷

საყურადღებოა გაზეთ ივერიის რუბრიკის - „დაბა და სოფელი“³³⁸ ავ-

³³⁶ გაზ. „ივერია“, 1891, N60, გვ. 2 (დაბა და სოფელი).

³³⁷ გაზ. „ივერია“, 1892, N 257, გვ. 1 (ახალი ამბები).

³³⁸ გაზ. „ივერია“, 1897, N 63, გვ. 2 (დაბა და სოფელი).

ტორის ა. კობაიძის მოსაზრებების გაცნობა, რომელიც ეხება სტეფან-წმიდაში სკოლისა და სამკითხველოს დაარსებას. კორესპონდენციამში მითითებულია, რომ ამ ამბავმა ახლომდებარე სოფლების მაცხოვრებლებზეც იქონია დადებითი გავლენა, რადგან მათში წერა-კითხვის შესწავლის სურვილი აღძრა. იმის მიუხედავად, რომ სტეფანწმიდის სასწავლებელი ახალ გახსნილი იყო, უკვე ჩანდა მისი შედეგი - სულ რამდენიმე წლის წინ სტეფანწმიდასა და ხევის სოფლებში, მათი უმრავლესობა უგზოობისა და ჩაკეტილი/თვითკმარი მეურნეობის გამო, მოწყვეტილი იყო გარესამყაროს, წერა-კითხვა მხოლოდ სასულიერო პირებმა, რამდენიმე ვაჭარმა და მოხელემ იცოდა. ახლა კი, ყოველ წელს, სულ უფრო მეტი ვაჭი სწავლობს სასწავლებელში. მით უფრო, აღსანიშნავია, რომ სკოლაში დადიოდნენ გოგონებიც. მიმოხილვაში ნათქვამია, რომ გოგონების სწავლა ხევისთვის ახალი და მნიშვნელოვანი ამბავია - წინათ გოგონების განათლებას საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება, მათ შორის, არც ოჯახების მხრიდან. ახლა, როგორც ჩანს, ვითარება შეცვლილა და გოგონებისთვისაც ისევე საჭიროდ ითვლება წერა-კითხვის ცოდნა, როგორც ვაჭებისთვის. ხაზგასმულია ქალთა განათლების მნიშვნელობის მეორე მხარეც - ისინი მიღებულ ცოდნას თავის და-ძმებს უზიარებდნენ და სკოლაში სიარულის გარეშეც (როგორც ჩანს, მიზეზთა გამო, ეს არ შეეძლო) ასწავლიდნენ ანბანს. მაგალითად მოყვანილია ის ფაქტი, რომ სოფელ გორისციხეში, სადაც 55 კომლი ცხოვრობდა და არ ფუნქციონირებდა სკოლა, 9 ყმანვილი აღმოჩნდა, რომლებმაც ანბანი შინ ისწავლა თავისი დის დახმარებით (ეს გოგონები სტეფანწმიდის სკოლაში დადიოდნენ).

მიმოხილვის ავტორის (ა. კობაიძე) აზრით, შინ სწავლის მნიშვნელობას, რაშიც გოგონების როლი უდავოდ დიდი იყო, ის გარემოებაც განაპირობებდა, რომ გარკვეულ ასაკს მიღწეულ ვაჭებს მშობლები საოჯახო საქმიანობაში აბამდნენ და ამის გამო მათ განათლების საშუალება აღარ ეძლეოდათ - „მოხევეები, თუ გუდის ტარება შეიძლო ბავშვმა, ნებას არ აძლევენ სწავლისასა, მაშინვე ან მწყემსად, ან ურემზედ და ან სხვა რაიმე სამუშაოზედ დასაქმებენ და გოგონები კი შინ არიან თავისუფლად და სწავლასაც არავენ უშლით“³³⁹.

სოფლების მიხედვით წიგნების განაწილებაც გარკვეული პრინციპით ხდებოდა. უპირატესობა ენიჭებოდა თემს, სადაც სკოლა არ იყო გახსნილი და სოფლის მცირე სამკითხველო რჩებოდა ხალხში წერა-კითხვის გავრცელების ერთადერთ საშუალებად - „ბატონმა კავკავის ქართულის სკოლის მასწავლებელმა ლ. ბოცვაძემ გადმომცა 50-მდე წვრილი წიგნები,

³³⁹ გაზ. „ივერია“, 1897, N63, გვ. 2 (დაბა და სოფელი)

ზაქ. ფიჭინაძის გამოცემულნი - ხალხში მუქთად დასარიგებლად [წერს ა. კობაიძე]. მე ის წიგნები სტეფანწმინდაში არ დავარიგე ხუთზე მეტი, რადგან იქ სკოლაც არის მსურველთათვის და წიგნთსაცავიცა; ამიტომ დანარჩენი გამოცემები წავილე დასარიგებლად სტეფანწმინდაზე 7-12 ვერსით დაშორებულ სოფლებში, სადაც არც სკოლის სხივი მიჰკარებიათ და არც წიგნების კითხვის გემო უგემნიათ. სოფელ გარბანში, სადაც ოც-ამდე კომლია, სულ ახლახან ანბან შესწავლილი 12-მდე გოგო და ბიჭი აღმოჩნდა, აქ დავარიგე 25 ცალი. სოფელ სიონში აღმოჩნდა 16 გოგო და ბიჭი, აქაც 45 კომლია და ეს ბავშვებიც უსკოლოდ ანბანს სწავლობენ. სოფელ გორისციხეში, სადაც 55 კომლი სცხოვრობს, აღმოჩნდა უსკოლოდ ნასწავლი 9 ყმაწვილი. სოფელ ხურთისში დავარიგე 6. აქაც 29 კომლამდე ირიცხება“³⁴⁰.

საქართველოს მთიანეთში სასწავლებლების გამართულ მუშაობაზე გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა „მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“. 1900 წელს დუშეთის მაზრის სოფელ სნოს სკოლას ეწვია ამ საზოგადოების ინსპექტორი ბესარიონ მამინაიშვილი, რომელმაც სოფლის საზოგადოებას წარუდგინა სკოლის შენობის რეკონსტრუქციისა და გაფართოების გეგმა. ინსპექტორის განცხადებით, მასწავლებელთა შენახვას და მოსწავლეებისთვის სასკოლო ნივთების შეძენას უზრუნველყოფდა ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების საბჭო. თუმცა, გარკვეული ვალდებულება სოფელსაც ეკისრებოდა - მაგ. შემის მოტანა და დამზადება, მუშის დაქირავება. ივერიის კორესპონდენციაში³⁴¹ ნათქვამია, რომ სოფლის მოსახლეობა მოწონებით შეხვდა ინსპექტორის დაპირებას სკოლის რესტავრაციის შესახებ. მოსახლეობის განწყობა კარგად გამოხატავდა საკუთარი შვილების განათლების საქმისადმი მათ პოზიტიურ დამოკიდებულებას.

სნოს სკოლა 1900 წელს გაიხსნა. ამ საკითხს გამოეხმაურა გაზ. ივერია - „8-9 წლის წინ არც ერთი სკოლა არ ჰქონდათ მოხვევებს და ხალხიც წინააღმდეგობას უწევდა სკოლის გახსნაში ჩართულ მოთავეებს. ახლა კი მალე სიონშიც იქნება სკოლა, რადგან საზოგადოებამ დაამტკიცა ეს ამბავი და კომლზე 4-4 მანეთი დაანესეს სიონში სკოლის შენობის ასაგებად“.

სოფელ სნოში სკოლის გახსნას „ივერიამ“ კიდევ ერთი წერილი დაუთმო³⁴², საიდანაც ირკვევა, რომ სკოლა ერთკლასიანი იყო; სკოლის შენობის კურთხევას დაესწრნენ კავკასიის ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგა-

³⁴⁰ გაზ. „ივერია“, 1897, N63, გვ. 3 (დაბა და სოფელი)

³⁴¹ გაზ. „ივერია“, 1900. N77, გვ. 4 (ახალი ამბები)

³⁴² გაზ. „ივერია“, 1900, N246, გვ. 2 (ახალი ამბები)

დოების სკოლების ინსპექტორი ე. მამინაიშვილი და მიმდებარე სოფლების სასულიერო და საერო საზოგადოება. წირვაზე შეკრებილ საზოგადოებას მამინაიშვილმა სიტყვით მიმართა - „...ყოველი ბედნიერება ხალხისა და კეთილდღეობა დამოკიდებულია მხოლოდ მის სულისა და გონების განვითარება-გასაქმებზე და ამის მისაღწევად უპირველეს საშუალებად დაუსახა ეკლესია და სკოლა“.

ახლადგახსნილ სკოლაში სწავლის მსურველთა რაოდენობა დიდი იყო. სამწუხაროდ, შენობა ვერ იტევდა ყველას - „იმავე დღეს შედგა სკოლაში მისაღებ ბავშვთა სია. მართალია, მსურველი ასამდე ბავშვი იყო, მაგრამ უადგილობის გამო მხოლოდ 63 ბავშვის მიღება შეძლეს, დანარჩენს (მათ შორის 11 გოგონა იყო) კი მამინაიშვილმა საკვირაო სკოლის დაარსება აღუთქვა“³⁴³

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ მალე (1902 წელს) სოფელ სიონშიც გაიხსნა დაწყებითი სკოლა. მოსახლეობამ სკოლისათვის დაიქირავა შიო ოდიშვილის ბინა. სიონის სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა აპოლონ მარკოზაშვილი, რომელიც ხელისუფლებამ პოლიტიკური აქტიურობის გამო ციმბირში გადაასახლა.

1902-03 სასწავლო წელს სიონის პირველდაწყებითი (ერთკლასიანი) სკოლა ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა, რაც სოფლის საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა. საპატიო სტუმართა შორის იმყოფებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალი გიორგი ყაზბეგი. აქვე, დამსახურებული პედაგოგის ალ. კვაჭაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა კომისია, რომელსაც სკოლისთვის შესაფერისი შენობის აგებისთვის უნდა ეხელმძღვანელა³⁴⁴ (ახალი სკოლა 1907 წელს გაიხსნა). სოფლის დადგენილებით საჭაპანო ტრანსპორტი გამოყვანილი უნდა ყოფილიყო უფასოდ, ძაუგიდან კი შემოიზიდათ ხე-ტყის მასალა და კირი. ახალ სკოლაში მოსწავლეები მეზობელი სოფლებიდანც (არშა-გაიბოტენი, თოთი, გარბანი, ვარდისუბანი, გორისციხე-ტყარშეტი) დადიოდნენ.

ყურადღებას იქცევს ხევში საქართველოს ეგზარქოსის ალექსის სტუმრობის დეტალებიც³⁴⁵. ვიზიტისას მან რამდენიმე ეკლესია და სკოლა მოინახულა. ეგზარქოსი დაინტერესებულა ძველი ხატწერის ნიმუშებითაც,

³⁴³ სკოლის გახსნაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ადგილობრივმა მღვდელმა გიორგი სირაძემ და მამასახლისმა გიორგი შიოლაშვილმა.

³⁴⁴ სკოლისთვის ახალი შენობის აშენების საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ: **ა. კობაიძე, მ. ლუღუშაური** და **გრ. დავითაშვილი**.

³⁴⁵ გაზ. „ივერია“, 1902, N166, გვ.2 (ხევი)

რომლებიც იქაურ ტაძრებში ინახებოდა, ასევე, ეკლესიების მდგომარეობით - ადგილზე ჩასულს უბრძანებია რამდენიმე მათგანის სასწრაფო რესტავრაცია (მაგ. სიონის ტაძრის), რაც შებათქაშებასა და კედლების თეთრად შეღებვას გულისხმობდა. რესტავრაციის ეს ფორმა პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა ტაძრების ავთენტურობას, ჯერ კიდევ შემორჩენილ ფრესკებს. ეგზარქოსი ეწვია სტეფან-წმიდის ეკლესიის ახლოს მდებარე სკოლასაც. პირადად გამოსცადა მოსწავლეები რუსული და ქართული გალობისა და ლოცვების ცოდნაში. როგორც სტატიამია ხაზგასმული, ეგზარქოსი მოსწავლეების მომზადების დონით კმაყოფილი დარჩენილა. მასზე იმოქმედა იმანაც, რომ მოსწავლეები საკმაოდ თამამად საუბრობდნენ რუსულად. ირკვევა, რომ სკოლაში მასწავლებლად მუშაობდნენ მ. მარკოზაშვილი და ადგილობრივი მღვდელი მ. კანდელაკი. ნიშანდობლივია ეგზარქოსთან მ. კანდელაკის საუბრის ერთი დეტალის პერიფრაზიც - მასწავლებელმა მიუთითა, რომ რუსულის კარგად სწავლაში აღსაზრდელებს ქართული ენის ცოდნა ეხმარებოდა - უცხო ენის სწავლის საფუძვლად დედა-ენის გამოყენების მნიშვნელობაზე ეგზარქოსიც დაეთანხმა მასწავლებელს. სტეფანწმიდის სკოლაში გოგონებიც სწავლობდნენ. ეგზარქოსი მათაც გაესაუბრა და გამოარჩია 11-12 წლის გოგონა, რომელიც კარგად ფლობდა რუსულს. ეგზარქოსმა ის ფულით დაასაჩუქრა, როცა გაიგო, რომ მამა გარდაცვლილი ჰყავდა და დედას უწევდა ბავშვზე მზრუნველობა.

ეგზარქოსის ხევში ვიზიტის შეჯამებისას ივერიის კორესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე:

1. ახალი სკოლების გახსნა იმ სოფლებში, სადაც ამის გადაუდებელი საჭიროება იყო და მოსახლეობაც ითხოვდა (კობი, სიონი).

2. ყაზბეგის და სნოს ერთკლასიანი სკოლების გადაკეთება ორკლასიან სკოლებად. სკოლების რიცხვის მატება და სასწავლო პროცესის გახანგრძლივებაც - ორკლასიანი სასწავლებლების გახსნით, მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩათვლილიყო ხევის მოსახლეობისთვის, რომელსაც სრულად ჰქონდა შეგნებული სწავლის მნიშვნელობა და არც სახსარს ზოგავდა ამ საქმისთვის.

3. კორესპონდენციის ავტორი (ფსევდონიმი - კალმის-წვერა) განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ეგზარქოსმა, მართალია, გარემოებიდან გამომდინარე იძულებით, მაგრამ მაინც აღიარა დედა ენის მნიშვნელობა რუსულის სწავლების პროცესში, რაც იმ დროისთვის იშვიათ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. როგორც ჩანს, ქართველი მასწავლებლები, ოფიციალური საგანმანათლებლო კურსისგან გადახვევით,

მანც ახერხებდნენ სკოლებში ქართული ენის სწავლებას - „მეორე დიდი ნუგეში ჩვენთვის ის არის, რომ მისი მეუფება ეგზარქოსი თავისი თვალთ ნახულ საქმეს გულითაც დაერწმუნა და განმეორებით ბრძანა: „თუ არა დედა-ენის საშუალებით, მართლა ძნელი არის ბავშვებისთვის უცხო ენის შეთვისება“.

ხევის მოსახლეობაში განათლების გავრცელების საკითხს გაზ. ივერი-ის სხვა ნომრებშიც ეთმობა საკმარისი ადგილი. არსებული მდგომარეობის საინტერესო ანალიზით გამოირჩევა კორესპონდენცია³⁴⁶, სადაც კვლავ ხაზგასმულია, რომ მოსახლეობა, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მონდომებით ცდილობდა ელემენტარული განათლება მანც მიეცა შვილებისთვის. თუ XIX საუკუნის მიწურულისთვის ხევში ოყო მხოლოდ ორი სკოლა - სტეფანწმიდასა და სნოში, უკვე 1903 წლისთვის მათ ორი ახალი სასწავლებელიც დაემატა - სიონსა და ყანოებში. მოხვევების პარალელურად აქ მცხოვრებმა ოსებმაც გახსნეს სკოლები თრუსოში, კობსა და ლუდში. სტატიიდან ირკვევა, რომ XX საუკუნის დასაწყისისთვის ხევში ცხოვრობდა 950 კომლი ქართველი და 550 კომლი ოსი მოსახლეობა და ფუნქციონირებდა ექვსი სკოლა. აქედან ორი ორკლასიანი სასწავლებელი იყო, ოთხიც - ერთკლასიანი, თუმცა, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ხელისუფლებამ ერთკლასიანი სკოლების ორკლასიან სასწავლებლებად გადაკეთების გადწყვეტილება მიიღო. მოხვევები საკუთარ საქმედაც თვლიდნენ სკოლების შემწეობას და მხოლოდ მთავრობის იმედზე არ ყოფილან - „მოხვევები თავიანთი საკუთრებითგანაც აძლევენ მასწავლებლებს ჯამაგირს და სასკოლე შენობებს კი საკუთარი საშუალებით აშენებენ“.

ამდენად, გაზეთებში გამოქვეყნებული მიმოხილვები კარგად გვიჩვენებს დროის მოკლე მონაკვეთში (1897-1903 წწ.) იმ დადებით დინამიკას, რაც ხევში სკოლების რაოდენობის გაზრდას და მოსახლეობის განწყობის ცვლილებას - განათლების მნიშვნელობის აღიარებას - უკავშირდება. ბუნებრივია, ამ პროცესს განაპირობებდა დაწყებითი განათლების ფუნქციონალური დატვირთვა მოსახლეობისთვის, რაც კარგად ესმოდათ ადგილობრივებს. მათგან განათლების მნიშვნელობის სწორად გააზრების მანიშნებელია მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა სკოლების დაარსების პროცესში.

³⁴⁶ გაზ. „ივერია“, 1903, N49, გვ. 3 (ჩვენებური ამბები)

Tamar Pkhaladze, Associate Professor

Nino Shiolashvili, Associate Professor

Educational activities in Khevi at the turn of XIX-XX centuries (according to periodical materials)

Georgian periodicals of the 19th century covered the state of education in the Thruso valley and, in general, in the valley. Newspaper reviews focus on the following topical issues: (a) shortage of schools; (b) lukewarm attention towards education of local residents; (c) poverty of population that hindered its active participation in the process of rural schools' foundation; (d) lack of pedagogues and (e) deficit of learning resources, including absence of reading halls.

In the newspaper articles the attention is pinpointed on the foundation of schools and reading halls that has had a positive impact on the population and increased their wish to study how to read and write. It is worth mentioning that the newly founded schools were attended by girls, as well, and they shared the acquired knowledge with their siblings and taught them the alphabet.

Books were distributed among villages according to the definite principle. Those communes were preferred, where no schools were operated, since in this case the reading halls remained the only way of literacy distribution among population.

The responsibility for foundation and smooth operation of schools in the area was rested on the Christianity Revival Society, which founded in 1900 the primary school in Sno village. It should be noted the role of the Society for the Spreading of Literacy among Georgians, on the initiative of which the primary school was founded in Sioni village (1902), as well.

In the newspapers review an attention is given to the details of Exarch of Georgia Alexei visit to Georgia (1902). In particular, Exarch was forced to recognize the importance of Deda Ena (Georgian Alphabet textbook) in the process of teaching and learning Russian _ "It was a great consolation for us that the Highness Exarch took to his heart all that came in his view and said once more: "If not the Deda Ena, the foreign language acquisition is truly difficult for children~.

Reviews published in periodicals demonstrate the positive dynamics of the beginning of the XX century related to the expansion in the number of schools

and recognition of education importance by local population. It is notable that Stepantsminda, Sno, Sioni and Kanobi schools were already functioned by 1903 in the Khevi. At the same time, Ossetians founded the schools in Truso, Kobi and Ghuda, as well.

**თრუსოს მოსახლეობის ეთნიკური ისტორია
უძველესი დროიდან ახ. წ. აღ. XI საუკუნის
პირველი მეოთხედის ჩათვლით**

საკვანძო სიტყვები: ნანარები, თრუსო, ხევი, მოსახლეობა.

თანამედროვე საქართველოს საზღვრისპირა, უძველესი ქართული ეთნო-ისტორიული კუთხეებიდან, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეული-თრუსო წარმოადგენს იმ გეოგრაფიულ არეალს, რომელიც, ზოგიერთ ოს ავტორს სურს, რომ „აღმოსავლეთ ოსეთის“ სახელწოდებით გამოაცხადოს ოსების ისტორიულ ტერიტორიად და მათ უძველეს საცხოვრისად. ოსმა ავტორებმა რა თქმა უნდა ძალაინ კარგად იციან, რომ წყაროების (ნარატიული, დოკუმენტური, ეპიგრაფიკული, ეთნოგრაფიული) ისტორიული ჭეშმარიტება მათი აზრისა და მიზნის საპირისპიროდ მეტყველებს, მაგრამ, ზუსტად ამ ისტორიული ჭეშმარიტების გაყალბებით ცდილობენ, თავიანთი ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული აზრის დანერგვას.³⁴⁷

თრუსო, რომ ძველთაგანვე საქართველოს ფარგლებში შემავალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო, სხვადასხვა კლასიფიკაციის ისტორიული წყაროების მონაცემების ობიექტურად წარმოჩენით ნათლად დასტურდება.

გულდამ ჩიქოვანის კვლევის მიხედვით, აღნიშნული ტერიტორიული ერთეული ისტორიული დვალეთის ტერიტორიულ შემადგენლობაში შედიოდა, სადაც ქართულ, სომხურ და ანტიკურ წყაროებში მრავალგზის მოხსენიებული ეთნიკურად ქართველი დვალეები ცხოვრობდნენ.³⁴⁸

როლანდ თოფჩიშვილს სხვადასხვა კლასიფიკაციის წყაროების გაანალიზების შედეგად მიაჩნია, რომ თრუსო ცალკე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეული იყო და დვალთა აქ დამკვიდრება არ იძლევა იმის საფუძ-

³⁴⁷ რ. თოფჩიშვილი, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, თბ., 2019, გვ. 3-5; **Б. А. Калоев.** Осетины. - М., 1971, С. 52, 58.

³⁴⁸ გ. ჩიქოვანი, თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, 1985, გვ. 107.

ველს, რომ ეს ტერიტორია დვალეთის შემადგენელ ნაწილად მივიჩნიოთ. XIV-XV საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში თრუსოს მოსახლეობა თრუსოელის სახელით არის მოხსენიებული. მაგალითად, „ძეგლი ერისთავთაში“ ნათქვამია, რომ „მაშინ ჩავიდეს თრუსუს და მოეგებნეს თრუსუელნი მრავლითა ძლუნითა და ერთგულობისა ჩუენებითა და ევედრნეს შუელად მტერთა მათთა ზედა მნას“.³⁴⁹

თრუსოს მცხოვრებლნი „თრუსოველნი“-ს სახელით მოიხსენიებიან აგრეთვე XV საუკუნის „გერგეტის მატთანეში“ და „სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნში“. თრუსუელნი შუა საუკუნეების საქართველოში, ისეთივე ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, როგორც დვალეები, ხევსურები, ფშავლები, მოხევეები, მთიულეები და სხვ.³⁵⁰

ზოგიერთი თანამედროვე ავტორის აზრით, თრუსოს ტერიტორია იწყება სოფელ კობიდან თერგის აყოლებით და ვრცელდება მდინარე არდონის ხეობაში გადასასვლელ თრუსოს უღელტეხილამდე. ხოლო, მკვლევართა გარკვეული ნაწილი კი მიიჩნევს, რომ იგი მოიცავს ტერიტორიას მდინარე თერგის სათავიდან ხეობის უვიწროეს ადგილ კასარამდე. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვითაც თრუსო ეწოდება ტერიტორიას მდინარე თერგის სათავიდან ხეობის უვიწროეს ადგილ ყაშარა//კასარამდე.³⁵¹

„ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით თერგის ხეობაში XIV საუკუნეში ხევსა და თრუსოს შორის გამოიყოფოდა მნის ტერიტორიული ერთეული. მნის ხეობელნი თრუსოელებად არ არიან მიჩნეულნი.³⁵² თერგის ხეობაში აღნიშნული სამივე ტერიტორიული ერთეული (თრუსო, მნა, ხევი) გერგეტის სამეზას ეყმობოდა.³⁵³

³⁴⁹ **რ. თოფჩიშვილი**, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, იქვე. გვ. 35; **რ. თოფჩიშვილი**, დვალეთი და დვალეები, თბ., 2016, გვ. 46; „ძეგლი ერისთავთა“, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო **ი. დოლიძემ**, თბ., 1965, გვ. 113.

³⁵⁰ **რ. თოფჩიშვილი**, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, იქვე. გვ. 35-36; **გ. ჩიქოვანი**, თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, იქვე. გვ. 107.

³⁵¹ **რ. თოფჩიშვილი**, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, თბ., 2019, გვ. 30.

³⁵² ბატონ როლანდ თოფჩიშვილს „ძეგლი ერისთავთა“-ში მოხსენიებული მნაველები მოხევეებად, მათ თანამომქმეებად მიაჩნია. **რ. თოფჩიშვილი**, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, გვ. 32-33; **რ. თოფჩიშვილი**, დვალეთი და დვალეები, თბ., 2016, გვ. 48-49.

³⁵³ **რ. თოფჩიშვილი**, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, იქვე. გვ. 30-31.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების მიხედვით თერგის ხეობა, უძველესი დროიდან, მთლიანად, წანართა ქართველური ტომით ყოფილა დასახლებული, რომლებმაც შემდგომ ხანებში დიდი როლი ითამაშეს კახეთის სამთავროს წარმოქმნაში. წანარები სათავეში უდგებიან არაბთა წინააღმდეგ ბრძოლას და თანდათან კახეთის ბარში სახლდებიან. კახეთის ბარში მათი მიგრაცია ეკონომიკური ვითარებითაც ყოფილა გამომწვეული.³⁵⁴

წანარების კახეთის მთისწინა ბარში მასიურმა მიგრაციამ კი გამოიწვია ის, რომ თერგის ხეობაში ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეული გაქრა და ასევე ბარში მათმა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევამ, მათი მოხსენიება ისტორიული სარბიელიდან მთლიანად გააქრო.³⁵⁵

ქართველი მკვლევრები წანარებს ქართულ სამყაროს მიაკუთვნებენ. მათი თავდაპირველი განსახლების ხევის ტოპონიმიკა და ეპიგრაფიკა ქართულია. წანარეთი შედიოდა წილკნის საეპისკოპოსოს შემადგენლობაში, სადაც ღვთისმსახურება აღევლინებოდა ქართულ ენაზე. ე. ი. წანარები, სხვადასხვა კლასიფიკაციის წყაროების მიხედვით, სრულიად აშკარაა, რომ ერთ და ეკლესიით, ანუ კულტურულ ისტორიული სახით, იყვნენ ქართველები.³⁵⁶

რ. თოფჩიშვილის კვლევის მიხედვით, დაახლოებით XIII საუკუნიდან წანარებისგან დაცლილ წანარეთის ტერიტორიის წაწილს თრუსოს მნის ხევამდე ოსებისგან შევიწროვებული ძირ-ძველი ქართული ეთნიკური ჯგუფი დვალები იკავებენ. ამავე დროს, ისტორიული წანარეთის მეორე დიდ წაწილსაც სახელი ეცვლება და ხევად იწოდება.³⁵⁷

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ -ის თხზულებაში მეექვსე საუკუნის ქართლის პოლიტიკური ვითარებაზე საუბრისას, კერძოდ კი, სასანიდური ირანის მიერ ქართლში მეფობის გაუქმებისა და ირანელთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გადასასვლელების დაკავების ამბებთან ერთად მოხსენიებულია წანარეთის ხევი, „და ვითარცა მეფობაჲ დაესრულა ქართლს შინა, სპარსნი განძლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს. და კავკასიათა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთვე და ორნი დვალებს და ერთი პარჭუანს დურძუქე-

³⁵⁴ რ. თოფჩიშვილი, დვალეთი და დვალები, თბ., 2016, გვ. 49.

³⁵⁵ რ. თოფჩიშვილი, დვალეთი და დვალები, იქვე გვ. 50.

³⁵⁶ გ. ჯავარიძე, წანართა შესახებ, ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, ტ. I, თბ., 2012, გვ. 89.

³⁵⁷ რ. თოფჩიშვილი, დვალეთი და დვალები, იქვე გვ. 50.

თისასა, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინნეს. და სხუაჲ ვინმე კაცი დაიდგინნეს მთავრად წანარეთისა ჴევსა და მორჩილებაჲ დასდევს მისი.³⁵⁸

მოგვიანო ხანის ისტორიულ ძეგლებში მოხსენიებული „ჴევის“ ადგილმდებარეობას შეესაბამება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის „წანარეთის ხევი“. ვახუშტი ბაგრატიონი, როდესაც აღწერს დღევანდელი ხევის მდებარეობას და მის მოსაზღვრე ტერიტორიებს, სხვა ადგილას კიდევ იმასაც აღნიშნავს, რომ „ჴევი“ შეცვლილი სახელია. „არამედ ჴევი-აღნიშნულია-, რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა, არს დუალეთისავე, გარნა ვინაჲთ-გან მტკიცედ დაიპყრეს მეფეთა ქართლისათა, იგი უწოდეს შეცვლილითა სახელითა ჴევად, ვინაჲთგან არს ჴევი შუენიერი“.³⁵⁹

როლანდ თოფჩიშვილიც განმარტავს, რომ, თერგის ხეობიდან, ანუ ისტორიული წანარეთიდან, წანართა ბარში გადასახლების გამო, თერგის ხეობიდან//წანარეთის ხევიდან წანარეთი გაქრა და დარჩა მარტო „ხევი“, რომლის მოსახლეობასაც დღეს მოხვევებს ვუწოდებთ.³⁶⁰

„ისტორიანი და აზმანი შარავანდეთიანი“-ს თხზულების ცნობით, როდესაც, თამარ მეფემ აჯანყებული ფხოველების დასამორჩილებლად ივანე ათაბაგი გაგზავნა მთაში, მოხვევებთან ერთად აქ დასახლებულ მთიელებს შორის თრუსოელები არ არიან მოხსენიებულნი, როგორც რ. თოფჩიშვილი შენიშნავს, ივანე ათაბაგის ლაშქრობის დროს XII საუკუნეში, თერგის სათავეებში, როგორც ჩანს, ცალკე ეთნოგრაფიული ჯგუფი თრუსოელი ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო, რის გამოც არ იხსენიებიან თრუსო და თრუსოელი.³⁶¹

ერთიანი წანარეთი X საუკუნის შემდეგ სამ პატარა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხედ დაიშალა: თრუსოდ, მნად და ხევად. მნა თრუსოსა და ხევს შორის მოქცეულ ცალკე შუა მიკრორეგიონს რომ წარმოადგენდა ეს კარგად ჩანს „ძეგლი ერისთავთა“-ს თხზულებიდან, რომლის მიხედვითაც,

³⁵⁸ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-X სს.), **ილია აბულაძის** ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, ბ. ტექსტი გვ. 94-95.

³⁵⁹ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, თბ., 1973, გვ. 634; **ე. ცაგარეიშვილი**, წანარების ტომის ისტორიიდან, მუშაკი სულიერისა ვენახისაჲ, ეძღვნება **მიხეილ ქავთარიას** 80 წლის იუბილეს, თბ., 2012, გვ. 251.

³⁶⁰ **რ. თოფჩიშვილი**, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, თბ., 2019, გვ. 32.

³⁶¹ **რ. თოფჩიშვილი**, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, იქვე. გვ. 32-33.

თრუსოელნი და მნაველნი ურთიერთ დაპირისპირებულნი არიან. თრუსოდან წანარების მიგრაციის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე სხვა ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი დვალეები მოვიდნენ.³⁶²

ჯ. გვასალიას მიაჩნია, რომ ალექსანდრიელი გეოგრაფოსის კლავდიოს პტოლემეაოსის (100-178 წწ.) ცნობებში მოხსენიებულ „სანარიელებში“, რომლებიც დასახელებულნი არიან ჰენიოხებთან, სვანოკოლხებთან და ალბანელებთან მეზობლობაში, იგულისხმებიან ხევის ტერიტორიაზე მოსახლე წანარები.³⁶³ თავის მხრივ, ჯონდო გვასალია ეთანხმება იმ მეცნიერთა გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებსაც „თრუსოში და ზოგადად ხევის ტერიტორიაზე მცხოვრები „წანარები“ სვანურენოვანი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებად მიაჩნიათ და თავის მხრივ ამ შეხედულებას სხვადასხვა მასალებით უფრო ამყარებს.³⁶⁴ ჯ. გვასალია ხევე მოპოვებულ მასალასაც იშველიებს და აღნიშნავს, რომ წანარებს ხევეში ადრე შუასაუკუნეებში უნდა ეცხოვრათ. ხევეში არსებული ტოპონიმების კვლევისას, დასახელებული მეცნიერი ამბობს, რომ „წან“ ფუძის შემცველი ტოპონიმები აქ უკვე გამქრალია, სამაგიეროდ სვანეთში³⁶⁵ კი მსგავსი ფუძის მქონე ტოპონიმები მრავლად არსებობს.³⁶⁶

მკვლევართა თქმით, წანარებისა და სვანების საერთო ეთნო-კულტურული საკითხის კვლევისას, ტოპონიმები მნიშვნელოვან როლს ას-

³⁶² **რ. თოფჩიშვილი**, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, იქვე. გვ. 34-35.

³⁶³ **ჯ. გვასალია**, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 59, № 3, თბ., 1970, გვ. 754.

³⁶⁴ წანარებს სვანებთან ახლო მდგომ ტომად მიიჩნევს როლანდ თოფჩიშვილიც. **რ. თოფჩიშვილი**, დვალეთი და დვალეები, თბ., 2016, გვ. 51.

³⁶⁵ **ჯ. გვასალია** სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ანტიკურ პერიოდში და მის შემდგომაც, რალაც დრომდე, სვანებს (ქართველ მთიელებს) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უნდა ეცხოვრათ. **ჯ. გვასალია**, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 59, № 3, თბ., 1970, გვ. 754-755; კლავდიოს პტოლემეაოსის მიერ მოხსენიებული წანარების ხევეში განსახლების საკითხის შესახებ, აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი ვარაუდობს, რომ, დასახელებულ გეოგრაფოსს, წანარების შესახებ ცნობები უფრო ძველი წყაროებიდან უნდა ჰქონდეს ამოღებული. **თ. ყაუხჩიშვილი**, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 167. თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდის მიხედვით გამოდის, რომ წანარები უფრო ძველი ქართული ეთნიკური ჯგუფი იყო, რომლებიც მოიხსენიებოდნენ კლავდიოს პტოლემეაოსის წინარე ავტორებთან (გ. ქ).

³⁶⁶ **ჯ. გვასალია**, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, იქვე. გვ. 753.

რულებენ. მაგალითად, სვანები სვანეთს ეძახიან „შვან“-ს. ხევში კი არის სოფელი „სნო“. თრუსოელი ოსები ხევს ეძახიან „შანა“-ს, ხოლო ინგუშები მოხევეებს ეძახიან „შუან“-ს.³⁶⁷ რ. თოფჩიშვილს წანარების ქართველობისა და მათი სვანებთან ეთნო-კულტურული სიახლოვის დამადასტურებელ ფაქტად, ასევე მიაჩნია ხევში არსებული სოფელი თოთი და სვანეთში, კერძოდ კი ხაიშის თემში არსებული სოფელი თოთის იდენტური სახელები.^{368 369}

³⁶⁷ **ჯ. გვასალია**, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, იქვე. გვ. 754.

³⁶⁸ **რ. თოფჩიშვილი**, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, თბ., 2019, გვ. 32.

³⁶⁹ წერილობითი, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წინაქრისტიანულ ქართულ რელიგიურ სააზროვნო სისტემაში მნათობთა თაყვანისცემას განსაკუთრებული ადგილი ეკავა, რომელიც ქრისტიანულ დროშიც კი საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ხალხურ ყოფაში სხვადასხვა მოტივებით მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა. არ გამოვრიცხავ, რომ ხევში და სვანეთში არსებული სოფლების სახელწოდება „თოთი“ -ს ეტიმოლოგია მომდინარეობდეს მთვარის და მის წმინდა ცხოველად აღიარებულ ხარის თაყვანისცემიდან. აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, „ფილეთეოსის მარტივობა“-ში (ახლად გაქრისტიანებული ფილათეოსი დიოკლიტიანეს მოღვაწეობისას აწამეს) მოხსენიებულ თივის მჭამელ წმინდა „თოთზე“ ამხევილებს ყურადღებას და წერს (ფილათეოსი წარმოშობით ეგვიპტელი იყო), მისი წარმართი მშობლები ღმერთად აღიარებდნენ თივის მჭამელ ძროხას, რომელსაც „თოთს“ ეძახდნენ. ძველი ეგვიპტელების მთავარი ღვთაება მზის ღმერთთან „რა“-სთან ერთად იყო „თოთი“ იგივე მთვარის ღვთაება. „თოთს“ ეგვიპტეში, ასევე მიეკუთვნებოდა თვის ღვთაების შინაარსიც. კ. კეკელიძის ვარაუდით, ეგვიპტურ მთვარე//თოთი//ხარი-ს ღვთაების სახელსა და რელიგიურ ცნობიერებას შეიძლება მივუსადაგოთ მეგრულ-ჭანების მთვარის ღვთაების სახელწოდება „თუთა“ და ქართული მთვარის ღვთაების სახელი „თუთე“. როგორც ეგვიპტეში, ისე საქართველოში მთვარის კულტი ძირითადი კულტი იყო. ეგვიპტეშიც და საქართველოშიც მთვარე მამაკაცის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. ეგვიპტეში „თოთის“ სახელით აღნიშნებოდა, როგორც მნათობი, მთვარე, ისე წელიწადის თვე. ამის მსგავსად ქართველი ხალხიც (ქართვები, ჭანები, მეგრელები) თუთა-თუთეს სახელით აღნიშნავდნენ მნათობსაც და თვესაც. კ. კეკელიძე, ფილათეოსის მარტივობა (ქართულ-კოპტური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან), ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VI, თბ., 1960, გვ. 84-87.

წარმოდგენილ ფაქტებზე და ცნობებზე დაყრდნობითაც, როგორც უკვე აღვნიშნე, სრულიად შესაძლებელია, რომ ხევსა და სვანეთში არსებული სოფლების სახელწოდება „თოთი“-ს სახელის გენეზისშიც ამოვიკითხოთ ქართველი ერის უძველესი მთვარის, იგივე თუთა//თუთეს ღვთაების თაყვანისცემა, რო-

ნ. მარს წანარები „შიშინა ჯგუფის“ ტომის წარმომადგენლებად მი-
აჩნდა. ამ ჯგუფის წარმომადგენლები კი მისი აზრით იყვნენ მეგრელები
და ჭანები, ხოლო, თავის ერთ ნაშრომში კი წანარებს პირდაპირ სვანებს
მიაკუთვნებს.³⁷⁰

წანარების ეთნიკური წარმომავლობისა და განსახლების არეალის
შესახებ უცხოელ მკვლევრებში სხვადასხვა აზრი არსებობს. ვარაუდის
დონეზე, რაიმე მნიშვნელოვანი არგუმენტის გარეშე, ზოგიერთ მათგანს
მიაჩნია, რომ ეს ეთნიკური ჯგუფი ვაინახური წარმომავლობისაა.³⁷¹

წანარები სომხურ საისტორიო წყაროებში პირველად იხსენიებიან
ანონიმურ გეოგრაფიაში, რომელსაც ანანია შირაკელს (VII ს.) მიაწერენ. ამ
ცნობით მიხედვით, წანარები ბინადრობდნენ ალანთა და ნელქანის კარების
ტერიტორიაზე. წანარების გარდა აღნიშნულ წყაროში, ასევე დასახელებ-
ბულნი არიან, როგორც საქართველოს სხვა მთიელები (რაჭველები, დვა-
ლები, თუშები, გუდამაყრელნი ...), ასევე ჩრდილოკავკასიაში მცხოვრე-
ბი არაქართულენოვანი მთიელებიც (ხუნძები, ლეკები ...).³⁷² ამ ცნობით
ირკვევა, რომ წანარები ფლობენ ალანთა (დარიალის კარი) და ნელქა-
ნის კარებს. თომა არწრუნის ცნობით, წანარები ცხოვრობენ ჩრდილოეთ
მხარეში მდებარე წანაკის ქვეყანაში, რომლებიც დამკვიდრებულნი არიან
მთის სიმაგრეებში უზრუნველად და მშვიდად გარეშე მტრებისგან უს-
აფრთხოდ. სამეფო ხარკი და გადასახადი მათთვის რჩებათ და თავიანთ
სურვილისამებრ თავის გამგებლად ერთ კაცს აყენებენ, მათ ახლოს არის
კავკასიის მთა.³⁷³

იოანე დრასხანაკერტელთან წანარები შემდეგნაირად იხსენიებიან:
„წანარნი ალანთა კარამდის და მათი მცველი კარის სიმაგრე“. სომხ-
ური წყაროების შესწავლისა და მათი ერთმანეთთან შეჯერების შედეგად
ირკვევა, რომ წანარების ქვეყანა ძირითადად ალანთა (დარიალის კარი)

მელიც თავის მხრივ, იმაზეც მეტყველებს, რომ უძველეს დროში, ქართველი
ერის წინაპრებს ეგვიპტელებთან მჭიდრო კულტურული კონტაქტი ჰქონდათ და
თითქმის საერთო სახელწოდების მქონე ღვთაებებიც გააჩნდათ (გ. ქ).

³⁷⁰ **გ. ჯაფარიძე**, წანართა შესახებ, ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, ტ. 1, თბ., 2012, გვ. 90.

³⁷¹ **გ. ჯაფარიძე**, წანართა შესახებ, იქვე. გვ. 89-95. დამოწმებულ ლიტერატურაში იხილეთ წანართა ვაინახური წარმომავლობის შესახებ არსებული ლიტერატურაც.

³⁷² **ე. ცაგარეიშვილი**, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, თბ., 2012, გვ. 53.

³⁷³ **ე. ცაგარეიშვილი**, წანარების ტომის ისტორიიდან, მუშაკი სულიერისა ვენახისა, ეძღვნება მიხეილ ქავთარიას 80 წლის იუბილეს, თბ., 2012, გვ. 250.

კარის მიდამოებში ლოკალიზდება.³⁷⁴

წანარები საკმაოდ აქტიურად და თითქმის დომინანტად წარმოგვიდგებიან არაბების წინააღმდეგ ქართველი ერის ბრძოლის ამსახველ ცნობებში. თომა არწრუნის ცნობით, როდესაც ბულა თურქმა წანარებთან მათი ნებაყოფლობით დამორჩილების შესახებ მოლაპარაკება მოინდომა, ამ უკანასკნელებმა იუკადრისეს ბულას ქედმაღლური წინადადება მორჩილების შესახებ და მისი მოციქულები ლანძღვითა და გინებით, ნაცემები უკან გამოისტუმრეს.³⁷⁵

ბულა თურქის აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებთან ურთიერთობისა და მათ წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ XI საუკუნის ქართული ისტორიული წყარო „მატიანე ქართლისაჲ“-ც მოგვითხრობს. ოღონდ, აღნიშნულ წყაროში, მთიელები მთიულთა სახელით იხსენიებიან და არა წანარების, როგორც თომა არწრუნთან. მატიანე ქართლისაის ავტორი მთიელებს არსად წანარებთან არ აიგივებს, როდესაც მას უნდა წანარების შესახებ რაიმის გადმოცემა, მათ წანარებისავე სახელით მოიხსენიებს. მატიანე ქართლისაიში, გარდა მთიულებისა და წანარებისა, არაბებთან აქტიურ მებრძოლებათ, ასევე გარდაბნელებიც წარმოგვიდგებიან.³⁷⁶

თომა არწრუნის ცნობების შესწავლის შედეგად მკვლევრები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ ავტორს, ზოგი ცნობა წანართა შესახებ სხვადასხვა წყაროდან აქვს ამოღებული და ზოგ ადგილას ავტორს გამიჯნული არ ააქვს ტერმინები „წანარები“ და „მთიელი ტომები“. გარდა თომა არწრუნისა, სომეხ ავტორთაგან ტერმინის „წანარების“ არა საკუთრივ წანარების, არამედ უფრო ფართო მნიშვნელობით ხმარების ფაქტი იოანე დრასხანაკერტეცისთანაც გვხვდება, როდესაც ის საუბრობს სომხეთის მეფის ამოტ ერკათად წოდებულისა და უტიელი მთავრის მოსეს დაპირისპირების შესახებ, ის კახელებს წანარებს უწოდებს და კახეთის ქორეპისკოპოსს კი წანართა ქორეპისკოპოსს.³⁷⁷

წანარები ასევე მოხსენიებული არიან ლეონტი მროველის „წმიდა

³⁷⁴ ე. ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, თბ., 2012, გვ. 54.

³⁷⁵ ე. ცაგარეიშვილი, წანარების ტომის ისტორიიდან, მუშაკი სულიერისა ვენახისაჲ, იქვე, გვ. 251.

³⁷⁶ ე. ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, იქვე, გვ. 57-59; მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 252; 256.

³⁷⁷ ე. ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, იქვე, გვ. 57-59.

არჩილის წამების“ თხზულებაში, სადაც ვკითხულობთ: „მამინ უკუე წარმოდგა წინაშე ასიმისა მთავარი ერთი გარდაბანელი, მიქცეული სარკინოზად, რომლისა მამის ძმა მოეკლა წანართა და მკლველნი მისნი განერინეს მშვდობით პაპასა არჩილისსა, ადარნასე მეფესა. ამისთჳს უკუე შური იგო გარდაბანელმან...“.³⁷⁸ წმიდა არჩილის წამების³⁷⁹ ამ პასაჟის შესახებ, როგორც ვახტანგ ითონიშვილი აღნიშნავს, XI საუკუნის ავტორის ლეონტი მროველის მიერ წანართა მოხსენიება იმის მაჩვენებელია, რომ VIII საუკუნეში, აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა ბატონობის ხანაში, წანარები უკვე კახეთის ტერიტორიაზეც ჩანან და კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებაში აქტიურ როლსაც ასრულებენ.³⁸⁰

VIII საუკუნეში კახეთის სამთავროში ჩამოყალიბებაში თუ ჰეგემონ ძალას წანარები წარმოადგენდნენ, აქედან გამომდინარე, სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ 853 წელს ბულა თურქის წინააღმდეგ მეზრძოლ კონსტანტი კახის პიროვნებაში³⁸¹ დავინახოთ წანართა ერისმთავარიც, რომლისთვისაც, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრით, თავის მამულის სახელის მიხედვით უწოდებიათ „კახი“, რომელიც, თავის მხრივ კახეთის ერისთავიც გახლდათ - „მას ჟამსა ოდენ იყო ვინმე ქუეყანასა ქა-

³⁷⁸ **ლეონტი მროველი**, მეფე ქართლისა არჩილ, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 246; ლეონტი მროველი, წამებაჲ არჩილ მეფისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967, გვ. 210.

³⁷⁹ აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს კვლევის მიხედვით, არჩილ მეფე VIII საუკუნის ბოლოს 787 წლის შემდგომ უწამებიათ. **კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე**, მარტვილობა არჩილ მეფისა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბ., 1969, გვ. 80.

³⁸⁰ **ვ. ითონიშვილი**, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, თბ., 2008, გვ. 33-34.

³⁸¹ როდესაც თბილისის ამირა საჰაკ ისმაილის ძე განუდგა ხალიფა მუთავაქილს, ხალიფამ მის დასასჯელად 853 წელს საქართველოში გამოგზავნა დიდი ჯარი ბულა თურქის მეთაურობით. ბულამ დაამარცხა ამირა საჰაკი, იგი მოკლა და თბილისიც გადაწვა. ბულა თურქის ლაშქრობის დროს, როგორც ჩანს, კონსტანტი კახი აფხაზეთის მეფის ბანაკში ყოფილა, რომელიც ამირა საჰაკს ეხმარებოდა. ჰაგიოგრაფიული თხზულების მიხედვით, ერისმთავარი კონსტანტი კახი ამირა საჰაკის დამარცხების შემდეგ დაუჭერიათ და მიუყვანიათ თბილისში მყოფ ბულასთან, რომელსაც მისთვის ისლამის რჯულზე მოქცევა მოუთხოვია, მაგრამ, ვინაიდან კონსტანტის უარი განუცხადებია, იგი გაუგზავნიათ ბაბილონის ქალაქ სამარიაში, სადაც 853 წელს მისთვის თავი მოუკვეთიათ. **კ. კეკელიძე**, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, მესამე გადაშუქვებული და შევსებული გამოცემა, თბ., 1951, გვ. 493.

რთლისასა, სანახებსა ზენა სოფლისასა, კაცი, რომელსა სახელი ერქუა კონსტანტი, რომელსა ეწოდა კახაე სახელად მამულისა მის ქუეყანისა“.³⁸²

მართალია, კონსტანტი კახის მარტვილობის თხზულებაში, არსად, პირდაპირი ცნობა იმის შესახებ არ მოიპოვება, რომ ეს პიროვნება ნამდვილად იყო წანართა ერისმთავარი, ან წანარიის მფლობელი, მაგრამ, ამ ინფორმაციულ სიცარიელეს ავსებს X საუკუნის არაბი ისტორიკოსი ატ-ტაბარი, რომელიც მოგვითხრობს, რომ 853 წლის 7 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით (ქართველი ჰაგიოგრაფის ცნობით, კონსტანტი კახისთვის 853 წლის 10 ნოემბერს მოუკვეთიათ თავი. იხილეთ დასახელებული ჰაგიოგრაფიული თხზულება, გვ. 170.), აბასიანთა სატახტო ქალაქში, სამარაში, ალ-‘ამას კარიბჭესთან, მოუკლავთ ას-სანარიას მფლობელი. პროფესორ გოჩა ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ ატ-ტაბარის მიერ მოხსენიებული ას-სანარიის მფლობელი და კახეთის ერისმთავრად მიჩნეული კონსტანტი კახი ერთი და იგივე პიროვნებაა.³⁸³

რადგანაც, VIII საუკუნიდან არაბებს საქართველოს მთიანეთის დამორჩილების დროს, ერთ-ერთ ძლიერ მონინალმდგეგმ წანარები ხვდებიან, ამიტომ, შუა საუკუნეების არაბულ წერილობით წყაროებში საინტერესო ცნობებია დაცული წანარების შესახებ. არაბულ ნარატიულ წყაროებში წანარების შესატყვისია ას-სანარია, თუმცა არაბ ავტორებთან გვხვდება ამ სახელწოდების სხვა ფორმებიც: ას-სუნარია, ას-სუნნარია და ას-სინარია. არაბულ წყაროებში ას-სანარია გამოყენებულია მხარის, ქვეყნის, სამეფოს და ხალხის მნიშვნელობით.³⁸⁴

არაბი ისტორიკოსის და გეოგრაფის ალ-მას’ უდის ცნობით, X საუკუნის შუა ხანებში ას-სანარები ცხოვრობდნენ კავკასიის მთის მახლობლად და ესაზღვრებოდნენ დარუბანდს. ამ ისტორიკოსის სხვა ცნობით ას-სანარია იყო სამეფო, რომელიც გადაჭიმული ყოფილა თბილისის სასაზღვრო ოლქიდან დარიალის ციხემდე, აღმოსავლეთით კი შაქამდე, როგორც ჩანს, ამ წყაროს მიხედვით, წანართა განსახლების არეალი X საუკუნეში საკმაოდ ვრცელია.³⁸⁵

³⁸² **კ. კეკელიძე**, კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 136; მარტვილობა კონსტანტი-კახაესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი I (V-X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964, გვ. 165.

³⁸³ **გ. ჯაფარიძე**, წანართა შესახებ, ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, ტ. I, თბ., 2012, გვ. 86.

³⁸⁴ **გ. ჯაფარიძე**, წანართა შესახებ, იქვე. გვ. 83.

³⁸⁵ **გ. ჯაფარიძე**, წანართა შესახებ, ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლ-

საქართველოში არაბთა პირველივე შემოსევის დროსვე, წინარები საკმაოდ ძლიერ ეთნო-პოლიტიკურ ძალად ჩანან. როდესაც არაბმა სარდალმა ჰაბიბმა იბნ მასლამამ დაიპყრო ქართლის არა ერთი მხარე, მათ შორის, ვისაც არაბი სარდალი ცალკე დაუზავდა ხარკის გადახდის პირობით, ას-სანარები/წინარებიც იყვნენ.³⁸⁶

X საუკუნის ქრისტიანი არაბი ისტორიკოსის სა'იდ იბნ ბიტრიკის ცნობით, 622 წელს ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გამზადებულმა ბიზანტიის იმპერატორმა ირაკლიმ, ჯურზანიის (ქართლი) და აბხაზის მალიქებთან ერთად დახმარება ას-სანარიის მთავარსაც სთხოვა. სანაცვლოდ, იმპერატორმა მას, ჯურზანიის მთავრის მსგავსად, თავის სასახლეში, დარბაზობისას, ტახტზე დაჯდომის უფლება აღუთქვა.³⁸⁷ ეს ცნობა, მნიშვნელოვანია არა მარტო ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლების ქართული პოლიტიკური ერთეულების მმართველებთან ურთიერთობა-დამოკიდებულების საკითხის შესწავლის კუთხით, არამედ, წინართა სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის კვლევის მხრივაც, რომლის მიხედვითაც, წინარები ძლიერ ძალას წარმოადგენენ, რაც, ასევე ცნობილია ჰერაკლე კეისრისთვისაც.

X საუკუნის არაბი ისტორიკოსის ალ-მას'უდი წინარებს ქრისტიანებად მოიხსენიებს, ხოლო იბნ ა'სამ ალ-ქუფი ას-სანარებს ქაფირებს ე. ი. ურწმუნოებს უწოდებს, რაც გ. ჯაფარიძის შენიშვნით წარმართს კი არ ნიშნავს, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ ქაფირი მუსლიმთათვის ქრისტიანის ტოლფასიცაა.³⁸⁸

იბნ ა'სამ ალ-ქუფის ცნობით, ას-სანარები კახეთთან ალიანსში არაბთა წინააღმდეგ ბრძოლებში VIII საუკუნიდან ჩანან, რაც შემდგომ, ეს კავშირი კახეთზე, წინარების პოლიტიკურ ჰეგემონობაში გადაიზარდა. X საუკუნის შუა ხანებში, ალ-მას'უდი³⁸⁹ წინართა მმართველს ქურუკუსს (ქორეპის-კოპოსი) უწოდებს.³⁹⁰ რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ დროისთვის სახელწოდება ას-სანარია//წინარია მთელ კახეთს ფარავს, რაც თავის მხრივ, კახეთში წინართა ჰეგემონობის მიმანიშნებელია.

სუმბატ დავითის ძის ცნობით, გიორგი I მეფობისას (1014-1027 წწ.) საქართველო ბიზანტიის ომის დროს (1021-1023 წწ.), კახეთისგან, ცალკე

ლეთის ისტორიაში, ტ. I, თბ., 2012, გვ. 84.

³⁸⁶ გ. ჯაფარიძე, წინართა შესახებ, იქვე. გვ. 86.

³⁸⁷ გ. ჯაფარიძე, წინართა შესახებ, იქვე. გვ. 85-86.

³⁸⁸ გ. ჯაფარიძე, წინართა შესახებ, იქვე. გვ. 84-85.

³⁸⁹ ალ-მას'უდი წინართა წარმომავლობას არაბებს უკავშირებს. გ. ჯაფარიძე, წინართა შესახებ, იქვე. გვ. 87.

³⁹⁰ გ. ჯაფარიძე, წინართა შესახებ, იქვე. გვ. 85-86.

ერთეულად, წანარები საკმაოდ ძლიერ ძალად წარმოგვიდგებიან, კერძოდ კი, როდესაც შირიმნის ბრძოლის შემდეგ უკან დახეულ გიორგი მეფეს ბასილ კეისარი ფეხდაფეხ მისდევდა: „გარდავიდა გიორგი თრიალეთად, და მოადგა ბასილიცა თრიალეთადვე. და რა ეახლნეს ერთმანერთსა, კუალად განძლიერდა გიორგი ლაშქრითა, რამეთუ მოიყვანა წანარნი და შაქნი. ხოლო იხილა რა ესე ბასილი, შეიქცა თრიალეთით და უკუმოვლო ჯავახეთი და არტაანი დღეთა შინა ზამთრისათა, და კუალად უბოროტესადრე მოაო რა“.³⁹¹ წარმოდგენილი პასაჟის მიხედვით, წანარები შაქელებთან ერთად გადამწყვეტ როლს თამაშობენ, რადგანაც, გიორგი პირველთან, წანარ-შაქელთა მისვლის შედეგად, ბასილ კეისარმა ბრძოლა ველარ გაბედა და უკან გაბრუნდა.

სუმბატ დავითის ძის ცნობით: „ხოლო დაჯდა რა ესე გიორგი მეფედ, განუდგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა, და ლადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათ კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“.³⁹² ამ ცნობის მიხედვით, გიორგი I-ს გამეფებისთანავე ჰერეთ-კახეთი განდგომია და ის ისევ ცალკე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად გარდაქმნილა, რაც გვაძლევს იმის ფიქრის საშუალებას, რომ ბიზანტიის მიერ, საქართველოს წინააღმდეგ, წარმოებული ომის დროს კახეთ-ჰერეთი გიორგი მეფეს არ ეხმარებოდა, ხოლო, ამ ომში, წანარები კი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. აქედან გამომდინარე, სომეხი და არაბი ავტორები თუ სახელწოდება წანარია//ას-სანარია-ში ხშირად კახეთსაც გულისხმობენ,³⁹³ სუმბატ დავითის ძის შემთხვევაში, წანარიის სახელწოდების ქვეშ კახეთი კი არ იგულისხმება, არამედ სულ სხვა გეოგრაფიული არეალი, შესაძლოა ისევ თრუსო, ხევის ტერიტორია, ანუ წანართა ისტორიული საცხოვრებელი ადგილი, რომელიც, კახეთის სამთავროს დაქვემდებარებაში იყო, მაგრამ, როდესაც კახეთ-ჰერეთი, გიორგი პირველის მეფობის დროს, ისევ ცალკე ერთეუ-

³⁹¹ სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 383.

³⁹² **სუმბატ დავითის ძე**, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 383.

³⁹³ როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომეხი მემატინანე იოანე დრასხანაკერტელიც, არაბი ისტორიკოსის ალ-მას'უდის მსგავსად, X საუკუნეში კახელებს წანართა სახელით მოიხსენიებს, ხოლო მათ მთავარს კი ქორეპისკოპოსს უწოდებს. იოანე დრასხანაკერტელის ცნობა იხილეთ: ე. ცაგარეიშვილი, წანარების ტომის ისტორიიდან, მუშაკი სულიერისა ვენახისაჲ, ეძღვნება მიხეილ ქავთარიას 80 წლის იუბილეს, თბ., 2012, გვ. 252.

ლად გავიდა, შესაძლოა, ამ პოლიტიკური მოვლენების დროს, წანარები უშუალოდ საქართველოს სამეფო კარს დაექვემდებარნენ და აქტიური როლიც შეასრულეს ბიზანტიის შემოტევის პროცესში.

განხილული მონაცემების მიხედვით ნათელია, რომ თრუსოს ტერიტორია ისტორიული წანარეთის ერთი ნაწილი იყო. X საუკუნის შემდეგ კი წანარებისგან დაცლილ თრუსოში, თრუსოს ჩრდილო-მოსაზღვრედ მცხოვრები, ოსებისგან შევიწროვებული, ძირ-ძველი ქართული ეთნიკური ჯგუფის დვალების დამკვიდრება განხორციელდა. დვალების მდინარე თერგის სათავეებში გადმოსახლებით შეიქმნა ახალი მთური კომპაქტური დასახლება „თრუსო“. ტოპონიმი „თრუსო“ მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენით იხსნება. ის ძველი ქართული სიტყვაა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „დრუსო არს ზღუდე ქვისა კოშკიანი, დიდი და კეთილად ნაშენი“; „დრუსო არს ზღუდე ქვისა მაღალი კეთილად ნაგები კოშკ-კოშკოვანი.“ დავით ჩუბინაშვილიც ანალოგიურ განმარტებას აძლევს ამ სიტყვას: „დრუსო-ზღუდე ქვისა მაღალი, ნაგები კოშკ-კოშკად.“ და მართლაც, თრუსო, საქართველოს მთის სხვა კუთხეებთან ერთად, თავისი მრავალფეროვანი კოშკოვანი არქიტექტურული ძეგლებით გამორჩეული ეთნო-გეოგრაფიული კუთხეა. რაც შეეხება იმას, რომ რეგიონს სახელად „თრუსო“ ჰქვია და ზღუდის სახეობას-„დრუსო“, აქ უბრალოდ „დ“ და „თ“ თანხმონების მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე. იმავე გ. ჩუბინაშვილის განმარტებით, „გარნა მდაბიურად ნაცვლად „დ“ ხმარობენ „თ“.³⁹⁴

³⁹⁴ რ. თოფჩიშვილი, დვალები და დვალები, თბ., 2016, გვ. 65; რ. თოფჩიშვილი, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, თბ., 2019, გვ. 40.

Ethnic history of the population of Thruso since ancient times

The first quarter of the XI century AD

From the Georgian ethno-historical corners on the border of modern Georgia, the territorial unit of Kazbegi Municipality - Truso represents the geographical area that some Ossetian historians want to declare as "East Ossetia" as the historical territory of the Ossetians and their ancient home.

Of course, the Ossetian authors know very well that the historical truth of the sources (narrative, documentary, epigraphic, ethnographic) speaks against their opinion and purpose, but by falsifying this historical truth, they try to introduce an idea devoid of any logic.

The fact that Truso has been a historical-ethnographic region within Georgia since ancient times is clearly proven by the objective presentation of data from historical sources of various classifications.

In medieval Georgia, the residents of Thruso represented the same Georgian ethnographic group as the Dvalians, Khevsurians, Pshavelians, Mokhevians, Mtiulians, etc.

According to Georgian and foreign written sources, the Tergi valley has been inhabited since ancient times by the Kartvelian tribe of Tsanars, who played a great role in the formation of the Kakheti principality in later times.

Georgian researchers attribute the Tsanars to the Georgian world. The toponymy and epigraphy of their original settlement-river is Georgian. Tsanareti was part of Tsilkni Episcopal, where services were held in Georgian. So, according to various sources of classification, it is quite obvious that Tsanarians were Georgians by language and church, therefore culturally-historically.

In the process of forming the unified Georgian feudal state, in terms of protection and preservation of the historical lands of Georgia, Tsanarians played an important role. According to the Georgian chronicler Sumbat David's son, during the reign of George I (1014-1027), during the Georgia - Byzantine War (1021-1023), Basil Caesar did not dare to fight against George I and turned back due to the military maneuvers carried out by the Tsanarians near Trialeti. .

As a result of analyzing the data of the narrative sources and the toponymy of Truso, it is quite clear that the said historical-ethnographic corner, since ancient

times, represented the residence of various ethnic groups that make up the Georgian nation. From ancient times, the modern valley along with Truso was referred to as “Tsanareti Valley”, which means the dwelling of the Tsanarians. From the 10th-11th centuries, due to various social and political reasons, Tsanarians migrated to the territory of Kakheti. From the 13th century onwards, the Dvalians, an indigenous Georgian ethnic group living on the northern border of Truso and displaced by the Ossetians, settled in the headwaters of the Tergi, which was empty of Tsanarians.

A new mountain compact settlement “Truso” was created by moving the Dvalians to the headwaters of the Tergi River. The etymology of the toponym “Truso” can be found only in the Georgian language. It is an old Georgian word and, according to Sulkhan-Saba Orbeliani’s definition, it refers to high tower buildings built with stone. And indeed, Truso, along with other corners of the mountain of Georgia, is a distinguished ethno-geographical corner with its diverse towering architectural monuments.

რომან გომოლაური

ისტორიის დოქტორი

ბიეთის ქტიტორ ხუშაძის ვინაობის საკითხისათვის

სამცხის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფერსათის ქედის სამხრეთი კალთის ერთ-ერთ განშტოებაზე, მდინარე წინუბნის წყლის (აბანოს ხევი, გურკლის ხევი) მარცხენა მხარეს, მაღალ გაშლილ გორაკზე, წინოვანი ტყის შუაგულში მდებარეობს ბიეთის გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც ვ. ბერიძის შენიშვნით „მეოთხე მნიშვნელოვანი ძეგლია სამცხისა“, საფარა-ზარზმა ჭულესთან ერთად ჯაყელთა სამცხის კულტურულ-რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. როგორც ე. თაყაიშვილი ფიქრობს, ვახუშტი სწორედ ბიეთის ტაძარს გულისხმობს, როცა წერს: „ამ ხევზედ არს წნის ზეით, მონასტერი, მაღალს კლდესა ზედა, კეთილშენი გუმბათიანი და ან უქმი“³⁹⁵. მაგრამ აქ არც სახელწოდებაა მითითებული და არც ტაძრის მდებარეობაა სწორად ნაჩვენები და იგი მაღალ კლდეზე არ დგას - შენიშნავს ვ. ბერიძე³⁹⁶. მართალია ეს ჩვენთვის საინტერესო საკითხს ცოტა სცილდება, მაგრამ დავძენთ, რომ ვახუშტის ზემოთ აღწერილი ტაძარი, წნისის ხევში, არის ხომის მონასტერი.

როგორც ჩანს ვახუშტი არ იცნობს სამცხეში მდებარე ბიეთს და თავის გეოგრაფიულ აღწერაში ბიეთს არ უთითებს. „ჩრდილოდამ მოერთვის მტკვარს წინუბანს აბანოს ხევი, გამოსდის ფერსათს და მოდის სამხრით“. სახელოვანი მეცნიერი მხოლოდ შიდა ქართლში მდებარე ბიეთს იცნობს: „არს მონასტერი მეჯვდის მდინარის დასვლეთად, მთის ძირში, ბიეთს, მონასტერი კეთილს მშვენიერს ადგილს“³⁹⁷.

სამეცნიერო თვალსაზრისით პირველი ცნობა ბიეთის შესახებ დიმიტრი ბაქრაძეს ეკუთვნის. ვახუშტი ბატონიშვილს „საქართველოს ისტორიის“ I წიგნის შენიშვნებში მკვლევარი წერს: „ბიეთის საყდარი თუმცა მდებარეობს ოთხ ვერსზე, აწყურიდან, მაგრამ იმაზე ორ-სამ წლამდე სრულებით არა ვიცოდით რა, ვიდრე შემთხვევით არა ვცანით მისი არსებობა. ახლა ჩვენ გვაქვს იმისი ფოტოგრაფიული სურათი, ერმაკოვისგან ჩემის თხოვნით გადმოღებული და ვინც ნახავს იმას, იმედი გვაქვს დარ-

³⁹⁵ ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ 663.

³⁹⁶ ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ.155.

³⁹⁷ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ.368.

წმუნდება, რომ ეს დიდი გუმბათიანი ეკლესია ერთი უკეთესთაგანია ახალციხის მაზრაში³⁹⁸. მონასტრის შესახებ დიმიტრი ბაქრაძისათვის ივანე გვარამაძეს უცნობებია, მასვე გამოუგზავნია ეკლესიის წარწერიანი ქვა, რომელიც აჟამად დაკარგულად ითვლება. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ერმაკოვის მიერ გადაღებული სურათი ტაძრის პირველყოფილი სახის წარმოსადგენად და მისი ხუროთმოძღვრების ანალიზისთვის, პრაქტიკულად ერთადერთი წყაროა, რაც მის მნიშვნელობას ერთიორად ზრდის.

ვინაიდან ჩვენთვის საინტერესოა ბიეთის აღმშენებლის ვინაობა, პირველ რიგში საჭიროა ჯერ გაირკვეს მისი აშენების თარიღი.

პირველი მკვლევარი, ვინც ბიეთის მონასტრის მეცნიერული აღწერილობა მოგვცა იყო ექვთიმე თაყაიშვილი. მან ბიეთი 1902 წელს მოინახულა და მონასტერს პატარა ნაშრომიც მიუძღვნა, სადაც იგი წერს: „... О Биетской церкви до сих порь мало что знали. Мы имели только фотографический снимокъ Ермакова и одно упоминание у Д. Бакрадзе, что ему доставлена свяшеникомъ Гварамадзе надпись изъ... Биети, въ которой собственныя имена не разбираются, а корониконь 215, если онь верно снятъ соответствуеъ 995 г. Такого короникона на Биетской церкви как мы видели нетъ“³⁹⁹. მართალია ბიეთის სამშენებლო წარწერა თარიღს არ შეიცავს, მაგრამ წარწერაში მოხსენიებული დაქარაგმებული სახელი „[“ყბ“ ე. თაყაიშვილმა ნაიკითხა, როგორც „ხუაშაქი“ და იგი თამარის თანამედროვე ხუაშაქი ცოქალად სცნო და ამდენად ტაძრის აგება XII-XIII სს-თა მიჯნას მიეკუთვნება⁴⁰⁰.

1932-33 წლებში სამცხე-ჯავახეთში, სიძველეთა შესწავლის მიზნით იმოგზაურა ისტორიკოსმა გიორგი ბოჭორიძემ. მისმა ჩანაწერებმა მზის შუქი მხოლოდ 1992 წელს იხილა, როდესაც წიგნად გამოიცა⁴⁰¹. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს დ.ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა და ლ. ხუციშვილმა. წიგნი აქტუალურია ქართველოლოგიის ბევრი დარგისათვის, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხს - ხუაშაქის ვინაობას და მისი მოღვაწეობის ხანას მკვლევარი არ შეხება.

1946 წელს ბიეთი მოინახულა ვახტანგ ბერიძემ, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ძეგლის ცალკეული ხუროთმოძღვრული დეტალები და მოგვცა მისი სრულყოფილი მეცნიერული ანალიზი რაც საშუალებას

³⁹⁸ დ. ბაქრაძე, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“ წ. I., შენიშვნები, ტფ. 1885.

³⁹⁹ ზ. ჭუმბურიძე, ტოპონიმიკური ძიებანი, თსუ შრომები, 164, ენათმეცნიერება, თბ., 1975.

⁴⁰⁰ Э. Такашвили, Материалы по археологии Кавказа, XII, СПб., 1909, გვ3-5.

⁴⁰¹ გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.

იძლევა ძეგლის აგების თარიღის დასადგენად. ძეგლის დათარიღებისას ვ. ბერიძისათვის სწორედ ნაგებობის არქიტექტურული იერსახის ანალიზი იყო ამოსავალი: გუმბათი ყელის ექვსი ნამდვილი და ექვსი ცრუ სარკმელი, მისი თქმით, „საკმარისია ძეგლის დასათარიღებლად“. მეცნიერის დასკვნით ტაძრის აგების თარიღი XIII ს-ის მიწურულში თავსდება. ბიეთი შესრულების დონითა და ტრადიციით ემსგავსება XIII-XIV საუკუნის საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლებს.“ ბიეთის ტაძარი, საფარა, ზარზმასა და ჭულესთან ერთად, კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიმუშია ჩვენი ხუროთმოძღვრების ევოლუციისა XIII-XIV ს-თა ეპოქაში⁴⁰². ვ. ბერიძის ნაშრომი საინტერესოა ამ მხრივ, რომ იგი ფუნდამენტალური გამოკვლევაა ბიეთისადმი მიძღვნილი, რომელსაც ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

1974 წელს ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ დაიბეჭდა ვაჟა სამსონიძის წერილი „სამცხის ხუროთმოძღვრება“, რომელიც სამცხის ისტორიულ ძეგლთა მეტად მძიმე მდგომარეობას ასახავს. მართალია ავტორი ძეგლის ქტიტორის შესახებ არაფერს გვამცნობს და ისმის მოწოდება ძეგლის გადაუდებელი რესტავრაციისათვის⁴⁰³. ჩვენი მხრიდან დავსძენთ, რომ სამწუხაროდ ძეგლი დღესაც იგივე მდგომარეობაშია, უნიკალური ფრესკები ჩამოშლა-ჩამორეცხვის საშიშროების წინაშეა და მისი აღდგენა-რესტავრაცია დღეისათვის საშურველ საქმეს წარმოადგენს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხო პროფ. შ. მესხია ნაშრომში „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს-ის საქართველოში“⁴⁰⁴. მისი აზრით ავაგის ასულს ხოშაქს უნდა ეკუთვნოდეს ბიეთის ტაძრის აშენება სამცხეში, რომელიც XIII ს-ის მიწურულს უნდა მივაკუთვნოთ⁴⁰⁵.

2007 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა მკვლევარ გურამ კუტალაძის წიგნი „ბიეთი“, სადაც გარდა აღნიშნული ძეგლისა, განხილულია ხეობაში არსებული თითქმის ყველა ისტორიული ღირსშესანიშნაობა. აღნიშნული ნაშრომი ბიეთისა და მთლიანად ხეობისადმი მიძღვნილი დღემდე ერთადერთი სრულყოფილი აკადემიური შრომაა. ჩვენი სტატიის გარკვეული ნაწილი ამ ნაშრომს ემყარება. ძეგლის დათარიღებაში გ.

⁴⁰² ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ 164.

⁴⁰³ ვ. სამსონიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1974.

⁴⁰⁴ შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს-ის საქართველოში, თბ., 1979.

⁴⁰⁵ გ. კუტალაძე, ბიეთი, ახალციხე-თბილისი, 2007.

კუტალაძე ეთანხმება მკვლევარ ვ. ბერიძეს და მას XIII-XIV ს-ის ძეგლად მიიჩნევს⁴⁰⁶.

აღნიშნული საკითხი კიდევ ერთხელ გახდა მსჯელობის საგანი, ამჯერად გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“, რომლის 2016 წლის მაისის N209-ე ნომერში თამაზ ჩიკვაიძემ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „მნიშვნელოვანი სიახლე ბიეთის ეკლესიის შესახებ“. ავტორი სავესებით იზიარებს პროფესორ შოთა მესხიას მოსაზრებას ბიეთის ამშენებელ ხუაშაქის ვინაობის შესახებ⁴⁰⁷ და ამ ვერსიის გასამყარებლად მოჰყავს გიორგი კალანდიას მიერ 2006 წელს ქობერში (სომხეთი) ახლად აღმოჩენილი საფლავის ქვის წარწერა, რომელიც ოთხი სტრიქონისაგან შედგება და შემდეგნაირად იკითხება: „ესე ს(ა)ფლ(ა)ვი ივ(ა)ნე მ(ა)ნდატ(უ)რთ(უ)ხ(უ)ც(ი)ც(ი)სისა ას(უ)ლისა და გურკენელისა ს(უ)ლას მეუღლისა თამ(ა)რისი, შ(ე)უნდევენ ღ(მერთმა)ნ“⁴⁰⁸. ე. ი. თ. ჩიკვაიძის ვარაუდით, მანდატურთუხუცესის, ივანე მხარგრძელის ასულის თამარის, გათხოვება სულა გურკელზე საკმარისი არგუმენტია იმისთვის, რომ ხუაშაქ მხარგრძელს ყოფილ გურკელთა ფეოდალურ მამულში მონასტერი აეგო. სამწუხაროდ ჩვენ ამაში ვერანაირ ლოგიკას ვერ ვხედავთ და ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

დღეისათვის ბიეთის ტაძარს ორი სამშენებლო წარწერა შემორჩა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკურთხეველში გამავალი კარის თავზე ორ ქვაზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც ბოჭორიძეს ასე აქვს წაკითხული: „ქრისტე ადიდე ხოშაი, რომელმან ესე საყდარი აღაშენა“. „ქრისტე, წმინდაო ღმრთისმშობელო მეოხეყავ ხოშასა შვილითურთ ორთავე შინა ცხოვრებასა“⁴⁰⁹. ვ. ბერიძეს, რომელიც ასე კითხულობს წარწერას: „ქრისტე ადიდე ხ“ში, რომელ ესე საყდარი აღაშენა. წმინდაო ღმრთისმშობელო მეოხ ეყავ ხ“შ-სა შვილითურთ ორსავე შინა ცხოვრებასა“. არც კი ეეჭვება, რომ „ხ“ში“ სხვა პირის სახელს ფარავს, დასაძინაია, წერს ის, რომ ჩვენ ხელმოსაჭიდი არაფერი გვაქვს ამ ქარაგმის სწორად ამოხსნისათვის და ამგვარად, ამ წარწერის საფუძველზე ვერც თარიღის საკითხს გადავწყვეტთ სასურველი სიზუსტით“⁴¹⁰.

⁴⁰⁶ გ. კუტალაძე, ბიეთი, ახალციხე-თბილისი, 2007, გვ 25.

⁴⁰⁷ თ. ჩიკვაიძე, მნიშვნელოვანი სიახლე ბიეთის ეკლესიის შესახებ, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, N209, მაისი, 2016.

⁴⁰⁸ გ. კალანდია, ქ.ასათიანი, ქობერის I და II სამეცნიერო ექსპედიციის პირველადი შედეგები, საისტორიო კრებული, თბ., 2012. გვ173.

⁴⁰⁹ გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 37.

⁴¹⁰ ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 163.

მეორე სამშენებლო წარწერა მინაშენის კარის თავზე ჩასმულ ორ ქვაზეა შესრულებული. წარწერის სრული ტექსტი ასე იკითხება: „ქნ. მე თოხასძემან ზაალ აღვაშენე წმინდა ესე ეკვტერი შესავედრებლად მშობელთა და ჩუენთა მიცვალებულთათვის, ქორონიკონსა რპა“. ეს დრო კი წარწერის ქორონიკონის მიხედვით 1493 წელს (181-1312=1493) უდრის. გ. კუტალაძის შენიშვნით, აღნიშნული თარიღი, მხოლოდ ამ მცირე მინაშენის აგების ამბავს გვამცნობს და არა მთელ ეკლესიას. სამწუხაროდ ეკვტერის მაშენებლის შესახებ რაიმე დამატებითი ინფორმაციის მოძიება ჯერჯერობით არ ხერხდება. მხოლოდ იმის აღნიშვნითლა შემოვიფარგლოთ, რომ ის თავისი დროისათვის სოციალურ იერარქიაში დანიშნურებულ პირად გვევლინება⁴¹¹.

როგორც ზემოთ აღინიშნა ბიეთის ტაძრის აღმშენებელია ვინმე ხ“ში, რომელსაც ერთი შვილი ჰყავს და რომელიც საერთოდ არ იხსენიებს მეუღლეს. ამასთან ერთად მკვლევარები თანხმდებიან იმაზე, რომ „ხოშა“ ქალის სახელია. ბუნებრივად ისმის კითხვა, მაინც ვინ უნდა იყოს ბიეთის აღმშენებელი ხოშა?

პროფესორ შ. მესხიას ცნობით XII- XIII საუკუნე იცნობს სამ ხოშაქს: 1) რატი სურამელის დედა ხვაშაქ ცოქალი, 2) ხოშა (ხოშაქი) ივანე მხარგრძელის მეუღლე ა 3) ხოშაქი (ხოშა) ივანე მხარგრძელის შვილიშვილი, ავავ სარგისის ასული⁴¹². პროფესორი ვ. სილოგავა გარდა ხვაშაქ ცოქალისა მარტო მხარგრძელთა გვარში ოთხ ხვაშაქს ასახელებს: 1) ივანე მხარგრძელის მეუღლე ხუაშა, 2) ივანე მხარგრძელის შვილიშვილი, ავავ სარგისის ასული, 3) შანშე ზაქარიაძეს მეუღლე ხვაშა, 4) ივანე შანშეს ძეს მეუღლე ხუაში⁴¹³. გარდა ზემოხსენებული ისტორიული პიროვნებებისა XII- XIII ს-ის ისტორია კიდევ იცნობს რამდენიმე ხოშაქს. ესენია:

1. გიორგი III-ის (1156-1184) სამეფო კარის მსახურთუხუცესის აფრიდონის მეუღლე ხოშა, რომელიც თრიალეთში ქვემო ჯინისში წმინდა გიორგის ეკლესიის მაშენებელია. წარწერა ასე იკითხება: „სახელთა ღვთისათა და მეოხებითა წმიდისა ღვთისმშობელისათა მომადლა ღმერთმა მე, ხოშაქს ერისთავ-ერისთავისა მსახურთუხუცესისა აფრიდონის ცოლსა, ოსიყმას ასულსა, აღშენებაი წმინდის ამის ეკლესიისა ვარძიისა ღმრთისმშობლისა სამსახურებად...“

2. ქართლის ერისთავის ბეგა სურამელის ასული ხვაშაქი, მეუღლე ბე-

⁴¹¹ გ. კუტალაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 30.

⁴¹² შ. მესხია, დასახ. ნაშრ. გვ. 261.

⁴¹³ ვ. სილოგავა, ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები, მაცნე, ისტორიული სერია, N4, თბ., 1990, გვ. 117.

დან დადიანისა, რომლის შესახებ ცნობა დაცულია ხობის ღვთისმშობლის ხატის წარწერებში. ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ: „ღვთისმშობელი დედოფალო, შემწე, მეობ და მფარველ ეყავგულსმოდგინედ მამკობსა წმიდისა და პატიოსნისა ხატისა შენისა ერისთავთ-ერისთავისა მანდათურთუხუცესისსა ბედანსა დადიანსა და დიოფალთ-დიოფალსა ხვაშაქსა, რომლისა შემოწირვითა მოიჭედა ზურგი ესე“⁴¹⁴.

3. ალაპი სილხან ხვაშაქის გაზრდილისა, რომელიც XIII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება⁴¹⁵.

4. სახელი ხვაშაქ ასევე გვხვდება უშგულის თემის სოფელ ჩაყაშში მაცხოვრის ხატის XII- XIII საუკუნეების წარწერაში: „წახანელიძე ვახტანგ და მისი მეუღლე ხუაშაქი“. როგორც მკვლევარი რ. თოფჩიშვილი ფიქრობს, ასეთი გვარსახელი სვანეთში დადასტურებული არაა. ხატი აქ ალბათ ბარიდან უნდა იყოს შემოტანილი. გვარსახელი ორი სუფიქსითაა (-ელ+ძე) ნაწარმოები და ტოპონიმ ნახანს უკავშირდება⁴¹⁶.

ამრიგად ზემოთ დასახელებულ ამ ცხრა ხოშათაგან, არცერთი არ შეიძლება მივაკუთვნოთ ბიეთის აღმშენებელ ხოშაქს, ვინაიდან არცერთ მათგანს, აქამდე არსებული პირდაპირი თუ ირიბი ცნობებით არავითარი შეხება არ ჰქონია სამცხესთან. როგორც ვნახეთ, ჩამოთვლილ ხოშათა შორის ოთხი მხარგრძელთა გვარის წარმომადგენელია.

ჩვენი აზრით ბიეთის აღმშენებელი უნდა იყოს შანშე I მანდატურთუხუცესის შვილის ზაქარია ამირსპასალარის ქალიშვილი ხოშაქი, რომელიც თავისი ბების შანშე I-ის მეუღლის ხოშაქის მოსახელე უნდა ყოფილიყო. ამდენად საინტერესოა მხარგრძელის მოხსენიება გურკლელთა სოფელში. რა ხელი ჰქონდა მას სამცხის ჩრდილო-დასავლეთ განაპირა სოფელში? ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, მოკლედ შევეხებით მხარგრძელთა საგვარეულო ისტორიას.

მხარგრძელთა წინაპრები წარმოშობით ქურთები იყვნენ, რომელთაც ჯერ კიდევ თავიანთ პირველსაცხოვრისში მიიღეს ქრისტიანობა-მონოფიზიტობა. ამიტომ იძულებული გახდნენ გაცლოდნენ, გამოყოფოდნენ ქურთულ ტომებს და თავი შეეფარებინათ სომხური მონოფიზიტური ეკლესიისათვის. ასე იქცნენ მხარგრძელთა წინაპრები „სჯულით სომხებად“. მაგრამ მათი გადმოსახლება ამიერკავკასიაში ისეთ დროს დაემთხვა (მე

⁴¹⁴ თ. ყორღანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. II, ტფ., 1897. გვ.129.

⁴¹⁵ ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ.142.

⁴¹⁶ რ. თოფჩიშვილი, სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი, თბ., 2015, გვ.59.

XII. შუანლები), როცა სომხური პოლიტიკური ერთეულები ან მოშლილი იყო, ან დაცემის გზაზე იდგა. ძორაკერტის, ლორე-ტაშირის სამეფო, სადაც მხარგრძელთა წინაპრებმა პირველი თავშესაფარი ჰპოვეს, სულ მალე (XII ს-ის დამდეგი) საქართველოს შემოუერთდა და ამ ყოფილ სომხურ სამეფოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად გაბატონდა ქართული სახელმწიფოებრიობა და ეკლესია თავისი სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ენით. ასე რომ მხარგრძელთა წინაპრები თითქმის მაშინვე მოექცნენ ქართული სახელმწიფოსა და ქართული ფეოდალების სამსახურსა და გარემოში. მხარგრძელთა „სჯულით სომხობას“ არ დასცალდა ენითა და კულტურით გასომხებამდე მისვლა - უკეთ რომ ვთქვათ მათი გასომხების პროცესის დამთავრება. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ და მისმა გარემომ ქართული წარმოშობის საგვარეულო მხარგრძელთა ქართულ საგვარეულოდ აქცია. მალე გაქრა მათი „სომხობის“ ერთადერთი ნიშანიც სარწმუნოებრივი კუთვნილება.

მხარგრძელთა წინაპრები, ლორე-ტაშირის კვირიკიანთა ყოფილი სამეფოს შემოერთების შემდეგ საქართველოს მეფეებისა და ქართველი ფეოდალების სამსახურში დგებიან. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს თამარის მეორე ისტორიკოსის, ბასილის, თავისთავად საინტერესო მითითება სარგის მხარგრძელის წინაპრების „შეყვარების“ შესახებ თამარის მამა-პაპათა მიერ. მხარგრძელთა საგვარეულოს წარმომადგენლებს სამოხელეო ასპარეზზე დანიშნაურების პირობები გიორგი III-ის დროიდან შეექმნათ. სწორედ გიორგი III-ის დროიდან დაიწყეს მეტნაკლებად მნიშვნელოვანი როლის შესრულება საქართველოს სამეფო კარზე. პირველი ამ მხრივ სარგის მხარგრძელი იყო.

მკვლევართა უმეტესობა სარგის მხარგრძელის გამოჩენას საქართველოს სამეფო კარზე და მის დანიშნაურებას გიორგი III-ის მიერ 1161 წ. ანისის აღებას უკავშირებს. თამარის მეფობის დროს კიდევ უფრო დანიშნაურდა მხარგრძელთა საგვარეულო. ამ დროს ასპარეზზე გამოდიან ზაქარია და ივანე მხარგრძელები.

მხარგრძელებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გიორგი რუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. გიორგი რუსის აჯანყებამ მხარგრძელებს კიდევ უფრო დიდი წარმატება მოუტანა: ივანე მხარგრძელს, ვარდან დადიანის სახელოსთან, მსახურთუხუცესობასთან ერთად მისი ყოფილი სამფლობელო კაენი გადაეცა დადადიანთა სხვა სამფლობელოც კაენონიც მიემატა. ზაქარიას ამირსპასალარობა ებოძა და ლორესთან ერთად რუსთავიც მას გადასცეს. ზაქარია ვარამის ძეს გაგი და მისი მიმდგომი ტერიტორიები ებოძა. სარგის ვარამის ძეს უბოძეს თმოგვი. ამრიგად გიორგი რუსის

აჯანყებამ თამარის წინააღმდეგ ისეთივე როლი შეასრულა მხარგრძელთა დაწინაურების საქმეში, როგორც ორბელთა აჯანყებამ მხარგრძელთა გამოჩენასა და საქართველოს სამეფო კარზე მათი პოზიციების განმტკიცებაში⁴¹⁷.

ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ ყველა მისი ადგილმამული ლორე-ტაშირი, ანის-შირაკი და ამ დიდი ქონების შესაბამისი ატრიბუტი - სახელოები, მანდატურთუხუცესისა თუ ამირსპასალარის სათანადო ნოდებებითურთ მხარგრძელთა საგვარეულოს კუთვნილებად დარჩა. ზაქარიას შემდეგ თამარ მეფემ ამირსპასალარის სახელო მის ძმას მსახურთუხუცეს ივანეს გადასცა. ჩანს, რომ ივანემ „უღირსად ჩათვალა“ თავი ასე „დიდად დიდი“ პატივის მიღებისა, ასევე მისი სახელგანთქმული ძმის შემდეგ ამ თანამდებობით მოხსენიებისა და მეფისაგან ახალი თანამდებობის შემოღება და მისთვის ბოძება მოითხოვა⁴¹⁸. ეს ახალი თანამდებობა ათაბაგობა იყო, რომელიც გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სამყაროში და მეფეთა აღმზრდელის ფუნქციას წარმოადგენდა.

მხარგრძელთა საგვარეულოს პირველი შტოს წარმომადგენელთა სახლებში კი ზაქარიას გარდაცვალების შემდეგაც სამი მაღალი თანამდებობა იყრიდა თავს - ათაბაგის, მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის. ივანე სპასალარი, რომელიც ამჯერად ერთადერთი იყო მხარგრძელთა ამ ორ სახლში, რომელსაც შეეძლო რეალურად გაძლოდა ამ თანამდებობებს, ყოველნაირად ცდილობდა მათ შენარჩუნებას და დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდაყველას ვინც კი შეიძლებოდა ამა თუ იმ თანამდებობის რეალური პრეტენდენტი ყოფილიყო. სწორედ ეს იყო მხარგრძელთა და ახალციხელთა შუღლის მიზეზი და სწორედ ამიტომ დაღუპა ივანე მხარგრძელმა შალვა ახალციხელი - ამირსპასალარის თანამდებობის ყველაზე უფრო შესაძლო კანდიდატი⁴¹⁹.

საქართველოს სამეფო კარის დიდმოხელე იყო აგრეთვე ივანე მხარგრძელის მემკვიდრე ავაგ-სარგისი. იგი განსაკუთრებით დაწინაურდა მამის, ივანეს გარდაცვალების შემდეგ. ჟამთააღმწერელი მას ათაბაგად და ამირსპასალარად მოიხსენიებს. ავაგი 1250 წელს გარდაიცვალა. მას დარჩა მცირეწლოვანი ქალიშვილი ხოშაქი, ასევე თავისი ბების მოსახელე. ავაგის ქვრივი, რაჭის ერისთავის კახაბერიძის ასული, გვანცა დავით ულუმ შვირთო ცოლად. „... ხოლო ქალი იგი ავაგისი (ხუაშაქი - რ.გ) დაუტევა

⁴¹⁷ შ. მესხია, დასახ. ნაშრ. გვ.298.

⁴¹⁸ იქვე, გვ. 309.

⁴¹⁹ იქვე, გვ. 314.

მამულსა თვისსა ზედა, და შეავედრა მანკაბერდელსა სადუნსა, რომელი იყო, კაცი ბრძენი და გონიერი და კეთილისგანმზრახავი და ჰაეროვანი. ძალითა ფრიად ძლიერი და მორკინალი რჩეული... ესე შეყუარებულ იქმნა ყაენ ულოსაგან (ჰულაგუ - რ.გ) და იწყო განდიდებად და გონიერებითა მისითა მეფემენცა დავით პატივ-სცა და შევედრა სახლი ავაგისი“. ე.ი. სადუნ მანკაბერდელს, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ჰულაგუ ყაენის წინაშე, მეფემ დავით ულუმ ავაგ ათაბაგის სამფლობელო უწყალობა. ხოშაქი ჯერ ჰულაგუ ჰაენს (1256-1265), ხოლო შემდეგ აბალა ყაენის (1265-1282) ვაზირს, საჰიბ დივანს, ხოჯა შამსედინს მოსთხოვდა⁴²⁰. ეს სტეფანოზ ორბელიანის მიხედვით 1269 წელს მოხდა⁴²¹. ხოჯა შამსადინი არღუნის გაყაენების (1284წ.) დროისათვის უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამით აიხსნება, რომ არღუნმა „სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელი აქუნდა საჰიბ დივანს“ მისცა დემეტრე მეორეს. პროფესორ შ. მესხიას ვარაუდით საჰიბ დივანის მეუღლე ხოშაქი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო დემეტრე მეორის ურდოში წასვლის წინ „მივიდა ქუეყანასა ხუაშაგისა ავაგის ასულისა, მუნ დახვდა ძე მისი დავით, რომელი იგიცა წარიტანა“⁴²². მისივე ცნობით ხვაშაგ ავაგის ასულის ხსენება ჟამთააღმწერელის თხზულებაში წყდება. როგორც ჩანს, იგი XIV საუკუნის დამდეგისთვის უკვე ცოცხალი აღარ უნდა იყოს⁴²³. სამწუხაროდ ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან, არათუ XIV ს-ის დამდეგისთვის აღარაა ცოცხალი ხუაშაგი, არამედ სათუოა მისი ცოცხლად მოხსენიება XIII ს-ის 80-იანი წლების ბოლოსთვისაც. რადგანაც წყაროში მოხსენიებული „მივიდა ქუეყანასა ხუაშაგისა ავაგის ასულისა“ ჩვენი აზრით უფრო გეოგრაფიული პუნქტის განმარტებისთვის არის ნახმარი და არა ხუაშაგის ცოცხლად აღნიშვნის გამო.

სწორედ ავაგის ასულ ხუაშაგს (ხოშა) მიიჩნევს პროფესორი შ. მესხია ბიეთის მონასტრის ამშენებლად, ხოლო გიორგი ბრწყინვალეს გამეფებასთან დაკავშირებით ჟამთააღმწერელის ტექსტში საქართველოს მთავართა შორის მოხსენიებულ „ზაქარია, ავაგის ასულის ხუაშაგის ნაშობი“⁴²⁴ მის შვილად.

კვლავ გვებადება კითხვა: რა ხელი ჰქონდა ლორე-ტაშირის დიდი ფეოდალისა და საქართველოს ათაბაგ-ამირსპასალარის ქალიშვილს ხუაშაგს (ხოშა) სამცხეში, ნუთუ ქვემო ქართლში არ მოიძებნა შესაბამისი

⁴²⁰ 2008 - ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008, გვ.593.

⁴²¹ შ. მესხია, დასახ. ნაშრ. გვ.262.

⁴²² იქვე, გვ. 625.

⁴²³ შ. მესხია, დასახ. ნაშრ. გვ.262.

⁴²⁴ ქართლის ცხოვრება, გვ.652.

ადგილი მონასტრის ასაგებად? სამწუხაროდ ჩვენ არანაირი საბუთი არ გაგვაჩნია კითხვაზე არგუმენტირებული პასუხის გასაცემად, და დასკვნას არაპირდაპირი წყაროებიდან მიღებული ანალიზით ვაკეთებთ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით ბიეთის აღმშენებელი უნდა იყოს ზაქარია ამირსპასალარის ქალიშვილი, რომელსაც თავისი ბების, შანშე I-ის მეუღლის ხოშაქის სახელი უნდა რქმეოდა. ამის შესაბამისი ცნობა დაცული არ არის არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში. ეს არის ჩვენეული ვარაუდი, რის ახსნასაც ქვემოთ შევეცდებით.

ზაქარია შანშეს ძემ ამირსპასალარობა ავაგის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. ამირსპასალარად მოიხსენიებს მას ჟამთააღმწერელი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ზაქარია აჯანყებულ დავით ულუსა და სარგის ჯაყელს მიემხრო, რის გამოც ჰულაგუ ყაენმა იგი სიკვდილით დასაჯა 1261 წელს. შვილის დაღუპვამ დიდად იმოქმედა შანშეზე და ისიც იმავე წელს გარდაიცვალა. სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის ცნობით ზაქარია დაქორწინებული იყო უხტიაცის (ოლთისი) მფლობელ სარგისის ასულზე⁴²⁵, რომლის სახელსაც იგი არ უთითებს.

სარგის ჯაყელის სახლობიდან მხოლოდ სამი წვერი ჩანს: ესაა თანამეცხედრე თეკლა, ასული უსახელოდ და ძე ბექა⁴²⁶.

შეეხო, რა პ. მურადიანის მიერ გამოქვეყნებულ ქობერის (ქობაირი) მონასტრის XIII- XIV სს-ის საფლავის ქვების წარწერებს, პროფ. ვ. სილოგავამ გამოთქვა ვარაუდი, „რომ გარდა პ. მურადიანის მიერ გამოქვეყნებული ეპიტაფიებისა, ქობერის მონასტრის ეზოში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ეს წარწერები აღმოჩნდა კიდევ არის მოსალოდნელი სხვა დღემდე უცნობი საფლავის ქვების ქართული წარწერების გამოვლენა“⁴²⁷.

2012 წელს „საისტორიო კრებულში“ გამოქვეყნდა გიორგი კალანდიას და ქეთევან ასათიანის მასალები ქობერის I და II სამეცნიერო ექსპედიციის პირველადი შედეგებისა, სადაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთი უცნობი საფლავის ეპიტაფიამ. წარწერა ასე იშიფრება: [სა] რდლისა ჯაყელისა ასულსა რუსუდანს შეუნდოს ღმერთმან⁴²⁸. წარწერა XIII საუკუნის II ნახევრით შეიძლება დავათარილოთ. მკვლევარი გ. კალანდია ხაზს უს-

⁴²⁵ **Киракос Гандзакечи**, История Армении, М., 1976, გვ. 236.

⁴²⁶ **ი. სიხარულიძე**, სამცხის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან XIII-XIV სს, კრებ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის საკითხები, VIII, ბათუმი, 1975, გვ.36.

⁴²⁷ **ვ. სილოგავა**, დასახ. ნაშრ. გვ.111.

⁴²⁸ **გ. კალანდია, ქ. ასათიანი**, დასახ. ნაშრ. გვ.179.

ვამს შემდეგ მოსაზრებას: „XIII საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და XIV ს-ის პირველ ნახევარში საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესობა, მანდათურთუხუცესობა, ათაბაგობა და სამცხის სპასალარობა ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს ხელში აღმოჩნდა. სწორედ ამ ფაქტორით ხომ არ არის გამოწვეული, რომ ჯაყელის ასული ქობერში იკრძალება? ანუ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ტაძარი მოცემულ პერიოდში საქართველოს-მანდატურთუხუცესთა საძვალე იყო? ჯერ მხარგრძელებისა, შემდეგ კი ჯაყელებისა⁴²⁹. ჩვენ აქ ამაზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ დავსძენთ რომ სარგის I ჯაყელის ასულის ვინაობა აქამდე უცნობი იყო, მაგრამ ქობერში აღმოჩენილმა ზემოაღნიშნულმა ეპიტაფიამ, რომელსაც კირაკოსის ცნობაც ამყარებს, საშუალება მოგვცა, გაგვერკვია, რომ ის იყო ზაქარია ამირსპასალარის მეუღლე რუსუდან ჯაყელი. რუსუდანი, გარდაცვალების შემდეგ ქობერში დაიკრძალა. ჩვენი აზრით, სწორედ ზაქარია ამირსპასალარისა და რუსუდან ჯაყელის ასული უნდა იყოს ბიეთის აღმშენებელი ხუმაგი (ხომა). მის შესახებაც ისმის ანალოგიური კითხვა: რა ხელი ჰქონდა მხარგრძელთა შთამომავალს სამცხის ამ განაპირა სოფელში? როგორც ჟამთააღმწერლის ცნობებიდან ჩანს იგი ერთ დროს გურკლელთა ფეოდალური სახლისსამფლობელო იყო. როგორც ჩანს ეს მამული მოგვიანებით ჯაყელებმა ჩაიგდეს ხელში. ჯერ კიდევ XIII ს-ის 60-იან წლებში გურკელიმურვან მახუნჯაგის ძე გურკლელის სამფლობელო⁴³⁰, ხოლო ყაენისაგან სამცხის „ხან-ინჯუდ შენყალების შემდეგ ეს მხარე მთლიანად ჩამოსცილდა საქართველოს. გურკლელთა მამული სოფ. გურკელთან ერთად კი გაძლიერებულმა ჯაყელთა სახლმა შეიერთა⁴³¹. ეს უნდა მომხდარიყო 1266 წელს. ამ დროიდან, ჩვენი აზრით გურკელი უნდა გადაქცეულიყო სამზითვე მამულად, რომელიც სარგის ჯაყელმა ქალიშვილს რუსუდანს უბოძა. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ მისი ქალიშვილი ხომაქი თავის შვილთან (ასეა ბიეთის წარწერაში) გადმოდის სამზითვე მამულ გურკელში და აქ აშენებს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას. შესაძლებლად მიგვაჩნია ხომაქიც ბიეთის მონასტერში იყოს დაკრძალული. ამას მომავალი კვლევა-ძიება გვიჩვენებს. ყურადღებას მივაქცევთ ჟამთააღმწერლის თხზულების ერთ ადგილს, კერძოდ გიორგი ბრწყინვალეს მეფედ დამტკიცების შემდეგ მასთან ვხედავთ ჩვენთვის

⁴²⁹ იქვე, გვ. 180.


⁴³⁰ ქართლის ცხოვრება, გვ. 594.

⁴³¹ **რ. გოგოლაური**, გურკლელთა ვინაობის საკითხისათვის, მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „განათლება XXI საუკუნეში“, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი, საქართველო, 13-14 ნოემბერი, 2015.

საინტერესო პიროვნებას ზაქარიას, რომელსაც უცნობი მემატრიანე „ავაგის ასულის, ხუაშაქის ნაშობს“ უწოდებს. ჩვენი აზრით აქ ნახსენები ავაგი არ უნდა გავაიგივოთ ივანე ათაბაგის ძე ავაგ სარგისში. თუ წყაროში ნახსენები ხუაშაქი მართლა ავაგ სარგისის (ათაბაგ ამირსპასალარი შვილია თანაც ერთადერთი), მაშინ რატომ არ უნდა დაერქვა თავისი შვილისათვის პაპის სახელი ავაგი, ან თუნდაც დიდი პაპის ივანეს (ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, სპასალარი) სახელი. მეორე და უმთავრესი აქ ის არის, რომ პროფ. შ. მესხიას მიერ ბიეთის აღმშენებლად დასახელებულ ხუაშაქს, არანაირად ხელი არ შეუვიდოდა სამცხის ამ განაპირა სოფელ გურკელზე და შესაბამისად ვერც ტაძარს ააშენებდა. რაც შეეხება ჟამთააღმწერელთან მოხსენიებულ ზაქარიას ჩვენი აზრით უნდა იყოს ზაქარია ამირსპასალარისა და რუსუდან ჯაყელის შვილიშვილი, ბიეთის აღმშენებელ ხოშაქის ვაჟი, რომელიც ტაძრის საამშენებლო ნარწერაში ხოშაქთან ერთად მოიხსენიება. ზაქარია, რომელმაც ჩვენი ვარაუდით აღზრდა მიიღო სამცხეში პაპის სარგის ჯაყელის კარზე, თანშეზრდილი უნდა ყოფილიყო ასევე სამცხეში აღზრდილ გიორგისთან (გიორგიV) და როგორც ჯაყელთა და მხარგრძელთა გვარის წარმომადგენელს არ უნდა გასჭირვებოდა სამეფო კარზე რაიმე თანამდებობის მოპოვება. ჩვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდს ეწინააღმდეგება ჟამთააღმწერლის მიერ ხუაშაქის მოხსენიება ავაგის ასულად. ვფიქრობ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს გარკვეულ ხარვეზებთან, რომელიც ან ჟამთააღმწერლის ან კიდევ გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომების წყალობით დამახინჯებული სახით მოაღწია ჩვენამდე. „ასწლოვანი მატრიანე“ მართალია ძირითადად მაინც ისტორიული წყაროების მიხედვით არის შედგენილი, მაგრამ სავარაუდოა მას ზეპირი გადმოცემებითაც ესარგებლა, რისი კვალიც აშკარად ჩანს თხზულებაში. მაგრამ ნარატიულ წყაროთა მონაცემების საფუძვლიანი შესწორება და შევსებაც შესაძლებელი ხდება ეპიგრაფიკული მონაცემებით. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი დახმარება გაგვიწია ქობურში აღმოჩენილმა უცნობი საფლავის ეპიტაფიამ, რომელიც რუსუდან ჯაყელს ეკუთვნის. სწორედ ამ ნარწერამ საშუალება მოგვცა გადაგვეფასებინა ბიეთის ტაძარზე არსებული ნარწერის შესახებ ისტორიოგრაფიაში მიღებული დებულება. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ავაგის მოხსენიებას, ვფიქრობთ იგი უნდა იყოს არა ათაბაგ-ამირსპასალარი ავაგ-სარგისი, რომელიც 1250 წელს გარდაიცვალა, არამედ ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი ავაგ სარგისი შანშეს ძე, რომელიც ბიძა იყო ხუაშაქ ზაქარიას ასულისა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ზაქარია და მისი მამა შანშე ერთსა და იმავე წელს (1261წ) გარდაიცვალნენ. ცხადია მცირეწლოვანი ძმიშვილის (ხუაშაქი) აღ-

ზრდა ავგ სარგის უნდა ეკისრა და მისი ეს მამობრივი მზრუნველობის ანარეკლი აისახა კიდევ უამთააღმწერელთან. საინტერესოა ვინ იყო ხო-შაქის მეუღლე? შესაძლოა ის იყო რომელიმე მონღოლი მოხელე ან ნოინი, რომელიც მიზეზთა გამო ვერ მოხვდა ბიეთის წარწერაში.

მასასადამე მხარგრძელთა ფეოდალურ სახლში წყაროებისა და ჩვენი ინტერპრეტაციის მიხედვით სახელი ხუაშა შემდეგ პოზიციებში დასტურ-დება:



როგორც ჩანს სახელი ხუაშა მხარგრძელთა ფეოდალურ სახლში ხუთჯერ დადასტურდა ერთხელ რძალ-დედამთილის და ორჯერ ბებია-შვილიშვილის სახელად. აქედან ქრონოლოგიურად უკანასკნელი ხუაშა უნდა იყოს ბიეთის ამშენებელი, რომელიც XIII- XIV სს მოღვაწე უნდა იყოს.

ამრიგად ქობერში აღმოჩენილმა უცნობი საფლავის ეპიტაფიამ, რომელიც ყველა მონაცემის მიხედვით სარგის I ჯაყელის ასულს რუსუდანს ეკუთვნის, საშუალება მოგვცა მეტი დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ბიეთის მონასტრის აღმშენებელი არის ზაქარია ამირსპასალარისა და რუსუდან ჯაყელის ასული, რომლის სახელი უცნობი იყო, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ვივარაუდეთ, რომ მას ხუაშა ერქვა, ისევე როგორც მის ბებია - ზაქარიას დედას. პირდაპირი წყაროების უქონლობის გამო, საბოლოო ჭეშმარიტების დასადგენად აშკარად იგრძნობა ახალი წყაროებისა და არგუმენტაციის მოპოვების საჭიროება.

Roman Gogolauri

The issue of identity of Khuashak from Qitor

In samtskhe, on the left bank of the river Tsinubnistskali is situated is built by the Khuashak (Khosha). According to researchers the tempk was built in the XII-XIII century. During this peried is observed about nine Khuashaks. According to our research this temple must be built by Zakaria Amirspasalari and by the daughter Rusudan, who was the daughter of Sargis I Jakeli. Her name was is unkoun, but we just assumed Hat his name was Khuasha, as well as her grandmoher who was mother of Zakaria. Due to lack of direct sourcer we need to find new sources and arguments to outline the ultimate truth.

**თედო სახოკიას პუბლიცისტიკა
(1888-1900 წლების კორესპონდენციები)**

თედო სახოკია XIX საუკუნის დასასრულისა XX საუკუნის პირველი ნახევარში მოღვაწეობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, მისი საგაზეთო წერილები, კორესპონდენციები, საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფელეტონები და ის უამრავი მასალა, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობით დაგროვდა, საინტერესო, მდიდარ წარმოდგენას გვიქმნის ავტორის მსოფლხედვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ასპექტების თვალსაზრისით.

ქართველი მკითხველი დიდი გულისყურით ელოდებოდა და ეცნობოდა თედო სახოკიას ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებს, აქტუალობითა და სამართლიანი შეფასებით აღბეჭდილ გამოხმაურებებს ერის მტკივნეულ საკითხებზე. ზემოაღწერილს შეიძლება დავამატოს საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები და ფელეტონები, სამეცნიერო თუ საინფორმაციო ხასიათის წერილები, ევროპის იმ ქვეყნების შესახებ, რომელშიც იმყოფებოდა და ასეთთა რიცხვშია: შვეიცარია, სადაც პირველად გაემგზავრა სასწავლებლად, საფრანგეთი, სადაც სწავლის გარდა, საქართველოსთვის არანაკლებ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობაში იყო ჩართული, იტალია, სადაც ზაფხულს ატარებდა ე. ი. ისვენებდა და სამეცნიერო საქმიანობაში ეხმარებოდა კათოლიკე მღვდელ მიქაელ თამარაშვილს, ბელგია, სადაც ემიგრანტის მრავალი წელი და მძიმე დღეები გაატარა, ინგლისი, სადაც სავაჭრო საქმიანობის გარდა, ნაყოფიერ მეგობრულ კავშირებს ეძიებდა საქართველოს მეგობართა ოჯახთან.

ევროპის ამ ქვეყნების გაცნობის გარდა, თედო სახოკია იმ ქვეყნის ენასაც სწავლობდა, სადაც ცხოვრება უწევდა, ხოლო ქართველ მკითხველს საინტერესო, მდიდარ მასალას აწვდიდა ამ ხალხის ცხოვრებიდან. აქვეყნებდა მასალებს რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე.

თედო სახოკიას პუბლიცისტური მემკვიდრეობა ვრცელ მასალას შეიცავს და შეიძლება დავეყოს ქრონოლოგიურ არეებად.

1. 1888-1900 წწ. პირველი გამგზავრება ემიგრაციაში, ოჯახური პირო-

ბების გამო ნაადრევად დაბრუნებული, საქართველოში იწყებს მუშაობას და თანამშრომლობას გაზეთ „ივერიაში“ 1889 – 1893 წლებში. ამავე პერიოდში 1894 წლიდან იწყებს რუსულ ენაზე გამომავალ გაზეთში, „Кавказ“ - ვიდრე 1898 წლამდე, „Новое обозрение“-ში, ყველაზე გახმაურებული საგაზეთო წერილი, გამოქვეყნებული „Петербургския ведомости“-ში.

2. 1900-1905 წწ. ემიგრაციაში ყოფნის ამსახველი მასალები, კორესპოდენციების, სამეცნიერო შეხვედრების შესახებ წერილები, ფელეტონები და საინფორმაციო ხასიათის კორესპოდენციები და ა. შ. ემიგრაციაში მყოფი საფრანგეთში თანამშრომლობს და აქტიურად არის ჩართული ქართულ გაზეთ „საქართველოს“ გამოცემაში. თამამად შეიძლება ითქვას, თანარედაქტორია. იმავე „საქართველოს“ ფრანგული გამოცემა „La Georgie“, საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო, არჩილ ჯორჯაძესთან ერთად თედო სახოკია ერთ-ერთი თანარედაქტორია.

ამავე პერიოდში საქართველოში დროებით ჩამოსულს თავად ჩამოაქვს აღნიშნული ნომრები კონსპირაციული გზით.

3. 1905-1909 წწ. იარაღის ჩამოტანა, სოხუმში მიმდინარე მოვლენები, პატიმრობა, ციშიბროში გადასახლება, უკან გამოქცევა და ემიგრაციაში ამჯერად ხანგრძლივი დროით წასვლა. გაზეთები: „ცნობის ფურცელი“, „Черноморский вестник“, „დროება“, „სახალხო გაზეთი“, „შუქი“, „ისარი“, ჟურნალები: „ნიშადური“, „მოგზაური“ - რომლებშიც აქტიურად თანამშრომლობს.

4. 1909-1916 წწ. ემიგრაციაში გატარებული წლები ბელგიაში, საფრანგეთში, ინგლისში. ამ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებთან, აღსანიშნავია, რომ ამ გაზეთების ჰონორარებით ახერხებს საკუთარი თავის სამშობლოში ავადმყოფი მეუღლისა და შვილების რჩენას. ამავე პერიოდში თანამშრომლობს და აგზავნის წერილებს პეტერბურგის სამუზეუმო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. ამავე პერიოდში ემიგრაციაში მყოფმა გამოსაცემად მოამზადა რამდენიმე ეთნოგრაფიული წერილი სამეგრელოს შესახებ, რომელიც პერიოდულობით იბეჭდებოდა რუსულ გაზეთში, „Про Мингрелии“ (Брачные обряды), Этнографический очерк, „Петроградские ведомости“, 1916, ##176, 178,181, 191.

საქართველოში თანამშრომლობს გაზეთებთან: „სახალხო გაზეთი“, „თემი“, „კოლხიდა“, „ჩვენი ერი“, „საქართველო“.

5. 1916 -1924 წწ. საქართველოში დაბრუნებული აგრძელებს თანამშრომლობას გაზეთებთან: „სახალხო საქმე“, „ტრიბუნა“, „ბახტრიონი“, „ლომისი“, „ქართული სიტყვა“, ჟურნალი: „დროშა“.

მიმოვიხილავ მოკლედ პირველი და მეორე პერიოდის პუბლიკაციების, კორესპონდენციების ზოგიერთ წერილს.

1888 - 1905 წლების კორესპონდენციები

თედო სახოკიას პირველი კორესპონდენცია, გამოგზავნილი ქართლიდან (გორიდან), სადაც დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა, კიდევ გამოაქვეყნა სტატია: „სკოლა და მისი მზრუნველი ხელი“ („ივერია“ 1889, #267). შემდგომ კი სისტემატურად იწებს და აქვეყნებს აქტუალურ მასალებს. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, ამავე პერიოდში (1888 წლიდან) იწებს მთარგმნელობით საქმიანობას და მუდმივად აქვეყნებს თავის თარგმანებს.

თედო სახოკიას ნაწერების ბიბლიოგრაფია ტირძნისიდან გაზეთ „ივერიაში“ გამოგზავნილი კორესპონდენციით იწყება. წერილში საუბარია ახლად გახსნილ სკოლასა და მის მნიშვნელობაზე. „ეს მესამე წელია, რაც სკოლა არსებობს, ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ივანე სულხანიშვილს, რომელმაც სოფელს უსასყიდლოდ დაუთმო სასკოლო ადგილი და სკოლის მასალის უმეტესი ნაწილი... დღეს უკვე 40-მდე შეგირდი დადის ამ სასწავლებელში და მათ შორის 5 ქალი. იმათ მალხაზსა და ცქერიალა პირისახეს რომ უყურებს კაცი, გული უმხიარულდება“⁴³²

ამავე პერიოდში პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად იწყებს ხალხური ზეპირსიტყვიერების, ზღაპრებისა თუ სხვა მასალების შეგროვებას, რომელთაც აქვეყნებს იმდროინდელ გაზეთში, მათ შორისაა, ტარიელის ზღაპარი ანუ ხალხის მეხსიერებაში დარჩენილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ასევე ქართლში, ტირძნისში, აქვს ჩაწერილი⁴³³.

სოფლის მასწავლებლობა, საშუალებას იძლეოდა გასცნობოდა ხალხს, მათს ჭირ-ვარამს, ახლოს ყოფილიყო იმ ადამიანებთან, რომლებმაც ქართველი ერის, ქართული სულის გარუსება-გადაგვარებისაგან გადარჩენა შეძლეს, ხელი შეუწყვეს თედოს, როგორც ქართველი ერის მსახურს, ნაყოფიერი, შინაარსიანი ცხოვრებით ეცხოვრა.

საგაზეთო კორესპონდენციებში დიდი ყურადღება ეთმობა სოფელს და სოფლის ცხოვრების სამეურნეო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით მიმოხილვას. ასეთთა რიცხვშია 1892 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილები: „მოსავალი კავკავში“, „წილკნის ეკონომიკური მდგომარეობა“. ამას მოჰყვება ვრცელი კორესპონდენციები ზესტაფონიდან, სადაც თედო სახოკია უცხოეთის კორესპონდენტად აგრძელებს მუშაობას

⁴³² გაზ. „ივერია“ 1889: №267.

⁴³³ გაზ. „ივერია“ 1890: №7, 8.

შავი ქვის მრეწველ ნიკოლოზ ლოლობერიძის წარმოებაში. აქედან აგზავნის საინფორმაციო ხასიათის წერილებს შავი ქვის წარმოების შესახებ, განიხილავს მუშების ეკონომიკურ, სოციალურ, ჯანმრთელობის მდგომარეობას და ა. შ. აღწერს ისტორიას 1879 წლიდან, როცა ჭიათურის მანგანუმის საბადოს ექსპლოატაციას ენეოდნენ ადგილობრივი კერძო პირები, უცხოელი კაპიტალისტები, სააქციო საზოგადოებები და გაერთიანებები. ამ პერიოდში მარგანეცის მოპოვება და დამუშავება ხდებოდა ხელით, პრიმიტიული წესით.

მაგალითად, ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვკითხულობთ, თუ რამდენი ფუთი შავი ქვა გაიზიდა ჭიათურიდან ქ. ფოთამდე: „შავ ქვას აგზავნიდა სულ 8 მწარმოებელი, რომელთა შორისაა 3 ბერძენი, 1 ინგლისელი, 1 შვეიცარიელი, 1 გერმანელი, 1 ქართველი და ერთი ქართულ-ბერძნული ამხანაგობა,“ აღნიშნავს, რა რაოდენობის ნედლეული გაჰქონდათ, სად, რომელ ქვეყნებსა და ქალაქებში იგზავნებოდა ტვირთი⁴³⁴ და ა. შ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1909-1916 წლების ემიგრაციაში ყოფნისას თედო სახოკიას კიდევ ერთხელ გამოუჩნდა შესაძლებლობა ეთანამშრომლა უცხოეთთან, კერძოდ, ინგლისში ამავე შავი ქვის რეალიზაციასთან დაკავშირებით, გასცნობოდა მოვაჭრეებს და მიენოდებინა მათთვის საჭირო ინფორმაცია. ამისათვის ის ერთი წლით სამუშაოდ გადავიდა ინგლისში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ მონდომებამ საბოლოოდ უშედეგოდ ჩაიარა.

1910 წელს, თედო სახოკია აქვეყნებს წერილს გაზეთ „სახალხო გაზეთში“ #171-ში. ის სინანულით აღნიშნავს, რომ შავი ქვის მრეწველობა წყდება, რადგან ჭიათურის შავი ქვის წარმოებაზე სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობები შეიზღუდა. ავტორს მოჰყავს მაგალითები, თუ რამ გამოიწვია შავი ქვის რეალიზაციის შეწყვეტა და რა გამოიწვია ამან: „ტალახიან ქვებს უშვებდნენ, დაზარალდა მოსახლეობა - რკინიგზა, ფოთის ნავსადგური დაცარიელდა და ა. შ. ეს 20-30 წელიწადია, ჭიათურას და მთლიანად დასავლეთ საქართველოს შეღავათს აძლევს ჭიათურის შავი ქვის წარმოება. დღეს ლონდონის ბაზრიდან განდევნილია ჩვენებური შავი ქვა, ჩვენი ქვა არაფერში სჭირდებათ, ჭიათურის შავი ქვა ევროპაში ჩანაცვლა ინდოეთსა და ბრაზილიაში მოპოვებულმა შავმა ქვამ“⁴³⁵ ასევე კორესპონდენციებში საუბარობს „ზესტაფონში ხოლერის გავრცელებისა და მასთან ბრძოლის საწინააღმდეგო ვაქცინების შესახებ“⁴³⁶.

⁴³⁴ გაზ. „ივერია“ 1893: №48.

⁴³⁵ გაზ. „სახალხო გაზეთი“ 1910: №171.

⁴³⁶ გაზ. „ივერია“ №141, №187, №203.

გაზეთ „Кавказ“-ში 1894-დან -1998 წლამდე თედო სახოკია აქვეყნებს მასალებს სოფლის ცხოვრების, ძირითადად შიდა ქართლის, აქტუალური პრობლემების შესახებ, მაგალითად, სკოლების შესახებ ვკითხულობთ „სოფლებში გლეხების ცხოვრების პირობების“,⁴³⁷ ასევე, „ყურძნისა და პურის მოსავლის თაობაზე“⁴³⁸, „ხეხილის მოსავლის, მცენარეთა სოკოვანი დაავადებების ირგვლივ“⁴³⁹. და ა. შ.

თედო სახოკიას კორესპონდენციები უაღრესად საიმედო წყაროა განსაკუთრებით აფხაზეთისა და იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ. ამ პრობლემების გაშუქებას, თედო სახოკია ამავე პერიოდიდან აქტიურად იწყებს საგაზეთო სტატიებში.

თედო სახოკიას მწერლური კრედაა, წეროს სამართლიანად, ისტორიული სინამდვილე რეალისტურად, შეუფერადებლად ასახოს, ძირითადად ამ კუთხის, აფხაზეთის ისტორია, რომლის მკვიდრად ითვლება და ეს მასალებიც, ერთი-ორად ძვირფასია, რადგან ის სისხლხორცეულად არის დაინტერესებული, ღრმად ჩასწვდეს მშობლიური მიწა-წყლის საიდუმლოს და გამოამზეუროს იგი.

საგაზეთო კორესპონდენციები გრძელდება გაზეთ „Новое обозрение“-ში. აქაც, როგორც წინამორბედებში, ავტორი იცავს თავის მოქალაქეობრივ პოზიციას, წერს სამართლიანობისა და რეალობის შეუფერადებლობის სურვილით, წერს სხვადასხვა საკითხზე, იქნება ეს „სოხუმის ოლქში ახალი სამრევლო სკოლების გახსნა“⁴⁴⁰, „რუსი გლეხების გაჭირვებულ მდგომარეობა“⁴⁴¹, „საქალაქო არჩევნები“⁴⁴² „საზღვაო-სანავსადგურო ზონის ამენება“⁴⁴³ და სხვა უამრავი მასალა, რომელთა ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა.

1896 წლიდან გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „**ცნობის ფურცელმა**“. თედო სახოკია ძირითადად ამ გაზეთში გადადის სათანამშრომლოდ. იგი აგრძელებს აფხაზეთის ცხოვრების აქტუალური მოვლენების გაშუქებას, რაც ძალზე შეზღუდული იყო ცენზურის მიერ. აღსანიშნავია, რომ „**ცნობის ფურცელში**“ გაზეთის ძირითადი ნაწილი ახალ ამბებს ეკავა, ამასთან, უპირატესად - თეატრალურ ღონისძიებებს (ეს გარემოება შეიძლება იმიჯა.

⁴³⁷ Газ. „Кавказ“ 1894: №107.

⁴³⁸ Газ. „Кавказ“ 1894: №162.

⁴³⁹ Газ. „Кавказ“ 1895: №200.

⁴⁴⁰ Газ. „Новое обозрение“ 1895: №4095.

⁴⁴¹ Газ. „Новое обозрение“ 1895: №4078.

⁴⁴² Газ. „Новое обозрение“ 1896: №4319.

⁴⁴³ Газ. „Новое обозрение“ 1896: №4369.

მთაც აიხსნას, რომ გაზეთს ამ დროს რედაქტორობდა ცნობილი თეატრალური მოღვაწე ვალერიან გუნია, რომელიც აგრეთვე იყო თედო სახოკიას მეგობარი).

საგანებით კორესპონდენციები ძირითადად იქ მიმდინარე ამბებს ეხება, ეხმიანება ყველა მოვლენასა და ფაქტს, აშუქებს მთელი სიმკაცრითა და პირდაპირობით საზოგადოებისათვის ყურადსაღებ მოვლენებს, აცნობს ქართველობას, თუ რა მდგომარეობაშია იმდროინდელი აფხაზეთი. წირვა-ლოცვის ქართულად, გასაგებ ენაზე ჩატარების შესახებ „მაღალყოვლადუსამღვდელოეს ფლავიანესთვის თედო სახოკიას თხოვნა მიუერთმეგია იმის შესახებ, რომ ადგილობრივ საკათედრო ტაძარში კვირაში ერთხელ ქართულ ენაზე ჩატარდეს წირვა-ლოცვა და რომ მღვდელმსახურება ქართველი მრევლისათვის ამავე ენაზე უნდა სრულდებოდეს“⁴⁴⁴

1900 წლისათვის თედო სახოკიას საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა ისეთ ხარისხს აღწევს, აფხაზეთში „ქართული პარტიის“ მოღვაწეობა იმდენად საგანგაშო მასშტაბებს იძენს, რომ თედო სახოკია იძულებულია დატოვოს საქართველო, ამჯერად ის პარიზის მსოფლიო გამოფენაზე მიემგზავრება საქართველოდან მიმავალ ჯგუფთან ერთად, როგორც ამ მოვლენების გასაშუქებლად, აგრეთვე როგორც გაზეთ „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი. მას ევალება ყოველთვიურად 4 კორესპონდენციის გამოგზავნა.

ამავე, 1900 წელს ეკუთვნის თედო სახოკიას გახმაურებული სტატია სოხუმის მოვლენების შესახებ, „**Петербургския ведомости**“-ში გამოქვეყნებული. „**Из Сухума**“, – ერქვა სტატიას, რომლითაც ავტორი, სოხუმის ოლქის სხვადასხვა სოფელში მოსახლეობისათვის გასაგებ (ქართულ ენაზე) წირვა-ლოცვის აკრძალვის წინააღმდეგ ილაშქრებდა⁴⁴⁵.

ამავე წლებში თედო სახოკია თანამშრომლობს ჟურნალებში: „**კვალი**“ (1894-1905 წწ), „**მეურნე**“ (1888-1898წწ), „**მოამბე**“ (1894-1905წწ). უკანასკნელი, „**მოამბე**“, გაცილებით მალა იდგა თავის წინამორბედებზე. „**მოამბე**“ იყო ევროპული სტილის, ახალი ხედვისა და მოთხოვნილებების გამომხატველი, რომლის ფურცლებზე იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ნაშრომები, 90-იან წლებში თანამშრომელთა შორის – თვალსაჩინო ადგილს იჭერს თედო სახოკია.

1900 -1905 წწ. კორესპონდენციები ემიგრაციაში ყოფნის მასალები. ამ პერიოდს მიეკუთვნება კორესპონდენციების, სამეცნიერო შეხვედრების ამსახველი მასალა, ფელეტონები და საინფორმაციო ხასიათის წერილები და ა. შ., რომელთაც თედო სახოკია საზღვარგარეთიდან აგზავნიდა. ქა-

⁴⁴⁴ გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1898: , №553.

⁴⁴⁵ Газ. „Петербургския ведомости“ 1900: #177.

რთველ მკითხველ საზოგადოებას აცნობს, ევროპის განათლებულ სახელმწიფოების ყოფაცხოვრებას, ამ სახელმწიფოების მკვიდრთა მიღწევებს პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ თუ სხვა სფეროებში. ასე ეცნობოდა ქართველი მკითხველი დასავლურ ღირებულებებს, ევროპის მიღწევებს, ევროპელთა ყოველდღიურ ყოფა - ცხოვრებას.

თედო სახოკია 1900 წელს პარიზში, მას მსოფლიო გამოფენაში საქართველოს წარმომადგენლობის კორესპოდენტად ნიშნავენ, ე. ი. გამოფენის შესახებ კორესპოდენტებს რეგულარულად აგზავნიდა ქართული პრესისათვის.

თედო სახოკია საზღვარგარეთ დევნილობის დროს აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში ჟურნალ-გაზეთებთან, განსაკუთრებით კი „ცნობის ფურცელთან“ (1896-1906 წწ). აქ ძირითადად ყურადღებას გაავამახვილებ იმ საგაზეთო კორესპოდენტებზე, რომლებიც ეხება უცხოელ მოღვაწე-მეცნიერთა შეხედულებებს საქართველოს შესახებ. ასეთთა შორის გამოსარჩევია პოლ ადამსის აზრი, რომელიც დაბეჭდილია ამავე წლის „ცნობის ფურცელში“ პოლ ადამსი ყურადღებას ამახვილებს რაფიელ ისარლიშვილისა და პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის ფრანგულ ენაზე გამოცემულ წიგნზე, რომელიც საქართველოს ეძღვნება. „ამ წიგნის საშუალებით, - წერს იგი, - კაცი ადვილად მიხვდება ამ პატარა ხალხის, ქართველთა ტომის, ისტორიას, რომელმაც XIX საუკუნემდე მოაღწია და საბოლოოდ მაინც არ განქრა, არ დაუკარგავს არც თავისი ენა, არც სარწმუნოება და არც თავისი ზნე-ჩვეულება“, - წერს ავტორი და შემდეგ ვრცლად მიჰყვება საქართველოს ისტორიას ვიდრე 1801 წლამდე. თანამედროვე საქართველოს შესახებ კი ამბობს: „დღეს ტფილისი მდიდარი ქალაქია. საქართველოს დიდძალი ჭირნახული მოჰყავს საფრანგეთში გასაგზავნად. სახელილა დარჩა იმ ურდოთა, რომელნიც ესოდენ საუკუნეთა განმავლობაში მისის სისხლით მორწყულ მინასა სთელავდნენ, მართლა ყველანი ამ ერს იბრძვიებდნენ და ჩაგრავდნენ, ყველა იმას ამარცხებდა, მაგრამ დღეს ეს ერი მაინც ბატონია თავის ქვეყნისა და კეთილდღეობითა ხარობს, ვიდრე ეს ერი არის -ერი მწარმოებელი“⁴⁴⁶

ბარონ დე-ბაი საფრანგეთის საერო განათლების სამინისტროსაგან დავალებული ჰქონდა შეენსავლა საქართველოს საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო კვლევა-ძიებანი.

ამ თემას ეხება და საქართველოს ისტორიის და ქართველი ხალხის უძველესი წარსულის უგულითადესი სიყვარულითაა თქმული სიტყვები, რომლებიც არ შეიძლება მოკლედ არ მიმოვიხილოთ, „ბარონ დე-ბაი საქა-

⁴⁴⁶ გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1901:№1343.

რთველოში“ მის მიერ ფრანგულად გამოცემული წიგნი (52 გვერდი) აღწერს ისტორიულ წარსულს. აქ მოვიხსენიებთ ფრაგმენტს წერილიდან: „მისი (ქართველ ერის) ისტორიული ცხოვრება, - ამბობს ბარონი დე-ბაი, - გრძელი და განუწყვეტელი ბრძოლა იყო, სადაც მისი მამაცობა ბრწყინავდა, სადაც იხარჯებოდა მისი სიყვარული იარაღისადმი. მისი გულუხვობა, მისი კეთილშობილური ხასიათი ველარ იფერებს წვრილმანურ ანგარიშთანობას თანამედროვე ცხოვრებისას, ამ დიდსულოვან ერს დიდებული აღმაფრენა აქვს გრძნობათა, უმაღლესი შეგრძნება თვისი ღირსებისა და თავის მეგობრობას ფულზე კი არა ჰყიდის, არამედ უსასყიდლოდ იძლევა“⁴⁴⁷¹⁶. ჩვენს საზოგადო მოღვაწეთაგან მარტო ილია ჭავჭავაძე ჰყავს დასახლებული: „ქართველებს, მეომრების გარდა, პოეტებიც ჰყავთ - ერთი მათგანი ტფილისში ცხოვრობს. მისი ვინაობა და მისი ფრანკოფილური გრძნობანი მახედვინებს აგინეროთ ეს კაცი: ქართველი თავადიშვილი ილია ჭავჭავაძე ნაციონალური და სახალხო პოეტია, მის ლექსებს გაიგონებთ როგორც ქუჩებში, ისე ქოხებსა და სასახლეებში. ეს განათლებული პირი უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნის, ყოველ უწინარეს კი თანამედროვე კაცია და ეს მცირე ღირსება კი არ გახლავთ, თუ გავითვალისწინებთ იმ წრეს, რომელშიც ისა ცხოვრობს“⁴⁴⁸¹⁷ აქ ავტორი, ჩამოთვლის მის საქმეებს და დამსახურებას ქართველი ერის წინაშე.

ბარონ დე-ბაის ფელეტონი, რომელიც დაიბეჭდა „**ცნობის ფურცლის**“ **1901 წლის #1622-ში** სწორედ ამ მივლინების შედეგია. დე-ბაი კიდევ ერთხელ აღნიშნავს საქართველოს სიმშვენიერეს და აღფრთოვანებული აღნიშნავს: „კავკასია უღვეველ წყაროს წარმოადგენს მოგზაურთა, მწერალთა და მასწავლებელთათვის, ყველას შეუძლია დაენაფოს სასმელად ამ წყაროს, სვან რამდენიც ენებოთ, მაგრამ წყაროს მაინც არაფერი დააკლდება. ეს მხარე ნაქებ-ნადიდი იყო პოეტთაგან და მაინც მისი სიმშვენიერე, უკუნისამდე მომხიბვლელი, უკუნისამდე შეიძლება ქებულ და დიდებულ იქნეს“⁴⁴⁹¹⁸. კავკასიის საკვირველი ბუნების ქება გადაჭარბებული არ არის, ის კი არა, ქებათა-ქება, რაც მისთვის მიუძღვნიათ, ერთია, ხოლო მისი სიმშვენიერე - ისეთია, „უნდა თვითონ იხილოს ადამიანმა ეს დიადნი სურათნი ეს დიადნი სანახავნი, თვითონ გამოსცადონ მომხიბვლელობა ამ დიდებულის ბუნებისა და ამ ნათლისა, რომელიც მას ათასჯერ ასურათხატებს: შემოდის სამხედრო გზით და მიჰყვება მის ისტორიას“⁴⁵⁰¹⁹.

⁴⁴⁷ გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1901: №1369.

⁴⁴⁸ გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1901: №1369.

⁴⁴⁹ გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1901: №1622.

⁴⁵⁰ გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1901: №1622.

თედო სახოკია სპეციალურ წერილს უძღვნის ბულგარელი მწერლის ივანე ვააზოვის წერილს „მოკლე მიმოხილვა ქართველთა ერის ისტორიული ცხოვრებისა“, რომელიც საქართველოსა და ქართველი ხალხის გაცნობას ეძღვნება. აი, რას უყვება ივანე ვააზოვი თავის მკითხველს ქართველი ხალხის შესახებ: „ბუმბერაზ კავკასიის ქედის სამხრეთ მხარეს უხსოვარ დროიდან სცხოვრობს მთის, მამაცი და მძლავრი ხალხი, ქართველთა ტომისა. ავტორი აცოცხლებს ისტორიულ თანამიმდევრობას და ბოლოს ასხენებს რუსეთს, რომელმაც უბრძოლველად, საბედისწერო გარემოებათა წყალობით, სისხლ-დაუღვრელად შეიერთა საქართველო და ამ ქვეყანაში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ასპარეზი იყო უბედურებისა და ანიოკებისა, დაიმკვიდრა მშვიდობიანობამ. მაგრამ ამ მშვიდობიანობას შესწირა თავისი დამოუკიდებლობა. ერთი მუჭა ერი ოცის საუკუნის განმავლობაში ებრძოდა ურიცხვ მტერს ხმალი და ცეცხლი მუსრს ავლებდა მთელს მხარეს: ხანდახან კაცი იფიქრებდა, გრიგალმა ეს ერი, ეს არის, პოლიტიკური ცისკიდურიდან გადააგდო, მაგრამ გაიხედავთ და ქართველი ერი მუდამ მებრძოლი და ცოცხალი რჩებოდა. ამ ერს ამდენი უბედურება დაატყდა თავს და მინც დაიცვა თავისი ენა და ეროვნული თვითცნობიერება იმ დროს, როცა ბევრი იმაზე უძლიერესნი სახელმწიფონი აზიისა თავიანთ ცივილიზაციასთან ერთად დედამიწის პირიდან სამუდამოდ აღიგავნენ“⁴⁵¹²⁰.

ავტორი იქვე აგრძელებს და აღნიშნავს: „წარმოიდგენთ ქართველი ერის ამ დაუღალაობას და გულ-გაუტეხლობას, მისს დაუსრულებელს ბრძოლას, გული გენვით მისთვის პატივსა სცემთ ამ ხალხს ისე, როგორც პატივსა სცემთ და სიმპათიით ეკიდებით ხოლმე ყოველ ერს, სიცოცხლითა და სულიერის სიძლიერით სავსეს: გიკვირთ, ეს ერი, მხნე, ვითარცა ახალი კლდე კავკასიისა, სადაც ისტორიამ ის დაამკვიდრა, როგორ გადაურჩა აზიის უთვალავ ურდოთა სიმხეცეს და უღმობელობა, გიკვირთ, მათს შემდეგ როგორ მოახერხა კიდევ ცოცხალი დარჩენილიყო“⁴⁵²²¹.

თედო სახოკია ასევე აქვეყნებდა წერილებს, საფრანგეთის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, აგრეთვე სამეცნიერო წერილებს, რომლებიც ეხება ქართველი მკითხველისათვის საჭირო და საინტერესო მოვლენებსა და ფაქტებს, წერილებიდან გვინდა გამოვყოთ რამდენიმე.

სწავლა-განათლების შესახებ. წერილში საუბარია საქართველოდან ჩასულთა მდგომარეობაზე საფრანგეთში, როგორც სწავლა-აღზრდის, ასევე მათი ცხოვრების პირობების მხრივ. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ვკითხუ-

⁴⁵¹ გზ. „ცნობის ფურცელი“ 1901: №1428.

⁴⁵² გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1901: №1428.

ლობთ: საფრანგეთში სასწავლებლად ჩასული ქართველი ახალგაზრდების რაოდენობა 20-21-ია. ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც ეშურებიან სწავლა-განათლების მიღებას, მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიან, თედო სახოკია წერილში სთხოვს ქართველ მკითხველს, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში შექმნილი აქვთ გამოსაღები ამ ყმანვილთა დასახმარებლად, ეს მაინც საკმარისი არ არის აქ და საჭიროა, ყურად იღონ მათი გასაჭირი და შეძლებისდაგვარად დაეხმარონ. „იმედი გვაქვს, ქართული გაზეთების რედაქციები სიამოვნებით იკისრებენ შუამავლობას და საქმის გასაადვილებლად, მსურველთაგან მიიღებენ შემონირულობას, ჩვენი სალაროს გასაძლიერებლად, ჩვენს მადლობას წინდანიწვე მოგახსენებთ“⁴⁴⁵³²². სწავლა-აღზრდის საკითხებზე ევროპაში: - საუბარია ევროპაში თუ რამხელა ყურადღებას უთმობს მთავრობა და საზოგადოება სკოლასა და მოსწავლეს, იცავს მათ უფლებებს და ზრუნავს მოზარდი თაობის ჯანმრთელობასა და ა. შ. აღწერიდან მოკლე ამონარიდები გვამცნობს დღევანდელი სკოლის მდგომარეობას, რომელიც შესაძლოა განსაკუთრებით საქართველოსთვის იყოს გასათვალისწინებელი: „დღევანდელი სკოლა, სადაც მომავალი მოქალაქე ატარებს თავის სიცოცხლის პირველსა და საუკეთესო ნაწილს, სკოლა, რომელიც მეორე დედობას უწევს შეგირდს, ამ უკანასკნელთ გულქვა დედინაცვალად გახდომია, გონებრივად ასახირებს, ხასიათს უდუნებს, ხორციელად ჩაგრავს და აჩიავებს“⁴⁴⁵⁴²³. აქ თედო სახოკია საუბრობს ექიმის დანიშნულებაზე სკოლაში, საფრანგეთის დედაქალაქში დაარსებულ საზოგადოებაზე, რომელშიც არიან გაერთიანებული ექიმები და მშობლები და „რომელთაც აზრადა აქვთ გაუმჯობესება გონებრივი და ფიზიკური ჰიგიენისა საფრანგეთის სკოლებში, აქვე დასძენს, რომ ფრანგთა მაგალითი ჩვენთვისაც მეტად საგულისხმოა, „პატივცემული მკითხველი ნებას მოგვცემს მოკლედ გავაცნოთ ხსენებულ საზოგადოების დანიშნულება და ის მომავალი სიკეთე, რომლის გამოღება მას შეუძლია“⁴⁴⁵⁵²⁴. აქ ავტორი ჩამოთვლის აღწერს და განიხილავს იმ ნაკლოვანებებს, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება თანამედროვე სკოლის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საკლასო ოთახების სისუფთავეს, ავეჯს, ფეხის-ადგილიც კი როგორ არის კარგად მოწყობილი, ფიზიკური ვარჯიშები, სუფთა ჰაერი და ბოლოს, საჭმელ-სასმელი. ბოლოს კი დაასკვნის, რომ კარგი იქნება, თუ ქართველი საზოგადოებაც გაითვალისწინებს, ყურად იღებს და სათანადოდ მიაქცევს ყურადღებას

⁴⁴⁵³ გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1903; №2096.

⁴⁴⁵⁴ გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1903; №2097, №2103.

⁴⁴⁵⁵ გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1903; №2097, №2103.

საქართველოში სწავლა-აღზრდის საქმეს.

ილია ჭავჭავაძის სტუმრობა სოხუმში. 1903 წლის 24 მაისს ილია ჭავჭავაძე ჩადის სოხუმში. ილია ჭავჭავაძისა და დელეგაციის წევრების საპატივცემლოდ შერვაშიძეთა ბაღში გაშლილა სადღესასწაულო სუფრა. ამ სადღესასწაულო სუფრას დასწრები აგრეთვე სოხუმში საგასტროლოდ ჩასული ქართული დრამატული დასი მისასაღმებელ სიტყვაში (ილიას ეს სიტყვა სტენოგრაფიული სიზუსტით თედო სახოკიას მიერაა ჩანერილი) საუბრობს მშობლიური მინა-წყლის გაფრთხილების აუცილებლობაზე.

სოხუმელები სთხოვენ ძვირფას სტუმარს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან შუამდგომლობას, რათა მათ ქალაქში ქართული სკოლა დააარსონ. ცნობილია აგრეთვე საერთო ფოტო **„ილია ჭავჭავაძე სოხუმის საზოგადოებასთან“**. სოხუმელთა მხრივ საზოგადოებამ დიდი სიყვარული, პატივისცემა და მოკრძალება გამოხატა ილია ჭავჭავაძისა და დელეგაციის სხვა წევრების მიმართ. გაცილებისას ხელში აყვანილი მიუყვანიათ ეტლამდე და ქართული სიმღერით გაუცილებიათ.⁴⁵⁶

ამდენად, თედო სახოკიას პუბლიცისტიკა - საგაზეთო კორესპონდენციები, სტატიები. საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფელეტონები და მრავალი სხვა, სამეცნიერო თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი მასალაა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თედო სახოკიას მსოფლმხედველობის სოციალურ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, და ა.შ. თვალსაზრისით.

⁴⁵⁶ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თედო სახოკიას ფონდი, №196.

The publicism of Tedo Sakhokia

(correspondence of 1888 -1900)

Tedo Sakhokia worked in the ninty years of the XIX century and the first half of the XX century. Great is his role as a historian in Historiography.

Tedo Sakhokia's newspaper articles have been reviewed. Feuilletons sent from abroad and many other materials, which have been accumulated throughout the years create a vivid understanding regarding the world outlook of Tedo Sakhokia from social-political, social-economic and cultural viewpoints.

The journalistic heritage of the author in the scientific article covers the years 1894-1905.

mentioned in the article, newspapers 1888-1905, are discussed. „Tsnobis purtseli“ «Iveria» newspaper, «Кавказ» Russian-language newspaper, «Новое обозрение», «Петербургския ведомости», and. Sh.

ბელა ცაავა

ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული ეკოლოგიური პრობლემები. საფრთხეები და გამონწვევები

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, ეკოლოგია, რუსეთი, ინერტული მასალები.

ოკუპირებული აფხაზეთის და ფაქტო ხელისუფლებისა და რუსეთის საოკუპაციო ძალების მხრიდან სასარგებლო ნიაღისეულის არარაციონალური (მომხმარებლური) დამოკიდებულების⁴⁵⁷ მიმართ უყურადღებობის შედეგად, რეგიონში მრავალი წლის განმავლობაში, შეიძლება ვთქვათ საგანგაშო და საშიში ეკოლოგიური ვითარება ჩამოყალიბდა.

რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალები მაქსიმალურად ცდილობენ გამოიყენონ ოკუპირებული რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრეები, გაანადგურონ ადგილობრივი უნიკალური ბუნება, რაც უდავოდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ოკუპირებულ აფხაზეთსა და იქ მცხოვრებ ადგილობრივებს, არამედ მიმდებარე დაუცველ სივრცეებსაც.

რუსეთის ფედერაციამ, 2008 წლის 26 აგვისტოს, იმდროინდელი პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ე. წ. განკარგულების თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების „დამოუკიდებლობის აღიარების“ შემდეგ, ეკოლოგიური იერიშის განხორციელება დაიწყო აფხაზეთის სანაპირო ზოლზე, ასევე მდინარეებზე, საიდანაც გარემო პირობების გათვალისწინების (მოფრთხილების) გარეშე, დაუზოგავად, ველური მეთოდებით ხდებოდა ინერტული მასალების (მისი შემდგომი ექსპორტის მიზნით) მოპოვება.

ოკუპირებული აფხაზეთიდან ინერტული მასალების გატანა 2008 წლიდან დაიწყო. აღნიშნულ პერიოდში ქ. სოჭის ოლიმპიური ქალაქის მშენებლობისთვის რუსეთის ფედერაციას სოხუმის ნავსადგურიდან დიდი ოდენობით ინერტული მასალა გაჰქონდა⁴⁵⁸. აფხაზეთთან მიმართებაში

⁴⁵⁷ ამასთანავე, გარემოს დაბინძურების პროცესების მიმართ.

⁴⁵⁸ გარკვეული ექსპერტების მოსაზრებით, ოკუპირებული აფხაზეთის სანაპირო ზოლში ინერტული მასალების უკანონო მოპოვება შავი ზღვის ეკოლოგიურ სისტემას მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ აყენებდა, რაც უთუოდ გამოიწვევდა სანაპიროების, პლაჟების დეგრადაციის პროცესს, ზღვის ექსპანსიას და ა. შ.

კი, დამატებით, მათ ინტერესს სოჭის ოლიმპიური მშენებლობებისათვის ბარბაროსული მეთოდებით ინერტული მასალების გატანა წარმოადგენს (ჯვანაშია, გვარამია, 2012).

ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსული პროექტის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ქ. სოჭში 2014 წლის ოლიმპიადისთვის ხელოვნური კუნძულის შექმნას გულისხმობდა, ოკუპირებული აფხაზეთის სანაპიროს გარდაუვალი ეკო-კატასტროფა დაემუქრებოდა⁴⁵⁹. 2011 წლის ოქტომბერში რუსეთის ფედერაციის რკინიგზამ განაახლა ოკუპირებული აფხაზეთიდან ქვიშისა და ღორღის ექსპორტი ქ. სოჭის ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის.⁴⁶⁰

საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ჯერ კიდევ 2010 წელს, რუსეთის ქალაქ სოჭში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამართვის წინააღმდეგ აქტიური კამპანია წამოიწყო.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია და ოლიმპიური მშენებლობებისთვის რეგიონიდან დიდი ოდენობით ინერტული მასალის გატანა - ეს იყო ორი ძირითადი მიზეზი, რის გამოც საქართველოს ხელისუფლება ქ. სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ გამოვიდა (ნულაძე, 2010).

ქ. სოჭის ოლიმპიადის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ ოკუპირებულ აფხაზეთში ინერტული მასალების მოპოვება-გატანის მიმართ ინტერესი თითქმის შეანელა და ხანგრძლივადიანი პაუზა აიღო.

2015 წლის 11 სექტემბერს, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ დახურულ სხდომაზე, რამდენიმე ე. წ. საიდუმლო შეთანხმება განიხილა და დაამტკიცა, რაც დე ფაქტო იმდროინდელი პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას ხელმოწერის შემდეგ, „რატიფიცირებისთვის“ ე. წ. პარლამენტს გადაეგზავნა.

აღნიშნული „საიდუმლო შეთანხმებების“ განხილვას ჟურნალისტები არ ესწრებოდნენ. საკითხი სპეციალურად ე. წ. დახურულ ფორმატში განიხილეს, რადგან აქტუალური საკითხების გასაჯაროვება და ადგილობრივ მოსახლეობაში გახმაურება აფხაზურ საზოგადოებაში ვნებათაღელვას და აღშფოთებას გამოიწვევდა, რაც ოკუპირებულ რეგიონში

⁴⁵⁹ შესაბამისი სპეციალისტების გათვლებით, კუნძულის შექმნისათვის საჭირო იყო სულ მცირე 120 მილიონი ტონა ქვა-ღორღი, რომლის ამოღება სანაპირო ზოლიდან, ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი იყო.

⁴⁶⁰ აღნიშნული ქმედების გამო საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებას მიმართა თხოვნით, შესაბამისი შეფასება მიეცათ რუსეთის ფედერაციის ყოვლად უკანონო ქმედებების განსახორციელებლად.

ურთიერთდაპირისპირებასა და ხაჯიბას რეჟიმის „პოლიტიკურ რყევებს“ გამოიწვევდა.

დე ფაქტო მთავრობის კაბინეტმა, შპს „МДД“-ს სამი წლის განმავლობაში მიწისქვეშა რესურსების გამოყენებისა და ოკუპირებული ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქეში, 30000 კუბური მეტრის ოდენობის ინერტული მასალების მოპოვების უფლება მისცა.

დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტში ასევე შეთანხმდნენ, რომ მიწის ნაკვეთები უნდა გადაცემოდა სანატორიუმ-საკურორტო მშენებლობისთვის შპს „Берег-Лдзაа“-ს 0,16 ჰა, ოკუპირებულ სოფელ ლღზაში, შპს „Алахад-зы“-ს 0,98 ჰა ოკუპირებულ სოფელ არსაულში, შპს „Сухумская Ривьера“-ს 0,36 ჰა ოკუპირებულ სოხუმში და შპს „Меркурий“-ს 0,65 ჰა ოკუპირებულ სოფელ გუმისთაში.

ოკუპირებული აფხაზეთის იმდროინდელმა დე ფაქტო ვიცე-პრემიერმა შამილ აძიმბამ განაცხადა, რომ „აფხაზი მოქალაქე“ ლეზლობდა მიწის ნაკვეთს, იღებდა ე. წ. ნებართვას მშენებლობაზე და წარმოადგენდა „საინვესტიციო პროექტს“. ამის შემდეგ ხდება ის მასპინძელი, შემდგომ ეს კომპანია ცვლიდა დამფუძნებლებს, ყიდდა მას და იღებდა ფულს. აძიმბას მოსაზრებით, ეს იყო ფარული სახით მიწის გაყიდვა. რაც უნდა აღკვეთილიყო.

ე. წ. აფხაზური კანონმდებლობით მიწის გაყიდვა ოკუპირებულ რეგიონში აკრძალულია. ოფიციალური გაყიდვების შესახებ გარეგნებები არ არის შესაძლებელი. იმდროინდელმა დე ფაქტო ვიცე-პრემიერმა დიმიტრი სერიკოვმა განაცხადა, რომ უნდა მომხდარიყო მიწის გაყიდვის თავიდან აცილება⁴⁶¹.

ალსანიშნავია, რომ 2008 წელს, რუსეთის მიერ ე. წ. აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ უძრავ ქონებაზე უცხოელების ხელმისაწვდომობის საკითხი მუდმივად ისმება. თითოეული აფხაზი დე ფაქტო ლიდერი - სერგეი ბალაფში⁴⁶², ალექსანდრე ანქვაბი⁴⁶³, რაულ

⁴⁶¹ ე.წ. დახურულ ფორმატში ასევე განხილულ იქნა „აფხაზეთ-რუსეთის შეთანხმება“, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისთვის სამედიცინო სადაზღვევო პოლიტიკის შესახებ, მათი მოსახლეობის უზრუნველყოფა მედიკამენტებითა და სამედიცინო აპარატურით, ე. წ. შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისთვის ფინანსური დანახარჯები შესახებ.

⁴⁶² ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი (1997-1999 წწ.), დე ფაქტო პრეზიდენტი (2005-2011 წწ.).

⁴⁶³ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი (2011-2014 წწ.). 2020 წლის 23 აპრილიდან არის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი.

ხაჯიმბა⁴⁶⁴, ახლა უკვე ასლან ბუჟანიაც⁴⁶⁵, თავიანთი ე. წ. პრეზიდენტობის გარკვეულ ეტაპზე თითქმის ერთი და იმავე შინაარსის განცხადებებს აკეთებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ უძრავი ქონების ობიექტები ისედაც იყიდება, რაც ე. წ. ჩრდილოვანი ბაზარია ფიქტიური პირების მონაწილეობით (რომლებსაც აქვთ ე. წ. აფხაზეთის მოქალაქეობა), უნდა მოხდეს ყველაფრის „ლეგალიზება“ და მიღებულ უნდა იქნეს ე. წ. შემოსავლები „ბიუჯეტში“.

„აფხაზურ ოპოზიციაში“ ყოფნის დროს, რაულ ხაჯიმბა ოსტატურად ატრიალებდა „სამშობლოს გაყიდვის“ საფრთხის თემას, რომელიც „მმართველი ხელისუფლების“ ოპონენტებს ჰქონდათ გაჩაღებული. თავად ე. წ. ოპოზიციაში ყოფნის დროს ვლადისლავ არძინბას პრინციპული მიმდევარი იყო, რომელიც უცხოელებზე „უძრავი ქონების“ მიყიდვის აკრძალვის ინიციატორი გახლდათ⁴⁶⁶.

დღეისათვის აფხაზეთში სხვადასხვა ქვეყნის ინვესტორებს (ძირითადად რუსეთისა და თურქეთის) შეუძლიათ განახორციელონ უძრავი ქონების შექმნა⁴⁶⁷. ალექსანდრე ანქვაბის ე. წ. პრეზიდენტობის პერიოდშიც ქონების შესაძენად არ არსებობდა ე. წ. „სამართლებრივი ბარიერები“.⁴⁶⁸

2015 წლის აგვისტოს თვეში, ოკუპირებულ სოხუმში, მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრა გაიმართა (რუსული ორგანიზაციის მიერ

⁴⁶⁴ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ვიცე-პრეზიდენტი (2005-2009 წწ.) დე ფაქტო პრეზიდენტი (2014-2020 წწ.).

⁴⁶⁵ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი 2020წლიდან, დე ფაქტო უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი (2010-2014 წწ.).

⁴⁶⁶ საიდუმლო არაა, რომ აფხაზური უძრავი ქონების რუსებისთვის დახურული ბაზარი უკიდურესად არ მოსწონს რუსულ მხარეს. ამას არ მალავენ არც ოფიციალური პირები, არც კრემლის მომხრე რუსი ექსპერტები.

⁴⁶⁷ 2015 წელს, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ რუსეთის მთავრობას თხოვნით მიმართა, განიხილონ რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედი ე. წ. ბიზნეს-სუბიექტებისთვის ძირითადი ფონდების საშემოსავლო გადასახადის შეღავათიანი პირობებით გაცემის საკითხი (მათ შორის რუსეთის სახელმწიფო სალიზინგო კომპანიებისთვის - ОАО „Государственная транспортная лизинговая компания“, ЗАО „СбербанкЛизинг“, ОАО „ВЭБ-лизинг“, ОАО „ВТБ-лизинг“, ОАО „Росагролизинг“, ОАО „Росдорлизинг“.

⁴⁶⁸ 2013 წლის 22 აპრილს, ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ ნაბაკევეში, ე. წ. რუსული ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა ბენზინ-გასამართი სადგური, რომლის მფლობელები იყვნენ ადგილობრივი აფხაზები, ასევე რუსი ბიზნესმენი (ვინაობა დაუდგენელია). ობიექტის მშენებლობა რუსი ე. წ. მესაზღვრეების ბრძანებით რამდენჯერმე შეჩერდა. რუსმა ბიზნესმენმა „გავლენიანი მეგობრების“ დახმარებით ობიექტის გახსნის „ნებართვა“ მიიღო.

ორგანიზებული), რომელზეც ჟურნალისტებმა, მენარმეებმა, იურისტებმა, „არასამთავრობო ორგანიზების თანამშრომლებმა“ და ე. წ. საზოგადოებრივი პალატის წევრებმა პრაქტიკულად ერთხმად გამოთქვეს აზრი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების (ოლონდ არა მიწის) შეძენის ნებართვის მიცემის სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ წლების წინ, ოკუპირებულ აფხაზეთში უძრავ ქონებას, განსაკუთრებით კი ქართველების მიერ დატოვებულ სახლებს რუსები და სხვა ეროვნების მოქალაქეები სიხარულით ყიდულობდნენ.

აფხაზეთისა და სხვა ეროვნების ერთმანეთში აღრევის საშიშროება იმდენად გაიზარდა, რომ ანგარდაცვლილ სერგეი ბალაფშს ე. წ. კანონმდებლობის შეცვლაც დასჭირდა, რის საფუძველზეც მან უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა აკრძალა.

ოკუპირებულ სოხუმში, სერგეი ბალაფშის მიერ რამდენიმე წლის წინ გაკეთდა განცხადება, რომ აფხაზეთში მიწა არ იყიდება. იგი იმ რუს დიპლომატებს და ბიზნესმენებს დაუპირისპირდა, რომლებიც ომისშემდგომი 15 წლის განმავლობაში აფხაზეთის მიწას აქტიურად იძენდნენ.⁴⁶⁹

ბინის შეძენისთვის მათ კარგ სამსახურს უწევდნენ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის სააგენტოები, რომლებიც სპეციალურად ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. უძრავ ქონებაზე იყო ორიენტირებული და მსურველებს ქართველთა მიტოვებულ მიწებსა და სახლებს იაფად სთავაზობდა.

მიმდინარე ეტაპზე, ასეთი სააგენტო რუსეთის ფედერაციაში აღარ არსებობს. ბინის მყიდველს ადგილზე უწევს ჩასვლა, ისიც იმ შემთხვევაში თუ ფიზიკური პირი რუსეთის ფედერაციაში ან სხვა ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზია ან ომამდე ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი. სხვა ქვეყნის მოქალაქეს კი რეგიონში მიწის თუ უძრავი ქონების შეძენის უფლება არ აქვს.⁴⁷⁰

2011 წლის 26 აგვისტომდე, ანუ „არჩევნებამდე“ ალექსანდრე ანქვაბი ამბობდა, რომ აუცილებელია ე. წ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების ლეგალიზაცია, „არჩევნების“ შემდეგ გამართულ პირველსავე პრეს-კონფერენციაზე ცალსახად აღნიშნა, რომ „აფხაზური მიწა სახელმწიფოს საკუთრებაა და ის არ იყიდება“.⁴⁷¹

⁴⁶⁹ არადა, ამისთვის პრივილეგია აუცილებლობას არ წარმოადგენდა, ნებისმიერი რიგითი რუსისთვის ოკუპირებული აფხაზეთის ნებისმიერ ტერიტორიაზე მიწის შეძენა უპრობლემოდ, რუსეთიდან გაუსვლელადაც იყო შესაძლებელი.

⁴⁷⁰ ეს აკრძალვები სერგეი ბალაფშის მმართველობის დროს დაწესდა და დღესაც გრძელდება. როგორც დე ფაქტო პრეზიდენტმა ანქვაბმა განაცხადა, მიწა განსაკუთრებული რესურსია, რომლის გაფლანგვის უფლებას არავის მისცემდა.

⁴⁷¹ ალექსანდრე ანქვაბი აღნიშნავდა, რომ უნდა განხილულიყო სიტუაცია და

როგორც ჩანს, ე. ნ. უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის თემა აფხაზური საზოგადოებისთვის კვლავ მნიშვნელოვან საკითხად რჩება. მართალია, წლების განმავლობაში მოსკოვი სოხუმს მიწების გაყიდვაზე „სპეციალური კანონის“ მიღებას აიძულებდა, თუმცა აფხაზური საზოგადოების მკაცრი პოზიციის გამო სერგეი ბალაფშის მმართველობის დროს მისი მიღება არ მოხდა.

ალექსანდრე ანქვაბმა, ოკუპირებულ სოხუმში, რამდენიმე წლის წინ გამართულ ერთ-ერთ ე. ნ. პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ სოჭის ზამთრის ოლიმპიადის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზატორებს, ოკუპირებული აფხაზეთიდან მხოლოდ 2 მილიონი კუბური მეტრის ოდენობის ინერტული მასალის მიღების იმედი უნდა ჰქონდეთ.

ალექსანდრე ანქვაბმა აღნიშნა, რომ ინერტული მასალების ამოღება მხოლოდ და მხოლოდ მდინარე კოდორიდან განხორციელდებოდა, რადგან ეკოლოგების დასკვნით სხვა მდინარეები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინერტული მასალების მიღებისთვის.⁴⁷²

რუსეთის სარკინიგზო ხაზებმა, 2011 წლის ოქტომბერში განაახლა ოკუპირებული რეგიონიდან ინერტული მასალის (ქვიშა, ღორღი) ექსპორტი, ქ. სოჭში დაგეგმილი ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის. ამასთან დაკავშირებით, საქართველომ მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას შესაბამისი შეფასება მიეცა რუსეთის უკანონო ქმედებებისათვის.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალურ განცხადებაში აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ ინერტული მასალების ოკუპირებული აფხაზეთიდან უკანონო ექსპორტი, ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების სრული უგულვებლყოფით მიმდინარეობს და უდიდეს და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს შავი ზღვის სანაპირო ზოლის, განსაკუთრებით კი აფხაზეთის უნიკალურ ბუნებას. (რაც კავკასიის რეგიონისთვის ეკოლოგიური კატასტროფის ტოლფასია).

2011 წელს რუსეთის ფედერაციაში მოქმედ შპს „Genm-F“-სა და ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედ შპს „Hilcnhj“-შორის დაიდო „ხელშეკრულება“, რომელიც ითვალისწინებდა შპს „Genm-F“-საგან 120 სარკინიგზო ვაგონის დაქირავებას. ე. ნ. ხელშეკრულება გაურკვეველი მიზეზით გაუქმდა.

2014 წელს ქ. სოჭში ჩატარებულ ოლიმპიადასთან დაკავშირებით,

მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება „სამოქალაქო კოდექსის“ შესაბამისად, ან მასში „ცვლილებები“ უნდა შეეტანათ.

⁴⁷² ალექსანდრე ანქვაბმა ასევე აღნიშნა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა არ დაუშვებდა მთელი ამ მასალის საავტომობილო გზით ტრანსპორტირებას, რათა არ მომხდარიყო გზის საფარის დაზიანება.

მშენებლობებისათვის ოკუპირებული რეგიონიდან გაიტანეს ინერტული მასალები. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიები კვლავ შეთანხმდნენ ხელშეკრულების განახლებისა და გაფართოების თაობაზე.⁴⁷³

2015 წლის 19 იანვარს, ოკუპირებული აფხაზეთის იმდროინდელი ე. წ. ეკონომიკის მინისტრი ნიკოლაი აჩბა „ყირიმის ეკონომიკური განვითარების მინისტრ“ ნიკოლაი კორიაჟკინს შეხვდა, რა დროსაც განხილულ იქნა რუსეთის ფედერაციის მიერ ანექსირებულ ყირიმში ქერჩის ხიდის ასაშენებლად ოკუპირებული აფხაზეთიდან ინერტული მასალების, კერძოდ ქვა-ლორღის გატანის საკითხი.⁴⁷⁴

მოგვიანებით, ანექსირებულ ყირიმში ხელი მოწერა ე. წ სამუშაო ოქმს ოკუპირებულ აფხაზეთთან, რომლის „პროტოკოლი“ ეხებოდა „თანამშრომლობას ინერტული მასალების მიწოდების საკითხებში“ (Аксёнов, Белавенцев, Мурадов, 2015).

2017 წლიდან, „აფხაზურ მხარეს“ რუსეთის ფედერაციაში ინერტული მასალების ექსპორტის ახალი საშუალება გაუჩნდა. 2017 წლის ოქტომბერში, ოკუპირებული აფხაზეთის შპს „გაერთიანებულმა გადამამუშავებელმა კომპლექსმა“ და რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულმა კომპანიამ შპს „ტეხნოლოგიიმ“ შეთანხმება გააფორმეს რუსეთისთვის ქვიშისა და ქვა-ლორღის (600 ათასი ტონა) მიწოდების თაობაზე.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ „აფხაზური მხარის“ მტკიცებით, ინერტული მასალების მოპოვება ოკუპირებული რეგიონის ეკო-სისტემისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს და ბუნებას ზიანს არ მიაყენებს.⁴⁷⁵

2018 წლის 11 ივნისს, ოკუპირებული აფხაზეთიდან ანექსირებულ ყირიმში ე. წ. ორმხრივი შეთანხმების შესაბამისად, ქვა-ლორღის პირველი პარტია გაიგზავნა. დე ფაქტო იმდროინდელმა ეკონომიკის მინისტრმა ადგურ არძინბამ აღნიშნა, რომ ოკუპირებული რეგიონი იმავე წლის ბოლომდე, კიდევ 200 ათას ტონა ინერტული მასალის გაგზავნას უზრუნველყოფდა. (კახიშვილი, 2018). რუსული საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ოკუპირებული აფხაზეთის მზადაა მოამა-

⁴⁷³ 2015 წლის მდგომარეობით შპს „Genm-F“ —ს გააჩნდა სადებეტო დავალიანება მილიონობით რუსული რუბლი.

⁴⁷⁴ ანექსირებულ ყირიმში, საგზაო-სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო გახლადათ 7 მლნ. კუბ. მ. ქვა-ლორღი და ინერტული მასალა.

⁴⁷⁵ აფხაზი ეკოლოგების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბუნებრივი სიმდიდრეების მსგავსი ხელალებით მოხმარება, ოკუპირებულ აფხაზეთს გამოუსწორებელი და ბარბაროსული ზიანის მომტანია.

რაგოს ანექსირებული ყირიმი ინერტული ნაყარი სამშენებლო მასალებით, ციტრუსებით, საკვები პროდუქტებით და სხვა პროდუქტებით. (Винник, 2015) ოკუპირებული აფხაზეთიდან პროდუქციის საჭიროება ანექსირებულ ყირიმში ე. წ. რუსული მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას უკავშირდება. (Авидзба, 2018)

2018 წლის 3 მაისს ქ. თბილისში, ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის გეოეკოლოგიური მდგომარეობა და მასზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგების ანალიზი, რომელიც მიეძღვნა ოკუპირებული აფხაზეთის ეკოლოგიურ სისტემაში არსებული საფრთხეების ანალიზსა და მათი აღმოფხვრის გზების განსაზღვრას.⁴⁷⁶

2019 წლის 19 თებერვალს, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტი ე. წ. აგრარული პოლიტიკის, ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიის სახელმწიფო კომიტეტის სხდომა ჩატარდა, რომელიც კომპანია „აფსნი ოილისათვის“ აფხაზეთის შელფზე ნავთობის საძიებო სამუშაოების (ასევე მოპოვების) უფლებების გადაცემას მიეძღვნა.

ე. წ. სხდომის გახსნისას დე ფაქტო კომიტეტის თავმჯდომარემ ასტამურ თარბამ განაცხადა, რომ წინა პერიოდში ჩატარდა „კომიტეტის სხდომა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიღებულ იქნა „გადაწყვეტილება“, რომ გამოეთხოვათ სათანადო მასალები დეტალური შესწავლის მიზნით.

რაც შეეხება დღეისათვის არსებულ ვითარებას, შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ნება-სურვილი და ოკუპირებული რეგიონის განვითარება რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ინტერესებში არ შედის. ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია საერთაშორისო ორგანიზაციების (ეკოლოგიის თემატიკაზე მომუშავე უწყებების/ინსტიტუტების) ჩართვა რეგიონში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესების მონიტორინგის, შესწავლის საქმეში, რაც ერთგვარად ნათელყოფს წამოჭრილი საკითხის გარდაუვალ გადაჭრასა და გამოსწორებას.

⁴⁷⁶ ზემოხსენებულ კონფერენციაზე აღნიშნეს, რომ ოკუპირებული აფხაზეთის სანაპირო ზოლიდან 4-5 კილომეტრის დაშორებით მდინარეებში, რომელთა მყარი ნატანი უზუნველყოფს სანაპიროს ლითონდინამიკური სისტემის მდგრადობას, უხვი რაოდენობით ხდება ინერტული მასალის მოპოვება, რომელმაც მიმწველოვნად გააძლიერა რეგიონში არსებული საზაფხულო პლაჟების მორეცხვის გარდაუვალი პროცესები.

**Danger of so called Russian Bases for the population
of Occupied Abkhazia. Threats and Challenges**

The research topic of the presented paper is the presentation of facts about the extraction of inert materials from the rivers of occupied Abkhazia. The events that will lead to the washing away of the coastal zone of the occupied region, the degradation of the coasts - beaches, the creation of new problem centers and the aggravation of the existing situation are analyzed here, which will be an irreparable mistake for the next generation.

The occupying forces of the Russian Federation are trying their best to use the natural resources of the occupied region, to destroy the unique local nature, which undoubtedly poses a threat not only to the occupied region and the locals living there, but also to the surrounding vulnerable areas. As for the current situation, it can be said that the will of the local population and the development of the occupied region are not in the interests of the authorities of the Russian Federation.

Based on the situation in occupied Abkhazia, we definitely consider the involvement of international organizations (departments/institutes working on the topic of ecology) in monitoring and studying the current ecological processes in the region, which somehow clarifies the inevitable solution and correction of the raised issue.

წყაროთმცოდნეობა და ისტორიობრაზია

გონელი არასამია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ახალი „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის აღდგენისათვის

საკვანძო სიტყვები: ქართლის ცხოვრება, რედაქცია, ვახუშტი ბატონიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი.

ახალი „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის XIV-XVII სს. საქართველოს ისტორიის გადაკეთებული ვერსია (შექმნილი XVIII ს. 30-იან-50-იან წლებში), სხვათა შორის, შეიცავს საინტერესო ცნობას ოდიშისა და გურიის მთავრების – მამია დადიანისა და მამია გურიელის ჯიქეთში ლაშქრობის შესახებ 1533 წ. იანვარში. ამ ამბის აღწერაში ერთგან აღნიშნულია, რომ ბრძოლის მეორე დღეს დადიანისა და გურიელის მეომრების ერთმა ნაწილმა თანამებრძოლები მიატოვა, რამაც დარჩენილი ლაშქარი და მისი მეთაურები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, თუმცა წინააღმდეგობას განაგრძობდნენ. ამ დროს კი, მემატანის სიტყვებით, „შეჩუენებულმან ცანდია ინალდიფითა გაინდვნა“, რასაც მოსდევს მითითება დადიანისა და გურიელის დახოცვის შესახებ.

თხრობაში ჩვენს ყურადღებას იქცევს შემდეგი სიტყვები: „შეჩუენებულმან ცანდია ინალდიფითა გაინდვნა“, სადაც „ინალდიფითა“ აზრობრივად გაუგებარია.

აღნიშნული ცნობა, როგორც ჩანს, ახალი „ქართლის ცხოვრებიდანა“ შეტანილი XVIII ს. თხზულებაში „ცხოვრება საქართველოჲსა“ (პარიზის ქრონიკა), სადაც ჩვენთვის საინტერესო ადგილი ასე იკითხება: „შეჩუენებულმან ცანდია ინალდაფითა გაინდუნა“⁴⁷⁷.

⁴⁷⁷ ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი, 1980, გვ. 42.

აღნიშნული ლაშქრობის შესახებ მოკლედ მოგვითხრობენ ვახუშტი ბაგრატიონი⁴⁷⁸ და XVIII ს. II ნახევრის რამდენიმე კინკლოსური ქრონიკა⁴⁷⁹, მაგრამ იქ ჩვენთვის საინტერესო ფრაზა არ არის.

ამკარაა, რომ ზემოთ მოტანილი „ინალდიფითა“ ახალ „ქართლის ცხოვრებაში“, ამ უკანასკნელიდან კი „საქართველოს ცხოვრებაში“ რაღაც სიტყვის თუ ფრაზის თავდაპირველი ფორმის დამახინჯებით მოხვდა.

აღნიშნული ფრაზის გააზრიანება პირველად მ. ბროსემ მოგვცა, რომელმაც „საქართველოს ცხოვრების“ ფრანგულ თარგმანში განსახილველი ადგილი ასე წარმოადგინა: „L'exécrobbe Tzandia Inaldaphitha épargna Giorgi fils du Gouriel et ses nobles qui avaient échappé au carnage“⁴⁸⁰. მანვე ახალი „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ტექსტის ფრანგულ თარგმანში „ინალ“ გამოაცალკევა და ცანდიას სახელად მიიჩნია, ხოლო „დიფითა“, როგორც ჩანს, „დაფითას“ არასწორ ვარიანტად ჩათვალა და ამ უკანასკნელის ძირი „დაფი“ გაიგო ბრძოლის ველზე დასაკრავი ერთ-ერთი ინსტრუმენტის სახელად და განსახილველი ადგილი ასე თარგმნა: „L'exécration Tzandia _ Inal, ordonna au son du tambour d'épargner les fils d'arnaours, épuisés par le combat“⁴⁸¹. აღნიშნული ცნობა „საქართველოს ცხოვრების“ მ. ბროსეს გამოცემიდან თ. ჟორდანიამ თავის „ქრონიკებში“ შეიტანა, სადაც „ინალდაფითა“ კითხვის ნიშნის ქვეშ გვარსახელ „ინალიფად“ მიიჩნია⁴⁸². გ. ალასანიას შესაძლებლად მიაჩნია ახალი „ქართლის ცხოვრებისა“ და „საქართველოს ცხოვრების“ ინალდიფითა/ინალდაფითას ახსნა თურქული ენის ნიადაგზე, სადაც Inan ნიშნავს რწმენას, ნდობას, გარანტიას, inal კი სანდო ადამიანს⁴⁸³.

ვიზიარებ განსახილველ ბგერათა მიმდევრობიდან ინალ სეგმენტის, როგორც საკუთარი სახელის გამოცალკევებას, რასაც მხარს უჭერს ადა-

⁴⁷⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973, გვ. 811.

⁴⁷⁹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, ტფილისი, 1897, გვ. 376, 378; მცირე ქრონიკები, ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ვ. ოდიშელმა. თბილისი, 1980, გვ. 55.

⁴⁸⁰ Chronique Georgienne, traduite Par M. Brosset. Paris, 1831, p. 8.

⁴⁸¹ Histoire de la Georgie depuis l'antiquité jusqu'au XIX-e siècle. Traduite du Georgien Par M. Brosset. IIe Partie, Ire Livraison. St-Petersbourg, 1856, p. 339.

⁴⁸² ქრონიკები წიგნი II, გვ. 378.

⁴⁸³ ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), გვ. 135-136.

მიანის ვინაობის გამომხატველი ცანდია. ეს უკანასკნელი წარმოსდგება ჯიქების ერთ-ერთი ტომის (თემის) ცანდების სახელწოდებიდან. XVII ს. თურქი ავტორის, ევლია ჩელებისა და შემდგომი ხანის წყაროების მონაცემებით გაგრისა და მდ. ცანდრიფშის მიდამოებში მკვიდრობდნენ ადიღურენოვანი ცანდები (ჩანდები), მათი მეთაური კი იწოდებოდა ცან(დ) ბად⁴⁸⁴, ცანდია კი ცან(დ)ბას მეგრული ფორმაა. ასე რომ ცანდია აშკარად საგვარეულო სახელწოდებაა. ამის გათვალისწინებით, „ინალდიფითა“-დან „ინალი“-ს გამოყოფას და ცანდიას სახელად მის მიჩნევას სავსებით სარწმუნოს ხდის ადიღურენოვან სამყაროში ამ სახელის ფართოდ გავრცელება (აქედან მოდის გვარსახელი ინალიფა და მისი ქართული ორეული ინალიშვილი).

ამის შემდეგ გასარკვევი რჩება, თუ რა სიტყვის დამახინჯებაა ბგერთა მიმდევრობა „დიფითა“/“დაფითა“. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს პირიანი ზმნა „გაინდვნა“, რომლის ძირია „განდობა“. ახალ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ამ სიტყვას ს. ყაუხჩიშვილი ასე განმარტავს: „გადაბირება“, „მიმხრობა“⁴⁸⁵. გ. ალასანიას აზრით, მთელი გამოთქმა დაახლოებით ასე შეიძლება გავიგოთ: ნდობით გადაიბირა⁴⁸⁶.

სიტყვა „განდობა“ და მისი პარალელური ფორმა „მინდობა“ ძველ ქართულში მიმხრობის თუ გადაბირების გაგებასაც შეიცავს, მაგრამ ყოველთვის არა – ამ სიტყვას კონტექსტის მიხედვით სხვა ნიუანსებიც გააჩნია.

განსახილველი თხრობის კონტექსტი, როგორც ითქვა, მდგომარეობს იმაში, რომ ბრძოლის მეორე დღეს დადიანს, გურიელს და მათ ლაშქარს ჯიქებთან ბრძოლაში დამარცხება დაემუქრათ. ამ დროს, გვეუბნება მემათიანე, ცანდიამ ვილაცები „გაინდვნა“. მართალია, კონკრეტულად არ ასახელებს, თუ ვინ „გაინდვნა“, მაგრამ მომდევნო წინადადება ცხადყოფს, რომ ისინი, ვინც ცანდიამ „გაინდვნა“, დადიანი და გურიელი არიან. ამასთანავე მემათიანე ცანდიას „შეჩვენებულს“ უწოდებს. რატომ? ამის პასუხსაც მომდევნო წინადადებაში ვპოულობთ: ცანდიას მიერ „განდობილი“ დადიანი და გურიელი ჯიქებმა დახოცეს – ესაა ცანდიას „შეჩვენებულობის“ მიზეზი. აშკარაა, რომ „განდობა“ ამას არ ითვალისწინებდა –

⁴⁸⁴ ევლია ჩელები. მოგზაურობის წიგნი. ნაკვ. I. ქართული თარგმანი. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურაძემ. თბილისი, 1971, გვ 100-101; ვ. ჯაოშვილი, გ. უშვერიძე, პ. ზაქარაია, ცანდები. ენციკლოპედია საქართველო. ტ. I. თბილისი, 1997.

⁴⁸⁵ ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1959, გვ. 551.

⁴⁸⁶ ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), გვ.136.

ქართველი მეთაურების დახოცვა „განდობის“ საპირისპირო აქტი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს „განდობა“ დადიანისა და გურიელის სიცოცხლის ხელშეუხებლობას ითვალისწინებდა, მაგრამ მოხდა სრულიად საპირისპირო. ის გარემოება, რომ ცანდია ამ ამბებში, ქართველი მემატინის შეფასებით, „შეჩვენებული“ გამოჩნდა, მოწმობს იმას, რომ დადიანი და გურიელი არც ორმხრივ შეტაკებაში მოუკლავთ და არც ბრძოლის ველზე ტყვედ აყვანისას. ასეთ შემთხვევაში ცანდიას „შეჩვენებულობა“ უადგილო იქნებოდა. ამის ფონზე ქართველი მეთაურების მკვლელობა სულ სხვა ვითარებაში წარმოჩნდება, ეს ვითარება კი სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ცანდიას „განდობილი“ პირების დახოცვა უბრძოლველად დანებების შემდეგ.

როგორც ვხედავთ, ჯიქებთან ორდღიან ბრძოლაში დასამარცხებლად განწირული დადიანი და გურიელი ინალ ცანდიამ (ცან(დ)ბა) „გაინდვნა“ ანუ მიინდო იმ პირობით, რომ ბრძოლის შეწყვეტისა და დანებების შემთხვევაში მათ სიცოცხლეს და თავისუფლებას ხელს არ ახლებდნენ.

მემატინის მიერ აღწერილი ვითარება ტიპურია ქართული და კავკასიური სინამდვილისათვის, როდესაც, ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან ასარიდებლად, დასამარცხებლად განწირულ, მაგრამ ჯერ კიდევ ბრძოლისუნარიან მხარესა და გამარჯვების შანსის მქონე მოწინააღმდეგეს შორის იდებოდა გარიგება. ამ დროს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით იწყებოდა „მინდობის“ პროცედურა შუამდგომლის მეშვეობით⁴⁸⁷. განსახილველ შემთხვევაში ინალ ცანდია „მინდობის“ ინიციატორი ან ჯიქების მეთაურის მიერ მიგზავნილი შუამდგომელი ჩანს. ამას მოწმობს მემატინის გამოთქმა „გაინდვნა“, რაც გულისხმობს იმას, რომ „განდობა“ ცანდიამ შესთავაზა ქართულ მხარეს.

როგორც წერილობით წყაროებში აღწერილი არაერთი ანალოგიური პროცედურა აჩვენებს, „მინდობის“ (იგივე „განდობის“) პროცედურის განუყოფელი კომპონენტი იყო ფიცი, რასაც თავისი საგანგებო სახელი - „მინდობის ფიცი“ ერქვა⁴⁸⁸. მინდობის ფიცს დებდა ბრძოლაში უპირატესობის მქონე სამხედრო მეთაური და ამის თაობაზე შუამდგომლის მეშვეობით აცნობებდა მეორე მხარეს ან შუამდგომელი დებდა ასეთ ფიცს გამგზავნ მხარესთან შეთანხმებით. მიმნდობი ფიცის ქვეშ მეორე მხარეს

⁴⁸⁷ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად. ტ. VII. თბილისი, 1984, გვ. 213-215; ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი, 2008, გვ. გვ. 259-260, 266, 280, 427, 640.

⁴⁸⁸ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად. ტ. VII, გვ. 213; ქართლის ცხოვრება, 2008, გვ. 259-260, 407, 640.

ბრძოლის შეწყვეტისა და დანებების შემთხვევაში „უვნებლობას“, ანუ სიცოცხლესა და თავისუფლებას პირდებოდა.

ფიცით მინდობას ხელს არ უშლიდა ფიცის დამდებისა და მისანდობის აღმსარებლობის სხვადასხვაობა. ფიცი რელიგიური აქტი იყო, ამიტომ, ცხადია, მოფიცარი თავისი სარწმუნოებისათვის დამახასიათებელი წესით ასრულებდა ფიცის დადების პროცედურას⁴⁸⁹, რაც განსხვავებული სარწმუნოების აღმსარებელი მეორე მხარისათვის საჯერო იყო.

ზემოთ აღნიშნული ზოგადი მოდელი გვკარნახობს იმას, რომ ინალცანდიამ ქართველი მხედართმთავრები ფიცით „გაინდვნა“. ამის გათვალისწინებით ახალი „ქართლის ცხოვრების“ გაუგებარ ბგერათა მიმდევრობიდან „დიფითა“ შესაძლებელია გამოცალკევდეს „ფითა“, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ დამახინჯებად სიტყვისა „ფიცითა“ (დამახინჯების გზა ასე წარმოგვიდგება: ფ ც თა --- ფიც თა --- ფ ცითა --- ფითა), ხოლო „დი“ ნაშთად სიტყვისა „დიდითა“. განსახილველი ადგილი და წინადადება მთლიანად თავდაპირველი სახით ასეთი უნდა ყოფილიყო: „შეჩვენებულმან ცანდია ინალ დიდითა ფიცითა გაინდვნა“. ახალი „ქართლის ცხოვრების“ ბოლო გამოცემაში ეს ადგილი ასეც არის წარმოდგენილი⁴⁹⁰.

⁴⁸⁹ მაგალითისათვის იხ. ქართლის ცხოვრება. 2008, გვ. 240.

⁴⁹⁰ ახალი „ქართლის ცხოვრება“. ტ. III. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ, თბილისი, 2020, გვ. 176.

To restore a fragment in new Kartlis Tskhovreba ("Life of Kartli")

One of the editions of new Kartlis Tskhovreba ("Life of Kartli") (written in the 30-50s of the XVIII century), incidentally, contains information about the campaign of Princes of Odishi and Guria - Mamia Dadiani and Mamia Gurieli in Jiketi in January, 1533. The story mentions that both sides suffered significant losses in the battle. At the same time, „Cursed Tsandia Inaldipita won the trust [of Dadiani and Gurieli]“, followed by the information about the murder of Dadiani and Gurieli.

Our attention is drawn to the word „Inaldipita“, the meaning of which is unclear. In order to restore the original version of the distorted text, the following should be taken into account: „the Zikhs“ and „Zikheti/Jiketi“ are common collective names for respectively, the Adyge tribes and the territory of their settlement in ancient Georgia. „Tsandia“ must be a Georgian (Megrelian) form of „Tsan(d)ba“, the name of the head of one of the Zikh communities called the Tsandis (Chandis). As the work tells, Tsandia „won the trust“ of Dadiani and Gurieli what in this situation could only mean the end of the battle, conclusion of peace and the sanctity of the trusting party. However, after Tsandia „won the trust“ of Dadiani and Gurieli, the Zikhs killed them, i.e Tsandia broke the promise he had made to the trusting people. This is why the chronicler calls him „cursed“. Taking these realities into account, the grapheme sequence „Inaldipita“ seems to us as a form of the words „Inal didita pitsita“ (Inal... by a big oath for Georgian) distorted by the scribes. „Inal“ is a common male name among the Abkhaz-Adyge ("Zikh") peoples. So, it can be reasonably separated from the sequence of these graphemes. Thus, Tsandia's name was Inal. The original form of „dipita“ is yet to be restored. The key here is the procedure of „winning trust“ widespread in the Middle Ages, an essential component of which

მერაბ კალანდაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ქართული მედიევისტისკის ერთი საინტერესო ეპიზოდი

(დანერა თუ არა დიმიტრი უზნაძემ შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო?)

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გააშუქოს ქართულ ისტორიოგრაფიაში დიმიტრი უზნაძის მიერ შეტანილი წვლილი. ის შეეხება უცნობ დიმიტრი უზნაძეს. უცნობს იმიტომ ვამბობ, რომ მისი საქმიანობა ისტორიულ მეცნიერებაში, დიდი ხნის განმავლობაში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, კადრში ვერ ხვდებოდა და ფართო საზოგადოებისთვის შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი. დიმიტრი უზნაძეს, როგორც ფსიქოლოგს, ცხადია, ყველა კარგად იცნობს. ისტორიაში დიმიტრი უზნაძის საქმიანობაზე ამას ვერ ვიტყვი. ეს დიდი ხნის განმავლობაში ტაბუდადებული თემა იყო. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება.

ისტორიულ მეცნიერებაში დიმიტრი უზნაძის საქმიანობისადმი ასეთი ინდიფერენტული დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა, ამკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს, მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ეს არცაა გასაკვირი, ისტორიულ მეცნიერებაში დიმიტრი უზნაძის საქმიანობის ინტენსიური პერიოდი, სწორედ, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ასოცირდებოდა. ამიტომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დიმიტრი უზნაძის მიერ შეტანილი წვლილი, საბჭოთა წლებში, ტაბუდადებული თემა აღმოჩნდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება, მისი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია.

საქართველოს გასაბჭოებამდე დიმიტრი უზნაძე სკოლაში ასწავლიდა მსოფლიო ისტორიას და აქტიური მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაში. ეს იყო სულ რისი გაკეთებაც მოასწრო. სკოლის სახელმძღვანელოების დანერის საქმეში დიმიტრი უზნაძის აქტიური ჩართულობა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი პედაგოგიური საქმიანობის ლოგიკურ

გაგრძელებას წარმოადგენს: ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დიმიტრი უზნაძის დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ამჯერად განვიხილავთ ერთ კონკრეტულ თემას. რა წვლილი მიუძღვის დიმიტრი უზნაძეს დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, საქმეში? რა ადგილი უჭირავს მას ქართულ მედიევსტიკის ისტორიაში? დანერა თუ არა დიმიტრი უზნაძემ შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო? და თუ ვერ დანერა, რატომ? წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად შევეცდებით გამოვარკვიოთ ეს საკითხები. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს ქართული მედიევსტიკის კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდია. ამ კუთხით ეს საკითხი დღემდე შესწავლილი არ ყოფილა და წინამდებარე ნაშრომი ამის პირველ მცდელობას წარმოადგენს. როგორც პროფ. ბორის პორშნეცს უყვარდა თქმა „ქალწულებრივი თემა“.

ვიდრე აღნიშნული საკითხის განხილვას შევუდგებით, მანამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძალიან მოკლედ თვალი გადავავლოთ ქართული მედიევსტიკის წარსულს. ამ რაკურსით საკითხის გაშუქება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა.

ქართული მედიევსტიკის განვითარება, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, მრუდე სარკეში აისახებოდა და, უპირატესად, პოლიტიკური განსჯის საგანი იყო, ვიდრე აკადემიური მსჯელობის. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული საკითხის გაშუქება მეცნიერულ კალაპოტში დაგვებრუნებინა, აკადემიურ ჩარჩოებში მოვაქციეთ.

ქართული მედიევსტიკის განვითარებაზე საბჭოთა წარმოდგენა იყო უაღრესად სუბიექტური და ღრმად ტენდენციური. ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია, ძირშივე მცდარია, ძალზე ხისტად მიგვაჩნია. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ანტიეროვნულია და არაპატრიოტულია. მის მთავარ თეზას წარმოადგენდა წინამორბედების წვლილის სრული იგნორირება, უგულებელყოფა. ფაქტების სანინალმდევოდ გვიმტკიცებდნენ თითქოს საქართველოს გასაბჭოებამდე ამ სფეროში პოზიტიური არც არაფერი გაკეთებულა. ამგვარი მიდგომა ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული გახლდათ. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. წინამორბედების წვლილისადმი ნეგატიური დამოკიდებულება საბჭოთა წარმოდგენის მთავარი დამახასიათებელი შტრიხია. ჩვენ

ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. სულ სხვა აქცენტები, დავსვით და ამ დარგის განვითარების განსხვავებული სურათი დავდეთ. მის მთავარ პოსტულატს წინამორბედების, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, წარმოადგენს.

შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლას საქართველოში თავისი ტრადიცია გააჩნია და საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს მეცნიერული მემკვიდრეობა საინტერესოა, ფასეულია და მისი არც აპოლოგეტური შეფასება და არც შეუფასებლობა, სწორი არ უნდა იყოს. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ამ მემკვიდრეობით, ჩვენი ღრმა რწმენით, ევროპის ნებისმიერი პატარა ქვეყანა იამაყებდა.

საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლას იმაზე გაცილებით უფრო ხანგრძლივი წარსული აქვს, ვიდრე ეს წლების განმავლობაში საბჭოთა გადასახედიდან მოჩანდა. საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის, პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა თავი იჩინა, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა პერიოდში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ამ წლებში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები⁴⁹¹. აქვე დავძენთ, რომ ტერმინმა საშუალო საუკუნეები, შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ჩანაცვლა შუა საუკუნეების ისტორიამ. ვფიქრობთ, ასე უფრო სწორი იქნება.

ეს მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო, რომელზეც მუშაობის დაწყება მათ მოასწრეს. დიდი ალბათობით ამას მოყვებოდა გაგრძელება და დაინერებოდა შუა საუკუნეების ისტორიის საინტერესო საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. მათი ჩანაფიქრის დასკვნით აკორდად გვევლინება შუა საუკუნეების ისტორიის მეცნიერული შესწავლის და პოპულარიზაციის ფართოდ გაშლა. ამის შესაძლებლობა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა. ეს არ გახლავთ მარტო ლიტონი სიტყვები, ეს რეალობაა.

საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის საერთო სუ-

⁴⁹¹ ვ. დონდუა, საშუალო საუკუნეების ისტორია, ქუთაისი 1919; ივ. გველესიანი, საშუალო საუკუნეთა ისტორია (შედგენილი პროფ. ა.ა. ვასილევის მიხედვით). თბ., 1920; ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწილი 2, საშუალო საუკუნეები, თბ., 1920; ა. ვულფიუსი, საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო, ქუთაისი, 1919.

რათი და პერიოდიზაცია, უმთავრესად, საბჭოთა იდეოლოგიის ძალისხმევით, გამრუდებული იქნა. ეს, უწინარესად, იმით გამოიხატებოდა, რომ ამ დარგის განვითარების საქმეში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკის წვლილი ელიმინირებული, ამოღებული, იქნა ქართული მედიევისტიკის ისტორიიდან. გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებობდა. ჩვენ ვცადეთ ამ მონაკვეთისათვის დაგვებრუნებინა არსებობის უფლება, რომელიც საბჭოთა ხანაში პრაქტიკულად ჩამორთმეული ჰქონდა. ეს შეუსაბამობა გასწორებული იქნა და საფუძვლად დაედო ამ საკითხის განსხვავებულ ხედვას.⁴⁹²

როგორც ირკვევა, საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტიკას თავისი საქმიანობა ცარიელ ნიადაგზე, ნულიდან კი არ დაუწყია, როგორც ამას საბჭოთა პერიოდში გვიმტკიცებდნენ, არამედ არსებობდა გარკვეული ტრადიცია, რომლის მიჩქმალვას, მიჩუმათებას, სრულიად ამაოდ ცდილობდნენ.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ გასაბჭოებამდე ქართული მედიევისტიკა სწორი გზით მიდიოდა. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული, სწორ აქცენტებს სვამდა. სწორ არჩევანს აკეთებდა. პრიორიტეტული იყო თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალგარეინტელექტუალური მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებები. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ შუა საუკუნეების ისტორიის ამ სახელმძღვანელოების აპოლოგეტური შეფასება ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა ამოვყოთ თავი. ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა, მისი აპოლოგეტური შეფასებით არ უნდა ჩავანაცვლოთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. ჩვენ უნდა ვცადოთ გამოვანახოთ ეს საშუალებო გზა, ეს არ იქნება ადვილი საქმე, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს. ეს საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად შევეცადოთ ავხსნათ ამის გამომწვევი მოტივები, წინამდებარე ნაშრომი ამ საშუალებო გზის მოძიების მოკრძალებული მცდელობაა.

ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს ფეხი აუწყოს და არ ჩამორჩეს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპულ, პირველ რიგში კი, ცხადია, რუსულ მედიევისტიკაში. ეს სახელმძღვანელოები,

⁴⁹² მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009.

ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს და, ჩვენი აზრით, ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში. ეს იმჟამინდელი ქართული სინამდვილის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია. არსებობდა დიდი ალბათობა, რომ ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1921 წელს, მოვლენები სულ სხვა სცენარის მიხედვით, განვითარდა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ.

მამ ასე, ვფიქრობთ, საინტერესო სურათი მივიღეთ, რომელიც საკმაოდ განსხვავდება საბჭოთა წარმოდგენისაგან: საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში ეტაპობრივ მოვლენად გვევლინება. დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის სულის ხსენების დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და იმავე 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ქართული მედიევისტის აკვანი დაირწა, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. აი ეს იყო სინამდვილე, რომელსაც ბოლშევიკები ყოველმხრივ ცდილობდნენ, როგორმე ამოეშალათ ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. სრული ფიასკო განიცადეს, გაბითურებულები დარჩნენ, მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილესთან როდი ასოცირდება.

XX საუკუნის ქართული მედიევისტის განვითარება, ევოლუცია, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან, სწორხაზოვან, ხასიათს როგორც ამას ხაზს უსვამდნენ საბჭოთა პერიოდში. მან საინტერესო მეტამორფოზი, სახეცვლილება, განიცადა, რომელიც უფრო სპირალისებურად, ზიგზაგისებურად, წარმოგვიდგენია. ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს. თავდაპირველად, ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა, სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან. პირველ ყოვლისა, ეს იმით გამოიხატებოდა, რომ შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხების შეფასებისას სახელმძღვანელოების ავტორები პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებიდან ცდილობდნენ. რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. უნდა აღინიშნოს, რომ მათი დამოკიდებ-

ულემა შუა საუკუნეების ისტორიის მთელი რიგი აქტუალური პრობლემებისადმი სწორია, მეცნიერულია. ასეთად მიგვაჩნია: შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაცია, ძველ გერმანელებში კერძო საკუთრების არსებობა, ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის აგრარული ყოფა, რუსეთის წარმოშობის ნორმანისტული თეორია. შუა საუკუნეების ისტორიაში პიროვნების და ხალხთა მასების როლის ობიექტური შეფასება. დიდი ყურადღება ექცევა კულტურის ისტორიას. იდეების განვითარებას და კიდევ სხვა მრავალი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ სიახლეების, ნოვაციების, მნიშვნელობის გადაჭარბება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. საუბარია მის კონტურებზე, წანამძღვრებზე, სიმპტომებზე, პირველ ნიშნებზე. საქმე გვაქვს საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის წინაპირობასთან. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და ეჭვს არ იწვევს. ეს იყო სულ ის, რისი გაკეთებაც მათ ამ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, მოასწრეს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, უპირატესად, ორი გარემოებით შეიძლება იყოს განპირობებული. უწინარესად, მასში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილს ვხედავთ და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ ძალზე ხანმოკლე გამოდგა.

ამ კუთხით საკითხის გაშუქება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ორი საინტერესო დასკვნა: 1. საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა შეუქცევად ხასიათს იძენს, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტკაში, როგორც ამას საბჭოთა წლებში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, შუა საუკუნეების ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. 2. ქართულ მედიევისტკაში მომხდარი თვისებრივი, ხარისხობრივი, ცვლილებები, საბჭოთა რეალობასთან კი არ ასოცირდებოდა, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ ადგილი ჰქონდა 1918-1921 წლებში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს იმ პერიოდში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა შუა საუკუნეების ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე ეს იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს. ეს კარგი წამოწყება პირველ ნაბიჯებს არ გასცილებია და, უმთავრესად,

პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი.

XX საუკუნის ქართული მედიევისტის განვითარებაში ახალ მკვეთრ მეთამორფოზს ადგილი აქვს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ეს, უმთავრესად, იმით გამოიხატა, რომ თავისუფალი აზროვნება ჩაანაცვლა, ვინროდოგმატურად გაგებულმა მარქსისტულ-ლენინურმა იდეოლოგიამ. საბჭოთა წარმოდგენა იყო ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. პრიორიტეტული ხდება არა მანამდე არსებული აზრთა სხვადასხვაობა, არამედ ისტორიული მოვლენებისადმი ვინრო კლასობრივი მიდგომა, მონისტური პრინციპი, განსხვავებული აზრი, საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის მიუღებელი იყო. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. ამ გზას ჩიხში მიყვავართ, ამან განაპირობა საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისი, რომელმაც საბოლოოდ ლეტალური, ანუ სასიკვდილო ხასიათი შეიძინა.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტის ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას. ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან, გათავისუფლებას. თავდაპირველი ღირებულებების აღდგენას და განვითარებას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ, ჩვენი აზრით, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენა ჯერ კიდევ არაა ბოლომდე დაძლეული. ისტორიის პერიოდიზაციის საკითხებზე არსებული აზრთა სხვადასხვაობა, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ამ თემაზე კამათი ღია კარის მტვრევად მიგვაჩნია. ეს იქნებოდა დავა, უდავო საკითხზე⁴⁹³.

⁴⁹³ **გ. ყორღანია**, შენიშვნები მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე, თბილისის უნივერსიტეტი, 1991წ. 29 ნოემბერი, **ა. გეთიაშვილი**, რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია, ანუ განა უნდა დაუბრუნდეთ XV საუკუნეს, შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ნაწ. II, თბ., 2000. გვ. 3-12, შუა საუკუნეების ისტორია, პროფ. **გ. კუტალიას** რედაქციით, თბ., 2004, გვ. 6-14, ეს გახლავთ მსოფლიო ისტორიის მარქსისტულ-ლენინური პერიოდიზაციის გადასინჯვის ერთი ხედევა, რომელიც, ჩვენი აზრით, პალიატურ, ზედაპირულ, ხასიათს ატარებს და ფაქტობრივად, ახალს არაფერს გვთავაზობს. არის სხვა ხედევაც. ამ შემთხვევაში მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის კატეგორიულადაა უგულვებლყოფილი. **კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი**, ისტორიის პერიოდიზაციისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, N2, 1992, გვ. 20-43; **კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ. კალანდაძე**, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციისათვის, ისტორია და გეოგრაფია სკოლაში, 1992 N1, გვ. 5-11. **М. Каландадзе**, Грузинские школьные учебники по новой истории-Преподавание истории в школе, 1994. №7. გვ. 38, **მ. კალანდაძე**, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტის განვითარებას, ცხადია, არაფერ არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. ვფიქრობთ, ეს სამართლიანი არ იქნებოდა. რაც შეუძლიათ იმას აკეთებენ. თავს ზემოთ ძალა არაა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ის, უმთავრესად, ხორციელდება სიფართოვეში და არა სიღრმეში. მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, სწორედ, ამით აიხსნება, რომ, უპირატესად, აქცენტი კეთდება რაოდენობრივ ცვლილებებზე და არა თვისებრივ, ხარისხობრივ, ძვრებზე, რაც, ცხადია, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდის პროცესი დროში ძალიან გაიწელა და მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტის მთავარ პრობლემად, სწორედ, სიღრმე-სიფართოვეში განვითარება წარმოგვიდგენია. ეს კი ასოცირდება არა რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებთან და ხელს შეუწყობს, დააჩქარებს, რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდის პროცესს. ამას დაჭირდება რევოლუციური ნახტომი. ქართულმა მედიევისტებმა მთელი ძალისხმევა, ვფიქრობთ, სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარმართოს. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება უმტკივნეულო პროცესი. წარმატებებთან ერთად იქნება პრობლემებიც. ამის დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს „ზრდის კრიზისთან“ მეორეში კი არა, ის ლეტალურ, სასიკვდილო, ხასიათს იძენს.

დასასრულს დავძენთ, რომ ამ სახელმძღვანელოებმა თავისი მისია პირნათლად შეასრულა. ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია და როგორც გვგონია, მას ღირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლი. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხების განხილვას პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან ცდილობდნენ. ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა უმართებულო იქნებოდა. მან ქართულ სკოლას საშუალება მისცა თავიდან აეცილებინათ, კოლაფსი, რომლის დიდი ალბათობა არსებობდა. ეს პატარა საქმე არ იყო. ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. საქმე გვაქვს ქართულ სკოლაში მშობლიურ ენაზე შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის პოპულარიზაციის პირველ პრეცედენტთან შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა, სწავლა ეროვნულ ხასიათს იძენს.

ახლა მოდით ძალიან მოკლედ გადავავლოთ თვალი, გავისხენოთ, საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის საკვანძო მომენტები. ფაქტობრივად, ეს გახლავთ პრობლემის პერიოდიზაცია. ამ კუთხით საკითხის გამოუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ამ თემაზე ჩვენს მსჯელობას მკვეთრად გამოკვეთილი პოლემისტური ტონი გააჩნია, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა მიდგომის მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გაბათილებას. ჩვენ, სულ სხვა აქცენტები დავსვით, სულ სხვა ღირებულებებზე გავამახვილეთ ყურადღება. ამ დარგის განვითარების სულ სხვა სურათი დავდეთ, რომელიც ძალზე განსხვავებოდა საბჭოთა წარმოდგენისგან. ზოგიერთი საკითხი კიდევ უფრო მეტად დავაკონკრეტეთ, დავაზუსტეთ, სრულფასოვანად, ამიტომ ასეთი ნაბიჯი გამართლებული უნდა ჩანდეს.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ 1918 წლამდე საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის საკითხების შესწავლაზე, პოპულარიზაციაზე, საუბარი, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ნაადრევად მიგვაჩნია. პირველ ცნობებს საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებზე ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში გადავანყდებით, მაგრამ ეს სპორადული ცნობები ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს და მკვეთრად გამოკვეთილ ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს. ეს ინფორმაცია, საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესების, შესავალად, უვერტურად, გაისმა. ეს ყველაზე უფრო ადეკვატური იქნებოდა. ამ მონაკვეთზე როგორც ამ დარგის განვითარების მოსამზადებელ პერიოდზე საუბარი, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს.⁴⁹⁴ შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემებიდან პრიორიტეტულად გვევლინება ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც XIX საუკუნეში, ცარიზმის უღელქვეშ მყოფი საქართველოსთვის, ყოველთვის აქტუალური თემა იყო. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ორი ბროშურა, ჟანა დარკზე და იან ჰუსზე.⁴⁹⁵ რომელსაც წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და პირველ ყოვლისა, ცხადია, აღნიშნული საკითხების პოპულარიზაციას ითვალისწინებდა, მას, უნინარესად, კულტურტრეგერული დატვირთვა გააჩნდა.

⁴⁹⁴ მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, გვ. 8.

⁴⁹⁵ ჟანა დარკი, 1889. იან ჰუსი, 1889. ამ საკითხზე დანერვილებით იხ. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის პირველი ნაბიჯი, მაცნე, ისტორიის სერია, N2, 2017, გვ. 118-128.

საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემატიკით დაინტერესების პირველ სერიოზულ მცდელობას, როგორც ირკვევა, ადგილი აქვს, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტკაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ წლებში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემატიკის გაშუქება სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს იძენს და, უმთავრესად, შუა საუკუნეების ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში პოვა ასახვა. ეს იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და პირობით საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის, პირველ პერიოდად შეიძლება მოვიხაროთ.⁴⁹⁶ დანყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მათ ვეღარ მოასწრეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე გამოდგა.

მკვეთრ სახეცვლილებას აქვს ადგილი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ფაქტობრივად, აქედან იწყება ქართული მედიევისტკის განვითარების მეორე პერიოდი. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხების დამუშავება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1991 წლებში. საკითხისადმი მეცნიერული დამოკიდებულება კვლავ ძალაში რჩება. ემპირიზმის, ფაქტოგრაფიის, დონეზე პროგრესი აშკარაა. მაგრამ შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემებით დაინტერესებამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი ვინოდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. მნიშვნელოვანილად, სწორედ, ამით იყო განპირობებული საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტკის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. ეს, უწინარესად, იმით გამოიხატება რომ ჩრდილი დომინირებს შუქზე. საქმე გვაქვს სწორი გზიდან გადახვევასთან.

საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტკა თავის მხრივ, პირობით, კიდევ სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს. ფაქტობრივად, საქმე გვქვს საკითხის შიდაპერიოდიზაციასთან, ამ კუთხით საკითხის გაშუქება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. ამ მონაკვეთის შიგნით მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება 30-იანი წლების შუა ხანები. ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული მედიევისტკა ძველი ინერციით ჯერ კიდევ სწორი, მეცნიერული გზით, განაგრძობს სვლას, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქ-

⁴⁹⁶ მ.კალანდაძე, ქართული მედიევისტკის სათავეებთან, გვ. 7-19.

ვას, რომ საბჭოთა კავშირში შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების ეს უკანასკნელი მბუჟუტავი სხივი მალე დაიშრიტა.⁴⁹⁷ ეს მონაკვეთი ქართული მედიევისტიკის ოპტიმალურ ხანად შეიძლება იქნას მოაზრებული. ეს არის პირველი ქვეპერიოდი. 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება მეორე ქვეპერიოდი, ეს გახლავთ სტალინური ხანა, ადგილი აქვს ისტორიულ მეცნიერების უნიფიკაციას, სტალინიზაციას. რომელმაც გასტანა სტალინის გარდაცვალებამდე 50-იანი წლების დასაწყისამდე. აქედან მოყოლებული იწყება მესამე ქვეპერიოდი, რომელიც გრძელდება 90-იანი წლების დასაწყისამდე, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი. მას ორი მონაკვეთი გააჩნია. „დათბობის ხანა“ და „უძრაობის პერიოდი“ ამ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ქვეპერიოდების შიგნით დაყოფასთან. ეს ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

მესამე პერიოდი შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემების შესწავლა, პოპულარიზაცია, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიგორაფიაში. ის დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. თავის მხრივ ის კიდევ ორ ქვეპერიოდად შეიძლება დაყვით. მათ შორის მნიშვნელოვან მიჯნა უნდა ჩანდეს 2006 წელს განხორციელებული რეფორმა, რომელსაც მინუსები გაცილებით უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე პლუსები. ასაკობრივი დევნა ერთ-ერთი მთავარი ნაკლი იყო, ამან გამოიწვია თაობათა შორის წყვეტა. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიგორაფია ცდილობს სწორ გზას დაუბრუნდეს. სწორი არჩევანი გააკეთოს, სწორი აქცენტები დასვას. პრიორიტეტული ხდება თავისუფალი აზროვნება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია.

საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დამუშავების საკვანძო მომენტების განსაზღვრა ამკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ის პირობით სამ პერიოდად იყოფა:

შუა საუკუნეების ისტორიით საკითხების გაშუქება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში;

⁴⁹⁷ ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ჯერ კიდევ 20-იან წლებში პროფ. გრ. ნათაძის მიერ გამოქვეყნებული შრომები, გრ. ნათაძე, დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან, თბ., 1926, გრ. ნათაძე, ახალი პრობლემები, ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან. ბენეფიციუმის წარმოშობა და იმუნიტეტის საკითხი, უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI თბ., 1925, გვ. 162-172, ამ საკითხზე დანვრლებით იხ. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 1999, გვ. 49-63, მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, გვ. 11.

შუა საუკუნეების ისტორიის საკითხების შესწავლა, პოპულარიზაცია, საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტკაში. ის ქრონოლოგიურად მოიცავს 1921-1991 წლებს;

3. შუა საუკუნეების ისტორიის თემატიკის დამუშავება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება, თავის მხრივ ეს სამი პერიოდი კიდევ იყოფა ქვეპერიოდებად. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდაპერიოდიზაციასთან. ეს საინტერესო რაკურსი უნდა იყოს, რომლისთვისაც აქამდე ყურადღება არავის მიუქცევია.⁴⁹⁸

რა წვლილი შეიტანა დიმიტრი უზნაძემ ქართულ მედიევისტკაში? რაში მდგომარეობს მისი დამსახურება? რა ადგილი შეიძლება მიუჩინოთ მას ამ სფეროს განვითარებაში? აი ის საკითხები, რომლის გამორკვევასაც შევეცდებით.

დავინწყით იმით, თუ რა გააკეთა ამ დარგში დიმიტრი უზნაძემ. რა აქვს დაწერილი მას შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებზე. ამის გამორკვევა ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა, არსებობს დიდი ალბათობა, რომ შუა საუკუნეების ისტორიაში დიმიტრი უზნაძის წვლილი შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს დაწერასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს მისი აქტიური ჩართულობა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების დაწერის პროცესში.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დიმიტრი უზნაძის მთავარ დამსახურებად მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიგვაჩნია, როგორც უკვე ითქვა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და მისი პედაგოგიური საქმიანობის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ამიტომ მოდით გავიხსენოთ ეს სახელმძღვანელოები.

დიმიტრი უზნაძეს დაწერილი ჰქონდა მსოფლიო ისტორიის სასკოლო

⁴⁹⁸ გ. კუტალია, თსუ, შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ისტორია, შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, VI, თბ., 2004, გვ. 5-19. ჩვენი აზრით, ის ქართული მედიევისტკის ერთი მოზრდილ მონაკვეთს, ყველაზე უფრო წონად ნაწილს, შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოაჩენს. ეს კი ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია. ჩვენი აზრით, ეს ქართული მედიევისტკის წარსულზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს, მერწმუნეთ სინამდვილე სულაც არ იყო ასეთი იდილიური.

სახელმძღვანელოები: პირველყოფილი კულტურა, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, ძველი საბერძნეთის ისტორია, რომის ისტორია. მან, ივანე გველესიანთან ერთად, დაწერა ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელო.⁴⁹⁹ სულ ეს იყო რისი გაკეთებაც იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, პრაქტიკულად ცაიტნოტში, მოასწრო. ერთი შეხედვით ისე შეიძლება ჩანდეს თითქოს დიმიტრი უზნაძეს შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო დაწერილი არ ქონია. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ გაურკვეველი არც არაფერია და ყველაფერი გამჭვირვალე უნდა იყოს, იყო კი სინამდვილეში ეს ასე მარტივად? ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების სერიალის შექმნის რეალურ მცდელობასთან, როგორც ხედავთ, სერიალი სრული არ არის და მას აკლია ერთი სერიოზული კომპონენტი. ეს არის შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო. თუ დიმიტრი უზნაძე ამ სახელმძღვანელოს დაწერდა წრედი შეიკვრებოდა და სასკოლო სახელმძღვანელოების ეს სერიალი დასრულებული იქნებოდა. ეს ლოგიკური იყო. აი რას წერდა ის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის წინასიტყვაობაში, რომელიც დათარიღებულია 1918 წლის 20 დეკემბრით „XV-XVII საუკუნეების ისტორია (მეექვსე კლასის კურსი) უკვე გამოვიდა. ამას მოყვება საშუალო საუკუნეთა ისტორიაც. ამ სახით დასრულდება ის შრომა, რომელიც ამ ერთი წლის წინად საზოგადო ისტორიის სახელმძღვანელოს შემუშავების განზრახვამ დამაკისრა.“⁵⁰⁰

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ დიმიტრი უზნაძეს სურდა დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა და დაესრულებინა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობა. ამაში გასაკვირი არც არაფერია. ნებისმიერი ადამიანი მის ადგილას ასე იფიქრებდა. მას ჩაფიქრებული ჰქონდა დაეწერა შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო. ის ძალიან ახლოს იყო მიზანთან და წრედი შეიკვრებოდა. მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების ციკლი დასრულებულ სახეს მიიღებდა.

⁴⁹⁹ დ. უზნაძე, ისტორია პირველყოფილი კულტურისა, თბ., 1919, დ. უზნაძე, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, თბ., 1917, დ. უზნაძე, ძველი საბერძნეთი, თბ. 1918, დ. უზნაძე, რომი, ქუთაისი, 1919, დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი (XVI-XVIII სს.) თბ., 1918, დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, ახალი ისტორია, ნაწ. მეორე (XVIII-XIX სს.) თბ., 1919

⁵⁰⁰ დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, ახალი ისტორია, ნაწ. 2. (XVIII-XIX სს.) თბ., 1919.

ამდენად, ჩვენი ღრმა რწმენით, ამ სახელმძღვანელოს შექმნის განზრახვა, დიმიტრი უზნაძეს ნამდვილად ექნებოდა და ამაში ალოგიკურს ვერც ვერაფერს ვხედავთ. ეს მისი ჩანაფიქრის პირველი საფეხური იქნებოდა. ბუნებრივია, ამას მოყვებოდა მეორე და მესამე საფეხური, რომელიც, ცხადია, ითვალისწინებდა მის დაწერას და გამოქვეყნებას. ეს სულაც არ იყო ისეთი ადვილი საქმე, როგორც შორიდან მოჩანს. საქმე გვაქვს ამ ჩანაფიქრის განხორციელებასთან, რაც დიმიტრი უზნაძეს უცდია კიდევ.

ამ საკითხს კიდევ უფრო მეტი ნათელი, რომ მოვფინოთ აუცილებლია პასუხი გავცეთ სამ შეკითხვას: 1. დიმიტრი უზნაძეს შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო არ დაუწერია. 2. დიმიტრი უზნაძეს ეს სახელმძღვანელო დაწერილი ჰქონია. 3. დაიბეჭდა თუ არა დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელო და თუ მისი პუბლიკაცია ვერ განხორციელდა, რატომ? ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცდებით ამ საკითხებს მეტნაკლებად დამაჯერებელი პასუხი გავცეთ.

ყველაზე ადვილი იქნება გამოვიდეთ იმ პოსტულატიდან თითქოს დიმიტრი უზნაძეს შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო არ დაუწერია. ამ შემთხვევაში გაურკვეველი აღარ არაფერი რჩება. ყველაფერი ცხადზე, უცხადესია. ეს ერთი ვერსია. რამდენად გახლავთ ის რეალისტური უკვე სულ სხვა საკითხია.

შეიძლება იყოს სხვა ვერსია. როგორც ჩანს, დიმიტრი უზნაძეს შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო დაწერილი ჰქონდა. ოპტიმისტურადაა განწყობილი და იმედი აქვს, რომ ეს სახელმძღვანელო დაიბეჭდება. ამას წინ რაღა დაუდგება, ფიქრობს დიმიტრი უზნაძე. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში. ის, ვფიქრობთ, კიდევ უფრო მეტ ნათელს მოფენს ამ საინტერესო თემას. აი რას ვკითხულობთ დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის წინასიტყვაობაში, რომელიც თარიღდება 1918 წლის 20 დეკემბრით. „ჩემი ძველი აღმოსავლეთი, ძველი საბერძნეთი და რომი (ეს უკანასკნელი საშუალო ისტორიასთან პარალელურად დაიბეჭდება) პირველი ნაწილია დასახელებული ნაშრომის, ხოლო საშუალო საუკუნეები და ახალი ისტორია მეორე და მესამე ნაწილი იქნებოდა“.⁵⁰¹ ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „დაიბეჭდება“ და არ იბეჭდება. ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს და, ვფიქრობთ, შემთხვევითი

⁵⁰¹ დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, ახალი ისტორია, ნაწილი მეორე (XVIII-XIXსს) წინასიტყვაობა.

სულაც არ ყოფილა. როგორც ხედავთ, დიმიტრი უზნაძეს დაუწერია შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო და ახლა ჯერი მის პუბლიკაციაზე მიდგა. საქმე დაწერას კი არა სახელმძღვანელოს გამოცემას შეეხება. ეტყობა, სირთულეები, სწორედ, აქ უნდა წამოჭრილიყო.

როგორც ჩანს, დიმიტრი უზნაძის სახით საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის სამწვეროვანი დაყოფის მომხრესთან. ძველი ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, ახალი ისტორია. ამგვარი დაყოფა, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს.⁵⁰²

მოსაზრება, რომ თითქოს დიმიტრი უზნაძეს არ დაუწერია შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, რეალობას არ შეესატყვისება და ეს ვერსია გამორიცხული უნდა იქნას. აქ, ვფიქრობთ, ყველაფერი გასაგებია.

კითხვას, დაწერა თუ არა დიმიტრი უზნაძემ შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, ვფიქრობთ, დამაჯერებელი პასუხი შეიძლება გავცეთ. - ის მხოლოდ დადებითი უნდა იყოს. დიმიტრი უზნაძეს შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო დაწერილი ჰქონდა, ეს მეორე ფაზა იყო.

შემდგომი ფაზაა მისი პუბლიკაცია, გამოქვეყნება. რა ვითარება იყო ამ მხრივ? რეალობა ასეთი იყო. დიმიტრი უზნაძე, როგორც უკვე ითქვა ოპტიმისტურად იყო განწყობილი და ეიმედებოდა, რომ სახელმძღვანელო დაიბეჭდებოდა. გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელოს დაბეჭდვა, მართლაც, იგეგმებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რამ შეუშალა ხელი ამ საშური საქმის დაგვირგვინებას? როგორც ეტყობა, სახელმძღვანელოს გამოცემა გაინელა, გაჭიანურდა, შეფერხდა, რალაც პრობლემებმა იჩინა თავი. კონკრეტულად რამ, ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციის გამო, ძნელი სათქმელია და კარგად არ ჩანს. ერთი მიზეზი პირდაპირ ზედაპირზე ძვეს, აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს, მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია და, მასში პირველ ყოვლისა, იმ პერიოდის საქართველოს ძნელბედობის გამოძახილს ვხედავთ. სახელმძღვანელოს კვალი არსად არ ფიქსირდება, ქრება, იკარგება.

ადვილი შესაძლებელია, რომ იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, პრაქტიკულად, ცაიტნოტში მან ამის გაკეთება, უბრალოდ ვერ მოახერხა. ან რაც კიდევ უფრო ზუსტი იქნებოდა, შესა-

⁵⁰² მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, გვ. 47-54.

ძლოა, ვერ მოასწრო. ეს არცაა გასაკვირი, საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა, ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მისი გამოქვეყნება, ალბათ, არც კი უცდია, რადგან შეცვლილ პოლიტიკურ რეალობაში ამის გაკეთებამ დაკარგა თავისი უნიკალური აქტუალობა. დიმიტრი უზნაძე საბოლოოდ ჩამომორდა ისტორიულ მეცნიერებას. ისტორიამ დაკარგა, ფსიქოლოგიამ შეიძინა.

აქ დავსვამდით წერტილს, რომ არა ერთი გარემოება, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და ხელს შეუწყობს ამ საკითხზე კიდევ უფრო ადეკვატური წარმოდგენის ჩამოყალიბებას. აი რა გვაქვს მხედველობაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დიამეტრალურად საპირისპირო განწყობილებასთან გვაქვს საქმე ამ სახელმძღვანელოს მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში და თარიღდება 1920 წლის 26 ივლისით. აქ ის არ ეხება შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს პუბლიკაციას, გამოქვეყნებას. ის სულ სხვა თემაზე ამახვილებს ყურადღებას. ბუნებრივია, ისმის კითხვა. რაშია საქმე? რატომ ამჯობინებს დიმიტრი უზნაძე დუმილს? რატომ უვლის გვერდს ამ თემას? ფაქტობრივად, ის ამ თემაზე კრინტს არ ძრავს. რატომ შეიკავა თავი დიმიტრი უზნაძემ ამის გაკეთებისგან ძნელი სათქმელია. სასურველი იქნებოდა მოკლე კომენტარი დაედო. ეს, ალბათ, კიდევ უფრო მეტ ნათელს მოფენდა ამ თემას, მაგრამ მან სხვაგვარად გადაწყვიტა. ეს იყო მისი არჩევანი. ეტყობა, სახელმძღვანელოს დაბეჭდვას გარკვეული პრობლემები შექმნია და დიმიტრი უზნაძეს ამ თემას აღარ შეხებია. ის დარწმუნებული არ უნდა იყოს, რომ სახელმძღვანელო დღის სინათლეს იხილავდა.

„ამ წიგნის მეორე გამოცემის შესახებაც უნდა აღინიშნოს, რომ იგი არსებითად ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს გადმოქართულებას წარმოადგენს, მაგრამ გარდა იმ ცვლილებებისა, რომელიც პირველ გამოცემაში იყო შეტანილი, მეორე გამოცემაში უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ვინოგრადოვს ეკონომიური ცხოვრებისათვის მცირე ყურადღება აქვს მიპყრობილი და ჩვენ ზოგიერთი ახალი თავის შეტანით ამ ნაკლის შეწელება ვცადეთ. ამის გარდა წიგნში შეტანილი იქნა რუსეთის ისტორიის, ის ნაწილებიც, რომელნიც სახელმძღვანელო დახასიათებულ ხანას ეკუთვნის“.⁵⁰³

სახელმძღვანელოს გამოქვეყნებას რაღაცა შეფერხება, პრობლემა, შეექმნა და ის ჯერ კიდევ გამოქვეყნებული არ ყოფილა. მისი გამოცემის

⁵⁰³ დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, თბ., 1920, ახალი ისტორია, ნაწ. 1. (XV-XVIII სს) თბ., 1920.

პერსპექტივა კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარა. ცხადია, ეს დიმიტრი უზნაძემ იცის და გულგატეხილია. მისი სიჩუმის გასაღები იქნებ, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ?

როგორც ჩანს, საქმე გვაქვს საინტერესო რეალობასთან. ის იმაში მდგომარეობს, რომ დიმიტრი უზნაძეს შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო დაწერილი ჰქონდა, შესაძლოა, იგეგმებოდა კიდეც მისი გამოქვეყნება, მას უცდია ამის გაკეთება, მაგრამ სასურველი შედეგისთვის ვერ მიუღწევია. სახელმძღვანელოს პუბლიკაციის კვალი არსად არ ჩანს, ქრება, იკარგება. ფაქტია, რომ ის დაბეჭდილი არ ყოფილა. სინამდვილე ასე გამოიყურება, დიმიტრი უზნაძემ დაწერა შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო და სცადა დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. გაესრულებინა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების სერიალი, რომელიც დაწყებული ჰქონდა. მიზანთან ძალიან ახლოს იყო. ერთი ნაბიჯილა აკლდა. მას უცდია შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს გამოქვეყნება, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ მოუხერხებია. მიზეზი ბევრი შეიძლება ყოფილიყო, პოლიტიკური კატაკლიზმები, ექსტრემალური ვითარება, დროის სიმცირე, ზემდგომი ინსტანციების გულგრილობა. სახელმძღვანელოს დაწერა უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე მისი დაბეჭდვა. ის, რაც დიმიტრი უზნაძემ ვერ მოახერხა, გააკეთა ალექსანდრე ნერეთელმა. მან შეძლო დაესრულებინა მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების სერიალი.⁵⁰⁴

ნაკლებად დასაშვები შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ დიმიტრი უზნაძემ დაწერა შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, დაბეჭდა კიდეც, მაგრამ მისი კვალი გაუჩინარდა, არსად არ ჩანს, იკარგება. თეორიულად შეიძლება ყველაფერი ვიფიქროთ, მაგრამ პრაქტიკულად ამის დაშვება ძალზე ძნელი იქნებოდა. ამიტომ ეს ვერსია გამორიცხული უნდა იქნას და მიუღებლად მიგვაჩნია. ბუნებაში ეს ასე არ ხდება.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით დიმიტრი უზნაძის ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია. ჩვენი აზრით, მისი მონდომება შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ და ისტორიული მეცნიერებაში დიმიტრი უზნაძის საქმიანობის აქტივს უნდა მივაკუთვნოთ.

⁵⁰⁴ ალ. ნერეთლი, მსოფლიო ისტორია, ნაწილი პირველი, ძველ საუკუნეთა ისტორია, თბ., 1920, ალ. ნერეთელი, მსოფლიო ისტორია, საშუალო საუკუნეები, თბ., 1920, ალ. ნერეთელი, მსოფლიო ისტორია, ახალი საუკუნეები, თბ., 1920

ამრიგად როგორ შეიძლება შევავასოთ ამ მიმართულებით დიმიტრი უზნაძის ძალისხმევა? ამას აქვს მნიშვნელობა და, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. ამ სფეროში დიმიტრი უზნაძის საქმიანობა, პირველ ყოვლისა, შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობასთან უნდა ასოცირდებოდეს. ეს იყო სწორი ნაბიჯი. ამ დარგში მან თავისი საქმიანობა საძირკველიდან დაიწყო. სკოლაში შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს გარეშე შუა საუკუნეების ისტორიის სწავლება ძალზე გაძნელებოდა. როგორც აღვნიშნეთ ასეთი ნაბიჯი მოულოდნელი არ იყო და მისი პედაგოგიური საქმიანობის გამოძახილია. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. ისინი ურთიერთზე ემოქმედებენ. მათ ერთმანეთს ვერ მოვწყვეტთ. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნებოდა. ამ საქმეში დიმიტრი უზნაძის ჩართულობა, რა თქმა უნდა, მისასაღმებელი იყო. ამის გვერდის ავლა, უყურადღებოდ დატოვება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ქართულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ კი ქართულ მედიევისტიკაში, დიმიტრი უზნაძის მიერ შეტანილ წვლილზე, სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის.

ეს სახელმძღვანელო, საერთოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში და კერძოდ კი, ქართულ მედიევისტიკაში, დიმიტრი უზნაძის მიერ შეტანილ წვლილზე, სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას შეგვიქმნიდა. მისი მნიშვნელობა, სწორედ, აი ეს იყო. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მისი ეს ჩანაფიქრი, განუზოროცილებელი დარჩა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამ სფეროში მისი მეცნიერული პოტენციალი გამოყენებული არ ყოფილა. მას, ჩვენი ღრმა რწმენით, შეეძლო ქართულ მედიევისტიკის განვითარებაში, უფრო მკაფიო კვალი დაეტოვებინა. თავისი სათქმელი ეთქვა, შეექმნა შუა საუკუნეების ისტორიის ნორმალური სასკოლო სახელმძღვანელო. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი წარმატება იქნებოდა.

ვაჯამებთ რა, ყოველივე ზემოთქმულს, ვფიქრობთ, ასეთი საინტერესო უსრათი იკვეთება. თეორიულად რამდენი მე ვერსიასთან შეიძლება გვექონდეს საქმე. მას სამ პუნქტად ჩამოვაცალიბებთ.

1. პირველი ვერსიის თანახმად ყველაფერი მარტივადაა, ზედაპირზე ძვეს, ამკარაა. დიმიტრი უზნაძეს შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო არ დაუწერია და, ბუნებრივია, მის კვალს სულ ტყუილად დავეძებთ. ის გამოქვეყნებული ვერ იქნებოდა. იყო კი სინამდვილეში ეს ასე? რეალობა სულ სხვაგვარადაა და საქმე ასე მარტივად როდია. არსაიდან არ ჩანს, რომ დიმიტრი უზნაძეს ეს წიგნი არ დაუწერია,

ფაქტები სულ სხვას ლაპარაკობენ. „ახალი ისტორიის“ მეორე მონაკვეთის წინასიტყვაობაში, რომელიც დათარიღებულია 1918 წლის 20 დეკემბრით, დიმიტრი უზნაძე ოპტიმისტურად ჩანს განწყობილი და პირდაპირ აცხადებს („ეს უკანასკნელი საშუალო ისტორიის პარალელურად დაიბეჭდება.“) აქ, ცხადია, იგულისხმება „რომის ისტორია“, რომელიც დაიბეჭდა, მაგრამ შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს კვალს ამოდ დაუნწყებთ ძებნას. ის არსად არ ჩანს, იკარგება. ეს ვერსია რომ დიმიტრი უზნაძეს შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო არ დაუნერია, ფაქტებით არ დასტურდება, დამაჯერებელი ვერაა და უნდა გამოირიცხოს. სრულიად საპირისპირო ვითარებასთან უნდა გვექონდეს საქმე. ამ კუთხით ეს საკითხი გამორკვეულად მიგვაჩნია, დიმიტრი უზნაძეს შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო დაწერილი უნდა ჰქონოდა.

2. ვფიქრობთ, კიდევ უფრო მიუღებელი უნდა იყოს მეორე ვერსია. დაუშვათ, რომ დიმიტრი უზნაძემ დაწერა შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო და მისი დაბეჭდვაც მოახერხა. მაშინ სად გაქრა მისი კვალი? რატომ არსად არ ჩანს? რაშია საქმე? დაბეჭდილი სახელმძღვანელო ხომ არ დაიკარგებოდა? კითხვები ბევრია. დამაკმაყოფილებელი პასუხი კი არ ჩანს. თეორიულად ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო, პრაქტიკულად, კი ეს ძალიან ძნელი წარმოსადგენია. ეს უკვე ფანტასტიკის სფეროა და მეცნიერების კომპეტენციას სცილდება. შეიძლება დაბეჭდილი სახელმძღვანელო სტამბაში დაიკარგა? გამორიცხული არც არაფერია, მაგრამ ძნელი საფიქრელია, ეს უტოპიაა.

შეიძლება იყოს სულ სხვა ვერსია. დიმიტრი უზნაძეს შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო დაწერილი ჰქონდა. ოპტიმისტურად ჩანს განწყობილი და იმედი აქვს, რომ ის დაიბეჭდებოდა. სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. მისი პუბლიკაციის კვალი გაუჩინარდა, არსად არ ჩანს, იკარგება. ეს ფაქტია. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ დიმიტრი უზნაძის მთელი ეს ძალისხმევა სურვილების დონეზე დარჩა. მიზანშეწონილი იქნებოდა პრიორიტეტის ზუსტად განსაზღვრა. აქცენტი უნდა გაკეთდეს არა სახელმძღვანელოს დაწერაზე, არამედ მის გამოცემაზე. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი იქნებოდა და მიგვაახლოებს რეალობას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პრობლემა სახელმძღვანელოს, სწორედ, ამ მიმართულებით უნდა შექმნოდა. სახელმძღვანელო დაწერილია ჯერი მის პუბლიკაციაზე. მისი კვალი კი გაუჩინარდა და დიდი ალბათობით არ დაიბეჭდა. სახელმძღვანელოს გამოქვეყნება დროში ძალიან გაინელა, გაჭიანურდა, გაუთვალისწინებელი პრობლემები შეექმნა. ხოლო 1921 წელს, საქართველოს

გასაბჭოების შემდეგ მისმა გამოცემამ თავისი უნიტული აქტუალობა დაკარგა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ 1921 წლის შემდეგ დიმიტრი უზნაძე არ გაყვა ისტორიას და სულ სხვა გზა აირჩია. ის ისტორიულ მეცნიერებას მთლიანად ჩამოაცილდა. და მაინც ერთი მიზეზი პირდაპირ ზედაპირზე ძვეს, ამკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური საარჩული გააჩნია. მასში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძნელბედობის ანარეკლს ვხედავთ. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული, გამოყენებული არ ყოფილა. კეთილ სურვილად დარჩა. დიმიტრი უზნაძის შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო დაბეჭდილი არ ყოფილა.

ალბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს გამოქვეყნება ისტორიულ მეცნიერებაში დიმიტრი უზნაძის საქმიანობის ყველაზე უფრო მტკივნეული მომენტი იყო აუხდენელ ოცნებად დარჩა. საქმე გვაქვს საინტერესო რეალობასთან. დიმიტრი უზნაძემ დაწერა შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, მაგრამ მის პუბლიკაციის კვალს ამოდ დაუნყებთ ძებნას. ის გაუჩინარდა, გაქრა, დაიკარგა და დიდი ალბათობით დაბეჭდილი არ ყოფილა. სხვაგვარად ამის ახსნა ძალზე ძნელი იქნებოდა. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ ქართულ მედიევსტიკაში, მისი ნვლილი ძალზე მოკრძალებულად გამოიყურება და მეტად მკრთალი, სუსტი, კვალი დატოვა. ჩვენი აზრით, ის ორ გარემოებასთან უნდა ასოცირდებოდეს. შუა საუკუნეების სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობასთან და ის სკოლაში ასწავლიდა შუა საუკუნეების ისტორიას, რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა და საკმარისი არ უნდა იყოს. მას, ცხადია, გაცილებით უფრო მეტის გაკეთება ხელეწიფებოდა.

ამ თემაზე მსჯელობას მოკლე რეზიუმეით დავასრულებდით. დიმიტრი უზნაძემ ნამდვილად დაწერა შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო. უცდია მისი გამოცემა, ოპტიმისტურად იყო განწყობილი და იმედი ჰქონდა, რომ „სახელმძღვანელო დაიბეჭდებოდა“. ის ამ მიზანთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. სახელმძღვანელოს კვალი არსად არ ჩანს და ამოდ დაუნყებთ ძებნას. სად გაქრა ის? არსებობს დიდი ალბათობა, რომ სულ უკანასკნელ მომენტში, ეტყობა გაუთვალისწინებელი პრობლემები წარმოიშვა მის პუბლიკაციასთან დაკავშირებით და დიმიტრი უზნაძის ეს სახელმძღვანელო, არ კი არა, ვერ დაიბეჭდა. რა იყო კონკრეტულად ეს პრობლემა, როგორც

უკვე აღვნიშნეთ, ამ საკითხზე ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციის გამო, ძნელი სათქმელია და კარგად არ ჩანს. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ეს ამ სფეროში დიმიტრი უზნაძის საქმიანობის ყველაზე უფრო მტკივნეული მომენტი შეიძლება ყოფილიყო.

Whether or not Dimitri Uznadze wrote school medieval history textbook?

This work is of a historiographical nature and deals with the contribution of Dimitri Uznadze to historical science, which for a long time in the Soviet period was a taboo subject and has hardly been studied to this day. Therefore, we considered it appropriate to correct this discrepancy and make this problem the subject of a special study. This will allow us to fill in another blank slate in Georgian historiography, and there will be fewer „blank spots“ in this area. Such an indifferent attitude to this issue is obviously not accidental, and it did not arise from scratch, it clearly goes beyond purely academic frameworks and has a sharply defined political context. It echoes the nihilistic attitude towards the successes of the Democratic Republic of Georgia during the Soviet period, in 1918-1921. We tried to correct this inconsistency by highlighting the indicated problem and returning it to the academic, scientific mainstream.

In historical science, the most intensive and fruitful activity of Dimitri Uznadze coincided with the Democratic Republic of Georgia in 1918-1921. Before the Sovietization of Georgia, Dimitri Uznadze taught world history at school and took an active part in the creation of the first national textbooks on world history. It is clear that this is not an accident, but a logical continuation of his pedagogical activity. The merit of Dimitri Uznadze to Georgian historiography should lie precisely in this.

In this article, we will try to find out one interesting question: did Dimitri Uznadze write a school textbook on medieval history. Clarifying this issue is important. This will give us the opportunity to get an idea of the contribution of Dimitri Uznadze to Georgian medieval studies. This is another of his services to Georgian historiography. This would give us an even more complete, exhaustive idea of his contribution to historical science. Dimitri Uznadze wrote school textbooks on the history of primitive culture, the history of the Ancient East, Ancient Greece, Rome. Together with Ivane Gvelesiani, he wrote a school textbook on New History in two parts. In fact, this is a series of textbooks on world history. Only one component is missing. This is a school textbook on the history of the Middle Ages, and the circle will close. Therefore, we consider the coverage of the issue from this angle interesting and relevant.

Based on the meager information we have, we cannot categorically state anything, but nevertheless we will try to shed light on this issue.

There can be no two opinions about the fact that Dimitri Uznadze wanted to complete the cycle of school textbooks on world history and write a school textbook on medieval history.

At first glance, it may seem that this textbook was not written by him, but, as you can see, this is not the case. As Uznadze himself notes, it was he who wrote this textbook. Therefore, the version that he did not write the textbook should be recognized as untenable.

Other versions may exist. Dimitri Uznadze wrote this textbook. I tried to publish it and hoped that nothing would interfere with the publication of the textbook, but in fact this did not happen. No traces of the publication of the textbook are visible, this is a fact.

There is another version. The matter concerns not Dimitri Uznadze's school textbook on medieval history, but its edition. The textbook has been written. Now it was the turn of its publication. Apparently, problems with the publication of the textbook could arise precisely at that moment. To a large extent, this explains the fact that the publication of the textbook was extended in time, there was a delay. Unforeseen problems arose. Specifically, what exactly it was, due to the scarcity of information we have on this issue, it is difficult to answer. In the end, in all likelihood, the textbook was not printed. His trail is gone, nowhere to be seen, lost. It matters.

We think that to a large extent this explains the fact that Dimitri Uznadze's contribution to Georgian medieval studies looks more modest than it actually is. His potential in this area was not used. He left a very pale, weak mark on Georgian medieval studies. It should be associated with an attempt to create a school textbook of medieval history and the teaching of medieval history at school. Here is how we approach this issue.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია

მიქაელ (მასხრა) გუკია

ლექანოზი

ეპიკოპოსი კირიონი, წმიდანების ისტორიის
მკვლევარი.
წმიდა ნინო

საკვანძო სიტყვები: ეპისკოპოსი, კირიონი, წმინდა ნინო, ქალი.

წმიდა მღვდელმონაშე კირიონის სამეცნიერო ღვაწლი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის კუთხით. მის შრომებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დედა ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების აღწერას მათი ღვაწლის უკეთ წარმოჩენის მიზნით, რათა შთამომავლობამ სათანადოდ შეიმეცნოს რანი ვიყავით, რანი ვართ და საით უნდა წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება.

ამ კუთხით გვინდა გამოვყოთ ჯერ კიდევ ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „საქართველოს განმანათლებელი, მოციქულთა სწორი, წმიდა ნინო“. ჩვენთვის ხელმისაწვდომია ამ ნაშრომის პუბლიცისტური ვარიანტი, რომელიც ჟურნალ „Пастыр“-ის 1888 წლის №16, 18 და 1989 წლის №1,2,5,6 ნაშრომებში გამოქვეყნდა⁵⁰⁵.

როგორც ჩანს, ეს არ არის დისერტაციის დედანი. სამწუხაროდ, უცნობია თავად სადისერტაციო ნაშრომის ადგილმდებარეობა. შესაძლოა ის ინახებოდეს კიევის სასულიერო აკადემიის არქივში. დისერტაცია დაცულია 1880 წელს, რადგან სწორედ ამ დროს დაამთავრა წმიდა კირიონმა კიევის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით.

ნაშრომის მიმოხილვისას ჩვენ ვეყრდნობით ქალბატონ ვერიკო კო-

⁵⁰⁵ Газ. „Пастыр“-ის 1888 წლის №16, 18 და 1989 წლის №1,2,5,6.

ტარიას მიერ 2017 წელს შესრულებული თარგმანს, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონული ვერსიის სახით.⁵⁰⁶

წმიდა წინოს ცხოვრებით წმიდა კირიონის დაინტერესება შემთხვევითი არ არის. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქართულ მწერლობაში ძეგლის 5 რედაქცია არსებობს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქართველთა ცხოველ ინტერესს ქართლის მოქცევის ისტორიის შესწავლის საქმეში. ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ, ეჩვენებინათ ქართველების განსაკუთრებული როლი მსოფლიო კულტურის ისტორიაში. რასაკვირველია, ამ უმთავრესი საკითხის ხაზგასმა ძირითად ინტერესს წარმოადგენდა გიორგი საძაგლიშვილისათვის, რამდენადაც ის იყო იმ ერისა და ქვეყნის შვილი, რომელსაც წართმეული ჰქონდა, როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობა, ასევე ეკლესიის ავტოკეფალია.

შესავალში წმიდა კირიონი განიხილავს ქალთა ღვანლს ქრისტიანობის გავრცელებაში, თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო გაქრისტიანებული დედოფლების ზეგავლენა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მეფეების მოსაქცევად.

ავტორის თქმით, განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს ქალის როლსა და ფენომენს ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამორძალთა ისტორია საუკეთესო მტკიცებულებაა იმისა, თუ როგორ აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ქართულ სანყისს (აქ წმიდა კირიონი მიუთითებს, რომ საქართველოში ზოგიერთი ქალაქი შენდებოდაო ქალების საპატივცემულოდ. მაგალითად ოზურ-გეთი (ქალწულთა ქვეყანა), ქუთაისი, აიეტის დედაქალაქი-ქალთა ქვეყანა)⁵⁰⁷. ევროპის არც ერთ ქვეყანაში, სადაც შესაძლებელი იყო ქალი პიროვნულად გაცილებით ძლიერად განვითარებულიყო, ვიდრე სადმე აღმოსავლეთში, ჩვენ ვერ ვხვდებით ქალთა მიერ აღსრულებულ ისეთ საოცარ საქმეებს, როგორც საქართველოში, რომელიც ოდითგანვე გარშემორტყმული იყო ყოველ მხრიდან მოძალადე ტომებით, რომელთა ზეგავლენის ქვეშ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო უძველესი ივერია. ქალი აქ მოციქულიცაა და ქრისტიანობის თავდაუზოგავი მქადაგებელიც – ეს წმიდა წინოა, დედოფალი ნანას თანამედროვე, რომელმაც ზეციური სწავლება მიიღო სიტყვის მქადაგებელ ქალისაგან და მთელი ძალისხმევა ჩადო თავისი მეუღლის მეფე მირიანის მოსაქცევად⁵⁰⁸. ქალის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ქართველი კაცისა ალბათ იმითაც იყო

⁵⁰⁶ გიორგი საძაგლიშვილი. საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა სწორი წინო (საკანდიდატო დისერტაცია) - ელექტრონული წიგნი. თბილისი „წიგნის სახანე“, 2017.

⁵⁰⁷ იქვე. გვ. 1.

⁵⁰⁸ იქვე. გვ. 2.

განპირობებული, რომ საქართველო იყო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა, რაც განსაზღვრავდა ქართველი კაცის დამოკიდებულებას დედისა და, ზოგადად, ქალის ბუნების მიმართ.

ქართველი ქალის თემას წმიდა კირიონი მრავალგზის მიმოიხილავს თავის სამეცნიერო სტატიებში. ამ საკითხს ჩვენ არაერთხელ შევხვებით ჩვენს ნაშრომში.

„ქალის მმართველობისას, – აღნიშნავს ავტორი, – აღწევს საქართველო თავისი ძლიერების ზენიტს, პოლიტიკური, ეკლესიური, საგანმანათლებლო თუ კეთილმონწყობის თვალსაზრისით. ეს დედოფალი აკეთებს იმდენს თავისი ქვეყნისთვის, რომ საბოლოოდ რაღაც მთლად მითად იქცევა, ეს იყო ქართველი ხალხისათვის სახელგანთქმული და უკვდავი თამარ მეფე. ქალი აქ, ყოვლისდამორგუნველი ისლამისა და სამშობლოსა და ქრისტიანობის გადასარჩენად, ტოვებს სასახლეს, სამეფო პატივს და მიდის სპარსეთის შაჰის კარზე, სადაც მოთმინებით იღებს წამების გვირგვინს და განცვიფრებაში მოჰყავს მტარვალი მტანჯველები და კათოლიკე ბერები – ეს არის კახეთის დედოფალი ქეთევანი.⁵⁰⁹“

ამ ამბების თხრობით დისერტანტი ცდილობს თავის თანამედროვე თითოეულ ქართველს, ქალი იქნება ის თუ კაცი, გაუღვივოს სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადების გრძნობა.

ნაშრომში წმიდა კირიონი ეხება წმიდა ნინოს მსახურებას საქართველოში. აქვე უნდა აღინიშნოს ავტორის დამოკიდებულება საკვლევი თემის მიმართ. ის ცდილობს მის მიერ მოყვანილი თითოეული ფაქტი დამოწმოს დამადასტურებელი წყაროს მოხმობით, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის მაღალ მეცნიერულ ღვანლს. მიმოიხილავს რა ისტორიოგრაფიაში დაცულ ცნობებს წმიდა ნინოს შესახებ, გიორგი საძაგლიშვილი აღნიშნავს: „ქართველი, ბერძენი და სომეხი მწერლები საქართველოს განმანათლებლად ერთხმად აღიქვამენ წმიდა ნინოს⁵¹⁰“ და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ არ არსებობს კრებული, სადაც ეს მასალები ერთად იქნება თავმოყრილი. წმიდა კირიონის ეს სურვილი დღესდღეობით უკვე აღმოფხვრილია, არსებობს უამრავი გამოცემა წმიდა ნინოს ცხოვრების შესახებ. მათ შორის განსაკუთრებულია 2015 წელს გამოცემული ნიგნი რჩეული წყაროები – „წმიდა ნინო ემბაზი ქართლისა“, სადაც თავმოყრილია მოციქულთასწორი წმიდა ნინოს ცხოვრება, მისდამი მოძიებული საკითხავები, საგალობლები, დაუჯდომლები, გამოცხადებანი, უწყებანი,

⁵⁰⁹ იქვე. გვ. 2.

⁵¹⁰ იქვე. გვ. 2.

სიტყვა-მოდღვრებანი⁵¹¹.

მთავარ წყაროდ ავტორი იყენებს „ქართლის ცხოვრებას“ და მასში გადმოცემულ წმინდა ნინოს ცხოვრებას, აღწერილს დედოფალ სალომე უჯარმელისა და პეროჯი ავრიელის (დედოფლის კარის მდივანი)⁵¹²⁸ მიერ (აქ იგულისხმება პეროჟავრა სივნიელი. – მ.ბ.).

დისერტანტი ასევე ასახელებს აბიათარისა და მისი დის მონათხრობს, რომელიც ნინოს დროს დაიწერა. ის ამ აღწერას მიიჩნევს უეჭველ სანდოდ ისტორიულ ამბად. ქართულ წყაროებში ბევრი ისეთი ფაქტი არ არის გადმოცემული, რომლებიც წმინდა კირიონის თქმით, უცხოურ წყაროებში მოიპოვება. ამას წმინდა მღვდელმთავარი შემდეგი არგუმენტით ასაბუთებს: წმინდა ნინოს, ერში 35 წლის ცხოვრების განმავლობაში, არავისთვის მოუყოლია თავისი წარმომავლობის შესახებ, ვიდრე აღსასრულამდე – 347 წლამდე. ამ წელს წმინდა კირიონი მიიჩნევს ნინოს გარდაცვალების წლად. ხოლო ცხოვრების დაწერის აუცილებლობას კი თავად ნინოს სურვილს უკავშირებს: „დაიწეროს ჩემი ღარიბი და უდები ცხოვრება. დაე, თქვენი შვილებისთვის იყოს ცნობილი ის თქვენი რწმენა და სიყვარული, რაც ჩემს მიმართ გქონდათ, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი იქნება წლიდან წლამდე ის ღვთიური ნიშნები, რომლებიც თქვენ საკუთარი თვალით იხილეთ და რისი მოწმენიც ხართ“⁵¹³. ავტორს სქოლიოში მითითებული ჰყავს ყველა ის უცხოელი ავტორი, რომლებიც ნინოს მოციქულებრივი ღვაწლის შესახებ წერდნენ: რუფინუსი 1.10; მოსე ხორენელი 1858 წ. გვ. 152-153. სოზომენი 1.7... აქვე დასძენს, რომ „ყველა ეს ცნობა მოთავსებული იქნება ჩვენი ესკიზის ბოლოს“-ო⁵¹⁴.

რუფინუსის ცნობას წმინდა ნინოს მოღვაწეობის შესახებ ავტორი სიფრთხილით ეკიდება, რადგანაც მიაჩნია, რომ ის არ იყო თვითმხილველი ამ ამბებისა: „არამედ იერუსალიმში ჰქონდა განაგონი ქართველი უფლისწული ბაქარისაგან, რომელიც მიქვლად იმყოფებოდა იმპერატორთან“⁵¹⁵.

საკითხისადმი წმინდა კირიონის მაღალ მეცნიერულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს ასევე მისი სიტყვები: „ქართულ ძეგლებში ნინოს შესახებ ნამდვილად არის გვიანდელი წარმოშობის ანაქრონიზმები და ჩანართები,

⁵¹¹ წმიდა ნინო ემბაზი ქართლისაჲ. რჩეული ჩანერილი წყაროები. მცხეთა, 2015, გვ. 5.

⁵¹² საქართველოს განმანათლებელ მოციქულთასწორი ნინო, ელექტრონული წიგნი თბილისი, „ნიგნის სავანე“ - 2017წ. გვ. 3.

⁵¹³ იქვე. გვ. 3.

⁵¹⁴ იქვე. გვ. 3.

⁵¹⁵ იქვე გვ. 4.

რაც ადვილად შეიძლება ჩამოშორდეს ძველ ძეგლებს, ვისთვის არ არის ცნობილი, რომ იშვიათად რომელიმე წერილობითი ძეგლი გადარჩენია ინტერპოლაციებს, განსაკუთრებით საკმაოდ ძველი ძეგლი, რომელშიც გადამწერს შექმლო გაეკეთებინა თავისი განმარტებები და შენიშვნები, მისი აზრით, თავისი თანამედროვეებისთვის საჭირო. უცნაური იქნებოდა გვეფიქრა, რომ IV საუკუნის ძეგლი, მრავალჯერ გადანერილი გაუთვითცნობიერებელი გადამწერების მიერ, მოსულიყო ჩვენამდე ინტერპოლაციისა და გადაკეთების გარეშე...⁵¹⁶.

წმინდა კირიონი მიმოიხილავს ისტორიოგრაფიაში დაცულ ცნობებს, ქართულ ხელნაწერებსა და ზეპირ გადმოცემებში შემონახულ სახელებს ნინო/ ნონა/ ნუნუ ... იზიარებს ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში მიღებულ აზრს, რომ მოციქულთასწორი ქალწულის სახელი ნინო მომდინარეობს საზოგადო სახელისაგან ნონა, რომელიც „უმნიკვლოს“, „წმინდანს“, „ქალწულს“ ნიშნავს და აქვე აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ მას „ნუნე“-დ მხოლოდ სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი იხსენიებს.⁵¹⁷

წმინდა ნინოს სახელთან დაკავშირებით მსჯელობისას ავტორი მიმოიხილავს ასევე იმ ვარაუდსაც, რომ ეს სახელი შეიძლება ქართული წარმოშობისაც იყოს: „სახელი ნინა ძალიან ნააგავს წარმართული ღვთაების სახელს ათინას, რომელსაც განსაკუთრებით მიაგებდნენ პატივს დასავლეთ ივერიაში. უძველესი კაბადოკიის მოსაზღვრე ქართულ პროვინციაში, მესხეთში, ძალზე ხშირად „ნინა“-ს ნაცვლად გამოიყენება დღევანდლამდე „ნენე“, „ნანე“. თუ სახელი ნინო არ არის დასავლეთ საქართველოს წმინდა ადგილობრივი სახელწოდება, ხომ არ წარმოსდგება „ნინა“, „ნენე“, „ნუნე“ ნუნეხიასგან და ნუნეხია ხომ არა არის ჩვენი განმანათლებლის პირველსაწყისი სახელი?“-ო.⁵¹⁸

წმინდა მღვდელმონაშემე კირიონი წმინდა ნინოს მიიჩნევს მოციქულთა ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მიერ დასავლეთ საქართველოში დაწყებული საქმის დამაგვირგვინებლად. ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წმინდა ნინო იყო კაბადოკიელი, დიდმონაშემე გიორგის ნათესავი. ეს ცნობა კიდევ უფრო ამყარებს იმ აზრს, რომ წმინდა დიდმონაშემე გიორგის ხსენების დაწესება 23 ნოემბერს უკავშირდება წმინდა ნინოს; და რომ სწავლება ამ დღის შესახებ, კერძოდ, წმინდა გიორგის ბორბალზე წამების ისტორია სწორედ მან შემოიტანა საქართველოში. ამ დღეს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაუ-

⁵¹⁶ იქვე. გვ. 4.

⁵¹⁷ იქვე. გვ. 4.

⁵¹⁸ იქვე. გვ. 6.

ლობს. დანარჩენი ეკლესიები კი წმინდა გიორგის ხსენების დღედ 6 მაისს მიიჩნევენ. როგორც ჩანს, სწორედ ნინომ შეაყვარა ქართველებს წმინდა გიორგი.

წმინდა მღვდელმონაშე კირიონი თავის სადისერტაციო ნაშრომში ასევე ეხება მეტად მნიშვნელოვან ფაქტს კაბადოკიის შესახებ, იზიარებს რა დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას, რომ „მცირე აზიის საფაშოები სივასი, კარამანია და ტრაპიზონი დასახელებული იყო ქართული ტომებით, რომელნიც დღესაც სახლობენ იქ ჭანების სახელწოდებით“.⁵¹⁹ ეს მოსაზრება კი ამყარებს აზრს, რომ წმინდა ნინო შეიძლება ქართველი ყოფილიყო.

საუბრობს რა წმინდა ნინოს მშობლებზე, ზაბულონსა და სოსანაზე [წმინდა ნინოს მშობლები საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა 1995 წელს შერაცხა წმინდანებად], ხაზს უსვამს მათ ღვთისმოსაობას, რომ სწორედ მათმა უფლისადმი განსაკუთრებულმა სიყვარულმა შვა და აღავსო საღვთო სიყვარულით ნაყოფი მათი ნინო. განსაკუთრებით აღნიშნავს ღვაწლს ღვთისმოსავ მონაზონ სარა ნიაფორისას [სარა ნიაფორი საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა 2017 წელს შერაცხა წმინდანად], რომელსაც მშობლებმა და წმინდა ნინოს ბიძამ, იერუსალიმის პატრიარქმა, აღსაზრდელად მიაბარეს წმინდა ნინო. სწორედ ამ სარა ნიაფორისგან ეუნწა წმინდანს უფლის კვართის შესახებ, რომელიც ღვთის განგებით მოხვდა თავის დროზე საქართველოში: „ნინო ყოველთვის მღვდვარებით ისმენდა ხოლმე დანვრილებით მონათხრობს გოლგოთაზე წამებულსა და მისი კვართის ადგილსამყოფელის შესახებ. ნიაფორის სიტყვები კვართის ბედის შესახებ ღრმად ჩაუვარდა ნინოს გულში. მისი ყოველწამიერი ფიქრი იყო მაცხოვრის ძვირფასი შესამოსლის პოვნა და კეთილი უწყების ხარება ივერიაში – წარმართთა ქვეყანაში“.⁵²⁰

წმინდა კირიონი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს ღვთის განგებულებას, რომელსაც ყველა ადამიანის ცხოვნება სურს და სწორედ ამ განგებულების აღმსრულებლად მიიჩნევს ის წმინდა ქალწულს, რომელიც არ ცხრებოდა სურვილით, რაც შეიძლება მალე ჩასულიყო იმ ქვეყანაში, სადაც მსვენარებდა კვართი უფლისა, და რომელი ქვეყანაც სწორედ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნილხვდომილი იყო. ნინო ხშირად ლოცულობდა ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამის წინაშე, რომ მიელო შემწეობა ამ მეტად რთული საქმის აღსასრულებლად, საქმისა, რომელიც საბოლოოდ დაგვირგვინდა ამ ერის მოქცევით ქვმარიტ სარწმუნოებაზე. ეს

⁵¹⁹ იქვე. გვ. 6.

⁵²⁰ იქვე. გვ. 7.

მოხდა სწორედ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კურთხევით, რომელიც გამოეცხადა წმინდა ნინოს და „გადასცა მას ვაზის ტოტის ჯვარი, რომელიც წმინდა ნინომ თავისი თმებით შეკრა“.⁵²¹

ავტორი ასევე დაწვრილებით გადმოგვცემს ნინოს ბიძის, იერუსალიმის პატრიარქის, დამოკიდებულებას იმ წმინდა და რთული საქმის აღსრულების მიმართ, რომელიც დაუცველ ყრმა ქალწულს ხვდა წილად. ის მხურვალე ლოცვით და კურთხევით გზას ულოცავს თავის დისშვილს, რომ მან ღირსეულად აღასრულოს თავისი წმინდათა წმინდა ვალი.

წმინდა კირიონი დაწვრილებით აღწერს იმ ურთულეს გზას, რომელიც წმინდა ნინომ გაიარა იერუსალიმიდან ივერიამდე სომხეთის გავლით: „ღმერთის განგებულებამ, რომელიც ნინოსთვის ამზადებდა უდიდეს საასპარეზო მოედანს მოღვაწეობისთვის, გადაარჩინა ის ივერიის განსანათლებლად“.⁵²²

წმინდა კირიონი კრიტიკულად განიხილავს ისტორიოგრაფიაში მითითებული „ტყვე ქალის“ საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს მოსაზრება მის ფიზიკურ ტყვეობასთან მიმართებაში არის მცდარი, რამდენადაც წმინდა ნინო, სრულიად თავისუფალი, საკუთარი ნებით წამოვიდა საქართველოში მოციქულებრივი ღვანლის აღსასრულებლად. „ტყვეობაში“ იგულისხმება მხოლოდ სულიერი ტყვეობა ღვთის ჭეშმარიტი სიტყვისადმი, რომლის გამოც ის მონაწილეობისთვისაც მზად იყო, ამასვე ამტკიცებს თავად მოციქულთაწნორის სიტყვები „ჭეშმარიტად, მე ვარ ტყვე, მაგრამ ტყვე და მონა ზეციერი მეფისა, იესო ქრისტესი, დავატყვევე რა ჩემი გონება მისი წმინდა ნების მორჩილებაში...“.⁵²³

წმინდა კირიონი დაწვრილებით მიმოიხილავს იმ მდგომარეობას, რომელიც სუფევდა იმდროინდელ ივერიაში, თუ როგორ იყვნენ დაბნელებულნი წარმართული რწმენა-წარმოდგენებისაგან თავად მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, მათთან ერთად მთელი ხალხი. ყოველივე ამის ფონზე ავტორი მიიჩნევს, რომ, ცხადია, წმინდა ნინოს მისია გაცილებით უფრო რთული იყო. ივერია არ იყო უბრალოდ წარმართული ველური გაუნათლებელი ხალხით დასახლებული ქვეყანა. ეს იყო სახელმწიფო თავისი ძლიერი ხელისუფალით და ძლიერი რწმენით, მაგრამ იქ, სადაც ღვთის ნებას ემორჩილება ადამიანი, კაცთათვის შეუძლებელი ღვთისგან ყოველივე შესაძლებელი ხდება. სწორედ წმინდა ნინოს ლოცვით და ღვთისმშობლის მეოხებით უფალმა დაამხო კერპნი. როგორც წმინდა კირიონი აღნიშნავს,

⁵²¹ იქვე. გვ. 8.

⁵²² იქვე. გვ. 9.

⁵²³ იქვე. გვ. 9.

„ეს მოხდა სწორედ ძველი სტილით 6 აგვისტოს, მაცხოვრის ფერისცვალების დღეს, როდესაც თაბორის ნათელმა, საქართველოს მთებზე ამობრწყინებულმა, ივერიელთა წარმართობის წყვიდადი გარდაქმნა ქრისტეს ნათლად“.⁵²⁴

ავტორი სადისერტაციო ნაშრომში დანვრილებით გადმოგვცემს იმ სასწაულების შესახებ, რომლებსაც წმინდა ნინო აღასრულებდა მცხეთაში, თუ როგორ უმსუბუქებდა ხალხს ტანჯვას უფლის ძალით. სწორედ ქრისტეს რწმენით განკურნა მან დედოფალი ნანა, რომელიც, მიუხედავად თავდაპირველი წინააღმდეგობისა, აღივსო წმინდა ნინოს ღმერთის უდიდესი რწმენით. ყველაზე შთამბეჭდავი ის იყო, რომ მოციქულთა-სწორი ქადაგებდა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეფე მირიანის მოქცევის თემას, კერძოდ, თხოთის მთის სასწაულს, რომელიც მრავალთაგან აღქმულია, როგორც ლეგენდა. ავტორი ამ მოვლენას სულ სხვა თვალთ უყურებს და სამართლიანად თვლის, რომ: „ქრისტიანობაზე მოქცევამდე მირიანის გონება დაფარული იყო ისეთი სქელი ნისლით, რომელშიც ვერ აღწევს მზის სხივი. როგორადაც იუდეველების უნამუსობა გახდა იარაღი ღმრთაებრივი მადლისა, ასევე დაბრმავება ქართველი მეფისა იყო საბაბი ღმრთაებრივი დიდების გამოჩენისა და მიზეზი „მარადიული სინათლისა“.⁵²⁵ წმინდა კირიონს ასევე მოჰყავს მეცნიერთა ნააზრევი მზის დაბნელებასთან დაკავშირებით და დასკვნის სახით ამბობს: „იმ წლის 20 ივლისს („ქართლის ცხოვრება“) შეუძლებელია ყოფილიყო მზის დაბნელება“ (ბარათაშვილი, საქართველოს ისტორიის შუა საუკუნეები გვ. 11)⁵²⁶.

მეფე მირიანის მიერ სარწმუნოების შეცვლამ შეცვალა მეფის ცხოვრების წესი და მასთან ერთად მთელი ერისა. ეს პროცესი შეუქცევადი გახდა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის ქრისტიანულ ნიადაგზე მონყობის საკითხი. ამ პროცესებს წმინდა ნინოს უშუალო კურთხევითა და სწავლებით ამყარებდა. წმინდა კირიონი დეტალურად აღწერს მეფე მირიანის ნაბიჯებს ქრისტიანული აღმშენებლობის საქმეში.

აქვე ავტორი ცდილობს ერთი მეტად სადავო საკითხის გარკვევას, კერძოდ, სომხურ წყაროებში წარმოდგენილ ვარაუდს წმინდა გრიგოლ განმანათლებლის ღვანლის შესახებ საქართველოს გაქრისტიანების საქმეში. ის ეხება სომეხი ისტორიკოსის მოსე ხორენელის ისტორიას, სადაც ეს უკანასკნელი თვლის, რომ თითქოს წმინდა ნუნე-მ მეფის და ერის გაქრის-

⁵²⁴ იქვე. გვ. 10.

⁵²⁵ იქვე. გვ. 12.

⁵²⁶ იქვე. გვ. 12.

ტიანების საქმეში დახმარება სთხოვა სომეხთა განმანათლებელს წმინდა გრიგოლს, რომ მისთვის მიეცა რჩევა-დარიგება კონკრეტულ საკითხებზე. წმინდა კირიონი დასაბუთებლად აქარწყლებს ამ აზრს. ის ამბობს: „აქამდე ყველას სიტყვაზე სჯეროდა სომეხი მწერლების ჩვენები იმის შესახებ, რომ მათ საქართველოზე ადრე მიიღეს ქრისტიანობა, მაგრამ ასე იყო სინამდვილეში? მივმართოთ მათ ისტორიას. მოსე ხორენელის სიტყვებიდან ჩანს, რომ როდესაც წარმართმა ტირიდატემ აწამა დედოფალი რიფსიმე და მისი მეგობრები, ნინო გამოემართა ივერთა ქვეყნისაკენ. ამ დროს წმ. გრიგოლი ჯერ კიდევ საპყრობილეში იმყოფებოდა. ნინომ კი, როგორც მონმობს მისი ცხოვრება, სამ წელნადში მოაქცია ქრისტიანობაზე დედაქალაქის ქართველები და, შესაბამისად, ნინოს მოციქულებრივი ღვანლი წინ უსწრებდა წმინდა გრიგოლის მოღვაწეობას და როგორც მიმდინარე მოვლენებიდან ჩანს, ნინო ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებდა რჩევისთვის მიემართა წმინდა გრიგოლისთვის, სომხეთის განმანათლებლისთვის.⁵²⁷ ავტორის აზრით, ღრმად განსწავლულ ნინოს, რომელიც დიდი ხანი ემზადებოდა მოციქულებრივი ღვანლისთვის, შეუძლებელია არ სცოდნოდა, როგორ მოქცეულიყო, როცა ხალხი გამოთქვამდა ქრისტიანობის მიღების სურვილს.

შემდგომ უკვე წმინდა კირიონი აღწერს იოანეს მეთაურობით წმინდა სინკლიტის კონსტანტინოპოლიდან ჩამოსვლის და ქართლის მოქცევის პროცესს. ის დაწვრილებით განიხილავს ცნობებს ქართველთა გაქრისტიანების თარიღის შესახებ და სრულად მოყავს მისთვის ხელმისაწვდომი მეცნიერულ წრეებში არსებული თარიღები: „უკიდურესად განსხვავებულ ქართველთა მიერ ქრისტიანობის მიღების შესახებ მწერალთა ჩვენებები, - ამბობს ის, - ეს ჩვენებები დაახლოებით ორმოცდაათი წლის ფარგლებში მერყეობს უზარმაზარ სივრცეში. ბარონი თვლის ქართველთა მოქცევას 311 ან 327 წლებში; ქართველი ისტორიკოსი უფლისწული დავითი 312 წელს; საქართველოს ისტორიული გამოსახულება 314 წელს; ცნობათა კრებული კავკასიელი მთიულების შესახებ 315 წელს; სომეხი ისტორიკოსი ჩამჩიანი 317 წელს; ქართველი ისტორიკოსი ბატონიშვილი ვახუშტი 317-318 წწ; კავკასიის კალენდრის ქრონოლოგიის მიხედვით 318-320 წწ; მცხეთის ტაძარში ბ-ნ იოსელიანის მიერ ნაპოვნი ხელნაწერი 326 წელს; პატრიარქი დოსითეოსი 327 წელს; აკადემიკოსი ბროსე 328 წელს; ვივენ ს. მარტენი 331 წელს; ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი კავკასიის მხარისა, დიუბუა ქართველთა მოქცევას მიაკუთვნებს III საუკუ-

⁵²⁷ იქვე. გვ. 13.

ნის დასასრულს, უფრო დაზუსტებით 276-277 წწ.⁵²⁸ ეს ქრონოლოგიული ჩამონათვალი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ავტორის ფრთხილ მეცნიერულ დამოკიდებულებას საკვლევი მასალის მიმართ. მისი აზრით, ახლად დაფუძნებული ივერიის ეკლესია ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს. „ანტიოქიის პატრიარქი დღემდე იწოდება ივერიელად – ამბობს ის, პატრიარქი ანტიოქიისა, სირიისა, ივერიისა, კიმიკიისა, მესოპოტამიისა და სრულად აღმოსავლეთისა“.⁵²⁹

წმინდა კირიონი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს წმინდა ნინოს თავმდაბლობას. მიუხედავად მიმდინარე მოვლენათა სიდიადისა, დედა ნინო მუდმივად ცდილობდა განრიდებოდა მიწიერ პატივს: „პატივისა და დიდებისა თავის დაღწევის მიზნით ნინო დედაქალაქიდან ერთ გამოქვაბულში გადავიდა, სადაც მარხვით და ლოცვით ემზადებოდა მომავალი შრომისათვის, რომელიც უნდა გაენია ღვთის სიტყვის საქადაგებლად“.⁵³⁰ დისერტანტი ასევე აღწერს წმიდა ნინოს მიერ დანარჩენი საქართველოს მოქცევის ღვაწლის ქადაგებას: „დიდი შრომის ფასად მოაქცია ქრისტიანობაზე ველური მთიულები; ერნობი, თიანელები და ჭართლელნი ასევე, კახელები და ალბანები. მისი ყველაზე საყვარელი საქმიანობა აქ იყო ლოცვა, ფსალმუნება და ზრუნვა კვლავ მოქცეულთა ქრისტიანობაში განსამტკიცებლად.“⁵³¹

წმიდა კირიონის აზრით, წმიდა ნინომ საქართველოში იღვანა 35 წელი, რამაც მთლიანად განსაზღვრა არა მარტო მის თანამედროვეთა, არამედ საქართველოს მომავალი 1500 წლოვანი ისტორია, მისი შეგნებული და გააზრებული კულტურული ცხოვრება. მან დაუსახა ერს გზა მამულის ჩვეულისამებრ სვლისა.

ავტორი მიმოიხილავს რა წმიდა ნინოს ცხოვრების უკანასკნელ წუთებს, ხაზს უსვამს წმინდა ნინოს სურვილს, რომ დაკრძალულიყო კახეთში, რათა „ახლადდაარსებული კახეთის ეკლესია არ დარჩენილიყო ობლად.“⁵³² უკანასკნელ წუთამდე წმინდა ნინო, როგორც დედა ქართველთა, ფიქრობს თავის სამწყსოზე. მისი სურვილი, დაკრძალულიყო ბოდბეში და არა ცხოველმყოფელ სვეტთან, კიდევ ერთი მაგალითი გახდა მისი თავმდაბლობისა.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილულ გიორგი საძაგლიშვილის ნაშრომ-

⁵²⁸ იქვე. გვ. 14.

⁵²⁹ იქვე. გვ. 14.

⁵³⁰ იქვე. გვ. 15.

⁵³¹ იქვე. გვ. 15.

⁵³² იქვე. გვ. 18-19.

ში კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნულია ქართველი ერის არჩევანის განსაკუთრებულობა. ქრისტიანობაზე მოქცევის ფაქტს ავტორი უკავშირებს არა პოლიტიკური ორიენტაციას, არამედ ქართველი კაცის ღვთაებრივი ჭეშმარიტებისადმი ლტოლვასა და სიყვარულს, რომელიც დედა ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით დედა ნინომ გააღვივა თითოეული ქართველის გულში. მიუხედავად გარეშე სასტიკი მტრების არაერთი მცდელობისა, ქართველებს არასდროს არ გადაუხვევიათ სამეუფეო გზიდან, აზრადაც არ მოსვლიათ, პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით შეეცვალათ სარწმუნოება.

Michael (Makhare) Bukia

Archpriest

Bishop Patriarch Kirion - a Researcher of the History of Saints.

Saint Nino

The article refers to the analysis of Patriarch Kirion's candidate thesis _ „Saint Nino, the enlightener of Georgia“. Thesis was dedicated to the missionary work of Saint Nino in Georgia. First of all, the author of the thesis discusses the spread of Christianity in Georgia, also, about how the role of women is valued in Georgia, further, he directly refers to the service of Saint Nino in Georgia. The historiographical references about Saint Nino are discussed in the paper; It is important to discuss the names (Nino / Nona / Nune) preserved in Georgian manuscripts and oral traditions. The author shares the opinion accepted in the Georgian historical literature that the name of the virgin of the apostles Nino comes from the common name Nona, which means «unblemished», «holy», «virgin».

The description of Saint Nino's work in Georgia occupies a large place in the thesis. The author of the thesis critically examines the issue of the „captive woman“ mentioned in the historiography, as well as her origin, the date of her arrival in Georgia, and the assumption presented in Armenian sources about the merits of St. Gregory the Educator in the Christianization of Georgia.

In the work, the author also refers to the merits of St. Nino's parents, Zabulon and Sosanna, as well as Sara Nyafor.

მერაბ კეზევაძე

ისტორიის დოქტორი, პროფესორი

ეპისკოპოსი ნესტორი (ყუბანეიშვილი)

საკანძო სიტყვები: ეპისკოპოსი, ნესტორი, მონამეთა, მთავარხუცესი, გაენათი, ნოე.

ეპისკოპოსი ნესტორი (ყუბანეიშვილი) ქართველი სამღვდელოების იმ შესანიშნავი პლეადის წარმომადგენელია, რომლის წევრებიც ავტოკეფალიანართმეული ქართული ეკლესიის დაცემულობისა და დაკნინების ეპოქაში თავიანთი ეკლესიური და მამულიშვილური წმინდა ცხოვრებით იბრძოდნენ მშობლიური ეკლესიისა და ერის აღდგენა-გაძლიერებისათვის. მისი ორმოცდათორმეტწლიანი სასულიერო-სამსახურებრივი მოღვაწეობა იმის ნათელი მაგალითია, რომ სახელოვნად გააგრძელა დიდი ისტორიის მქონე ეროვნული სამღვდელოების საუკეთესო ტრადიცია.

ნესტორ დიმიტრის ძე ყუბანეიშვილი დაიბადა 1853 წლის 5 სექტემბერს, ქუთაისის მაზრის სოფელ მუხაყრუაში, სოფლის ღარიბი, მრავალშვილიანი მღვდლის ოჯახში. ყუბანეიშვილის გვარი სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა. მათ ძირითად საცხოვრისს, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, იმერეთის სოფლები: ბანოჯა, მუხაყრუა, ოდილაური და ქვიტირი წარმოადგენდა⁵³³. პირველი ყუბანეიშვილი, ვინც მუხაყრუაში ჩანს, ქვიტირიდან აქ ჩასახლებული ნესტორის წინაპარი, მღვდელი ანდრია მათეს ძეა. ეგზარქოსობის დროს (1811-1917 წწ.), იმერეთში ამ გვარის 11 წარმომადგენელი მღვდლად მსახურობდა⁵³⁴. ნესტორის წინაპრებიც მღვდლები იყვნენ, კერძოდ, მუხაყრუის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში, XVIII საუკუნის მინურულიდან სხვადასხვა წლებში, მღვდლად მსახურობდნენ მამამისი - დიმიტრი მარკოზის ძე, პაპა - მარკოზ ანდრიას ძე და პაპის მამა - ანდრია მათეს ძე ყუბანეიშვილები⁵³⁵. ანდრია მიტროპოლიტ ექვთიმე გენათელის ნათლული იყო, სწორედ მან განამწესა ის ახლადდაარსე-

⁵³³ **კეზევაძე მ.** ქართული გვარსახელები იმერეთში XIX საუკუნის 40 -იანი წლები. 2004 ქუთაისი, გვ.163.

⁵³⁴ **კეზევაძე მ.** ეგზარქოსობისდრონდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები. 2008 ქუთაისი, გვ.218-219.

⁵³⁵ **კეზევაძე მ.** ეგზარქოსობისდრონდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები. 2008 ქუთაისი, გვ.92.

ბულ სოფელ მუხაყრუაში მღვდლად⁵³⁶. მღვდლები იყვნენ ასევე, ნესტორის ძმები: პავლე და ილარიონი. საოჯახო აღზრდა-განათლება მიღების შემდეგ ნესტორი მამამ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა, რომელიც 1871 წელს დაამთავრა და იმავე წელს წავიდა თბილისში, სადაც უნდოდა, სახელმწიფო ხარჯზე შესულიყო საოსტატო სემინარიაში. ნესტორი ერთდროულად აბარებდა გამოცდებს საოსტატო სემინარიასა და სასულიერო სემინარიაში, საბოლოოდ ჩაირიცხა სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1877 წელს დაასრულა პირველი ხარისხით (სემინარიის სტუდენტის წოდებით).

1877-1882 წლებში ნ. ყუბანეიშვილი მუშაობდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად, ასწავლიდა საღვთო სჯულს, არითმეტიკას, ძველ და ახალ აღთქმას, კატეხიზისს, ტიბიკონს და სუფთა წერას.

1882 წლის 1 სექტემბრიდან ნესტორი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში საღვთო სჯულის მასწავლებლად გადაიყვანეს.

1885 წლის 5 ივნისს ნესტორ ყუბანეიშვილი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის (ქიქოძე) მიერ ხელდასხმული იქნა დიაკვნად, 9 ივნისს კი მღვდლად, სოფელ ბარსაჯავახოს ღვთისმშობლის ეკლესიაში. იმავდროულად დაინიშნა გამოჩინებულის სამთავარხუცესო ოლქის მთავარხუცესად. 1884 წლის დეკემბერში ბარსაჯავახოში გახსნა საეკლესიო სამრევლო სკოლა, სადაც 1886 წლამდე თვითონვე ასწავლიდა. ამავე სოფელში განაახლა ღვთისმშობლის ეკლესია, საკუთარი ხარჯებით გაუკეთა ქვის იატაკი და შეუძინა ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი.

1887 წლის ოქტომბერში ნ. ყუბანეიშვილი გადაიყვანეს ქუთაისის ალექსანდრე ნეველის საკათედრო ტაძარში მეოთხე მღვდლად, იმავე წლის დეკემბერში კი - ქუთაისის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად. სწორედ მისი წინამძღვრობის დროს დასრულდა (1891 წ.) ამ ეკლესიის აგება. როგორც თვითონ იგონებს, „ეს ეკლესია ჩემს იქ განწესებამდე შენდებოდა 25 წელიწადს და მარტო ბალავერი ამოეყვანათ და ცოკოლამდი აეშენებიათ. მე კომიტეტის წევრად დანიშვნის დღიდან (25 მარტი - 1888 წ.) სამი წლის განმავლობაში აღვაშენე დიდებული ტაძარი“. ის ამასთანავე, წმ. გიორგის ეკლესიასთან არსებული სანიმუშო საეკლესიო-სამრევლო სკოლის გამგე და საღვთო სჯულის მასწავლებელი იყო.

1906 წლის მარტში გადაიყვანეს ქუთაისის მთავარანგელოზის ტაძარ-

⁵³⁶ **სონლულაშვილი ნ.** ეპისკოპოს ნესტორის (ყუბანეიშვილი) ცხოვრება და მოღვაწეობა (საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები ტ.9. თბ., 2009, გვ.232.

ში მღვდლად, იმავე წლის სექტემბერში კი - ქუთაისის საკათედრო ტაძარში მესამე მღვდლად, სადაც დეკანოზობა მიიღო. 1909 წლის აგვისტოში იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ წარადგინა უნმინდეს სინოდში მონაშეთის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობის დასაკავებლად⁵³⁷.

1910 წლის 5 იანვარს დეკანოზი ნესტორ ყუბანიევილი გელათს მონასტერში ბერად აღიკვეცა და დაინიშნა მონაშეთის მონასტრის წინამძღვრად. იმავე წლის თებერვალში მას არქიმანდრიტის ხარისხი ებოძა. მონაშეთის მონასტრის წინამძღვრად ყოფნისას განაახლა მონასტრის ხარების ტაძარი, ეზოს ზოგ ადგილას გაუყეთა რკინის მოაჯირი, გამოიყვანა წყალი რკინის მილებით, მონასტრის ეზოს ქვემოთ გააშენა იაპონური კოპიტის ნერგები და ვენახი.

ასეთივე საქმიანი იყო არქიმანდრიტ ნესტორის მოღვაწეობა კახეთის მონასტრებში, სადაც 1912-1915 წლებში, სადაც შუამთის, ალავერდის და თეთრი გიორგის მონასტრების წინამძღვრად იყო განმწესებული.

1915 წლის 11 დეკემბერს არქიმანდრიტი ნესტორი, თავისი თხოვნით, გადაიყვანეს ისევ მონაშეთის მონასტრის წინამძღვრად, აქედან კი 1919 წლის სექტემბერში - გელათის მონასტრის წინამძღვრად, სადაც 1923 წლის ივნისამდე - მონასტრის „დაუქმებამდე“ (ლიკვიდაციამდე) მსახურობდა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წლის აპრილიდან აგვისტომდე, არქიმანდრიტი ნესტორი ხელმძღვანელობდა საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის დროებითი მმართველობის იმერეთის განყოფილებას⁵³⁸. მან მნიშვნელოვანი მუშაობა განია ყოფილ იმერეთის ეპარქიაში ავტოკეფალიაგამოცხადებული ეკლესიის ორგანიზებაში, თუმცა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, პირველ საეკლესიო კრებამდე ამ მოვალეობის შესრულება ვერ შეძლო. ჯერ კიდევ 1917 წლის 31 მაისს ითხოვა მან თანამდებობიდან გადადგომა, რისი მიზეზიც მისი ძალზე დატვირთული სამუშაო გრაფიკი და ფიზიკური მდგომარეობა იყო. როგორც თავად წერს: „მე ყოველდღე, შაბათ-კვირას გარდა, მიხდება საეპარქიო კანცელარიაში დილის ათი საათიდან ნაშუადღევს სამ საათამდე მუშაობა, რომელიც შესდგება იმაში, რომ ვლებულობ ყოველგვარ თხოვნებს, რომელთა ნაკითხვა და შინაარსის გაცნობა აუცილებელია. ნაკითხვის და შინაარსის გაცნობის შემდეგ, უნდა ჩავენერო კერძო შურნალში მოკლე შინაარსი ყველა თხოვნებისა და სხდომების დროს მოვახსენო ყოველივე გარემოება მმართველობის განყოფილებას. ამ მუშ-

⁵³⁷ გაზ. „შინაური საქმეები“, 1909 წ. N22 13.09. გვ.12.

⁵³⁸ ქცა. ფ.21 ან. 1. ს. 26348 ფ. 17.

აობისაგან მე მძიმე თვალებით ავადმყოფს, თვალების ტკივილი მეტად მომემატა და თვალთაგან ცრემლთა დენამ იმ ზომამდე იმატა, რომ მე-შინია არ დავბრმავდე⁵³⁹. განყოფილების თხოვნით არქ. ნესტორმა კიდევ სამი თვე იმუშავა ამ თანამდებობაზე.

1924 წლის 18 მაისს არქიმანდრიტი ნესტორი ხელდასხმული იქნა ბათუმ-შემოქმედის ეპისკოპოსად. მანამდე, დეკანოზ მ. ტყემალაძის მოგონებით, 1922 წელს მიტროპოლიტ ნაზარ ქუთათელის წინადადებით, ის ორჯერ მოიაზრებოდა ალავერდელ ეპისკოპოსად საკურთხებლად⁵⁴⁰. 1926-1928 წლებში იგი ჭყონდიდის ეპარქიის მმართველია, ამის შემდეგ, ცოტა ხნით, უეპარქოდ ცხოვრობს ქუთაისში, 1929-1930 წლებში კი წილკნის ეპისკოპოსია. ამ კათედრაზე დაასრულა ეპისკოპოსმა ნესტორმა თავისი ოფიციალური სასულიერო მოღვაწეობა.

ძირითადი სამსახურის გარდა, ნესტორ ყუბანეიშვილი სხვადასხვა დროს ასრულებდა რიგ საზოგადოებრივ-თანამდებობრივ მოვალეობებს: 1883-1887 წლებში იყო მთავარხუცესად გამოჩინებულის სამთავარხუცესო ოლქში, 1889-1890 წლებში - ჩუენების ოლქში, 1890-1903 წლებში - ქ. ქუთაისში, ხოლო 1909-1912 წლებში - იმერეთის ეპარქიის მონასტრების მთავარხუცესად. 1912 წლის 9 იანვარს არქიმანდრიტმა ნესტორმა იმერეთის ეპისკოპოს გიორგის თხოვა გაეთავისუფლებინა იმერეთის ეპარქიის მონასტრების მთავარხუცესის თანამდებობიდან, რამდენადაც მონასტრების სიშორისა და ცუდი გზების გამო, პრაქტიკულად უჭირდა თავისი მოვალეობის შესრულება და მის მაგივრად დაენიშნა ან სხვა, ან დაევალებინა იმ მთავარხუცესებისათვის რომელთა ტერიტორიაზეც იყო მონასტრები. ეპისკოპოსმა არქ. ნესტორის უკანასკნელი წინადადება მოინონა და ეპარქიის ხუთ მთავარხუცესს დაავალა შესაბამისი მონასტრების ზედამხედველობა⁵⁴¹. არქიმანდრიტი ნესტორი ორჯერ, 1884 და 1887 წელს იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ყრილობამ სამ-სამი წლის ვადით აირჩია ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის, 1894 და 1899 წლებში კი ქუთაისის სასულიერო სემინარიის მმართველობის წევრად.

1892 წელს აირჩიეს იმერეთის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის საბჭოს წევრად სამი წლის ვადით, 1895 წელს დანიშნეს იმერეთის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს ქუთაისის სამაზრო განყოფილების წევრად, 1897 წლიდან კი - ხაზინადარად.

1896 წლიდან მღვდელი ნ. ყუბანეიშვილი ქუთაისის გოჭოურის სა-

⁵³⁹ ქცა. ფ.21 ან.1 ს.26640 ფ.1.

⁵⁴⁰ თალაქვაძე ნ. მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან. 2013. თბ. გვ.303.

⁵⁴¹ ქცა. ფ.21. ან. 1 ს. 25331 ფ. 1.

საფლავს მომწყობი კომიტეტის თავმჯდომარეა. დიდი შრომა გასწია ოლასკურის სასაფლავო მოწყობისათვის, სასაფლაოზე, სადაც მისი ცოლშვილი მარხია, საკუთარი ხარჯით, წმიდა თეკლეს სახელზე ააგო ქვის მშენიერი პატარა ეკლესია და შეამკო ყოველივე საეკლესიო სამკაულით. ეკლესიის კედელზე ასეთ წარწერაა: „სიკვდილის შემდეგ საცხოვრებლად აღვაშენე ესე ტაძარი: შიგ ცოლ-შვილი მიმარხია, ჩემი სამარეც აქ არი. ამ შენობას ვანაცვალე, თუ რამე მქონდა ქონება და მან მწუხარეს დამიტკობო სული, გული და გონება: 1908 წ. 14 სექტემბერი, დეკანოზი ნესტორ ყუბანეიშვილი“. ეს ეკლესია შემდგომ სამრევლო ეკლესიად იქცა. აქვე აღვნიშნავთ, რომ არქიმანდრიტ ნესტორის მეუღლე გახლდათ თეკლე ოტიას ასული გრიგოლაშვილი. სწორედ მისი გარდაცვალება გახდა აღნიშნული ეკლესიის აგების მიზეზი. ამ ფაქტს, ეკლესიის კედელზე მოთავსებული წარწერის გარდა, უფრო დეტალურად გადმოგვცემს 1909 წლის 12 აპრილს ეკლესიის კურთხევისას არქიმანდრიტ ნესტორის წარმოთქმული სიტყვა. სიტყვაში, უფლისადმი სამადლობელთან ერთად დიდი ადგილი უჭირავს არქიმანდრიტის სურვილს, რომ აღნიშნული ეკლესიის კურთხევამ გააძლიეროს მრევლში ღვთისადმი რწმენა და ზრუნვა სასაფლავო კეთილმოსაწყობად: „მადლობას ვსწირავ ღმერთს, რომ მან ჩამაგონა აზრი - აღმეშენებია ამ სასაფლაოზე ეკლესია, მომცა მან გაბედულება დამეწყო ეს საქმე, მომანიჭა შეძლება შემეხრულებია იგი. ვმადლობ ღმერთს, რომ მისი მადლით და შემწეობით აღვასრულე ეს საქმე და დღეს დავესწარი ამ ეკლესიის კურთხევას. ჭეშმარიტად უფალმან აღაშენა ჩემი, მცირე შეძლების მქონებელის, ხელით ეს მცირე, მაგრამ მკვიდრი ეკლესია. რომ უფალი ღმერთი არ შემწეოდა, რომ ნება მისი არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, რომ მე არ შემეძლო მისი აღშენება, მით უმეტეს, რომ არავისთვის არ მითხოვია შემწეობა, არავინ არ შემინუხებია და ამის აღსაშენებლად არავინ ერთ გროშსაც არ შემწევია“⁵⁴². 1923 წელს ეკლესია საბჭოთა ხელისუფლებამ დაკეტა. განაახლეს და ხელახლა ეკურთხა 1991 წლის 24 ნოემბერს.

ნესტორ ყუბანეიშვილი იყო სხვადასხვა საზოგადოების წევრი. კერძოდ, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების, უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოების, დავით III აღმაშენებლის სახელობის „ძმობის“, წმიდა გიორგის სახელობის „ძმობის“ და სხვ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნესტორ ყუბანეიშვილის, რო-

⁵⁴² გაზ. „შინაური საქმეები“ 1909 წ. N22 13.09. გვ.4.

გორც მნიგნობარი, სწავლული მოძღვრის ღვანლი ქართული სასულიერო ლიტერატურის გამდიდრების საქმეში. მან, როგორც ავტორმა, შემდგენელმა და მთარგმნელმა, გამოსცა მრავალი წიგნი და ბროშურა, კერძოდ: **სახელმძღვანელო სამღრთო სჯულის სასწავლებლად**. შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია; ახსნით ლოცვები, ათი მცნება და სიმვოლო სარწმუნოებისა; საიდუმლოების ახსნა, ქრისტეს ეკკლესია და პირველი ქრისტიანების ცხოვრება; ქრისტეს სწავლების გავრცელება. თბ. 1885. 168 გვ. აღნიშნული წიგნი ამ და განსხვავებული დასახელებით - „**პირველი დანწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე**“, „**საღვთო სჯული. პირველი დანწყებითი დარიგება**“ 1885-1918 წლებში 16 -ჯერ გამოიცა ქართულ ენაზე, 1914 წელს კი რუსულ ენაზე (**Нестор, Архимандрит [Кубанишвили, Нестор Димитриевич]** Учебник Закона божия: (Молитвы, крат. свящ. история Ветхого и Нового завета, крат. катехизис и учение о богослужении) / Сост. архим. Нестор. _ Кутаис: Кн. маг. т-ва Ф. А. Мтавриева, 1915. - 146); ღირსი მამა დავით გარეჯელი: (ცხოვრება და მოღვაწეობა დავით გარეჯელისა). კუტ., 1893. 32 გვ.; მესამე ოქრო. რუსულიდგან გადმოკეთებული. ბათ. 1899. 16 გვ.; ცოლ-ქმრობა. ტფ., 1899. 20 გვ.(ბიბლიოგრაფიული მონაცემებით არსებობს მეორე გამოცემაც); **გზა ცხოვრებისა**. ქუთ. 1901. 128 გვ.; **კაიაფას ვაჟიშვილი**: (მოთხრობა) / გადმოკეთებული რუსულითგან. ქუთ. 1905. 246 გვ.; **ბოლიე, ანატოლ ლერუა. ქრისტიანობა და დემოკრატია. ქრისტიანობა და სოციალიზმი** / ფრანგ. ნათარგმნი ს. ტროიციკის მიერ; რუს. გადმოღებული დ. ნ. ყ-შვილის [ყუბანეიშვილი] მიერ. - ქუთ. 1907. 51 გვ.; **ძველი აღთქმის ისტორია**. ქუთ. 1908. 185 გვ.; **ახალი აღთქმის საღვთო ისტორია**. ქუთ. 1910. 141 გვ.; **სიკვდილი მართლისა**: პონტოელ პილატეს წერილი თავის მეგობარ ქალთან / რუსულით თარგმანი არხ. ნესტორისა [ყუბანეიშვილი]. - ქუთ. 1910. 32 გვ.; **ერთი ღამე აკლდამაში** / ნესტორი არხიმანდრიტი. - ქუთ., 1911 28 გვ.; ჩვენი სათხოვარი ღვთის წინაშე. ეპისკოპოს ილია მინიატიის სიტყვებიდან. რუსულიდან გადმოღებული. ქუთ. 1912. 16 გვ.; თესლი კეთილი. სხვადასხვა წიგნებიდგან გამოკრებილი საგულის-ხმო ნაწყვეტები, მოთხრობების და სხვ. ტფ. 1913. 148 გვ.; ომის გამო. რუსულიდგან გადმოღებული. ტფ. 1914. 20 გვ.

დასახელებული წიგნებისა და ბროშურების გარდა, როგორც თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, მას დასაბეჭდავად გამზადებული ჰქონია შემდეგი შრომები: 1) „აუცილებელი ხვედრი“ (რუსულიდან თარგმნილი), 2) „საეკლესიო ისტორია, აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკლესიების გაყოფამდე“, 3) „მოულოდნელი სიხარული“ (სასულიერო პირთა ცხოვრებიდან), რუსულიდან თარგმნილი, 4) „უცხო და საკვირველნი სტუმარნი“ (გამოცხადება

მიცვალეულთა ცოცხლებისადმი, 93 შემთხვევა); 5) „სარკე მონყალებისა“ - მეხუთე მცნება ნეტარებისა (91 გვერდი); 6) „მკვდარ-ცოცხალი“ (რუსულიდან თარგმნილი); 7) „პონტოელ პილატეს განჩინება იესო ქრისტეს ჯვარცმით დასჯაზე (რუსულიდან თარგმნილი); 8) „ძველი მონმობა ქრისტეს გარეგან შეხედულებაზე“; 9) „უფლის ჯვარი და ლურსმნები“; 10) „ქადაგებანი“; 11) „სიზმრების შესახებ“; 12) „ლექსები“ 13) „საყურადღებო აზრები“; 14) „შრომა“; 15) „ცოდევები საზვერებზე“ (რუსულიდან თარგმნილი); 16) „ქრისტიანელთა კეთილმსახურებით ცხოვრების კანონი“ (რუსულიდან თარგმნილი, 80 გვ.); 17) „მოთმინება“ (რუსულიდან თარგმნილი).

ნესტორ ყუბანეიშვილი, ამასთანავე, აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში - „ივერიაში“, „იმედში“, „მწყემსში“, „მინაურ საქმეებში“, „ცნობის ფურცელში“ და სხვ. სადაც მისი ლექსები, წერილები და კორესპონდენციები იბეჭდებოდა.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ნესტორ ყუბანეიშვილს მთავრობისა და სასულიერო მმართველობის მრავალი ჯილდო ჰქონდა მიღებული, მათ შორის წმ. ანას III და II ხარისხის ორდენები, წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი, წითელი ჯვრის მედალი, კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების წმ. ნინოს ვერცხლის ჯვარი და სხვა.

ეპისკოპოსმა ნესტორმა თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები მარტობასა და სიღარიბეში გაატარა, ახალი ხელისუფლებისაგან უყურადღებოდ მიტოვებულს, საქართველოს ეკლესიის სინოდმაც უარი უთხრა პენსიაზე უსახსრობის გამო. საბჭოთა ხელისუფლებამ დაუპატიმრა სიძე (ქალიშვილის, ოლღას ქმარი) - ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი ტრიფონ ჯაფარიძე, საკუთარ ორსართულიან ათ ოთახიან ბინაში დაუტოვეს მხოლოდ ორი ოთახი. ბაგრატის ტაძართან მდებარე მეორე საკუთარი სახლი უფრო ადრე ჩამოართვეს (ეს ის სახლი იყო, სადაც მონაფეოპოსას დიდი გალაკტიონი ცხოვრობდა - ნესტორ ყუბანეიშვილისაგან ყოველგვარი ქირისაგან გათავისუფლებული).

1938 წლის ივნისში ეპისკოპოსი ნესტორი გარდაიცვალა. გარდაცვალების დღესვე საფიჩხიის სასაფლაოს წმინდა სამების ეკლესიაში გადაასვენეს. მიუხედავად დიდი შიშისა (განსვენებული ხომ რეპრესირებული ოჯახის წევრი იყო), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს განკარგულებით, ეპისკოპოსისათვის შესაფერისი პატივით დაკრძალეს. მოგვიანებით, ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაომმა (შავიანიძემ) მის საფლავს ქვა დაადო წარწერით: „ეპისკოპოსი ნესტორი (ყუბანეიშვილი), 1853-1938“.

ეპისკოპოს ნესტორის ცხოვრებაში გამორჩეულად საინტერესოა მისი მოღვაწეობა არქიმანდრიტის წოდებით გელათის მონასტრის წინამძღვრად 1919-1923 წლებში. 1919 წელს გელათის მონასტერში მისულს უკვე ძიძმე მდგომარეობა დახვდა. მონასტერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისაგან ჩამორთმეული ჰქონდა თითქმის მთელი მამულები, კრებულს არსებობა უჭირდა. არქიმანდრიტი ნესტორი მონასტრის კრებულის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ხშირად მიმართავდა დახმარებისათვის ეპარქიის ხელმძღვანელობას. 1919 წლის 24 სექტემბერს ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარისათვის (ლუჟავა) გაგზავნილ მოხსენებაში ის წერდა რომ: „გელათის მონასტერში საკრებულო შემოსავალი ძლიერ მცირეა. ხაზინიდან არის დანიშნული მცირე ჯამაგირი და იმასაც დროზე არ იძლევიან, მაგალითად, აპრილის აქეთ ჯამაგირი არ გვაქვს მიღებული, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ: 1. კეთილ ინებოთ განკარგულება რომ ჯამაგირი გვაძლიონ თავ-თავის დროზე; 2. რაც შემოწირულება იქმნეს ან ცხოველებისა, ან პურ-ღვინის (გარდა საზედაშეღვინისა და სასეფისკვრე პურისა, რომელნიც უნდა დარჩეს ეკლესიას), ან სხვა სანოვაგისა, ის იყოს წინამძღვრის და კრებულის სასარგებლოდ მოხმარებული, როგორც ეს ხდება მონაშეთის მონასტერში დიდი ხნიდან, მიუხედავად იმისა, რომ მონაშეთის მონასტერში საკრებულო შემოსავალი ოცჯერ მეტი მაინც იქმნება გელათის საკრებულოს შემოსავალზე და ძველ დროშიაც, რავდენადაც მახსოვს საეკლესიო ისტორიიდან, ზემო აღნიშნული შემოწირულება მიდიოდა კრებულის სასარგებლოდ“⁵⁴³. მიტროპოლიტი, როგორც წერილზე დადებული რეზოლუციიდან ჩანს, არქიმანდრიტის წინადადებას დათანხმდა „დაკმაყოფილდეს დროებით“, მაგრამ ეტყობა მომდევნო წელს ისევ დადგა იგივე პრობლემა. დასტურდება, რომ იმავე საკითხზე კვლავ მიმართა არქიმანდრიტმა მიტროპოლიტს, ამ უკანასკნელმა კი საკითხის გადასაწყვეტად უკვე საკათალიკოსო საბჭოს მიმართა, რომლის კანცელარიაიდანაც პასუხად, 1920 წლის 23 ოქტომბერს ასეთი პასუხი მიიღო: „განემართოს ქუთაისის საეპარქიო მმართველობას, რომ მონასტრის კრებულის ყოველგვარი შემოსავალი ფულით თუ ნატურით უნდა აღინუსხებოდეს საზოგადო დაეთარში და ამ შემოსავლიდან წინამძღვარს უნდა ეძლეოდეს 10 ნაწილი. თვითეულს მღვდელ-მონაზონს - 6 ნაწილი, თვითეულს იეროდიაკონს - 5 ნაწილი და თვითეულ წიგნის მკითხველს და მორჩილს - ოთხ-ოთხი ნაწილი“. მიტროპოლიტმა საპატრიარქოს ეს რეკომენდაცია მონასტრების წინამძღვრებს სახელმძღვანელოდ დაურთა.

⁵⁴³ ქცა. ფ.21 ან. 1 ს. 28024, ფ. 1.

მონასტერში არსებული სავალალო მდგომარეობა დეტალურადაა აღწერილი ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარისათვის 1919 წლის 9 დეკემბერს გაგზავნილ წერილში: „როგორც ცნობილია თქვენი მეუფება, გელათის მონასტერს საეროთა მთავრობამ ჩამოართვა მთელი მამული: ტყე ველი საყანე ადგილები და წისკვილი, დაუტოვა მხოლოდ ერთი ნორმა მიწა, ე.ი. შვიდი დესიატინა მიწა რომელშიაც შედის მონასტრის ეზო გზა და ცოტათადენი ადგილი მდებარე მონასტრის გარშემო, ისიც უფარგისი. ნაცვლად ჩამორთმეული მამულისა არ მიუცია არც სუბსიდია მონასტრის შესანახად არც კრებულისთვის ჯამაგირი და არც არა რა სხვა რაიმე ნუგეში მონასტერი დღემდე ნუგეშობდა სანთლის ქარხნის შემოსავლიდ და იგეც მოაკლდა მონასტერს. კრებულს აქვს დანიშნული ძლიერ მცირე ჯამაგირი: თვითოეულ მღვდელ მონაზონს თოთხმეტი თუმანი წელიწადში, კერძო შემოსავალი ისე მცირეა თქმათაც არა ღირს, ხოლო სიძვირე აუტანელია, ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ: აღძრათ უმაღლეს მთავრობის წინაშე კარგათ დასაბუთებული შუამდგომლობა, რომ, ვინაითგან უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფება მონასტერიც და მისი კრებულიც დაგვიბრუნოს ჩვენდამი რწმუნებულ მონასტრის მთელი მამული: ტყე, საყანე და წისკვილი, მით უმეტეს რომ ზოგიერთ მონასტრებს კიდევ დაუბრუნეს მამულები. ეგეც რომ არი ყოს ე.ი. სხვა მონასტრებისთვისაც რომ არ დაებრუნებოის ადგილ მამული ტყე-წისკვილი გელათის მონასტერს მაინც უნდა დაუბრუნდეს თავისი მამული, რადგანაც გელათის მონასტერი სულ სხვა პირობებში იმყოფება ვინემ სხვა მონასტრები რესპუბლიკისა. ერთი წინამძღვარი, შვიდი მღვდელ-მონაზონი, ორი დიაკონი, ოთხი მორჩილი და მონასტრის მოსამსახურენი და ამდენი სულის სარჩენად საჭიროა კარგადიდი საშუალება მოსაპოებლად მონასტერს უნდა ქონდეს დატოული არა ერთი ნორმა მიწა არამედ შვიდი ნორმა მაინც რომ ღარიბულად თავი ირჩინოს კრებულმა. ამდენ რიცხოვანი კრებული საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ მონასტრებში არსად არ არის გელათის მონასტერი არის საქართველოს რესპუბლიკის დიდებული საუნჯე, რომელშიაც დაცულია ჩვენ წინაპართაგან შეწირული აურიცხელი ძვირფასი ნივთები: საეკლესიო ჭურჭლები, ხატები, ჯვრები, თვალ-მარგალიტი, რომელთა დასაცველათ მონასტერს თავისი ხარჯით ყავს დაქირავებული ორი დარაჯი თვეში ათას მანეთად, ხოლო მონასტერს მლოცველებითგან თვეში საშუალო რიცხვი ასი მანეთიც არ შამოუა, ახლა მონასტრის სხვა ხარჯები: სანთელ-საკმეველი, ზედაშ-სებისკვერი, ნახშირი, რომელიც საარაკო ფასებში იყიდება მონასტრის ამ ხარჯების დასაფარავად საჭიროა უკანასკნელი ათი ნორმა მამული მაინც. 3/ ამ მონასტერში მოდიან მლოცველები უფრო ხშირათ

ქართლ-კახეთიდან, რომელთაც ჩვეულებისამებრ შეწირვა ფულად ძლიერ ცოტა იციან, იმათ მოყავთ ცხვარი, რომელსაც დაკლავენ და იქვე შეჭამენ. მხოლოდ ამ მლოცველებს მონასტერი აძლევს ბინას, ქვეშაგებს და შეშას უფასოდ, ამიტომ ამ ხარჯების დასაფარავად საჭიროა სულ რომ მცირე ვთქვათ სამი ნორმა მინა მაინც 4/ ამ მონასტერში მოდიან ხშირად მკვლევარნი-არხეოლოგნი და უცხოელთაგან ჩამოსულნი ნასწავლი პირნი სანახავად ამ დიდებული მონასტრისა და მისი ძვირფასი ნივთებისა. ამ პირებს ჩვეულებისამებრ ძველი დროისა უპატივცემულოდ მონასტერი ვერ უშობს, ზოგი მათგანი სრულიად არაფერს არ სწირავს მონასტერს, ზოგი კი ცოტა რამეს, მაგრამ მისი შეწირული არ ფარავს მასზე განეულ ხარჯს. ამის დასამტკიცებლად კმარა მზარეულის ონისიმე გვენეტაძის თხოვნა, რომელიც თქვენმა მეუფებამ გადმოძვა დასაკმაყოფილებლად ხსენებული მზარეულისა, რომელიც ემსახურებოდა ექვსი დღე ბ. ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც მთავრობისაგან იყო გამოგზავნილი და რომელსაც თუმცა ქონდა მთავრობისაგან დანიშნული სამგზავრო და სახარჯო ფული, მაგრამ მონასტერს მაინც დასჭირდა მისი მოსვლის გამო არა უმცირეს სამასი მანეთისა ხოლო შეწირულობა მისგან არავითარი არ ყოფილა ამას ვამბობ არა სასაყვედუროდ ბ. ექვთიმე თაყაიშვილისა, არამედ დასამტკიცებლად იმ აზრისა რომ ეგეთ სტუმრებზე მონასტერს ბევრი ეხარჯება წლიდან წლამდის ხოლო მათგან შემოსავალი არავითარი არ არის. ამისთანა შემთხვევა ბევრია წელიწადში. ხოლო ამ ხარჯების დასაფარავად ხომ საჭიროა საშუალება? და ამ საშუალებას არ ეყოფა ხუთი ნორმა მინა. ახლა სულ რომ შევაერთოთ ეს ნორმები გამოდის რომ გელათის მონასტრისთვის საჭიროა არა ნაკლებ ოცდა ხუთი ნორმა მინისა და ამიტომ აუცილებელი საჭიროა რომ თავისი მამული სრულად და წისქვილი, თუმცა ისინი ოცდა ხუთი ნორმის ნახევარს არ შეადგენენ, დაუბრუნდეს მაინც გელათის მონასტერს და რადგანაც სხვა სუბსიდიას მთავრობისაგან არ მოელის მონასტერი ის თავის მამულით გაუძღვება თავის საქმეს და როგორც იქნება განაგრძობს არსებობას. ღირსი კი იყო და არის გელათის მონასტერი, რომ მისთვის მთავრობას სუფსიდია დაენიშნა და არა მამულები ჩამოერთმია⁵⁴⁴. ამ წერილში, რომელშიც რეალურადაა ასახული მონასტრის მძიმე მდგომარეობა, არსებობისათვის აუცილებელი პირობების მოთხოვნაცაა დაყენებული და თხოვნაცაა დახმარებაზე.

მიტროპოლიტ ნაზარის დავალებით ქუთაისის საეპარქიო საბჭომ დაუყოვნებლივ, თხოვნით მიმართა სრულიად საკათალიკოსო საბჭოს, რათა მთავრობის წინაშე აღეძრა საკითხი გელათის მონასტრისათვის

⁵⁴⁴ ქცა, ფ.21 ან. 1 ს. 27896 ფ. 1.

ჩამორთმეული მამულების დაბრუნებაზე⁵⁴⁵. სამწუხაროდ, მთავრობისგან არაფერი რეაგირება არ მომხდარა, ამიტომაც იყო, რომ მსგავსი შინაარსის წერილით არქიმანდრიტმა ნესტორმა პირადად, მხოლოდ 1920 წელს, სამჯერ მიმართა სხვადასხვა მაღალ ინსტანციას აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად: 1920 წლის 14 აპრილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას⁵⁴⁶, 1920 წლის 31 მაისს ტყიბულის რაიონის აგრარულ კომისიას⁵⁴⁷. 1920 წლის 29 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტს. განსაკუთრებით საინტერესოა მთავრობის თავმჯდომარისათვის გაგზავნილი წერილის შინაარსი, უფრო სწორად, ამ წერილის თავდაპირველი ვარიანტი, რომელიც შემდეგ, 1920 წლის 14 აპრილს, შემოკლებული სახით (თაბახის ერთ ფურცელზე დატეული) გადაუგზავნია მთავრობის თავმჯდომარისათვის. წერილის თავდაპირველი ვარიანტი დაცულია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, გელათის მონასტრის არქივის ფონდში. წერილის სიდიდის მიუხედავად, შინაარსიდან გამომდინარე, მისი სრულად მოტანა გამართლებულად მიმაჩნია:

**„საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარეს ბ. ნოე ჟორდანიას
გელათის მონასტრის წინამძღვრის,
არხიმანდრიტის ნესტორისგან**

მოხსენება

ბ. ნოე! უმორჩილესად გთხოვ ეს მოხსენება დამშვიდებით წაიკითხოთ და, თუ რაღამე ჰპოვოთ შიგ თქვენი შეხედულებით შეუსაბამო, არ გამირისხდეთ. მე ვცდილობ, ძლიერ თავდაჭერით მოგახსენოთ ყოველივე და არ გაგანწყრომოთ, თუ ჩვენმა ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობამ და უკიდურესმა მთავრობის უყურადღებობამ არ აღმოფეთქა გულისაგან ჩემისა და არ წამომაცდინა რაღამე შეუსაბამო. ხოლო თუ რაღამე ეგეთი ჰაზრი ან სიტყვები იპოვოთ ამ ჩემ მოხსენებაში ის დაფაროს თქვენმა სულგრძელებამ და შთასთხიოს დავიწყების სიღრმეში. ვერც მე და ვერც ჩემდამო რწმუნებული გელათის მონასტრის მღვდელმონაზვნები და მორჩილები ვერ ვიცნობთ მთავრობის წევრებს, ხოლო თქვენ, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, ყველას იცნობთ. ამიტომ ვკადნიერდები და გკითხავთ: მთავრობის წევრთაგან არის ვინმე ურწმუნო? და თუ არის, ნუ თუ ისეთი გავლენა აქვს მას მთელ მთავრობაზე, რომ მას უჯერებს მთელი შემად-

⁵⁴⁵ ქცა, ფ. 21 ან. 1 ს. 27896 ფ. 2.

⁵⁴⁶ სცა, ფ. 1833 ან. 1 ს. 76 ფ. 104.

⁵⁴⁷ სცა, ფ. 1833 ან. 1 ს. 76 ფ. 106-107.

გენლობა მთავრობისა?! ეს კითხვები მისთვის დაიბადენ ჩემში, რომ მთავრობა სრულიად ყურადღებას არ აქცევს სასულიერო პირებს, რომელნიც არიან, როგორც დასაბამითაგან ქვეყნისა იყვნენ, შეძლებისდაგვარად სარწმუნოების დამცველნი და მოსამსახურენი: სასულიერო პირთ ჩამოართვეს სამრევლო შკოლები, ჩამოართვეს უფლება სასწავლებლებში საღვთო სჯულის სწავლებისა და სასწავლებლებში საღვთო სჯულის სწავლება სრულიად მოსპეს, ვითომც საღვთო სჯული ზედმეტი ბარგი ყოფილიყოს, მაგრამ საღვთო სჯული ზედმეტი ბარგი არ არის და უმისოთ კაცობრიობა წარმატებას ვერ ეღირსება; სამღვდლო პირთ არ აქვთ მთავრობისაგან დანიშნული დღიური საზრდო-ჯამაგირი, ეკკლესიებს და მონასტრებს ჩამოართვეს მორწმუნე ქრისტიანეთაგან შეწირული ქონება: ადგილ-მამული, ტყე და ნისქვილები. მოკლედ რომ ვსთქვათ, სასულიერო პირნი სრულიად გარიყეს, მოიძულეს, შეურაცხყვეს და რაც ჰქონდათ ისიც წაართვეს. აი ამ გარემოებამ დაბადა ჩემში ის ჰაზრი, რომ შეიძლება, მთავრობის შემადგენლობაში ერიოს იგეთი წევრი, და შეიძლება, წევრნიც, რომ მათი შთაგონებით და გავლენით მოხდა ყოველივე ზემოაღნიშნული, თუ არიან ეგეთი ურწმუნონი, მე ვსთხოვ მათ დაუკვირდენ დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს: „თქვა უგნურმა გულსა შინა თვისსა, არა არს ღმერთი“ (ფსალ. 52,1) ეს თქვა უგნურმა და ისეც გულსა შინა თვისსა, თორემ გონიერი კაცი ამას არც იტყვის და არც იფიქრებს. ურწმუნონი კარგს ინებებენ, რომ წაიკითხავდნენ და საფუძვლიანად შეისწავლიდნენ საღვთო წერილის წიგნებს, წაიკითხავდნენ და კარგად შეისწავლიდნენ ციციერონის თხზულებას, კანტის თხზულებას, შეისწავლიდნენ ნიუტონის ცხოვრებას, ლიუტარდტის აპოლოგიას და სხვა მეცნიერების ნაწერებს. წაიკითხონ ღვთის არსებობაზე დამტკიცება ისტორიული, კოსმოლოგიური, ტეოლოგიური, ფსიხოლოგიური, ზნეობრივი და ლოლიკური და „ნუ იქმნებიან ურწმუნონი, არამედ ირწმუნონ“, რომ ღმერთი ჭეშმარიტად არსებობს და, რაკი დარწმუნდებიან, რომ ღმერთი არსებობს, უნდა დაგვეთანხმონ, რომ ღვთის სამსახურიც საჭიროა და რაკი ღვთის სამსახური საჭიროა, უეჭველია, რომ ღვთის სამსახურის აღმასრულებელნიც, ესე იგი, სასულიერო პირნიც საჭირონი არიან; ხოლო რადგანაც სასულიერო პირნი საჭირონი არიან, მათი არსებობისათვის ზრუნვაც მთავრობის მიერ საჭიროა. გადავავლოთ თვალი ისტორიას და ცხადად დავინახავთ, რომ დასაბამიდან ყოველი მორწმუნე მთავრობა ზრუნავდა სასულიერო პირთა დაკმაყოფილებაზე მატერიალურის მხრით: იუდეელების მეფემ ეზეკიამ უბრძანა ხალხს, რომ მიეცათ სასულიერო პირთათვის განსაზღვრული ჯამაგირი (მეორე წიგნ. ნემტთა, თავი 31, მუხ. 4); რომ ძველ აღთქმაში სასულიერო

პირთ ჰქონდათ დანიშნული საზრდო, ამაზე ხშირად არის მოთხრობილი დაბადებაში. ციტატების მოყვანას არ ვრაცხ საჭიროდ, რადგანაც ეს ყველამ იცის, ვისაც დაბადება უკითხავს. ახალ აღთქმაშიც ბევრგან არის ნათქვამი, რომ სასულიერო პირნი უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი მატერიალურად, პავლე მოციქული სწერს: არა უწყითა, რამეთუ რომელნი იგი ბაგინსა მსახურებენ, ბაგინისაგან სჭამიან? და რომელნი საკურთხეველსა წინაშე სდგანან საკურთხეველისაგან ნაწილი გაიღიან?“ (1 კორ. 9,14) ამ ციტატაზე, შეიძლება გვითხრათ: ჩვენ რისთვის მოგვცემთ საზრდოსო, თქვენ მონასტერს მსახურებთ და მონასტრისაგან მიიღეთ საზრდოო. თანახმა ვიქნებით და ასეც იყო იმ დრომდღე, სანამ მონასტერს არ ჩამოართმევდენ ადგილ-მამულს, ტყეს და წისქვილს. დაუბრუნეთ ყოველივე ესენი და ჩვენ მონასტერი დაგვაკმაყოფილებს და თქვენ აღარ შეგანუხებთ. კიდევ ბევრ ადგილს არის ნათქვამი სასულიერო პირთა მატერიალურად უზრუნველყოფაზე: (1 ტიმ. 5, 17-18, მათ.10/10 დასხ.) ამ ადგილებიდან სჩანს, რომ მოციქულების დროს მორწმუნენი აკმაყოფილებდნენ სასულიერო პირთ. მერმე როცა ქრისტიანობა აღიარებული იქმნა სახელმწიფო რელიგიად რომის იმპერიაში, კონსტანტინე დიდმა განათავისუფლა სამღვდლოება სახელმწიფო გადასახადისაგან, დაუნიშნა მათ საზრდო, მიანიჭა ეკლესიებს და მონასტრებს უფლება მიეღოთ ადგილ-მამული, შეწირული მორწმუნე ქრისტიანთაგან. აი კიდევ რას გვეუბნება ისტორია : არა თუ ქრისტიანი მთავრობა მფარველობდა ქრისტიანეთა ეკლესიებს, მონასტრებს და სასულიერო პირთ, არამედ როცა კონსტანტინეპოლი აიღეს თათრებმა, მათი სულტანი მალომეტ მეორე მფარველობდა ქრისტიანეთა ეკლესიებს და ხელუხლებლად ტოვებდა საეკლესიო მამულებს და მანვე განათავისუფლა ეპისკოპოსნი, მღვდელნი და დიაკონნი სახელმწიფო გადასახადისაგან, ხოლო პატრიარქს მიანიჭა უფლება ქრისტიანეთა საქმეების გარჩევისა და გასამართლებისა (საეკ. ისტ. რუდ. გამო. 28, გვ.82). ხოლო ჩვენი დიდებულნი მეფენი, მთავარნი და ყველა შეძლებული მორწმუნე ქართველნი რავდენს სწირავდენ მონასტრებს და ეკლესიებს მამულებს. ოქროს, ვერცხლს და თვალ მარგალიტებს და სამღვდლოებასაც უზრუნველყოფდნენ, ამას მტკიცება არ უნდა, თვალწინ გვიძევს ის მამულები და ქონება, რაც მათ შეუწირავსთ ეკლესია-მონასტრებისთვის და სამღვდლოებისთვის. აშენებდნენ მონასტრებს და მათში მოსამსახურე სასულიერო პირთ უზრუნველყოფდნენ მატერიალურად, არა მარტო საქართველოში, არამედ უცხო ქვეყნებშიაც, მაგალითად: ძველ ათონში, პალესტინაში, სინას მთაზე და სხ. ამითგან სჩანს, თუ რა დიდი მორწმუნენი იყვნენ ჩვენი წინაპარნი და ამ სარწმუნოებამ

შეინახა ჩვენი ერი, ჩვენი ქართველობა, თორემ დღეს ქართველების ხსენებაც არ იქმნებოდა, იმ აურაცხელ მტრების გამო, რომელნიც გარს ახვევიან ჩვენს ქვეყანას. მართალია, რუსეთის მთავრობამ რაოდენიმე ადგილმამული ჩამოართა ჩვენ ეკკლესიებს და მონასტრებს, ვინაიდან მას გული არ შეტკივოდა ჩვენზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, კიდევ დაუტოვა საკმაო ადგილ მამული და მეორეც ისა, რომ ჩამორთმეულ ადგილმამულების მაგიერ სამღვდელოებას დაუნიშნა ხაზინიდან ჯამაგირი. ეს ჯამაგირი თუმცა მცირე იყო, მაგრამ შედარებით მაშინდელ სიეფესთან კარგ საქმეს უშვებოდა სამღვდელოებას. დღეს კი სულ მოძულებული შეიქმნა საქართველოს სამღვდელოება: მთავრობა სრულიად ყურადღებას არ აქცევს, ეკკლესია-მონასტრებს, ადგილ მამული, ტყე და წისქვილები ჩამოართვეს, ნაცვლად მამულისა არა მიუციათ რა ძველ ორ გროშიან ჯამაგირსაც ვერ ღებულობს თავის დროზე და ამ „სიკეთეს“ ერთვის დამძვინარებული აუტანელი და ჯერ რომ კაცობრიობას არ მოსწრება იგეთი სიძვირე და იფიქრეთ ახლა თქვენ: რა მდგომარეობაში უნდა იყო სამღვდელოება?! რა გასაჭირს უნდა ითმენდეს ის?! რა ცეცხლი უნდა ტრიალებდეს მის გულში?! რათ სჯიან ასე სამღვდელოებას? რათ ტანჯავენ? რა დააშავე? რა ბრალი მიუძღვის?! ის „ბრალი“ მიუძღვის ჩვენს სამღვდელოებას, რომ თუ არის დაცული ჩვენში სარწმუნოება, თუ არის ჩვენში ძველი მწერლობა და მწიგნობრობა და მით განათლება, ეს თითქმის ყველა სამღვდელოების მოღვაწეობა არის, რაცა სჩანს მონასტრებში და კერძო ოჯახებშიაც დაცულ ხელნაწერებისაგან შეიძლება, სთქვათ: ეს ძველათო და ახლა რაღას აკეთებენო? დამერწმუნეთ , რომ დღევანდელი სამღვდელოებაც გარემოების და შეძლებისდაგვარად იმ ძველი სამღვდელოების გზას ადგანა და მოღვაწეობს, თავის საქმესაც ასრულებენ, წიგნებსაც სწერენ და სტამბავენ, მაგრამ ბევრნი ყურადღებას არ აქცევენ. სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები დასახურავი კი არ იყო, არამედ გასაწმენდი ძველი რეჟიმის ჟანგისაგან, რომ საქართველოს გამოზრდოდა კარგი მიმართულების განათლებული სამღვდელოება, ეს საზოგადო მიმოხილვა ელესია-მონასტრების და სამღვდელოების მდგომარეობისა ძველად და აწმყო დროსა. ახლა უნდა მოგახსენოთ გარემოება გელათის მონასტრის მოკლედ. გელათის მონასტერს ჰქონდა რუსეთის მთავრობისაგან დატოვებული იმდენი ადგილ მამული: საყანე, ტყე, ველი და წისქვილი. რავდენიც ის სიეფის დროს ავად თუ კარგად ყოფნიდა მას და მის კრებულს. გარდა ამისა რუსეთის მთავრობამ ნაცვლად ჩამორთმეული ადგილებისა დაუნიშნა კრებულს ჯამაგირი ხაზინითგან და მონასტერიც და მისი კრებულიც იოლად მიდიოდა. დღეს კი ამ აუტანელ და ენით გამოუთქმელ

სიძვირის დროს მონასტერი და მისი კრებული განიცდის უკიდურეს და კალმით აუნერეღლ გასაჭირს. რისთვის? ცხადია, მისთვის რომ ადგილ მამული და ნისქეილი მთავრობამ ჩამოართვა და ნაცვლად ჩამორთმეულ მამულისა არავითარი ნუგეში არ მიუცია მონასტრისთვის. დატოვებული აქვს მონასტერს ერთი ნორმა მინისა. ამ ნორმაში შედის მონასტრის ეზო, სახლების და ტაძრების მიერ მოკავებული ადგილი და გზები, ასე რომ სასარგებლო ადგილი არ გამოდგება არც მესამედი ნორმა. ჯამაგირი რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული ისე მცირეა, რომ თქმადაც არა ღირს დღევანდელი სიძვირის დროს: თითო მღვდელ მონაზონს წელიწადში აქვს თოთხმეტი თუმანი, დიაკვნებს და მორჩილებს კიდევ ნაკლები. დღეს რომ სიძვირე არის თოთხმეტი თუმანი ხუთ დღეს თუ ეყო ერთ კაცს, კარგი უნდა, ხოლო წელიწადში, მოგესხენებათ, სამას სამოცდახუთი დღეს და ამ 360 დღეში რით ირჩინოს მღვდელმონაზონმა თავი? გარდა საქმლისა კაცი შიშველ ტიტველი ვერ ივლის, უშეშოთ ზამთარში და ღამე უსინათლოთ ვერ გაძლებს. ახლა მონასტერი თვითონ რა მდგომარეობაშია? გელათის მონასტერს აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ჩამორთმეული ადგილ მამული: საყანე, ტყე და ნისქეილი და, სიმართლე მოითხოვს, რომ მთავრობამ დაუნიშნოს მას სუფსიღია ხაზინითაგან, რადგანაც გელათს მონასტერი სულ სხვა პირობებში იმყოფება, ვინემ საქართველოს რესპუბლიკის სხვა მონასტრები. აი როგორ: 1-დ, გელათს ყავს მრავალრიცხოვანი კრებული, თუთხმეტიდან ოცამდე სულია სარჩენი, ამდენ ადამიანს, ერთი ნორმა მინა ვერ არჩენს, მითუმეტეს, რომ ამ ნორმაში, როგორც ზემოთ მოხსენიებულია, შედის მონასტრის ეზო, ტაძრების და სახლების მიერ მოკავებული ადგილი და გზები, რომელზედაც არც იხვენება, არც ითესება და არც მოდის ზედ რამე. ამდენ სულის სარჩენად სულ უკანასკნელი შვიდი ნორმა მინა მაინც საჭიროა, რადგანაც აქ, ოკრიბის რაიონში, მომეტებული ნაწილი მცირე მოსავლიანი ადგილებია და ყოველ წელიწადს არ იძლევა მოსავალს, არამედ ორი-სამი წლის მერე მინა თხოულობს დასვენებას ე.ი. ველად გაშვებას და ზოგან კიდევ კლდეებია და სახნავ-სათესად გამოუსადეგარნი არიან. 2-დ, გელათის მონასტერი არის საქართველოს რესპუბლიკის დიდებული საუნჯე, რომელშიაც დაცულია ჩვენი მორწმუნე ნინაპართაგან შეწირული ძვირფასი ხატები, ჯვრები, საღვთო ჭურჭლები და თვალ მარგალიტი და მათთან ერთად დიდებული ტაძრები ჩვენ ნინაპართა ხელოვნების და კულტურულად განვითარების სახსოვარნი (Памятник), ხოლო ამ ტაძრებში დიდებული ფრესკები, ყველა საჭიროებენ მოვლა-შენახვა-დაცვას და მომავალ თაობისადმი გადაცემას. მათ დასაცველად მონასტერს ეხარჯება დარაჯიზე თვეში ათას მანეთზე მეტი.

ახლა სხვა ხარჯები თვით მონასტრისა: სანთელი, საკმეველი, ზედაში, სეფისკვერი, ლამპრების ზეთი, შეშა, ნახშირი, რომელნიც საარაკო ფასებში იყიდებიან. რემონტი სახლების. ყველა ამ ხარჯების დასაფარავად საჭიროა ათი ნორმა მიწისა მაინც. 3-დ, მონასტერში მომსვლელ მლოცველებს მონასტერი უფასოდ აძლევს ბინას, ბინის მოწყობილებას, ქვეშაგებს, შეშას და ლამპარს. რადგანაც უამისობაც არ შეიძლება, ვინაიდან მონასტერს გარეშე მლოცველი ვერ იშოვნის ბინას. თუმცა მლოცველები ცოტაოდენს სწირავენ მონასტერს მაგრამ მათი შეწირულება ამ ხარჯებს ვერ ფარავს; ამიტომ ამ ხარჯების დასაფარავად ნელინადში სამი ნორმა მიწის შემოსავალი მაინც მოუნდება. 4-დ, ამ მონასტერში მოდიან ხშირად მკვლევარნი, სიძველეთა მცოდნენი-არხეოლოგნი გამოსაკვლევად და ფოტოგრაფიით გადასაღებად იმ ფრესკებისა, რომელნიც ტაძრის კედლებზე არიან და ზოგნიც ძველი ხელნაწერების გამოსაკვლევად. ამათ გარდა აქ მოდიან უცხოეთიდან ჩამოსულნი ნასწავლნი პირნი სანახავად ამ დიდებული მონასტრისა და მისი ძვირფასი ნივთებისა. ამ პირებს მონასტერი უპატივცემულოდ ვერ უშვებს, მითუმეტეს, რომ მონასტრის ახლო არ მოიპოვება დუქანი და სანოვაგე გასასყიდლად. ამ ხარჯის დასაფარავადაც რასაკვირველია, საჭიროა საშვალება და ამ საშვალებას არ ეყოფა ხუთი ნორმა მიწისა. მაშასადამე სულ საჭირო ყოფილა 25 ნორმა, მაგრამ გელათის ადგილმამული, ტყე და ველი ამის ნახევარსაც არ შეადგენს და მისთვის მოგახსენეთ ზემოთ სუბსიდიის დანიშვნაზედ. ყოველივე ზემოაღნიშნულისა გამო უმორჩილესად გთხოვთ თქვენ, როგორც მთავრობის თავმჯდომარეს, კეთილ ინებოთ და მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება გელათს და მისი კრებულის ეგეთ გაჭირვებულ მდგომარეობას, იქონიოთ გავლენა მთავრობაზე, დაგვიდგეთ მთავრობასთან შუამდგომელად, რომ მთავრობამაც კეთილ ინებოს და გელათის მონასტერს დაუბრუნოს მისი ადგილ მამული, ტყე და წისქვილი და დაუნიშნოს მონასტერს დასაცველად და მონასტერში მომსვლელ უცხოელთა პატივსაცემლად სუბსიდია.

წინამძღვარი გელათის მონასტრისა, არქიმანდრიტი ნესტორ 2 მარტი 1920 წ.

როგორც ვთქვით, არქიმანდრიტ ნესტორს შემდეგ, როგორც თვითონ წერს, წერილი შეუმოკლებია, რადგან არ ეტეოდა ქალაქის ერთ ფურცელზე და 14 აპრილს გაუგზავნია ადრესატისათვის (ეს პარლამენტი-სადმი გაგზავნილი წერილიდანაც დასტურდება⁵⁴⁸). შემოკლებული ვარიანტი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ დაუმატებია შემდეგი ნაწილი: „მოველინეთ გელათის მონასტერს და მის კრებულს

⁵⁴⁸ ქუთაისის ისტორიული მუზეუმი (ქიმ), გელათის მონასტრის არქივი N3314.

მონყალე სამარიტელად, დაასხათ მათ ზნეობრივად დატანჯულ გულს ზეთი და ღვინო წყალობისა, თხოვნის აღსრულებისა. მე ვხედავ კრებულის გაჭირვებას და მეც როგორც წინამძღვარი ვალდებულად ვხდი ჩემ თავს აღვძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე თანახმად კრებულის სურვილის და მოთხოვნისა⁵⁴⁹, მთავრობის თავმჯდომარემ მონასტრისათვის რეალური დახმარების განწვეა ვერ შეძლო.

მსგავსი შინაარსის წერილით, როგორც ზემოთ ვთქვით, 1920 წლის 29 ივნისს არქიმანდრიტმა ნესტორმა მიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტს⁵⁵⁰. წერილი ასე იწყება: „უფალი ჩვენი იესე ქრისტე ასწავლიდა: შაბათი კაცისათვის დაიბადა და არა კაცი შაბათისათვის. მიმბაძველნი ქრისტესნი ვიტყვი: კანონი კაცისათვის დაინერა და არა კაცი კანონისათვის დაიბადა“. ამ სიტყვებით არქიმანდრიტი ერთგვარ მოტივაციას აძლევდა პარლამენტს, მაგრამ სამწუხაროდ, უშედეგოდ - პარლამენტმაც თხოვნა უყურადღებოდ დატოვა.

1923 წლის 22 იანვარს არქიმანდრიტი ნესტორი მსგავსი თხოვნით მიმართავდა უკვე საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს რწმუნებულს, ტრიფონ ჯაფარიძეს: „... მთავრობა, იმედია, ყურადღებას მიაქცევს გელათის მონასტრის მკვიდრთა მდგომაროების გაუმჯობესებას, ვინაიდან მონასტრის მკვიდრნი შეძლებისდაგვარად უვლიან ამ დიდებულ სახსოვარს. ამიტომ გთხოვთ გვიშუამდგომლოთ ადგილობრივ მინათ-მოქმედების გამგეობასთან, რომ გამგეობამ კეთილ ინებოს და დაუბრუნოს მონასტერს თავისი ადგილ-მამული და ტყე და მათ მიეცეს საშუალება მონასტერს და მათ მკვიდრთ, რომ უკეთ შეიძლოს დაცვა და მოვლა მონასტრისა, უკეთუ მთავრობა ვერ დაინახავს შესაძლოდ მთელი ადგილ-მამულის და დაბრუნებას, რამოდენიმე ნორმა სახნავ-სათესი ადგილისა და ტყისა მაინც დაუბრუნოს მონასტერს“⁵⁵¹. 16 მარტს ტრიფონ ჯაფარიძემ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს და ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის სახელით, როგორც პირველის რწმუნებულმა და უკანასკნელის დირექტორმა, მიმართა ქუთაისის მაზრის აღმასკომის საადგილმამულო განყოფილებას, მონასტრის კრებულისათვის (14 კაცი) საარსებოდ აუცილებელი ადგილ-მამულების დაბრუნების თხოვნით: „ისეთი ადგილის დაცვა, შენახვა - და მოვლა, რომ ნაქირავებ პირებს მივან-

⁵⁴⁹ ქიმ, გელათის მონასტრის არქივი N3390; **ტყეშელაშვილი გ.** გელათის საგანძური. 2007 ქუთ. გვ.248-255.

⁵⁵⁰ საისტორიო ცენტრალური არქივი (სცა), ფ.1833 ან. 1 ს. 76 ფ. 104.

⁵⁵¹ ქუთაისის ცენტრალური არქივი (ქცა), ფ. 296 ან. 1 ს.153 ფ. 16, 17.

დოთ ჯამაგირი, თვიურად ორჯერ მეტიც დაგვიჯდებოდა და ბერებისთანა მომვლელ კაცებს ჩვენ ვერ ვიქირავებთ, ჯამაგირიც რომ შევძლოთ და გადავსდეთ“⁵⁵². სამაზრო პრეზიდიუმმა 11 აპრილის დადგენილებით (N14) ბერებისათვის ადგილ -მამულების დაბრუნება უარყო⁵⁵³.

ბერთა თხოვნაზე ქუთაისის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა 1923 წლის 13 ივნისს, ანუ მონასტრის გაუქმების შემდეგ იმსჯელა და დაადგინა (ოქმი N23), რომ გელათის მონასტერში მოსავლის ასაღებად შემოდგომამდე დაეტოვებინათ ორი ბერი, რომელთაც საცხოვრებლად მიეცათ ერთი ოთახი, დანარჩენებს კი დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინათ მონასტერი⁵⁵⁴, მანამდე კი, 1923 წლის 5 ივნისს ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსმა პ. ქუთათელაძემ, სამაზრო აღმასკომის თანამშრომლებთან ს. დევდარიანთან და ვ. გიგაურთან ერთად, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის 1 ივნისის დადგენილების საფუძველზე გელათის მონასტრის ტაძრები დალუქა, გასაღებები ჩაიბარა და, როგორც თვითონ წერს : „ხელ-წერილ ქვეშ გამოვუცხადეთ ყველა ბერებს რათა ერთი კვირის განმავლობაში დასცალონ მონასტრის ეზო“⁵⁵⁵. როცა მილიციის უფროსი ამ პატაკს აგზავნიდა აღმასკომში, იმავე დღეს, 6 ივნისს გელათის მონასტრის წინამძღვრისა და კრებულის ასეთი თხოვნაც მიიღო აღმასკომმა: „ამა წლის 5 ივნისს მოვიდა გელათში მთავრობის გამოგზავნილი კომისია და გელათის მონასტრის ეკლესიები დაკეტა და დაბეჭდა და ჩვენ მონასტრის მკვიდრთ გამოგვიცხადა, რომ ერთი კვირის განმავლობაში მონასტრიდან წადითო, ჩვენ ვალდებული ვართ მთავრობის განკარგულებას დავემორჩილოთ, მაგრამ ამასთანავე იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ჩვენს მდგომარეობასაც მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას, და არ დაგვსჯის იმდენად, რომ შიმშილით სიკვდილს მიგვცემს პირში, საქმე მდგომარეობს შემდგომში: არც ერთ ჩვენგანს გელათის მონასტერში მოსამსახურეთ არ გვაქვს არავითარი ჯამაგირი არც საერო და არც სასულიერო მთავრობისაგან, და ჩვენ ვირჩინებ ჩვენს თავს ჩვენი ფიზიკური შრომით, ვაკეთებთ ყანას, ბოსტანს და ვენახს, და ეს ერთად ერთი წყარო ჩვენი არსებობისა არის ჩვენი პირადი ფიზიკური შრომა, რაშიაც მონასტრის დამკვეთი კომისიაც დარწმუნდა, დღეს ჩვენ გვაქვს დათესილი ყანები, ბოსტანი, დამუშავებული ვენახი და შემოდგომამდე მათ ნაყოფს ვერ მოვიმკით, და დღეს რომ და-

⁵⁵² ქცა, ფ. 296 ან. 1 ს.153 ფ.15.

⁵⁵³ ქცა, ფ. 296 ან. 1 ს.153 ფ.18.

⁵⁵⁴ ქცა, ფ. 296 ან. 1 ს. 153 ფ. 99.

⁵⁵⁵ ქცა, ფ. 296 ს. ან. 1, 153 ფ. 116.

ვანებოთ თავი მონასტერს და ჩვენი ოფლით მორწყული ყანა ბოსტანი, ვენახი დავტოვოთ ვის უნდა მივადგეთ კარზე ვინ უნდა გვასაზრდოვოს, ვინ უნდა შეგვიბრალოს, თუ მთავრობა ჩვენს ნაშრომს დაგვატოვებებს. ზამთარი რომ იყოს ეხლა ან ახალი გაზაფხული და ყანების მუშაობა ჯერ არ გვექონდეს დანყებული, მაშინ კიდევ რალა გვეთქმებოდა, რადგან მთავრობას სურს ჩვენი გაძევება მონასტრიდან, რომლის (გაძევების) მიზეზი ჩვენ არც გამოგვცხადებია და არც ვიცით, ამასთან ისიც უნდა მოვისხენოთ რომ ვინაიდან მთავრობის კანონით, მოხუცებულებს, რომელთაც შრომა თავისი ხელით აღარ შეუძლიათ, მოხუცებულობის გამო, ნება ეძლევათ თავისი ადგილი სხვას მიაზიარონ, ჩვენს შორის ორ პირს, წინამძღვარს, რომელიც არის სამოცდაშვიდი წლის და მორჩილს, რომელიც არის სამოცდასამი წლის, თავიანთი წილი ადგილი მიზიარებული აქვსთ სხვაზედ, მაგრამ ამით მთავრობის კანონი არ ირღვევა ზემო მოხსენებული მიზეზის გამო და ნუ წაერთმევა მათ მათი წილი მოსავლისაგან. მოგახსენებთ რა ყოველივე ზემოთ აღნიშნულს უმორჩილესად გთხოვთ აღმასრულებელ კომიტეტს შემოდგომამდე დაგვტოვონ ჩვენ ყველანი მონასტერში, და რაკი მოსავალს მოვისთველებთ, ჩვენ დავტოვებთ მონასტერს და სადმე მოვიძებნით თავს შესაფარს ადგილს. 1. წინამძღვარი გელათის მონასტრის, არხიმანდრიტი ნესტორი. 2. ილუმენი მათე 3. მღვდელმონაზონი ეპიფანე 4. მღვდელმონაზონი სილოვანე 5. მღვდელმონაზონი დოდო 6. მღვდელმონაზონი ათანასე 7. მორჩილი იოსებ ლეჟავა 6 ივნისი 1923 წ.⁵⁵⁶, არადა, კრებულის თითოეული წევრი ძალღონეს არ იშურებდა მონასტრის მოვლა-დაცვისათვის. მათი საქმიანობა კარგადაა აღწერილი შემდეგ დოკუმენტში: „1923 -სა წელსა მარტის 6-სა დღესა ჩვენ ქვემოთ ამის ხელის მომწერთა გელათის მონასტრის წინამძღვარმა და კრებულმა მოვილაპარაკეთ მონასტრის ქონების მოვლა-დაცვაზე და სამონასტრო საქმეების განაწილებაზე და დავადგინეთ შემდეგი: 1/ წინამძღვარმა, როგორც ამ დრომდინაც იყო, აწარმოვოს მიწერ-მოწერა მონასტრის საქმეების შესახებ, როცა დაისაჭიროს საქმემ, მოეხმაროს ეკონომოსს წიგნის წარმოებაში, თვალყური ადევნოს ღვთის მსახურების აღსრულებას და სხვა სამონასტრო საქმეებს 2/ ეკონომოსმა მღ-მონაზონმა ათანასემ დაიცვას ეკლესიის ქონება, აწარმოვოს შესავალ-გასავლის წიგნი, მოუაროს ფუტკარს და წისქვილს 3/ ილუმენმა მათემ აცხოს სეფისკვერი 4/ მღ. მონაზონ ეპიფანეს მიენდოს გალავნის დიდი კარების და რკინის კარების გასაღებები და თავ-თავის დროზე გაალოს და დაკეტოს 5/ მღ-მონაზონს სილოვანეს დაევალოს ეკლესიაში ღვთის მსახურების დროს წიგნების

⁵⁵⁶ ქცა, ფ.296 ან 1 ს. 153 ფ.97.

კითხვა. შენიშვნა: ეკლესიაში ღვთის მსახურების დროს სიარული და წიგნების კითხვა ყველასათვის სავალდებულოა, მაგრამ წინების კითხვა სხვებზე მომეტებულად ევალება სილოვანს, რადგანაც ის სხვა სამონასტრო საქმეებისგან თავისუფალია. 6/ მლ- მონაზონს დოდოს ევალება ჩიხაოს მოვლა და ღამე გამთევ სტუმრების და მლოცველების მიღება ჩიხაოში შენახულ ყოველივე ნივთების დაცვა დაკარგვისა, გატეხისა და გაფუჭებისაგან. 7/ მლ. მონაზონს ევთიმეს ევალება მორჩილ იოსებ ლეჟავასთან ერთად მონასტრის ეზოს დასუფთავება და სუფთად შენახვა. 8/ მთავარ დიაკონს ლუკა ჭირაქაძეს მორჩილის დახმარებით და ეკონომოსის ზედამხედველობით ევალება ეკლესიის დაგვა-დახვეტა-დასუფთავება, შანდლების დანმენდა და ხატების სუფთად შენახვა. ზემო აღნიშნულნი პირნი ვალდებული ვართ ჩვენდამი მინდობილი საქმე რიგიანად და დაუზარებლად შევასრულოთ, რასა შინა ხელს ვანერთ: წინამძღვარი მონასტრისა არხიმანდრიტ ნესტორ, მღვდელმონაზონი ათანასე, მლ. მონაზონი დოდო, მღვდელმონაზონი ექვთიმე, მღვდელმონაზონი სილოვანე, ილუმენი მათე, იოსაფატი⁵⁵⁷.

არქიმანდრიტ ნესტორის გელათის მონასტერში წინამძღვრად ყოფნის დროს უკავშირდება 1920 წლის ნოემბერში გელათის მონასტრიდან საეკლესიო საგანძურის უნებართვოდ გატანა. ამ ფაქტამდე, 1918-1920 წლებში გელათის მონასტერში რამდენჯერმე მოხდა იქ დაცული საგანძურის შემოწმება. შედეგი ყოველთვის დადებითი იყო - ის საიმედოდ გახლდათ დაცული და ხელშეუხებელი, პირიქით, 1920 წლის 30 იანვარს სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს განჩინების თანახმად, გელათის მონასტერში, როგორც საიმედოდ დაცული ადგილზე, ჩამოიტანეს დასაცავად ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი 47 დასახელების საეკლესიო ნივთი⁵⁵⁸.

1920 წლის 3 ნოემბერს გელათის მონასტრის ილუმენმა ზენონმა და მღვდელ-მონაზონმა ექვთიმემ ზემოთ აღწერილი მძიმე ფინანსური მდგომარების გამო, რამდენიმე საეკლესიო და ისტორიულ ღირებულებას მოკლებული ძვირფასი ლითონის ნივთი მიჰყიდეს ქუთაისში მცხოვრებ მოქალაქე ზებულონ ისრაელის ძე პაპიაშვილს⁵⁵⁹. ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსმა ეს ნივთები ჩამოართვა მყიდველს და დაიწყო გამოძიება. ილუმენმა ზენონმა და მღვდელ-მონაზონმა ექვთიმემ გამოძიებაში

⁵⁵⁷ ტყეშელაშვილი გ. გელათის საგანძური. 2007 ქუთ. გვ.272-273.

⁵⁵⁸ კეზევაძე მ. გელათში დაცული ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი ნივთ-სამკაულის შესახებ. „საქართველოს სიძველენი“. 2003, N4-5. გვ.267-272.

⁵⁵⁹ ქცა, ფ.21 ან.2 ს.3529 ფ.1.

აჩვენებს, რომ ქუთათელი მიტროპოლიტ ნაზარისაგან ჰქონდათ ნებართვა⁵⁶⁰. რადგან აღნიშნულ ნებართვაზე იმერეთის საეპარქიო კანცელარიაში საქმე არ აღმოჩნდა გახსნილი, მიტროპოლიტმა ნაზარმა გამოძიებას მიუთითა, რომ ახსნა-განმარტება მიელოთ არქიმანდრიტ ნესტორისაგან. 20 ნოემბერს არქიმანდრიტმა ნესტორმა მიტროპოლიტ ნაზარს მოახსენა, რომ 16 ნოემბერს, მონასტერში მისულა ქუთაისის ერობის თავმჯდომარე და ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსი და მიუცია ჩვენება ნივთების გაყიდვაზე. ის, რაც ნებადართული ეგონა არქიმანდრიტს, მათი თქმით, უნებართვო ყოფილა. აღნიშნული ფაქტი შეფასდა, როგორც საეკლესიო ქონების ხელყოფა, რამაც იმჟამინდელ საერო ხელისუფლებას უფლება მისცა საგანძურის დიდი ნაწილი გელათიდან, სასულიერო ხელისუფლების უკითხავად, ქუთაისის ხაზინაში გადაეტანა. 19 ნოემბერს მილიციის უფროსს წერილობით უცნობებია მონასტრის წინამძღვრისათვის, იმის თაობაზე, რომ საეპარქიო კანცელარიაში ნებართვაზე არაფერი ცნობები არ ყოფილა დაცული, 20 ნოემბერს კი მილიციის უფროსი, თანმხლები მილიციონერებით, ისევ მისულა მონასტერში და მთავრობის განკარგულების აღსასრულებლად დაუბეჭდავს მონასტრის მთავარი ტაძარი⁵⁶¹, 23 ნოემბერს კი გელათის მონასტერში მივიდა მთავრობის წარმომადგენელი, ქუთაისის ერობის გამგეობის თავმჯდომარე, მაზრის მილიციის უფროსი, ოლქის სასამართლოს ბრალმძებელი 15 მილიციონერით და გელათის საგანძურის დიდი ნაწილი ქუთაისის ხაზინაში გადაიტანეს დასაცავად⁵⁶². უფრო დეტალურად მომხდარის შესახებ განძეულობის გადატანის ოქმშია მოთხრობილი: „1920 წელსა ნოემბრის 23/24 დღესა ჩვენ - მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულმა გ. ცინცაძემ, ქუთაისის სამაზრო ერობის თავმჯდომარემ კ.ა. სულაქველიძემ, ოლქის სასამართლოს პროკურორმა ნ.მ. იამანიძემ და ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსმა ი. ახვლედიანმა - თანახმად პირველი ჩვენგანის წინადადებისა მან მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულმა მოსთხოვა მონასტრის ეკონომის მღვდელ-მონაზონს ექვთიმეს და მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტს ნესტორს ეჩვენებინა მონასტრის განძეულობა, რაიცა აღმოჩნდა ეკლესიის კედელში დაფარულ ოთახში, რომელ შესავალი იყო ახლად ამოშენებული ქვით და ტალახით, მაგრამ შეუთეთრებელი; როდესაც ზევით ოთახში ავედით, იქ აღმოჩნდა ხუთ ყუთში ჩაწყობილი განძეულობა /ერთი მათგანში იყო ჯრუჭის მონასტრის განძეულობა/ და ორი დიდი ხატი კედელზე მიყუდებული - ერთი

⁵⁶⁰ ქცა, ფ.21 ან.2 ს.3529 ფ.2.

⁵⁶¹ ქცა, ფ.21 ან.2 ს.3529 ფ.4.

⁵⁶² ქცა, ფ.21 ან.2 ს.3529 ფ.6.

ხახულის ღვთის მშობლისა და მეორე გელათის ღვთის მშობლისა და სამი პატარა ხატები, რომელთაგან ორზე ოქროს ნაწილები და თვლები თითქმის სრულიად აცილებული აქვთ. ამასთანავე ხახულის ღვთის მშობლის ხატზე აცილებულია რამოდენიმე თვალი, რომელთაგან ერთი თვალი ახლად აცილებული უნდა იყოს. სულ ყველა ყუთები აღმოჩნდა დაუყვებელი. მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულის წინადადებით სულყველა ყუთები იქნა დაბეჭდილი თანადასწრებით არქიმანდრიტის ნესტორისა, ეკონომოსის ექვთიმესი, ბერ-მონაზონის დოროთესი და მონაშემთის მონასტრის წინამძღვარის არქიმანდრიტის ნიკოლოზისა. აღნიშნული ყუთები იქნა წაღებული ქუთაისის ხაზინაში, ხოლო ხახულის ღვთის მშობლის ხატი და სამი პატარა ხატები იქნა ჩალაგებული ყუთში, რომელიც დაიბეჭდა სამაზრო ერობის გამგეობის და გელათის წინამძღვრის ბეჭდებით; მეორე გელათის ღვთის მშობლის ოქროს ხატი იქვე იქნა დატოვებული პირველთაგან ერთად. ზემოაღნიშნულნი ყუთები მილიციელთა რაზმის და ჩვენი თანხლებით იქნა ჩამოტანილი ქუთაისის ხაზინაში, იმ ღამესვე ჩაბარებულ იქნა ხაზინადარისადმი და მოთავსებული ხაზინის სალაროში. მეორე დღეს - 24 ნოემბერს - თანადასწრებით გელათის და მონაშემთის წინამძღვართა, ეკონომოსის ექვთიმესა, ჩვენისა და ხაზინის ორი ნაფიც მონაგარიშეთა თედორადის და კერესელიძის დახმარებით იქნა ყუთები გახსნილი, მთელი განძეულობა აღწერილი და ჩალაგებული ერთი რკინის ყუთში, რომელიც იქნა დაკეტილი და დაბეჭდილი ოთხი ბეჭდით - სამაზრო ერობის გამგეობისა, პროკურორისა, გელათის არხიმანდრიტისა და ხაზინადრისა. გასაღები რკინის ყუთისა იქნა წაღებული მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულის მიერ. განძეულობის სიის ასლებისაგან ორი მიეცა გელათის წინამძღვარს, ერთი ხაზინადარს და ნამდვილი კი წაიღო მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულმა - ჩანერილია: „ჩაბარებული“.

მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებული გ. ცინცაძე; ოლქის სასამართლოს პროკურორი იამანიძე; ერობის გამგეობის თავმჯდომარე სულაქველიძე; ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსი ახვლედიანი. ხელს ვანერ იმ დამატებით, რომ ხახულის ღვთის მშობლის ხატის მარცხენა ფრთაზე ორი თვლის ადგილია ცარიელი და ეტყობა ახალი ამოღებულობა, მონაშემთის წინამძღ. არხიმ. ნიკოლოზი. წინამძღვარი გელათის მონასტრისა, არხიმანდრიტი ნესტორ⁵⁶³.

აღნიშნული ფაქტი მთავრობის ეკლესიასთან დაპირისპირების საბაბად იქცა. როცა კათალიკოს პატრიარქმა, ლეონიდემ ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარს უმოქმედობა დაუწუნა, ამ უკანასკნელმა ამ საქმეში არქიმანდრიტ

⁵⁶³ ქცა, ფ.21 ან.2 ს.3529 ფ.7.

ნესტორის დადანიშნულება მოინდომა, თუმცა უშედეგოდ, თავად კი მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას 1921 წლის 5 იანვარს შემდეგი წერილი გაუგზავნა: „26 ამ დეკემბერს ქ. ქუთაისში გახსნილ საეპარქიო კრებამ 600 სამრევლოთა სამღვდელოების და მორწმუნე ერის წარმომადგენლებმა, მოისმინა რა გელათის ძვირფას განძეულობის ქუთაისის ხაზინაში გადატანის შესახებ, დაადგინა: 1) გამოეცხადოს პროტესტი მთავრობას, რომ მან წინაღმდეგ მორწმუნეთა სურვილისა, გამოთქმულის მეორე საეკლესიო კრებაზე, სასულიერო მთავრობის დაუკითხავად და ნებადაურთველად, წამოიღო გელათიდან ფასდაუდებელი საეკლესიო განძეულობა-სინამინდე, რომელიც მორწმუნე ერის გრძნობა გონებაში სამარადისოდ შეკავშირებულია გელათის მონასტერთან; 2) მოეთხოვოს კრების სახელით განძეულობის უკანვე დაბრუნება გელათის მონასტერში. მორწმუნე ერის აღშფოთებული სინიდისის და შებლაღულ სარწმუნეობრივ გრძნობათა დასამშვიდებლად, წინაღმდეგ შემთხვევაში სამღვდელოება და მორწმუნე ერი იტოვებენ თავისუფალი მოქმედების უფლებას“⁵⁶⁴... ქუთაისის ხაზინაში გადატანილი საგანძურის დიდი ნაწილი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიერ საფრანგეთში იქნა 1921 წელს გატანილი.

ჩვენი სტატია მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს სასულიერო და საერო მოღვაწეობის იმ დიდ გზას, რომელიც ეპისკოპოსმა ნესტორმა გაიარა. მისი ღვაწლის შესწავლა საშური საქმეა, რათა შესაბამისი ადგილი მიეჩინოს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში.

⁵⁶⁴ ქცა, ფ.21 ან.2 ს.3528 ფ.3.

Bishop Nestor (Kubaneishvili)

Bishop Nestor (Kubaneishvili) is a representative of a group of outstanding figures of the Georgian clergymen, whose members fought for the consolidation and strengthening of their native church and nation by leading the patriotic, holy life in the period when Georgian church was declined and the autocephaly was deprived.

Nestor Dimitri Kubaneishvili was born on September 5, 1853, in the family of a priest, in the village of Mukhakrua, an administrative unit of Kutaisi. In 1867-1871, he studied at the Kutaisi Theological School. In 1877, he graduated from Tbilisi Theological Seminary. In 1877-1882 Nestor Kubaneishvili worked as a teacher at Samegrelo Theological School. On September 1, 1882, he was sent to Kutaisi Theological School as a teacher of divine law. On June 5, 1883, Nestor Kubaneishvili was ordained a deacon by Bishop Gabriel (Kikodze) of Imereti. On June 9, he became a priest in the Church of Virgin Mary in the village of Barsajaokho. In October 1887, he was sent to Kutaisi Alexander Neveli Cathedral church as a priest; and in December of the same year _ he was ordained as the head of the Church of St. George in Kutaisi. In March 1906, Nestor Kubaneishvili was transferred to the Archangel Cathedral of Kutaisi as a priest, and in September of the same year - to the Kutaisi Cathedral, where he became an archpriest.

On January 5, 1910, Father Nestor was ordained as a monk in the Gelati Monastery and appointed as the Head of the Motsameta Monastery. In February of the same year, he received the title of Archimandrite. He worked as the Head of Shuamta and Tetri Giorgi Alaverdi monasteries in 1912-1915. On December 11, 1915, Archimandrite Nestor, at his request, was sent back to the Motsameta Monastery as the head. From here, in 1919, he was taken to the Gelati Monastery, where he served as the Head until June 1923, when the Monastery was «decommissioned». On May 18, 1924, Archimandrite Nestor was ordained as the Bishop of Batum-Shemokmedi Eparchy. In 1926-1928 he was the ruler of the Diocese of Chkondidi, in 1929-1930 Nestor served as the Bishop of Tsilkni. Bishop Nestor ended his fifty-two-year clerical service at this position. He received many religious and secular awards.

Bishop Nestor died on July 29, 1938. He is buried in the Sapichkhia cemetery in Kutaisi.

The article particularly emphasizes the work of Bishop Nestor in the Gelati Monastery and his struggle to improve the financial situation of the Monastery.

The article describes the history of taking church treasures from the Monastery in November 1920 in detail as well as the deconsecration of the Monastery in June 1923; also, his activities while being the Head of Imereti department of the temporary government of the Catholicosate of Georgia has been studied. The article also gives the list of the books published by him and prepared for printing, and tells the story of the construction of the church by Bishop Nestor at the cemetery Oghaskura in Kutaisi.

გვანცა გურდული

ისტორიის დოქტორი

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა 1918-1921 წლებში

(ერთი დოკუმენტის მაგალითზე)

საკვანძო სიტყვები: საქართველოს სამოციქულო ეკლესია, სახელმწიფო, ეკლესიისაგან სახელმწიფოს გამოყოფა.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას ოდითგანვე მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის მომავლის შექმნაში. საერო და სასულიერო ხელისუფალთა ურთიერთობა ისტორიამ შემოგვინახა, თუმცა ხან დადებითი და ხანაც უარყოფით კონტექსტში.

საქართველოში ისტორიულად ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ეფუძნებოდა ქრისტიანულ მოძღვრებას. კერძოდ, იგი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო და ეკლესია არიან ურთიერთდამოუკიდებელი სუბიექტები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ თავის ქვეშევრდომთა (მრევლის) საკეთილდღეოდ. როგორც წესი, ისინი არ ერევიან ერთმანეთის საქმიანობაში, მაგრამ გამონაკლისის სახით სახელმწიფოს უფლება აქვს ჩაერიოს ეკლესიის საქმიანობაში, თუ ამას მოითხოვს შექმნილი ვითარება (პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა თვალსაზრისით). თუმცა, რაღა თქმა უნდა, სახელმწიფოს არ აქვს უფლება ამ „ჩარევის“ დროს გადაუხვიოს საეკლესიო სამართლის ნორმებს. მას, უბრალოდ, შეუძლია მოგვევლინოს როგორც კანონმდებელი საეკლესიო სამართალში. მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად, ღმრთივგვირგვინოსანი და მირონცხებული მეფე იწოდება ეკლესიის გარე ეპისკოპოსად, ამიტომაც მას აქვს იგივე უფლებები, რაც მღვდელმთავარს (პატრიარქს)⁵⁶⁵. მეფეს მხოლოდ ღვთისმსახურების აღსრულების უფლება არ აქვს. ყურადსაღებია ერთი გარემოება: სახელმწიფოს საეკლესიო კანონმდებლობის უფლება ენიჭება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ მისი წყობილების ფორმა არის მონარ-

⁵⁶⁵ სახელმწიფოებრივი კატეხიზმო: მართლმადიდებლური სწავლება საღვთო ხელისუფლებაზე. მთარგმნელი და გამომცემელი დეკანოზი **არჩილ მინდიაშვილი**, თბილისი, 1999, გვ.104.

ქია (ნებისმიერი სახის). დანარჩენ შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ შეასრულოს კანონიკური სამართლის მოთხოვნა. იგივე ითქმის ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების შესახებაც⁵⁶⁶.

საქართველოში ეკლესიის მიმართ საგანგებო კანონები არსებობდა. მეფე დავით აღმაშენებლის დროს მნიგნობართუხუცესის უმაღლესი სამოხელეო თანამდებობა გადაეცა სასულიერო პირს - ჭყონდიდელ მღვდელმთავარს, რითაც უფრო შემჭიდროვდა და დაახლოვდა სახელმწიფო და ეკლესია. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა დაარღვია რუსეთის იმპერიამ, რომელმაც 1801 წელს გააუქმა ქართლ-კახეთს სამეფო, ხოლო კანონიკური სამართლის სრული უგულებელყოფით 1811 წელს გააუქმა ივერიის მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის ავტოკეფალია (მცხეთის საკათოლიკოსო).

1811 წლიდან 1917 წლამდე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია რუსეთის ეკლესიის უწმიდესი და უმართებულესი სინოდის დანამატად აქციეს. ამ დროის განმავლობაში ეკლესიას მართავდნენ რუსი ეგზარქოსები, რომლებიც ამავე დროს სასულიერო სფეროში პირნათლად ახორციელებდნენ რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას. აღნიშნული პოლიტიკის შედეგი იყო: ქართული წირვა-ლოცვის, გალობის ეკლესია-მონასტრებიდან განდევნა, ქართული საეკლესიო კანონიკური ტრადიციების უგულებელყოფა, ბრძოლა ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, ქართველი ერის ეროვნული ღირსების წინააღმდეგ.

XX საუკუნიდან მოყოლებული გახშირდა ქართველი სამღვდელოების კრებები, რომლებზეც ითხოვდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) აღდგენას. 1917 წლის იანვარ-თებერვალში რუსეთის იმპერიაში შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა იმპერატორი ნიკოლოზ II-ე აიძულა ტახტიდან გადამდგარიყო. აღნიშნული ვითარებით ყველაზე კარგად ქართველმა ავტოკეფალისტებმა ისარგებლეს. 1917 წლის 12 მარტს (25) სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მიიღეს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი, საეკლესიო კრების მოწვევამდე შექმნეს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ დანიშნეს გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე... 1917 წლის 12 (25) მარტის სვეტიცხოვლის დამოუკიდებლობის აქტს, რომელსაც საქართველოს ეკლესიის

⁵⁶⁶ **დ. ჩიკვაძე.** საეკლესიო სამართლის საკითხები. - სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა საქართველოში - <https://www.orthodoxy.ge/samartali/samartali/2-2>.

ავტოკეფალიის აღდგენა მოჰყვა, დიდი სიხარულით შეხვდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენისა თუ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ავტოკეფალიისათვის ბრძოლამ, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი სასულიერო პირები და ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, სასურველი შედეგი გამოიღო. სულ მალე 1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. მოლიდინები დიდი იყო, თუმცა ...

1918 წელს საქართველოში სახელმწიფო მმართველობა ხელში აიღო იმ დროისათვის ხალხში პოპულარულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიის „მენშევიკურმა“ ფრთამ. აღნიშნულმა გარემოებამ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მდგომარეობაზეც იქონია გავლენა. ცხადია, მათ ვერ შეაფასეს ეკლესიის მნიშვნელობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ათეისტური იყო. ხელისუფლების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1918 წელს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ გააუქმა სასულიერო სასწავლებლები, რითაც ეკლესიას მოუსპო საშუალება სასულიერო კადრები მოემზადებინა. პარლამენტის 1918 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასწავლებლებში აიკრძალა საღვთო რჯულის სწავლება. 1918 წლის 3 დეკემბრის მთავრობის განკარგულებით ეკლესიას ჩამოერთვა სამოქალაქო რეგისტრაციის უფლება. ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 17 ივლისს ზოგიერთი საეკლესიო უქმე დღის სამუშაო დღედ გამოცხადება. დაიგეგმა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის პროექტის მომზადებაც.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას სამწუხაროდ ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოჰყოლია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ლეონიდეს მოლოდინები როგორც ჩანს სხვა იყო, თუმცა რეალობა კიდევ უფრო განსხვავებული. პატრიარქის იმედგაცრუება ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ არა ერთ წერილში კარგად გამოჩნდა. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყობელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს მთელი სიმწვავეით აკრიტიკებდა.

საკათოლიკოსო საბჭო არ იყო წინააღმდეგი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის. საქართველოს ეკლესია უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას დემოკრატიული მთავრობა ათეისტური პროპაგანდის ფონზე ახდენდა. 1920 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მთავრობამ ჩამოაყალიბა სახელმწიფოსაგან ეკლე-

სიის ჩამოშორების პროექტი, რომლის საფუძველზე ეკლესია განთავისუფლდა სახელმწიფო ფუნქციებისაგან, გარდაცვალების, ქორწინებისა და დაბადების რეგისტრაციის მოვალეობისაგან, ეკლესია მატერიალურად დამოუკიდებელი ხდებოდა სახელმწიფოსაგან, ხოლო სახელმწიფო არ ჩაეროდა შიდასაეკლესიო საქმეებში. კანონ-პროექტი 24 მუხლისაგან შედგებოდა. მთავრობამ ამ კანონპროექტით ეროვნული ეკლესია უფლებრივად გაუთანაბრა სხვა რელიგიურ აღმსარებლებს. პროექტმა ალაშქროთა სამღვდელოება, სისტემატურად ეწყობოდა ეპარქიული კრებები, სადაც სამღვდელოება მსჯელობდა ეკლესიაში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე. სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის ლეონიდე ოქროპირიძის ფონდში დაცული დოკუმენტი (ფონდი 1459, ანაწერი 1, საქმე 41). დოკუმენტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შედეგებს ვრცლად მიმოიხილავს. დოკუმენტს თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე წარმოვადგენთ სრულად, დედნისეული ენით:

„დაიმსხვრა ის ბორკილები, რომლითაც მთელი საუკუნე შებოჭილი იყო ჩვენი სამშობლო; დღეს ის თავისუფალი და თვითმყოფადი ახალ ცხოვრების გზას ირკვევს და მოქალაქეობის ახალ ფორმებს აყალიბებს; ის აშენებს საზეიმო დარბაზს, რომელშიც თავისუფლად ამოისუნთქავს ასი წლის ბატონობის ქვეშ მოქანცული საქართველო. საფიქრებელი იყო, რომ ამ ზეიმში საქართველოს ეკლესიას, რომელიც ყველაზე ფრთხილად სდარაჯობდა ქართულს ეროვნულს თავისუფლებას, თუ საპატიო არა თანასწორი ადგილი მაინც დაეთმობოდა იმ წრეთა და ჯგუფებთან შედარებით, რომელნიც პრინციპიალურად უარყოფდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას და გაიძახოდნენ: „სამშობლო იქ არის სადაც კუჭს გავიძობთ“. მაგრამ, სამწუხაროდ, სულ სხვასა ვხედავთ! ის ჯგუფი, რომელიც რაღაცა გაუგებრობით „სამშობლოს“ ბატონ-პატრონობას სჩემულობს, ქართველი ერის მსცოვანსა და ჭალარამორეულ დედას, - საქართველოს ეკლესიას, შიშველ-ტიტველს, უპატრონოდ და შეურაცხად, აძევებს ამ საზეიმო დარბაზიდან მოურიდებელი სიტყვებით, რომელიც არა ერთხელ სმენია ტანჯულ ქრისტიანებს წარმართული რომისაგან: *Non licet vos esse* - ნება არ გვაქვს არსებობისო.

ბატონებო! თუ გავითვალისწინებთ მოკლედ მაინც იმ მდგომარეობას, რომელიც შეუქმნა ან განზრახულ აქვს შეუქმნას მმართველმა წრემ ჩვენს ეკლესიას, დავრწმუნდებით, რომ ჩვენში მართლაც უარყოფილია ეკლესიის არსებობა არა მარტო იდეურად და თეორიულად, არამედ ფაქ-

ტიურადაც. ჯერ იყო და ეკლესიას ჩამოართვეს ის მცირეოდენი ნაშთიც ადგილ-მამულებს, რომელიც მას მორწმუნეთა მიერ ჰქონდა შენირული გარკვეული მიზნით და რომელიც შეადგენდა მისი არსებობის უმთავრეს წყაროს. ჩამოართვეს მას აგრეთვე სასწავლებელთა შენობები, გაძვალტყავებულ მღვდელ-მედავითნეთა დაფლეთილი ჯიბიდან ამოღებული კაპიკეებით აშენებულ-ნაყიდი. გამოზიდეს მილიციონერთა საშუალებით ეკლესიამონასტერთა საღაროებიდან ყველა ნივთები, რომელთაც ჰქონდათ არა მარტო ისტორიულ-არქეოლოგიური ღირებულება, არამედ სარწმუნოებრივ-რელიქვიური მნიშვნელობაც, ნაართვეს მას უფლება სარწმუნოებრივ-ზნობრივი ნუგეში ეცა მორწმუნეთათვის ყველა იმ დღესასწაულებში, რომელიც შეადგენს წმიდათა-წმიდას და ისტორიულ ატრიბუტს მათი ქრისტიანული რწმენისას, და იძულებულს ხდის მას თავისი დღეობანი და ტიბიკონი ამქვეყნიურ, და ისიც სოციალისტურ ანგარიშებს შეეფარდოს. ეკლესიის მსახურთ ნაართვეს პრიმიტიულ მოქალაქეობრივი უფლება და იშვიათ სახელმწიფო-საზოგადოებრივ სამსახურში იღებენ მათ მხოლოდ, იმიტომ რომ პიჯაკის ან მწვანე ბლუზის მაგიერ, მათ ანაფორა აცვიათ. დასასრულ, წარსული წლის 3 დეკემბრის კანონმა სამოქალაქო მეტრიკაციის მეშვეობით ეკლესიას უფლება წაართვა თავის წევრთ შვილი მოუნათლოს, ჯვარი დასწეროს და წესი აუგოს, თუ ამის ნებართვას ისინი არ მიიღებენ რომელიმე მილიციონერის ან კომისარისაგან რაღაც „სარეგისტრაციო მოწმობის“ სახით. ეს კიდევ ცოტაა, ახლო მომავალში სრულს განადგურებას უპირებენ ეკლესიას ისეთი კანონის გამოცემით, რომელიც არამც თუ ართმევს მას იმას, რის წართმევა ჯერ მართლაც ვერ მოუსწრიათ, როგორც მაგალითად, საკათედრო ტაძრები და მონასტრები მათი ისტორიულ-არქეოლოგიური და ხელოვნური განძეულობით (ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის კანონპროექტი §9), არამედ უძრავ ქონების ყიდვისა და იჯარით აღების ნებასაც უკრძალავს, რათა ნაცვლად წარმართულისა, ახალი რაიმე სახსარი არსებობისა არ გაიჩინოს მან (§ 7); და თუ რაიმე საშუალებით შიმშილს მაინც დაახწია თავი ეკლესიამ, სოციალისტური მთავრობა ლეგალურად მოუღებს მას ბოლოს, ვინაიდან ყოველთვის იმოვის საბაბს, გამოაცხადოს, რომ ესა თუ ის საეკლესიო საზოგადოება და კავშირი „მოქმედებს სახელმწიფოს საზიანოდ“ (§ 14).

ასეთია საზოგადოდ, ფაქტიური მდგომარეობა ეკლესიისა და პერსპექტივები მისი ლეგალური არსებობისა ჩვენს რესპუბლიკაში. ჩვენდა სამწუხაროდ, სავალალოდ და სამარცხვინოდ საქართველოში ვერ მოუძებნიათ ადამიანი, რომელსაც ისეთს იურიდიულ ნორმებზე შეეძლოს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ჩამოყალიბება, რომელნიც დამყარებუ-

ლი იქნება ქართველთა ეროვნულ ფსიქოლოგიის ზნე-ჩვეულებების და კულტურულ-ისტორიული წარსულის ცოდნაზე; ამიტომ ამ საქმეს აგვარებენ ვილაც ალხოვ-დავიდოვიჩების და რუსეთის რევოლუციის სხვა დეზერტირთა რეცეპტებით, რომელთაც ისიც კი არ სცოდნიათ, თუ როგორაა ან რა ნორმებზეა აგებული ეს საქმე ევროპის კულტურულ სახელმწიფოებში. ყველაფერს ამას ამართლებენ და ასალებენ „სინდისის თავისუფლების“ და „ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის“ საჭიროების მოსაზრებით და ფორმით.

ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან ლოგიკურია იქ, სადაც ეს ორი ინსტიტუტი, - ეკლესია და სახელმწიფო, ერთი მეორეს ეცილება და ერთი მეორის სანინაღმდეგო პოლიტიკას აწარმოებს; მაგალითად, ეს აუცილებელი იყო დასავლეთ ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში, სადაც ლათინური პაპიზმი არამც თუ ებრძოდა ეროვნულს ხასიათს სახელმწიფოსას, არამედ პოლიტიკური ტენდენციებითაც იყო გამსჭვალული. საქართველოს ეკლესიას არასოდეს პოლიტიკური პრეტენზიები არა ჰქონია და მით უმეტეს დღეს არ შეუძლია ჰქონდეს; პირიქით ის მუდამ ხელს უწყობდა და უწყობს პოლიტიკურ უფლებამოსილების ორგანოთა განმტკიცებას ჩვენი; საქართველოს ეკლესიამ შექმნა ძველად ის ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური ორგანიზმი, რომელსაც „საქართველოს“ სახელით ვიცნობთ და რომლის შესახებ ჯერ კიდევ IX საუკუნეში ამბობდნენ ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები: „საქართველო იქაა, სადაც ღმერთს ქართულ ენაზე ადიდებენო“. მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებშიც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას საქართველოს ეკლესია ნაკლებად არ შესტროფოდა და მის განხორციელებას ნაკლებად არ უწყობდა ხელს, ვიდრე ის ბატონები, რომელნიც დღეს ამ „საქართველოს“ დაეპატრონენ და მისი სახელით ასე ანადგურებენ ეკლესიას. ამ სიტყვებით ის კი არ მინდა ვთქვა, რომ მე პრინციპიალური, იდეური მონინაღმდეგე ვარ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა, პირიქით, ეს საჭიროდაც მიმაჩნია, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ეს განუზრახავთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მესვეურთ; თანახმად საუკეთესო თეორეტიკოსებისა ეს აქტი მე ასე მაქვს წარმოდგენილი: ეკლესია უნდა განთავისუფლდეს პოლიტიკური ხასიათის დავალება-სამსახურისაგან და საზოგადოებას მხოლოდ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ კულტურასა და აღზრდა-განსპეტაკებას ემსახურებოდეს, სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ის არ უნდა ერეოდეს; თავის მხრივ სახელმწიფოც უნდა განთავისუფლებულ იყოს ყოველგვარი საეკლესიო-სარწმუნოებრივ ხასიათის ფუნქციებისა და მოვალეობისაგან და არ ჰკისრულობდეს ეკლესიისადმი იმ ოპეკას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბიზანტიაში და ყოფილის რუსეთის

იმპერიაში. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა, ამნაირად გაგებულნი და წარმოდგენილი, არამც და არ აძლევს სახელმწიფოს ნებას წართვას ეკლესიას შექმნილი და ახალი შექმნის საშუალება მოუსპოს, არამედ ეკლესიას მატერიალურად შენახვისაგანაც არ ათავისუფლებს მას. მართლაც, თუ სარწმუნოება ადამიანის სულის ერთ-ერთ ძირითად მოვლენას შეადგენს, თუ რელიგიური ემოცია მასში ასეთივე კანონიერი და ბუნებრივია, როგორც ვთქვით, ინტელექტუალური და ესთეტიკური, რომელთა ნორმალურ ზრდა-განვითარებას და დაკმაყოფილებას სახელმწიფო თავის საზრუნავ საგნად სთვლის, რატომ არ უნდა ზრუნავდეს ის, საჭირო ხარჯების გაღებით, ადამიანის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებების აღზრდისა და დაკმაყოფილებისათვის? თუ სახელმწიფო თავის მოვალეობად სთვლის შეინახოს სასწავლებლები და თეატრები, რომელნიც მოქალაქეთა ინტელექტუალურ-ესთეტიკურ აღზრდას ემსახურებიან, რატომ არ უნდა ინახავდეს ის ეკლესიას, რომელიც ემსახურება არანაკლებ სოციალურ კულტურას, ვიდრე შკოლა და თეატრი? აქ არაფერ შუაშია გაზეპირებული სიტყვები, რომ სარწმუნოება ადამიანის სულის კერძო მოვლენა და საქმეა.

ვთქვით რელიგიური გრძნობა საზოგადო ფსიქოლოგიური მოვლენათა კატეგორიას არ ეკუთვნის, სახელმწიფო ამ შემთხვევაშიც მოვალეა ანგარიში გაუწიოს მას, ვინაიდან მისთვის უმნიშვნელო არ უნდა იყოს ისეთი ფაქტები, რომლებშიაც გამოიხატება მოქალაქეთა თუ გინდ ერთ ნაწილის სულიერი მოთხოვნილება; საქართველოს ეკლესია კი ისეთი ფაქტია, რომელიც სწამს და რომელშიაც სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ეძებს ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეთა არანაკლებ 90%-ისა. ესეც, რომ არ იყოს განა ინტელექტუალურის ან ესთეტიკურ სფეროში გამონაკლისი არაა, განა ცოტაა ისეთი იდიოტები, რომელთაც არამც თუ საშუალო და უმაღლესი, პირველდანყებითი ელემენტარული ცოდნის შეთვისების უნარი არ აქვთ, განა ცოტაა ისეთები, რომელნიც ესთეტიკურ გრძნობასა და გემოს მოკლებულნი არიან და ქუდიც რომ შეუგდოთ მაგალითად თეატრში არ შევლენ, ნუ თუ იმათი გულისთვის სახელმწიფომ ხელი უნდა აიღოს დანარჩენ მოქალაქეთა გონებრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის ზრუნვაზე?! ზემომოყვანილი თვალსაზრისით გავაშუქოთ ესლა ჩვენში გაბატონებული პარტიის საეკლესიო პოლიტიკა და შევხედოთ, შესაძლებელია თუ არა მან ხელი შეუწყოს სინდისის თავისუფლებას და ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საღ პრინციპს? არა და არა. ათასჯერ არა! მართლაც რომელი სინდისის თავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც ეკლესიიდან გამოაქვთ სათაყვანებელი სინმინდევები, სადაც მორწმუნეს ნებას არ აძლევენ დღესასწაული გაატაროს თანახმად რჯუ-

ლის მოთხოვნებისა და ეს რჯული შკოლაში შეისწავლოს, სადაც მას აიძულებენ ჯერ მილიციონერთან მონათლოს და დაქორწინდეს, მერე კი, თუ ის ნებას მისცემს ეკლესიაში? რომელი სინდისის თავისუფლება შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც ადამიანს უზღუდავენ, თუ თეორიულად არა, ფაქტიურად მაინც, მოქალაქეობრივ უფლებას იმიტომ, რომ ის ეკლესიის მსახურია? შეიძლება განა ლაპარაკი ეკლესიის და სახელმწიფოს ფუნქცია-განცალკევები გაყოფაზე იქ, სადაც საეკლესიო საზოგადოებას უხდება ამა თუ იმ გაბატონებული პარტიის წინაშე ქედის მოხრას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გამოაცხადებენ „სახელმწიფოს მავნედ“ და დახურავენ, სადაც სახელმწიფოს აგენტები ნათლობის, ჯვრისწერის და წესის აგების ნებართვას იძლევიან და მორწმუნეებს კარნახობენ რომელი დღე იდღესასწაულონ და რომელი არა?

იქნება აქ პარტიის საეკლესიო პოლიტიკა სახელმწიფოს აშენება-გაბედნიერებას უქადდეს? პირობით ის დამლუპველია რესპუბლიკისთვის. პირველად ყოვლისა საზოგადო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. ჩვენ ყველამ ვიცით, ვგონებ - მმართველი პარტიისთვისაც არ უნდა იყოს საიდუმლო, თუ რამ მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს შექმნა-განმტკიცებაში კომპაქტურ ეთნიკურ მასას, ჩვენში - ქართველობას. ქართველთ 90% ქრისტიანობას აღიარებს და საქართველოს ეკლესიის შვილთა სთვლის თავისთვის, მათ თვალში ქართველობა და ქრისტიანობა სინონიმიებია; ყოველივე ეს, რაც ასუსტებს და არღვევს საქართველოს ეკლესიას, ასუსტებს და არღვევს ჩვენში ეროვნულ მთლიანობას და, მაშასადამე, სახელმწიფოებრიობას. ჩვენში, სადაც ეკლესიის გავლენა და ძალა სუსტდებოდა, ადვილად და მალე იკიდებდა ფეხს მაჰმადიანობა, განსაკუთრებით განაპირა კუთხეებში და მთებში; ამისი ჩვენს სახელმწიფოს ეხლაც უნდა ემინოდეს, ვინაიდან სამუსულმანო საქართველოსი მაგალითად უნდა ხედავდეს, როგორ აქარწყლებს „სისხლით ქართველებს“ სარწმუნოებრივი „არა ქართველობა“ და როგორ ართულებს ის ჩვენ პოლიტიკურ მიზნებს. ნუ თუ საკმაო არა ერთი სამუსულმანო საქართველო და ვინმესთვის ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეშიაც გაჩნდეს ასეთი საქართველო?

ეკლესიის განადგურებით ვერც კულტურულად მოიგებს რასმეს ჩვენი სახელმწიფო. ის სოციალიზმი, რომლითაც ქვეყნების გაბედნიერებას ლამობდნენ, მმართველ პარტიას ჯერ ვერ დაუმყარებია ჩვენში; სხვა ღირებულება კი, რომელსაც ქრისტიანობის მაგიერეობა შეეძლოს ჩვენი ხალხისთვის, ვერც გონებრივი და ვერ მორალური, მას ვერ შეუქმნია. ეკლესიის დამცირება, სარწმუნოების შებღალვა და ნათესაობით გრძობების შესუსტება, რასაც ხელს უწყობს სხვათა შორის ახალი პროექტი ქორ-

წინებისა, მხოლოდ შეარყევს სახელმწიფოებრიობის ფუძეს და „სინდისის თავისუფლებას“ მაგიერ დაამყარებს ჩვენში „სინდისის თავისუფლებას“, რაც სოციალისტურ პოლიტიკისთვისაც არ უნდა იყოს სასურველი.

არც მატერიალურად არგებს ჩვენს ერს და სახელმწიფოს ეს პოლიტიკა. ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორება, როგორც ეს განზრახულია, მისცემს ხაზინას ერთ მილიონამდე, რაც დღეს იხარჯება საქართველოს ეკლესიისთვის. სამაგიეროდ, სამღვდელოების ფუნქციების ასასრულებლად, მაგალითად მეტრიკაციისათვის, თითოეულს სამილიციო უბანში, ყოველს ნვრილის საერობო ერთეულში და საკომისარო რაიონში არსდება საკმაოდ რთული შტატიანი განყოფილებანი, რომელთა შენახვა ათეული მილიონები დაჯდება. თუ ამას მიუმატებთ იმ პირდაპირსა და არაპირდაპირ გადასახადს, რაც ქრთამის სახით, უთუოდ შემოღებული იქნება ამ ინსტიტუტებში; ვფიქრობ ხალხიც ვერ იგრძნობს თავს მაინც და მაინც გაბედნიერებულად ამ ახალი რეფორმით.

ასეთ ძალადობას განიცდის, ბატონებო დღეს ქართველი ერის სარწმუნოებრივი სინდისი მმართველ პარტიის პოლიტიკით, რომელსაც თავზე ახვევენ მას ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის სახით; მე ვგმობ ეკლესიის სახელით ამ პოლიტიკას, ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ აღნიშნული ძალადობის გამო და ვთხოვ ეს მნიშვნელოვანი აქტი ჩატარდეს ისე, რომ მომავალშიც ერის სასიკეთოდ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ითანამშრომლონ სახელმწიფომ და ეკლესიამ; ამისათვის კი შედგენილ იქნეს ახალი, მიზანშეწონილი და გონიერი პროექტი და მისი დამუშავება მიენდოს ისეთ კომისიას, რომელშიც თანაბარი რიცხვით და ხმით ეკლესიის წარმომადგენელიც უნდა შედიოდნენ⁵⁶⁷.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს ეკლესიას ფაქტიურად უნდობლობა გამოუცხადა, თუმცა ეს რთული პერიოდი მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა. ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის შესახებ „უფრო გონიერი პროექტი“ აღარ შემდგარა. 1921 წლისა და შემდგომმა პოლიტიკურმა მოვლენებმა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც „ცოცხალი ორგანიზმის“ არსებობასაც კი საფრთხე შეუქმნა.

⁵⁶⁷ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1459, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 4.

Gvantsa Burduli

Doctor of History

**The relationship between the Apostolic Orthodox Church of
Georgia and the state during 1918-1921
(on the example of one document)**

1918 was very important year for the church. Catholicos-Patriarch of All Georgia Leonide (Okropiridze) lead the Georgian Apostolic Church in hardest period of time. The Saint Leonide was the eye-witness of independence of Georgia and its occupation by the Bolshevik Russia.

In 1918 the Menshevik wing of Social-democratic party, which was popular in that time take possession of the government of a state in Georgia. This fact was reflected on its attitude toward Georgian church. Obviously they didn't appraise the signification of Georgian church. The authority of Georgian democratic republic was atheistic, and the Georgian Apostolic Orthodox Church due to legislative acts passed by the government found itself in sticky situation. In 1918 the Social-democratic government abolished theological schools and thereby the church was deprived of the opportunity to train ecclesiastical staff. According to November 26, 1918 decision of the Parliament study of scripture was terminated in education institutions. On December 3, 1918 government decree the church was deprived of rights of civil registration.

In October-November of 1920 the government prepared a project of separation of church and state, on the basis of which the church was released of state functions, from obligation of birth and death records, and the church became financially independent from the state, while the state didn't interfere in inner church affairs.

So, the government of Georgian democratic republic actually expressed incredibility toward Georgian church and according to the passed law on religion equalized it in rights with different religious denominations acting in Georgia.

ქალაქების ისტორია

ჯემალ კარალიძე

ისტორიის დოქტორი, პროფესორი

მრენველობის განვითარება ბათუმში (XIX საუკუნის ბოლო-XX საუკუნის დასაწყისი)

საკვანძო სიტყვები: ბათუმი, მრენველობა, ნავთობის ექსპორტი, პორტი, ნავთობსადენი, რკინიგზა, როტმილდი;

1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი პორტო-ფრაკოს სტატუსით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა.

რუსეთთან შეერთების დროისთვის ბათუმი პატარა ქალაქი იყო, თითქმის 3000 მცხოვრებით. მაგრამ გააჩნდა შესანიშნავი ყურე, რაც დიდ პერსპექტივას უქმნიდა მის განვითარებას. „ბათუმის ყურე გამორჩეულია თავისი ბრწყინვალე ბუნებრივი მონაცემებით, სიგანე 150 საჟენამდეა, სიღრმე ზოგ ადგილას 40 საჟენს აღწევს, რაც უზრუნველყოფს ყურეში ყველაზე დიდი მოცულობის სახაზო გემების შესვლას“⁵⁶⁸. ასეთი შესაძლებლობების მიუხედავად, ბათუმს რამდენადმე მოხერხებული ნავსადგური ჯერ კიდევ არ გააჩნდა. მას სუსტი კავშირი ჰქონდა თვით ამიერკავკასიის სამრეწველო-ეკონომიკურ ცენტრებთან. ცხადი იყო, რომ ბათუმის და საერთოდ ბათუმის ოლქის ეკონომიკური განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ნავსადგურის მშენებლობას და რკინიგზის გაყვანას. აღნიშნული საკითხების გადამწყვეტას თვით რუსეთის იმპერიის ეკონომიკური ინტერესები მოითხოვდა, რომელიც იმ დროისათვის ნავთობის ექსპორტის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე იმყოფებოდა.

ბათუმის განთავისუფლებამდე ბაქოს ნავთობის საზღვარგარეთ გატანა ფოთის და ბალტიის ზღვის ნავსადგურებიდან ხდებოდა. ამ უკანასკნელიდან ნავთობის ექსპორტი ძვირიც ჯდებოდა და დიდი დროც სჭირდებოდა. არსებული ვითარებიდან ნავთობის მრეწველები გამოსავალს ეძებდნენ. ამ თვალსაზრისით ბათუმი საუკეთესო ბაზა იყო ბუნებრივი

⁵⁶⁸ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 34, საქმე 24, ფურცელი 14.

ყურეთი და მოხერხებული სატრანზიტო მდებარეობით⁵⁶⁹. ამ ფაქტორმა განსაზღვრა ბათუმის დაჩქარებული ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა სრულფასოვანი ნავსადგურის აგებამ და ბათუმი-სამტრედიის რკინიგზის ხაზის გაყვანამ. 1881 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ბათუმის ნავსადგურის მშენებლობის პროექტის შემუშავება. კომისიამ პროექტი იმავე წელს დაასრულა, რის საფუძველზეც დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. ნავსადგურის მშენებლობა ძირითადად 1885 წელს დასრულდა და 5 მილიონ მანეთამდე დაჯდა. აგებულ იქნა ცალკე ნავსადგომი ნავთობპროდუქტების გადასატვირთად. ნავსადგურის აშენებამ გამოკვეთა ის უპირატესობანი, რაც ბათუმს ფოთთან შედარებით გააჩნდა. „ფოთის მნიშვნელობა თანდათან ეცემოდა, ხოლო ბათუმი სწრაფად იზრდებოდა. მისი სერიოზული კონკურენტი ხდებოდა“⁵⁷⁰. ეს პროცესი უფრო თვა; საჩინო გახდა ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის ხაზის გაყვანისა შემდეგ, რომლის მშენებლობა 1880 წელს დაიწყო და ექსპლუატაციაში შევიდა 1883 წლის 21 მარტს. ამიერიდან ბათუმი რკინიგზით ბაქოს დაუკავშირდა, რამაც მისდამი მსხვილი კაპიტალისტების ინტერესიც განსაზღვრა. „ამიერკავკასიის დიდმა ბუნებრივმა სიმდიდრემ, განსაკუთრებით ნავთმა და შავმა ქვამ, ერთბაშად თავი ამოაყოფინა ჩვენში უპირველეს კაპიტალისტებს ევროპისას: როტმილდს, ნობელს და სხვებს... ბათუმმა და ბაქომ განსაკუთრებით ჩქარა დაიჭირა უპირველესი ადგილი მრეწველობასა და ვაჭრობაში. იმიტომ, რომ მსწრაფლად შეითვისა აწინდელი საუკეთესო იარაღი მსოფლიო ბრძოლისა, შეისისხლხორცა ის საშუალებანი, რომელსაც ჰხმარობენ დასავლეთ ევროპის დანინაურებულსა და უმთავრესს სამრეწველო ქალაქებში“⁵⁷¹. იმთავითვე გამოიკვეთა, რომ „ბათუმის სამრეწველო განვითარება ძირითდში ბაქოს ნავთობის ექსპორტის ხარჯზე ხდებოდა“⁵⁷². ბათუმის სამრეწველო განვითარება ნავთობის ექსპორტის მიზნებს დაუქვემდებარდა.⁵⁷³

⁵⁶⁹ „ბათუმის გაზეთი“, N15, 31 ივლისი, 1911 წელი.

⁵⁷⁰ **ნიკოლეიშვილი მ.**, 1994 წელი დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკონიგზო მშენებლობის ისტორიიდან (XIX საუკუნის რეფორმის შემდგომი პერიოდი), ქუთაისი, გამომცემლობა მონაშეთა, გვ. 108.

⁵⁷¹ გაზ. „ივერია“, N145, 1891 წელი.

⁵⁷² **ჩხეიძე ჯ.**, ბათუმი (ისტორიული ნარკვი), ბათუმი 1959 წელი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, გვ.43.

⁵⁷³ **სიჭინავა ვ.**, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი 1958, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, გვ.122.

მართლაც, ბაქოს ნავთობის ექსპორტმა განსაზღვრა ბათუმის არნახულად სწრაფი სამრეწველო განვითარება 19 საუკუნის 80-იანი წლებიდან. „ბათუმის ნავთობის ბათუმის პორტით გატანამ ბიძგი მისცა ბათუმში მრეწველობის განვითარებას“. ⁵⁷⁴ „შეიქმნა ნავთობპროდუქტების დახარისხების და ტრასპორტირებასთან დაკავშირებული მყარი ინფრასტრუქტურა“ ⁵⁷⁵.

იმ დროისათვის ნავთობის ექსპორტის ორი სახე არსებობდა - სატარო (ჭურჭლით) და გადასხმითი. ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის პროფილი იმთავითვე განისაზღვრა სატარო ფორმით, რამაც ტარის დასამზადებელი სანარმოების აღმოცენებას შეუწყო ხელი. ნავთობპროდუქტების გადასაზისი ტარის დასამზადებელი პირველი ქარხნის მშენებლობას ბათუმში საფუძველი ჩაეყარა 1882 წელს, რომლის ინიციატორები იყვნენ ინჟინერი ბურგე და პალაშკოვსკი, ე.ი. ტარის დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა დაიწყო ბათუმი-სამტრედიის რკინიგზის ამოქმედებამდე და დასრულდა 1883 წელს. ქარხანა ქალაქ ბათუმში მდებარეობდა, რისი მიზეზიც იმ დროს მოქმედი პორტო-ფრანკოს რეჟიმი იყო, „რათა არ გადაეხადათ უცხოეთიდან შემოტანილი მანქანების, ჩარხების და თუნუქისათვის (რომელიც საჭირო იყო ყუთების დასამზადებლად - ჯ.კ.) ბაჟი. ქარხნების მეპატრონეები გრძნობდნენ რა პორტო-ფრანკოს საზღვრების სივინროვეს, აღძრეს შუამდომლობა ხელისუფლების წინაშე ჩრდილო-აღმოსავლეთით (ორთაბათუმის ველი - ჯ.კ.) მდებარე ადგილების პორტო-ფრანკოს ფარგლებში მოსაქცევად, რათა იქ აეგოთ ქარხნები, მაგრამ შუამდგომლობა მექარხნეების სასარგებლოდ არ გადაწყდა და იმათაც მომგებინად ჩათვალეს ქარხნების აგება პორტო-ფრანკოს საზღვრებში“ ⁵⁷⁶.

ბათუმის პირველი ქარხანისათვის ჩარხები და მონყობილობა გამოინერეს ამერიკიდან, საიდანაც მოიწვიეს დასამონტაჟებლად ტექნიკოსებიც. საპროექტო შესაძლებლობით ქარხანას ერთ დღეში უნდა გამოეშვა 3000 ხის და 6000 თუნუქის ყუთი, მაგრამ გამოცდილი მუშების არარსებობის გამო იგი ამ სიმძლავრით ვერ მუშაობდა. 1886 წლამდე აღნიშნული ქარხანა ერთადერთი იყო, რომელიც ხისა და თუნუქის ყუთებს მანქანური წესით ამზადებდა. ⁵⁷⁷ ქარხანა მოგვიანებით როტმილდის საკუთრებაში გადავიდა და ითვლებოდა „კასპისა და შავი ზღვის ნავთობის მრეწველობი-

⁵⁷⁴ გურული ვ., საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი II, თბილისი 2018 წელი, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, გვ.501.

⁵⁷⁵ სიორიძე მ., ბათუმის საბაჟო, ბათუმი 2003, გამომცემლობა „აჭარა“, გვ.105.

⁵⁷⁶ ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, აღწერა 1, საქმე 180, ფურცელი 12.

⁵⁷⁷ იქვე, ფურცელი 13.

სა და ვაჭრობის ამხანაგობის“ (როტშილდის) ქარხნად. ბათუმში როტშილდის გამოჩენას „ივერია“ შემდეგნაირად იუწყებოდა: „როტშილდმა დიდი საქმე დაიწყო ბათუმში. ეს დიდი საქმე ნავთობის მრეწველობის საქმეა. ოთხმა მილიონმა ფულმა უნდა იტრიალოს ჩვენში. ამ საქმეში უფრო ის არის საინტერესო, რომ ეკონომიურს კეთილდღეობაზე დამოკიდებულია გონებრივი და ზნეობრივი სიკეთეცა“⁵⁷⁸.

19 საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთი ნავთობის უმსხვილესი ექსპორტიორი გახდა. ნავთობი გაჰქონდათ ტანკერებით, ძრითადად ევროპაში, ხოლო მახლობელი და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში ხისა და თუნუქის ბიდონებით. სწორედ ნავთობპროდუქტების ტარის დასამზადებელი სანარმოების დაარსებამ მისცა ბიძგი ბათუმის სამრეწველო განვითარებას. 1885 წელს ბათუმში ამოქმედდა სიდერიდისისა და რიხნერის, 1887 წელს - ხაჩატურიანცის, შემდეგ მანთაშევის, ძმები ცივიანოვების და სხვა ქარხნები. ბათუმი ამიერკავკასიაში მსხვილი სამრეწველო ცენტრი გახდა. 1887 წლის მონაცემებით ქუთაისის გუბერნიაში საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობის პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 5237254 მანეთი, რომლიდანაც 4482500 მანეთი ბათუმის ქარხნებზე მოდიოდა. ბათუმის ნავთობის ქარხნები, რომლებიც ნავთობის ექსპორტს ემსახურებოდნენ, ნარმოების მოცულობით 9-ჯერ აჭარბებდნენ მთელი დანარჩენი გუბერნიის საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობას⁵⁷⁹.

ბათუმის ბაქოსთან რკონიგზით დაკავშირების მიუხედავად კვლავ დღის წესრიგში იდგა ბათუმამდე ნავთობის ტრანსპორტირების საკითხი, რაზეც დამოკიდებული იყო ნავთობის მთლიანი ექსპორტის მოცულობა. ნავთობპროდუქტების დიდი რაოდენობით შეუფერხებელი ექსპორტი მოითხოვდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი მილის გაყვანას. 1884 წლის მარტში ამერიკელმა მილიონერმა გეორგ ვილსონმა თხოვნით მიმართა კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებას მიეცათ მისთვის კონცესიის წესით ბაქო-ბათუმს შორის ნავთობსადენის გაყვანის ნებართვა. მაგრამ მას უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ევროპელი სპეციალისტების დასკვნით საქართველოშიც აღმოჩნდა ნავთობის ბუდობები, რომელთა ექსპლოატაციის დაწყების შემდეგ აქაური ნავთობი გახდებოდა ბათუმიდან უცხოეთში გასატანი მთავარი საგანი.⁵⁸⁰ ნავთობსადენის ხარჯები პროექტით 16 მლნ.

⁵⁷⁸ გაზ. „ივერია“, N264, 1886 წელი.

⁵⁷⁹ ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, აღწერა 1, საქმე 710, ფურცელი 10.

⁵⁸⁰ სიორიძე მ., ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში, ბსუს შრომები (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), I, ბათუმი 1995 წელი, გვ.79.

მანეთს მიაღწევდა. სიძვირის გამო ხელისუფლების წარმომადგენლები გარკვეულ ხანს თავს იკავებდნენ ამ იდეის მხარდაჭერისაგან. მაგრამ იმთავითვე ნათელი იყო ნავთობსადენის გაყვანის სარგებლიანობა თვით რუსეთის სახელმწიფოსთვის. „ნავთის მილის გაყვანა აუარებელს ნავთს გაზიდავს ბაქოდან ბათუმში, საიდანაც ეს მასალა გავა ევროპიულს ბაზრებში და თავის სიუხვით ადვილად დასჩაგრავს სხვათა ქვეყნების ნავთს... ამგვარი გამარჯვება ჩვენის ნავთისა შესცვლის სავაჭრო ბალანსს რუსეთის სასარგებლოდ და ეს გარემოება ადვილად დააჯილდოვებს რუსეთის სახელმწიფოს იმ დანაკლისისათვის, რომელიც მას მოუვა ამიერკავკასიის რკინიგზის გარანტიის ვალდებულებათა შესასრულებლად. ფრიად სასარგებლოა აქ მილის გაყვანა“⁵⁸¹. ნავთობსადენის გახსნით ერთი ფუთი ნავთობის ბაქოდან ბათუმში გადატანა 18 კაპიკის (ამდენი ჯდება რკინიგზით ნავთობის ბაქოდან ბათუმში გადმოზიდვა - ჯ.კ.) ნაცვლად ექვსი კაპიკი დაჯდება. ხელისუფლების მხრიდან ნაკლები მხარდაჭერის მიუხედავად, ნობელების ინიციატივით 1889 წელს 59 ვერსის სიგრძის ნავთობსადენით ერთმანეთს დაუკავშირდა ხაშური და ზესტაფონი. ხაშურამდე ცისტერნებით მოტანილი ნავთობი ისხმებოდა რეზერვუარებში, აქედან ნავთობსადენით იქაჩებოდა ზესტაფონში, სადაც ხელახლა ისხმებოდა ცისტერნებში და ასე გადმოჰქონდათ ბათუმში. ნავთობის ტრანსპორტირების ასეთ სირთულეს განაპირობებდა სურამის უღელტეხილზე გვირაბის არ არსებობა. ნავთობის გატანის მზარდმა მოთხოვნილებამ აუცილებელი გახადა სურამის გვირაბის გაყვანა, რომლის მშენებლობა 1886 წელს დაიწყო და 1890 წელს დასრულდა. რაც შეეხება ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ბათუმი-ხაშურის მონაკვეთს, იგი ექსპლოატაციაში 1900 წელს შევიდა და მისი გამტარუნარიანობა წელიწადში 60000000 ფუთს აღწევდა. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი ბათუმიდან ბაქოს ნავთობის ექსპორტის გაიაფებას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ერთი ფუთი ნავთობის მოპოვება ბაქოში ჯდება 3 კაპიკი, ხოლო ამერიკაში 20 კაპიკი, გადამუშავება ერთი ფუთის კი ბაქოში 6, ხოლო ამერიკაში 21- კაპიკი. ბაქოს ნავთობის მოპოვება-დამუშავების სიახლე ამერიკაში მოპოვებასთან შედარებით, რუსეთის (კერძოდ, ბაქოს -ჯ.კ.) ნავთობს მსოფლიო ბაზარზე კონკურენციაში აბსოლუტურ უპირატესობას ანიჭებდა.⁵⁸² ასეთი უპირატესობის გამო ბაქოს ნავთობი უკვე 1886 წლიდან თანდათან ავიწროებდა ამერიკულ ნავთობს მსოფლიო ბაზარზე.

⁵⁸¹ გაზ. „დროება“, N193, 1885 წელი.

⁵⁸² Батумъ и его окрестности, Батуми 1906 г., Издательство Типография В. Киладзе и Г. Таварткиладзе, ст. 318-319.

ნავთობის ექსპორტის სწრაფი ზრდა ბათუმის ტარის დასამზადებელი ქარხნების მეპატრონეებისაგან შესაბამისად მოითხოვდა წარმოების მოცულობის დაჩქარებულ გაზრდას. ექსპორტიორებისათვის მომგებიანი აღარ იყო ხისა და თუნუქის ყუთების ხელით დამზადება, ან მათი შესყიდვა წერილი მრეწველებისაგან შედარებით მაღალ ფასებში. „ამ დროიდან დაიწყო გაძლიერებული მშენებლობა ისეთი ქარხნებისა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თუნუქის ყუთების მანქანური წესით დამზადებას, ხოლო ხის ყუთები კვლავ ხელით მზადდებოდა“.⁵⁸³ თუნუქის ყუთების დამზადების მანქანურ წარმოებაზე გადასვლამ, რასაც თან ერთვის ხე-ტყის თანდათანობით გაძვირებაც, გამოიწვია ხის ყუთების წარმოების თვითღირებულების გაზრდა თუნუქის ყუთებთან შედარებით. მაგალითად, თუ ხის ყუთების წარმოება მერყეობდა 22-27,3 კაპიკამდე, თუნუქის ყუთის ღირებულება 19-23 კაპიკს აღწევდა. ყოველივე ამის შედეგი ის იყო, რომ ხის ტარის წარმოება მცირდებოდა, ხოლო თუნუქისა იზრდებოდა. თუ 1898 წელს თუნუქის ყუთები, რომელიც შეფუთვის გარეშე (შეფუთვისას გამოიყენებოდა ხის ტარა, რაც ასევე ძვირი ჯდებოდა და თანდათან შეუფუთავ თუნუქის ჭურჭელს ენიჭებოდა უპირატესობა - ჯ.კ.) გაიგზავნა საექსპორტოდ, დამზადებულ იქნა 1 124 000 ცალი, ანუ საერთო რაოდენობის 5,7%. 1899 წელს დამზადებულმა ასეთი ყუთების რაოდენობამ 2 073 000 ცალი ანუ საერთო რაოდენობის 8,9% შეადგინა. საერთოდ, 1899 წელს დამზადდა 11 942 055 ცალი ხის ყუთი, ხოლო თუნუქის - 25948704 ცალი, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 8 430 073 მანეთს.⁵⁸⁴

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასაზიდად დიდძალი ტარა მზადდებოდა. „ყოველდღიურად კეთდებოდა 38100 ხის და 76200 თუნუქის ყუთი. ამას უნდებოდა 474 კუბური მეტრი ფიცარი, 5533 ფუთი თუნუქი, 3171 ფუთი კალა, 4756 ფუთი ტყვია, 2061 გირვანქა მარილის სიმუჯვე, 2821 გირვანქა სინა, 15240 გირვანქა ლურსმანი. ეს საშუალო მუშაობის დროს, ხოლო როცა გაძლიერებული მუშაობა იყო, მაშინ მეტი მასალა იხარჯებოდა“.⁵⁸⁵

ითქმის ორი ათეული წლის მანძილზე ბათუმის მრეწველობამ გან-

⁵⁸³ ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, აღწერა 1, საქმე 180, ფურცელი 12.

⁵⁸⁴ ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, აღწერა 1, საქმე 192, ფურცელი 11-12.

⁵⁸⁵ კლდიაშვილის დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, თხზულებანი, ტომი II, თბილისი 1952 წელი, გვ.171.

ვლო რთული გზა. „თუ შეერთების მომენტში იქ გაბატონებული იყო ხელოსნობა, 19 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს უპირატესობა უკვე მანუფაქტურამ და ქარხანამ მოიპოვა. 90-იან წლებში დამთავრდა ტექნიკური გადატრიალების პროცესი და ბათუმში თითქმის განუყოფლად საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა გაბატონდა.⁵⁸⁶ ტექნიკური სიახლეების დანერგვა ამცირებდა საწარმოების ხარჯებსა და ხელს უწყობდა მის ზრდას, მაგრამ უარყოფითად მოქმედებდა ქარხნებში დასაქმებულთა მდგომარეობაზე და ინვეცია მათი რიცხვის შემცირებას.

ტარის დასამზადებელი ყოველი ქარხანა შედგებოდა ორი განყოფილებისაგან: ხის სახერხი-სადურგლო და თუნუქის. პირველი განყოფილება ყველა ქარხანაში ერთნაირად იყო მოწყობილი, ჰქონდათ ერთნაირი დაზგები, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა ორთქლის ძრავას. რაც შეეხება თუნუქის განყოფილებებს, დაზგების მოძრაობაში მოყვანის თვალსაზრისით ორ კატეგორიად იყოფოდა: ქარხნები, რომელთა დაზგები მოძრაობაში მოჰყავდა მექანიკურ ძრავას და ქარხნები, რომელთა დაზგები მოძრაობაში მოჰყავდათ მუშებს. მაგრამ ასეთი ქარხნები თანდათან გადადიოდნენ მექანიკური ძრავის გამოყენებაზე. 1895 წლისათვის ბათუმში ტარის დასამზადებელი ასეთი 8 ქარხანა მოქმედებდა: 1. კასპია-შავი ზღვის ნავთობის მრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოების (როტმილდის) 2. ა.ი. მანთაშევის 3. ძმები ცოვიანოვებისა და კომპანიის 4. რ.ა. რიხნერის, 5. ს.ა. სიდერიდისის, 6. სავაჭო სახლ მ.გ. ჩაჩატურიანცისა და კომპანიის 7. ძმები გრამატიკოპულოს, 8. საიად შაჰბაზოვის.⁵⁸⁷

ქალაქ ბათუმის საწარმოებში მუშაობდა სულ 3845 მუშა, ხოლო წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 26541965 მანეთს. მაშინ, როცა მთელს ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა 723 საწარმო, 5474 მუშით და წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 27401793 მანეთს.⁵⁸⁸

ბათუმის სამრეწველო განვითარება უპირველესად ნავთობის ექსპორტზე იყო დამოკიდებული, რაც თავისთავად ინვეცია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას - ნავთის ჩამოსასხმელი სადგურების, რეზერვუარების მშენებლობას, რომელთა ძირითადი ნაწილი უშუალოდ

⁵⁸⁶ ბენდიანიშვილი ალ., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი, 1982 წელი, გვ.225.

⁵⁸⁷ ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, აღწერა 1, საქმე 180, ფურცელი 12-13.

⁵⁸⁸ ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, აღწერა 1, საქმე 180, ფურცელი 36.

ქალაქის ტერიტორიაზე იყო განლაგებული.

ნავთის ქარხნების თავმოყრა ერთ მხრივ ქალაქთან, ხოლო მეორე მრივ ბარცხანის ბატარეასთან სახიფათო იყო მშვიდობიანობის დროს, ხანძრის შემთხვევაში. საფრთხე გაცილებით გაიზრდებოდა საომარი მოქმედების ვითარებაში. ვინაიდან ბათუმი, როგორც მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქი დაცული უნდა ყოფილიყო უსაფრთხოების თალსაზრისით, საჭირო იყო ნავთის ქარხნების რეზერვუარების გატანა ქალაქის გარეთ. ამ მიზნით გადაწყდა ნავთის ქალაქის (ე.წ. გოროდოკის - ჯ.კ.) მშენებლობა. „ბათუმში ნავთობის ქალაქის მშენებლობის საკითხში ერთმანეთს დაუპირისპირდა ნავთის მრეწველებისა და სამხედროთა ინტერესები“⁵⁸⁹. ამ საკითხის გადასაწყვეტად ქალაქ ბათუმის გამგეობამ შექმნა კომისია 1891 წელს, რომელიც თავის სხდომებზე იწვევდა ნავთის მრეწველებს.⁵⁹⁰ მენავთობეთა ქალაქის მოსაწყობად განიხილებოდა რამდენიმე ვარიანტი: 1) მდ. ყოროლისწყლის ველი (ქალაქიდან 2-3 ვერსის დაშორებით); 2) ჩაქვის წყლის შესართავი (დაახლოებით 12 ვერსის მანძილზე); 3) მდინარე ჭოროხის ველზე კაპანდები (დაახლოებით 9 ვერსი); კომისია ვარაუდობდა, რომ მეორე და მესამე ვარიანტები სიშორის გამო, ძვირი დაჯდებოდა, ამიტომ, შესაძლებლად თვლიდა ყოროლისწყლის ნაპირზე მშენებლობის მარდაჭერას იმ პირობით, თუ „მენავთობეთა ქალაქი გადაიწვედა შესაძლებლობის ფარგლებში, მდინარე ყოროლისწყლის ზემო წელისკენ და შეიზღუდებოდა ქალაქის გაფართოება დასავლეთისაკენ“⁵⁹¹. კომისიამ თავისი გადაწყვეტილება წარუდგინა ქალაქის გამგეობას დადგენილი წესით დასამტკიცებლად.

ბათუმიდან ნავთობპოდუქტების გატანის ზრდის კვალობაზე არნახული ტემპით გაიზარდა პორტის ტვირთბრუნვა. თუ ბათუმის რუსეთთან შეერთების დროს პორტის ტვირთბრუნვა არ აღემატებოდა 500 000 ფუტს, 20 წლის შემდეგ 1899 წელს მან 90 000 000 ფუტს მიაღწია. ხოლო 1903 წლისათვის ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის პიკზე 107 700 000 ფუტი შეადგინა. საერთო ტვირთბრუნვაში წამყვან როლს ექსპორტი ასრულებდა. თუ 1890 წელს ბათუმის პორტში უცხოეთიდან შემოიტანეს 5 115 000 ფუტი ტვირთი, გაიტანეს 45 395 709 ფუტი. 1893 წელს შემოი-

⁵⁸⁹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწერა 22, საქმე 175, ფურცელი 8.

⁵⁹⁰ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 7, აღწერა 1, საქმე 73, ფურცელი 117.

⁵⁹¹ იქვე, ფურცელი 208-210.

ტანეს 5 760 000 ფუთი, ხოლო გაიტანეს 57 724 000 ფუთი.⁵⁹²

უცხოეთში გატანილი საქონლის ძირითად ნაწილს ნავთობი და ნავთობპროდუქტები შეადგენდა. თუ 1884 წელს ბათუმიდან გაიტანეს 3745653 ფუთი ნავთობპროდუქტი, 1892 წელს ამ ციფრმა 51419838 ფუთი შეადგინა, ხოლო 1893 წლისათვის 55397994 ფუთს მიაღწია (7;1-2). ბათუმიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გატანამ პიკს 1902 წელს მიაღწია და 78338800 ფუთი შეადგინა.⁵⁹³

XX საუკუნის დამდეგისთვის ქ. ბათუმში მუშაობდა 31 დიდი საწარმო, რომელთა შორის ყველაზე მსხვილ საწარმოდ ითვლებოდა მანთაშევისა და კომპანიის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოების ქარხანა.⁵⁹⁴ 1902 წლისთვის ბათუმში საერთოდ მოქმედებდა 366 საწარმო და სახელოსნო, 1026 მსხვილი თუ წვრილი სავაჭრო დაწესებულება.⁵⁹⁵ წამყვანი ადგილი მათ შორის ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებულ საწარმოებს ეჭირა. 1902 წლისთვის ბათუმში ნავთობის 22 მსხვილი ფირმა და სავაჭრო დაწესებულება არსებობდა. მათ შორის ყველაზე დიდი იყო როტშილდის, მანთაშევისა და ნობელის გაერთიანებები, რომელთა ხელში იყო ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის მონოპოლია.⁵⁹⁶

ბათუმის სამრეწველო განვითარების მასშტაბებმა განსაზღვრა აქ რუსეთის ბანკების აქტიური საქმიანობა. ჯერ კიდევ 1886 წელს გაიხსნა ბათუმში სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება, 1890 წელს - თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება, ხოლო 1895 წელს - სამხრეთ რუსეთის საამრეწველო ბანკის განყოფილება. 1903 წლისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა შემდეგი ბანკები:

1. სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება, რომლის საერთო ბრუნვამ 1903 წელს შეადგინა 84320049 მანეთი და 90 კაპიკი.
2. თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება, რომლის წლიურმა ბრუნვამ შეადგინა 167315432 მანეთი და 16 კაპიკი.

⁵⁹² საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 12, აღწერა 7, საქმე 1396, ფურცელი 2.

⁵⁹³ Батумъ и его окрестности, Батуми 1906 г., Издательство Типография В. Киладзе и Г. Таварткиладзе, ст. 310-311.

⁵⁹⁴ ტყეშელაშვილი ნ. ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბილისი 1958 წელი, გვ.36.

⁵⁹⁵ თოდაძე შ., ბათუმის სახელოსნო სასწავლებლების ისტორიიდან, სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ტომი VIII, ბათუმი 1975 წელი, გვ.83.

⁵⁹⁶ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 6, აღწერა 1, საქმე 252, ფურცელი 35.

3. საერთო კრედიტის ბათუმის საზოგადოება, რომლის საერთო ბრუნვამ შეადგინა 18676345 მანეთი და 22 კაპიკი.

4. სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო ბანკის ბათუმის განყოფილება, რომლის წლიურმა ბრუნვამ შეადგინა 69537 მანეთი და 90 კაპიკი.

5. რუსეთ ჩინეთის ბანკის ბათუმის განყოფილება, რომლის წლიურმა ბრუნვამ შეადგინა 5 მილიონ 554 მანეთი და 87 კაპიკი.

6. 193 წელს ბათუმში გაიხსნა სასოფლო ბანკი, რომლის ძირითადი კაპიტალი შეადგენდა 300000 მანეთს.⁵⁹⁷

სამრეწველო განვითარების პარალელურად იზრდებოდა ქალაქ ბათუმის მოსახლეობა, მატულობდა ინაზე ფასი, იზრდებოდა ქალაქის ფართობი, რომელმაც 1891 წელს 924000 კვადრატული საჟენი შეადგინა. სწრაფად იზრდებოდა ქალაქის შემოსავალი, რომელმაც 1889 წელს 146453 მანეთი და 21 კაპიკი შეადგინდა, 1892 წელს - 192882 მანეთი და 56 კაპიკი, 1891 წელს კი 248701 მანეთი და 40 კაპიკი.⁵⁹⁸

განვითარების ასეთი ტემპის წყალობით „ოციოდე წელიწადში ბათუმი პატარა, აზიური ფეოდალური ქალაქიდან, გადაიქცა ევროპულ კაპიტალისტურ ქალაქად, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრად, რომელიც ბაქოსა და თბილისთან ერთად ტონს აძლევდა ამიერკავკასიის კაპიტალისტურ განვითარებას“.⁵⁹⁹

XX საუკუნის დასაწყისში, როგორც ამერიკაში, ისე ინდოეთსა და ბირმაში აღმოჩენილ იქნა ნავთობის ახალი საბადოები, რამაც შეზღუდა რუსეთიდან ნავთობის გატანა აღმოსავლეთის ქვეყნებში, რაც უარყოფითად აისახა ბათუმის სამრეწველო განვითარებაზე.

⁵⁹⁷ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 12, აღწერა 1, საქმე 2947, ფურცელი 11.

⁵⁹⁸ გაზ. „ივერია“, N146, 1891 წელი.

⁵⁹⁹ ბენდიანიშვილი ა., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი 1982 წელი.

Development of Industry in Batumi

(The end of XIX century _ The beginning of XX century)

Resume

In 1878, by the decision of the Congress of Berlin, Batumi was transferred to Russia as a Porto Franco. The Porto-Franco status, which allowed the import of local and foreign goods duty-free, contributed to the economic development of not only the city of Batumi, but also the entire region. But the economic development of Batumi at the end of the 19th century and the beginning of the 20th century had a decisive influence on the export of oil from Baku. Before the annexation of Batumi, Baku oil from Russia was exported from Poti and Baltic coast oil stations, which was expensive for exporters, Batumi has an excellent natural bay and a convenient transit position. The construction of the harbor and the construction of the railway were of vital importance for the development of Batumi. The state was also interested in the development of the transport system. In 1883, the Batumi-Samtredia railway line was laid, and in 1885, the construction of the harbor was mostly completed. It was the export of oil from Batumi to Baku that attracted big industrialists: Rothschild, Nobel, Mantashev and others. The growth of oil exports at an unprecedented rate put the need to connect Baku and Batumi with an oil pipeline, which was implemented by 1901. Oil export required a large number of vessels, for the production of which a number of enterprises were established in Batumi.

It was the export of oil that gave impetus to the industrial development of Batumi and turned it into one of the largest economic centers of Transcaucasia at the turn of the XIX-XX centuries.

მაკა კვარაცხელია

ისტორიის დოქტორი

საბინაო კრიზისი და ბინათმშენებლობის საკითხები XX საუკუნის თბილისში

საკვანძო სიტყვები: თბილისი, ბინათმშენებლობა, ქალაქი, რევოლუციური კომიტეტი, მუნიციპალიტეტი.

საბინაო კრიზისი და ბინათმშენებლობის საკითხები ერთ-ერთი მწვავე და აქტუალური საკითხი იყო XX საუკუნის თბილისში. ბინათმშენებლობას საქართველოს ქალაქებში საინტერესო და შთამბეჭდავი ისტორია აქვს. ბინათმშენებლობის ისტორიის კვლევა თბილისის მაგალითზე ნათელ სურათს გვაძლევს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პროცესების შესახებ.

თემა ძირითადად აგებულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივსა და ტერიტორიული ორგანო - თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულ საარქივო დოკუმენტებზე. კერძოდ: თბილისის ქალაქის გამგეობის, ქალაქ თბილისის საბჭოს აღმასკომის/მერიის, ქალაქ თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის, საბინაო სამმართველოს, საბინაო კომუნალური მეურნეობის ფონდებში დაცულ საქმეებზე. დოკუმენტებზე მუშაობის პროცესი და ინფორმაციის თავმოყრა წლების მანძილზე გრძელდებოდა, ამის საშუალება მოგვცა თბილისის ცენტრალურ არქივში 20 წლამდე მუშაობის სტაჟმა და იმ მოქალაქეთა მომსახურებამ, რომელთაც საბინაო საკითხები აღნიშნული დოკუმენტების დახმარებით გაიარეს: მოახდინეს თავიანთი კუთვნილი ქონების პრივატიზაცია, დაიბრუნეს რეპრესიებისა და მუნიციპალიზაციის პერიოდში დაკარგული ქონება, დაიმკვიდრეს ადგილები ამხანაგურ და შემდეგ კოოპერატიულ ბინათმშენებლობებში და სხვა.

ჩემი შეხედულებით თემა დღესაც აქტუალური რჩება. საინტერესო და მრავალფეროვანი ისტორიული ფაქტების მიუხედავად, თბილისის საბინაო კრიზისისა და ბინათმშენებლობის საკითხები XX საუკუნეში საფუძვლიანად შესწავლილი არ არის. მოცემული თემა საინტერესო იქნება ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის და იმ პირთათვის რომელთა ოჯახებს/წინაპრებს შეეხოთ ქვეყანაში განხორციელებული საბინაო პოლიტიკა.

საბინაო პოლიტიკა XX საუკუნის თბილისში რამდენიმეჯერ შეიცვალა, რაც დაკავშირებული იყო სახელმწიფოში მიმდინარე გლობალურ პროცესებთან. საბინაო კრიზისი საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა იყო დედაქალაქში. ამ დროისათვის თბილისის ტერიტორია 737 ჰექტარს შეადგენდა - მტკვრის მარჯვენა მხარეს განლაგებული იყო: გოლოვინის პროსპექტი და ერევნის მოედანი მომიჯნავე ქუჩებით, სოლოლაკი, ზემელი, ვერე, აბანოების უბანი, სეიდაბადი, ხარფუზი, ორთაჭალა, კრწანისი. მტკვრის მარცხენა მხარეს უკვე გაშენებული იყო მიხეილის პროსპექტი, კუკია, ჩულურეთი, ავლაბარი, რიყე, შავი სოფელი, ნავთლული, დიდუბე. მე-20 საუკუნის დასაწყისში შემოუერთდა თბილისს ვაკე და საბურთალოც, თუმცა მათი განაშენიანება და კეთილმოწყობა მოგვიანებით დაიწყო.

მოსახლეობის ზრდა ყოველთვის წინ უსწრებდა საცხოვრებელი ბინების მშენებლობის ტემპს. მართალია 1913 წლისთვის თბილისის ფართობი 2592 ჰექტრამდე გაიზარდა და ქალაქში ბევრი საცხოვრებელი სახლიც აშენდა, მაგრამ 1897 წლიდან 1910 წლამდე თბილისის მოსახლეობა გაორმაგდა. მიაღწია 305 000 სულს.⁶⁰⁰ თბილისის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მიწურებში და სარდაფებში ცხოვრობდა. ქალაქში საბინაო ფონდის ზრდა ძირითადად ხდებოდა ინდივიდუალური სახლების მშენებლობის, მაგალითად 1902-1909 წლებში ქალაქის გამგეობაში დასამტკიცებლად შესულა 2.983 სახლის პროექტი და თბილისის მოსახლეობის მიერ თვითნებურად ნაშენი სახლების ხარჯზე, მაგალითად რკინიგზის გაყვანის შემდეგ მუშა-მოსამსახურენი უკანონოდ იკავებდნენ მიწებს ნაძალადევის რაიონში. ამ ადგილებში აგებდნენ ფიცრულ და მიწურ სახლებს. ქალაქის გამგეობა ებრძოდა ამ მოვლენას. იგი მილიციის და ცეცხლის მქრობელთა რაზმის დახმარებით ანგრევდა ამ სახლებს, მაგრამ ლამ-ლამობით ერთი დანგრეული სახლის მაგივრად, რამდენიმე შენდებოდა. ამ გზით რომ ვერაფერს გახდა, ქალაქმა სხვა გზა აირჩია. ყველა ის პირი, რომელთაც ნაძალადევიდან ჰქონდათ აშენებული სახლები, ქალაქის მინის მოიჯარადრედ გადაიყვანა. ამ მოძრაობამ ყველაზე მასობრივი ხასიათი თბილისში ნაძალადევსა და დიდუბეში მიიღო. 1904-1908 წლებში ნაძალადევში 1000-ზე მეტი სახლი აშენებულა ძირითადად თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთებზე.⁶⁰¹

⁶⁰⁰ ბენდიანიშვილი ალექსანდრე, 1960, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა 1875-1917, თბილისი, გვერდი 56.

⁶⁰¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 5, საქმე 194, ფურცელი 348.

XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი საბინაო კრიზისის დაძლევა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, დიდი ძალისხმევითა და გატარებული ღონისძიებების მიუხედავად თანმდევი, ეკონომიკური კრიზისის, მსოფლიო კრიზისისა და ინფლაციის ფონზე ვერ მოახერხა.

მემკვიდრეობა კი ასეთი იყო: 1920 წლისთვის თბილისის მოსახლეობის 20-30% უბინაოდ იყო, ბინების 70-80% უკიდურეს ანტიჰიგიენურ პირობებში, ბოლო წლების მანძილზე ბინები არ იყო შეკეთებული. ახალი ბინების დაქირავება ბევრისთვის შეუძლებელი იყო, საშინელი სიძვირის გამო. დიდი დაწესებულებების ბევრი მოხელე უბინაოდ იყო, დაწესებულებები შეუფერებელ სახლებში იყო მოთავსებული, სახლებ-ბინების ძებნის ნიადაგზე საშინელი მექრთამეობა იყო გაჩაღებული, სასამართლოები ბინების შესახებ საქმეებს ვეღარ აუდიოდნენ. ყოველივე აღნიშნული სასწრაფო ზომების მიღებას საჭიროებდა - უკიდურეს შემთხვევაში თბილისელების უმეტესი ნაწილი მძიმე ანტისანიტარიულ, გაუსაძლის პირობებში ჩავარდებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თბილისის თვითმმართველობამ თავისი არსებობის 3 წლის მანძილზე, ვერ შეძლო საბინაო კრიზისის დასაძლევად სამშენებლო ღონისძიებები ეწარმოებინა. იგი ძირითადად ქალაქის განტვირთვის მიმართულებით მუშაობდა, მაგრამ ვერც ამ მიმართულებით მიაღწია შედეგს. თბილისში მცხოვრებმა მოქალაქეებმა დიდი წინააღმდეგობის უნარი გამოავლინეს, არც მთავრობის დადგენილებას დაემორჩილნენ და არც მილიციის ძალას. თბილისის მუნიციპალიტეტმა საბოლოოდ უკან დაიხია. თბილისის საბჭომ დამფუძნებელი კრების წინაშე თავად აღძრა შუამდგომლობა „ქალაქის განმენდის დეკრეტის ანულირების თაობაზე“. რაც დაკმაყოფილდა კიდევ.⁶⁰²

არ შეიძლება არ აღინიშნოს თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევა საამშენებლო კუთხით პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ წლის დასაწყისში ქალაქის ბიუჯეტში მშენებლობისათვის გამოყოფილი სოლიდური თანხა - მიმდინარე მოვლენების, ინფლაციის ფონზე მოკლე ხანში გაუფასურებული იყო და ქალაქი მხოლოდ მცირედ საამშენებლო საქმეებს თუ უმკლავდებოდა.

საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრებამ 1919 წლის 11 ივლისს მიიღო კანონი „უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევის შესახებ“. რაც საქალაქო თვითმმართველობას უფლებას აძლევდა კერძო პირებისათვის თავისი ტერიტორიის ფარგლებში მოსახლეობისთვის ჩამოერთმია მიწის ნაკვეთები და სახლები, ხოლო თუ ეს შეუძლებელი იყო, დროე-

⁶⁰² ჟურნალი „ერობა და ქალაქი“ 1920 წელი, N5; გვერდი 56.

ბით დაეკავებინათ ეს ობიექტები ან გამხდარიყვნენ მათით სარგებლობის მონაწილენი. ამავე კანონით განისაზღვრა მოქალაქისთვის ქონების იძულებით ჩამორთმევის, კომპენსაციისა და გასაჩივრების წესები.⁶⁰³

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე 1921 წლის 25 თებერვლიდან საბინაო საკითხების მოგვარებას ქალაქ თბილისის რევოლუციური კომიტეტი მუნიციპალიზაციის გზით შეუდგა. მუნიციპალიზაციის პირველი ეტაპი 1921 წელს დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის, მენშევიკური ხელისუფლების გაქცევის, მასობრივი დაჭერების ფონზე თბილისის მოსახლეობა თავისი ნებით ტოვებდა საცხოვრებელ ფართებს და წინააღმდეგობის განწევას ვერ ბედავდა.

თბილისის რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 26 თებერვლის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა საბინაო სამეული, ხოლო იმავე წლის 19 მარტის დადგენილებით საბინაო სამეული გაუქმდა და დაარსდა საბინაო განყოფილება 5 კაცის შემადგენლობით. რევკომის ამ დადგენილების საფუძველზე საბინაო განყოფილების დაქვემდებარებაში გადავიდა მუნიციპალიზებული სახლებიც.

1921 წლის 18 ნოემბრის N50 ბრძანების საფუძველზე ქალაქის მუნიციპალიზებული სახლები, სასტუმროები, სადგომ-ფარეხები და სხვა გადავიდა კომუნალური მეურნეობის განყოფილების დაქვემდებარებაში. ამავე ბრძანებით განისაზღვრა მუნიციპალიზებული სახლების დაბეგვრისა და ექსპლოატაციის წესიც.

საბინაო სამმართველო (იგივე უძრავ ქონებათა სამმართველო) შექმნის დღიდან უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქალაქის საბჭოს საბინაო ფონდის მუნიციპალიზაციას 1921-1928 წლებში, მართავდა/ანაწილებდა მუნიციპალიზებულ საბინაო ფონდს, უწევდა კონტროლს ქირით გაცემულ მუნიციპალიზებული ქონების მდგომარებას, აწარმოებდა ყველა შენობა ნაგებობების ექსპლოატაციის კონტროლს, კონტროლს უწევდა კომუნალური სახლების მშენებლობისა და მის ექსპლოატაციაში გადაცემის საკითხებს, გამოყოფდა თანხებს საბინაო ფონდის კაპიტალური და მიმდინარე რემონტისთვის. აგრეთვე განაგებდა ქალაქის თავისუფალ მიწის ფონდს. თბილისის უძრავი ქონების გენერალური აღრიცხვა უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ქალაქის საბჭოს აღმასკომისთვის, რისთვისაც დიდი რესურსი დაიხარჯა და სირთულეების მიუხედავად შედეგიც დადგა: ქალაქის საბჭოს აღმასკომში თბილისის მოსახლეობის საფუძვლიანი აღ-

⁶⁰³ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1990, თბილისი, გვერდი 282-289.

წერა არსებობდა, რომელიც მოიცავდა: მფლობელის ფურცელს (ფორმა 1); შენობის ფურცელს (ფორმა 2) და სავაჭრო-სამრეწველო სადგომთა ფურცელს (ფორმა3).⁶⁰⁴

მუნიციპალიზაციის პირველი ეტაპი აიკრძალა 1924 წლის საკავშირო დეკრეტით. მუნიციპალიზაციის მეორე ეტაპის დროს (მუნიციპალიზაციის მეორე ეტაპი დაიწყო 1927 წლიდან და გაგრძელდა თითქმის 1936 წლამდე). მოსახლეობა აქტიურად იყო გამოსავალი გზის ძიებაში: ჩამორთმეულ ქონებას ყიდოდა ნოტარიუსის მეშვეობით; ნოტარიულად აფორმებდა ქონებას ახლობლების სახელზე; ოთახს უთმობდა უცხო პირებს ან ნათესავებს მდგმურის უფლებით გარანტიით/გირავნობით; სამართლებრივი გზით ითხოვდა ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას და ასე შემდეგ. თუმცა ხშირ შემთხვევაში უშედეგოდ.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ საბჭოთა პერიოდში რჩება კერძო სახლთმფლობელის ცნება. ქალაქში არიან აღრიცხული კერძო სახლთმფლობელები. ისინი კუთვნილ სახლებს ინარჩუნებდნენ თავიანთ ფართში მოქალაქეების დროებითი რეგისტრაციით. სახლთმფლობელს თავისი საბინაო წიგნი გააჩნდა და ანგარიშვალდებული იყო ქალაქის საბინაო განყოფილების წინაშე.

გაცილებით მარტივად იყო პატარა (5 ოთახამდე) კერძო სახლთმფლობელთა საქმე, რამეთუ მათ თავად შეეძლოთ გაენაწილებინათ თავიანთი „ზედმეტი ფართი“. ისინი ახლობლების ჩაწერით, სახლში მცხოვრებთა სულადობის გაზრდით ახერხებდნენ კერძო სახლების შენარჩუნებას. იგივე, წარმოდგენილი იყო დიდ სახლებზე, რომელიც უპირობოდ ჩამოერთმეოდა ძირითად მეპატრონეს და საუკეთესო შემთხვევაში თავისივე სახლში გამოყოფილ ფართში ეძლეოდა ცხოვრების უფლება.

ყოველივე ამის პარალელურად, თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულ ქალაქის აღმასკომის 1927 წლის დოკუმენტებში ვხვდებით მოხსენებით ბარათს თბილისში საბინაო კოოპერატიული ამხანაგობების შესახებ. მოცემული დროისთვის თბილისში იურიდიულად დარეგისტრირებული ყოფილა 14 საბინაო ამხანაგობა, რომლებიც თავის მხრივ სხვადასხვა კატეგორიად იყოფოდა: საბინაო სამშენებლო ამხანაგობა მუშათა შემადგენლობით (4 ამხანაგობა 78 ადამიანის შემადგენლობით); შერეული საბინაო სამშენებლო ამხანაგობები მუშათა და მოსამსახურეთა შემადგენლობით (4 ამხანაგობა 343 ადამიანის შემადგენლობით) და საბინაო სამშენებლო ამხანაგობები მოსამსახურეთა შემადგენლობით (6 ამხ-

⁶⁰⁴ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 147, ფურცელი 3.

ანაგობა 166 ადამიანის შემადგენლობით).

თბილისის აღმასკომთან, კომუნალურ განყოფილებასთან არსებული ადგილობრივი კომიტეტი 1925 წლის აგვისტოს თვიდან დაარსდა, ოდნავ მოგვიანებით გამოქვეყნდა კანონი „მუშათა საცხოვრებლების კოოპერატიული მშენებლობების თანადგომის შესახებ“. ამის შემდეგ დაიწყო ქალაქის აღმასკომმა ერთის მხრივ კოოპერატიული ბინათმშენებლობების თანადგომა და მეორეს მხრივ ამ პროცესის ხელმძღვანელობა.

თავის მხრივ საბინაო სამშენებლო ორგანიზაციები იურიდიული პირები იყვნენ, მათ თავისი მართვის ორგანოები, მმართველობა და რევიზია ჰყავდა.⁶⁰⁵

1936-1937 წლიდან იწყება ყველაზე აქტიური რეპრესიების პერიოდი. ამ პროცესის საშუალებით დამატებით გამოთავისუფლდა საცხოვრებელი ფართობები და მოხდა მათი მუნიციპალიზაცია/გადანაწილება. ქალაქის აღმასკომის საბინაო სამმართველო ინტენსიურად იყენებდა ზედმეტი ფართის ჩამორთმევის უფლებას და ხშირად საცვებით მიუღებელ პირობებში ახდენდა ახალი მობინადრეების ჩასახლებას. თბილისის ცენტრალურ არქივში ქალაქ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს დოკუმენტებში დაცულია მოქალაქეთა წერილები, რომლებიც სასონარკვეთილები ითხოვდნენ არ ჩამოერთმიათ ფართი ოჯახის წევრის მიძიმე ავადმყოფობის გამო, ოჯახის წევრის პატიმრობის ან სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო და სხვა... ან ითხოვდნენ გადაწყვეტილების შეცვლას, რამეთუ შეუძლებელი იყო 7 ოჯახის წევრის 42 კვადრატულ მეტრში ცხოვრება, 22 კვადრატულ მეტრში ოთხი სულის ცხოვრება, გასხვისებულ ოთახს არ გააჩნდა დამოუკიდებელი შესასვლელი, რაც მობინადრეს თავისთავად ყოველგვარ მყუდროებას ურღვევდა და ასე შემდეგ. ქალაქის აღმასკომი უმეტეს შემთხვევაში ამ ვედრების წერილებს არ აკმაყოფილებდა.

ქალაქის მასშტაბით ბინების აღწერას ახდენდა ქალაქის აღმასკომთან არსებული საბინაო ფართების აღმრიცხველთა კომისია, ან იგივე „შემამჭიდროვებელი განსაკუთრებული კომისია“. კომისიის თანამშრომლები კარდაკარ დადიოდნენ და აღწერდნენ თბილისელი მოქალაქეების შემჭიდროვების შესაძლებლობებს და მათი დასკვნების საფუძველზე ქალაქის საბჭოს აღმასკომი ახდენდა ფართის ჩამორთმევას და ზედმეტი ფართის კომუნალურ ფონდში ჩარიცხვას⁶⁰⁶ ამ პერიოდს უკავშირდება ისეთი ცნე-

⁶⁰⁵ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1 ანაწერი 1 საქმე 535 ფურცელი 1-7

⁶⁰⁶ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენ-

ბების გაჩენა თბილისში, როგორც არის „ოტსტუპნიკი“, „კომუნალური სახლი“, იტალიური ეზო და სხვა.

თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის 1931 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თბილისში ოთხი სარაიონო საბჭოს ტერიტორია და საზღვრები შეიქმნა: ლენინის სახელობის (პირველი); სტალინის სახელობის (მეორე); **26 კომისრის სახელობის** (მესამე) და ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოები.⁶⁰⁷

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის 1935 წლის 25 იანვრის დადგენილების საფუძველზე 26 კომისრის სახელობის და სტალინის სახელობის რაიონული საბჭოების ტერიტორიის ბაზაზე შეიქმნა კიროვის სახელობის (რიგით მეხუთე) რაისაბჭოს აღმასკომი.⁶⁰⁸

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 1 აგვისტოს N321 დადგენილების შესაბამისად დაწესდა ქალაქ თბილისის ახალი მიწა, რეკონსტრუქციის პროექტის შესაბამისად. განისაზღვრა დედაქალაქის ახალი ტერიტორია, რომელიც უკვე არსებულ 4 000 ჰექტარ ფერდობს შემოუერთდა, შემდეგი ახალი ტერიტორიის მიმატებით: ზემო და ქვემო ავჭალა, ღრმა-ლელე, გლდანის პლატო, დილომის ველი, საბურთალო, ქვემო ნავთლული და სხვა და მიღებულ იქნა ქალაქის ტერიტორიად საერთო ფართობით 14.175 ჰექტარამდე. აქვე მოცემულია თბილისის საზღვრის დეტალური წერილობითი აღწერილობა.⁶⁰⁹

1939 წლის 27 ივლისის დადგენილებით კიროვისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონების ბაზაზე შეიქმნა კალინინის სახელობის (მეექვსე) სახელობის აღმასკომი. ამავე დადგენილებით 26 კომისრისა და სტალინის სახელობის რაიონების ტერიტორიათა ბაზაზე მოლოტოვის სახელობის (მეშვიდე) რაიონული საბჭო შეიქმნა.⁶¹⁰

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებს შესაბამისად, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის 1937 წლის 25 ნოემბრის დად-

ტრალური არქივი, ფონდი 25, ანაწერი 2 საქმე 2.

⁶⁰⁷ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 837, ფურცელი 2,3,3; საქმე 942, ფურცელი 68; საქმე 1011, ფურცელი 4-5.

⁶⁰⁸ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1 საქმე 1303, ფურცელი 1-34.

⁶⁰⁹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 1327, ფურცელი 1.

⁶¹⁰ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1 ანაწერი 1 საქმე 1517, ფურცელი 7.

გენილებით სახლთა ტრესტები და „საბინაო კავშირი“ ლიკვიდირებული იქნა და მის საფუძველზე თბილისის საბჭოს აღმასკომთან და რაიონულ აღმასკომებთან შეიქმნა საბინაო სამმართველოები, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თბილისის საბჭოს აღმასკომს, კონკრეტულად კი კომუნალურ განყოფილებას.

ამავე დადგენილების თანახმად შეიქმნა 426 სახლმმართველობაც.⁶¹¹

საქართველოს ცენტრალური კომიტეტმა და საქართველოს მინისტრთა საბჭომ 1955 წლის 11 ოქტომბერს მიიღეს დადგენილება „ბინების აღრიცხვისა და თბილისის მოქალაქეთათვის გადაცემის რეგულირების შესახებ“, აღნიშნული დადგენილების თანახმად მოქალაქეთა ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანა ხდებოდა საქალაქო და რაიონული აღმასკომების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღრიცხვაზე უნდა აეყვანათ მოქალაქე, რომელიც საცხოვრებლად გამოუსადეგარ ფართში ცხოვრობდა; ერთი ოჯახის წევრზე საცხოვრებელი ფართი 4 კვ.მ. არ აღემატებოდა; რომელიც დიდი ხანის მანძილზე ცხოვრობდა თბილისში და მოცემულ დრომდე არ გააჩნდა საცხოვრებელი ფართი.

აღნიშნული დადგენილების თანახმად მოქალაქეს საცხოვრებელ ფართს ქალაქისა და რაიონული აღმასკომები გადასცემდნენ რიგითობის მიხედვით. რიგი განსაზღვრული იყო მოსახლეობის საჭიროებისა და აღრიცხვაზე აყვანით.

საბოლოო დოკუმენტი, რომლის საფუძველზე შეეძლო მოქალაქეს დაეკავებინა ფართი ეს იყო ქალაქის საბჭოს აღმასკომის ბინის მიღების ორდერი.⁶¹²

საქართველოს კომპარტიის თბილისის ბიუროსა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის 1955 წლის 29 ოქტომბერს გადანყვიტეს, რომ აღრიცხვაზე აყვანა უნდა მომხდარიყო, თბილისში პირის მინიმუმ 7 წელი მუდმივად ცხოვრების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ 1930-40 იანი წლებიდან თბილისში მცხოვრებ მოქალაქეთა და უძრავი ქონების კონტროლის მიზნით ქალაქის საბჭოს აღმასკომმა, სახლმმართველობების მეშვეობით მოქალაქეების ჩანერა-ამონერის რეგისტრაცია დაიწყო. საბინაო კომუნალური მეურნეობის სერვისული ცენტრები (სახლმმართველები) დეტალურ ინფორმაციას ფლობდნენ ბინაში მცხოვრები მობინადრეების შესახებ. აღრიცხავდნენ

⁶¹¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 25, ფონდის პირადი საქმე.

⁶¹² საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 3213, ფურცელი 3-4.

ყველანაირ ცვლილებას, სულადობას და სხვა.

ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 25 კვადრატულ მეტრამდე საცხოვრებელი ფართის აღრიცხვაზე აყვანა რაიონულ აღმასკომსაც შეეძლო, ხოლო 25 კვადრატული მეტრის ზევით ფართის განაწილების შესახებ გადანყვეტილებას ქალაქის საბჭოს აღმასკომი იღებდა.⁶¹³

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1960 წლის 12 მარტს მიიღეს დადგენილება „ქალაქ თბილისში საბინაო ფართობის აღრიცხვისა და განაწილების საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. სადაც აღინიშნა ამ მიმართულებით არსებული დიდი ნაკლოვანებები და სერიოზული დარღვევები. აღმასკომები ერთპიროვნულად, თავისი შეხედულებით ანაწილებდნენ საცხოვრებელ ფართობებს. აღნიშნულ დადგენილებას მოყვა „ქალაქ თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია: „ქალაქ თბილისის მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და საბინაო ფართით მათი დაკმაყოფილების შესახებ“.⁶¹⁴

საბინაო ფართის აღრიცხვა, სამშენებლო სამუშაოების წარმოება, საცხოვრებელი ფართის განაწილება ქალაქის აღმასკომის უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა. აღმასკომი ახდენდა დედაქალაქში უბინაოთა აღრიცხვას, სისტემატიურად ახდენდა სტატისტიკის განახლებას, საბინაო ფართის სამართლიანად განაწილების მიზნით ადგენდა პერსპექტიულ გეგმებს, თანამშრომლობდა სამინისტროებთან, ორგანიზაციებთან, რომელთა შუამდგომლობითაც ახდენდა საუნყებო სახლების მშენებლობას. თბილისის უბნებში დღემდე შემორჩა კორპუსებს საუნყებო სახლების სახელები. მაგალითად: „მედიკოსთა“, „მეცნიერებათა აკადემიის“, „არქიტექტორთა“ და სხვა სახლები.

ქალაქის საბჭოს აღმასკომმა 1960 წლის 7 იანვრის N985 გადანყვეტილებით დაამტკიცა ქალაქ თბილისის საზღვრები. გადანყვეტილებაშივე დეტალურად აღწერილია ქალაქის ფარგლები. ამ დროისთვის თბილისის ფართობი შეადგენს 26.070 ჰექტარს, აქედან ქალაქის მიწებია 14.250 ჰექტარი და სამგორის რაიონის მიწებიდან ქალაქს შემოემატა 11.820 ჰექტარი.⁶¹⁵

ქალაქ თბილისის მეშვიდე მონვევის საქალაქო საბჭოს მეათე სესიაზე

⁶¹³ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 3213, ფურცელი 4.

⁶¹⁴ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 7, საქმე 3294, ფურცელი 1.

⁶¹⁵ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1 საქმე 3168, ფურცელი 60.

1960 წლის 15 დეკემბერს დეპუტატები განიხილავდნენ ქალაქ თბილისის განაშენიანების საკითხებს, ამავე საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა ქალაქ თბილისის განაშენიანების პერსპექტიული გეგმა.

1960 წლისთვის დედაქალაქში უკვე აგებულია: ვარაზის ხევი, ვაკე საბურთალოს შემაერთებული გზა, მოსკოვის პროსპექტი, ოქტომბრის ქუჩა, მარჯვენა და მარცხენა სანაპიროები და სხვა, დიდი სამუშაოები ჩატარდა კომუნალური მეურნეობის განვითარების მიმართულებითაც: წყალსადენი, კანალიზაცია, სანიაღვრე კანალიზაცია, გაზმომარაგება და თბომომარაგება. გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1960 წლის 12 მარტს მიიღეს დადგენილება „ქალაქ თბილისში საბინაო ფართობის აღრიცხვისა და განაწილების საქმის გაუმჯობესებათა შესახებ“. საჭიროება დადგა ამ საქმეში არსებული დიდი ნაკლოვანებებისა და სერიოზული დარღვევების ფონზე.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის მთავრობის მიერ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის გამოყოფილ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე აგებული მთელი საბინაო ფართობი გამოეყო საქალაქო საბჭოს აღმასკომს - რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებზე გასანაწილებლად, აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეთა ბინით უზრუნველსაყოფად რიგის მიხედვით. მათი საჭიროების, შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის გათვალისწინებით.

მოქალაქეებზე საცხოვრებელი ფართების განაწილებისათვის საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად რაისაბჭოს აღმასკომებთან შეიქმნა საბინაო კომისიები პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების, წარმოების მონინავე მუშაკების შემადგენლობით, რაიონული საბჭოების აღმასკომები და კომისიები ხელმძღვანელობდნენ თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით „ქალაქ თბილისის მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და საბინაო ფართით მათი დაკმაყოფილების წესის შესახებ“.⁶¹⁶

აქვე ვხვდებით ერთ საინტერესო სტატისტიკას. თბილისის განვითარების გეგმით გათვალისწინებული იყო 1970 წლისთვის მოსახლეობის 700 ათასამდე გაზრდა. თუმცა თბილისის მოსახლეობის ზრდამ 11 წლით გაუსწრო წინასწარ გათვლებს.

ამასთანავე აღმასკომის 1972 წლის დოკუმენტებში ვხვდებით აღმას-

⁶¹⁶ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 7, საქმე 1600, ფურცელი 2-3.

კომის თავჯდომარის შოთა ბუხრაშვილის წერილს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში საბინაო მშენებლობების გეგმების შეუსრულებლობამ საცხოვრებელი ფართობის განაწილების მდგომარეობა მიმდინარე წელს უკიდურესობამდე მიიყვანა. 1972 წელს გეგმით გათვალისწინებულ ექსპლუატაციასი გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის ოდენობა შესაძლებელს ხდის გადაიფაროს მხოლოდ წინა წლებში განაწილებული საცხოვრებელი ფართობი. ამიტომ აღარ რჩება გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართობი, რომელიც უზრუნველყოფდა ზემდგომი ორგანოების დადგენილებების, განკარგულებების და მითითებების შესრულებას.

იგი წერილით ითხოვდა ვალდებულებების გადავადებას.⁶¹⁷

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსი მოხსენებითი ბარათში თბილისის კომუნალური საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტს და ქალაქის საბჭოს აღმასკომს ატყობინებდა, რომ 1971 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით თბილისის საბინაო ფონდი აერთიანებდა 6 589 სახლს საერთო ფართობით 3 588,5 ათასი კვადრატული მეტრი, რომელშიც ბინადრობდა 427 589 ადამიანი. საშუალო საცხოვრებელი ფართი ამ დროისათვის ერთ ადამიანზე შეადგენდა 8,4 კვადრატულ მეტრს.

საბინაო ფონდის მოვლას და ექსპლუატაციას ახორციელებდა 7 რაიონული საბინაო სამმართველო და 77 საბინაო-საექსპლუატაციო კანტონრა.⁶¹⁸

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 23 დეკემბრის N1008 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდა თბილისის ახალი საზღვრები და ქალაქის ფართობმა 34 860 ჰექტარი შეადგინა.⁶¹⁹

სამშენებლო ტემპების დაჩქარების, დროის და სახსრების დაზოგვის მიზნით. სამოციანი წლების დასაწყისიდან თბილისში ფართო გავრცელება მოიპოვა მსხვილბლოკური, კარკასულპანელური და მსხვილპანელური ტიპური სერიების საცხოვრებელი სახლების მშენებლობამ. ტიპური პროექტების უარყოფითი მხარე იყო დაბალი მხატვრული ხარისხი,

⁶¹⁷ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 4607, ფურცელი 1-3.

⁶¹⁸ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 4319, ფურცელი 1.

⁶¹⁹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 4886, ფურცელი 1.

ერთფეროვანი არქიტექტურული სახე და რაც მთავარია მოცულობითი მასშტაბის შეუსაბამობა თბილისის განაშენიანებისთვის. ამ ტიპის შენობების მასიურმა მშენებლობამ თავისი კვალი დაამჩნია დედაქალაქს.

თავდაპირველად დაიწყო 5 სართულიანი, დაბალჭერიანი სახლების მშენებლობა ეგრეთ წოდებული „ხრუშოვკები“, მოგვიანებით „მაღალსართულიანი ქალაქური ტიპის შენობები ეგრეთ წოდებული „ჩიხური“, „მოსკოვის“ და სხვა პროექტებით აგება.

1988 წლის 13 ოქტომბერს ქალაქის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეშვიდე სესიაზე მიიღეს გადაწყვეტილება „2000 წლამდე ქალაქ თბილისის ყველა ოჯახის ცალკე ბინით ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის კომპლექსური პროგრამის დამტკიცების შესახებ“. ქალაქ თბილისის საბჭოს აღმასკომს, მის ტერიტორიულ-დარგთაშორის გაერთიანებას, განყოფილებებს, სამმართველოებს, ტრესტებს, გაერთიანებებს, საპროექტო ორგანიზაციებს, რაიონული საბჭოს აღმასკომებს, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაციებს დაევალიათ - მუშაობის დაგეგმვისას ეხელმძღვანელათ 2000 წლამდე ქალაქ თბილისის ყველა ოჯახის ცალკე ბინით ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის კომპლექსური პროგრამით და ეზრუნათ საშენ მასალათა მრეწველობის ობიექტების მატრიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებაზე.

მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესების და 2000 წლამდე ყველა ოჯახის ბინით ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით დაკმაყოფილების საკითხი სხვადასხვა მიმართულებებით უნდა მოგვარებულიყო:

- თბილისში ახალ მშენებლობათა გაფართოებით;
- ინდივიდუალურ ბინათმშენებლობათა გაფართოებით;
- სამეურნეო წესით საბინაო მშენებლობათა გაფართოებით;

არსებული საბინაო ფონდის შენარჩუნებით, კაპიტალური შეკეთების სამუშაოების გაფართოებით და საბინაო ფონდის ექსპლოატაციის გაუმჯობესებით;

ბინის მიღების აღრიცხვიანობის მონესრიგებით და საბინაო ფონდის განაწილებაში მტკიცე სახელმწიფო წესრიგის დამყარებით;

არსებული საბინაო ფონდის არამიზნობრივი, სხვა დანიშნულებით გამოყენების აკრძალვით;

საბინაო საკითხთა ბუნებრივი რეგულირების პროცესის - ბინების გაცვლის, გაფართოებითა და ამ მხრივ მოსახლეობისათვის ხელსაყრელი

პირობების შექმნით;⁶²⁰

ზემოაღნიშნული პროგრამის ტექსტიდან ირკვევა აგრეთვე, რომ 1988 წლისთვის ქალაქ თბილისის მოსახლეზე საერთო ფართობით საშუალო უზრუნველყოფას 14.0 კვადრატულ მეტრს წარმოადგენდა. 1988 წლის 1 იანვრისთვის ქალაქ თბილისში საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე იმყოფება 60.437 ოჯახი, ანუ 241.710 კაცი (ოჯახობის კოეფიციენტის 4-ზე გათვალისწინებით. მათ შორის დრომოჭმულ და ავარიულ შენობებში ცხოვრობს 17.5 ათასი ოჯახი ანუ 70 ათასი კაცი.

ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფი ოჯახები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან საბინაო პირობების გაუმჯობესებაზე საერთო სიით. არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართობი ან ცხოვრობენ სხვის ბინებში 40.928 ოჯახი;

ოჯახები, რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებიან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში განევრიანებაზე 13.538 ოჯახი;

დიდი სამამულო ომის ინვალიდთა, ომში დაღუპულთა და მონაწილეთა ოჯახები 1.957 ოჯახი;

გმირი დედების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების, ტყუპბავშვებიანი ოჯახების 2.225 ოჯახი;

პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებისა და ავადმყოფთა ოჯახები 1.313 ოჯახი;

პედაგოგების, ახალგაზრდა სპეციალისტების, აგრეთვე ახალდაქორწინებულთა ოჯახები 454 ოჯახი.⁶²¹

8000-იანი წლების ბოლოს მოქალაქეთა მოთხოვნების გათვალისწინებით, პირობების გაუმჯობესების და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის მიზნით რესპუბლიკის მთავრობამ ნება დართო სახელმწიფო და კოოპერატიული მრავალსართულიანი (9 სართულის ჩათვლით) საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებლებს საკუთარი სახსრებით ეწარმოებინათ ლოჯიებისა და სხვა დამხმარე სათავსოების მიშენება-დაშენების სამუშაოები.

მთელს რესპუბლიკაში და განსაკუთრებით ქალაქ თბილისში გაიშალა საცხოვრებელ სახლებზე მიშენების ფართო სამუშაოები. ნებადართულ სამუშაოებთან ერთად ქალაქს მოედო უნებართვო და უპროექტო მშენე-

⁶²⁰ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 5, საქმე 655, ფურცელი 5-21.

⁶²¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 655. ფურცელი 1-9.

ბლობის, პროექტების უხეში დარღვევებით წარმოებული მშენებლობები. ამან გამოიწვია ქალაქის საცხოვრებელი რაიონების არქიტექტურულ ესთეტიკური იერსახის დამახინჯება, შენობათა მდგრადობის შესუსტება, სანიტარულ ჰიგიენური და ეკოლოგიური პირობების გაუარესება.

1991 წლისთვის ქალაქ თბილისში ოფიციალური ნებართვა გაცემული იყო 250 საცხოვრებელ სახლზე. როგორც წესი, მეტწილად, ამ ნაგებობათა მშენებლობას ახლადშექმნილი სამშენებლო კოოპერატივები აწარმოებდნენ, რომლებიც ძირითადად დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით იყვნენ დაკომპლექტებული.

სავალალო შედეგების თავიდან აცილების მიზნით, თუმცა ქალაქს ახსოვს ბახტრიონის ქუჩაზე ლოჯიების ჩამონგრევის შედეგად დატრიალებული ტრაგედია. ქალაქ თბილისის მერიის 1991 წლის დოკუმენტებში დაცულია სპეციალური კომისიის მიერ დადებული დასკვნა, რომლის საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გამკაცრებული მოთხოვნების მიუხედავად ქალაქში, სხვადასხვა უბნებში, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე მიმდინარეობდა არაერთი მშენებლობა: გამოვლინდა დამტკიცებული პროექტის 30-50 % ით მინაშენის ფართების გადაიდების, პროექტის დარღვევით შემცირებული მზიდი ელემენტების კვეთების, ლითონკონსტრუქციების მონტაჟის უკიდურესად დაბალი ხარისხით მუშაობის, მიშენებების მიზნით მწვანე ნარგავების განადგურების, მშენებლობის წარმოება შემთხვევითი პირების მეშვეობით და სხვა მრავალი დარღვევა.⁶²²

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების, სამოქალაქო ომის, ინფლაციის ფონზე ქალაქის მთავრობა უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. 1992 წლის ქალაქის მერ ოთარ ლითანიშვილის სახელზე შესული მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, მიმდინარე წელს ქალაქის მერიას გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ ადრე დაწყებული და მოქალაქეებზე უკვე განაწილებული 45 საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გასაგრძელებლად 93 მილიონი მანეთი. ეს თანხა კი ოდნავადაც არ იყო საკმარისი ხსენებული სახლების მშენებლობის დასამთავრებლად.

გარდა ამისა, საბინაო მშენებლობის მიზნით ცალკე იყო გამოყოფილი 111 მილიონი მანეთი რუსთაველის პროსპექტისა და თავისუფლების მოედნის მომიჯნავედ დამწვარი საცხოვრებელი სახლების აღსადგენად და ახალაშენებული კეთილმონყობილი ბინებით დასაკმაყოფილებლად.

⁶²² საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 7, საქმე 37, ფურცელი 1-8.

თუმცა არც ეს თანხა იყო საკმარისი.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, კოოპერატიული ბინათმშენებლობებისათვის საერთოდ არ იყო გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების ლიმიტი, მაშინ, როდესაც 25 კოოპერატიული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა უკვე დაწყებული იყო და მათ წევრებს რამდენიმე წლით ადრე გადახდილი ჰქონდათ აღნიშნულ მშენებლობათა 40%.⁶²³

ქალაქ თბილისის მერის კონსტანტინე გაბაშვილის 1993 წლის ცნობიდან, რომლითაც სახელმწიფო მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს აწოდებდა ინფორმაციას თბილისში ბინათმშენებლობისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ - ვკითხულობთ: ქალაქ თბილისში ბინათმშენებლობაში შექმნილმა რთულმა მდგომარეობამ კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანა საბინაო პირობების გასაუმჯობესებელი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მდგომარეობა. კომუნალური ბინის მიღების აღრიცხვაზე იყო 40 000 ოჯახი, ხოლო კოოპერატიულზე 18 830. ამასთანავე არსებული ფონდიდან 220 საცხოვრებელი სახლი მწვავე ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო 2 600 სავსებით ამორტიზებული იყო. ამ სახლებში მცხოვრები 14 520 ზე მეტი ოჯახის დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო 900 000 კვადრატული მეტრამდე საცხოვრებელი ფართობი.

ასეულობით საცხოვრებელი სახლი ქალაქში, რომლებსაც უკვე დიდი ხნის გასული ჰქონდა კაპიტალური შეკეთების ვადა, სახსრების უკმარისობის გამო არ იყო შეკეთებული. რის შედეგადაც ავარიული და ამორტიზებული სახლების რაოდენობა სისტემატიურად იზრდებოდა. საბინაო მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა 1992 წლის დეკემბერ იანვრის მოვლენებმა, რის შედეგადაც უბინაოდ დარჩა რუსთაველის გამზირსა და მის მიმდებარედ მცხოვრები 300 ზე მეტი ოჯახი, რომელთა დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო 380 ბინა. მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციისა და ბიუჯეტის დეფიციტურობის გამო საგრძნობლად იკლო საბინაო მშენებლობის მოცულობამ. თუ 1981-1985 წლებში საშუალოდ შენდებოდა 550 000 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები 1985-1990 წლებში 425 000 კვადრატული მეტრი 1992 წელს ექსპლუატაციაში ჩაბარდა მხოლოდ 197 000 კვადრატული მეტრი.

აღსანიშნავია, რომ პერიოდში საბინაო მშენებლობა ძირითადად ხორციელდებოდა ცენტრალიზებული დაფინანსებების ხარჯზე. ხოლო ნაწილობრივ - მოსახლეობის ხარჯებით, საბინაო კოოპერატივების მეშვეობით

⁶²³ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 7, საქმე 111, ფურცელი 1-8.

და შედარებით ნაკლები წილი ინდივიდუალურ მშენებლობებზე მოდიოდა. ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ, საგრძნობლად შეიცვალა ბინათმშენებლობის პოლიტიკა: შემცირდა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა წილი და იგი ძირითადად ხორციელდებოდა მოსახლეობის სახსრებით. განვითარდა ინდივიდუალური, უმთავრესად ამხანაგური, აგრეთვე კოოპერატიული და კომერციული ბინათმშენებლობა.

ქალაქის მერს შექმნილი ბინათმშენებლობის პრობლემების გადასაწყვეტად მიზანშეწონილად მიაჩნდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5 მილიარდი მანეთის შეღავათიანი სესხის გამოყოფა.⁶²⁴

1994 წლის მარტში უკვე ქალაქის მერი ნიკო ლეკიშვილი წერილობით მიმართავდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოთარ ფაცაცას ამ ურთულეს გარდამავალ პერიოდში ქალაქის მომავალი განვითარების და რეკონსტრუქციის ახალი გეგმის შესადგენად 1994 წლის ბიუჯეტიდან 10,0 მილიარდი კუპონის გამოყოფას ითხოვდა.⁶²⁵

დედაქალაქში აგრეთვე აქტუალურ პრობლემად რჩებოდა უკანონო მშენებლობები. 1994 წლის 11 იანვარს ქალაქ თბილისის მერს ნიკო ლეკიშვილს წერილობით მიმართავს ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორი ირაკლი მასხარაშვილი, რომელიც ატყობინებდა ქალაქის მერს ქალაქში განხორციელებული უნებართვო მშენებლობების შესახებ. ქალაქში სავალალო შედეგების აცილების მიზნით ითხოვდა კონტროლის გამკაცრებას.⁶²⁶

ქალაქ თბილისის მერიის დოკუმენტებში დაცულია 1997 წლის ინფორმაცია „ქალაქის საბინაო ფონდში არსებული მდგომარეობის შესახებ. რომლის საფუძველზე ირკვევა, რომ ქალაქ თბილისის საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევებითა და კომპეტენტური კომისიების დასკვნების საფუძველზე დადგენილია, რომ ადგილობრივი მმართველობის ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი სახლებიდან, მეტი წილი დრომოჭმულია, ავარიულია და აღდგენას არ ექვემდებარება.

ათეული წლების განმავლობაში დაპროექტებასა და მშენებლობაში დაშვებული წუნის, წყალგამტარი კომუნიკაციების ჟონვის, ექსპლუატაციაში დაშვებული ხარვეზების გამო ვადაზე ადრე დაზიანდა და ავარიულობის სხვადასხვა სტადიაშია 1133 საცხოვრებელი სახლი, საერთო ფართო-

⁶²⁴ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 7, საქმე 188, ფურცელი 2-3.

⁶²⁵ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 7, საქმე 247, ფურცელი 1-3.

⁶²⁶ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 7, საქმე 247, ფურცელი 1.

ბით 1.1 მილიონი კვადრატული მეტრი. 19.614 ოჯახი. ეს საცხოვრებელი სახლები იმდენად ავარიულია, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია უეცარი ჩამოქცევა და ადამიანთა მსხვერპლი. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ მწვავე ავარიულ მდგომარეობაში მყოფ სახლებს შორის მალლივი კორპუსებიც იყო.

აღსანიშნავია, რომ 1992 დან 1997 წლამდე აღრიცხულია საცხოვრებელი სახლის უეცარი ჩამოქცევის 8 შემთხვევა, რომელთა შედეგად დაიღუპა 2 ადამიანი. მოცემული დროისათვის კი რისკის ფაქტორი ბევრად გაზრდილი იყო.⁶²⁷

სამეცნიერო ნაშრომი „საბინაო კრიზისი და ბინათმშენებლობის საკითხები XX საუკუნის თბილისში“ იძლევა პასუხებს დედაქალაქის დღევანდელი ყოფის და იერსახის შესახებ. დედაქალაქის მიერ მემკვიდრეობით მიღებული პრობლემები დღესაც აქტუალურია და მათი გადაჭრის გზები მოსაძებნი. წინდახედულ ხედვას და ფუნდამენტალურ ცვლილებებს კი საფუძვლად ისტორიის და წარსული გამოცდილების ანალიზი უდევს საფუძვლად.

⁶²⁷ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 576, ფურცელი 3-4.

Maka Kvaratskhelia

Doctor of History

Housing Crisis and Issues of Public Housing in XX century Tbilisi

Housing Crisis and Public Housing were the crucial and actual issues in XX century Tbilisi. Public Housing in Georgian cities has an exciting and inspiring history. Studying the history of public housing based on the example of Tbilisi gives us a clear picture of the political, economic, and social processes going on in the country.

Depending on the ongoing global processes in the country, the housing policy in Tbilisi changed several times in the XX century. The Democratic Republic of Georgia, despite its efforts and taken measures, failed to overcome the housing crisis created at the beginning of the XX century amid the accompanying economic crisis, the global crisis, and inflation. With the establishment of the Soviet government, housing policy changed dramatically - repressions of the population, confiscation of their property, and property municipalization began. In the first stage, the government solved the problem by compactly accommodating citizens in the houses owned by the fled, repressed landlords. These led to the deterioration of the appearance of capital buildings, useless additions to buildings, illegal constructions in well-maintained yards, and more. This period is associated with the emergence of such concepts in Tbilisi as the Italian yard, communal apartments, so-called «Astupnik» and others. From 1930-40, to control the citizens and real estate in Tbilisi, the Executive Committee of the City Council started the registration of citizens through the households. Later, the housing policy of the Soviet government changed, and the construction boom began in the city: the population was given apartments according to specific lists from the state services. The improvement of peripheral districts resulted in the expansion of the city. However, this process slowed down in the 1960s, when the Soviet government could no longer cope with the undertaken construction and consequently could not meet the growing demand for housing among the population. From this time onward, cooperative housing was established, which built residential buildings, partly with the self-financing of the government, and partly with institutions or citizens (membership fees). After the restoration of Georgia's state independence

in the 1990s, when the country faced new problems, construction was paused due to war, inflation, and an extreme socio-economic crisis. The buildings constructed during this period left a rough mark on the city's appearance. Later, the practice of building new homes on a community basis continued. While working on the topic, the growth of the city cannot be ignored, as well as the establishment of new districts, and the changes in neighborhoods. This chronology gives us a unified picture of the history of growth and development of the capital of the XX century.

Despite the interesting and diverse historical facts, the issues of the housing crisis and housing in Tbilisi in the twentieth century have not been studied on a scholarly level. This topic will be of interest to researchers interested in history, as well as to those whose families/ancestors were affected by the housing policy implemented in the country.

The theme is mainly based on the documents kept in the National Archives of Georgia, namely: the archives of the Council of Ministers of the USSR, the Executive Committee of the Tbilisi City Council, the Tbilisi Municipal Communal Service, the Urban Planning Service, the Tbilisi City Council Housing Department, and other funds. The study provides a realistic picture of the causes of the housing crisis, while the analysis of government attitudes provides answers to the real goals of governments, attitudes to problems, and vision for future development. The scholarly paper **«Housing Crisis and Issues of Public Housing in XX century Tbilisi»** provides answers about the current life and appearance of the capital. The problems inherited by the capital are still relevant today, and ways to solve them are to be sought. The Foresight and fundamental change are based on the analysis of history and experience.

ლიტერატურათმცოდნეობა

ავთანდილ არაბული

აკადემიკოსი

ბრიგოლ რობაქიძე და ვაჟას სამყარო

საკვანძო სიტყვები: გრიგოლ რობაქიძე, ვაჟა ფშაველა, ფშავე-ხევსურეთი, მწერალი.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ისტორიისაგან დავიწყებული საქართველოს მთიანეთი ეროვნული მწერლობისა და მეცნიერების ინტერესის ფოკუსში მოექცა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ამ ახალ რეალობასთან ქართველი მწერლების ზიარება. მათ შორის, სრულიად აშკარაა, რომ გრიგოლ რობაქიძე ფხოვერდ სამყაროსთან - საქართველოს ისტორიის ამ ერთგვარ ოაზისთან თუ ნაკრძალთან - ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით მივიდა. მან ვაჟას პოეტურ მემკვიდრეობაში შეიცნო ეროვნული ცნობიერების, მსოფლალქმის ის დვრიტა, რომელსაც წარუვალა, ზედროული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით გრ. რობაქიძემ გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ თანამემამულეებს არსებითად „დაუბრუნა“ ვაჟა-ფშაველა. როგორც ცნობილია, ქართული პოეზიის გამორჩეულმა რეფორმატორებმა, ცისფერყანწილებმა, რომელნიც არაერთ ტრადიციულ ფასეულობაზე ამბობდნენ უარს, სწორედ ვაჟა-ფშაველა აზიდეს ფარზე. ხოლო მათ შორის მაინც და მაინც გამოიჩინა გრიგოლ რობაქიძე - როგორც ვაჟას შემოქმედების უპირობო ქომაგი, ჩარგლელი გენიოსის მითოლოგიურ ხილვათა პირველი ამომხსნელი...

ამჯერად კი შევეხებით იმ საკითხს, თუ რამდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა ვაჟას სამყაროსთან ზიარება თავად გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის.

მწერლის ერთ-ერთი უადრესი მასშტაბური ნაწარმოები - „ლამარა“ - სწორედ ვაჟას შემოქმედების სიღრმისეული გაათავისებების შედეგად შეიქმნა. თავად გრიგოლ რობაქიძე ერთგვარი შემოქმედებითი ექსტაზით

გვამცნობს ამ შთაგონების დეტალებს: -„ლამარა“ აბსოლუტური ინსპირაციის ნაყოფიაო.⁶²⁸

აი, როგორ ქცეულა „გველისმჭამელის“ სასცენო ვერსიად გარდაქმნის ჩანაფიქრი დამოუკიდებელ დრამატულ ნაწარმოებად:

მწერალი დეტალურად ჰყვება, თუ როგორ ცდილობდა შთაგონებინა გენიალური რეჟისორისათვის, მარჯანიშვილისათვის „გველისმჭამელის“ „გასცენიურება“:⁶²⁹

„ერთს მწიფე ნაშუადღევს ვაჟაზე ჩამოვუგდე სიტყვა. ვამცნე, თუ რა დიდ მგოსნად მოჩვენებოდა იგი ილიას, ვუამბე აგრეთვე, თუ როგორ გადმოვშალე მე სიდიდე ვაჟასი. გაინაბა გულხმიერებით. შემდგომ ჩავანვეთე: რა იქნებოდა, ვაჟას პოემა „გველის-მჭამელი“ განსცენიურდეს-მეთქი! (მკითხველისათვის: განსცენიურება აქ ამას გულისხმობდა: წარმოითქმოდა ამბის მოყოლა, დიალოგებში კი მსახიობნი გამოვიდოდენ). განაბული, ახლა აღვივდა. ორიოდე დღის შემდგომ ნავუკითხე პოემა. ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. პაუზა. „იცი რა გითხრაა?“ (დაახლოებულთან მიმართებაში ხანდახან „შენ-ობა-ზე გადადიოდა). „ეს რა გამოვა! რა იქნება. შენ თვითონ გაშალო ეს მითიური გადმოცემა დრამად, ჰა?!“ - თქვა და მომაფრქვია ციალი თვალი. „ვნახოთ“ მივუგე სპონტანურ, არ დაფიქრებით“.

რეჟისორის მიერ მიცემული შემოქმედებითი იმპულსი⁶³⁰ მართლაც მთლიანად გამსჭვალავს მწერალს, იმდენად, რომ სამ დღეში „ლამარა შთამესახაო“, - აღიარებს იგი.

ასევე სწრაფად დაწერილა ეს დრამა: როცა სხვა ნაწარმოებების ჩანაფიქრს წლობით ვატარებდი (მაგალითად, „გველის პერანგი“ 1917 წელს „შთასახვია“, მაგრამ დაუწერია 1925 წელს), „ლამარას“ დასაწერად თვე-ნახევარში კალამს მოვკიდე ხელიო.

რაკი ვაჟა-ფშაველას პოემასთან კავშირი ესოდენ ხელშესახები

⁶²⁸ ამ ინსპირაციის ადრეულ მინიშნებად შეიძლება დავინახოთ ორი რეპლიკა გრ. რობაქიძის გამოსვლიდან ვაჟას სახელდახელო საიუბილეო შეკრებაზე 1915 წელს, - „გველისმჭამელის“ იდეას შესაფერისი ფორმა სჭირდებოდაო!

⁶²⁹ გ. რობაქიძე, ლამარა (მოკლე ბიოგრაფია), ჟენევა, 1956. კედევ ერთ საბედისწერო ფსიქოლოგიურ ბიძგს აღნიშნავს ავტორი ამ წერილში. ეს არის 1924 წლის შეთქმულების მარცხი. საპასუხო შემოქმედებით აღტყინებას ამგვარად ხსნის მწერალი: „შესაძლოა წამებულმა ქართველმა ისეთი სიმძაფრით გაიღვიძა ჩემში, რომ ქვეშეცნეულ მოვიდნომა: „ლამარა“ უმაღლვე მიმეხალა მტარვალთა მიმართ ვითარ ტრაგიული მარჯი დამარცხებულთა“.

⁶³⁰ თუ რამდენად შთამაგონებელი იყო რეჟისორის პიროვნება მწერლისათვის, ამის ერთ საგულისხმო მინიშნებასაც გვაძლევს იგი: გერმანულ რომანში „გრაალის მცველნი“ იგი (რეჟისორი) გამოყვანილია „მარჯანი“ სახელით.

იყო, გრიგოლ რობაქიძეს მიზნად დაუსახავს, თავადვე ნათელი გახადოს, თუ რა აკავშირებს და რა განასხვავებს „ლამარას“ ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელისაგან“.

მწერალმა ამ თვალსაზრისითაც თითქოს ვაჟას როლი მოირგო: როგორც ვაჟას უწევდა ეჭვიან თანამედროვეთათვის ლამის დეტალებით აეხსნა, თუ როგორ საზრდოობდა მისი პოეტური შემოქმედება ხალხური წყაროებით და რამდენად იცვლიდა სახეს ეს ნედლი მასალა პოეტის შემოქმედებით „ქურაში“, ამჯერად რობაქიძეს უწევს გამოწვლილვით ახსნას მსგავსება და განსხვავება „ლამარასა“ და „გველისმჭამელს“ შორის.

თანაც, ამას მწერალი არაერთგზის უბრუნდება. იგი „ვაჟას ენგადში“ წერდა: „გველისმჭამელი“ სხვაა და „ლამარა“ კიდევ სხვა - მაგრამ თაური ორივესი ერთია. ესაა - მწვერვალი ქართველი ხალხის ზეპიროვნული შემოქმედებისა: მინდია: არსი, რომელშიც მთლიან სახიერდება ორმაგი უნივერსალური იდეა: „სიყვარული შეიქმნს შემეცნებას“ (მოციქული პავლე), შემეცნება შეიქმნს სიყვარულს (ლეონარდო და ვინჩი). სწორედ ამ მითიურმა არსმა მოითხოვა „ლამარასი“ და „გველისმჭამელის“ ერთიმეორისადმი ამომწურავი შეპირისპირება“.

„ლამარას“ ავტორი მითითებულ წერილში მართლაც სრულ სიუჟეტურ შეპირისპირებას გვიხატავს. ჯერ „გველისმჭამელის“ ქარგას გაშლის, შემდეგ „ლამარასას“ და დაასკვნის:

„ხედავთ „გველის-მჭამელითგან“ „ლამარაში“ არა დარჩენილა რა, გარდა მითიური თქმულების შუაგულისა, ისიც გარდაქმნილის: იქ დაცოლმვილება, აქ ტრფობა – იქ თავმოკვლა, აქ თავშენირვა“.

მეტიც, მწერალი განსაკუთრებულ „გაბედავად“ წარმოგვიდგენს თავის დრამაში გველისმჭამელის (მინდიას) გვერდით თავად ვაჟას გმირად შემოყვანას, რაკი „ვაჟა მითიურ სივრცეში იყო მოქცეული: მითოსი მისთვის დედიშობილა იყო“.

ამგვარად, ხალხურმა მითმა ხოგაის მინდის შესახებ დასაბამი მისცა ვაჟას ფილოსოფიურ პოემას „გველისმჭამელი“. ამ უკანასკნელის „გაცენიურების“ ინსპირაციით იშვა გრ. რობაქიძის „ლამარა“, თუმცა, როგორც თავად ავტორი განმარტავს, „თაურის“ გათვალისწინებით...

უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით „ხოგაის მინდის“ არხოტული მითიდან უფრო უშუალოდ მომდინარეობს კ. გამსახურდიას „ხოგაის მინდია“.

შესაბამისად, მითის ვაჟასეული ხედვა და მისი მხატვრული ხორც-შესხმა, მათ შორის, სრულიად განსაკუთრებულია.

გვერდი რომ ავუაროთ „გველისმჭამელის“ ფაბულის რობაქიძისეულ

განშლას, უთუოდ საინტერესოა, როგორ წარმოადგენს ავტორი იმ შემოქმედებით სქემას, რომლის საფუძველზეც „ლამარას“ შეესხა ხორცი:

„მინდია ხვდება ერთს ხრამთან ლამარას, ქისტეთის ერთ ლამაზ ქალაის. ვაჟი იხიბლება. ქალაის გულსაც ხიბლი იფლობს. მოკლე გასაუბრება. ჩემად გთვლიდე – ეუბნება ვაჟი. მთვლიდე, თუ შესძლებ ჩემს მოტაცებას – მიუგებს ლამაზი მაცდური ღიმილით და გავარდება. მოიტაცებს ლამარას თორღვაი, ძმა მინდიასი, არა დედით. ძმები გვანან ერთი-მეორეს ვითარ ორეულნი. ლამარას ჰგონია, მინდიამ მოიტაცა. ერკვევა, იმღვრევა. მოსწონს კი ორივე. მინდია გულია, თორღვაი მკლავი, თორღვაი გმირია, მინდია მისანი. გაორება ენვეთება მოტაცებულს. მინდია მალული ტრფობით არის აყვანილი: იტანჯება. თორღვაი ამჩნევს ამას: იღრინება. ქისტები თავს ესხმიან ხევსურებს შურისგებისათვის, ხევსურნი მაგრად ხვდებიან თავდაცვით. ორ ტომთა შორის უფსკრული ითხრება. ლამარა ხედავს: მოტაცებულის კვალი არ ამოიშლება მის ტომში: მწუხარება. მოჰკლეს თორღვაის მეგობარი ლეგაი: თორღვაი ხელდება. მინდიას ტრფიალი თანდათან „მენ“-ის ზუმელში კერძოვდება. მისანს ერთმევა თანდათან მისნური ძალა. მის ტანჯვას ამით სხვა ტანჯვაც ემატება. შეხლა-შემოხლა ორ ტომთა მატულობს. თორღვაის შემოაკვდება ლამარას ძმა: მურთაზ. ლამარას არ რჩება ამ სოფლად აღარაფერი: ავად ხდება. მურთაზის მოკვლით თორღვაი ლამარას ჰკარგავს: განადირებული ველად იჭრება. ახლა ლამარას მამა ემზადება ხევსურების ამოსაყლელად: იჩო, დიდი იჩო, რისხვააყვანილი. მინდია ხედავს: ხევსურები ცდილობენ დაასწრონ იჩოს შემოვარდნას. საშველი აღარაა. „არა, დარჩა კიდევ ერთი“: ესმის მისანს შინაგანი ხმა. მინდია გაეშურება ქისტეთისაკენ. გამოცხადდება იჩოს წინ: ვითარ თორღვაი. იჩო მზადაა მოჰკლას იგი: ლამარას მომტაცებელი, მურთაზის მკვლეელი. მინდია თავს არ იცავს. იჩო გაცეცხულია. თუ როგორ თავდება დრამა – ეს მოვიტოვოთ“.

შემდეგ მოვლენები ასე ვითარდება:

იჩო მინდიას არ კლავს, რაკი მასში ვაჟკაცს შეიცნობს – „შვილის ნაცვლად გთვლიდე ამიერ“ (ასეთი ამბავი მართლაც მიამბო 1918 წელს ხალილ-ბეგ მუსაისულმანო). ამ დროს მოვა მაცნე, რომ ხევსურების ლაშქარი მოემართება თორღვას წინამძღოლობით. ისევ შეკრავენ მინდიას. იგი აღიარებს, რომ თავს წირავდა თორღვას მაგიერ, რათა ლამარა გადარჩენილიყო. იჩო კიდევ უფრო აღფრთოვანდება და ათავისუფლებს მინდიას. ამ დროს ხევსურებიც მოდიან. მოჰყავთ ლამარა. იგი მოიხმობს რაიბულს მამასთან და ავალებს ხელი ხელს მისცენ. შუილი მთავრდება ორ ტომს შორის. ამის აღსრულების შემდეგ ლამარა სულს განუტევენს. ორივე მხ-

არის გმირები ერთად ასწევენ მას და განსასვენებელში მიჰყავთ მაღლა აზიდული – გალობით: ლამარა, ლამარა!

ასეთია, მოკლედ, ავტორისეული მონახაზი დრამის ფაბულისა.

„ლამარას“ ენობრივი ქსოვილი, შეიძლება ითქვას, ერთგვარად ასახავს ვაჟას შემოქმედებით დამოკიდებულებას, მაგრამ, დიდი პოეტისაგან განსხვავებით, გრ. რობაქიძის დრამის ენა უფრო ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს, არქაიზებულ-დიალექტიზებულია. თავად მწერალი 1931 წლის ინტერვიუში ამბობდა: „ლამარა“... ხევსურულ დიალექტზე მაქვს დანერილიო. 1954 წლის წერილში ამის ახსნას უფრო დიდ ადგილს უთმობს:

„ლამარას“ სიტყვიერ განშლისათვის მოვიმარჯვე ფშავ-ხევსურული ფშანი ქართულისა, რომლითაც გამართულია ყოველი შაირი თუ პოემა ვაჟასი. გამოსათქმელს აქ მისი შესაფერი სიტყვა უნდა ჰგუებოდა. ფშანი იგი არაა დიალექტი, ამ ცნების ჩვეული გაგებით: იგი ბარშიაც გასაგებია. პროვინციალიზმია? არა. (მოვალედ ვრაცხ თავს აღვნიშნო, რომ ეს არა-პროვინციალურობა ფშავ-ხევსურულისა პირველად ინგოროყვამ შეამჩნია 1917 წელს, ჩემთან გასაუბრებისას ერთხელ)...“

იგი აუცილებლად მიიჩნევს უფრო მეტად გაშალოს ეს თემა და, დიალექტის არქაული თავისებურებების გარდა, სრულიად ორიგინალურად შემოაქვს დიალექტურ თავისებურებათა სტილისტიკური დატვირთვის საკითხი. აუცილებელია აქ უფრო ვრცელი მონაკვეთი მოვიხმოთ:

„პავლემ თქვა: ფშავ-ხევსურული არქაული ქართულიაო. მე ვიტყვი: ერთ-ერთი ძველთაძველი ფეხი ქართულისა, მიუვალ მთებში გადარჩენილი და დღემდე ცოცხალი). ადვილია პროვინციალიზმის დანახვა: იგი სიცილს ინვევს ყოველთვის. ინვევს სიცილს ფშავ-ხევსურული? კითხვაც შეურაცხება იქნებოდა აქ. იტყვის იმერელი: „ნეიმასქენი, ბოშო, პეტერეი!“ გესმით, გეცინებათ. აბა ათქმევინეთ ესევე ხევსურს: „ჰქმენ საქმე იგი, იყოს ცოტაიც!“ გესმით, შუაგულში გხვდებათ. გაუგებრობას ამ საკითხში თვით აკაკიც კი წამოეგო: დიდი მცოდნე ქართულისა. (სხვათა შორის, მეცხრამეტე საუკუნის მწერლებში ყველაზე უფრო ღრმა მცოდნე საღმრთო წერილისა. დააკვირდით ამას „აქ“). „ენას გინუნებ, ფშაველო“ – ასე მიმართავს იგი ვაჟას ერთს შაირში. თანვე უმატებს: „თუმც კი გვითესავ მარგალიტს“. ვაჟა პასუხს აძლევს მორიდებით, შაირითვე: „და ენა მთისა სიმტკიცით მზგავსია კლდისა სალისა“. ხევსურული ფშანი ქართულისა მართლაც სალი კლდისაგან იკვეთება. დაუგდეთ ყური ვაჟას: „იმით წყალს დაუბანია თამარის ტურფა თვალნია“. „იმედს ნუ დამინიავებ“. „კლდის თავს გაშლილი პირიმზე“. „ჩემს ცრემლს უბეში ინახავ, ვიცი, სამშობლო მთვარეო“. განზე დავტოვოთ აქ სახენი თვალწარმ-

ტაცნი – სიტყვისა, თქმის კვეთილობა გვაჯადოებს თვითონ. კვეცილი ფორმა ამ ფშანისა მკვეთრია ძირამდე. თანვე იგი ელლიპსით იმართება, ესე იგი: ართქმულით, გარნა ნაგულისხმევით. საერთოდ ქართული სინტაქსის საიდუმლო ელლიპსია – ამით გამოირჩევა იგი სინტაქსისაგან რომელიმე სხვა ენისა. ერთი მხარე აქვს კიდევ ხევსურულს, რაიც მას ასხვავებს ლიტერატურულ ქართულისაგან: იქ უბრალო თქმა, ელლიპსით გამოთქმული არ გამოდის როგორც „ყოველდღიური“. ერთი სცენა „ლამარას“ მესამე კამარაში. თორღვაი იღრინება და მზადაა შეუტოს ძმას: მინდიას: რაიბულ, მამ, ერთი მოკვეთილი შერისხვით აჩერებს მას. (მესამე კამარა შაირითაა გამართული). აი ამ მოქმევით:

„ჯერ არ მიხილავ ცდუნება
ჩემი დაშნა და ფარისა –
სახელ მიქვიან რაიბულ
მინდოდაურის გვარისა!“

მეტი დამაჯერებლობისათვის მწერალი ერთგვარ სტილისტიკურ (შესაძლო) პარალელიზმს მიმართავს:

„წარმოვიდგინოთ: ვინმე რისხავს სცენაზე თავისს შვილს ამავე სიტყვებით, ხოლო ჩვეული ქართულით, აი ასე: „მე მქვია სახელად რაიბულ და გვარი ჩემი არის მინდოდაური“. ნაძლევს ვდებ, თუ რომელიმე მსმენელმა წამსვე არ მოახალოს მრისხავს: „მერე რა!“ თუ მიმხალელები იმერელია, „ბოშოსაც“ მიაყოლებს თან და მთელი რისხვა პამპულაის ქაჩვად გადაიქცევა. იქ კი უბრალო თქმა იგი ლახვარია თვითონ. ხედავთ დევკაცს, შემმართებელს“.

გრიგოლ რობაქიძე აქ საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს თავისი შემოქმედების ზოგადი სტილისტიკური ხასიათი:

„ვიეთნს შეუმჩნევიათ, რომ აღნაგი ჩემს შემოქმედებაში მუსიკალური პრინციპითაა გამოყვანილი. ქართველთა შორის აღნიშნა ეს აქ, უცხოეთში, მიხვილ წერეთელმა, იქ საქართველოში, ვუკოლ ბერიძემ“.

და ეს დამოკიდებულება ვ. ბერიძეს „ლამარას“ კითხვის დროს გამოუხატავს:

„პირველად ვუკოლს ნაგუკითხე „ლამარა“, როგორც მცოდნეს ხევსურულისა: მნადდა არ შემპარებოდა რაიმე აბრუნდი. ყოველი კამარის დათაგების შემდგომ სიტყვა მისი ეს იყო: „სიმფონიაა, სიმფონია!“

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ის, რომ ვუკოლ ბერიძე ხევსურულის ექსპერტად არის წარმოჩენილი. ამიტომაც ბუნებრივად იბადება კითხვა:

მართალია, წერილის დაწერის დროისათვის აკ. შანიძის „ხევსურული პოეზია“, რომელიც 1931 წელს გამოიცა, ჯერ კიდევ ვერ ექნებოდა მწერ-

აღს ხელთ, მაგრამ „ლამარას“ შექმნის დროს (1924) აკ. შანიძის რამდენიმე ნაშრომი ფხოვეური კილოების შესახებ უკვე კარგად იყო ცნობილი: 1915 წელს გამოქვეყნდა მისი „ქართული კილოები მთაში“ (პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა შრომები); 1922 წელს – ვაჟა-ფშაველას თხზულებათა I ტომი, რომლის ლექსიკონი აკ. შანიძეს ეკუთვნის; ხოლო 1923-24 წელს „საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეულში“ გამოქვეყნდა ბესარიონ გაბურის ხევსურული მასალები აკაკი შანიძის რედაქციით.

ეს კითხვა იბადება იმდენად, რამდენადაც „ლამარაში“ (და – სხვაგანაც) ხელშესახებია ის, რომ ავტორი საკმარისად არის ნაზიარები ფშავესურულ პოეზიას და ეს ზემომოყვანილი მისეული შეფასებებიდანაც კარგად ჩანს. ასევე, ფოლკლორთან მწერლის თანაზიარობას ადასტურებს ნაწარმოების ისეთი ფრაგმენტები, როგორიცაა „კაი ყმის“ ხალხური ვერსიის ციტატა: „ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა...“; მწყემსი ბიჭის სიმღერა („აი მთაზედა – თოვლიანზედა...“). „დაი, დაი! შვილო დაი!“ („ნანინა“)...

გარკვეულ შემთხვევებში ავტორი თვითონ ქმნის ხალხურის იმიტაციით სალექსო ფრაზებს; მაგალითად, ასეთია მისი „სმური შაირით გამარული“:

თუ რო ტყუილ ვთქო, ვირისხო:
ბარმა მიმიღოს, მთამ არა.
ალი ვნახოდი წითლაზე,
მარტო პერანგის ამარა.
ვაქებ თორღვას მკლავებსა,
მაუტაცია ლამარა!

როგორც ხალხური ლექსის მიბაძვით შექმნილი ამ მაგალითით ვხედავთ, ავტორი გამიზნულად მიმართავს ცალკეულ დიალექტიზმებს: სახელთა ბრუნვის ფორმებს (ტყუილ, თორღვას), ზმნურ წარმოებებს (ვთქო, ვნახოდი, მაუტაცია...).

საზოგადოდ, ნაწარმოების („ლამარას“) მხატვრული ქსოვილი ენობრივად ეკლექტიურია; ეს გამოიხატება იმაში, რომ:

- ა) დიალექტიზმების გამოყენება არასისტემურია და არათანმიმდევრული;
- ბ) გვხვდება სხვადასხვა დიალექტურ მონაცემთა შერევა;
- გ) გვხვდება აშკარა არქაიზმები დიალექტიზმთა გვერდით;
- დ) ეს დიალექტური მასალა „მიენერება“ არა მხოლოდ ხევსურულ პერსონაჟებს, არამედ ქისტებსაც.

ცხადია, ხევსურეთის თემების მოსაზღვრე ქისტებმა პირველ რიგში ხევსურული ქართული იცოდნენ, მაგრამ აქ, უეჭველია, ეს შესაძლებლობა

არ იგულისხმება. აღნიშნულს გვიდასტურებს რამდენიმე ფრაგმენტის ანალიზი:

- ჩემად გთვლიდე! (მინდია)
- შენი ვიქნე, მომიტაცებდე! (ლამარა)
- გაჰქრი აქეთგან! (ლამარა - თორღვას)
- ჩემი იქნე, ლამარა! (თორღვა)

ამ დიალოგებში გამოყენებული კავშირებითი ფორმები (მყოფადის შინაარსით) ძველი ქართულის სპეციფიკაა და არა - დიალექტის, მაგრამ იგივე ფორმები ბრძანებითობის შინაარსით შეიძლება დიალექტის კუთვნილება იყოს.

„როცა მე ვიბადებოდ, მზე სისხლიან იყო“, - ამბობს თორღვა და ფორმები „ვიბადებოდ“, „სისხლიან“ ხევსურული მეტყველების სპეციფიკას ასახავს, მაგრამ, სამაგიეროდ, დიალექტური არ არის „როცა“ და „იყო“.

- თვალს რულ არ ეფინების... - შევხვდებით სხოგან! - ამ დიალექტურ ფორმებს ქისტი მურთაზი წარმოთქვამს. ასევე ქისტები ამბობენ წმინდა ხევსურულს: - არ ვიც.

სამაგიეროდ, იჩოს მიერ წარმოთქმულ შემდეგ ამალღებულ სიტყვებში დიალექტური სპეციფიკა ნაკლებ საგრძნობია:

- როს ხმალი უნდა დამექნია შენდა განსაკვეთად, შენს სახეზე ერთი კუთიც არ შერხეულა! ვაჟკაც ყოფილხარ! წამოდექ! შვილის ნაცვლად გთვლიდე ამიერ.

მინდია წარმოთქვამს ფრაზებს:

- ვარსკვლავ უნდო გახდის... ყოილ დაჩუმდის... ბალახ არას მეტყოდის...

მინდიას დიალოგი ბიჭებთან:

მინდია: - კალოზე ვინევ. სიცხეში... მზეს დავესიცხე. იცის გახელება. | ბიჭი: განა მზეც გახელდების?

მინდია: ჰაი-ჰაი რომ გახელდების.

|| ბიჭი: მერე?! მინდიაუ!

მინდია: ყურიდან სისხლ წამსდენოდა. გამომეღვიძა. დათენთილ ვიყავ. ლამარას უკანასკნელი სიტყვები: „ძილ... სიზმარ... სიყორულ...“

ვაჟას - როგორც პერსონაჟის - მიერ მალოობიდან წარმოთქმული მონოდება აშკარად ხელოვნურად არის არქაიზებული:

„ფშავ, ხევსურ, თუშ, კახ, ქართ, იმერ, მეგრ, სვან - შვილნია საქართველოსი! მარჯი საქართველოს!“

როცა მურთაზი მუქარით ეტყვის: - შევხვდებით სხოგან! თორღვა მიუგებს: - იქნების!

ეს ფორმა ნიშნავს: „შეიძლება (შევხვდეთ)“. ის ამ შინაარსით არ არის დიალექტის კუთვნილება და მის ასახსნელად ალბათ უნდა გაგვახსენდეს „მგზავრის წერილების“ ის ფრაგმენტი, რომელშიც ლელთ ლუნია ამ სიტყვას წარმოთქვამს მაშინ, როდესაც ეჭვი ეპარება მგზავრის (ილიას) ქართველობაში:

– თუმცა მე რუსული [ტანსაცემელი] მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ, – ეუბნება ილია.

– იქნების. – უპასუხებს ეჭვით მოხევე.

უნდა ვიფიქროთ, რომ რობაქიძესთან ილიას მიერ შექმნილი ამ გამონათქვამის პირდაპირ გამოძახილს ვხვდებით.

თავად ავტორი იტყვის, რომ მისი ნაწარმოების შექმნამდე სახელი „ლამარა“ საქართველოში არ არსებობდა, შემდეგ კი ძალზე პოპულარული გახდა. ამ სახელის შინაგან წყაროსაც ასახელებს:

„საითგან მოდის ეს სახელი? მოვიგონოთ ერთი წარმართი ღმერთქალი, ცნობილი სახელით „ლაგამარ“ – გავიხსენოთ „ლამარია“⁶³¹, სახელი სვანთა ერთი პატარა სალოცავისა“.

მწერლის ნებით, – ლამარა მინდიას მისტიკური ს ნ ო რ ფ ე რ ი ა.

ხოლო სწორფრობის მისტიკას ქართველ კალმოსანთაგან ისეთი სიღრმით არავინ ზიარებია, როგორც გრიგოლ რობაქიძე.

მწერალმა ამ თემას მიუძღვნა არცთუ დიდი მოცულობის, მაგრამ შინაარსობრივი სიღრმით გამორჩეული ნაწარმოები „ენგადი“ (გერმანული ვერსიით – „მაგიური წყაროები“). აღიარებულია, რომ ეს მოთხრობა მწერლისეულ ფილოსოფიას სრულიად ორიგინალური ასპექტით წარმოგვიდგენს. რაც მთავარია, გრიგოლ რობაქიძე ერთ-ერთი უპირატესია მათ შორის, ვინც ჩასწვდა ამ კუთხის წეს-ჩვეულებათა ნამდვილ შინაარსს და მოახერხა „მეს“ სრული სულიერი გარდასახვა განსხვავებულ დროსა და სივრცეში არსებულ „სხვაში“.

ნათქვამი განსაკუთრებულად შეეხება ისტორიული ფხოვის ერთ-ერთ ფაქტობრივად ამოუხსნელ ინსტიტუტს – ს ნ ო რ ფ ე რ ო ბ ა ს.

1908-1909 წლებში გრიგოლ რობაქიძემ – მაშინ სრულიად ახალგაზრდა მოაზროვნემ – წაიკითხა საჯარო ლექციების ციკლი, რომელმაც დიდი გამოხმაურება პოვა იმდროინდელ საზოგადოებაში. ამ ლექციებიდან ერთ-ერთი, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტი კრიტიკა შეხვდა, ენებოდა სქესისა და სიყვარულის პრობლემას. როგორც ჩანს, ახალგაზრდა მწერალმა ამ დროს პირველად სცადა ფილოსოფიურად გაეაზრებინა

⁶³¹ როგორც ცნობილია, სვან. ლამარია არის მარიამ (ღმრთისმშობლის) სახელის სალოცავი: ლა-მარია, ანუ: სა-მარიამ-ო.

ეს მარადიული საკითხი. გრიგოლ რობაქიძის თანამედროვეებმა მიიჩნიეს, რომ იგი მთლიანად ეყრდნობოდა ოტო ვაინინგერის ნაშრომს „სქესი და ხასიათი“ (1903 წ.). გრ. რობაქიძემ კი განმარტა, რომ იგი სინამდვილეში ვაინინგერის შეხედულებათა წინააღმდეგი იყო და ისიც თქვა, რომ იგი მომავალში ამ საკითხზე ნერილის გამოქვეყნებას აპირებდა. მან აქვე სხვადასხვა შეხედულებათა ზედაპირული თანხვედრის მიზეზიც განმარტა – საერთო პირველწყაროდ პლატონის ფილოსოფიის არსებობა.

ძნელი სათქმელია, აღნიშნულ ლექციაში ბოლომდე ჰქონდა თუ არა ჩამოყალიბებული გრიგოლ რობაქიძის ის შეხედულებანი, რომლებიც მოგვიანებით (20-იან წლებში) „ენგადში“ გამოვლინდა, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ მწერლის თანამედროვეებმა ვერ გაიგეს მისი თვალსაზრისის არსი.

გრიგოლ რობაქიძის პიროვნება საკმაოდ ფართოდ აისახა გერმანელი მწერლის ნიკოლაუს ზომბარტის მოგონებების წიგნში „ბერლინში გატარებული სიყრმე 1933-1943“ (1984), რომელშიც იგი სქესთა ურთიერთობის გრ. რობაქიძისეულ პრაქტიკულ და თეორიულ მიდგომასაც შეეხო. ნ. ზომბარტი აღნიშნავს, რომ რობაქიძე გარკვეულ სექსუალურ ასკეტიზმს იცავდა და იგი „თავშეკავებაში მამაკაცურ თვითდამკვიდრებას ხედავდა“. ამაში ჭვრეტს გერმანელი მწერალი „პატრიარქატისაკენ მიბრუნების საიდუმლოს“.

შემდეგ გერმანელი მწერალი წერს:

„რასაც მე ვამბობ, ეს ყველაფერი წერია ცოტა დაშიფრულად რობაქიძის ყველა წიგნში. ფაქტიურად ეს არის მისი ერთადერთი თემა“⁶³².

შეიძლება ითქვას, რომ გრ. რობაქიძის თანამედროვე ცნობილი გერმანელი მწერალი ნამდვილად ცდილობს ჩასწვდეს ქართველი თანამოკალმის მსოფლმხედველობის ცენტრალურ აზრს და საინტერესო მითითებებსაც იძლევა, თუმცა არსებითად მხოლოდ ქმედებათა ინტერპრეტაციის დონეზე.

ხოლო ნ. ზომბარტის ამ შეხედულებათა გადმოცემისას პროფ. ნოდარ კაკაბაძე გულწრფელად აღნიშნავს:

„უნდა გამოვტყდე, რობაქიძის ეს თეორია და ნიკოლაუს ზომბარტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სექსუალური თავშეკავება განსაკუთრებული მამაკაცური პოტენციის დამადასტურებელია, მომკალით და ვერ გავიგე“⁶³³.

⁶³² ნ. ზომბარტი, ბერლინში გატარებული სიყრმე, 1933-1943. – „მნათობი“, №4, 1989.

⁶³³ ნ. კაკაბაძე, გრიგოლ რობაქიძის გერმანული პორტრეტი. – „ლიტერატურა და ხელოვნება“, №5-6, 1992, გვ. 225.

სიყვარულის ის ფილოსოფია, რომელსაც აქ ნ. ზომბარტი ეხება, ყველაზე სრულად და სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული გრ. რობაქიძის მოთხრობაში „ენგადი“, რომლის შესახებაც კიდევ ერთი გერმანელი მწერალი - რუდოლფ კარმანი წერდა:

„მოთხრობაში „მაგიური წყაროები“ 1929 წ. რობაქიძე მისტიურ ახსნას აძლევდა მთიელთა ტომის - ხევსურების - წმინდა ეროტიკას - სწორ-ფერობას“.

როგორც ჩანს, გრიგოლ რობაქიძის „სამოძღვრებო წრე“ ევროპაში კიდევ არაერთ ავტორს მოიცავდა. ზ. ალექსიძემ ხელშესახებად წამოაჩინა გრიგოლ რობაქიძესთან „ალისა და ნინოს“ ავტორის ესად ბეის (ყურბან საიდის) შემოქმედებითი ურთიერთობების არაერთი გამოვლინება. 1931 წელს ესად ბეის ინტერვიუ ჩაუწერია გრ. რობაქიძესთან და ის გამოუქვეყნებია გერმანულ ლიტერატურულ ჟურნალში (E. B. Geschprach mit Robakidze. _ Die Literaturische Welt, 7/1931, #31). მანამდე იგი საკმაოდ ვრცლად წერდა ხევსურების შესახებ, კერძოდ, ამ თემას ერთი თავი ეძღვნებოდა 1928 წელს გამოცემულ მის წიგნში „კავკასიის 12 საიდუმლო“ (1930 წელს ეს მონაკვეთი ცალკე სტატიადაც გამოქვეყნებულა: Essad Bey. Chewsuren _ ein unbekanntes Volk, Wissen und Wortschritt, IV, 1930). მეცნიერი აჩვენებს, თუ რაოდენი ცვლილება განიცადა ხევსურების შესახებ ამ მწერლის შეხედულებებმა გრ. რობაქიძესთან ურთიერთობის შემდეგ. კერძოდ, ამ მხრივ ბევრი სიახლეა ესად ბეის 1934 წლის სტატიაში „მითიური ხევსურები“, რომელიც ამერიკულ ჟურნალ „აზიაში“ დაიბეჭდა (The Fabulous Khevsurs by Essad Bey, Asia, May, 1934: 285-289), მათ შორის არის ის, რაც ხევსურულ სწორფერობას შეეხება:

„რაც შეეხება ხევსურთა სასიყვარულო ცხოვრებას, ის რომანტიკულ ტრადიციებს მისდევს. ხევსური თუ შეყვარებულია, ტოვებს თავის ციხეს, დახეტილობს მთებში და თხზავს ლექსებს. ხევსურები ქართულ დიალექტზე ლაპარაკობენ. ქართველი მეცნიერები აცხადებენ, რომ ამ ველური ხალხის ლექსებს ეპიური ძალა და მაგიური სილამაზე აქვს. ქალაქსა და კალამს შეუჩვეველი მიჯნური თავის ლექსებს ხმლითა კვეთს მთის კლდოვან მხარეზე და შემდეგ უკითხავს თავის სატრფოს. თუ ის არ უარყოფს ამას, წყვილი ქმნის რალაც მეგობრობის მსგავსს, რომელიც მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. ყოველ საღამოს იგი სტუმრობს თავის სატრფოს. მშობლები წინააღმდეგობას არ უწევენ ამას. ისინი ერთად ატარებენ მთელ ღამეს. მათ სწყურიათ ერთმანეთი და ნება ეძლევათ ისარგებლონ ჭეშმარიტი სიყვარულის ყველა პრივილეგიით, ერთის გარდა: ქალი არ უნდა დაწებდეს იმ მამაკაცს, რომელიც უყვარს. წმინდა სი-

ყვარული არ უნდა შებღალღოს ხორციელმა ინსტინქტებმა. შეყვარებულებს შორის ქორწილი აკრძალულია და ამ კანონიდან რაიმენაირმა გადახვევამ გამართლების მაგიერ შეიძლება მოიტანოს პატივის აყრა და მოკვეთა (ოსტრაკიზმი). ხევსური ქალს ირთავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ უყვარს იგი...”

როგორც ზ. ალექსიძე წერს, „არაფერი ამის მსგავსი ესად ბეის წინა წერილებში, რომლებიც გრიგოლ რობაქიძესთან შეხვედრამდე დაისტამბა, არა წერია. გრიგოლ რობაქიძესთან შეხვედრამდე ესად ბეიმ არაფერი იცოდა ხევსურული სწორფრობის შესახებ, თუმცა 1934 წელს შტატებში გამოქვეყნებულ ტექსტში იგი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ნამყოფია ხევსურეთში და თანაც არა ერთხელ. ამას წინა წერილებში ის არ აკეთებდა. აქ კი უკვე მოიპოვა, თავისი აზრით, ამის უფლება, რადგან გრიგოლ რობაქიძესთან შეხვედრის შემდეგ ბევრი ინტიმური დეტალის შესახებ გაუფართოვდა ცოდნა, ბევრი მისი მცდარი ცოდნა გასწორდა.“⁶³⁴

მაინც უნდა ითქვას, რომ ერთია ის, რასაც გრიგოლ რობაქიძე „ენგადის“ მხატვრულ განაზრახვაში ასხამს ხორცს და მეორეა ის რომანტიკული და არქაიზებულ-ამაღლებული წარმოდგენები, რასაც იგი, როგორც ჩანს, კავკასიური ფილოსოფიის სახით ამკვიდრებდა ევროპულ ინტელექტუალურ წრეებში. ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უტრირებული, გაზვიადებული შტრიხები ხევსურული „რეალობისა“ ესად ბეის ფანტაზიის ნაყოფია.

ცხადია, სწორფრობის საიდუმლო, შინა-არსი ჯერ კიდევ ელის ამოხსნას, მაგრამ მაინც სრულიად აშკარაა, რომ ქართულ მწერლობასა და აზროვნებაში გრიგოლ რობაქიძე ფაქტობრივ ერთადერთია, ვინც ასე ღრმად ჩასწვდა ამ უცნაურ მოვლენას და, მით უფრო, ოდენ დისტანცირებულ მჭვრეტელად კი არ წარმოგვიდგა არქაული ტრადიციისა, არამედ არსებითად საკუთარი მსოფლმხედველობის საფუძვლად აქცია ის. მეტიც, მოთხრობის კითხვისას სრული შთაბეჭდილება რჩება იმისა, რომ მწერალი უშუალო მონაწილე ყოფილა აღწერილი ეთნოსინამდვილისა.

წაწარმოებს თავიდან ბოლომდე განმჭვალავს რაღაც იდუმალი მუხტი.

რა არის ის საიდუმლო, რომელიც სწორფრობის ტრადიციაში არის დაფარული და რომელსაც უთუოდ ჩასწვდა გრიგოლ რობაქიძე?

წაწარმოების მიხედვით, რომელშიც ავტორი გასაოცარი სიზუსტითა და შინაგანი ხედვით წარმოაჩენს ხევსურული ყოფის არაერთ ნიუანსს, მთავარი გმირი გიორგი ვალუევი უნებური მონაწილე ხდება სწორფრობის ხევსურული ტრადიციისა და იგი რაღაც ძალის კარნახით გადადის ჩვეული

⁶³⁴ ზ. ალექსიძე, ქრისტიანული კავკასია, ტ. 2, თბ. 2011, გვ. 256.

ხორციელი ლტოლვის, „გზნების“ საზღვარს და აღმოჩნდება სხვა განზომილებაში, სხვა სამყაროში, რომელშიც ნება ბატონობს ვნებაზე და ჭეშმარიტი ტკობა საკუთარი თავის ძლევაში მდგომარეობს (აქ შემთხვევით არ ჩნდება პარალელის სურვილი მ. ჯავახიშვილის „თეთრ საყელოსთან“).

კონსპირაცია – პირველივე სიტყვებიდან:

„ზაფხულის დამდეგი იყო, როცა ერთი რუსული საფილმო საზოგადოებისაგან წინადადება მივიღე გავყოლოდი მის მიერ გამზადილ ექსპედიციას ხევსურეთში, როგორც მცოდნე ქართული ენისა. დიდი სიხარულით შევხვდი ამ წინადადებას. ახლა შემეძლო ადგილზე გავცნობოდი ამ უსაიდუმლოეს ტომს (ხაზგასმა ჩვენია. ა.ა.) არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ კავკასიის ტომთა შორის. ხევსურები მეჩვენებოდნენ შორიდან მუდამ როგორც ცოცხალი დანაშთი ერთი უსახელო, ძველი, საუკუნეებში გადასული ხალხისა“.

მთავარი გმირის გზა კავკავიდან იწყება და უნებურად ჩნდება ასოციაცია „მგზავრის წერილების“ შინაარსობრივი სქემისა. „ენგადის“ გმირის მარშრუტი ასეთია: დარიალი – ყაზბეგი – მღეთი (ასეა!) – დუშეთი – ყინვალი – მალაროსკარი – შუაფხო – მათურა – „ფშავის ნახტომი“ – ქედი, რომლის იქით ხევსურეთია“... მარშრუტი ზუსტია, აქედან გზა ბუდე ხევსურეთში გადადის (ხახმატი...).

და კიდევ ერთი ანალოგია „მგზავრის წერილებთან“: ერთ მოსახვევში შეხვდება 22 წლის ხევსურს, რომლის სურათ-ხატში მწერალს მხატვრის სიზუსტით გამოჰყავს ადგილობრივის ანთროპოლოგიური ტიპი:

„თვალს ხვდებოდა სიმჭლე მისი სხეულისა; შუბლი მაღალი, ძვლები საფეთქლებთან თხელი და ბრტყელი; ნიკაპი წამახული, ყურები ოდნავ წამოშვერილი...“ რაც მთავარია, „მის ფიზიკურ აგებულებაში სჩანდა სულიერი თვისებაც მისი ტომისა: უნდობლობა და ამაყი თავდაჭერა, მზა-ყოფა გამონწვევისათვის და უშიშროება, თავნებობა და გულოვანობა...“

აქაც იგივე („მგზავრის წერილების“ მსგავსი) შემონიშნება სტუმრის „ქართველობისა“, ანუ სანდოობისა:

„ქართველ ხარ?“

„ნაწილად“.

„რა იქნების ეს ნაწილად?“

მგზავრი აუხსნის, რომ დედით ქართველია, მაგრამ გვარად – ვალუევი. მაშინ გვარს „ვალუაურად“ გადაუკეთებს მასპინძელი – მეგელიკა ალუდაური და ამის არგუმენტსაც იტყვის: „ქართულს კარგს უბნობ“!

აქ კიდევ ერთხელ ამჟღავნებს ავტორი ადგილობრივი ფოლკლორის კარგ ცოდნას: იცის ლექსი „ვეფხვისა და მოყმისა“, მათ შორის – დედის

დატირების პასაჟით. ლაპარაკობს მისთვის „განუყრელ“ ვაჟას ლექსებზე და დასძენს:

„ვაჟა-ფშაველა სწერდა ფშავ-ხევსურულ კილოზე. ეს კილო არ არის პროვინციალიზმი, იგი უფრო არქაიზმია“.

მწერალი მოთხრობაში არა მხოლოდ ბელეტრისტის მხატვრული ხედვით, არამედ საკმაოდ ზუსტი ეთნოგრაფიული ცოდნით წარმოსახავს ხევსურეთის არაერთ სანესჩვეულებო რეალიას: ძმად გაფიცვას, ხატობას და დანათვლას, მესისხლეობას და მის ნამდვილ შინა-არსს, დაკრძალვას და დატირებას, დასტაქრობას, სწორფრობას... გასაოცარი სიზუსტით არის დანახული ხევსურის დამოკიდებულება „სისხლისადმი“:

„როცა ხევსურებს უცქერ, ნაჭდევებით სახეზე და ტანზე, მუდამ იარალასხმულთ და მზადმყოფთ შეტევისათვის, გგონია, სისხლი სწყურიათ მათ მხოლოდ. მაგრამ ეს ასე არ არის. არავის ეშინია სისხლის დაღვრის ისე, როგორც ხევსურს: არც ერთ ხალხს, არც ერთ ტომს. მკვლელს ხევსურეთში „ლაჩარის“ სახელით სდაღავენ“...

გასაოცარია, მაგრამ მწერალი ახერხებს, ეს ყველაფერი, ეს ნაირგვარი ინფორმაცია საკმაოდ ხანმოკლე სიუჟეტურ ქარგაზე აკინძოს.

როგორც ჩანს, იმისათვის, რომ „გარედან“ შევიდეს, „გარეგანი თვალი“ იყოს ამ უცხო სამყაროში და უფრო ღრმად, ცნობიერად ჩასწვდეს იდუმალი სწორფრობის არსს, მწერალი, როგორც ითქვა, უშუალოდ აბამს ამ მისტიკურ თამაშში „ბარული“ ცივილიზაციის პროდუქტს, თანაც ნახევრად უცხო კაცს – გიორგი ვალუევს.

რა დაინახა უცხო თვალმა და როგორ შეიგრძნო უცხო გულმა ადგილობრივი ქცევებისა და რიტუალების შინაგანი თავისთავადობა?

იგი პირველ რიგში აკეთებს ასეთ ზოგად დასკვნას:

„ხევსურის გულისყური უფრო გონისა და სულისკენაა მიმართული, ვიდრე მატერიალურისაკენ“.

რაც მთავარია:

„ეხლა გავიგე საბოლოოდ, რომ ხევსურისათვის სქესი და სიყვარული სხვადასხვა რამაა“.

სწორედ ეს ნიშნები აძლევს მას იმ დაეჭვების საფუძველს, რომ აქ რალაც ფრიად არქაულ მოვლენასთან უნდა გვექონდეს საქმე.

მანც რა არის ის, რის იდუმალეობასაც მწერალი მხატვრული საშუალებებით მიგვანიშნებს თავისებურად და რის ახსნასაც სულაც არ ცდილობს – იგი ხომ მეცნიერულ მიზანს არ ისახავს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ნაწარმოებში ნაჩვენებია არ არის ჭაბუკურ ვნებათა სტიქიური, დაუოკებელი დუღილი, ისეთი,

როგორსაც, მაგალითად, ოსტატურად ასახავდა ალექსანდრე ყაზბეგი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვხედავთ ჭაბუკური ასაკის რეალურ ურთიერთობებს, უპირველესად ვრწმუნდებით იმაში, რომ მოწმე ვართ რალაც მკაცრად ჩამოყალიბებული სისტემისა, რომელიც სწორედ ამის გამო – მისი სისტემურობისა და დასრულებულობის გათვალისწინებით – უთოუდ დიდ ისტორიულ სიღრმეებზე მიგვანიშნებს.

მეორეც:

იქნებ ეს არის ზნეობრივი აღკვეთილების სისტემა, სრულიად განსაზღვრულ სასჯელთა გარანტიით, როგორსაც შუასაუკუნეების მორალისტური წინამძღოლები განუსაზღვრავდნენ ორთოდოქსული რელიგიის წინააღმდეგ დემორალიზებულ საზოგადოებრივ ჯგუფებსა და პიროვნებებს?

ამგვარი რამის წარმოდგენა ასკეტური წყობის თემში, ცხადია, სრულიად შეუფერებელია...

იქნებ ეს ზნეობრივი წურთნის მეთოდია? – როგორც აკაკი ბაქრაძე იტყვის: „ალბათ, ასე წურთნიდნენ ქალსაც და ვაჟსაც ნაირნაირ ჭირთა თმენისათვის. მათ გაკაჟებულ ბუნება-ხასიათს ძნელად თუ გატეხდა ჭირვარამი, რარეგ მძიმეც უნდა ყოფილიყო იგი“.

ტრადიციულად ქალ-ვაჟთა ურთიერთობა თითქოს ზნეობრივ ჭრილში უნდა განვიხილოთ; ამას გვთავაზობს მთელი ისტორიული გამოცდილება – ლოკალურადაც და საკაცობრიო ასპექტითაც.

მაგრამ, ვფიქრობთ, „ზნეობრივი“ არ არის ამ შემთხვევაში ის კატეგორია, რომელიც წარმოდგენილი საკითხის პასუხთან მიგვიყვანს. აქ „ზნეობრივი“ თვით ტრადიციის საწყისებშივე გამოირიცხება და ამიტომაც არც ქცევათა ნორმებზე იქნებოდა მიზანშეწონილი საუბარი. ადათობრივად (სამართლებრივად) ისეთ შეკრულ (კონცენტრულ) გარემოში, როგორიც ხევესურულია, მართლაც გაუგებარი იქნებოდა ქალ-ვაჟთა ასეთი „თავისუფალი“ ურთიერთობის სფეროს „კანონგარეშე“ დატოვება, მაშინ როცა, მაგალითად, ცოლ-ქმრობის ინსტიტუტი ადათობრივი სამართლის განსაკუთრებული ყურადღების საგანია.

მაგრამ სწორფრობის ინსტიტუტი ერთგვარად ადათობრივი სისტემის ფარგლებშიც არ ექცევა, იგი თითქოს უფრო არქაული ელემენტია, პირობითად, მასთან შედარებით ახალ სათემო ურთიერთობებში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორფრობის ინ-სტიტუტი არის სულის (ნებელობის) წურთნის სისტემა, უპირველესად გამიზნული მოყმის (კაი ყმის) სულიერი ფორმირებისათვის – შესაბამისი მეთოდებით, ხერხებითა და შედეგებით.

ალბათ ამაშია ამ ფენომენით გრიგოლ რობაქიძის – როგორც მწერ-

ლისა და ფილოსოფოსის – დანტერესების საფუძველიც.

უკვე ითქვა, რომ გრიგოლ რობაქიძემ ბიძგი მისცა ევროპის ლიტერატურულ გარემოში ხევისურების შესახებ თავისებური წარმოდგენების შექმნას. ასევე ამკვიდრებდა იგი აზრს, რომ გარკვეული ნაწარმოებები ხევისურულ დიალექტზე ჰქონდა შექმნილი. ამას ადასტურებს ესად ბეისთან დიალოგშიც (E. B. Gespräch mit Robakidze. - Die Literarische Welt, 7/1931, #31).⁶³⁵

ჩვენთვის უკვე ნაცნობია ის სტილისტიკა, რომლითაც „ლამარაა“ შექმნილი. ხოლო „ენგადი“, რომელიც ქართულად საკმაოდ გვიან – 1951-52 წლებში გამოქვეყნდა „ბედი ქართლისაში“ (გერმანულად – 1932 წელს), ენობრივი, ანუ დიალექტური სტილიზაციის თვალსაზრისით უფრო ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს; აქ ნაკლებად გვხვდება ის დიალექტური ელემენტები, რომლებიც „ლამარაში“ აშკარად ქმნიდა „სადეგუსტაციო“ გარემოს.

თუ ამ მიმართებას გავიაზრებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გრიგოლ რობაქიძეს მეტი ჰქონდა ხევისურული დიალექტის ცოდნა ადრეულ, როგორც ჩანს, შესაბამის გარემოსთან უშუალო შეხების პერიოდში, რაც შემდეგ გარკვეულად მიინახლა...

ერთი სიტყვით, მწერალს შემოქმედებითი სტილისტიკური ამოცანის გადასაწყვეტად მიზნად არც ამ შემთხვევაში დაუსახავს ხევისურული დიალექტური მეტყველების ზუსტი გადმოცემა. გმირთა საკმაოდ ძუნწ დიალოგებში (რაც ასევე ნიშანდობლივი თავისებურებაა „ენგადისა“) იგი რამდენიმე სპეციფიკური ფორმით ახერხებს კუთხური მეტყველების ეფექტის შექმნას, ანუ მიმართავს სტილიზაციის ხერხს. ასეთი მიზანდასახულების ენობრივი ერთეულებია: „რა იქნების“, „ეგ არ იქნების“, „მამაი“, „რაი გქვიან?“ და სხვ.

ხოლო ზოგი ასეთ ფორმათაგანი ორგანული ხევისურული არ არის, არამედ მხოლოდ იმიტაციაა: „მაგრამ გოგოთურიც ცუდ და უღირს მოქცეულა“, „რა მოგივიდის?“ „გივარგი“...

მაგალითად ავიღოთ კონკრეტული ფრაზა:

– კარგ უბნობ შენ შაირებს, ფარიკაობაიც შაგძლებია – გინდ გახდე ძმადნაფიც ჩემი?

„ფარიკაობაიც შაგძლებია“ – ამ შესიტყვებაში ხევისურულის სპეციფიკა დაცულია, მაგრამ „კარგ უბნობ“ არ არის ხევისურული, ხოლო ფრაზაში „გინდ გახდე ძმადნაფიც ჩემი?“ მხოლოდ ძმადნაფიც ფორმა აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. „გინდ“ ფორმა, წინადადება რომ კითხვითი არ იყოს, უთუოდ შესაბამისი დიალექტის ამსახველი იქნებოდა, მაგრამ რადგან

⁶³⁵ ზ. ალექსიძე, ქრისტიანული კავკასია, ტ. 2, თბ. 2011, გვ. 254.

დიალექტს კითხვის არქაული ნაწილაკი შენარჩუნებული აქვს, ფორმა ამ შემთხვევაში აუცილებლად ბოლოკიდური ხმოვნით იქნებოდა წარმოდგენილი: „გინდა“.

ასეთივე ეკლექტურია (ხელოვნურია):

„თორე დაუანგდების შენი ფარი, ზლაგვ იქცევის შენი ხმალი!“

„ღვთიურ არს სიყორულ; ხორციელ იგემებ – მოჰკლავ მას; ინვოდ მხოლოდ!“

გარკვეულ შემთხვევებში ჩანს, რომ მწერალს სანდო წყაროზე მიუწვდება ხელი; მაგალითად, უეჭველია, რომ იგი ხევსურული ჯვართა სადიდებლის ტექსტს იყენებს, როდესაც შემდეგ ლოცვას გადმოსცემს:

„დიდება გამჩენს, დიდება დღევანდელ დღეს, დიდება მზეს და მის თანა მყოლთ! მოგცეს მალაღმა [სახელი] ბედნიერებაი და კურთხევაი“.

ზემოთ უკვე გვქონდა მითითებული, რომ მწერალს უთუოდ მიუწვდებოდა ხელი ამგვარ ფოლკლორულ ტექსტებზე საქართველოში მოღვაწეობის დროსაც და მას შემდეგაც; თავი რომ დავანებოთ აღნიშნულ სამეცნიერო გამოცემებს, ამგვარი პუბლიკაციები საკმაოდ ხშირი იყო იმდროინდელ პერიოდიკაში („ივერია“, „დროება“...); მაგალითად, მოყვანილი ციტატის შესადარებლად გამოდგება „ივერიაში“ გამოქვეყნებული ტექსტი „ხუცობა ხახმატის ჯვარში“:

„დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა რჯულ ქრისტიანთა, დიდება მზესა, იმის მყოლს ანგელოზსა, შენად სამთავროდ, შენად გასამარჯვოდ...“ („ივერია“, 1889, №271. ჩაუნერია დ. გორელს).

აშკარაა, რომ გრიგოლ რობაქიძე თავისებურად ეკიდება გმირთა ენობრივი სახის შექმნას. თუ რატომ არ იცავს მწერალი ამგვარი წყარო-ტექსტების ავთენტიურობას და მას თავისებურ ფორმას ანიჭებს, ეს მისი შემოქმედებითი საიდუმლოა.

საზოგადოდ, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, რომელსაც დიალექტის ცოდნა არა აქვს, ნებისმიერი სპეციფიკური ფორმა, იქნება ის გრამატიკულად ავთენტიური თუ ხელოვნური, უთუოდ ასრულებს მწერლის მიერ დასახულ სტილისტიკურ დანიშნულებას. ამ თვალსაზრისით გრიგოლ რობაქიძეს ნამდვილად შეეძლო ძლიერი, მომავადაოებელი შთაბეჭდილება შეექმნა და სასურველის სათქმელად და სასმენლად დაეპყრო მკითხველის გული.

Grigol Robakidze and the creative world of Vazha-Pshavela

From his youth, Grigol Robakidze became interested in the creative world of Vazha-Pshavela, in those ethno-cultural realities that nourished the creativity of his predecessor. We can say that such a creative „crossing“ took place at least three times.

1. In 1908-1909, Grigol Robakidze conducted a series of lectures in which he tried to philosophically comprehend the problems of love and sexual relations, including those inherent in traditional ethnic groups. And as the writer's contemporaries testify, Grigol Robakidze, apparently, formed an original vision, which later accompanied his whole creative path.

2. The dramatic work of Grigol Robakidze „Lamara“ was created in creative collaboration with the famous director K. Marjanishvili. Grigol Robakidze proposed to the director the idea of scenography for Vazha-Pshavela's poem „The Serpent Eater“, but the director demanded from him to create an original dramatic work on this topic, which turned out to be a new creative inspiration for Grigol Robakidze.

3. In 1932, G. Robakidze's story „Magic Springs“ was published in German, in which the writer offers us an interesting interpretation of one Khevsurian custom associated with a love relationship between sexual couples. That is, the writer in some way returns to the topic on which he drew attention at the beginning of the century.

მარინა (ხათუნა) კუხალაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

პეიზაჟის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია თამაზ ჭილაძის რომანში „აჰა, მიიწურა ზამთარი“

საკვანძო სიტყვები: თამაზ ჭილაძე, პეიზაჟი, რომანი, ინტერიერი, მეტაფორა.

თამაზ ჭილაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა: „ყველა მწერლობას თავისი გზა და მიზანი, თავისებურება და დანიშნულება გააჩნია, რომელიც არც იმეორებს და არც ემთხვევა ნებისმიერ სხვა ხალხის მწერლობის გზას, თავისებურებასა თუ მისიას. ამ მრავალფეროვნებაშია სწორედ მომხიბვლელობა ლიტერატურისა, როგორც კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენისა... ყველა ლიტერატურა თავისი ხალხის სულიდანაა ამოზრდილი და მისი სიცოცხლისუნარიანობის საზომია...“

... ის ამბავი, რომ ყველა „ჩემებული თვალით“ არ ხედავს ფაქტებს, „ჩემებული თვალით“ არ კითხულობს ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ძალიან კარგია... სხვანაირად წარმოუდგენელიც კია. მხატვრულ ნაწარმოებზე ყველას საკუთარი აზრი, საკუთარი შეხედულება უნდა გააჩნდეს. წიგნი იმდენია, რამდენიც მკითხველი და როგორი მკითხველიცაა, ისეთივეა წიგნი. მკითხველი, ფაქტიურად, შემოქმედი“⁶³⁶.

მწერლის ამგვარი პოზიცია საყოველთაოდ მისაღები და გასაზიარებელია და ჩვენც, ვეყრდნობით რა ამ მოსაზრებას, რომანში „აჰა, მიიწურა ზამთარი“ განვიხილავთ ჩვენს მიერ გააზრებულ პეიზაჟის მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციას.

აღნიშნული რომანის ტექსტის პოეტიკის თვალაზრისით გარკვეული ადგილი ეთმობა პეიზაჟს, ბუნების სურათებს. ტრადიციულობის განგრძობას ვამჩნევთ თამაზ ჭილაძისეულ პეიზაჟებში: ლაკონურობა, ვაჟასეული ჭვრეტა – ბუნება ჩვენშია და ჩვენ ბუნებაში ვართ. თუმცა, როგორც დამოუკიდებელი, ორიგინალური ხმის მწერლას, ბუნების ხატვის საკუთარი სტილი და მანერა გააჩნია. საილუსტრაციოდ რომანიდან კიკ-

⁶³⁶ თამაზ ჭილაძე, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 5-11 აპრილი, 2002 წ., გვ. 3 („მიდის, მიდის და მიდის“).

ეთურ პეიზაჟს მოვიხმობთ: „მზე მუხის ტყის იქით გადაწვერილიყო. ცა ნითლად იყო ალენილი, ჩიტების ხმაც კი არ მოისმოდა. თითქოს ბუნებას სუნთქვა შეკვროდა იმ მუდამ საიდუმლოებით მოცული მოვლენის მოლოდინში, მზის ჩასვლა რომ ჰქვია.

დიდხანს იყვნენ ასე, ხმა არ ამოულიათ, ბუნება მათზე უჩინარი ძალით მოქმედებდა. არის წუთი, როცა ადამიანი გრძნობს, რომ ის ბუნების ნაწილია, მისი ცოცხალი, მფეთქავი ნაწილაკია, რომ მის სულშიც ისევე ჩადის მზე, როგორც მუხის ტყის იქით, და ეს დიდი, ნითლად განათებული უსაზღვრო სივრცე ისე თავისუფლად ეტევა მის არსებაში, როგორც სიხარული და დარდი, რომ ისიც ბუნებასავით არსად არ იწყება და არსად არ მთავრდება და რომ ეს ბადაგივით ტკბილი და მათრობელი სიცოცხლე შეუზღუდავია და მდინარესავით ლალად გადადის უკვდავებაში⁶³⁷. ამას მოსდევს მშვენიერი ტროპული პასაჟი: „და რომ არ არსებობდეს ეს მაცდუნებელი გრძნობა, ეს წამიერი რწმენა უკვდავებისა, ადამიანის სიცოცხლე ანძაზე მივინყებულ დროშასავით ნაადრევად შემოეფლითებოდა იმ ცრუსა და სუსხიან ქარს, სიბერის თეთრი კლდეებიდან რომ უბერავს“.

როგორც ვხედავთ, არც ერთ პერსონაჟს არ გამოუხატავს თავისი განცდა, ემოცია ამ მშვენიერი პეიზაჟის გამო, ის ავტორის მეტყველებითაა წარმოდგენილი.

ჩანს, ამ კომპოზიციურმა ვითარებამ განაპირობა, რომ პეიზაჟის გადმოცემისას, პრიორიტეტულ მხატვრულ ხერხად გაპიროვნება გამოყენებული. ვამბობთ, პრიორიტეტულს, რადგან ციტატის დასაწყისში მოცემულია გარემოს აღწერა, რეპორტიული სტილი საპიესო რემარკისა, რომელიც დეკორაციულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. „მზე მუხის ტყის იქით გადაწვერილიყო... იქიდან ახლა გრილი ნიავი უბერავდა“.

მომდევნო სიტყვებიდან უკვე გაპიროვნება მკითხველის თვალწინ, შემკული გაშლილი შედარებით: „თითქოს ბუნებას სუნთქვა შეკვროდა, იმ მუდამ საიდუმლოებით მოცული მოვლენის მოლოდინში, მზის ჩასვლა რომ ჰქვია...“ „გრილი ნიავი... ფეხაკრეფით, ჩემად მიმოქროდა, თითქოს მწუხრის მსტოვარი იყო და ახლა არემარეს ზეერავდა, ღირდა თუ არა, რომ იქ დაბრუნებულიყო“. ძალიან ახლოს დგას აქ მოხმობილი გაპიროვნება მეტაფორულ მეტყველებასთანაც.

მწერლისთვის დამახასიათებელი მხატვრული ოსტატობით არის წარმოდგენილი პეიზაჟის ხილვა და განცდა მთავარი პერსონაჟის, ზაზას, სულიერ სამყაროში. ვკითხულობთ ამ პასაჟს და ვგრძნობთ, თუ რა სიფაქიზ-

⁶³⁷ **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ. 453.

ით, რა ფრთხილად, როგორი ემოციებით ალებს ზაზას სულიერი სამყაროს კარს მთხრობელი და ვრწმუნდებით, ზაზაც შინაგანად, ქვეცნობიერად არანაკლები პოეტია, პოეტურია მსგავსად მთხრობელისა და ავტორისა.

ხელოვნების იდუმალების ზეიმია... მუსიკალური ბგერწერა (სტრავინსკის მუსიკა), სიტყვით ფერწერა და წყობილსიტყვაობა შერწყმია ურთიერთს და ერთარსებად ჩამოყალიბებულან ზაზას პიროვნებაში, მისეულ ალქმა-განცდში. რაც მთავარია, ამგვარი განცდის გამომწვევი გახდა სასურველი ადამიანის (მაგდას) ხილვით ზაზას სულის სიღრმეში აღძრული სიხარული.

ინწყებს მთხრობელი: „ზაზა მაგდას უყურებდა. გძნობდა, სულის სიღრმეში სიხარული როგორ იბადებოდა, სიხარული მკაფიო და ნათელი იყო, როგორც მზიანი დღე; მასავით უსასრულო, არსად თავდებოდა და თავისი სინათლით ყველაფერს სასწაულის იერს აძლევდა, ამ მტვრიან ოთახსაც, ცასაც, ფანჯრებში რომ ლურჯად კრიალებდა.

ზაზას ესმოდა მუსიკის ხმა, ამ სასწაულს სტიქიური სიჯიუტით მახლობელს რომ ხდიდა“⁶³⁸.

აი, ეს არის, პრელუდიასავით რომ ჟღერს მშვენიერი პეიზაჟის „გახმოვანების“ წინ: „მინისა და ცის გაღვიძების ერთდროული ჟამი სავესე იყო ნაკადულების თქრიალითა და კვირტების გამაყრუებელი აფეთქებით. ღრუბლების ბრმა ჩრდილები ვნებით აცახცახებული ხელებივით ეფერებოდნენ მინის გრილ, ამობურცულ მკერდს. მინა იყო შიშველი და მზიარული, როგორც ბუდას მუცელი და ოდნავ გასაგონად საამოდ კვნესოდა.

ველზე ჯერ კიდევ უჩინარი მზის სხივებით ანითლებულ ბურუსში მიჰქროდა თეთრი ცხენების რემა. ცხენები ჭიხვინით გარბოდნენ სადღაც და ნითელი ნისლის ნაფლეთი ხანძრის ალივით მისდევდა მათ.

ბალახის დაქცევტილი ღეროები თვალისმომჭრელად ბრწყინავდა და ბალახი ცის მოსასხამს ჰგავდა, აქ შემთხვევით რომ დარჩენოდა და ირგვლივ ყველაფერმა იცოდა, რომ ცას ნუხელ მიწასთან ერთად ეძინა და ქვებსა ფოთლებზე ნამი ნეტარების ცრემლივით მიმოებნია.

ადამიანის ხელი გაუბედავად ეპოტინებოდა თოვლს და რიჯრაჟის გაურკვეველსა და არეულ ხმებს ერთვოდა ზარის ხმაც, ალისფერი და ამაყი, როგორც მკერდიდან ამოგლეჯილი გული, ზღვის ცხოველივით საიდუმლოდ რომ ფეთქავს.

ზარის ხმა ნელ-ნელა თამამდებოდა და იზრდებოდა, ახლა ის ხვენწასა და მუდარას კი არ ჰგავდა, არამედ ძლიერს, სამყაროს ველურ ხმთა მომ-

⁶³⁸ **თამაზ ჭილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ.532.

ნესრიგებელსა და მბრძანებელს⁶³⁹.

ასე დაიხატა მშვენიერი ტილო დედა-ბუნებისა. ახლა ფსიქოლოგიურად მეტად საინტერესო სვლაა ჩვენს წინ, ანუ, რა ფიქრები, განცდები, რა შტრიხები აღძრა ამ გარემომ უშუალოდ მხატვარ-განმცდელში: „ და საკვირველი მორჩილებით ერთმანეთის გვერდზე დგებოდნენ სიხარული და მწუხარება, ცრემლი და ღიმილი, კვნესა და სიმღერა, წყევლა და ლოცვა, სიყვარული და სიძულვილი, მტრობა და ერთგულება, სიჭაბუკე და სიბრძნე, სიცოცხლე და სიკვდილი, და შენც იყავი ყველგან და ყველაფერში და შენი სულის ყოველი უმცირესი ნაწილაკი სავსე იყო ვეებერთელა მზით, ცხენების ჭიხვინითა და სველი ბალახის პრიალით. და მოუთმენლად ელოდებოდა სიცოცხლის ახალი ტალღის დარტყმას, შორიდან გაზაფხულის წყალდიდობის ყრუ გუგუნით რომ გაიხლოვდებოდა...“⁶⁴⁰.

ამ კონკრეტულ სიტუაციაში გამოკვეთილად წამოიწია წინ რეტარდაციამ, ანუ ისეთმა კომპოზიციურმა ხერხმა, როდესაც რომანის ავტორი შეიჭრება რა პერსონაჟის სულიერ სამყაროში (დისკრიფციის შემოტანით) ანელებს ფაბულის გაშლის დინამიურობას.

მოხმობილ ციტატაში გამოყენებულია კონტრასტული კომპოზიციის ხერხით მიღწეული მეტაფორიზაცია სათქმელისა. „...ერთმანეთის გვერდზე დგებოდნენ სიხარული და მწუხარება, ცრემლი და ღიმილი, კვნესა და სიმღერა, წყევლა და ლოცვა...“ აქვე, ვრცელ რეტარდაციაში ავტორი, მთხრობელი ახდენს მიკრორეტარდირებას, ანელებს დინამიკას, იოკებს ფიქრის ნაკადს და ოდნავ დამშვიდებული, მაგრამ ემოციურობით დატვირთული ტონით განაგრძობს: „...და შენი სულის ყოველი უმცირესი ნაწილაკი სავსე იყო ვეებერთელა მზით, ცხენების ჭიხვინითა და სველი ბალახის პრიალით. და მოუთმენლად ელოდებოდი სიცოცხლის ახალი ტალღების დარტყმას, შორიდან გაზაფხულის წყალდიდობის ყრუ გუგუნით რომ გაიხლოვდებოდა“⁶⁴¹.

თამაზ ჭილაძის მიერ ზაზას განცდების წვდომით წარმოისახა მშვენიერი აღწერა ბუნებისა, იმ გარემოსი, ინტერიერისა, რომელშიც აღმორჩნდება მისი გმირი. მართალია, წინამდებარე დესკრიფცია სიუჟეტის განვითარების შემანელებელ სტილისტიკურ ხერხად მიიჩნევა ზოგიერთი

⁶³⁹ **თამაზ ჭილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აჰა, მიიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ.532-533.

⁶⁴⁰ **თამაზ ჭილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აჰა, მიიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ.533.

⁶⁴¹ **თამაზ ჭილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აჰა, მიიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ.533.

თეორეტიკოსის მიერ, მაგრამ მთლიანი დატვირთვა, სიმძიმე, მაინც მის კომპოზიციურ ფენომენზეა გადატანილი.

წინა პეიზაჟის მოხმობისას ვნახეთ, რომ პრიორიტეტული იყო გაპირონება, ხოლო ამ მეორე სურათში გაპიროვნებასთან ერთად სხვა ტროპულ საშუალებებსაც ვხვდებით.

გაპიროვნებაში იგრძნობა განმცდელის სულიერი თრთოლვაც. მისი განცდები გადასულია გარემოს, ინტერიერის კომპონენტებზეც და იქმნება ერთიანი „კონტექსტი“: „ღრუბლების ბრმა ჩრდილები ვნებით აცახცახებული ხელებივით ეფერებოდნენ მიწის გრილ, ამოზურთულ მკერდს ... და ოდნავ გასაგონად კვნესოდა“, ან „... ირგვლივ ყველაფერმა იცოდა, რომ ცას წუხელ მიწასთან ერთად ეძინა და ქვებსა ფოთლებზე ნამი ნეტარების ცრემლივით მიმოებნია“, ან „...ზარის ხმა ნელ-ნელა თამამდებოდა და იზრდებოდა“⁶⁴².

პეიზაჟის ჰარმონიული ერთიანობა ადამიანურ ურთიერთობებთან ასევე მკაფიოდ არის გამოვლენილი მეტაფორებშიც: „... მიწისა და ცის ერთდროული გაღვიძების ჟამი სავსე იყო ნაკადულების თქრიალითა და კვირტების გამაყრუებელი აფეთქებით“, ან „ცხენები ჭიხვინით გარბოდნენ სადღაც და წითელი ნისლის ნაფლეთი ხანძრის ალივით მისდევდა მათ“, ან: „ადამიანის ხელი გაუბედავად ეპოტინებოდა თოკს და რიჟრაჟის გაურკვეველსა და არეულ ხმებს ერთვოდა ზარის ხმაც“.

როგორც მოტანილი ციტატებიდან ჩანს, მხატვრული ეფექტი მიღწეულია გაშლილი მეტაფორების საშუალებით.

ორივე სურათში (გვ. 453 და გვ. 532-533) მწერლის მიერ გამოყენებულ მხატვრულ სახეთა სისტემაში პოეტურობით, მაღალმხატვრულობით და ორიგინალურობით ხასიათდება აგრეთვე, მხატვრული დახასიათების ისეთი ფორმა, როგორცაა შედარება, გაშლილი შედარება. გამოსახვის ეს სტილისტური ხერხი პირველ შემთხვევაში (გვ. 453) უფრო მოზომილია, ნაკლებემოციურია. ეს განპირობებულია კონკრეტული კონტექსტით, იმ საერთო განწყობილებით და სიტუაციით, რაც შესაბამის გარემოსა და ატმოსფეროზეც ვრცელდება.

თუ რეტარდაციის მასშტაბზე, ხარისხზე ვიმსჯელებთ, აქაური დესკრიფცია ნაკლებ ზეგავლენას ახდენს თხრობის დინამიკაზე, ბუნებრივია, გამოსახვის საშუალებებიც გარკვეულ შეზღუდულობასაც განიცდიან, განსაკუთრებით ეს შედარებას შეეხება; გაშლილი შედარების მშვენიერი ნიმუშია: „... მის ხელშიც ისევე ჩადის მზე, როგორც მუხის ტყის

⁶⁴² **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ.532-533.

იქით, და ეს დიდი, წითლად განათებული უსაზღვრო სივრცე ისე თავისუფლად ეტევა მის არსებაში, როგორც სიხარული ან დარდი⁶⁴³. ჩამავალი მზე და მუხის ტყის იქითა სივრცე შედარებულია სიხარულთან და დარდთან. ან: „...და რომ არ არსებობდეს ეს მაცდუნებელი გრძნობა, ეს წამიერი რწმენა უკვდავებისა, ადამიანის სიცოცხლე ანძაზე მივინყებულ დროშასავით ნაადრევად შემოეფლითებოდა იმ ცივსა და სუსხიან ქარს, სიბერის თეთრი კლდეებიდან რომ უბერავს“. აღნიშნულ ციტატაში ორ ფენად არის გაშლილი შედარებები: 1. ადამიანის სიცოცხლე ანძაზე მივინყებულ დროშასთანაა შედარებული და 2. სიბერე შედარებულია თეთრი კლდეებიდან წამოქროლილ ცივსა და სუსხიან ქართან. ფილოსოფიური განსჯისაკენ გადახრილი აზრი მშვენიერი პოეტურობის გარსითაა წარმოსახული.

მეორე შემთხვევაშიც (გვ. 532-533) ამაღლებული, ესთეტიკური განცდის გამომწვევია დესკრიფციის არეალში მოქცეული გაშლილი შედარებები: „მინა იყო შიშველი და მხიარული, როგორც ბუდას მუცელი“. ამ მაგალითში საგანთა შორეული თვისებებია ერთმანეთთან დაკავშირებულ-შედარებული და ამდენად, შედარება გარკვეულ სიმბოლურ შეფერილობა-ჟღერადობას იღებს.

თავისი დატვირთვით ოდნავ მარტივად გვესახება შემდეგი ორი შედარება: 1. „...და წითელი ნისლის ნაფლეთი ხანძრის ალივით მისდევდა მათ“ (ცხენებს მ.კ.); 2. „ბალახის დაცქვეტილი ღეროები თვალისმომჭრელად ბრწყინავდა და ბალახი ცის მოსასხამს ჰგავდა“.

ალეგორიული შედარების რანგში აჰყავს ავტორს საეკლესიო ზართან დაკავშირებულ კონტექსტში შემდეგი ფრაზა: (ზარის ხმა – მ.კ.) „... ახლას ხეწნასა და მუდარას კი არა ჰგავდა, არამედ ძლიერს, სამყაროს ველურ ხმათა მომწესრიგებელსა და მბრძანებელს“⁶⁴⁴.

როგორც დავრწმუნდით, ბუნება მოხმობილ მაგალითებში მკითხველის მიერაც და პერსონაჟების მიერაც აღიქმება ადამიანის სულიერ მდგომარეობასთან კონტექსტში. თუმცა, აქ არ იგრძნობა ერთგვარად მტკივნეული რეაგირება ადამიანისა ბუნებაში მომხდარ ცვლილებებზე. აქ გარკვეულ ჰარმონიულ ურთიერთობას ვამჩნევთ პეიზაჟსა და ადამიანურ ემოციებს შორის. ეს ფაქტორიც მიგვანიშნებს ავტორისეულ ხელწერაზე, სტილზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში პეიზაჟში

⁶⁴³ **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აჰა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ. 453.

⁶⁴⁴ **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აჰა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ. 533.

საყოფაცხოვრებო გარემო-ინტერიერი, სოფლის თუ ქალაქის პანორამა, რა თქმა უნდა, გააზრებულია ადამიანებთან დამოკიდებულებაში.

განსხვავებით ბუნების ხატვისგან, როდესაც რეტარდაცია საგრძნობია, ინტერიერისა და ყოფითი გარემოს, პანორამის ხატვისას ეს მომენტი ისე საგრძნობი აღარ არის, ანუ არ შეიგრძნობა მკვეთრი დისონანსი მთხრობელის მეტყველების რიტმში. რომანში ხშირია მოკლე, ფრაგმენტული აღწერები გარემოსი, რომელნიც ჩვეულებრივ, ცოცხალ ყოფიერებასთანაა კავშირში (რესტორნების, სასტუმროების, ქუჩის აღწერები); მხოლოდ რომანის ფინალისკენ გვხვდება ვრცელი სურათი პატარა ქართული დაბა-ქალაქისა. კოლორიტულობასთან ერთად ამ პანორამით ძალზე ამალელებულ და დამაფიქრებელ საზოგადოებრივ ტკივილსაც შეიგრძნობთ (სულ რაღაც ხუთიოდ სიტყვაში რომ მოაქცია მწერალმა): „წვიმდა ... უკვე ბნელოდა. ქუჩაში ნათურები აენთოთ, ზამთრის მღვრიე ბინდში ყვითელი ლაქებივით რომ მოჩანდა.

სადგურისკენ პატარა, ვიწრო ქუჩა მოდიოდა. ქუჩის ერთ მხარეს დაბალი, ერთსართულიანი სახლები იდგა მწკრივად. მეორე მხარეს კი ქუჩას პატარა ბალის თეთრად შეღებილი მესერი მიჰყვებოდა.

ზოგიერთ სახლს ბოქლომი ედო. ზოგში კი ისევ ენთო სინათლე. სახლების წინ ფანჯრებიდან გამოსული შუქი ტროტუარზე ყვითელი მუშამბის პრიალა ნაჭრებივით ეფინა. იმ მწკრივზე სულ სახელოსნოები იყო. თერძს, ხარაზს, დურგალს, ოქრომჭედელს, მეკუბოვეს და დალაქს გვერდიგვერდ გაეშალათ თავიანთი საქმიანობა. ახალა მხოლოდ მეკუბოვესა და დალაქს ენთო სინათლე. კიდევ ერთ სახლში მოჩანდა შუქი, ეს სახლი ქუჩის ბოლოში იდგა, სახელოსნოების მწკრივს ამთავრებდა. უზარმაზი აბრა ჰქონდა, რომელზედაც ყურძნის მტევანი ეხატა და უსწორმასწორო ასოებით „სასადილო“ ეწერა⁶⁴⁵“.

მოხმობილ პანორამაში საგრძნობია ცოცხალი ანალოგია ადამიანის ყოფიერებასთან. ფაქტიურად არაჩვეულებრივი აქ არაფერია. მხოლოდ სახიფათო სიმპტომზე მიანიშნა ავტორმა ერთი პატარა დეტალით – ზოგიერთ სახლს ბოქლომი ედო, ზოგში კი ისევ ენთო სინათლეო. თუ პირველ ფრაზებში პესიმისტური განწყობა ინგრძნობა, შემდეგით კი დასტურდება, რომ სიცოცხლე, ცხოვრება მაინც გრძელდება.

მართალია, ეს პანორამული ფრაგმენტი საკვანძო კომპოზიციურ ფუნქციას არ ასრულებს, მაგრამ ამბის განვითარებაში გარკვეული დატვირთვა ეძლევა – იგულისხმება შემდეგ სასადილოში გათამაშებულ სცენა ად-

⁶⁴⁵ **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ. 583.

ამსა, მილიციელსა და ვახოს შორის.

ვერც პოეტურ აქსესუარებს აღმოვაჩინეთ წარმოდგენილ სურათში. ბუნებრივი მოვლენაა – აქ გარემოს მკაცრ, ზუსტ კონტურებთან, ნახაზთან გვაქვს საქმე და აღწერაც არქიტექტორულ დახასიათებას ემსგავსება.

როდესაც დოსტოევსკის რომანებში მოცემულ პეიზაჟებს იკვლევდნენ, ისეთ აქსესუარებსაც კი აქცევდნენ ყურადღებას, როგორცაა გვერდების მოცულობა, ლამის სტრიქონების რიცხვებსაც კი. მართალია, ეს წმინდა მექანიკური, რაოდენობრივი მიდგომაა ფაქტისადმი და გვერდის ავლანახატის, ესკიზის, პანორამის ხარისხისადმი, მაგრამ ეს იყო შეფასების ერთგვარი კრიტერიუმი, რის მიხედვითაც დოსტოევსკი მიიჩნეოდა ისეთ ავტორად, ვის შემოქმედებაშიც პეიზაჟი ასრულებს მეორეხარისხოვან როლს. ასეთ შეფასებას გამოუჩნდა ალტერნატიული მიდგომაც. კერძოდ, ლ. გროსმანი, ნ. ჩირკოვი, მიხელ ბახტინი და სხვ. ამტკიცებდნენ, რომ პეიზაჟს დოსტოევსკისთან შეუდარებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ნ. ჩირკოვის ნაშრომის დამონშება იმიტომაც დაგვჭრდა, რომ მე-80 გვერდზე გარკვევით მუთითებს (რის შესახებაც ზემოთ ვაკვრით მივანიშნეთ კიდევ): „Понятие „пейзаж“ берется здесь в самом смысле. В этом понятие включаетя весь изображаемый писателем внешне _ предметный мир. Таким образом, к пейзажу в данном разделе относятся не только те или иные зарисовки природы, ландшафт в тесном значении слова, или же те или иные пейзажи города, но и любое описание обстановки, в том числе так называемый интерьер⁶⁴⁶“.

თამაზ ჭილაძის წინამდებარე რომანში დაახლოებით შეიძლება ადგილს გვხვდება ე.წ. ინტერიერის აღწერა, რომელთაც განსაზღვრული კომპოზიციური ფუნქცია ენიჭება.

ილია ჭავჭავაძეს და სხვა კლასიკოსებსაც თუ გავიხსენებთ, ინტერიერი არის სარკე მისი მფლობელის, მოსახლის ზნეობისა, შინაგანი სამყაროსი, ე.ი. ინტერიერი სრულ კონტაქტშია პიროვნებასთან, ანუ მის ყოფიერებასთან.

ჩვენს მიერ რომანში „აჰა, მიიწერა ზამთარი“ დაფიქსირებული შვიდი ინტერიერი შეიძლება დაჯგუფდეს თავისი ფუნქციის მიხედვით სამად: ა) ინტერიერი, გამომხატველი მფლობელის პროფესიონალური ყოფა-ცხოვრებისა (გვ. 420-421; 528); ბ) ინტერიერი, ალემული პერსონაჟის თვალთ, დაკავშირებული მის განცდებთან (გვ. 427; გვ. 549; გვ. 647-648); და გ) ინტერიერი, დანახული მთხრობელის თვალთ, პერიფერიული ყო-

⁶⁴⁶ **Чирков Н. М.** о стиле Достоевского, изд. АН СССР; М. 1963; (Пейзаж в романах Достоевского), стр. 80-81.

ფის ამსახველი (გვ. 636);

შვიდსავე შემთხვევაში ინტერიერის სურათი დასრულებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. მიყვებით თანმიმდევრობით. პირველად ექიმ სპირიდონის სამუშაო კაბინეტს ვეცნობით ადამის მიერ დანახულს.

ინტერიერის სურათი ესკიზური მანერით არის წარმოდგენილი. ოთახი ფაქტიურად ცარიელი იყო. კედელზე ჩამოკიდებული სურათი ადამში ბავშვობის გახსენებას იწვევს, თითქოს იცის კიდევ, მაგრამ ვერ გაუხსენებია ვისი ხელია სურათზე. ყურადღება გადატანილია ერთ დეტალზე, აქსესუარზე – ბავშვის სურათზე. გარკვეული განცდები იმპულსურად წარმოიქმნა მის შინა სამყაროში და ჩვენც, მკითხველიც, ვგრძნობთ, თუ როგორი ექსპრესიულია აღნიშნული პასაჟი. ამ სურათის მოტივირება გაიხსენება ოდნავ მოგვიანებით. დროის თვალსაზრისით, მომენტალურობაა სახეზე.

სამაგიეროდ, ამავე მფლობელის, ექიმ სპირიდონის, მეორე ოთახის აღწერა უფრო დეტალურია, მაგრამ არა გაჭიანურებული. მხილველის (ადამის) განცდა უკვე მოკლებულია იმპრესიულობას. ოთახის თოთოეულმა დეტალმა, გარემომ დაარეგულირა მისი განცდები, ნეიტრალურ შემფასებლად აქცია ადამი. ადამს მტკივნეული კბილიც კი ჩაუნყნარდა.

მოცემული ინტერიერის აღწერა სხვებთან შედარებით უფრო ფართოა და უფრო ნათლადაც გამოხატავს აღმწერის სტილს, მანერას. ოთახის ინტერიერი იშლება ჭერიდან ჩამოშვებულ კაუჭზე დაკიდებული ძველებური ნავთის ლამპის ფონზე, რომელიც „ოთახში უზარმაზარი ყყაჩოსავით გამლილიყო და მის მონათალო სინათლეში საგნები ისე მოჩანდა, თითქოს წყლაზე ტივტივებდნენო“. ოთახში დგას მონიკელებული სავარძელი, წიგნებზე გალია იყო შემოსკუპებული, მაგიდასთან საწოლი იდგა. „ოთახის ერთი კუთხე ფარდით გადაეტიხრათ, ფარდის იქით, ალბათ, ონკანი იყო, წყლის ჩხრიალი ისმოდა. ადამის ახლოს ტყავგადაკრული სკამი იდგა. სკამს ზამბარები ჩავარდნოდა და ტყავიც რამდენიმე ადგლას გადაგლეჯოდა⁶⁴⁷“ მიგვაჩნია, რომ ინტერიერი სრულად არის წარმოდგენილი, ხატვა სადღაც იმპრესიონისტულ სტილშია შესრულებული, მაგრამ ჩვენ, ინტერიერის მთავარ კომპონენტად, მის კომპოზიციურ დასრულებად მიგვაჩნია ოთახში ამ აპარტამენტის მფლობელის გამოჩენა, მისი პორტრეტი, რომელიც სრულ ჰარმონიაშია გარემოსთან. ავტორი იშვიათი ტაქტით და მისდამი აღძრული სითბოთი ორიოდე შტრიხით მოხაზავს მის პორტრეტს: „მერე ფარდა გადაიწია და მოხუცი კაცი გამოჩნდა. კაცს პერანგის სახელოები დაეკაპინებინა, პირსახოცით ხელებს იმშრალებდა.

⁶⁴⁷ **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ. 420-421.

დაბალი იყო, მელოტი, შინნაქსოვი უმკლავებო ჯემპერი ეცვა, შარვლიდან პერანგი ამოჩანოდა“. ვფიქრობთ, ინტერიერის სრულყოფილებაზე აქ ყველაფერი რიგზეა და აღარ საჭიროებს ზედმეტ კომენტარებს.

სამაგიეროდ, სხვა შემთხვევებში, ანალოგიური ფუნქციის მქონე ინტერიერის ხატვისას, რეტარდაცია უფრო ხანმოკლე დროისაა, თითქმის არ აფერხებს თხრობის ტემპს, თუმცა ტიპიური გარემო სხარტად, მაგრამ დამაჯერებლად არის აღწერილი. ზუსტად გადმოსცემს ჯერ მხატვრის პროფესიონალურ გარემოს - გავიხსენოთ პაპუნას სახელოსნო, მაგდას და ზაზას მიერ აღქმული და შემდეგ ხიდების მშენებელი ინჟინრის ადამის საცხოვრებელ ვაგონ-ქოხის ინტერიერი. აღწერა აქაც შედარებით ნეიტრალური, თუმცა ტიპიურია. ნეიტრალურია ემოციის გამოხატვის თვალსაზრისითაც, ანუ წმინდა ფსიქოლოგიურობის თვალსაზრისით, აქ ნაკლებად შეინიშნება ავტორისეული ინტროსპექცია.

ფსიქოლოგიური მოტივაცია ძლიერია ინტერიერს ხატვის სამ შემთხვევაში. აქ, კონკრეტული ინტერიერის აღქმისას, გარკვეულ როლს თამაშობს სასიყვარულო იმპულსების სიჭარბე. მთხრობელი, ავტორი უკვე თავად პერსონაჟს უთმობს ასპარეზს. ეს ფაქტორი უფრო მეტად ადამს უკავშირდება, ხოლო, ზაზასთან კავშირში იგი უფრო ფრაგმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს.

გავიხსენოთ კბილის ექიმის სახლიდან გამოსული ადამის ფიქრები, რომელიც თინას შეეხებოდა. ეს არის სწორად ის ფსიქოლოგიური მოტივი, რომლითაც უნდა აიხსნას და განიმარტოს ინტერიერი, ის სივრცე, სადაც დაგვირგვინდა ადამის მიერ გადადგმული ნაბიჯი: „...ადამი გზას დაადგა, მაგრამ იქითკენ არ წასულა, საითაც ნათურა უნდა ყოფილიყო, მაშინვე გადაუხვია. თუმცა თავის თავს არ უმხელდა, იცოდა, რომ თინას სახლისკენ მიდიოდა. ქოხში სინათლე ენთო. ... პირდაპირ საკუჭნაოსკენ წავიდა: არ ფიქრობდა, რას აკეთებდა, რა შეიძლებოდა ყოველივე ამას მოჰყოლოდა, არაფერი აღარ ახსოვდა, ვერაფერს გრძნობდა, იცოდა მხოლოდ, რომ თინა უსათუოდ უნდა ენახა.

კარი შეალო ⁶⁴⁸“.

მთხრობელს რომ კარგად ესმის ადამისა, მშვენივრად რომ ჩასწვდომია მის განცდებს, ფიქრთა დენას, მის განწყობილებას, დასტურდება ადამისეულ აღქმული გარემოს კონტურების მოხაზვისას, რომლის ეპიცენტრი, მთავარი „სამკაული“ თინას პიროვნება არის: „კარი შეალო. პირველად ეგონა, ვერაფერს დაინახავდა, მაგრამ ყველაფერი საოცრად

⁶⁴⁸ **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ. 426-427.

ცხადად დაინახა: ქალი სარეცხს რეცხავდა. ტაშტზე დახრილიყო და თმა ჩამოშლოდა. სახელოები მხრებამდე აეკაპინებინა და ხელები აქაფებულ საპონში ჩაემალა. იქვე, ოთახის კუთხეში, ნავთქურაზე ვეება ქვაბი იდგა, ქვაბში გამოსახარში სარეცხი ეყარა. ოთახს ერთი ფანჯარა ჰქონდა. ფანჯრის რაფაზე თიხის ქოთნებში ჩარგული, დამჭკნარი ყვავილები მოჩანდა. ფანჯარაზე ხელით ნაქარგი ტილოს ფარად იყო ჩამოფარებული. კუთხეში მაგიდაზე ჯამ-ჭურჭელი ელაგა. კედელზე კალენდარი იყო გაკრული, თუმცა ფანჯარა გამოღებული იყო საპნისა და ნახარში სარეცხის სუნი მანაც იდგა. ქალმა თავი ასწია და შეხედა. ჯერ ვერ იცნო, ვერ იცნო, თუ ვერ დაინახა. მერე სახე შეეცვალა, ტაშტიდან ხელები ამოიღო და წინსაფარზე შეიმშრალა“⁶⁴⁹.

საწყისი მოტივაციის თაობაზე ზემოთ აღვნიშნეთ, ახლა აქ ხილული უთუოდ პერსონაჟის შინაგანი სამყაროს პრიზმაში უნდა იქნეს გადატეხილი და ამით ერთიანი სურათი უნდა შეიქმნას. აღელვებული ადამისაგან განსხვავებით ქალი საკმაოდ მშვიდად გამოიყურება.

ტექსტიდან ვრწმუნდებით, რომ ერთი მეორეს განაპირობებენ პერსონაჟთა განწყობილებები და ინტერიერის დახამული, სარეცხის ობიექტით გაზავებული გარემო.

როგორც ზემოთ ითქვა, ანალოგიური მოტივაციით უნდა დახატულიყო სულ სხვა გარემო სულ სხვა პერსონაჟებთან დაკავშირებით. აქ საუბარია ზაზას და მაგდას ურთიერთობაზე, მაგდას ოთახზე, ზაზას სტუმრობაზე მოსკოვში, მაგდასთან...

ადამისაგან განსხვავებით, ზაზას გრძნობა მაგდასადმი რალაც ინერტულია, ქოტურია. აკლია სიღრმე; უფრო მეტიც, ზაზას ბოლომდე ვერ გაურკვევია, რას წარმოადგენს მაგდა მისთვის. გავიხსენოთ მისი განცდები პაპუნას სახელოსნოში მაგდას მიმართ, მერე ერთი პატარა შემთხვევა – მათი ბადრისთან შეხვედრა და ზაზას არსებაში მომხდარი უცარი ცვლილება. იგრძნო, მაგდაც ძალზე ცივად დაშორდა მას, სხვათაშორის ნათქვამი ბოლო სიტყვები მაგდასი: „თუ მოსკოვში შემთხვევით ჩამოხვალთ, მნახეთ, - და მისამართი უთხრა“. ზაზა მოსკოვშია. სამწუხაროდ მაგდა ქალაქგარეთ წასული დახვდა. ვერც მეორე დღეს მიუხსნრო შინ. საგულოსხმოა ზაზას გაფიქრება - „წუხელ რომ არ დამელია, ადრე ავიდოდი და ვნახავდი. წუხელ ერთხელაც არ გამხსენებია მაგდა... მაგდამ ჩანთიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო. დერეფანში ბნელოდა. მაგდამ სინათლე აანთო. პალტოს დასაკიდი ადგილი არ იყო. ... კედელზე თხილამურები

⁶⁴⁹ **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ. 427.

იყო მიყუდებული. ... ისინი მაგდას ოთახში შევიდნენ. ოთახშიც საკმაოდ ბნელოდა, მაგდამ აქაც აანთო შუქი. პატარა ოთახში ტახტი, მაგიდა და ნიგნების კარადა იდგა. კედელზე ჟურნალიდან ამოხეული ჰემინგუეის სურათი იყო გაკრული. სანოლზე მაგნიტოფონი ედგო⁶⁵⁰.

როგორც იყო ადამიანის შინაგანი განწყობილება, ისეთივე მშრალი, ძუნწი და ესკიზური გამოდგა ინტერიერის აღწერა. შემდგომი განვითარება მოვლენებისა, ურთიერთობა ამ ორ პიროვნებას შორის უფრო რელიეფურს ხდის გარემოს: „ოთახში დაძაბული სიჩუმე იდგა. ასეთი სიჩუმეა მაშინ, როცა ადამიანები ხვდებიან, რომ რალაც უნდა თქვან, მაგრამ ვერ კი ამბობენ, ხმის ამოღება არ შეუძლიათ. გრძნობენ, თითოეულ ყალბ სიტყვას შეუძლია დაამსხვრიოს ყველაფერი, სარკმლის მინები ... ოთახი ... სახლი“⁶⁵¹.

ყველაფერი ნათელია. თუ გავიხსენებთ ზაზას ურთიერთობას ზაირასთან, გარკვეული სიმპათიის გამოვლინებას ნინიკოს მიმართ და ახლა ურთიერთობას მაგდასთან, უნდა დავეთანხმოთ ბ-ნ ჯანსუღ ღვინჯილიას აზრს ზაზას სასიყვარული თავგადასავლების შეფასებაში: „ზაზა გამუდმებით ეძებს სიყვარულს. სტიქიურია თუ გაცნობიერებული ეს ძიება, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, იგი აქეთ-იქით აწყდება და ფაქტიურად არც იცის, რა უნდა, რას ეუბნება გული, როგორ უცრუვდება იმედები, უღარიბდება გრძნობა, ეძლევა გაუცხოვების ეპიდემია, თითქოს გადაქანცული გული უძღურია ფეხი მოაკიდებინოს გრძნობას, ბოლომდე შეიგრძნოს და გაითქვიფოს მასში, როგორც მარადიულ არსში“⁶⁵².

ინტერიერის კომპიზიციურ ფუნქციაზე საუბარი განსახილველ რომანში გვსურს დავამთავროთ ნვიმიან პატარა ქალაქის სატუმროს ლუქსის ინტერიერის განხილვით. აქ ინტერიერი „განზეა გამდგარი“ პერსონაჟთა განცდებისგან. ავტორი თავშეკავებული იუმორით, ოდნავ შესამჩნევი ლიმილით გადმოგვცემს პერიფერიისადმი ტიპიურ, დამახასიათებელ პატარა გარემოს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რეალისტურობას, კოლორიტულობას ადასტურებს. თუმცა, ლუქსის გარკვეული ნივთების უკან მოიაზრება მომსახურე პერსონალი: „...საკმაოდ დიდი ოთახი იყო, მაგრამ ნივთებით ისე გაევსოთ, რომ ადვილად ვერ მოტრიალდებოდი.

⁶⁵⁰ **თამაზ ჭილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ. 548-549.

⁶⁵¹ **თამაზ ჭილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ. 550.

⁶⁵² **ღვინჯილია ჯანსუღი, თამაზ ჭილაძე**, რჩეული ორ ტომად, პროზა, ტ.2, თბ., 1983, (თამაზ ჭილაძის შემოქმედება), გვ.615.

რა არ იდგა აქ: ორი კარადა, ორი მაგიდა, ექვსი მძიმე სკამი, პიანინო, ორი დაბალი ტყავის სავარძელი, ტელევიზორი, უზარმაზარი რადიოლა. სანერ მაგიდაზე ტელეფონი იდგა. მაგიდის შუაში ვეებერთელა ბრინჯაოს სამელნე მოჩანდა. სამელნესთან ბრინჯაოს ლომები განოლილიყვენენ. ეტყობოდა, ეს ნომერი სასტუმროს სიამაყე იყო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ამ ოთახის გასავსებად ადმინისტრატორს შინიდან მოეტანოს ნივთები...⁶⁵³.

როგორც მოკლე ანალიზმა დაგავრწმუნა, პეიზაჟიც, ინეტერიერიც გარკვეულ ეპიზოდებს ედება საფუძვლად, განსაზღვრავს ამა თუ იმ ქრონოტოპს; აქცენტი მაინც მოვლენათა გარეგნულ კავშირზე არის გადატანილი. თანამედროვე რომანის (და არა მხოლოდ თანამედროვესი) ანალიტიკოსები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ხოლმე თხზულებაში სიუჟეტის, ფაბულის შინაარსის გამაერთიანებელ საშუალებათა მიგნებას და მათი ფუნქციების განსაზღვრას, მათ ანალიზს.

ერთ-ერთ ამგვარ მხვატვრულ საშუალებად რომანში „აჰა, მიიწურა ზამთარი“ მივიჩნევთ მეტეოფაქტორებს – წვიმას და თოვლს, მათ სიმბოლურ მნიშვნელობა-გააზრებას. მათ როლს პერსონაჟთა ცხოვრებაშიც და აქედან გამომდინარე, სიუჟეტის წარმართვაშიც.

რომანის ქსოვილში წვიმის ფაქტორს უკავშირდება ძირითადად, ადამისა და იმ დაბა-ქალაქის სიუჟეტურ-ფაბულური ფუნქციები. ხოლო თოვლს – ზაზას ცხოვრებაში აქვს ნათამაშები თავისი როლი, თანაც უფრო მასშტაბურადაა წარმოდგენილი რომანში.

წვიმა ადამის ცხოვრების მიმართ ერთგავრად „პასიურია“, ის მხოლოდ მეტეოროლოგიურ ატმოსფეროს ქმნის და ქვეტექსტით მიანიშნებს, რომ დაბა-ქალაქი დასავლეთ საქართველოშია, ზღვისპირეთის მიდამოებში. მისი სიხშირე იმითაცაა მინიშნებული რომანში, რომ ამ დაბაში საზოგადოების წევრების ამოცნობა ქოლგებითაც ხდება შესაძლებელი.

წვიმას განსაკუთრებით ზაზას ძმა მამია შეჩვეოდა. ის ქოლგას კარგ ამინდშიც კი არ იშორებდა ხოლმე. მამია „წინათ ქოლგაიან კაცს რომ დაინახავდა, გაეღიმებოდა ხოლმე. ახალა ამ წვიმებმა ისე შეაჩვია ქოლგას, ვითომც არაფერი. დაბაში ქოლგა თითქმის ყველას ეჭირა. ინტელიგენცია ხომ ხომ სულ ქოლგებით სეირნობდა. ქუჩაში ერთმანეთს ქოლგებით ცნობდნენ“⁶⁵⁴.

⁶⁵³ **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აჰა, მიიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ.636-637.

⁶⁵⁴ **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აჰა, მიიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ.472.

ადამთან დაკავშირებით კი წვიმა უფრო ფრაგმენტალურია. გავიხსენოთ ბავშვის წაყვანასთან დაკავშირებული ინცინდენტი, მისი ფინალი. „ადამმა თავი ჩაღუნა... აღარ გაუგია, როგორ წავიდ-წამოვიდნენ დანარჩენებიც, როგორ განვიმდა ისევ. გული ჰქონდა დამძიმებული და ყრუდ სტიკოდა“ ან, „წვიმდა: ადამს ხელები გაეყინა“. ხშირადაა ნათქვამი - „გააჭირა ამ წვიმამ საქმეო“. ან, „ადამი წვიმაში მიდიოდა“ ... და ა.შ. მხოლოდ ერთგან შევხვდებით ერთგვარ „დახასიათება-დითირამებს“ წვიმის შესახებ და იმასაც ნეიტრალურს, ზოგადს, თანაც არც თბილისში მოსულ წვიმაზე, არამედ ზღვაზე: „მომაბეზრებელია წვიმა ზღვაზე!

ღრუბელი ზღვაზეა ჩამოსული – ცის ოკეანის უზარმაზარი მედღუბა – და ბოლოები ზღვის ზედაპირზე ეთრევა. ხანდახან, წამით თუ მზემ გამოაჭყიტა, ათასფრად ელავს, როგორც წყალზე დასხმული ნავთი.

წვიმის ხმა ნელ-ნელა იზრდება. ეს ხმა უფრო შემანუხებელია, ვიდრე თვითონ წვიმა. ის მოურიდებელია, როგორც ალიონზე მენავთის ზარის ხმა, დილის ყველაზე კარგ სიზმარს უკვალოდ რომ ჰკარგავს. წვიმის ხმა თითქოს წვიმისაგან დამოუკიდებლად არსებობს, წვიმა თავისთვის მოდის, ამ ხმას კი თითქოს თავისი საქმე აქვს – შური იძიოს შენს სიმშვიდეზე, შელამებისას შეგანჯღღრიოს და უამრავი, გაყინული, წვრილი ხელით გამოგათრიოს იმ პატარა, თბილი გამოქვაბულიდან, ძილი რომ ჰქვია⁶⁵⁵. ამ შემთხვევაში წვიმა ზაზას განწყობილების გადასახედიდანაა დანახული. ის ერთგვარ კონტექსტშია პერსონაჟის განწყობილებასთან, რასაც ვერ ვიტყვით დაბა-ქალაქის წვიმის ფუნქციაზე.

ლოგიკური გამართლება აქვს იმას, რომ უფრო ვრცელი სიუჟეტური დატვირთვა მოდის თოვლზე, ზამთრაზე, ატმოსფეროს შექმნის გარდა, მას გარკვეული კომპოზიციური ფუნქციაც გაჩნია.

წვიმა და თოვლი სიზმარშიც არ ტოვებს ზაზას: „რასაც ის ცხოვრებას ეძახდა ... ჯერჯერობით გაურკვეველი ბურუსით იყო მოცული, მაგრამ ამ ბურუსს შიგნიდან რალაც ანათებდა, ღრუბელში გამომჭვირვალე მზის სხივით და ფერს უცვლიდა.

მერე ნაცრისფერი ღრუბლები დაინახა, მერე ამ ღრუბლებს აქეთ-იქით სწევდა, თითქოს წვიმით დამძიმებულ ყანაში მიდიოდა. მერე უცებ გაყინულ მიწაზე დადგა ფეხი. ირგვლივ არაფერი მოჩანდა, რადგან ბარდნიდა. ზაზა მიდიოდა, თუმცა არ იცოდა, სად იყო, ან სად აპირებდა მისვლას“⁶⁵⁶.

⁶⁵⁵ **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ.589-590.

⁶⁵⁶ **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ.467.

აქვე უნდა დავუბრუნდეთ წვიმის თემას ზღვაზე, რადგან სწორედ მის ფონზე უჩნდება ზაზას თოვლზე ფიქრი. ფრიად სერიოზული კონტექსტში ჩაერთვება თოვლის თემა. ზაზა ჩაუფიქრდა თავის ცხოვრებას, მოკლედ შეაფასა განვლილი გზა. იგი საკმაოდ თვითკრიტიკულია: ოცდაათი წელი გავიდა და ჯერ არაფერი გამიკეთებიაო. „ვზივარ და რალაცას ველოდები ... თავს ვატყუებ, რომ ველოდები და თანდათან ყველაფერი მაინწყდება, რაზედაც ვფიქრობდი, რისი გაკეთებაც მინდოდა. აი, მაგდაც, განა ისიც თანდათანობით არ მაინწყდება? თითქოს თოვლი ფარავს ... თოვლი, თოვლი...“⁶⁵⁷.

ასე მტკიცედ ჩაებეჭდა ზაზას თავში მაგდასთან თოვლის ასოციაცია და მწერალმაც ისეთი მშვენიერი გაგრძელება მოუნახა ამას, რომ შედეგად მივიღეთ მალამლხატვრული სიუჟეტურ-ფაბულური კავშირი.

სიუჟეტის მიხედვით ნელ-ნელა მივიწვევთ კვანძის გახსნისაკენ. აგერ „თბილისში დიდი თოვლი იყო“. „რუსთაველის პროსპექტი თოვლში ისე იყო ჩაფლული, თითქოს საიდანაც ახლახან ჩაემოეტანათ და ბამბაში შეფუთვნილი ჯერ არ გაეხსნათ. ქუჩა მოყინული იყო და ალაგ-ალაგ სარკესავით ბრწყინავდა“⁶⁵⁸.

ზაზა მოსკოვშია, მაგდასთან სურს შეხვედრა.

ავტორი ფრთხილად შედის ზაზას სულიერ სამყაროში. ზაზას ფრაგმენტებად ახსენდება მაგდასთან დაკავშირებული მოვლენები და ისევ წინ წამოიწია თოვლის თემამ: „...მერე თოვლი მოვიდა. სწორედ ამ თოვლმა აურია თავგზა, იმან გაახსენა მაგდა, უკვე დავინწყებული რომ ეგონა. ახლა თოვლს აბრალებდა ყველაფერს. თუმცა ეს შეიძლება საკვირველად მოგეჩვენოთ, მაინც ამაში სიმართლის ნატამალი ერია“⁶⁵⁹.

„დასასრულში“, ვიდრე ძირითად სათქმელს იტყვის ავტორიცა და ზაზაც, მოკლედ, მაგრამ დინამიურად აღწერილია ახალგაზრდების დროსტარება მაგდას სახლში. არაჩვეულებრივი არაფერი ხდება. უბრალოდ სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდები მხიარულობენ. ამ დროს ზაზა ტელეფონზე დაურეკავს, ყურმილს მაგდას გადასცემენ. მათი სატელეფონო საუბარი მოკლე, მაგრამ ყველაფრის მთქმელია.

ზაზამ კარგად დაიჭირა ფსიქოლოგიური ნიუანსი მისდამი მაგდას

⁶⁵⁷ **თამაზ ჭილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ. 593.

⁶⁵⁸ **თამაზ ჭილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ. 622.

⁶⁵⁹ **თამაზ ჭილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აპა, მიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ. 547.

დამოკიდებულებისა ინტონაციაშიც. ამიტომ ლოგიკურია მის მიერ გამოტანილი დასკვნა, რომელიც მაგდასთან ურთიერთობის საბოლოო განწყვეტას ნიშნავდა: „ხუთი წელიწადი მისი ფიქრი მაგდათი იყო სავსე და ახლა ყველაფერი გათავდა. თოთქოს გული უგრძობდა, რომ ადრე თუ გვიან ასეც უნდა მომხდარიყო. ხუთი წელიწადი უყვარდა და ალბათ, მუდამ ეყვარებოდა. ყურმილს რომ კიდებდა, მიხვდა, თუმცა ყველაფერი გათავდა, მაინც არაფერს შეეძლო ამ სიყვარულის ადგილი დაეჭირა. ეს სიყვარული უცებ მოგონებდა იქცა, ამ მოგონებით კი ცხოვრება შეიძლებოდა“⁶⁶⁰.

ამ ნაფიქრს მოსდევს პეიზაჟი, რომელიც სხვებზე მეტად ატარებს სიმბოლურის ხასიათს. ხსნის, განმარტავს მთავარი გმირის განცდა-განწყობილებას, იმავდროულად არის კვანძის გახსნაც და რომანის სათაურში ჩადებული ინფორმაციის გამჟღავნებაც გაფიქრებული მთავარი პერსონაჟის მიერ: „თოვლი სახურავებსა შემორჩენოდა. ისიც აქა-იქ შავ ჩრდილებივით მოჩანდა, ცასაც თითქოს აქამდე თოვლის ბადე ეფარა, ახლა უცებ უამრავი ვარსკვლავივით გამოიჭყიტა. ჰაერიც შეცვლილიყო, ის ჯიუტი სუსხი აღარ ჰქონდა. ... ორსართულიანი სახლის წვიმის მილის პირზე ლოლუები ეკიდა. ზაზამ დაინახა, ყინულის ლოლუებიდან წყალი როგორ წვეთავდა. აი, თურმე რა ყოფილა ის ხმა, უკვე დიდი ხანია რომ ესმოდა, - მაშინაც, - როცა ტელეფონის ჯიხურში შედიოდა, მაშინაც, - როცა მაგდას ელაპარაკებოდა.

მივიდა და ყინულის ლოლუას პეშვი შეუშვირა. წვეთები ტყაპანით ეცემოდა ერთმანეთს და პეშვი ნელა ივსებოდა.

აჰა, - თქვა ხმამალა ზაზამ, - აჰა! - და პეშვი წინ გაიშვირა, თოთქოს ვილაცას სასწაული დაანახავო.

აჰა, მიიწურა ზამთარი ...“

ზაზას მიერ წარმოთქმული სიტყვებით ნათელი გახდა სათაურის სიმბოლური დატვირთვა. ეს არის ზამთრის არტახებისგან თავდახსნილის შინაგანი, დაფარული, სადღაც თავისუფლებას ნაზიარები ოპტიმიზმის გამობატვა, რომელიც თავის თავში გარკვეულ ემოციურ მუხტსაც შეიცავს.

რომანის პოეტიკის თვალსაზრისით, დავრწმუნდით იმაში, რომ თითოეულმა პეიზაჟმა, თითოეულმა ინტერიერმა თავისი კომპოზიციური ფუნქცია შეასრულა და ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა მწერლის ხელწერაზე, სტილზე. პეიზაჟი უმეტესწილად მყარ კომპოზიციურ დატვირთვასაც ასრულებს და იმავდროულად ადამიანთა სულიერი მდგომარეობის კონ-

⁶⁶⁰ **თამაზ ქილაძე**, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი პირველი. მოთხრობები. „აჰა, მიიწურა ზამთარი“ (რომანი). თბ., 1994, გვ.662.

ტექსტშიც მოიაზრება. დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ამ კომპონენტებს რაიმე კარდინალური ძვრები არ გამუწვევიათ პერსონაჟთა სულიერ სამყაროში. არ უთამაშიათ მათი ცხოვრებისეული სიტუაციების მკვეთრად შეცვლის როლი. ყველა პასაჟი ემსახურება სიუჟეტის დინამიკურად გადმოცემის ესთეტიკური ეფექტის მიღწევას – ხან რეტარდაციით, ხანაც მისი არელიდან გასვლით. უდაოდ გასაზიარებელია კრიტიკოსთა შეხედულება იმის შესახებ, რომ რომანებში პეიზაჟის ხატვისას პროზაიკოს თამაზ ჭილაძესთან შედარებით პოეტ თამაზ ჭილაძეს ანიჭებენ უპირატესობას.

Marine (Khatuna) Kuxalashvili

The aesthetic function of the sceneries in the novel “Winter is Over“ by Tamaz Chiladze

In the novel „Winter Is Over“ a certain place is dedicated to the scenery of nature. By using the sceneries, the most significant is assigned to personalization, the harmonious unity of the relationship between men and the sceneries is also clearly depicted in the metaphors.

The sophisticated esthetical experience is vividly revealed with the help of a wide range of comparisons. Due to his specific skills, the writer uses retransmission, which is the method of composition by which the writer tries to intrude into the character’s inner soul by introducing description, thus delaying the dynamism of the plot. Apart from personalization, there are other tropes as well.

According to the poetic side of a novel, we are certain that each of the scenery and each of the interiors has implemented its function, thus creating the awareness of the writer’s style and handwriting. In most cases, the scenery has a role of strong composition and it’s also considered in the context of a person’s inner soul.

Overall, the above-mentioned components have not made any significant influence on the characters’ subconscious world, thus have not determined and even changed their lifestyles. The aim of every passage is to achieve the esthetical effect of dynamism by retransmission or by breaking its boundaries. Undoubtedly, the point of view of literal critics should be taken into consideration in the field of drawing descriptive sceneries, a priority is assigned to the poet Tamaz Chiladze, rather than the prosaist Tamaz Chiladze.

თამარ ბელიტაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

რლვევის მათიანე (კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ მიხედვით)

საკვანძო სიტყვები: ეპოქა, ათეიზმი, ბოლშევიზმი, ნიცშეანელობა

„მთვარის მოტაცების“ - ამ მრავალპლანიანი, ვრცელი პროზაული ნაწარმოების აზრობრივ შინაარსს აკაკი ბაქრაძემ „ეპოქის სიკვდილი“ უწოდა: „ეპოქის სიკვდილი ტრაგიკულია მით უმეტეს, რომ კვდება არა მარტო ის, რაც უვარგისი და მახინჯია, არამედ ხშირად ისიც, რაც ვარგისი და მშვენიერია“⁶⁶¹. მართლაც, „მთვარის მოტაცება“ ტოტალური სიკვდილიანობით ხასიათდება. იხოცებიან წარმართულ-ქრისტიანული, ფეოდალური თუ დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები, ანუ თითქმის ყველა, ვინც ძველი ცხოვრების ნაშეირია (მაია ემხვარი, ნომრევან ფარჯანიანი, ლომკაც ესვანჯია, თარამ ემხვარი, თამარ შარვაშიძე, კაც ზვამბაია, ლუკაია ლაბახუა, ქორა მახვი...). როგორც აკაკი ბაქრაძე ამბობს: „ეს ადამიანები ლანდივით გაჰყვინენ თავიანთ ეპოქას“⁶⁶², მაგრამ რომანის სიუჟეტის ტრაგიკულობას ოდენ პერსონაჟთა მასობრივი სიკვდილიანობა არ განსაზღვრავს. ადამიანებთან ერთად კვდება და ნადგურდება ძველი საგნები, ნივთები თუ ადათ-ნესები - როგორც წარმართული რიტუალები და შეხედულებები, ისე ქრისტიანული ღირებულებები.

ძველი დროების აღსასრული რომანის არაერთ ეპიზოდში ხმიანობს. საამისოდ ჯახანა შარვაშიძის იავარქმნილი საფლავისა და, ზოგადად, საქონლისაგან შებილწული იმ სასაფლაოს გახსენებაც კმარა, სადაც ჯახანა განისვენებდა. სასაფლაოზე გამეფებული მდგომარეობა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ: „მინაზე გადავლილი გრიგალი მიწის ქვეშ ბინადართა თავმოყვარეობასაც შეხებოდა და მიეღენა აქ ყოველივე“.⁶⁶³

⁶⁶¹ ბაქრაძე ა., თხზულებანი, ტ. II, მთვარის მოტაცება, გვ. 232, „ნეკერი“, „ლომისი“, თბ.: 2004.

⁶⁶² ბაქრაძე ა., თხზულებანი, ტ. II, მთვარის მოტაცება, გვ. 233, „ნეკერი“, „ლომისი“, თბ.: 2004; გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

⁶⁶³ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 534. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

ახალი ცხოვრების ქარტიხილმა ერთნაირი უღმობლობით გადაუარა წარმართსა და ქრისტიანს, გვაროვანსა და ჩინოსანს:

„იავარქმნილი იყო მთელი სასაფლაო.

გალავანი აელთ ჩრდილოეთისაკენ, უზარმაზარი ცაცხვი მოეჭრათ, ღორები ჩიჩქნიდნენ მიწას, ბატების სკორეთი წაბილწულიყო სამარის ღოდები. წამოექციათ ფრთაგაშლილი ანგელოზები. ისინი პირქვე დამხობილი ეყარნენ მიწაზე, თითქოს მეორედ მოსვლას შეგებებიანო. უწესრიგოდ ეყარა მიწაზე ღოდების ნამუსრევი, ჯვრების ნამსხვრევეები, „ინფანტერიის გენერლების“, „კოლეჟსკი ასესორების“, „კნიაზების“, ეპისკოპოსების, „მისი იმპერატორული უდიდებულესობის კონვოის ოფიცრების“ ტიტულუბიანი წარწერები. მათი სახელი ფეხით გაეთელათ ღორებს, სკორეთი და კურკლით წაებილნათ და მოესვართ...“⁶⁶⁴

უდიდესი მკრეხელობაა მიცვალებულთა სამარხების ხელყოფა, მაგრამ ბოლშევიკური იდეოლოგიისთვის უცხო იყო ამქვეყნად ეთიკისა და ზნეობის ნორმები. ისინი ძველი ყოფის სრული ამოძიკვა-ამოშანთვისთვის მოდიოდნენ სათავეში. ამიტომაც ასახა კონსტანტინე გამსახურდიამ ასე მძაფრად სასაფლაოს ეპიზოდი.

ეპოქის ატმოსფეროზე გვიქმნის წარმოდგენას გავერანებული ეკლესიაც, რომელიც „სიციარიელის, სიჩუმისა და ბნელის“ წიაღად ქცეულა ნაწარმოებში, სადაც მოხუცი მღვდლის „უნიათო პუტუნი“ უკანასკნელ ექოსავით გაისმის, ხოლო დიაკვნის უღიმამო ფსალმუნება ქრისტეს ჯვარცმის მისტერიას გვამცნობს, როგორც რომანში განვითარებულ საყოველთაო აგონიის ანალოგიას.

სასაფლაოს მსგავსად, იავარქმნილია უფლის სახლიც:

„შარავანდგახუნებული წმინდანები ლანდებივით აწურულიყვნენ კედლებზე... კირჩამორეცხილ გუმბათზე გადმოკიდებულიყო გრძელწვერიანი ღმერთის ჩამოხეული კალთები. თავი წაერეცხა წვიმას, ასე რომ, თავმოჭრილ კაცს დამსგავსებია იგი, ხუცის გახუნებულ სამოსში მორთული. ფანჯრები ჩაულენია ქარს, მლამიობები დარიალებდნენ ჩამოხნეულ თაღების ქვეშ...“⁶⁶⁵

ეპოქის რღვევა სუფევს ნოშრევან ფარჯანიანის ოჯახშიც. იმდროინდელ ზოგად მდგომარეობას ამძაფრებს ნათავადარის სახლში არსებული ქართველი მეფეებისა და ეროვნული გმირების წაბილწულ-შელახული სურათები, როგორც ამკარა ნიშანი ჩვენი ეროვნულ-კულტურული ღირებ-

⁶⁶⁴ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცებ“, გვ. 34. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

⁶⁶⁵ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 35. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

ულებების ნგრევისა:

„ნამდვილი ბაბილონური აღრევა სუფევდა ირგვლივ. ჩალენილი მინების ნაცვლად ბროკჰაუზის ენციკლოპედიისა და გეოგრაფიული ატლასის ყდები იყო გახირული ფანჯრებში. ერთ კედელზე ვახტანგ VI-ის სურათი ეკიდა (საესებით მტვერში ამოთხვრილი) და ერთიც თამარისა... (ამ სურათს მჭვარტილიანი აბლაბუდები მოსავდა კიდურებზე და თეთრი ფონი ბუზებს მოესკინტლათ და წაებილნათ). მერმე უნესრიგოდ ეკიდა კედელზე ყარსის, ერევნის და ლუბინის ამლებ ქართველ გენერლების გამომხუნებული ფოტოგრაფიები...“

დარბაზი სამეზის გაეტიხრათ ფარატიანი ნოხებით და ჯეჯიმებით. ამ ხელოვნურ კედლების გაყოლებით ფაშეებგამოყრილი ოტომანები და სავარძლები იყო მიყრილი; ზოგ მათგანს ბამბა გამოსცვენოდა, ზოგსაც - მოშლილი ზამბარები. უზარმაზარი, შავი მაგიდის გარშემო თორმეტიოდე საპირეშემოხეული სავარძელი ელაგა, ექვსიოდე საჯდომგამოხეული სელის სკამი, რამოდენიმე დანჯღრეული, ფეხებმონგრეული ქართული სავარძელი. სარჩულგამოფატრული მუთაქები ეყარა მათზე. სარკეჩალენილ ტუალეტის მაგიდებს ქვეშ ქუდის კარტონები, გაუნმენდელი ფეხსაცმელი მოსჩანდა. კედლების კაჩხებზე ძველებური ჯაზაირები, ხმლები და ქართული სატევრები ეკიდა. ერთ კუთხეში ძველებური პიანინო იდგა, „ბექკერის“ ფირმისა, მასზე უნესრიგოდ დაბნიათ ნოტების დაფხრენილი ფურცლები. სანთელჩამოღვენთილი შანდლები ზედ იდგა და მწერებისგან მთლად წაბილწული მალალი ვაზები.

ბუხრის თავზე წამლების და ოდეკალონების თავნამტვრეული ფლაკონები ეწყო, კაროლინამ ორ შესანიშნავ ვაზას დაადგა თვალი. ორივესთვის სახელური მიემსხვრია დაუდევარსა და უხიავ მომხმარებელს.

და წესრიგის მოყვარულმა გერმანელმა ქალმა შენიშნა მისვე:

აქ არც ერთი საგანი თავის ადგილზე არ იდგა. არც ერთი ნივთი ჯეროვნად არ იყო მოვლილი და ყოველი მათგანი მჭევრად ამხელდა უცილო ნგრევისა და რღვევის მატიანეს“⁶⁶⁶.

როგორც ითქვა, რღვევა მატიანესი საგნებსა და მოვლენებში ისევე მასშტაბურად იგრძნობა „მთვარის მოტაცებაში“, როგორც ადამიანთა სიკვდილიანობაში.

საფუძვლიანად არის მოშლილი ვარდანიძე-ემხვართა სამემკვიდროც. გარდა სახლ-კარისა, საძირკვლიანად განადგურებულა თარაშის საყვარელი საგვარეული კოშკიც, როგორც ბურჯი და სიმბოლო მისი და მისი

⁶⁶⁶ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 364. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

წინაპრების ძლიერებისა:

„აქ უარესი ნგრევის სურათი წარმოუდგა ემხვარს. თავჩამოლენილი ქონგურები და დაუხვდა, ნესტიანი, ბნელი თალები, დანგრეული კედლები და ჩამოლენილი გვირაბები. გადაედრიკა ეკლესიის გუმბათი საუკუნეთა სიმძიმეს და თქემს, საშინელი სიმაღლიდან ძირს დაშვებულიყვნენ ჩუქურთმიანი თავკიდურები, ბარელიეფები, გრანიტის სვეტები შექანებულიყვნენ... დადუმდა დაქცეული საკურთხეველი. ერისთავებისა და ეპისკოპოსების შარავანდგახუნებული, გადარეცხილი ფრესკები, უშველებელი სიმაღლიდან დაშვებული თავკიდურები, ფასადის ჩუქურთმები, ხუცური წარწერებით დალადრული ფიქალები, საფლავის ქვები, დაცერებული ლოდები ეყარნენ ირგვლივ. ხვლიკები დაშლიგინობდნენ სუროში, ავრესს და გვიმრას დაებურდა ბასტიონები“⁶⁶⁷.

სვანეთიდან ოქუმში მობრუნებულ არზაყან ზვამბაიასაც იავარქმინილი დაუხვდა მამისეული კარ-მიდამო:

„ჭიშკართან შეაყენა ცხენი (არზაყანმა - თ.გ.), მაგრამ ეს ჭიშკარი მამისეულს არა ჰგავს. მუხის ყავარი ქარს გადაუცლია, სვეტები თითქოს ნაკიდებულანო, ერთს მხარმარჯვნივ გაუნწვია, მეორეს მხარმარცხნივ და გაუჩაჩხავთ ზედ დაკიდული კარები... მარცხნივც შარა შეუბამთ და მარჯვნივც და ნაჭიშკრალი დგას ისე, შნოსთვის. მესერი დაურღვევიათ... ეზოში შევიდა და ძაღლებიც აღარსად სჩანან... კაკალიც გადაუჭრიათ და მაგნოლიის ხე ქარსა და თოვლს დაუღენია. რამდენიმე კოპიტიც ძირში მოუჭრიათ. საერთოდ, ნაპარტახებს დამსგავსებია კაც ზვამბაიას ოჯახი... არც ერთი ძაღლი ხმას არ იღებს. ცხენიან კაცს გააფუჭებდნენ სხვა დროს ზვამბაიას ძაღლები...“⁶⁶⁸.

ჭიშკარჩამოვარდნილი კარი ოჯახის ფუძის მოშლასთან ასოცირდება. კვდება კაც ზვამბაია - ძველი, პატრიარქალური ცხოვრების წარმომადგენელი და მასთან ერთად მისი სახლიც ნასახლარს ემსგავსება, მაგრამ არზაყანს დიდად არ ადარდებს უჭიშკრო საცხოვრისი. მეტიც, ფიქრობს, რომ სულაც არა არის საჭირო ჭიშკარი. მას მამის მოძველებული ცნობიერებასავით სძულს კაცის ოდა-სახლიც. ამიტომაც, შინდაბრუნებული, მშობლიურ კერას სათოფეზეც არ გაეკარება. ამით ის საბოლოოდ წყვეტს კავშირს ძველთან, სამზადში დასახლდება და ძაბულისთან ერთად ახალ ცხოვრებას იწყებს.

⁶⁶⁷ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 605. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

⁶⁶⁸ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 598. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

„მთვარის მოტაცებაში“ თითქმის ყველაფერს, რასაც კი მეორეული პლანი გააჩნია, ორმაგი დატვირთვა აქვს - წარმართული (ზოგჯერ ნიცმე-ანული) და ქრისტიანული. ორმაგი მნიშვნელობით უნდა განვიხილოთ კაც ზვამბაიას ჭიმკრის სიმბოლურ-ალეგორიული ქვეტექსტიც, რომელსაც წარმართულ არქეტიპთანაც მივყავართ და ქრისტიანულთანაც:

ა) უძველესი წარმოდგენებით, სწორედ კარიბჭის მეშვეობით ხდებოდა ერთი სამყაროდან მეორეში გადაადგილება. ასეთ მნიშვნელოვან კარიბჭეს აუცილებლად სჭირდებოდა მცველები. კაც ზვამბაიას კარიბჭის (ჭიმკრის) მცველებს მისი ავზე-ავი ძაღლები განასახიერებენ, რომლებიც პატრონის სიკვდილის შემდეგ უკვალოდ გამქრალან. აღარ არის ჭიმკარი და, შესაბამისად, აღარ არიან მცველებიც;

ბ) სახარების მიხედვით, კარი თავად იესო ქრისტეს სიმბოლოა - „მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს (იოანე, 19:7-10). აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლურ ტაძრებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღსავლის კარს, რომელიც „ზეციური სასუფეველის კარიბჭეს“ წარმოადგენს.

ამდენად, ვინაიდან კომუნისტი არზაყანისთვის ჭიმკარი წარმართულადაც და ქრისტიანულადაც ძველი წარმოდგენების ნაშთს განასახიერებს, მაშინ გასაგებია, რატომ არ ნაღვლობს უჭიმკრო სახლს - ის ახალი ცხოვრების კაცია და ყველაფერი ძველი მისთვის მიუღებელია.

საგულისხმოა, რომ ნაწარმოების ბოლოს თარაშ ემხვარი საკუთარი ხელით კლავს თავის ძაღლს და ამ სასტიკ ქმედებას მაშინ ახორციელებს, როცა თავადაც აპირებს თვითმკვლელობას. თარაში თავისი გვარის უკანასკნელი ნაშიერია და, მის გაქრობასთან ერთად, საბოლოოდ გაქრება ვარდანიძე-ემხვართა გენეალოგიური შტოც. რადგანაც მისოუსტის სიკვდილის შემდეგ ძირფესვიანად უნდა მოიშალოს ემხვართა ფუძე (ჭიმკარი, კარიბჭე), შესაბამისად, ჭიმკრის მცველიც აღარაფერშია საჭირო.

„მთვარის მოტაცებაში“ განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ხეს, მეტიც: საგანგებო თავიც კი აქვს მიძღვნილი - „ჭადრების ქება“.

ქართულ მითოლოგიაში ხე ადამიანის სულის თანაზიარია და მისი მოჭრა ან გახმობა ოჯახის უფროსი წევრის სიკვდილს მოასწავებდა. ივანე ჯავახიშვილის გადმოცემით: „ხეთა მსახურების არსებობა ძველ დროსვე საქართველოში შეიძლება დამტკიცებული იყოს ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოფი კესარიელის მოწმობით, რომელიც მოგვითხრობს: აფშილე-ბი და აფხაზები „ჩვენ დრომდის თაყვანსა სცემდნენ ტყეებსა და ხეებსა, იმიტომ რომ მათ ხეები გულუბრყვილოდ ღვთაებად მიაჩნიათ“-ო. აფხაზებს ეს რწმენა ბოლო დრომდის მტკიცედა ჰქონდათ დაცული და დიდი

მონინებით სცემდნენ თავყვანს ხეებსა და მუხებსა⁶⁶⁹.

ხეთა სულიერების წარმართულმა წარმოდგენამ ქრისტიანობაშიც გადმოინაცვლა და მას რელიგიამ ღვთაებრივი ფუნქცია დააკისრა. არგუმენტისთვის ვაზის მოხმობაც საკმარისი იქნება: ძველი და ახალი აღთქმის ნიგნებში ხშირად იხსენიება ვაზი და ვენახი, როგორც ქრისტეს სიმბოლო. იოანეს სახარებაში (XV,1,5) ქრისტე ამბობს: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს“ ან: „მე ვარ ვენახი და თქუენ რტონი...“ (იოანე,15,5). ამის პერიფრაზია მეფე დემეტრე პირველის (დამიანეს) ჰიმნის სიტყვები: „შენ ხარ ვენახი ახლად აღყვავებული...“

ხეთა წარმართულ-ქრისტიანული პარადიგმების გათვალისწინებით, გასაგები ხდება, თუ რატომ მოჭრეს ბოლშევიკებმა ჯახანას საფლავზე ცაცხვი, კაცის ეზოში - ასწლოვანი კოპიტები, ალვის ხეები და მუხები (რომელთა შეხედვაც ძლიერ უჭირს არზაყანს, რადგან ეს ყველაფერი მამას ახსენებს მშობლის მკვლელს და სადღაც, სინდისის რომელიღაც კუნჭულში შემალული ჭია მოსვენებას არ აძლევს); ხეთა სრული აღსასრულია ნაჩვენები თარაშის ეზოშიც: „პაპისეული ცაცხვი მართლაც მოეჭრათ (ბოლშევიკებს - თ.გ.), ჭადრისა და მუხის ხეებს ხმოზა შეპარვოდათ, მოხუცებულ მსხლის ხეებს ფითრი მორეოდათ... მაგნოლიები თოვლს ჩამოეღვნა, გუნდის ხეები დაემსხვრია გასული ზამთრის ქარსა და თოვლს...“⁶⁷⁰.

ხეების ეპიზოდში ერთი ნიუანსი იჩენს თავს: როგორც ტექსტიდან ჩანს, თარაშის ეზოში არც ერთი ხე არ გადარჩენია კომუნისტებსა და ავდარს, ასეთივე სიტუაციაა ზვამბაიებთანაც, მხოლოდ მცირედი განსხვავებით: კაცის ეზოში მხოლოდ ლელვის ხეები ხარობს, მათთვის არც ბოლშევიკებს უხლიათ ხელი და ვერც ქარისა თუ ზამთრის სუსხი მორევიათ. ისიც საყურადღებოა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხე „წმინდა ხედ“ ითვლება, როგორც მითოლოგიურად, ისე ქრისტიანული სახისმეტყველებით. ამასთანავე, ყველა „წმინდა ხე“ ასწლოვანია, მხოლოდ ლეღვებია ახალგაზრდა.

ასწლოვანი ხეები პატრიარქატ ოჯახის უფროსთან ასოცირდებიან, რომლებიც კაც ზვამბაიასთან ერთად გამქრალან, ახალგაზრდა ლეღვები კი - ახალი ცნობიერებისა და იდეოლოგიის სახესთან, ათეისტ კომკავშირულ არზაყანთან.

ლეღვი ქრისტეს მიერ არის დაწყველილი, რადგანაც, სახარების

⁶⁶⁹ **ჯავახიშვილი ი.**, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 57 თბ.: 1951.

⁶⁷⁰ **გამსახურდია კ.**, მთვარის მოტაცება, გვ. 87. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

მიხედვით, იგი იმ იუდეველთა სახედ ითვლება, რომელთა გულშიც იესო ქრისტემ ქეშმარიტი ნაყოფი ვერ ჰპოვა. ურწმუნო არზაყანი ახალი ცხოვრების, ბოლშევიკური ათეიზმის სიოს არის აყოლილი, ამიტომაც იმ ეზო-მამულში, რომლის უფროსიც ახლა თავადაა, მხოლოდ იმ ხეებმა უნდა იხარონ, რომლებსაც არც წარმართული დატვირთვა გაჩნდათ და არც ქრისტიანული.

წარმართობისა და ქრისტიანობის ქადაგნი

ის ფაქტი, რომ ქრისტიანობამ იმემკვიდრა უძველესი რიტუალები და წარმოდგენები, ხოლო წარმართული კულტები ღვთაებრივ ასპექტს დაუქვემდებარა და ქრისტინული სახე-სიმბოლოებით ჩაანაცვლა, კიდევ ერთხელ საცნაურდება კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიაში.

„მთვარის მოტაცებაში“, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნაშლილია ზღვარი ქრისტიანობასა და წარმართობას შორის. მეტიც, რომანის სიუჟეტი გვიჩვენებს, რომ ეს ორი მოძღვრება იმდენად არის ერთმანეთთან შერწყმულ-შენანევერებული, თითქოს მათ შორის დროისა და ეპოქათა ცვალებადობა არ ყოფილიყოს ან ცნობიერებითი და სარწმუნოებრივი ევოლუცია არ განეცადლოთ. ეს ორივე ძალა კი, ერთად აღებული, დრომოჭმულ, მოძველებულ ცხოვრებას განასახიერებს, რომელთაც ერთნაირად ებრძვის ახალი ძალა - სოციალიზმი.

ამ მხრივ განსაკუთრებულად მეტყველ სახეს ქმნის შარვაშიძეთა ნაყმევი ლუკაია ლაბახუა - როგორც ავტორი უწოდებს: „უცნაური მისტერიების უანგარო მოგვი“, რომელიც ერთნაირი მონდომებით ეტრფის წარმართობასაც და ქრისტიანობასაც. ქრისტიანი ღმერთის შეურაცხყოფისთვის კომუნისტებს სწყევლის და, ამავდროულად, სრული წესების დაცვითა და დიდი გულმოდგინებით ატარებს წარმართულ რიტუალებს. „ქრისტეს მიერ გლახაკი“ ლუკაია ლაბახუა, ოქუში ცხოვრებისას, თეთრი გიორგის ტაძარს იყო ქადაგად შეწირული. ეკლესიის კართან პირქვე დაემხობოდა და გადაჯვჯგავდა ათასობით ადამიანი. ეს რიტუალი, რომელიც მართლმადიდებლურ ტაძარში სრულდებოდა, მთვარის წარმართული კულტიდან იღებს სათავეს.

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, თეთრი გიორგის კულტმა ქართველთა უძველესი და უმთავრესი მთვარის ღვთაება ჩაანაცვლა. ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი მოგვითხრობს:

„ცხრამეტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც სტრაბონმა პირველად აღწერა მთვარის დღესასწაული. ქართველმა ხალხმა ჯერ ცეცხლთაყვა-

ნისმცემლობა მიიღო, მერე კიდევ ქრისტიანობა. ამ ორმა სარწმუნოებამ ხანგრძლივი, ძლიერი გავლენა იქონია ჩვენ ეროვნულ აზროვნებასა და ზნე-ჩვეულებებზე, მაგრამ მაინც ასე საუცხოოდ არის შენახული უძველესი სარწმუნოების კვალი. სტრაბონი ამბობს: მთვარის ხატის ყმები ქადაგად დაეცემიან ხოლმე და წინასწარმეტყველებენო; ეხლაც წმინდა გიორგის მონები, ისინი, ვინც ხატს თავიანთ თავის სამსახურს ალუთქვამენ ხოლმე თეთრი-გიორგის ქადაგად და ხალხს ხატის ნებას უცხადებენ, საღამო ხანს, როცა მწუხრის ზარი დაირეკება ხოლმე, ერთი მონათაგანი ეკლესიის კარების წინ დაეცემა და ტაძარში შემავალი ხალხი ამას ზედ აბიჯებს და რაც არ უნდა ძალიან დააჭირონ ფეხი, მონამ უნდა მოითმინოს და ხმა არ დაძრას. ამ მონასაც, ყველა წმინდა გიორგის ყმებით, მავთულის შანა აბია ყელზე. ეს შანა ჯაჭვის მაგივრად არის; ვისაც კი სტრაბონის დროს I საუკუნის დამდეგს (ქრ. შ.) მთვარის მსხვერპლად აირჩევდნენ, ყელზე ჯაჭვს შეაბამდნენ და ერთი წლის განმავლობაში ჰკვებავდნენ ხოლმე⁶⁷¹.

ასეა თეთრი გიორგის ტაძარსა და მთვარის კულტს შეწირული ლუკაია ლაბახუაც. ის ერთნაირად ასრულებს, როგორც წარმართულ, ისე ქრისტიანულ რიტუალებს და, ამდენად, ორივე ღმერთს ერთნაირად ემსახურება. ამიტომაც განუზომლად დიდია მასში ორივე კულტის თაყვანისცემა. საგულისხმოა, რომ ლუკაია - ყოფილი მნათე და დიაკვანი - გულისტკენას გამოთქვამს ქრისტიანობისთვის კატეგორიულად მიუღებელი და ხალხში თანდათან მივიწყებული პერსონების გამო: „სად წავიდნენო ძველი მკითხავები, მწირები, მოკალმასე ბერები, მარჩიელები, გველის მგეშავები და მესაზანდრეები? ახლა ყველანი სიბნელეში ვზივართ, სჩივოდა ლუკაია, ექიმები სოკოსავით მომრავლდნენო“⁶⁷².

მაგრამ უფრო მეტად გასაკვირი მაინც ის არის, რომ, ნახევრად წარმართ და ნახევრად ქრისტიან ლუკაიას მსგავსად, ორივე სარწმუნოებას უხდის ხარკს თავად ნახუცარიც, ყოფილი ქრისტიანი მღვდელი - კომუნისტების მიერ ოქუმიდან ზუგდიდში გადმოსახლებული ტარიელ შარვაშიძე.

მართლმადიდებელი მოძღვარი ხალხურ, წარმართულ სიმღერას გალობს, რასაც თარამ ემხვარის კომენტარი მოჰყვება: „ეს ლექსი იმას მონშობს, რომ არც საქართველოში და არც აფხაზეთში ნამდვილი ქრისტიანობა არასდროს ყოფილა. ჩვენში I საუკუნიდან ქრისტიანული რელიგია ბატონობს, მაგრამ წარმართული მაინც მოერია“ (გამსახურდია 2005:47).

⁶⁷¹ **ჯავახიშვილი ი.**, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 47-48, თბ.: 1951.

⁶⁷² **გამსახურდია კ.**, მთვარის მოტაცება, გვ. 57. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

ანჩხლი და ყოველგვარ ადამიანურ ღირებულებებს მოკლებული ყოფილი სასულიერო პირი ტარიელი შეუბრალებლად სცემს ლუკაია ლაბახუას, რომელიც თავის ყურმოჭრილ ყმად გაუხდია; უღმერთოდ სწყევლის და უშვერი სიტყვებით ლანძღავს. ამას გარდა, იგი თერდობის ლოცვასაც ესწრება - ლუკაიას გაცხენების წარმართულ მისტიკრიას და ხელსაც გულდაგულ შეაშველებს მისი სახლის კიბეზე ამავალ „მარჩიელს“, რომელსაც დიდი პატივისცემით მიმართავს: „კეთილი იყოს შენი შემოსვლა ჩემს ოჯახში ღვთის მერ წარმოგზავნილო მწირო“⁶⁷³.

ქრისტიან მღვდელს კი არ აღაშფოთებს მარჩიელებისა თუ მჩხიბავების არსებობა, პირიქით, ისეთი სითბოთი და სიხარულით არც ერთ სტუმარს არ ეგებება, როგორც მათ: „მარჩიელის მოსვლა ყველას ახარა ტარიელ ნახუცარმა. მას ლუკაიაზე ნაკლებად არ უხაროდა ძველი დროის გზაბნეული მერცხლის შემობრუნება. შარვაშიძეების კიბეზე ხომ დღედაღამ ზიმიზიმბდა მარჩიელი, ქადაგი, შემლოცველი, გამომლოცველი, ლენჩი, მონაზონი, მწირი და მოხეტიალე მოაზროვნე“ - ვკითხულობთ ნაწარმოებში ავტორის ამ თვალშისაცემ სარკაზმს, რომელიც მთელ რომანს გასდევს და არც ერთ ეპიზოდში არ ნელდება. მწერალმა მკაფიო და აშკარა ხაზგასმა გააკეთა იმ ფაქტზე, რომ ჩვენს ქვეყანაში არასდროს ყოფილა რწმენის სიმტკიცე და სიმყარე.

როგორც კი თავისი ასულის სიკვდილის ამბავს გაიგებს, ნახუცარი ტარიელი საშინელი წყევლით დასწყევლის თარაშ ემხვარს, ამის შემდეგ კი უფლის გმობის გაუგონარ აქტს ჩაიდენს: „მერე ადგა ბაბუა ტარიელ, ჩამოიღო კედლიდან ვერცხლით მოოჭვილი ხატი მაცხოვრისა, დაანარცხა მიწაზე და უშვერი სიტყვებით გმო იგი, ვისაც ნახევარი საუკუნის მანძილზე ევედრებოდა და უგალობდა“⁶⁷⁴.

ყოფილ მნათეს, ლუკაია ლაბახუასაც აღმოხდება ღვთის საგმობი სიტყვები, თანაც მაშინ, როდესაც ილორის ტაძრის სამრეკლოზეა და ზარებს რეკავს. ამ ეპიზოდში ვხედავთ ლუკაიას, არა, როგორც თეთრი გიორგის მონას ან უფლის ქადაგს, არამედ მის მგმობელს და უარმყოფელს. არის-ხებს ზარებს ლუკაია და ამ ზარების უღარუნს ჰყვება მისი ფიქრიანი წყევლა:

„ოჰ, ცაო მაღალო,
ოჰ, მრუმე ლამევ,

⁶⁷³ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 638. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

⁶⁷⁴ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 2060. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

წყეულიმც იყავ...
ეს ქვეყანაო, ფიქრობდა ლუკაია, – არ ღირებულაო ნივრის ნაქურ-
ცვნად.

ღმერთიო?

რა ღმერთი? დაცლილი ეჩვენა ეს უცნაური მიწაცა და ზღვისფერი ციონიც...⁶⁷⁵.

ეს იყო ილორის ზარების უკანასკნელი როკვა; თითქოს ამ ზარებზე იყარაო ლუკაიამ ჯავრი უფლისა, რომელმაც ადამიანად ყოფნის სიხარული არ აღირსა; ამიტომაც, ექსტაზში შესული, თითქოს განგებ რეკავდა ზარებს ასე გულდაგულ. იცოდა, რომ კომუნისტები გაიგონებდნენ და სამუდამოდ დაადუმებდნენ ღვთისმსახურების დანყება-დამთავრების მაუნყებელ ამ ხმას. ეს ეჭვი მას შემდეგ ძლიერდება, როდესაც კომკავშირლები მართლაც შეესევინან სამრეკლოს და თოკების გადაჭრას დაიწყებენ. ამის შემყურე ლუკაია ირონიულ ხითხითს იწყებს, ხოლო როდესაც ღმერთის დიდების მაგუგუნებელი ზარების მიწაზე დაცემის საწყალობელ ჟღარუნს გაიგონებს, ეშმაკივით ახარხარდება. ამ პასაჟით რჩება შთაბეჭდილება, რომ ლუკაიამ ღვთის ჯავრი ამოიყარა ყველაფრისთვის - არასრულფასოვნებისთვის, უთვისტომობისთვის, ფიზიკური ხინჯისთვის, ამქვეყნად გლახაკად მოვლინებისთვის...

არზაყან ზვამბაიაც აცხადებს, რომ შარვაშიძეების ოჯახში ყველა ცრუმორწმუნეა, ხეროპსის გარდა - მღვდელიც, ლუკაიაც, თამარიც და კაროლინაც.

ანალოგიური პიროვნებაა ას ოცი წლის ლომკაც ესვანჯიაც, რომელიც, ლუკაიას მსგავსად, ილორის წმ. გიორგის ტაძარს იყო ქადაგად შეწირული. ამავე დროს, ექიმბაშიც გახლდათ იგი, ბალახებით მკურნალიც, „შესანიშნავი დოსტაქარიც“, შემლოცველიც: „საოცარი ის იყო, წმ. გიორგისა და მუხის კულტის დიდი ქურუმი ქრისტიანობაშიც ეჯიბრებოდა ძველადაც ყველაზე „მართლმადიდებელ“ დეკანოზებს და ეს სატევრიანი მოგვი ქრისტესა და წმ. გიორგის ნების მეურვედ სთვლიდა თავის თავს ამ „ცოდვილ მიწაზე“⁶⁷⁶.

ამდენად, „მთვარის მოტაცებაში“ ყველა ერთნაირად გმობს ღმერთს - ისიც, ვინც აშკარად ებრძვის ქრისტიანობას, მაგ: თარაშ ემხვარი (ყოველთვის, როცა ქრისტიანობაზე საუბრობს, მის ხმაში ზიზლი და ირო-

⁶⁷⁵ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 87. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

⁶⁷⁶ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 621. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

ნია გამოსჭვივის. როცა ლუკიას ანტირელიგიურ პროცესიასთან შეხლამე მოხლა მოუვა, თარაში მოურიდებლად იტყვის ღმერთზე: „ახია მაგაზე, ჩემო ლუკაია, რატომ გააჩინა ასე უკულმართად გაჭედილი ქვეყანა“), არზაყან ზვამბაია, ქრისტეს ფეხის მკვნიტელი გვანჯ აფაქიძე, რომელიც ამბობს: „ჩვენმა დრომ დამარწმუნა, რომ ღმერთზე უფრო ძლიერი კაცი ყოფილა თურმე. თუ კაცმა მოინდომა, ღმერთს, როგორც უნდა, ისე გააპამულებს... მათ (ბოლშევიკებმა - თ.გ.) ნილაბი ჩამოგლიჯეს მატყუარა ღმერთებს, ტრაბახა მეომრებს, ცრუპენტელა ხუცებს...“ და ისინიც, ვინც ნახევარწმენით ცხოვრობენ და ფარისევლურად ემსახურებიან უფალს - ტარიელ შარვაშიძე, ლუკაია ლაბახუა, კაროლინა... თვით ყველაზე უფრო სათნოსა და სულგრძელ თამარ შარვაშიძესაც კი დასცდება ღმერთის მიმართ მკრეხელური ფრაზა, როდესაც მამამისთან საუბარში „ბუმს“ უწოდებს მაცხოვარს.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „მთვარის მოტაცების“ ყველა ეპიზოდში (ისევე როგორც სხვა ნაწარმოებებში) აშკარად და სისავსით ვლინდება, რომ კონსტანტინე გამსახურდია მთელი თავისი არსებით ნიცმეანელია.

ქალი - ქვეყანა

„მთვარის მოტაცებაში“ განვითარებული საყოველთაო აგონიის ფონზე, განსაკუთრებით მტკივნეულია რომანის ორი პროტაგონისტის, ორი უმშვენიერესი და უსათნოესი ქალის - თავადის ასულ თამარ შარვაშიძისა და გლეხის თოთხმეტი წლის გოგონას, როდამის დრამატული ისტორია, რომელთა მხატვრული სახეებიც დაფარული საზრისის შემცველია.

თამარ შარვაშიძე და როდამი ორპლანიანი პერსონაჟები არიან, რომელთა თავგადასავალშიც მკაფიოდ აირეკლება ტრაგიზმით აღსავსე ქვეყნის - საქართველოს - ყოფაცა და მის მკვიდრთა სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობაც. ორივე მათგანი ახალი ცხოვრების მსხვერპლია, კომუნისტური რეჟიმის დამკვიდრებას ზვარაკად შეწირული (განსაკუთრებით თამარი, ვინაიდან ის ნაწარმოების ცენტრალური ფიგურაა), ვისაც ვერ უპატრონეს, ვერ დაიცვეს და ვერ მოუარეს.

თამარისა და როდამის ბედს ერთნაირი სიმძაფრით გვიხატავს კონსტანტინე გამსახურდია, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული სოციალური წრისა და ინტელექტისანი არიან. ეს იმით აიხსნება, რომ ორივე საქართველოს შვილია, ახალი ცხოვრება - სოციალიზმი - კი ერთნაირად სპობს და ანადგურებს გლეხსაც და არისტოკრატსაც, უმწეოსაც და მშვენიერსაც. მწერალს იმიტომაც

დასჭირდა აესახა ამ ორი ერთმანეთის მსგავსი ქალის (მათ შორის მხოლოდ გვაროვნული სხვაობა არსებობს) ტრაგედია, რომ ცხადად წარმოედგინა, სისხლიანი ბოლშევიზმი ამქვეყნად მხოლოდ თავადაზნაურთა კლასობრივი ეპოპეის მოსასპობად და გასანადგურებლად არ მოდიოდა. ის აჩანაგებდა ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდა. ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თამარისა და როდამის პორტრეტები ერთმანეთის მსგავსია. მეტიც, არსებითად, წაშლილია ზღვარი მათი სულიერი სიფაქიზისა თუ გარეგნული მშვენიერების დახატვისას.

უნაკლო სილამაზისაა თამარი. გავიხსენოთ, რა ემოციას იწვევს ის თარამ ემხვარში: „თითქოს პირველად ხედავდა (თარამ ემხვარი - თ.გ.) ამ ქალს. მშვილდივით გადრეკილ, ამპარტავან წარბებს, გრძელსა და შავ წამწამებს. მის სათნო სახეზე აღბეჭდილიყო ქართული მადონების თავშეკავებული ქალობა. ცხვირის ნესტოებში სამხრული გრძნობიერება მჟღავნდებოდა. ხოლო ზურგისა და ზემოტანის ხაზებში გარდამავალი ჯიშის რაფინირება ცხადდებოდა“⁶⁷⁷.

ახლა როდამის სილამაზეს გავადევნოთ თვალი. გავიხსენოთ, როგორ დაატყვევა მისმა სიმშვენიერემ თამარ შარვაშიძე: „ოვალურ, ნუშისებრ თვალებს უზომოდ გრძელი წამწამები ჰფარავდა. თვალს დააფახულებდა თუ არა, თამარს ასე ეგონა: ორი შავფრთიანი პეპელა დაფარფატებსო გოგონას თვალების უპებზე. სალუქი სახე ჰქონდა პატარა ქალს, სადაფივით თეთრი, თეთრი კბილები... ხმა ჰქონდა პატარა გოგონას ისეთი ამოდსასმენი... ხელები გამოიღო პატარა როდამმა შალიდან, თამარი დააცქერდა. გაოცდა, ვინ მისცაო გლეხის ქალს ასეთი გასაოცარი თეთრი ხელები, გრძელი ვარდისფერი თითები“⁶⁷⁸

ანალოგიურ ემოციას იწვევს როდამის გასაოცარი სილამაზე კაროლინაშიც, როცა ამ ორ ქალს შორის პარალელს ავლებს გერმანელი ლამაზმანი („ასეთი ღვთაებრივი სილამაზე აროდეს მინახავს მე“, - ეუბნება თამარს როდამის შესახებ). მწერალმა ამ პასაჟში თამარისა და როდამის ნატივ ვიზუალს თანაბარზომიერებით შეუფარდა ღვთაებრივი, პირველყოფილი სიფაქიზე სულიერებისა. როდამის მშვენიერებამ გააოგნა დეკლასირებული ლუკია ლაბახუაც.

მწერალი როდამის სილამაზეს ღვთისმშობელ მარიამს ადარებს: „ელექტროს შუქზე უცნაურად ბრწყინავდა მისი (როდამის - თ.გ.) სალუქი

⁶⁷⁷ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 28. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

⁶⁷⁸ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 87. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

კანის ფერი, მისი მშვენიერი თითები და მდელოსფერი, დიდი თვალები ახლა მუქლურჯად კიაფობდნენ.

ლუკია იქვე დაცუცქული იჯდა და პირჯვარს ინერდა. ლეთისმშობელი მარიამი ხომ არ მოსულაო მეორედ მიწაზე⁶⁷⁹.

გარდა ფიზიკური მსგავსებისა, როგორც ითქვა, ცხოვრებისეული ტრაგიზმითაც ემსგავსებიან ერთმანეთს თამარი და როდამი - თავადი და გლეხი.

თამარიცა და თოთხმეტი წლის როდამიც იმ ადამიანების მსხვერპლნი შეიქნენ, რომლებიც ახალი საქართველოს, სოციალიზმის სახეს წარმოადგენენ. გლეხის პატარა გოგოს ვილაც სამოცი წლის აგრონომმა ახადა ნამუსი. აგრონომი ბოლშევიზმის მიერ აღზევებული ხორცმეცია. ის იმ მოძალადე ძალას განასახიერებს, რომლის ხელშიც იგაგმიუნვდომელი უსამართლობის ბერკეტებია მოქცეული. კოლექტივიზაციის პირობებში ეს ახლად აღმოცენებული თანამდებობა უმაგრებს მას ზურგს ყოველგვარი უზნეობის ჩადენაში. სწორედ ეს იმუნიტეტი იქცა ბიძგის მიმცემად იმ ამორალიზმისა, რომლის დროსაც იმარჯვა პატარა ბავშვზე, რასაც შედეგად უმანკო არსების დაღუპვა მოჰყვა.

უნდა ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდიას სიძულვილი იმდენად აშკარაა კომუნისმის (ასევე ქრისტიანობისა, რადგან მასში, როგორც ითქვა, ნიციუანური ათეიზმი ჭარბობს) მიმართ, რომ ყველა თავსა და ეპიზოდში მკვეთრად იგრძნობა ეს. ამ სისხლისმსმელი ძალის ცხოველმყოფელობა რომ გაემძაფრებინა, სწორედ ამიტომ დახატა სამოცი წლის ბოლშევიკი კაცი მოძალადედ, რომელმაც სრულიად პატარა გოგონა დაღუპა, ხოლო კაც ზვამბაია, მოსისხლე ტარების ნაცვლად, საკუთარ შვილს მოაკვლევინა.

ასევე მოძალადეს განასახიერებს არზაყან ზვამბაია, რომელიც ახალმა ცხოვრებამ წარმოშვა. მანამდე ის, ვიდრე კომკავშირელი გახდებოდა, მამის მორჩილი და საყვარელი ძე იყო. მართალია, მას თამარ შარვაშიძე გულწრფელად უყვარს და არც ძალა უხმარია მასზე, მაგრამ ქალიშვილის დაღუპვაში უმთავრესი წვლილი მაინც მას მიუძღვის. სწორედ მან დაუმალა თამარს ჯვარი, ქრისტიანობის სიმბოლო, რომელიც ყველაზე საშიშ მტრად მიაჩნდა სოციალიზმს, ვინაიდან ის საქართველოს ეროვნული თუ კულტურული თვითმყოფადობის უმთავრეს ციტადელს წარმოადგენდა. მკითხავის ტანსაცმელში გადაცემულ არზაყანს რომ არ ერჩია შარვაშიძის ქალისთვის, ნაწნავები მოეკეცა და ჯვარზე უარი ეთქვა, ჯვრის მადლით

⁶⁷⁹ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 505. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

აღზრდილი თამარი, რომელიც იმ აპოკალიფსური ეპოქის მიერ ტაძრიდან განდევნილი ნახუცრის ქალიშვილი იყო, ალბათ, არ გადაუხვევდა ოჯახური თუ ნაციონალური წეს-ჩვეულებებიდან: არც თმას შეიჭრიდა, არც დედისეული ჯვრის დაკარგვის დარდს გადაიყრიდა გულიდან, არც ფოქსტროტს იცეკვებდა ახალ ცხოვრებასთან შესისხლხორცებულ ანული ფარჯანიანთან ერთად და თარაშიც აღარ მიატოვებდა.

როდამი და თამარი უხეში, არაადამიანური გარემოს მსხვერპლნი ხდებიან. ამიტომაც ორივე - გლეხიცა და თავადიც ერთნაირად გმობს საკუთარ ბედსა და გამწარებულ ყმანვილქალობას.

როდამი: „ყოველ წუთში აგინებდა ადამიანს, სიყრმესა და უდროო ორსულობას მისას... პატარა როდამი სტიროდა, ხმის ამოუღებლად სტიროდა. ბროლის ნაკადული მოწანწკარებდა ატმისფრად მოელვარე დასიცხულ ლოყებზე...“⁶⁸⁰.

თამარი: „სწყევლის იმ უხიაგ დღეს, ფოქსტროტი რომ იცეკვა „ორიანტიში“, სწყევლის მარჩიელს, თმის შეჭრა რომ შთააგონა.

წყეული იყოს ანულიც, ეს მან წაიყვანა თამარი პარიკმახერთან.

კრული იყოს ის სალამო, თარაშთან გაყრის სალამო.

მინა ეჭამა თამარს პემვით და თარაშის ნათქვამი შეესმინა, რად უნდოდა ინსტიტუტი ან თმის შეკრეჭა?“⁶⁸¹.

როგორც ვხედავთ, ორივე პერსონაჟი ერთნაირი მონდომებით სწყევლის ახალ ცხოვრებას. პარადოქსია, მაგრამ თამარი არც ერთი სიტყვით არ გმობს თარაშს, ანუ მისი უბედურების უშუალო სათავეს. თავადის ქალის წყევლა მხოლოდ „მკითხავსა“ (არზაყანს) და ანული ფარჯანიანზე ვრცელდება, იმათზე, ვინც უარი თქვეს წინაპართა ყოფიერების არსზე და უმტკივნეულოდ შეერწყნენ სოციალიზმს. რაც შეეხება თარაშს, იგი ნაწარმოებში ძველი, წარმართული საქართველოს სახეს განასხიერებს. ამიტომაც არ გმობს მას თამარი, პირიქით, თავს დამნაშავედ გრძნობს მის წინაშე, რომ არ დაუჯერა და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მოიქცა. ემხვარში საქართველოს ნაციონალური კულტურა ირეკლება, რომელსაც უღალატა შარვაშიძის ქალმა და ამის გამო დაისაჯა კიდეც.

სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ქალს, სახეობრივად, მრავალგვარი ფუნქცია აქვს დაკისრებული. გარდა იმისა, რომ ის ჩვეულებრივ, რეალისტურ ქალს განასხიერებს, გვხვდება მისი სახისმეტყველებითი შინაარსიც.

⁶⁸⁰ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 497. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

⁶⁸¹ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 497. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

ამ დროს მისი სიმბოლურ-ალეგორიული ქვეტექსტი გაცილებით ღრმაა და დაფარული საზრისის შემცველი. ასე, მაგალითად: ქალი, რეალისტური სახის გარდა, შესაძლოა, ღვთისმშობლის ასპექტითაც მოიაზრებოდეს (გალაკტიონ ტაბიძის „მერი“), მეტიც - ქრისტეს სახითაც კი იყოს წარმოდგენილი (დავით გურამიშვილის „ზუბოვკა“); ამავდროულად, ხშირია ისეთი გააზრებაც, როცა ქალი ქვეყანას განასახიერებს, ეს კი უმეტესად მაშინ ხდება, როდესაც ნაწარმოების პერსონაჟ ქალს, რომელსაც დამცველი არ ჰყავს, უცხო, მოძალადე ძალა დაეპატრონება. მაგალითად: აკაკი წერეთლის ლექსში „ჭალარა“ ქალი მომხდურის მიერ დამონებული საქართველოს ალეგორიაა („ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,/ მოელის ტურფა გამომხსნელს“); ოთარ ჭილაძის პერსონაჟ ანას, - რომანიდან „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ - დასახელებული ფაქტის გამო, ქვეყნის/საქართველოს ალეგორიად მოიაზრებს ამირან გომართელი.

კონსტანტინე გამსახურდიას ეს მრავალპლანიანი რომანი, ვფიქრობ, იმის საშუალებას იძლევა, რომ თამარ შარვაშიძე ჩვენი წარმართულ-ქრისტიანული ქვეყნის სახედ დავსახოთ, რომლის ცხოვრებაც უდიდესი ტრაგიზმით არის ასახული „მთვარის მოტაცებაში“. მართალია, არზაყანი დამპყრობელი არ არის, მაგრამ ის მაინც იმ უცხო ძალას განასახიერებს, რომელიც მოძალადე ქვეყანამ წარმოშვა ჩვენში და რომელმაც თავდაუზოგავად მიჰყო ხელი იმ ყველაფრის ამოძიკვა-ამოშანთვას, რასაც საუკუნეების განმავლობაში ემყარებოდა ჩვენი ეროვნულ-კულტურული ცნობიერება.

მწერალმა ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ბედი მკაფიოდ წარმოგვიდგინა მომაკვდავი გლეხის ქალის - როდამის სარეცელთან პირქვედამხობილი, პერანგისამარა, ნატანჯი, ნაგვემი თამარის სულიერი მდგომარეობით, როგორც „დიდი გოდების მცირე კედელი“ (ნიკო ლორთქიფანიძე). მოცემული ეპიზოდი ნათლად ასახავს იმ ტოტალურ ტრაგიზმს, რომელსაც მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ყოფა წარმოადგენდა. თამარი ერთნაირად გამოხს და დასტირის პიროვნულსა თუ ქვეყნის ტრაგედიას. როგორც ითქვა, უფლისგან განდგომილი არზაყან ზვამბაია იქცა თამარის დაღუპვის უშუალო მიზეზი. ასევე მოხდა პატარა როდამის შემთხვევაშიც. მისი დამლუპველისთვის, ვილაც სამოცი წლის აგრონომისთვის, უცხოა ქრისტიანული და, საზოგადოდ, ყოველგვარი მორალურ-ზნეობრივი ღირებულებები. სწორედ უღმერთობა გახდა მისთვის უსასტიკესი ცხოველური იმპულსის მიმცემი, რომელსაც აქტიურად ნერგავდა კომუნიზმი და რის გამოც არ დაინდო შვილიშვილის ტოლი გოგონა.

ბოლშევიზმის იდეოლოგიას ქრისტიანულ-რელიგიური პრინციპების

სრული დემორალიზაცია, მეტიც, მისი ძირფესვიანად ამოძირკვა შეადგენდა. ამის შესახებ ფიოდორ დოსტოევსკი ჯერ კიდევ სოციალიზმის დამყარებამდე წინასწარმეტყველებდა: „სოციალიზმი მხოლოდ მშრომელთა ანუ ე.წ. მეოთხე ფენის საკითხებს კი არ მოიცავს, არამედ მასში ათეიზმია მნიშვნელოვანი, - თანამედროვე ათეიზმის განსახიერება, ანუ ბაბილონის გოდოლი, ლმერთის გარეშე რომ აგებენ, იმისათვის კი არა, რომ მიწიდან ცას მისწვდნენ, არამედ პირიქით - მიწაზე ცის ჩამოსატანად“.

შარვაშიძის ქალი რომ ძველ, წარმართულ-ქრისტიანულ საქართველოს განსახიერებს, ეს ფაქტი ტრილოგიის არაერთ ეპიზოდში ხშიანობს.

თამარი ორსახოვანი ფიგურაა. მისი ერთი ნახევარი წარმართობას ეკუთვნის, მეორე კი - ქრისტიანობას. ამ გაორებული არსების შინაგან მდგომარეობას კიდევ უფრო აფორიაქებს მესამე ძალა - ახალი საქართველოს, კომუნიზმის სახით (რომლის უმთავრეს სახესაც რომანში, როგორც არაერთხელ აღინიშნა, არზაყან ზვამბაია განსახიერებს). სწორედ ეს ახალი ძალა იბრძვის გააფთრებით, რომ თამარი - ძველი საქართველო-დაისაკუთროს და ახალი ცხოვრების, სოციალიზმის რელსებზე გადაიყვანოს. ისედაც გაორებული თამარი (ქვეყანა) კი კიდევ უფრო იბნევა და სასწორის პინაზე დადებული მსუბუქი ნივთივით მერყეობს არზაყანს (კომუნიზმი) და თარაშს (წარმართობა/ნიცშეანელობა) შორის. მის ერთ მეს თარაში უყვარს, მეორეს კი - არზაყანი, უფრო სწორად, მისი ერთი ნაწილი ძველ ეპოქასთან არის გამიჯნურებული, ნაწილს კი ახალი, თანამედროვე ცხოვრება იზიდავს - თავისუფალი რელიგიური სტერეოტიპებისა თუ პატრიარქალური კლიშეებისგან. ამიტომაც ამ ორი ძალის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილს ეწირება იგი.

თამარ შარვაშიძე მრავალპლანიანი, აზრობრივად ყველაზე რთული პერსონაჟია „მთვარის მოტაცებაში“, რომლის ცხოვრებისეული დრამა სიმბოლურ-მითოლოგიური რაკურსითაა ასახული.

ჯვარი და თმა - წარმართობისა და ღვთაებრივი რწმენის

ხილული პარადიგმები

ჯვარდაკარგული და თმაშეკრეჭილი თამარი ერთნაირად განსახიერებს, როგორც წარმართულ, ისე ქრისტიანულ ქვეყანას - საქართველოს, რამეთუ, როგორც უკვე ითქვა, „მთვარის მოტაცებაში“ ყველაფერს ორმაგი აზრობრივი დატვირთვა გააჩნია და არაფერს აქვს ცალსახა, უპირობო მნიშვნელობა.

თამარ შარვაშიძის ტრაგიკული ეპოპეა მაშინ იწყება, როდესაც დე-

დისეული ჯვრის დაკარგვის ჯავრს გადაიყრის გულიდან და თეძობამდე გაზრდილ თმას მოიკვეცავს (სწორედ ამ უკანასკნელის გამო მიატოვებს თარაში). ჯვარიც და თმაც თავიანთი წარმართულ-ქრისტიანული გენეზისით, სისხლხორცეულად არის დაკავშირებული თამართან (ძველ საქართველოსთან).

თამარი ჯვრის გაქრობის შემდეგ ლოგინად ჩავარდება, რადგან ავის-მომასწავლებელი იყო მისთვის დედისეული ნივთის დაკარგვა, რომელსაც ისე განიცდიდა, „როგორც უდიდესი უბედურების პრელუდიას“. შარვაშიძის ქალისთვის ეს ჩვეულებრივი ჯვარი არ იყო, ეს იყო რელიკვია - ქრისტიანობის სიმბოლო, დედის მიერ რუდუნებით ნაანდერძალი, რომელიც თამარს სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეტარებინა, ანუ დედამ შვილს მაცხოვრის გზით სიარული უქადაგა და მისი სიყვარული და მოფრთხილება სთხოვა. ქრისტიანული თვალსაზრისით, ჯვრის უარყოფა რწმენისა და რელიგიის ღალატად და უარყოფად მიიჩნევა. ამასვე ჩივის ლუკაია ლაბახუაძე: „სული ხდებოდა ცხონებულს (ჯახანას - თ.გ.), მე თუ გიყვარდე, ეს ჯვარი არავის აჩუქო, არც დაჰკარგოო, მაგრამ ჯვარიც დავკარგეთ და ღმერთიც“⁶⁸².

როგორც ვხედავთ, ლუკაიას სიტყვები შემთხვევით წამოსროლილი, „შლუის“ ნაბოღვარი არ არის - ჯახანა შვილს (ქვეყანას) ფრახებით: „ეს ჯვარი არავის აჩუქო, არც დაჰკარგო“ - რწმენის სიმტკიცისკენ მოუწოდებს და კატეგორიულად სთხოვს, მყარად შეინარჩუნოს და დაიცვას საკუთარი რელიგია. ამიტომაც განიცდის ასე ძლიერად თამარი ჯვრის ამბავს, რომლის არმოფრთხილებით მან, ფაქტობრივად, უარყო დედის შეგონება. მეტიც, საერთოდ თქვა უარი ჯვარზე. „მკითხავის“ (არზაყანის) რჩევით, გულიდან სავსებით გადაიყარა მისი დაკარგვით გამოწვეული დარდი, რითაც ჯახანას წყრომა დაიმსახურა. ის გამუდმებით ესიზმრება ქალიშვილს, ხელში ჯვარი უჭირავს, შორიდან უჩვენებს და ახლოსაც არ ეკარება. ეს სიზმრისეული ჩვენებები მას შემდეგ კიდევ უფრო გახშირდება და გამძაფრდება, როდესაც თარაშისგან მიატოვებული შარვაშიძის ქალი სიკვდილის პირასაა. ჯახანა შვილის სიზმრებში შავებით არის მოსილი და ხელში კვლავ თამარის ჯვარი უჭირავს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვფიქრობ, დედა-ჯახანა დედა-ეკლესიას უნდა განასახიერებდეს და იმიტომაც არის შავებით მოსილი, რომ გლოვობს ქრისტიანული რწმენისგან ქართველთა განდგომას. გამწყრალია მათზე და ამიტომაც არ ეკარება ახლოს საკუთარ პირმშოს. მხ-

⁶⁸² გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 87. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

ოლოდ ერთხელ მიუახლოვდება ის შვილს, შემდეგ კი ხელგაშლილი, პირუკუ სვლით წარუძღვება და ფანჯრიდან გაახედებს. ხედავს თამარი, რომ ციდან შავი ჭვარტლი თოვს, იქვე იხილავს შავებით მოსილ, შავ ცხენზე ამხედრებულ თარაშ ემხვარსაც, რომელიც წამიერად ჩონჩხად გადაიქცევა და რომლის შესახებაც შემოესმება ავისმომასწავლებელი სიკვებები: „სახელი მისი სიკვდილი!“

ჯახანა, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ქართველთა სულიერ მხარეს, დედა ეკლესიას განასახიერებს (ამიტომაც არის ის გარდაცვლილი, არამინიერი), მხოლოდ შორიდან უჩვენებს შვილს ჯვარს და იმ გაგანია ათეიზმის ეპოქაში თავის ქალს/ქვეყანას კვლავ უფლის გზაზე დადგომისკენ მოუწოდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს უეჭველი დაღუპვა-გაქრობა ელის. სწორედ ამიტომ მიუძღვის შვილს ფანჯრისკენ პირუკუ სვლით, რომ ამ ქმედებით გვიჩვენოს, როგორ დასდგომია ჩვენი რელიგიაუარყოფილი ქვეყანა უკუღმართი ცხოვრების გზას, ხოლო შავი ჭვარტლისა და შავი ჩონჩხის ჩვენებით, თამარის (ქვეყნის) სიკვდილს მოასწავლებს, რადგანაც ქრისტიანობის უარყოფა ჩვენი ეროვნულ-კულტურული ცნობიერების გაქრობის ტოლფასია.

თამარის ეს წინასწარმეტყველური ხილვა ზედმინევენით ახდება რომანის ფინალში, როცა ენგურში დაიღუპება ცხენზე ამხედრებული, შავ ჩონჩხში გამოწყობილი თარაშ ემხვარი, როგორც სიმბოლო ძველი საქართველოსი.

ამდენად, ყველა თამარისგან ითხოვს წილს: ჯახანა - ქრისტიანობას, არზაყანი - ბოლშევიკურ ათეიზმს (სწორედ ის დაარწმუნებს თამარს, დაკარგული ჯვარი დაივინყოს და თმები მოიკვეცოს) და წარმართობანიცმეანელობის ტრფიალს - თარაში, დღენიდაც ქრისტეს მადგებელი და მგმობელი:

„აჰ, ეს ქრისტეს ჯვარი!.. იცი, თამარ, როცა მე ევროპაში ვმგზავრობ და ამ უთვალავ ეკლესიებსა და ტაძრებს შევცქერე, დარდანილიდან ვიდრე შოტლანდიის ზღვამდე, მაკვირვებს კიდევაც, რა გახდა ეს ჯვარი! პატარა, ბინძურ პალესტინაში დაბადებულმა ღურგლის ბუმბა ჯვრების ტყეები აღმართა მთელ ქვეყანაზე.

ჩვენი ქვეყანაც ამას შეენირა. შენ წარმოგიდგენია შუასაუკუნეთა ბნელი დღეები, თურქეთის შიშით გერმანელები ვენაში კანკალებდნენ და ასეთ დროს ჩვენი კავალერია ერზრუმში ებრძოდა თურქებს.

მე უნდა გაგინელო ეს ჯვრის სიყვარული. ჩემს სულში წარმართული ლხენაა ჩაჭრილი, ხოლო შენი გული ილორის დამსხვრეულ ზარსავით ყლარუნებს, თამარ.

მე დიახაც, მწყინს შენი ჯვრის დაკარგვა, რადგანაც იგი რელიგიური სიმბოლო როდი იყო, არამედ უკვე ხელოვნების ძეგლად ქცეული ქმნილება. მე ვიჭყენულობ ქრისტეს მიმართ, რომ შენ მისადმი სიყვარული ჯერაც არ ამოგიოხრია გულიდან⁶⁸³, - ასე ცდილობს ემხვარი, სატრფოს ცნობიერებაში გარდატეხა შეიტანოს, დააჯეროს, რომ ჯვარს არანაირი რელიგიური დატვირთვა არ აქვს და არ ღირს მის გამო დარდი.

ასე ეზიდება თავისკენ თამარს (ქვეყანას/საქართველოს) სამი ძალა - ქრისტიანობა (ჯახანა), წარმართობა-ნიცშეანელობა - (თარაში) და არ-ზაყანი (ბოლშევიკური ათეიზმი); ყველას ინტერესი თამარისკენ არის მიმართული და გააფრთებით იბრძვიან მისი დასაკუთრებისთვის. სწორედ ამ სამი ძალის ჭიდილსა და შემოტევაში იბნევა შარვაშიძის ასული და კარგავს ორიენტაციის უნარს. მას ძლიერად იზიდავს ახალი ცხოვრების მღელვარება, განსაკუთრებით კი სოციალიზმის დამოკიდებულება ქალთა შეუზღუდავი უფლებებისა და ემანსიპაციის მიმართ და საბოლოოდ უარს იტყვის ჯვარსა (აღარ დარდობს მის დაკარგვას) და გრძელ თმაზე, ამით კი ერთნაირად უარყოფს ქრისტიანობასაც და წარმართობასაც (რაც მისი დალუპვის მიზეზი გახდება), ვინაიდან ჯვარსაც და თმასაც ორმაგი დატვირთვა აქვს „მთვარის მოტაცებაში“ - როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული:

ჯვარი ქრისტიანობის უმთავრეს სიმბოლოდ მხოლოდ IV საუკუნიდან იქცა, მას შემდეგ, რაც ბიზანტიელმა დედოფალმა ელენემ (კონსტანტინე დიდის დედამ) გოლგოთის მთაზე სამ ჩამარხულ ჯვართაგან სასწაულებრივად გამოარჩია მაცხოვრის ჯვარი („ჯვარი პატიოსანი“), მანამდე კი ჯვრის სიმბოლიკა, წარმართული თვალსაზრისით, სრულიად სხვა მნიშვნელობის მატარებელი იყო:

„ჯვრის ფენომენი ისევე უძველესია, როგორც თავად კაცობრიობის ისტორია... მისი უნივერსალური კოსმიური სიმბოლო გამოხატავდა ქვეყნიერების ოთხ მხარეს, წელიწადის ოთხ დროს, სტიქიის ოთხ ელემენტს... ჯვარს, როგორც სიმბოლოს, უდიდესი წინარე ისტორია აქვს: ასურელებთან და კელტებთან ის ყოვლისშემძლე ძალასა და მზეს განასახიერებდა; ინდუიზმსა და ბუდიზმში - მიწიერი და სულიერი არსებობის ფორმების ერთიანობას; ფსიქოანალიტიკოსები ჯვარს სიკეთის ენერჯის თავდაპირველ სიმბოლოდ მიიჩნევენ და სწორედ ამით ხსნიან, რომ უძველეს კულტურებში, ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე, ჯვრის

⁶⁸³ გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, გვ. 194. „საქართველოს მაცნე“, თბ.: 2005.

ესოდენი მრავალსახეობა არსებობდა⁶⁸⁴.

ასეთია ჯვრის წარმართულ-ქრისტიანული სიმბოლიკის ისტორია, მაგრამ თამარის დაღუპვის მიზეზი ოდენ ჯვრის დაკარგვა არ გამხდარა. მან კიდევ უფრო საბედისწერო ნაბიჯი გადადგა: ძველი (წარმართული და ქრისტიანული) იდეოლოგიური ტყვეობიდან გათავისუფლება სცადა - თმა მოიკვეცა და, ანული ფარჯანიანის მეგობარ მამაკაცთან ერთად, სასტუმრო „ორიენტში“ „ფოქსტროტი“ იცეკვა. ეს ფაქტი საესეებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ემხვარს საბოლოოდ ეთქვა მასზე უარი.

რაც შეეხება თმას, როგორც ითქვა, მისი სიმბოლური მნიშვნელობაც ორმაგი დაფარული საზრისის შემცველია „მთვარის მოტაცებაში“. ისიც, ჯვრის მსგავსად, ერთდროულად განსახიერებს წარმართულსა და ქრისტიანულ პარადიგმებს.

აკაკი ბაქრაძე თამარის ჯვრის დაკარგვისა და მის მიერ თმის შეჭრის ამბავს მხოლოდ ცალსახად - წარმართულ-მითოლოგიურ ჭრილში განიხილავს:

„გარეშე სულის გარდა, ქართველს პარციალური სულის ანუ ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების სულის არსებობისაც სჯეროდა. განსაკუთრებით ბევრი მასალა მოიპოვება თმის პარციალური სულის არსებობის შესახებ... არ შეიძლება არ გავიხსენოთ თმით შეკრული ვაზის ჯვრის ამბავი. განა ღვთისმშობელმა არ მოჰკიდა ხელი „რტოსა ვაზისასა და მოჰკუთათა მისგან და შექმნა ჯუარი და მისცა ხელთ ღირსსა ნინოს“? და ეს ჯვარი ხომ ქალის თმებით იყო შეკრული. ეს არ არის მხოლოდ პოეტური ამბავი. მასში წარმართული რწმენის ანარეკლია და ცადა წარმართობის ქრისტიანობასთან ერთგვარი შერიგებისა. ხეში (აქ: ვაზში) ადამიანის გარეშე სული ცხოვრობდა, თმაში - პარციალური. ერთად ისინი ადამიანის სიცოცხლესთან იყვნენ დაკავშირებულინი. ამიტომაც არის, რომ ეგზომ მწვავედ განიცდის თამარი დედისეული ჯვრის დაკარგვას. მართალია, თამარის ჯვარი ვაზისა არ იყო, მაგრამ ოქროს ჯვარსაც სიმბოლურად იგივე მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ არის, რომ ჯვრის დაკარგვა თამარისთვის დედის სიკვდილის ბადალია... რაკი ესოდენ მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან თამარის შეგნებაში ჯვარი და დედა, სრულიად ბუნებრივია, რომ ჯვრის დაკარგვის „ამბავს განიცდიდა როგორც უდიდესი უბედურების პრელუდიას“... მართლაც, მალე თამარის სიყვარულიც და სიცოცხლეც ტრაგიკულად დამთავრდა⁶⁸⁵.

⁶⁸⁴ სიმბოლოთა ლექსიკონი 2012, „ბაკმი“, შემდგენლები: **ზ. აბზიანიზე, ქ. ელაშვილი**, გვ. 157, თბ.: 2012.

⁶⁸⁵ **ბაქრაძე ა.**, თხზულებანი, ტ. II, მთვარის მოტაცება, გვ. 278-279, „ნეკერი“, „ლომისი“, თბ.: 2004.

როგორც ვნახეთ, აკაკი ბაქრაძემ მხოლოდ წარმართული დატვირთვა მინიჭა თამარის ჯვარსა და თმას. ჯვრის შესახებ უკვე ითქვა. რაც შეეხება თმას, აკაკი ბაქრაძის ამ საინტერესო მოსაზრებას ერთ ასპექტსაც დაუვმატებდი, კერძოდ: თამარ შარვაშიძის თმა „მთვარის მოტაცებაში“, წარმართულთან ერთად, ქრისტიანულ გენეზისსაც ემყარება. ასე, მაგალითად: თუ თმის სიმბოლიკის ამოხსნას წმინდა ნინოს თმებით შეკრული ვაზის ჯვრიდან დავინწყებთ, მაშინ ეს ფაქტი მხოლოდ რელიგიურ აქტად უნდა შევაფასოთ.

როგორც ითქვა, წმ. ნინომ ჯვარი მაინცდამაინც საკუთარი თმით შეკრა, თუმც შეეძლო, სამაგრად სხვა საშუალებაც გამოეყენებინა. შესაძლებელია, ეს ყოფილიყო წმ. ქალწულის ხამლის საბელი ან სამოსლის მონახევი, ან იმავე ვაზის ლერწი, რომლისგანაც „მოჰკუეთა“ ღვთისმშობელმა რტო, მაგრამ რატომ შეკრა ნინომ ჯვარი საკუთარი თმით?

ქრისტოლოგიური კონცეფციის თანახმად, ღვთაებრივი მაღლი ყველაზე მეტად ადამიანის თმებშია დავანებული. ნათლობის რიტუალის შემდეგ მონათლულს თმის მცირე ნაწილს აჭრიან, ნიშნად იმისა, რომ ის ღმერთს აძლევს თავის თმას და ასე ხდება უფლის მონა.

ბიბლიურ სამსონსაც სწორედ თმებში ჰქონდა ის უდიდესი ღვთაებრივი ძალა, რომლის მადლითაც ძებორციელი ვერ ახერხებდა მის დამარცხებას. როდესაც თავისი სატრფო დალილა ცდილობს ამოიცნოს, თუ რაშია სამსონის ძლიერების საიდუმლო, ეს უკანასკნელი პასუხობს: „სამართლებელი არ გაჰკარებია ჩემს თავს, რადგან დედის მუცლიდან ღვთის მონინდარი ვარ. თავი რომ გადამპარსონ, ძალა გამომეცლება, დავძაბუნდები და სხვათა მსგავსი შევიქნები“ (მსაჯულნი, თ. 15-16,17).

შეუთვალა მოლალატე დალილამ ეს ყოველივე ფილისტიმელთა მთავრებს, საკუთარ კალთაში ჩააძინა მიჯნური და მისი თმის შვიდივე კონოლი მოაპარსვინა. მხოლოდ ამის შემდეგ უთხრა სამსონს, ფილისტიმელები მოდიანო შენს დასამარცხებლად. სამსონმა გამოიღვიძა და იფიქრა: ავდგები და წინანდებურად დავიხსნიო თავს. „მაგრამ არ იცოდა, რომ ღმერთმა პირი იბრუნა მისგან“ (მსაჯულნი, თ. 15-16,20). შეიპყრეს იგი ფილისტიმელებმა და თვალები დასთხარეს. ასე დაკარგა ისრაელიანთა მსაჯულმა ის ღვთაებრივი ძალა, რომელიც ღმერთთან აკავშირებდა.

ღვთაებრივი მაღლის სიმბოლოს განასახიერებს აგრეთვე სასულიერო პირთა თმა და წვერი. ამის შესახებ გვამცნობს დავით წინასწარმეტყველის 132-ე ფსალმუნიც:

„...როგორც ძვირფასი მირონი თავზე, წვერებზე ჩამოღვრილი,

აარონის წვერებზე, მისი სამოსის კალთებზე
ჩამოღვრილი.

ვითარცა ცვარი ხერმონისა, სიონის მთებზე
ამოღვრილი!

რადგან იქ დაადგინა უფალმა კურთხევა –
სიცოცხლე უკუნისამდე“.

(ახალი აღთქმა და ფსალმუნები)

ამდენად, თმით შეკრული ვაზის ჯვარი ღრმა სიმბოლიკის შემცველია: იგი, ერთი მხრივ, სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასის, ქრისტეს სახე-სიმბოლოა, თმები კი - ღვთაებრივი მადლის გამოხატულება, ხოლო, მეორე მხრივ - წინარექრისტიანული მნიშვნელობის გამომხატველი. ამიტომაც დაკარგა თამარმა (წარმართულ-ქრისტიანულმა საქართველომ) თმის შეკვეცის შემდეგ ცალკე ღვთაებრივი მადლი, რის გამოც უბრაზდება ჯახანა სიზმრებში და ცალკე - წარმართულ-პარციალური სული, რის გამოც მიატოვა თარაშმა. ამიტომაც შეირყა მისი სამშენველი, ამიტომაც იტანჯება ის ორმაგად. ცალკე კომმარად ქცეული სიზმრისეული ჩვენებები აწუხებს, სადაც დედას ჯვრით ხელში ხედავს და ცალკე - გამქრალ-გადახვეწილი თარაში.

ასე დაღუპა თამარი ახალი ცხოვრებისთვის ფეხის აყოღვის მცდელობამ. მართალია, საბოლოოდ ძლიერ ნანობს ჩადენილ საქციელს და ნატრობს, როდის გაეზრება თმა (მსგავსად ბიბლიური სამსონისა), რათა კვლავ დაუბრუნდეს ძველი იერ-სახე, მაგრამ ამაოდ...

თარაშ ემხვარი შარვაშიძის ქალის მხოლოდ წარმართულ ნაწილს ეტრფიალება. მისთვის თამარი მხოლოდ წარმართული საქართველოს სახეა, რომელსაც აღარ სურს ძველი, ყავლგასული სტერეოტიპებით ცხოვრება და გული ახალი ცხოვრებისკენ მიუწევს - თბილისში წასვლა სურს, ინსტიტუტში ჩაბარება, თმების მოდურად შეკრეჭა და თანამედროვეობის რიტმში ჩაბმა, თარაშს კი პირიქით - სძულს თმაშეკრეჭილი ქალები.

თბილისში ჩასულ თამარს თვალი ლამაზი და მდიდარი ნივთებისკენ გაუბრუნდა, თარაში კი ცდილობს, მისი ყურადღება ძველებზე ქართულ დამბაჩებსა და თოფებზე შეაჩეროს, მიახედოს ოქროს ზარნიშნიანი სატევრებისკენ, რკინის პერანგებისკენ, მუზარადებისკენ, ქართული უნაგირებისა და ვადამოხატული დამბაჩებისკენ. ამდენად, მისი ინტერესის საგანს მხოლოდ ის ნივთები თუ საგნები შეადგენენ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის უძველეს კულტურულ-ნაციონალურ წარსულს უკავშირდება, თამარს კი, ვაჟისაგან განსხვავებით, თვალი მოდური სამოსისკენ გაუბრუნდა და სხვადასხვა თვალისმომჭრელი ნივთის შექენაზე ოცნებობს, ანუ მისი შინა-

განი აქტივობა თანამედროვეობის ფერხულში ჩაბმისთვის არის მომართული და საკმაოდ არის დაშორებული თარაშის ცნობიერებას. თბილისმა სრულად გამოააშკარავა ბუნებით მორცხვი და კდემამოსილი თავადის ქალის შინაგანი განწყობილება-მისწრაფებანი და ერთმანეთს სამუდამოდ დააცილა მდინარის სხვადასხვა ნაპირას გარიყული ქალ-ვაჟი, რომელთაც უკვე აღარაფერი გააჩნდათ საერთო. სწორედ ამის შესახებ სწერს თარაში კაროლინას სვანეთიდან - „თბილისმა გული გამიცვია თამარზე“-ო. თამაშ-ეკრეჭილი მანდილოსანი მისთვის სულგაყიდულ ადამიანთან ასოცირდება. ემზვარისთვის მიუღებელია ისეთი ქალი, რომელიც უარს ამბობს საკუთარ უძველეს წარსულსა და უმდიდრეს კულტურაზე.

თამარი იმ შემთხვევაში გადარჩებოდა, თუ ცოლად არზაყანს - ახალი ცხოვრების სახეს გაჰყვებოდა და ზვამზაიას (გლეხის) გვარს მიიღებდა. მხოლოდ ეს იყო ის ერთადერთი საშუალება, რითაც გზა ხსნილი ექნებოდა ახალი ცხოვრებისაკენ და არა თარაშს, რომელიც „ამ ცხოვრების კაცი არაა“, რომლის შრომაც დაინუნეს თბილისში, როგორც „მიუღებელი თანადროულობის თვალსაზრისიდან“. თამარი უნდა მორგებოდა არსებულ მდგომარეობას (ისევე როგორც მრავალი თავადი, მაგ: გვანჯ აფაქიძემ კომუნისტ არენბა არლანს მიათხოვა ქალი); თავად ფარჯანიანის ქალიც ხომ ანალოგიურ საქციელს ჩადის - სულაც არ უყვარს მანუგალაძე, მაგრამ მაინც მიჰყვება ცოლად, როგორც „პერსპექტიულ კომუნისტს“. ამასვე მოუწოდებს თამარსაც, მაგრამ თამარში, თბილისში ჩასვლამდე, ხორციელმა ვნებამ იმძლავრა და ანგარიშიუცემლად მინებდა ემზვარს. ამიტომაც, სურდა თუ არა, ველარაფრით გათავისუფლდებოდა მისგან - მან, თარაშის სახით, ძველი გზა აირჩია, კვლავ თავადაზნაურთა კლასობრივ ეპოპეას გადაუხადა ხარკი და ამიტომაც დაიღუპა და დაიღუპა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი ადგილი ახალ ცხოვრებაში უკვე აღარ იყო. ორი უფლის მონებაში გზააბნეულს, ბოლოს არც ერთი აღარ შერჩა ხელთ.

„მთვარის მოტაცება“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქვეტექსტის შემცველია. გარდა იმისა, რომ თავადიცა (თამარი) და გლეხიც (როდამი) ახალი ცხოვრების მიერ დალდასმული პერსონაჟები არიან, მათგან ვერც ერთი ვერ შობს მემკვიდრეს. ვერც როდამის პირმშო ელირსება ამქვეყნად მოვლინებას და ვერც თამარისა. ორივე ჩანასახი დედის საშობივე წყვეტს არსებობას. ის ფაქტი, რომ ორივე ნაყოფმა საკუთარი მშობლებიც უნდა იმსხვერპლოს, როგორც ითქვა, გარკვეული ქვეტექსტის შემცველია: თუ თამარი და როდამი მაშინდელი საქართველოს ყოფას განასახიერე-

ბენ, იმ საქართველოსი, რომლის წარმართულ-ქრისტიანული ღირებულებები ახალმა, ბოლშევიკურმა წყობამ უნდა შთანთქას, მაშინ, ბუნებრივია, გადაშენების გზაზე მდგარი წარმავალი კლასი ახალ მემკვიდრეს ველარ შობს. ამის საშუალებას ახალი ცხოვრების ქარტენილი აღარ მისცემს. ამიტომაც მისი ყველა ჩანასახი ემბრიონშივე უნდა განყალდეს და თავადვე მონამლოს საკუთარი მშობლის სისხლი. ამდენად, თამარ შარვაშიძეცა და პატარა როდამიც ძველი და ახალი ეპოქების უსასტიკეს, დაუნდობელ ბრძოლას შეენივნენ ზვარაკად. ორივე მსხვერპლია აპოკალიფსური ქრონოტოპისა. ისევე ვერ უპატრონეს და დაიცვეს ისინი ახლობლებმა, როგორც ქართველებმა ვერ მოუარეს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობას, სისხლიანი ბოლშევიზმის პირობებში ვერ შეინარჩუნეს ვერც ქვეყნის ეროვნულ-ნაციონალური ტრადიციები და ვერც ქრისტიანული სულისკვეთება.

**Chronicle of undoing
(according to Konstantine Gamsakhurdia's «The
Abduction of the Moon»)**

In «The Abduction of the Moon» almost everything that is of secondary nature, has a double meaning - pagan (sometimes Nietzschean) and Christian. The fact that Christianity inherited ancient rituals and images, and pagan cults were subordinated to the divine aspect and replaced with Christian symbols, is once again revealed in the trilogy of Konstantine Gamsakhurdia. It should also be said here that in all episodes of «The Abduction of the Moon» (as well as in other works) it is clearly and completely revealed that Konstantine Gamsakhurdia is a follower of Nietzsche in his entire essence.

That Sharvashidze's woman is the symbol of the old, pagan-Christian Georgia, this fact is observed in many episodes of the trilogy.

Tamar is a double-faced figure. Her one half belongs to paganism, and the other - to Christianity. The internal state of this split personality is confused by the third force - new Georgia, in the form of communism (main symbol of which in the novel, is Arzaqan Zvambaya). It is this new force that is fighting furiously to take possession of Tamar - old Georgia - and bring her to the rails of a new life, socialism. Personality split Tamar (country) gets more confused and fluctuates between Arzaqan (Communism) and Tarash (Paganism/Nietzscheanism) like a light object on the dish of weighing scales. One of her ego loves Tarashi, and the alter ego - Arzaqan, or rather, her one part falls in love with the old era, while the other part is attracted to the new, modern life - free from religious stereotypes or patriarchal clichés. That is why she is sacrificed to the life and death struggle of these two forces.

«The Abduction of the Moon» contains another important subtext. In addition to the fact that both the princess (Tamar) and peasant (Rodami) are characters scarred with new life, neither of them can give birth to an heir. Neither Rodami's nor Tamara's first-born child could not appear in this world - both embryos cease life in the mother's uterus. The fact that both fetuses have to sacrifice their own parents, as it was said, contains a certain subtext: if Tamar and Rodami are the symbols of the state of Georgia at that time, of the Georgia pagan-Christian values of which were to be ingested by the new, Bolshevik system, then, naturally, on the way to extinction an ephemeral class cannot give birth to a new successor. The gale

of new life will not allow this. That is why all its germs must be got watery in the embryo and poison the blood of its own parent. Thus, both Tamar Sharvashidze and little Rodami were sacrificed to the cruel, merciless struggle of the old and new eras. Both are victims of the apocalyptic chronotope. They could not be patronized and protected by their relatives, just as Georgians could not take care of the statehood of independent Georgia, in the conditions of bloody Bolshevism, they could not preserve the country's national traditions and Christian spirit.

კონსტიტუციის ისტორია

სალომე კარალიძე

დოქტორანტი

პარლამენტი საქართველოს 1921 წლის

21 თებერვლის კონსტიტუციაში

საკვანძო სიტყვები: საქართველო, დემოკრატიული რესპუბლიკა, პირველი კონსტიტუცია, პარლამენტი

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმის დაშლიდან ორ საათში, „კვირას, ნაშუადღევს 5 საათსა და 10 წუთს“⁶⁸⁶ თბილისში, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში საქართველომ 117 წლის ნანატრი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ არასრული სამი წელი (26 მაისი, 1918- 25 თებერვალი, 1921) იარსება, თუმცა კონსტანტინე გამსახურდიას აზრით „სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე მონობის ასი წელი“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ 1028 დღე იარსება, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რომელიც დღევანდელი ქართული სახელმწიფოსთვის ფასდაუდებელია. 1921 წელს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით 21 თებერვალს თბილისში საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო ჩვენი ქვეყნის პირველი ძირითადი კანონი - კონსტიტუცია, რითაც შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა. 25 თებერვალს თბილისის თავზე აფრიალდა საბჭოთა წითელი დროშა, რითაც დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა. თბილისში დაძაბული მდგომარეობის გამო ვერ მოესწრო კონსტიტუციის სტამბურად გამოქვეყნება, რადგან მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ დედაქალაქი დატოვა, ისინი ჯერ ქუთაისში და შემდეგ ბათუმში გადავიდნენ საიდანაც ემიგრაციაში გაემგზავრნენ. სწორედ ბათუმში ყოფნის პერიოდში მათ შეარჩიეს ცნო-

⁶⁸⁶ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). თბილისი, 1990, გვ.3-4.

ბილი ბათუმელი პოლიგრაფისტის, ნესტორ ხვინგიას სტამბა, რომელშიც დაიბეჭდა კონსტიტუცია ცალკე ნიგნად სათაურით „საქართველოს კონსტიტუცია მიღებული დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს“.

საქართველოს კონსტიტუცია შედგება 17 თავისა და 149 მუხლისაგან. იგი წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნის უნიკალურ გამოცდილებას, რომელშიც აისახა იმდროინდელი სახელმწიფოებრივი ცხორების პრაქტიკა, დემოკრატიული სამყაროს მიღწევები და მისწრაფებები.

მეცნიერები ერთხმად თანხმდებიან პირველი კონსტიტუციის სიდიადეზე და იზიარებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს-დიტრიხ გენშერის მოსაზრებას, რომ „კონსტიტუციის ტექსტი ერთ-ერთი პროგრესული იყო ევროპის კონტინენტზე. უკვე მაშინ აღიარებდა იგი ისეთ ღირებულებებს, როგორცაა თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც დღევანდელი ევროპა ეყრდნობა.“⁶⁸⁷

პარლამენტი თანამედროვე მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში სახელმწიფოებრივი მმართველობის ძირითადი სისტემაა. იგი, როგორც ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის წარმომადგენლობითი ორგანო, განასახიერებს დემოკრატიულობას, „ხალხის ნებას“. მისი ძირითადი ფუნქცია საკანონმდებლო საქმიანობა და უპირველესად სახელმწიფოს ძირითადი კანონის - კონსტიტუციის მიღებაა.

ხალხის აქტიური მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში უხსოვარი დროიდან იყო პროგრესულ მოაზროვნეთა ფიქრის საგანი. ამ მიმართულებით საინტერესო მემკვიდრეობა დაგვიტოვეს ძველმა ბერძნებმა, რომაელებმა და სხვ. მაგრამ იმ დროს მმართველობაში გადამწყვეტ როლს მცირერიცხოვანი, მაგრამ გავლენიანი ნაწილი ასრულებდა, ხოლო ფართო მასები მმართველობაში ან საერთოდ არ მონაწილეობდა, ან მხოლოდ ფორმალურ და ნომინალურ როლს ასრულებდა.

მიჩნეულია, რომ პარლამენტი, როგორც ხალხის წოდებრივ-წამომადგენლობითი ორგანო და სისტემა XIII საუკუნის ინგლისიდან იღებს სათავეს. ქართულ ისტორიოგრაფიაში არის საფუძვლიანი მოსაზრება, რომ პარლამენტური მოწყობის შექმნის მცდელობა უფრო ადრე იყო საქართ-

⁶⁸⁷ დემეტრაშვილი ა., საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია 2011 წლის გადასახედიდან, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გამომცემლობა „გრაალი“, გვ.4.

ველოში, კერძოდ თამარის ეპოქაში, როცა სახელმწიფოს მოხელეთა ჯგუფი ყუთლუ არსლანის მეთაურობით „კარავის“ შექმნის მოთხოვნით გამოვიდა. სამწუხაროდ, აღნიშნული მოთხოვნა იმჟამად ვერ განხორციელდა, მაგრამ თავად ასეთი მოთხოვნის გაჩენა, რომელიც წყაროებითაა დადასტურებული მრავლისმეტყველია. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ გაცილებით ადრე სხვადასხვა წყაროებით საქართველოში დასტურდება სათათბირო ორგანოს „დარბაზის“ არსებობა. სულხან-

საბას განმარტებით დარბაზი „სამეფო დიდი სახლია“⁶⁸⁸. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით დარბაზი მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან „დარვაზეჰ“, რაც ნიშნავდა სახლის ან ალაცაფის კარს, ქართულში ეს სიტყვა მეფის ან საერთოდ მბრძანებლის სასახლეს აღნიშნავდა, ამავე დროს დარბაზს სასახლის იმ ოთახსაც ეძახდნენ, სადაც მეფის მონაწილეობით სახელმწიფო საქმეების გადასაწყვეტი სხდომა იმართებოდა. უძველესი ცნობა, რომელშიც დარბაზი და დარბაზის წევრები იხსენიება არის XI ს. 60-იანი წლების ბაგრატ IV სიგელი ოპიზის ტაძრისადმი. თანდათან ტერმინი დარბაზის მნიშვნელობა გაფართოვდა, გვხვდება სამეფო დარბაზი, დიდი და მცირე დარბაზი, სადედოფლო დარბაზი და სხვ. უდავოა, რომ ფეოდალურ საქართველოში დარბაზი წაროადგენდა სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ორგანოს, რომელიც იკრიბებოდა უმნიშვნელოვანესი საგარეო თუ საშინაო საკითხების განსახილველად. მაგ. თამარ მეფემ შამქორის ბრძოლის წინ შირვანშაჰი დარბაზის სხდომაზე მიიწვია, ასევე დარბაზობა გაიმართა რუჟნადინთან ბასიანის ბრძოლის წინ, დემეტრე II თავდადებულმაც საილხანოში წასვლის საკითხი დარბაზის სამსჯელოდ გამოიტანა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დარბაზის ფუნქცია სათათბირო უფლებით შემოიფარგლებოდა და საბოლოო გადაწყვეტილებას მონარქი ლებულობდა (მაგ. დარბაზის უარის მიუხედავად დემეტრე II მიიღო გადაწყვეტილება ურდოში წასვლის თაობაზე).

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნის საქართველოში იყო წინაპირობები მეფის ხელისუფლების შეზღუდვისა და „კარავის“ სახით საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) შექმნისა, ვერც მაშინ და მით უფრო მომდევნო საუკუნეებში შექმნილი ურთულესი საშინაო თუ საგარეო ვითარების გამო (მონღოლთა ბატონობა, თემურ-ლენგის დამანგრეველი ლაშქრობები, ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლა, მტრული საგარეო-პოლიტიკური გარემოცვის ჩამოყალიბება და ხანგრძლივი ბრძოლა გადარჩენისათვის) ამ ჭეშმარიტად პროგრესული იდეის განხორ-

⁶⁸⁸ სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი, I, 1991, გამომცემლობა „მერანი“, გვ. 198.

ციელების შესაძლებლობა ფაქტობრივად გაქრა.

XIX საუკუნეში, 1832 წლის შეთმულების მომზადების პროცესშიც გაჩნდა იდეა ქართული პარლამენტის (სეიმის) შექმნისა, თუმცა მაშინდელი რეჟიმის პირობებში საერთოდ შეთქმულების წარმატების შანსი მინიმალური იყო და სამწუხაროდ, ასეც მოხდა.

მხოლოდ XX საუკუნეში, პირველი მსოფლიო ომის მიწურულს დადგა ქართველი ერის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში გარდამტეხი მომენტი. რუსეთში დაემხო მონარქია, რასაც ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ეროვნული თვითგამორკვევის პროცესის გააქტიურება მოჰყვა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი ტრადიციების მიუხედავად, თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის პრობლემა არ დასმულა. პოლიტიკურ ასპარეზს საქართველოში ამ დროიდან დაეპატრონა სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკები), რომელიც ეროვნულ საკითხს, ისე როგორც არე, თებერვლის შემდგომაც მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა და წინა პლანზე რეაქციასთან ბრძოლაში იმპერიის პროგრესულ ძალთა ერთობლივ ძალისხმევას აყენებდა.⁶⁸⁹

ყველაზე თანმიმდევრულ ძალას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში წარმოადგენდა ქართველ ინტელიგენტთა ის მცირე ჯგუფი, რომელიც 1917 წელს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად ჩამოყალიბდა.⁶⁹⁰

ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს ბიძგი მისცა 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მომხდარმა სოციალისტურმა გადატრიალებამ, ამიერკავკასიაში ამ მოვლენებმა დააჩქარა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია - სულ ცოტა ორი უმთავრესი ფაქტორის შედეგად: ა) ამიერკავკასიის არცერთმა პარტიამ, გარდა ბოლშევიკებისა, არ ცნო ოქტომბრის გადატრიალების კანონზომიერება და მას ზურგი შეაქცია; 2. თვით ოქტომბრის „სოციალისტურმა რევოლუციამ“ მის პირველსავე დეკლარაციებში საზეიმოდ აღიარა რუსეთის იმპერიის ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევის მიზანშეწონილობა, ხოლო ერთა სრული თანასწორობა და სუვერენიტეტი სოციალისტური სისტემის მთავარ პირობად გამოაცხადა.⁶⁹¹

შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო ქართველთა ეროვნული კონ-

⁶⁸⁹ სურგულაძე პ., (1991), ქართული პარლამენტის სათავეებთან, თბილისი, გამომცემლობა „ცოდნა“, გვ.4-5.

⁶⁹⁰ იქვე, გვ.5.

⁶⁹¹ სურგულაძე პ., (1991), ქართული პარლამენტის სათავეებთან, თბილისი, გამომცემლობა „ცოდნა“, გვ.12.

სოლიდაციის პროცესის დაჩქარება. ამ პროცესის წარმართვისათვის საჭირო გახდა სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა, რომლის ორგანიზება თავის თავზე აიღო 1917 წლის აპრილში შექმნილმა ინტერპარტიულმა საბჭომ.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში, ხოლო 22 ნოემბერს ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო ნოე ყორდანის თავმჯდომარეობით. საქართველოს ეროვნული საბჭო იქცა ქართველი ერის ხელმძღვანელ ორგანოდ, რეალურ პოლიტიკურ ძალად.⁶⁹² სწორედ ამ ერთადერთ ლეგიტიმურ ორგანოს მოუწია 1918 წლის 26 მაისს ისტორიული გადაწყვეტილების მიღება - საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა. 1918 წლის ოქტომბრიდან ეროვნულ საბჭოს ოფიციალურად ეწოდა საქართველოს პარლამენტი, თუმცა სრულფასოვანი და ლეგიტიმური პარლამენტის (დამფუძნებელი კრების) არჩევნებისთვის მზადება დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო და 1919 წლის თებერვალში განხორციელდა კიდეც. ამრიგად, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პირველად შეიქმნა მრავალპარტიული, პროპორციული წესით არჩეული საკანონმდებლო ორგანო - დამფუძნებელი კრება, რომელსაც ურთულეს პერიოდში ქვეყნის გაძლოლასთან ერთად დაეკისრა ახლადჩამოყალიბებული, სუვერენული, მრავალეროვანი სახელმწიფოსათვის პროგრესული საკანონმდებლო ბაზის შექმნა, უპირველეს ყოვლისა კი ძირითადი კანონის - პირველი ქართული კონსტიტუციის მიღება.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში პარლამენტს მეოთხე თავი აქვს დათმობილი, რომელშიც განსაზღვრულია მისი უფლებამოსილება და სისტემა.

ჯერ კიდევ 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიამ წინ წამოწია ისეთი საკითხები როგორცაა პარლამენტის შემადგენლობა, უფლებები, მოვალეობები, სხდომის წარმოება და რეფერენდუმის საკითხი.⁶⁹³

საქართველოს პირველი კონსტიტუციის 46-ე მუხლის მიხედვით „საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი“, რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი,

⁶⁹² სილაგაძე ა., გურული ვ., საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918, 1996.

⁶⁹³ საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 46, ფურცელი 12. იხ. https://republic.archival-services.gov.ge/respublica/preview/GE_1_12_183_6_1_46_21/1704

ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეულ დეპუტატებისაგან....⁶⁹⁴. თუ კი გადავხედავთ საარჩევო მასალებს, საკონსტიტუციო კომისიის სანიმუშო პროექტში თავდაპირველად პარლამენტი „საკანონმდებლო ორგანოდ“ მიიჩნევა.⁶⁹⁵ უკვე 1921 წლის 21 თებერვალს დაბეჭდილ კონსტიტუციაში კი გი ჩანაცვლებულია „ნარმომადგენლობით“, რაც გამოწვეულია პროექტის ავტორთა აზრით, რომ პარლამენტი ნარმოადგენს არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს, არამედ იგი თავის თავში მოიცავს აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონალურ ელემენტებსაც.⁶⁹⁶

მეტად საყურადღებოა ნარმომადგენლობითი ორგანოს სახელის არჩევანიც. ორგანოსათვის პარლამენტის სახელის მინიჭება ევროპული კონსტიტუციონალიზმისაკენ გადადგმული ნაბიჯია.⁶⁹⁷ თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ამ პერიოდში რიგ ევროპულ სახელმწიფოებში ნარმომადგენლობით ორგანოს ჰქონდა თავისი ეროვნული სახელწოდება. მაგ. გერმანიაში „რაიხსტაგი“, საფრანგეთში „ნაციონალური კრება“, ნორვეგიაში „სტორტინგი“ და ა.შ.⁶⁹⁸ ზემოთხსენებულთან ერთად გათვალისწინებულ იქნა პირველი რესპუბლიკის გამოცდილება, როდესაც 1918 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოს „საქართველოს პარლამენტი“ ეწოდა.⁶⁹⁹

ხელისუფლების ფორმირების წესი განაპირობებს მის ლეგიტიმაციის ხარისხს, რაც კარგად ჰქონდა გათავისებული საკონსტიტუციო კომისიას. დოკუმენტში კარგადაა შერწყმული სახალხო ნარმომადგენლობა უშუალო მმართველობის პრინციპებთან.⁷⁰⁰

⁶⁹⁴ საქართველოს კონსტიტუცია, ბათუმი, 1921, მ. 46.

⁶⁹⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 1.

⁶⁹⁶ **ქანთარია ბ.**, პარლამენტი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გამომცემლობა „გრანალი“, გვ. 76.

⁶⁹⁷ **მაჭარაძე ზ.**, პარლამენტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, მოხსენებების კრებული, თბილისი, 2013, გვ.80.

⁶⁹⁸ **ქანთარია ბ.**, პარლამენტი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გამომცემლობა „გრანალი“, გვ. 77.

⁶⁹⁹ იქვე, გვ.78.

⁷⁰⁰ იქვე, გვ. 79.

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის სანიმუშო პროექტი, რომელიც შედგენილია იუსტიციის მინისტრის რ. არსენიძის მიერ. წარმოდგენილ პროექტში ვკითხულობთ - „საქართველოს საკანონმდებლო ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი“, რომელიც შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით არჩეული 130 დეპუტატისაგან...“⁷⁰¹ აღნიშნული პროექტი არ ითვალისწინებდა საქართველოს პარლამენტის პროპორციული წესით არჩევას. კონსტიტუციის ტექსტში პროპორციული წესით პარლამენტის არჩევის ჩანერას საფუძვლად ქართული გამოცდილება დაედო. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ითვალისწინებდა უახლოეს მომავალში დამფუძნებელი კრების მონეევას. იმავე წლის 22 ნოემბერს რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა დამოუკიდებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც 10 თავისა და 119 მუხლისაგან შედგებოდა. „იგი ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პარტიული სიების მიხედვით.“⁷⁰² არჩევნები ტარდებოდა საქართველოსთვის მეტად რთულ პირობებში. იმ დროს არსებულ ვითარებაზე წარმოდგენას გვიქმნის 1919 წლის 12 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატია:

„14, 15 და 16 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებია! მოქალაქენო! ამ დღეს უნდა გადასწყდეს საქართველოს ბედი! თქვენ თვითონ უნდა გამოსჭედოთ იგი!“⁷⁰³ 1919 წლის 14, 15 და 16 თებერვალს ჩატარებული არჩევნები, იმ სირთულეებისა და გამოწვევების მიუხედავად, რომლის წინაშეც იდგა იმ დროს ქართული სახელმწიფოებრიობა, შეგვიძლია თამამად ჩავთვალოთ ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ არჩევნებად იმდროინდელ მსოფლიოში, რადგან მასში მონაწილეობას იღებდა ორივე სქესის წარმომადგენელი.

1920 წელს გამოცემული საკონსტიტუციო პროექტის 52-ე მუხლი უკვე ითვალისწინებდა არჩევნების პროპორციულობას, რომელიც უცვლელად იქნა მიღებული საქართველოს კონსტიტუციაში და დაამკვიდრა წმინდა პარტიული არჩევნები.

1921 წლის კონსტიტუციაში არჩევნების პროპორციული სისტემის შე-

⁷⁰¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონფი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფ. 112. იხ. https://republic.archival-services.gov.ge/respublica/preview/E_1_12_1836_1_420_163/2080

⁷⁰² **მაცაბერიძე მ.**, არჩევნები და საზოგადოება, თბილისი 2003, გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 367.

⁷⁰³ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 12 თებერვალი, 1919.

მოღების მნიშვნელობა უფრო თვალსაჩინო ხდება დღეს, როცა როგორი პოლიტიკური ბატალიები და ვნებათაღელვა დასჭირდა იმის მიღწევას, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში პროპორციული საარჩევნო სისტემით გაიმართოს. საუკუნის წინ კი რუსეთის იმპერიისაგან ახლად თავდახსნილი საქართველოს პოლიტიკურმა სპექტრმა შეძლო ამ საკითხის ზედმეტი გართულებების გარეშე გადაჭრა.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 46-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ „არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულება“.⁷⁰⁴ პირველი კონსტიტუციის პროგრესულობას კიდევ ერთხელ მიუთითებს აღნიშნული მუხლიც, როცა იგი მიუთითებს ქალსა და მამაკაცს შორის რეალურ თანასწორობაზე, რომელიც იმ პერიოდში მხოლოდ რიგ სახელმწიფოებში გვხვდებოდა.⁷⁰⁵

კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი გახდა საარჩევნო უფლების მქონეთა ასაკი. პირველი კონსტიტუცია ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ აქტიურ საარჩევნო უფლებაზე, ხოლო არაფერს გვეუბნება პასიური უფლების შესახებ. აღნიშნული შესაძლოა გამომწვეული იყოს იმ ფაქტორით, რომ პასიური საარჩევნო უფლებას და მის ასაკობრივ ცენზს იმდენად დიდი მნიშვნელობა არ აქვს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, რომ კონსტიტუციით განსაზღვრულიყო და არა რომელიმე აქტით.⁷⁰⁶ თუმცა პროექტზე მუშაობისას აქტიურად განიხილებოდა პასიური საარჩევნო უფლებაც. ეროვნულ დემოკრატიების მოსაზრებით იგი 25 წლით უნდა განსაზღვრულიყო, რაც პირის გამოცდილებით იყო ნაკარნახევი.⁷⁰⁷ თუმცა პროექტით პასიურ საარჩევნო ასაკად 20 წელი განისაზღვრა, რომელმაც საბოლოოდ ასახვა ვერ ჰპოვა 21 თებერვლის

⁷⁰⁴ საქართველოს კონსტიტუცია, ბათუმი, 1921, მ.46.

⁷⁰⁵ **მაჭარაძე ზ.**, პარლამენტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, მოხსენებების კრებული, თბილისი, 2013, 83.

⁷⁰⁶ **ქანთარია ბ.**, პარლამენტი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გამომცემლობა „გრაალი“, გვ. 82.

⁷⁰⁷ **მაჭარაძე ზ.**, პარლამენტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, მოხსენებების კრებული, თბილისი, 2013, გვ. 83.

კონსტიტუციაში.⁷⁰⁸

საქართველოს კონსტიტუციის სანიმუშო პროექტის პირველი პუნქტით აქტიურ საარჩევნო ასაკად განისაზღვრა 20 წელი. აღნიშნული დებულება აღებული იყო შვეიცარიის კონსტიტუციიდან, რომლის მიხედვითაც „ხმის მიცემა და კენჭისყრის უფლება ყველა შვეიცარიელს აქვს, თუ იგი სრული 20 წლისაა ან მეტის და თუ მის თემს ეს უფლება არ ჩამოურთმევია. ყოველ შემთხვევაში ფედერაციული კანონმდებლობა ზრუნავს, რომ საარჩევნო უფლებით ყველა შვეიცარიელმა თანაბრად ისარგებლოს.“⁷⁰⁹ დეკუტატთა ნაწილი ამ დებულებას არ ეთანხმებოდა და მიიჩნევდა რომ საარჩევნო ასაკი 18 წლიდან უნდა ყოფილიყო, რაც არგუმენტირებული იყო რუსეთის მაგალითით. განხილვების მიუხედავად საბოლოოდ კონსტიტუციაში აისახა საარჩევნო უფლების ასაკი 20 წელი, რაც შემდეგი მიზეზებით იყო გამოწვეული. ჯერ ერთი ესაა, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება დამფუძნებელი კრების არჩევნებისას, როცა დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ დებულების მეორე თავის მესამე მუხლის მიხედვით „დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეს, თუ არჩევნების დღისათვის ოცი წელი შესრულებიათ“.⁷¹⁰ მეორეც ისევე შვეიცარიის კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება, რომელიც ემთხვევოდა კომისიის წევრთა კონცეპტუალურ ხედვას, რომ 20 წლის ასაკიდან ადამიანი მზადაა როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად გააცნობიეროს თავისი ქმედების მნიშვნელობა პოლიტიკურ პროცესებში.⁷¹¹

21 თებერვლის კონსტიტუციის 46-ე მუხლის მიხედვით „...პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით“⁷¹² მოცემული საკითხი კამათის საგანი გახდა საკონსტიტუციო კომისიაში. თავდაპირველად მან უპირატესობა 2 წელს მიანიჭა, რაც დასტურდება რ. არსენიძის მიერ წარმოდგენილი პროექტის

⁷⁰⁸ იქვე 84.

⁷⁰⁹ **ქანთარია ზ.**, პარლამენტი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გამომცემლობა „გრანალი“, გვ. 84.

⁷¹⁰ დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა, 22 ნოემბერი, 1918, თ. II, მ.3.

⁷¹¹ **ქანთარია ზ.**, პარლამენტი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გამომცემლობა „გრანალი“, გვ. 86.

⁷¹² საქართველოს კონსტიტუცია, ბათუმი, 1921, მ.46.

პირველი პუნქტით.⁷¹³ როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, პროექტზე მუშაობისას კომისის წევრებს მხედველობაში ჰქონდათ შვეიცარიის კონსტიტუციური პრაქტიკა. აღნიშნული საკითხი შვეიცარიის კონსტიტუციაში შემდეგი სახითაა ფორმულირებული, რომ ნაციონალური საბჭო აირჩევა 3 წლის ვადით.⁷¹⁴ კონსტიტუციის პროექტში ასახულ 2 წლიან ვადას ჰყავდა როგორც მომხრეები, ისე ოპონენტებიც. მომხრეების მოსაზრებით, ხშირი არჩევნები შეჰმატებდა ადამიანებს რწმენას, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მათ აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.⁷¹⁵ სოციალ-დემოკრატები კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ ორწლიანი ვადით. პროექტის ერთ - ერთი ავტორი ს. ჯაფარიძე 1920 წლის 14 აპრილის სხდომაზე გამოსვლისას მიუთითებდა, რომ ხშირი არჩევნები გამოიწვევდა საზოგადოების ინდიფერენტიზმს, პარლამენტიც ვერ მოახერხებდა მის წინაშე არსებული პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაჭრას. ამასთან, მისი აზრით კომისიას უნდა გაეთვალისწინებინა ის დიდი ხარჯები, რასთანაც დაკავშირებულია საარჩევნო პროცესი და უნდა იქნას გაღებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან.⁷¹⁶ საბოლოოდ გადაწყდა სამწლიანი ვადა, რომელიც შექმდე უცვლელად აისახა კონსტიტუციაში. ამრიგად, ვინაიდან პირველი რესპუბლიკის პარლამენტის მოქმედების განსაზღვრული პრაქტიკა ფაქტობრივად არ არსებობდა (დამფუძნებელი კრების შეკრებამდე საქართველოს მართვა ეროვნული საბჭოს კომპეტენცია იყო⁷¹⁷, შემდეგში დამფუძნებელი კრების უფლებამოსილების ვადაც არ განსაზღვრულა⁷¹⁸), ამიტომ კანონმდებლებმა აიღეს შვეიცარიის კონსტიტუციის მაგალითი.

საქართველოს პირველ კონსტიტუციაში არის რიგი საკითხები, რომელთა ჩამოყალიბებაც უკეთესი იქნებოდა, რის ღია დატოვების მიზეზიც მისი ნაჩქარევად მიღება შეიძლება ჩაითვალოს. ერთ-ერთი ასეთ საკითხთანაა პარლამენტის წევრთა რაოდენობა. მაგრამ ფაქტია, რომ წევრთა

⁷¹³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 112.

⁷¹⁴ **ქანთარია ბ.**, პარლამენტი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გამომცემლობა „გრაალი“, გვ. 88.

⁷¹⁵ იქვე, გვ. 88.

⁷¹⁶ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 200.

⁷¹⁷ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 26 მაისი, 1918, პუნქტი 7. იხ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801451?publication=0>

⁷¹⁸ საქართველოს კონსტიტუცია, ბათუმი, 1921, მუხლი 149.

რაოდენობა არსებით გავლენას ვერ ახდეს კონსტიტუციურ ფორმაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის სანიმუშო პროექტში გათვალისწინებული იყო 120 დეპუტატი, შვეიცარიის კონსტიტუციის გავლენით.⁷¹⁹ 1920 წელს დამფუძნებელი კრების მიერ გამოცემულ პროექტში კონკრეტული რიცხვი ამოღებულია, და მითითებულია ზოგადი პრინციპი - „პარლამენტის წევრთა ასარჩევად რესპუბლიკა დაყოფილია საარჩევნო ოლქებად თანახმად კანონისა. თითოეულ ოლქს უნდა მიეკუთვნებოდეს განსაზღვრული რიცხვი დეპუტატებისა, მცხოვრებთა რაოდენობისამებრ...“⁷²⁰

ვინაიდან კონსტიტუციის პროექტის ავტორები სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოებაზე ამყარებდნენ იმედებს, რაც გამოიწვევდა დეპუტატთა რაოდენობის ზრდას. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ კომისიამ ღიად დატოვა კონსტიტუციაში პირდაპირ წევრთა რაოდენობის ჩანწრა.

ეს ფაქტი, რომ არ განისაზღვრა დეპუტატთა ზუსტი რაოდენობა, მიუთითებს პირველი კონსტიტუციის ავტორთა შორსმჭვრეტელობასა და ქვეყნის ინტერესების დაცვაზე.

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის კონსტიტუციის 54-ე მუხლის მიხედვით საქართველოს პარლამენტის უფლებებს მიეკუთვნებოდა: კანონმდებლობა, უმაღლესი განმგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა, ომის გამოცხადება, დამტკიცება საზავო, სავაჭრო და ამგვარი ხელშეკრულებისა უცხო სახელმწიფოებთან, ამინისტია, ბიუჯეტის დამტკიცება, საშინაო და საგარეო სესხის აღება, თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდამი მიკუთვნებული და საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.⁷²¹

პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კანონშემოქმედებითი საქმიანობაა. პარლამენტი თავის მუშაობას აგვირგვინებს ნორმატიული აქტის გამოცემით, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავება ფორმისა და შინაარსის მიხედვით. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საა-

⁷¹⁹ **ქანთარია ზ.**, პარლამენტი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გამომცემლობა „გრანალი“, გვ. 96.

⁷²⁰ იქვე, გვ. 98.

⁷²¹ **მაჭარაძე ზ.**, პარლამენტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, მოხსენებების კრებული, თბილისი, 2013, გვ. 88.

მართლებრივი ფორმის მიხედვით განსაზღვრული იყო შემდეგი სახის ნორმატიული აქტები: კანონი, დებულება, ძირითადი დებულება, დროებითი დებულება, დადგენილება, დეკრეტი, წესი, წესდება, რატიფიკაცია და ამინისტია, რომლებიც მოწესრიგებული იყო როგორც ცალკეული კანონებით, ისე ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების რეგლამენტით.⁷²²

კანონმემოქმედებითი საქმიანობის საწყის ეტაპს საკანონმდებლო ინიციატივა წარმოადგენს. თუ ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არის განსაზღვრელი ფაქტორი სახელმწიფოს დემოკრატიის ხარისხისა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული ინიციატივის მქონე სუბიექტთა წრე. თუმცა საარქივო მასალები ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნდათ : 1. ეროვნულ საბჭოს წევრებს (პარლამენტის წევრებს პერსონალურად); 2. ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს; 3. ეროვნული საბჭოს კომისიებს; 4. ეროვნული საბჭოს ფრაქციებს; 5. მინისტრთა კაბინეტს; 6. მინისტრებს ინდივიდუალურად.⁷²³³⁸ 1919 წლიდან დამფუძნებელი კრების მოქმედების პერიოდში გაიზარდა სუბიექტთა რაოდენობა და მათ დაემატა: 1. სახელმწიფო კონტროლიორი; 2. აფხაზეთის სახალხო საბჭო;⁷²⁴³⁹

საქართველოს პირველი კონსტიტუცია რომ ერთ-ერთი იმ პერიოდის მოწინავეა მიუთითებს ინიცირების უფლების საკითხიც. საკონსტიტუციო კომისიამ ინიცირების უფლება გასაზღვრა სამი სახით თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე: 1. ზოგადი ინიციატივა (მუხლი 63); 2. სარეფერენდუმო ინიციატივა (მუხლი 64); 3. ინიციატივა კონსტიტუციის გადასინჯვაზე (მუხლი 145).

1921 წლის კონსტიტუციის 63-ე მუხლის თანახმად, ზოგადი ინიციატივის უფლება აქვს „პარლამენტის ყოველ წევრს“ და „5000 ამომრჩეველს“.⁷²⁵ კონსტიტუციის 72 -ე მუხლის მიხედვით მთავრობის უფლებამოსილებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას აღნიშნულია მისი უფლება თავისი

⁷²² ქანთარია ბ., პარლამენტი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გამომცემლობა „გრალი“ გვ. 140.

⁷²³ იქვე, გვ. 141.

⁷²⁴ იქვე, გვ. 141.

⁷²⁵ საქართველოს კონსტიტუცია, ბათუმი, 1921, მუხლი 63.

კანონპროექტები წარადგინოს პარლამენტში.⁷²⁶ თუ რატომ არ მიუთითეს 63-ე მუხლში ასევე მთავრობა კონსტიტუციის შემოქმედებმა უცნობია. ხომ არ ნიშნავს აღნიშნული გადაწყვეტილება იმას, რომ მთავრობის ინიცირებულ კანონპროექტს განსხვავებული პროცედურა უნდა გაეწეოთ?!⁷²⁷

სარეფერენდუმო ინიციატივისათვის საჭიროა 30000 ამომრჩევლის წერილობითი მოთხოვნა. კონსტიტუციის 64-ე მუხლის თანახმად „თუ ოცდაათი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმით ხალხს წარუდგინოს. რეფერენდუმის წესს განსაზღვრავს კანონი.“⁷²⁸

კონსტიტუციის გადასინჯვაზე ინიციატივის უფლება ჰქონდა პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტსა და 50 000 ამომრჩეველს(მუხლი 145).⁷²⁹ კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის ძალაში შესვლისათვის აუცილებელი იყო ხალხის უმრავლესობის დადასტურება (მუხლი 147).⁷³⁰

საარქივო მასალებიცხადჰყოფს, რომ საკონსტიტუციო კომისიამ იხელმძღვანელა შვეიცარიის კონსტიტუციის 89-ე მუხლით ან „ფედერალური კანონებისა და დადგენილებების რეფერენდუმზე დამტკიცების შესახებ“ ფედერალური კანონით. მაგრამ ქართული კონსტიტუციის რეცეფცირებულ ვარიანტს. თუ შვეიცარული კანონმდებლობით ინიციატივის უფლების მქონეთა რაოდენობა 30 000 არის განსაზღვრული, 1921 წლის 21 თებერვლის სანიმუშო პროექტის მე-18 პუნქტში ეს რიცხვი გაზრდილია 50 000-მდე. რაც გამოწვეულია მოსახლეობის რაოდენობით, ქართული რედაქცია ითვალისწინებს 3 მაზრის ინიციატივას.⁷³¹ რაც კონსტიტუციის მეტ დემოკრატიულობაზე მიუთითებს.

საკანონმდებლო პროცედურაზე ზემოთ აღნიშნულის გარდა არაფერი გვხვდება. სავარაუდოა, რომ რეგლამენტში იქნებოდა საუბარი ამა თუ იმ ნორმატიული აქტის მიღების პროცედურის თავისებურებებზე.

დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებათა განხორციელების გარანტიები:

⁷²⁶ საქართველოს კონსტიტუცია, ბათუმი, 1921, მუხლი 72.

⁷²⁷ **მაჭარაძე ზ.**, პარლამენტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, მოხსენებების კრებული, თბილისი, 2013, გვ. 89.

⁷²⁸ საქართველოს კონსტიტუცია, ბათუმი, 1921, მუხლი 64.

⁷²⁹ იქვე, მუხლი 145.

⁷³⁰ იქვე, მუხლი 147.

⁷³¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 114.

1. სადეპუტატო ინდემნიტეტი

სადეპუტატო ინდემნიტეტი პირველ ქართულ კონსტიტუციაში შეესაბამება ევროპული საპარლამენტო კონსტიტუციონალიზმის ძირითად პრინციპს. ინდემნიტეტი თავის თავში მოიაზრებს როგორც საპარლამენტო უფლებამოსილების განხორციელების კონსტიტუციურ გარანტიებს, ისე დეპუტატის მიერ აზრის გამოხატვის უფლებას.

ა) აზრის გამოხატვის თავისუფლება

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია იძლეოდა გარანტიას, რომ დეპუტატს მის მიერ მოვალეობის შესრულების პროცესში გამოთქმული მოსაზრება არ შეიძლება ყოფილიყო პასუხისმგებლობაში მიცემის საფუძველი. პარლამენტის წევრის თავისუფალი აზრის გამოხატვის კონსტიტუციური უფლებამოსილება განმტკიცებულია 48-ე მუხლში, სწორედ ეს პრინციპი იყო დაცული საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის დეკრეტის მე-2 მუხლით. ამ მუხლის დეკლარირება განპირობებული იყო იმდროინდელი პოლიტიკოსების ერთსულოვანი დამოკიდებულებით საკითხისადმი.⁷³² აღნიშნული უფლებით დეპუტატი სარგებლობდა მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ იგი მოქმედებს როგორც დეპუტატი, ანუ თუ იგი გამოდიოდა სიტყვით, შეჰქონდა განცხადება და სხვა. მეორე, თუ მოვალეობათა განხორციელების დროს იგი იმყოფება პარლამენტში. პარლამენტს გარეთ წარმოთქმული სიტყვებისათვის შესაძლებელია დეპუტატის პასუხისმგებლობაში მიცემა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ პარლამენტი ამის ნებას მისცემს პარლამენტი სამართალდამცავ ორგანოებს. „საკონსტიტუციო კომისიის კონცეპტუალური დოქტრინის მიხედვით „უპასუხისმგებლობის პრივილეგიით“ უნდა ესარგებლა მხოლოდ დეპუტატს და არა მთლიან პარლამენტს“.⁷³³ აღსაღნიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული მუხლი ბუნდოვანია და არ მიუთითებს იმ გარემოებებს, როცა შეიძლება დეპუტატი გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან საკანონმდებლო ორგანოში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრის გამო.⁷³⁴

⁷³² **ქანთარია ბ.**, პარლამენტი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გამომცემლობა „გრანალი“, გვ. 107.

⁷³³ **ქანთარია ბ.**, პარლამენტი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გამომცემლობა „გრანალი“, გვ. 109.

⁷³⁴ იქვე, გვ. 110.

ბ) ჩვენებაზე უარის თქმის უფლება

დეპუტატის ინდემნიტეტის კიდევ ერთი ფორმაა ჩვენებაზე უარის უფლება, რომელიც გარანტირებულია კონსტიტუციის 49-ე მუხლით. დეპუტატი უფლებამოსილია სიცოცხლის ბოლომდე არ გახადოს საჯარო ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისას. როგორც საარქივო ჩანაწერებიდან ჩანს საკონსტიტუციო კომისიამ იხელმძღვანელა რა გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციით და პროექტის 56 მუხლში მიუთითა - „პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდევს, როგორც დეპუტატს; ეს უფლება არ ეკარგება მას მაშინაც, როცა დეპუტატად არ ითვლება“.⁷³⁵

სადეპუტატო ინდემნიტეტი დაკავშირებულია დეპუტატის მიერ თავისი საქმიანობის განხორციელების კიდევ ერთ გარანტიასთან, რომელიც განსაზღვრულია კონსტიტუციის 50-ე მუხლით - „პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო“. იმ პერიოდისათვის საზღვარგარეთის ქვეყნების არაერთ კონსტიტუციით განისაზღვრებოდა, რომ დეპუტატს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად უნდა მიეღო გასამრჯელო.⁷³⁶

2. სადეპუტატო იმუნიტეტი

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში საკმაოდ დეტალურადაა განერილი სადეპუტატო იმუნიტეტისა და ინდემნიტეტის საკითხები. პარლამენტის წევრის სტატუსი პირდაპირ კავშირშია მის სადეპუტატო პრივილეგიებთან, რომელსაც ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. კონსტიტუციის ერთ-ერთი ტრადიციული ფუქცია პარლამენტის წევრის ხელშეუხებლობის განსაზღვრაა, რომელიც გაითვალისწინა რა საკონსტიტუციო კომისიამ და დამფუძნებელი კრების გამოცდილების გათვალისწინებით განსაზღვრა იგი.⁷³⁷

საკონსტიტუციო კომისიაში „საპარლამენტო შეუვალობის“ საკითხთან

⁷³⁵ იქვე, გვ. 11.

⁷³⁶ **მაჭარაძე ზ.**, პარლამენტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, მოხსენებების კრებული, თბილისი, 2013, გვ. 91.

⁷³⁷ **ქანთარია ზ.**, პარლამენტი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გამომცემლობა „გრანალი“, გვ. 119.

დაკავშირებით ჩამოყალიბებული იყო კონცეპტუალური ხედვა. ეროვნულ-დემოკრატიები მიიჩნევდნენ რომ აღნიშნულ ხელშეუხებლობას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნდა, იგი უზრუნველყოფდა საპარლამენტო უფლებამოსულების თავუსუფლად განხორციელებას, დაიცავდა დეპუტატს სახელმწიფო ხელისუფლებისა მხრიდან ზენოლისაგან.⁷³⁸ საქართველოს პირველი კონსტიტუციის 48-ე მუხლს დაედო კომისიის კონცეპტუალური ხედვა. 48-ე მუხლის მიხედვით „პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს. პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სამართალში მიცემულ იქნეს იგი, ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება, თუ თვით პარლამენტმა ამის ნება არ დართო. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ. ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს; შეპყრობილი ან სამართალში მიცემული პარლამენტის წევრი განთავისუფლებულ უნდა იქნეს, თუ პარლამენტი ამას მოითხოვს“.⁷³⁹ აღსანიშნავია ასევე კონსტიტუციის 49-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც პარლამენტის წევრი აღჭურვილი იყო უფლებით არ მიეცა ჩვენება იმ ფაქტის შესახებ, რომელიც მას „გაანდევს როგორც დეპუტატს“.

ამრიგად, საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ მკაცრად განსაზღვრა „საპარლამენტო შეუვალობის“ პრინციპი, რითაც უზრუნველყო პარლამენტის წევრის საქმიანობის თავისუფლება.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია იმ პერიოდისათვის უდაოდ პროგრესული, ქართული რეალობის გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტია. ამას ცხადჰყოფს პარლამენტთან მიმართებით განხორციელებული ანალიზიც. მასში მონესრიგებული დებულებები ჩვენი ქვეყნის პირველ კონსტიტუციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა.

სამწუხაროდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას და მის პარლამენტს კონსტიტუციის მიღებიდან სულ მალე მოუწინა ქვეყნის დატოვება, რის გამო საქართველოს პირველი კონსტიტუციის პრაქტიკაში განხორციელება ვერ მოხერხდა, მაგრამ მისი ღირებულება და მნიშვნელობა გამოვლინდა დაახლოებით 70 წლის შემდეგ, როცა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულმა მრავალპარტიულმა პარლამენტმა აღიარა 1921 წლის კონსტიტუციის მნიშვნელობა და მისი სამართალმემკვიდრეობა.

⁷³⁸ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, საქმე 728, ანაწერი 1, ფურცელი 97.

⁷³⁹ საქართველოს კონსტიტუცია, ბათუმი, 1921, მუხლი 489.

Parlament in Georgian constitution of 21st February, 1921

Upon gaining independence in 1918, the need for a constitution was unanimously recognized. To draft the Constitution of the Democratic Republic of Georgia, the National Council approved the Commission for the Constitutional Basis of the Democratic Republic of Georgia, which performed titanic work.

On February 21, 1921, the Constituent Assembly adopted the Constitution of Georgia. It is a fairly progressive legal act for the period. The rules, structures and the authority of the first constitution of parliament are in the 4th chapter. The

Parliament is presented as the leading political institution. According to constitutional commission, parliament is an organ, elected by people, which mustn't be dismissed. Georgian government had political responsibility before the parliament; the members of government might also be the members of Parliament. The constitution included the principles which were characteristic of parliamentary model. The election of parliament was allowed every three years by the proportional rule and this principle was chosen from Swiss models. Both men and women could take part in elections in Georgia. According to the constitution the parliament of Georgia was the classic sample of one-member parliament. According to that-time world constitutionalism experience there are the principles of the immunity of the Member of Parliament and parliamentary indemnity. Parliament could enact the legislation; approve the budget, manage high armed forces, amnesty, and the overall control of government activity.

The first constitution of Georgia represented one of the progressive documents in the constitution of Europe in that period.

რეცენზია

როზაბა გუჯაჯიანი,

ისტორიის დოქტორი

ქეთევან ხუციშვილი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზია

ჯაბა სამუშიას ახალ მონომოგრაფიაზე

„კვივის კულტურა და ეტიკატი შუა საუკუნეების
საქართველოში

(ესსე და მასალები ქართულთა
გასტროისტორიდან)“

ათნლეულებია, რაც დასავლური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო ნარმომადგენლები დიდ ადგილს უთმობენ შუა საუკუნეების ყოფითი ყოველდღიურობის თემატიკის შესწავლას. კვლევის ეს მიმართულება ინტერდისციპლინურ სფეროს განეკუთვნება და მას იკვლევენ როგორც ეთნოლოგები/ანთროპოლოგები, ასევე ისტორიკოსები.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული ევროპელ მედიევისტთა ნაწილის ყურადღების ცენტრში შუასაუკუნეების ე.წ. ტოტალური ისტორიები: კვლევა ამა თუ იმ ქვეყნის, რეგიონის, კონკრეტული თემის ყოფითი თავისებურებებისა კონკრეტულ ეპოქაში. ისტორიკოსები საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით იკვლევენ ყოფით ყოველდღიურობას: ტრადიციული მეურნეობის დარგებს, მინათმფლობელობის სისტემებს, სხადასხვა სოციალური კლასის ცხოვრებას, მათ ერთმანეთთან დამოკიდებულებას, ქალთა საკითხებს, მათ უფლებებს, ნათესაურ სისტემათა სოციო-კულტურულ კონტექსტს, ბავშვთა სოციალიზაციის ფორმებს, სიკვდილიანობის პრობლემებს, ებიდემიათა პრევენციისა თუ მათი დაძლევის გამოცდილებას, რელიგიისა და ყოფის კორელაციას, რელიგიისა და ომების ურთიერთმიმართებას, ინკვიზიციის ისტორიას, კვების კულტურას, სამოსის სახეობებსა და დამზადების ტექნოლოგიას, დამოკიდებულებას სი-

ცოცხლისა და სიკვდილის თემასთან, კლიმატის ცვლილების გავლენას სოციო-ეკონომიკურ პროცესებზე, ენის სტრუქტურის ფორმირებასა და მიმართებას კულტურასთან და ა.შ. რასაკვირველია, ეს არის ეთნოლოგიური/ანთროპოლოგიური თემატიკაც და, ბუნებრივია, რომ ისტორიული ეთნოანთროპოლოგიის სპეციალისტები, მსგავსად ისტორიკოსებისა, სწორედ რომ სასიტორიო წყაროთა ანალიზით ახდენენ ისტორიის რეკონსტრუქციას, მაგრამ, ამავე დროს, იყენებენ ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდებს და ამ ორი დარგის სინთეზის საფუძველზე ალადგენენ წარსულის სურათებს. ცხადია, რომ ინტერდისციპლინური კვლევა ყველაზე შედეგიანია და წარმატებული. ამ მხრივ, ქრონოლოგიურად რომ მივყავთ, უდიდესი დამსახურება მიუძღვით ფრანგული „ახალი ისტორიული მეცნიერების“ ფუძემდებლებს ლუსიენ ფევრსა და მარკ ბლოკს, „ანალების“ სკოლის ყველა სხვა შემდგომი თაობის წარმომადგენლებს: ფერნან ბროდელს, ჟორჟ დიუბის, ჟაკ ლე გოფს, ემანუელ ლე რუა ლადიურს, ბერნარ ლეჟტის, როჟე შარტიეს, ჟაკ რეველს, ანდრე ბიურგერს და სხვ. ევროპაში შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალებიც გამოიცემა, ძალიან ცნობილი და რეიტინგული. ჩვენში მეოცე საუკუნის მიწურულიდან, სამწუხაროდ, შეიმჩნევა ტენდენცია ისტორიის მკვლევართა დისტანცირებისა ეთნოგრაფიული მასალისაგან. თანამედროვე ისტორიკოსთა და ანთროპოლოგთა ერთი ნაწილი, ფაქტობრივად, არც კი იცნობს არათუ ამ ორი მომიჯნავე დარგის მიღწევებს, არამედ საკუთარი დარგის ისტორიასაც კი. გამოიცემა სტატიები, წიგნები, რომელთა ავტორებს წარმოდგენაც არა აქვთ სამეცნიერო წყაროებისა და უკვე არსებული ლიტერატურის შესახებ: ისტორიკოსთა და ანთროპოლოგთა ეს ჯგუფი, უმრავლეს შემთხვევაში, მეორე დარგის მიღწევათა გაუთვალისწინებლად და გაუანალიზებლად წერს ნაშრომებს, რაც კვლევის არეალსა და სიღრმისეულობას საკმაოდ აკნინებს. არადა ყველას გვახსოვს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის შრომები - „ქართველი ერის ისტორიაში“ სათანადო ადგილი ეთმობა ქართველთა ყოველდღიურობას, ანუ, ეთნოგრაფიულ მასალას და რაც დრო გადის, მით უფრო თვალსაჩინო ხდება ივანე ჯავახიშვილის დამსახურება საქართველოს ისტორიის კვლევისა და ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

ბუნებრივია, რომ ივანე ჯავახიშვილისეული მეთოდოლოგია აქტუალურია ჩვენს დროშიც, რადგან დიდი მეცნიერი იკვლევდა კომპლექსურად და ეყრდნობოდა როგორც თავისთავად საისტორიო წყაროებს, ასევე ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მონაცემებს. ცხადია, რომ შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ მსჯელობა სრულიად წარმოუდგენელია ამ მონა-

ცემთა გათვალისწინების გარეშე. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდა ერთი ახალი მონოგრაფია, დაწერილი ისტორიკოსის მიერ, რომელშიც სწორედ რომ ივანე ჯავახიშვილისეული მასშტაბურობითა და სიღმისეულობით არის შესწავლილი და გაანალიზებული ქართველთა შუასაუკუნეობრივი ყოფის ერთი კონკრეტული სემანტი - კვებითი ტრადიცია და მისი სოციო-კულტურული კონტექსტი.

ვგულისხმობთ ჯაბა სამუშიას ახალ მონოგრაფიას „კვების კულტურა და ეტიკეტი შუა საუკუნეების საქართველოში (ესსე და მასალები ქართველთა გასტროისტორიდან)“. წიგნი 312 გვერდისაგან შედგება და გამოქვეყნებულია გამომცემლობა „პალიტრა გ“-ის თხუთმეტომეულის - „საქართველოს ისტორიის პალიტრა“ - მეთორმეტე ტომში.

ჯაბა სამუშიას მონოგრაფია ტრადიციული ქართული კულტურით დაინტერესებული მკითხველისათვის შესანიშნავი საჩუქარია: წიგნი ინტერდისციპლინურია, ეყრდნობა საისტორიო წყაროთა გამონვლილვით ანალიზს და, ამავე დროს, ისტორიული ეთნოლოგიის/ანთროპოლოგიის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს და სრულად თანხვედება. ევროპული „ანალების“ სკოლის ფორმატსაც.

ავტორი შესავალ ნაწილში ნამდვილი მეცნიერისათვის დამახასიათებელი თავმდაბლობით აღწერს მონოგრაფიის შინაარსსა და კვლევის შედეგს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წიგნი დიდი მნიშვნელობის მქონეა: მასში დეტალურად არის ყველა არსებული წერილობითი წყარო შესწავლილი და გაანალიზებული, წარმოდგენილია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მეორეული ანალიზიც - ფაქიზად და წინამორბედ მეცნიერთა მიმართ პატივისცემით.

გამოვლენილია არაერთი სამეცნიერო სიახლე და მთლიანობაშია წარმოჩენილი მრავალსაუკუნოვანი ქართველი ეთნოსის გასტრონომიული კულტურა.

ტრადიციული კვებითი სისტემა შესწავლილია ისტორიულ ძირშიც და დიაქრონულ არეალშიც, რელიგიის გავლენასთან დაკავშირებითაც, არსებულ გეოპოლიტიკურ კონტექსტშიც, შიდა ლოკალურ-ტერიტორიულ ერთეულთა მონაცემების გათვალისწინებითაც და სხვ.

პირველ და მეორე თავში აღწერილია ქართველთა ყოველდღიური კვების რეჟიმი, პროდუქტები და რაციონი V-XVIII საუკუნეებში (გვ., 21-53). მესამე თავში განხილულია საეკლესიო კანონების გავლენა ყოველდღიურობაზე, კერძოდ, ტრადიციულ კვების კულტურაზე და შესწავლილია, როგორც საერო, ასევე სასულიერო პირთა (ბერ-მონაზონთა) ტრაპეზი და სამარხვო რაციონი (გვ., 54-75).

მეოთხე თავში წარმოდგენილია ვრცელი და დეტალური ინფორმაცია შუასაუკუნეების საქართველოში გავრცელებული კერძებისა და სასმელების შესახებ: შინაური და გარეული ცხოველებისა და ფრინველებისაგან მომზადებული კერძები, ბოსტნეულის კერძები, ზღვის პროდუქტების, სასმელთა ნაირსახეობანი, ხილის ასორტიმენტი, მემინდვრობის პროდუქტები, სანებლების მთელი მრავალფეროვნება, ტკბილეულის სახეობანი. თემატურადაა დალაგებული მგზავრობის რაციონი (გვ., 76-165).

მეხუთე თავში წარმოდგენილია სოციალურ ფენათა ყოველდღიური კვების ტრადიციები: მეფის, დიდებულისა თუ გლეხის სადაგი და სადღესასწაულო სუფრა (გვ., 166-180).

ვრცელი მონაკვეთი ეთმობა შუა საუკუნეების ქართული სუფრის ეტიკეტს. ეს საკითხი ყოველთვის ინვევდა მეცნიერთა ინტერესს და გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი. ჯაბა სამუშია განიხილავს არსებულ სასიტორიო წყაროებს და მათი მეშვეობით აღადგენს ეტიკეტის ყველა ეტაპსა და ნიუნსს (გვ., 181-215). აღწერილია სუფრის მიმდინარეობა და სადღეგრძელოთა წარმოქმნის ტრადიცია: სადღეგრძელოთა ჩამონათვალი და მათი არსი. ცნობილია, თუ რაოდენ უნიკალურია ქართულ სადღეგრძელოთა სისტემა და საყურადღებოა მათი ტრანსფორმაციის პროცესიც.

საისტორიო წყაროთა მონაცემების საფუძველზე გამოვლენილია სამეფო კარის მომარაგების ისტორია და შესაბამის მოხელეთა ჩამონათვალი და ფუნქციები (გვ., 232-243).

შესწავლილია სამხედრო საქმესთან კვების მიმართების პრობლემა (გვ., 245-255).

გამოვლენილია კვების მიმართება ადამიანის ეკოლოგიასთან და სათანადოდაა აღწერილი ჩვენი წინაპრების უდიდესი გამოცდილება ჯანსაღი კვებისა და ზოგადად ეკოლოგიური ბალანსის დაცვის საქმეში. გათვალისწინებულია მედიცინასთან მიმართებით წამოჭრილი პრობლემები და ქართველთა მიღწევები ჯანდაცვის კუთხით (გვ., 232-244).

ქართულ ისტორიოგრაფიისათვის, ვფიქრობთ, უაღესად საინტერესო პასაჟია მეთორმეტე თავი, რომელშიც აღწერილია „ლხინისა და შეთქმულების“ ისტორიები: ლხინი, სუფრა, როგორც შეთქმულებისა და პოლიტიკური შურისძიების ადგილი, როგორც პოლიტიკური მკვლელობის არეალი, მოწამვლის კონკრეტული მაგალითები, ჭაშნაგირის ხელობის არსი და სხვ. (გვ., 256-263).

კლასიფიკაცია ქართული კვებითი სისტემისა ბევრი მხრითაა შესაძლებელი. მონოგრაფიაში ყველა ყოფით ელემენტსა თუ სოციალურ თუ რელიგიურ ჯგუფს სათანადო ადგილი აქვს მიჩენილი: წარმოდგენილია

ბერ-მონაზონთა, საეროთა, მეფეთა, დიდებულთა, დაბალის სოციალური წრის წარმომადგენელთა როგორც სადაგი, ასევე, სამარხვო, სადღესასწაულო, საომარი, სამონადირეო და სხვ., კვების რაციონი.

შუასაუკუნეების ქართული ეკონომიკის ფორმები, საერთაშორისო ვაჭრობა თუ შიდა ეკონომიკური ცირკულაცია მეცამეტე თავშია აღწერილი (გვ., 264-274).

შესწავლილია გლობალურ ან რეგიონულ ეკონომიკურ კრიზისთა გავლენა საქართველოზე და შიმშილობით სიკვდილიანობის მძიმე ისტორიები (გვ., 275-280).

ყურადღება გამახვილებულია ქართული სუფრის თანმხლები ეთნომუსიკალური კულტურის, გართობა-სანახაობითი ელემენტების შემქმნელთა, წარმომდგენთა შესახებ (მგოსანნი და მუშაითნი, მუტრიბნი, აჯაბნი...) და სალხინო ნაირსახეობებზე: სიმღერა, ლექსთა თქმა, „ჩანგთა ჟღერა“, დაირათა ხმიანობა. აღწერილია ადგილი, სადაც იმყოფებოდნენ მუსიკოსნი. ქართულ წყაროებთან ერთად გამოყენებულია უცხოელ მკვლევარ-მოგზაურთა აღწერილობანი. საგულისხმოა, რომ შუასაუკუნეების ქართული ლხინის მუსიკალურ ნაწილს ქალთა ჰანგებიც და ცეკვაც ახლდა, რაც ქალთა მაღალ უფლებრივ მდგომარეობაზეც მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ქართულ ლხინსა თუ დღესასწაულს ახლდა სანესო-სპორტული ასპარეზობანიც (გვ., 281-287).

მეთექვსმეტე თავში აღწერილია კვებისათვის საჭირო დგამ-ჭურჭელი, გამოვლენილია სამეფო თუ სხვა მოხელეთა კონკრეტული ჩამონათვალი და როლი კვების მენეჯმენტსა და წარმართვაში (გვ., 288-306).

წარმოჩენილია შუასაუკუნეების საქართველოს კვების ეკონომიკის რუკა რეგიონალურ ასპექტში.

მონოგრაფია შუასაუკუნეების ქართული ყოფისა და კულტურის შესანიშნავი აღწერილობაა და ასეთი ერთიანი სახით წარმოდგენილი პირველი ნაშრომია.

საკვები, როგორც ადამიანთა შორის ინტერაქციის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ინსტრუმენტს დიდი სოციალური მნიშვნელობა გააჩნია. ზოგადად კვების სისტემა როგორც კულტურის ერთ-ერთი ქვესისტემა კულტურის ყველა სხვა ელემენტთან არის დაკავშირებული და მისი კვლევა საშუალებას იძლევა გაკეთდეს გარკვეული დასკვნები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით როგორცაა იდენტობის, სოციალური სტატუსის, პრესტიჟის, გენდერული დიფერენციაციის, მსოფლმხედველობისა და რელიგიური პრაქტიკის შესახებ. ეს მიმართებები კარგად არის გამოკვეთილი ჯ. სამუშიას ნაშრომის სტრუქტურაში.

კვების სისტემის კვლევა სოციო-კულტურულ, მატერიალურ, ნუტრიციის და სამედიცინო განზომილებებს მოიცავს ერთნამეთთან მჭიდრო კავშირში. შესაძლებელი ხდება კვების კულტურასა და მასთან დაკავშირებული ეტიკეტის ანალიზისას მათი სოციო-კულტურული დეტერმინანტების იდენტიფიცირება ლოკალურ, რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, სწორედ, ამ მიდგომითაა შესრულებული ჯ. სამუშიას ნაშრომი. ეს არის საფუძვლიანი კვლევა, რომელიც სცდება ისტორიული კვლევის საზღვრებს. ნაშრომი თავად წარმოდგება ახალი იდეებისა და კვლევის მიმართულებების წყაროდ. მკითხველს სთავაზობს ახლებურ პერსპექტივას საზოგადოებრივი ყოფის თითქოსდა ძალიან ჩვეულებრივი სფეროს მიმართ. გვაძლევს საშუალებას გავითავისოთ შუა საუკუნეების საქართველოს ყოველდღიურობა და მის კონექსტში ახლებურად გავიაზროთ იმ პერიოდის ისტორიული პერიპეტები. მონოგრაფია უპირველეს ყოვლისა საინტერესო და მნიშვნელოვანია სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებათათვის (ისტორიკოსების, ეთნოლოგების და სხვ.), მაგრამ არანაკლებ მიიზიდავს საქართველოს კულტურითა და ისტორიით, ან უბრალოდ კვებითი სსტემით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას. მონოგრაფიის შინაარსთან ერთად, ავტორის თხრობის სტილი და ენა გვაძლევს საშუალებას დარწმუნებით განვაცხადოთ რომ მონოგრაფია მალე იქცევა მრავალი ადამიანის სამაგიდო წიგნად.

აუცილებელად მიგვაჩნია წიგნის თარგმნა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენებზე, რათა უცხოელმა მკითხველმა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ქართველთა ტრადიციული კულტურის ამ კონკრეტული სეგმენტის შესახებ.

Roseta Gujejiani

Ketevan Khutsishvili

Review

On Jaba Samushia's new monograph "Food Culture and Etiquette in Medieval Georgia (Essay and Materials from the Gastro-history of Georgians)"

Prominent representatives of Western historiography have been devoting a lot of attention to the study of the everyday life of the Middle Ages. This line of research belongs to the interdisciplinary field and is studied by both ethnologists/ anthropologists and historians. Since the 20s of the 20th century, the historians were focused on the so-called total histories: a study of the peculiarities of being of a particular country, region, and certain community in a certain era. Historians are studying the everyday life according the historical sources, this includes the study of traditional farming, land ownership systems, the life of different social classes, their relationship to each other, women's issues, their rights, the socio-cultural context of kinship systems, forms of socialization, mortality problems, the experience of preventing or overcoming epidemics, the correlation of religion and being, the relationship between religion and wars, the history of the Inquisition, food culture, types of clothing and the technology of their preparation, the perceptions of life and death, the impact of climate change on socio-economic processes, the formation of the language structure and its relationship with culture, etc. Of course, all these topics at the same time are ethnological/anthropological topics, and it is natural that historical ethno-anthropologists, like historians, reconstruct history by analyzing historical sources and using the ethnographic research methods. Thus they are reconstructing the images of the past based on the synthesis of these two fields. It is clear that interdisciplinary research is the most effective and successful. If we follow it chronologically, the greatest credit goes to the founders of the French „new historical science“ Lucien Favre and Marc Blok, and the representatives of all other subsequent generations of the „Annales“ school: Fernand Braudel, Georges Duby, Jacques Le Goff, Emmanuel Le Roy Ladurie, Bernard Lepetit , Roger Chartier, Jacques Revel, Andre Burguiere and

others. Corresponding scientific journals have also been published in Europe. Since the end of the 20th century, unfortunately, there has been a tendency of distancing of historians from the ethnographic data. A number of modern historians and anthropologists, in fact, do not even know the achievements of these two adjacent fields, but even the history of their own disciplines. However, we all remember how important was ethnographic data for Ivane Javakhishvili. In his work „History of the Georgian Nation“ a proper place is given to the description of the daily life of Georgians, thus the Georgian history becomes more understandable. Ivane Javakhishvili's methodology is relevant even to our times, complex attitude and use of historical, ethnographic and archaeological sources gives more complex view. It is clear that discussion about medieval Georgia is completely unimaginable without taking into account these data. Therefore, we found a new monograph written by a historian to be particularly gratifying, in which one specific segment of the being of medieval Georgians - the food tradition and its socio-cultural context - is studied and analyzed. We are referring to Jaba Samushia's new monograph „Food Culture and Etiquette in Medieval Georgia (Essay and Materials from the Gastro-history of Georgians)“. The book consists of 312 pages and was published by the editing house Palitra L, as a 12th. volume of the 15 volume issue named: „Palette of the History of Georgia“.

Jaba Samushia's monograph is an excellent gift for readers interested in traditional Georgian culture: the book is interdisciplinary, based on a detailed analysis of historical sources and, at the same time, meets and fully agrees with the requirements of historical ethnology/anthropology and the format of the European „Annales“ school.

In the introductory part, the author describes the content of the monograph and the results of the research. The book is of great importance: all existing written sources are studied and analyzed in detail, secondary analysis of relevant scientific literature is also presented - in a thorough manner and with respect to previous scientists. A number of scientific innovations have been revealed and the gastronomic culture of the centuries old Georgian ethnic group has been presented as a whole. The traditional food system is studied in the historical perspective in relation to the influence of religion and geopolitical context, taking into account the data of internal local-territorial units, etc.

The first and second chapters describe the daily diet, products and rations of Georgians in V-XVIII centuries (pp. 21-53). In the third chapter, the impact of church laws on everyday life, in particular, on traditional food culture, is discussed, and the meal and fasting ration of both lay and clergy is studied (p. 54-75). The fourth

chapter presents extensive and detailed information about dishes and drinks common in medieval Georgia: dishes prepared from domestic and wild animals and birds, vegetable dishes, seafood, a variety of drinks, an assortment of fruits, agricultural products, a wide variety of sauces, types of sweets. The travel ration is also described (pp., 76-165). The fifth chapter presents the daily and festive food traditions according to the social classes (p. 166-180). An extensive section is devoted to Georgian table etiquette in the Middle Ages. Jaba Samushia examines the existing historical sources and reconstructs all the stages and nuances of etiquette through them (p. 181-215). The course of the table and the tradition of making toasts are described. On the basis of data from historical sources, the history of supplying the royal court and the list of relevant officials and their functions are also revealed (p. 232-243). The issue of the correlation of food and military affairs is discussed (pp., 245-255). Special attention is paid to the interrelation of nutrition and human ecology, and the great experience of Georgians in maintaining healthy nutrition and ecological balance in general. The problems related to medicine and the achievements of Georgians in terms of health care are taken into account (pp., 232-244). Very interesting is the chapter on fest and conspiracies: in which the fest (Lkhini, Sufra) is examined, as a place of conspiracy and political revenge, as an area of political murder, specific examples of poisoning are described and the existence of the special staff _ Chashnagiri is analysed (pp., 256-263).

The classification of the Georgian food system is possible in many ways. In the monograph, every element of being of social or religious group has been given a proper place: the diet of monks, laymen, kings, nobles, representatives of the lower social layers, as well as fasting, festive, war, hunting, etc., food rations are presented. The forms of medieval Georgian economy, international trade and domestic economic circulation are described in the thirteenth chapter (p. 264-274). The impact of the global or regional economic crises on Georgia and the heavy stories of death due to starvation are studied as well (pp. 275-280). Attention is focused also on the ethno-musical and sport culture accompanying the Georgian table. The descriptions of foreign explorers-travelers are used along with Georgian sources (p., 281-287). The tableware is described in the sixteenth chapter and the specific role of the royal and other officials in the management of food is revealed (p. 288-306). There is presented a map of the food economy of medieval Georgia.

The monograph is an excellent description of medieval Georgian everyday life and culture and is the first work presented in such a unified form. Food, as one of the most powerful tools of human interaction, has great social significance. In general, the food system as one of the subsystems of culture is related to all other

elements of culture, and its research allows making certain conclusions regarding such issues as identity, social status, prestige, gender differentiation, worldview and religious practices. These relations are well defined by Jaba Samushia in the structure of the work.

Food system research encompasses socio-cultural, material, nutritional and medical dimensions in close connection with each other. It becomes possible to identify their socio-cultural determinants at the local, regional, national and international levels in the analysis of food culture and related etiquette. Jaba Samushya's work is a comprehensive study that goes beyond the boundaries of historical research. The work itself is a source for new ideas and research directions. It offers the reader a new perspective on a seemingly very ordinary sphere of public existence. It allows us to understand the everyday life of medieval Georgia and to understand the historical fluctuations of that period in a new way. The monograph is primarily interesting and important for representatives of the academic circles (historians, ethnologists, etc.), but will no less attract the general public interested in the culture and history of Georgia, or simply in the food system. Along with the content of the monograph, the author's narrative style and language allow us to say with confidence that the monograph will soon become a desk book for many people.

We consider it necessary to recommend translating the book into French, German, English and other languages, so that foreign readers can get comprehensive information about this specific segment of Georgian traditional culture.

ბიბლიოგრაფია

ვახტანგ გურულის ბიბლიოგრაფია მოიცავს 700-ზე მეტ ერთეულს (წიგნს, პროზურას, წერილს, სტატიას, რეცენზიას, ინტერვიუს) წინამდებარე კრებულში ბიბლიოგრაფიის შემოკლებული ვარიანტია წარმოდგენილი.

I. მონოგრაფიები

1. ქართველების მონაწილეობა პარტიზანულ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1985. 152 გვ.

2. საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა ისტორიულ-პარტიული მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის (1921-1941). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1988. 144 გვ.

3. ქართული სოციალ-დემოკრატია 1892-1904 წლებში.

ნაკვეთი პირველი, პრობლემის ისტორიოგრაფია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995. 43 გვ.

ნაკვეთი მეორე, მესამე დასი (1892-1903). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995. 36 გვ.

ნაკვეთი მესამე, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია (1901-1902). – ჟურნალის „ჩვენი დროშა“ გამოცემა, პარიზი, 1995. 26 გვ.

ნაკვეთი მეოთხე, ქართული სოციალ-დემოკრატია 1903-1904 წლებში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1996. 39 გვ.

4. ქართული ნაციონალ-სოციალიზმი (გიორგი წერეთელი ქართული ნაციონალ-სოციალიზმის მამამთავარი). – ჟურნალების - „ჩვენი დროშა“ (პარიზი) და „სოციალ-დემოკრატია“ (თბილისი) გამოცემა, თბილისი - პარიზი, 1996. 15 გვ.

5. ქართული სოციალ-დემოკრატიის სათავეებთან (XIX საუკუნის 90-იანი წლები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1996. 13 გვ.

6. სამი ისტორიულ-პოლიტიკური ესე. თბილისი, 1996. 74 გვ. (თანაავტორი აპოლონ სილაგაძე).

7. ბერი გიორგი და მეფე გიორგი. ისტორიულ-პოლიტიკური ესე. გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 1997. 35 გვ. (თანაავტორი: აპოლონ სილაგაძე).

8. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი, 1998. 168 გვ. (თანაავტორი: აპოლონ სილაგაძე).

9. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის საკითხები (1892-1921), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998. 27 გვ.

10. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა (1917-1921). თბილისი, 1998. 28 გვ.

11. ნაციონალ-სოციალიზმი საქართველოში. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 1998. 30 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

12. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 1998. 28 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე);

13. **ნოე ყორდანია**, პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 1999. 279 გვ.

14. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999. 480 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე);

15. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. მასალები პოლიტიკური პორტრეტისათვის. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2000. 104 გვ.

16. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918). თბილისი, 2000. 102 გვ. (თანაავტორი: აპოლონ სილაგაძე).

17. ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2001. 416 გვ. (თანაავტორი: აპოლონ სილაგაძე).

18. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. ისტორია, შედეგები, გაკვეთილები. თბილისი, 2001. 56 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

19. ულოცველთა ჟამი (კოსმოპოლიტიზმი: ძველი და ახალი). გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2005. 44 გვ. (თანაავტორები: ანანია ჯაფარიძე, მერაბ ვაჩნაძე).

20. ილიადან ილიამდე, წიგნი პირველი. წმიდა ილია მართალი. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2006. 83 გვ.

21. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. პოლიტიკური პორტრეტის შექმნის ცდა. 1878-1907. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2007. 84 გვ.

22. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2007. 130 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

23. ამასიიდან ყარსამდე. საქართველოს ტერიტორიის გადანაწილება ირან-ოსმალეთ-რუსეთს შორის. 1555-1921. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2007. 102 გვ. (თანაავტორი მერაბ ვაჩნაძე).

24. ერთმორწმუნე რუსეთი. მითი და რეალობა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008. 82 გვ.
25. ეროვნული ცნობიერება. სახელმწიფოებრიობა. პოლიტიკური ორიენტაცია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008. 38 გვ.
26. საქართველოს მკვლევები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008. 62 გვ.
27. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1801). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009. 104 გვ.
28. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1801-1921). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009. 144 გვ. (თანაავტორი მერაბ ვაჩნაძე).
29. ჯვარცმული და ჯვარცმელები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009. 108 გვ.
30. ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ცნობიერება. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009. 194 გვ. (თანაავტორები: თეა წითლანაძე, გიორგი ქავთარაძე, ბოჩო შურღაია).
31. საქართველო და რუსეთი (მფარველობიდან ანექსიამდე). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010. 185 გვ.
32. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010. 121 გვ.
33. საქართველოს ისტორიის კათედრა. 1918-2005. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2010. 268 გვ. (თანაავტორები: როინ მეტრეველი, ნოდარ ასათიანი, გულივერ იოზაშვილი და სხვ.).
34. საქართველო და გარე სამყარო. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადანაწილება რუსეთ-ირან-ოსმალეთს შორის. 1700-1921. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011. 120 გვ.
35. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011. 120 გვ.
36. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია (1801-1991). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011. 103 გვ.
37. საქართველოს საზღვრები საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1918-1921). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013. 39 გვ.
38. გეორგევსკის ტრაქტატი (1783 წ.). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013. 56 გვ.
39. ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013. 235 გვ. (თანაავტორი ლევან ჯიქია).

40. ილია. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2014. 236 გვ.
41. მეფე-მამა. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2014. 238 გვ.
42. საქართველოს ისტორიული ტერიტორია რუსეთ-ომალეთის (თურქეთის) ომებსა და ზავებში (1695-1953). გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015, 88 გვ. (თანაავტორი: ლევან ჯიქია).
43. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია (1917-1957). გამოკვლევა, დოკუმენტები და მასალები. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი. 2015, 308 გვ. (თანაავტორები: სერგო ვარდოსანიძე, კობა ხარაძე, ლევან ჯიქია, მაკა კვარაცხელია).
44. შამილი და ქართველები. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2017. 192 გვ. (თანაავტორი: დარეჯან ობოლაძე).
45. საქართველო დამოუკიდებელი სრულუფლებოვანი სახელმწიფოა, (1918). გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2018. 176 გვ.
46. **ნოე უორდანი.** პოლიტიკური პორტრეტი. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამომცემლობა, თბილისი, 2018. 180 გვ.
47. Кавказская политика России и Грузии. Выбор Эрекле II. Издательство “Артануджи“, Тбилиси, 2023. 136 გვ.

II. დოკუმენტებისა და მასალების პუბლიკაციები

ა) წიგნებში

1. სიმვოლო სარწმუნოებისა. ილია ქავჭავაძის უცნობი პამფლეტი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და ნარკვევი დაურთეს **აპოლონ სილაგაძემ** და **ვახტანგ გურულმა**. გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 1997. 20 გვ.
2. ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან (ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი). ისტორიული ნარკვევი, დოკუმენტები (1917-1918). გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1998. 63 გვ.
3. აჭარა რუსი დიპლომატის თვალთ, 1921-1922, კ. იუსტის მოხსენება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს **მერაბ ვაჩნაძემ** და **ვახტანგ გურულმა**, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 1998. 34 გვ.
4. ივანე ჯავახიშვილი. დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის

ურთიერთობაში (XIX-XX სს.), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს **ვახტანგ გურულმა**, **ავთანდილ არაბულმა** და **მერაბ ვაჩნაძემ**. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 1998. 43 გვ.

5. **ოსებ სტალინი**. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907, თბილისი, 1998. 36 გვ.

6. პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წელი). პეტრე გელიძის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. 1920 წლის 8 ოქტომბერი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს **აპოლონ სილაგაძემ** და **ვახტანგ გურულმა**, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 1998. 36 გვ.

7. საქართველოს განუყოფლობისთვის ბრძოლის ისტორიიდან.

ნაკვეთი I. მემედ-ბეგ აბაშიძე. დოკუმენტები და მასალები (1917-1923). გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 1996. 80 გვ. (თანაავტორი: აპოლონ სილაგაძე).

ნაკვეთი II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904). ნარკვევი. დოკუმენტები. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 1999. 172 გვ. (თანაავტორი: აპოლონ სილაგაძე).

8. ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20-30-იანი წლები). გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს პროფესორმა **მერაბ ვაჩნაძემ** და პროფესორმა **ვახტანგ გურულმა**. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2004. 472 გვ.

9. საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები, ტომი პირველი, 1901-1904. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს პროფესორმა **მერაბ ვაჩნაძემ** და პროფესორმა **ვახტანგ გურულმა**. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2007. 214 გვ.

10. გზა მონამისა, პირველი წიგნი. 1861-1907, გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთეს პროფესორმა **მერაბ ვაჩნაძემ** და პროფესორმა **ვახტანგ გურულმა**. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2007. 340 გვ.

11. საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. ტომი მეორე. 1905 წელი. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს პროფესორმა **მერაბ ვაჩნაძემ** და პროფესორმა **ვახტანგ გურულმა**. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2008. 262 გვ.

12. მიტროპოლიტ ნაზარის საქმე (1924 წლის აგვისტო-სექტემბერი).

გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009. 127 გვ.

13. 1918 წლის 26 მაისი (ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011. 68 გვ.

14. დრო, მოვლენა, ადამიანები (როგორ დევნიდნენ ივანე ჯავახიშვილს). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011. 24 გვ.

15. ჯვარცმულის უკვდავება და ჯვარცმელთა სირცხვილი. დოკუმენტები და მასალები. 1930-1936. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011. 69 გვ.

16. უამი ჯვარცმელთა მეფობისა. თბილისის უნივერსიტეტი დიდი განსაცდელის პერიოდში, დოკუმენტები და მასალები. 1930-1937. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012. 120 გვ.

17. ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და ფერეიდანი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში. დოკუმენტები და მასალები (1944-1951). გამოსაცემად მოამზადეს: პროფესორმა ვახტანგ გურულმა და დოქტორანტმა **ლევან ჯიქიამ**. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012. 112 გვ.

18. საქართველოს საზღვრები (1917-1938). ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014. 178 გვ. +8 გვ. (9 რუკა) (თანაავტორები: **ს. ვარდოსანიძე, კ. ხარაძე, ლ. ჯიქია**).

19. ქლუხორი და ახალხევი. დოკუმენტები და მასალები (1943-1957). გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015. 180 გვ. (თანაავტორი: **მაკა კვარცხელია**)

20. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის ქართული გეგმა (1905-1906 წწ.). გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2019. 95 გვ.

21. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს პროფესორმა **ვახტანგ გურულმა** და პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრმა **კონსტანტინე გურულმა**. დოკუმენტები რუსულიდან ქართულად თარგმნა **კონსტანტინე გურულმა**.

ბ) ჟურნალებში

1. პირველი ქართული პარლამენტი (საქართველოს ეროვნული საბჭო). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1993, №3-4, გვ. 142-173 (ნომერი გამოვიდა 1998 წლის თებერვალში).

2. საქართველო ჯანდარმის თვალთ (დოკუმენტები). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების

ისტორიის სერია, 1997, №1-4, გვ. 192-210.

3. საეკლესიო საკუთრების უფლების ხელყოფა (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის ქონების 1923 წლის აღწერა). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალი „საარქივო მოამბე“, 2008, №2, ივლისი, გვ. 22-28.

პარალელური ინგლისური თარგმანი: Vakhtang Guruli: The Impingement of Church Property Rights. - The Archival Bulletin. The Archival Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia, 2008, # 2, July. p. 22-28.

გადაიბეჭდა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალი „საარქივო მოამბე“, 2010, №8, ზამთარი, გვ. 143-149.

4. ლავრენტი ბერიას მიმონერა იოსებ სტალინთან (1937 წ.). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალ „საარქივო მოამბის,“ 2008 წლის მე-3 ნომრის დამატება. თბილისი, 2008. 106 გვ. (თანაავტორი: ომარ თუშურაშვილი).

პარალელური ინგლისური თარგმანი: Vakhtang Guruli, Omar Tushurashvili: Correspondence Between Lavrenty Beria and Joseph Stalin (1937). - Appendix to The Archival Bulletin. The Archival Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia, 2008, #2, July. 106 p.

5. დოკუმენტები და მასალები საქართველოს ეკლესიის ისტორიისთვის (1943-1946 წწ.). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალი „საარქივო მოამბე“, 2009 №4, იანვარი, გვ. 79-109 (თანაავტორი: ომარ თუშურაშვილი).

პარალელური ინგლისური თარგმანი: Vakhtang Guruli, Omar Tushurashvili: Documents And Materials on the History on the Georgian Church (1943-1946). - The Archival Bulletin. The Archival Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia, 2009, #4, July, p. 22-28.

6. სახელმწიფოებრივი აზროვნების სხივი შავბნელ ეპოქაში (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალი „საარქივო მოამბე“, 2008, №3, ოქტომბერი, გვ. 107-116 (თანაავტორი: ომარ თუშურაშვილი).

პარალელური ინგლისური თარგმანი: Vakhtang Guruli, Omar Tushurashvili: Debates About Statehood in a Troubling Time. - The Archival Bulletin. The Archival Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia, 2008, #3, October, p. 107-116.

7. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთში (XIX საუკუნის დასასრული - XX საუკუნის დამდეგი). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალი „საარქივო მოამბე“, 2009, №5, აპრილი, გვ. 78-107. (თანაავტორი: ომარ თუშურაშვილი).

პარალელური ინგლისური თარგმანი: Vakhtang Guruli, Omar Tushurashvili: The Colonial Policy of Russia Towards Abkhazia (The end of 19th - beginning of the 20th century). - The Archival Bulletin. The Archival Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia, 2009, #5, April, p. 78-107.

განმეორებით დაიბეჭდა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ყურნალი „საარქივო მოამბე“, 2009, №6, ივლისი, გვ. 90-125 (ქართული და აფხაზური ტექსტი).

გადაიბეჭდა: გაზეთი „24 საათი“, 2009, №218, 7 ოქტომბერი, ჩანართი, გვ. 6.

8. აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ნაშრომი. - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2012, №1, გვ. 118-125 (თანაავტორი: ლევან ჯიქია).

9. დამოუკიდებლობის წინა დღე (1918 წლის 14-25 მაისის ქრონიკა). ყურნალი „ისტორიანი“, 2013, №5, მაისი, გვ. 19-24.

გ) კრებულებში

1. მიტროპოლიტ ნაზარის დაპატიმრება, გასამართლება და სიკვდილით დასჯა (1924 წლის აგვისტო-სექტემბერი). - „ისტორიანი“, სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2009. გვ. 420-440.

2. დიდი განსაცდელის დასაწყისი (საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია 1923-1925 წლებში). - კულტურულ-საისტორიო ძიებანი. გურამ ლორთქიფანიძე, სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წელი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010. გვ. 242-253 (თანაავტორი: ომარ თუშურაშვილი).

3. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთში (XIX საუკუნის დასასრული - XX საუკუნის დამდეგი). საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია. I. თბილისი, 2015. გვ. 162-193 (პარალელური ინგლისური თარგმანი: Vakhtang Guruli. - The Colonial Policy Of Russia Towards Abkhazia. Security Archive. The Secret History of The Georgian SSR. I. Tbilili, 2015. pp. 162-193] (თანაავტორი: ომარ თუშურაშვილი).

4. დოკუმენტები და მასალები საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის (1943-1946 წწ.). საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია, I, თბილისი, 2015. გვ. 252-281 (პარალელური ინგლისური თარგმანი Vakhtang Guruli. Documents and Materials on the History of the Georgian church (1943-1946). Security Archive. The Secret History of The Georgian SSR. I. Tbilili, 2015. pp. 252-281), (თანაავტორი: ომარ თუშურაშვილი).

5. გარდაქმნა და საბჭოთა კავშირის დაშლა. „ისტორია შეულამაზე-ბლად“. გამოცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015, გვ. 128-144.

6. როგორ დაიცვა ტირანიის სამსჯავროზე აკაკი შანიძემ ივანე ჯავახიშვილი. ქართული საქმის კაცი. აკაკი შანიძე, თბილისი, 2017. გვ. 91-96.

III. სტატიები

ა) ჟურნალებში

1. ქართველი და პოლონელი პარტიზანების საბრძოლო თანამეგობრების ისტორიიდან (ქართველი პარტიზანი „ჩარნი ვოლოდია“ პოლონეთში). ჟურნალი „ცისკარი“, 1975, №5, გვ. 101-105 (თანაავტორი: ვალერიან მაჭარაძე).

2. საბჭოთა პარტიზანული რაზმი „ვასკა გრუზინი“ პოლონეთში (ახალი საარქივო მასალების მიხედვით). ჟურნალი „ცისკარი“, 1976, №5, გვ. 84-91 (თანაავტორი: ვალერიან მაჭარაძე).

3. Яркий эпизод боевого содружества. По новым архивным материалам - журнал „Литературная Грузия,“ 1977, # 5 стр. 70-71 (სოავტორ: ვალერიან მაჭარაძე).

4. Страницы героической борьбы. журнал „Литературная Грузия“, 1979, #1 стр. 117- 124 (სოავტორ: ვალერიან მაჭარაძე).

5. ბელორუსიის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში. ჟურნალი „განთიადი“, 1979, №4, გვ. 158, 167 (თანაავტორი: ვალერიან მაჭარაძე).

6. Боевой путь Пинской партизанской бригады (По новым архивным материалам). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1979, №4, გვ. 26-38.

7. ქართველი კოვპაკელები (ახალი საარქივო მასალების მიხედვით). ჟურნალი „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა და გეოგრაფია სკოლაში“, 1982, №3, გვ. 37-47.

8. ასე იწყებოდა ისტორიის გაყალბება (ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფიის განვითარების ძირითადი ტენდენციები 20-30-იან წლებში). ჟურნალი „განთიადი“, 1990, №12, გვ. 161-170.

9. ქართული ისტორიული მეცნიერების ძველი და ახალი გასაჭირი. ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, 1991, №1, გვ. 7-12.

10. მეორე მსოფლიო ომი და საქართველო. ჟურნალი „პოლიტიკა“, 1991, №11-12, გვ. 59-62.

11. პარტიზანული იატაკქვეშა მოძრაობა: მითი და სინამდვილე. ჟურნალი „მხედარი“, 1992, №1, გვ. 46-53.

12. ეგზარქოს ნიკონის მკვლევლები. ჟურნალი „რელიგია“, 1993, №1, გვ. 89-96.

13. პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან (მეცხრამეტე საუკუნის დასასრული - მეოცე საუკუნის დამდეგი). ჟურნალი „განთიადი“, 1993, №9-10, გვ. 181-185.

14. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (გაზეთი „კვალი“ 1898-1904 წლებში). ჟურნალი „პოლიტიკა“, 1994, №4-5, გვ. 16-17.

15. ნოე ჟორდანიას. ჟურნალი „პოლიტიკა“, 1995, №1-3, გვ. 43-47.

17. Die uesteuropaische Orientierung in der georgischen Sozialdemokratie (1892-1904). „Georgica“, 1997. # 20, s. 44-50.

18. იოსებ სტალინის დაბადების თარიღისათვის. ჟურნალი „საისტორიო მაცნე“, (ბათუმი), 1998, №7, გვ. 56-58.

19. პროფესიონალიზმისა და არაპროფესიონალიზმის დაპირისპირება. ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, 2002, №2, გვ. 11-15.20.

20. Грузины в Государственных думах России (1906-1914 гг.). „Журнал о выборах“. Приложение к журналу „Вестник Центральной избирательной комиссии Российской федерации“, 2006, # 3, стр. 60-63.

21. Чолокская битва (Из истории грузино-русского боевого соружества). “Номо Esperans“. Международный научно-теоритический журнал, Санкт-Петербург - Тбилиси - Батуми, 2006, # 2, стр. 12-13.

22. Vakhtang Guruli, National Movement in Georgia During the first Decade of XIX Century Reliance of Georgian Nation Toward Abolishment of State System. “Pro Georgia“. Journal of Kartvelological Studies. Centre for Easn European Studies. Oriental institute. University of Warsaw, Warsaw, 2007, No15, pp. 175-196 (co-author -Merab Vachnadze).

23. ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან (1918-2008). ჟურნალი „პირველი სიტყვა“, 2008, ივნისი, გვ. 13-17.

24. სამარცხვინო ომი. ჟურნალი „პირველი სიტყვა“, 2008, სექტემბერი, გვ. 7-8.

25. სამშობლოს ისტორიაზე შეყვარებული კაცის ნაღვანი. ჟურნალი „რაინდი“, 2008, №2, გვ. 31.

26. რუსული სამყარო (ისტორია. თანამედროვეობა. პერსპექტივა). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალი „საარქივო მოამბე“, 2008, №3, ოქტომბერი, გვ. 80-90.

პარალელური ინგლისური თარგმანი: **Vakhtang Guruli: The Russian World (Past, Present, and Future).** The Archival Bulletin. The Archival Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia, 2008, #3, October, p. 80-90.

27. რუსული ოკუპაცია (1770-1921). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალი „საარქივო მოამბე“, 2008, №3, ოქტომბერი, გვ. 91-106.

პარალელური ინგლისური თარგმანი: **Vakhtang Guruli: The Russian Occuoation.** The Archival Bulletin. The Archival Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia, 2008, #3, October, p. 91-106.

28. Vakhtang Guruli, Role of Byzantium in Russia's Christianization and Inculcation of the Latter, "Pro Georgia". Journal of Kartvelological Studies, Centre for Easn European Studies. Oriental institute. University of Warsaw, Warsaw, 2009, #18, pp. 101-105.

29. ღვთისა და კაცის წინაშე ვალმოხდელი, არქიმანდრიტი პიმენ დაშნიანი (1936-1937 წწ.). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალი „საარქივო მოამბე“, 2009, №7, ოქტომბერი, გვ. 19-33.

პარალელური ინგლისური თარგმანი: **Vakhtang Guruli: A Truthful before the Almighty and People Archimandrite Pemen Dashniani (1936-1937).** The Archival Bulletin. The Archival Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia, 2009, #7, October, p. 19-33.

გადაიბეჭდა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალში „საარქივო მოამბე“, 2010, №8, ზამთარი, გვ. 101-115.

30. როგორ სწავლობდა იოსებ ჯუღაშვილი სასულიერო სემინარიაში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალი „საარქივო მოამბე“, 2009, №7, ოქტომბერი, გვ. 82-87.

პარალელური ინგლისური თარგმანი: **Vakhtang Guruli, Stories how Ioseb Jugashvili studied at the theological seminary (1894-1899).** The Archival Bulletin. The Archival Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia, 2009, # 7, October, p. 82-87.

31. Российско-Турецкое противостояние на центральном в 1918-1921 годах. Кавказ и Глобализация. Журнал социально-политических исследований. Том 3, Выпуск 4. Институт стратегических наук. Швеция, 2009. Стр. 161-169. (соавтор: Аполон Силагадзе).

პარალელური ინგლისური თარგმანი: **Vakhtang Guruli, The Russo-Turkish confrontation in the central Caucasus in 1918-1921.** The Caucasus and Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 3, issue 4, Institute of Strategic Studies of The Caucasus, Sweden, 2009. pg. 138-144.

(Coauthor: A. Silagadze).

32. საყურადღებო დოკუმენტები საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალი „საარქივო მოამბე“, 2010, №8, ზამთარი, გვ. 128-142.

პარალელური ინგლისური თარგმანი: **Vakhtang Guruli**. Documents important for the history of the Georgian church, The Archival Bulletin. The Archival Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia, 2010, #8, Winter, 128-142.

33. მონანილეობდა თუ არა სტალინი თბილისში გახმაურებული ექსპროპრიაციაში? ჟურნალი „ისტორიანი“, 2011. №1, იანვარი, გვ. 36-39.

34. იმპერიის ტყვეობიდან დამოუკიდებლობამდე, როგორ იწრთობოდა 26 მაისი, ჟურნალი „ისტორიანი“, 2011. №5, მაისი, გვ. 12-18.

35. როგორი იყო იოსებ სტალინი გარეგნულად, ჟურნალი „ისტორიანი“, 2011, №11, ნოემბერი, გვ. 48-50.

36. საქართველოს მკვლევები, კიდევ ერთხელ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსიებზე, ჟურნალი „ისტორიანი“, 2012, №3, მარტი, გვ. 28-35.

37. დამოუკიდებლობა და პარტიებად დაშლილი საქართველო, (1918 წლის 26 მაისის შეფასებისათვის), ჟურნალი „ისტორიანი“, 2012, №5, მაისი, გვ. 12-17.

38. სახელმწიფოებრივი აზროვნების სხივი შავბნელ ეპოქაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან, ჟურნალი „საარქივო მოამბე“, 2012, №13, გვ. 112-121. (თანაავტორი: ომარ თუშურაშვილი).

პარალელური ინგლისური თარგმანი: Debates about Statehood in a troubling time. The history of the establishment of the South Ossetian Autonomous District. “The Archival Bulletin“, 2012, #3, p. 112-121.

39. რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში (1918-1921), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2012. №2, ოქტომბერი, გვ. 61-68

40. საქართველო საჯალათო კუნძულზე. ჩვენი ისტორიული ტერიტორიის გადანანილება დიდ იმპერიებს შორის (1700-1921), ჟურნალი „ისტორიანი“, 2013, №2, თებერვალი, გვ. 22-47; №3, მარტი, გვ. 44-49; №4, აპრილი, გვ. 50-55; №9, სექტემბერი, გვ. 20-24; №10, ოქტომბერი, გვ. 19-23; №11, ნოემბერი, გვ. 30-32.

41. გეორგიევსკის ტრაქტატი (1783წ.), ჟურნალი „ისტორიანი“, 2013, №6, ივნისი, გვ.18-22; №7, ივლისი, გვ. 17-22.

42. ქართველი სამღვდლოება და პოლიტიკური ელიტა (XIX საუკუნის

დასასრული – 1917 წ.) – ჟურნალი „გული გონიერი“, 2013, №6, გვ. 197-213.

43. არქიმანდრიტი პიმენი (1936-1937), ჟურნალი „გული გონიერი“, 2014, №7, გვ. 237-245.

44. ვინ მოკლა რუსი ეგზარქოსი ნიკონი? – ჟურნალი „გული გონიერი“, 2014, №8, გვ. 215-229.

45. გაყალბებული ისტორია ჰეგემონისტური პოლიტიკის სამსახურში (ა. ეპიფანცევის სტატიის გამო), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2014. №2, გვ. 153-169.

46. რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში და ქართული სამეფოები (1483-1801), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2015. №1, გვ. 61-81.

47. გენერალ გოტლობ ტოტლებენის ავანტიურა საქართველოში (1769-1770), ჟურნალი „ჩემი სამყარო“, 2015, №10, გვ. 32-39

48. გეორგიევსკის ტრაქტატი, ჟურნალი „ჩემი სამყარო“, 2016, №12, გვ. 54-61.

49. ქართული არისტოკრატია სამეფოს გაუქმების შემდეგ, ჟურნალი „ცისკარი 1852“, 2016, №5. გვ. 99-109

50. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა ალა მაჰმად ხანის ლაშქრობის წინ (1791 წლის იანვარი – 1795 წლის სექტემბერი), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2016. №2, გვ. 47-57; 2017. №1, გვ. 83-93

51. ბრძოლა სამცხისათვის (1828-1829 წწ.), ჟურნალი „არავი“, 2017, №3-4, გვ. 168-189

52. არჩევანი ლუარსაბ თათქარიძესა და სოლომონ მეჯღანუაშვილს შორის, ჟურნალი „ცისკარი 1852“, 2019, №7, გვ. 44-53.

53. ფერეიდნელი ქართველები საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში (1944-1945 წწ.), ჟურნალი „ცისკარი 1852“, 2020, №2, გვ. 62-73;

54. ამაო მცდელობა (ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი 1944-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში), ჟურნალი „ცისკარი 1852“, 2020, №3, გვ. 39-52.

55. არჩილ ჯორჯაძე (ეროვნული თანხმობის იდეა და მისი განხორციელების გზები), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2020, №1, გვ. 94-108; 2020, №2, გვ. 50-62.

56. რუსეთი მოდიოდა თუ ერეკლეს მოჰყავდა (ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისთავისადმი), ჟურნალი „ცისკარი 1852“, 2020, N5, გვ.67-82.

57. რუსეთის ჯარის გასვლა საქართველოდან, ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, 2021, №1, გვ. 5-9.

58. მასალები ივანე კერესელიძის ბიოგრაფიისათვის, ჟურნალი „ცისკარი 1852“, 2021, N1, გვ.70-76.

59. ევროპული პროგრესი და სამწუხარო ქართული სინამდვილე, ჟურნალი „ცისკარი 1852“, 2022, N1, გვ. 31-43.

ბ) კრებულები, შრომებში, წელიწდეულებში, აღმანახებში

1. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტისათვის, „კილო“ (საისტორიო აღმანახი), 1997, №1, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1997. გვ. 4-12.

2. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდიზაციისათვის, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1998 წლის 9 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გამართული დისკუსიის მასალები. გამომცემლობა „მემატიანე“, თბილისი, 1998, გვ. 4-7 (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

3. ლ. ბერიას წერილი ი. სტალინისადმი, „ახალი დროება“, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1999, №1, გვ. 25-27.

4. პროდასავლური და პრორუსული ორიენტაციის დაპირისპირება ქართულ პოლიტიკაში, გივი ჟორდანი (კრებული). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001. გვ. 77-94.

5. საქართველოს სოციალ-დემოკრატია (XX საუკუნის 30-იანი წლები), ვალერიან მაჭარაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომთა კრებული. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001, გვ. 168-219.

6. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია (1917 წლის მარტი - 1918 წლის მაისი), ქართული დიპლომატია. წელიწადეული. 9. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002, გვ. 5-42.

7. Грузино-Русские отношения (XV-XX вв.), Грузино-Русские научно-культурные связи в истории Санкт-Петербурга. Издательство „Логос“, С.-Петербург, 2003, стр. 256-265 (соавтор: Мераб Вачнаძე).

8. პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა, მარიამ ლორთქიფანიძე 85 (კრებული), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,

2007. გვ. 343-357. (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).

9. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიის კავშირის შექმნა და მოღვაწეობა (1903 წ.), აღმანახი „კავკასიის მაცნე“, 2007, №16, გვ. 78-84.

10. დამოუკიდებლობის დღედ მიჩნეულ უნდა იქნეს 26 მაისი, დამოუკიდებლობის დღე: 26 მაისი თუ 9 აპრილი? გამომცემლობა „ახალი აზრი“, თბილისი, 2008. გვ. 12-15 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).

11. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ისტორიიდან (1905 წ.), ნოდარ შენგელია - 75 (კრებული), გამომცემლობა „ჭოროსი XXI“, თბილისი, 2008, გვ. 138-147.

12. „მესამე დასის“ პროგრამა (1892-1893 წლები), საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები. 1906-1921. კრებული II. სოციალისტური პარტიების პროგრამები, თბილისი, 2008. გვ. 28-35.

13. ირან-ოსმალეთ-რუსეთის ბრძოლა სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებისათვის (XVIII საუკუნის პირველ ნახევარში), „კავკასიის მაცნე“ (აღმანახი), 2008, №17, გვ. 70-74 (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

14. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის შეფასებისათვის (XV-XVIII სს.), დავით კაციტაძე 80 (პროფესორ დავით კაციტაძის 80 წლისთავისათვის მიძღვნილი საიუბილეო კრებული), გამომცემლობა „ჭოროსი XXI“, თბილისი, 2009, გვ. 162-186.

15. ირან-ოსმალეთ-რუსეთის დიპლომატია ცენტრალური და სამხრეთი კავკასიის კონტექსტში XVI-XVIII საუკუნეებში, ქართული დიპლომატია. წელიწადი. 14. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2011. გვ. 258-279 (თანაავტორი: აპოლონ სილაგაძე).

16. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში, ქართული დიპლომატია. წელიწადი. 15. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2011. გვ. 156-183.

17. ივანე ჯავახიშვილის, უნივერსიტეტისა და საქართველოს ტრადიცია. 1930-1936 (დოკუმენტები და მასალები), პოეტური სულის მეცნიერი. გიორგი ნადირაძე - 80, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2012. გვ. 127-148.

18. რეალური დროისა და მოვლენის ასახვა ვაჟა-ფშაველას ლექსში „თმაგრძელა-ჭკუათხელა“, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ნაშრომთა კრებული. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012, გვ. 18-24.

19. მოთხრობებზე ქცეული ადამიანები (გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდა“), მშენიერების ძიებაში. რევაზ სირაძე - 75 (საიუბილეო კრებული), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012, გვ. 102-113.

20. დიდი მეუფე მამაი ჩვენი ... მწყემსი საქართველოსი (კრებული), გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2013, გვ. 119-127.

21. საქართველო-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი), „ქართული დიპლომატია“. წელიწდეული. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2013, №16, გვ. 139-159.

22. ლავრენტი პავლეს ძე ბერია, XX საუკუნის საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები. თბილისი, 2013. გვ. 45-51.

23. მონამებრივი ცხოვრების დასასრული (ილია ჭავჭავაძის მკვლელობა), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, I, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2014, გვ. 50-87.

24. პოლიტიკური მკვლელობის ფიზიონომია (ვინ მოკლა რუსი ეგზარქოსი ნიკონი?), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, I, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2014. გვ. 88-101.

25. რექტორი, ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები, აკადემიკოს როინ მეტრეველის დაბადებიდან სამოცდათხმუთმეტი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2014. გვ. 39-42.

26. რა მოიპოვა და რა დათმო საქართველომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, III, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015. გვ. 12-22.

27. დოკუმენტები და მასალები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიისათვის (1918 წლის 26 მაისი), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, III, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015. გვ. 71-91.

28. საქართველოს ისტორიულ გზაგასაყარზე (1917-1918), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, I, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015. გვ. 34-62.

29. ირანში ქართველთა გადასახლების ისტორიისათვის (XVII საუკუნის დამდეგი), ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015. გვ. 56-61.

30. საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარი 1941-1957 (დოკუმენტები და მასალები), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტომი I, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015. გვ. 95-139 (თანაავტორი: მ. კვარაცხელია).

31. ღვთისა და კაცის წინაშე ვალმოხდილი არქიმადრიტი პიმენ დამნიანი (1936-1937 წწ.), უშიშროების არქივი, საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია, II, თბილისი, 2015. გვ. 62-73 (პარალელური ინგლისური თარგმანი: Vakhtang Guruli. A Thruful man before the almighty and people Archimandrite Pemen Dashniani (1936-1937), Security Archive. The Secret History Of The Georgian SSR. II. Tbilisi, 2015. pp. 62-73).

32. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის საკითხი ოსმალეთ-რუსეთისა და ირან-რუსეთის ურთიერთობებში (1804-1878), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 17. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2015. გვ. 62-84.

33. იმპერიების აღსასრული და ქართული სახელმწიფოებრიობა (1917-1918), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 17, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2015. გვ. 162-184.

34. მცხეთის საპატრიარქოს გაუქმება (1809-1811), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტომი V, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015. გვ. 6-27.

35. ბერი გიორგი და მეფე გიორგი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტომი II, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015. გვ. 28-45. (თანაავტორი აპოლონ სილაგაძე).

36. საინტერესო დოკუმენტი ლავრენტი ბერიას მოღვაწეობიდან, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტომი II, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015. გვ. 407-416.

37. რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში (1783-1787), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის

ფაკულტეტის შრომები, ტომი VI, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2016. გვ. 75-114.

38. გიორგი XII-ის დიპლომატია (1789-1800), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტომი VII. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2017. გვ. 11-48.

39. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა (1782-1784 წწ.), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტომი III, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“. თბილისი, 2017. გვ. 31-56.

40. ივანე ჯავახიშვილი საქართველოში სომეხთა ჩამოსახლებისა და სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ, ჟურნალი „ჯავახიანი 1. საქართველოს საზღვრების პრობლემა XX საუკუნის პირველ ნახევარში და ივანე ჯავახიშვილი. ნაწილი პირველი, თბილისი, 2018. გვ. 149-158 (თანაავტორი: ავთანდილ არაბული).

41. ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს (1918 წლის 26 მაისი). საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტომი VIII, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2018. გვ. 8-30.

42. სამხედრო პოლიტიკური ვითარება კავკასიის ფრონტზე 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ (1917 წლის მარტი-1918 წლის იანვარი). საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტომი VIII, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2018. გვ. 49-81.

43. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა (1796-1797 წწ.). ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 18. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2018. გვ. 157-201.

44. ცვლილებები რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში, ვასილი ველიჩკო (XIX საუკუნის 90-იანი წლები - XX საუკუნის დამდეგი), მესიტორიე, სამეცნიერო კრებული მიძღვნილი გელა (გიორგი) საითიძის 80 წლისთავისადმი, გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2019. გვ.127-140.

45. საქართველოს ტერიტორია და მოსახლეობა (1897 წლის 28 იანვრის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალების მიხედვით), ისტორიანი, სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2019. გვ. 396-421.

46. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში (XVIII საუკუნის 60-70-იანი წლები). კრებული „სიკვდილის ღვინო ასპინძაში“, ავთანდილ ბერიძის რედაქციით, თბილისი, 2020. გვ.240-252.

IV. სახელმძღვანელოები

ა) სასკოლო

1. ქართულ ენაზე

1. საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები) აბიტურიენტები-სათვის, პირველი გამოცემა, თბილისი, 1999. 198 გვ. მეორე გამოცემა, თბილისი, 2000, 200 გვ.

2. საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები), IX კლასის სახელმძღვანელო,

პირველი გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2000. 200 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2001. 208 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

მესამე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2002. 208 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

მეოთხე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2003. 160 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

მეოთხე გამოცემის განმეორება, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2004. 160 გვ.

მეხუთე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2005. 160 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

3. საქართველოს ისტორია VIII კლასის სახელმძღვანელო, პირველი გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2001, 108 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2002. 108 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

მესამე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2003. 143 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

მესამე გამოცემის განმეორება, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2004. 143 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

4. საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან 1801 წლამდე), X კლასის სახელმძღვანელო,

პირველი გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2001. 232 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2002. 224 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

მესამე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2003. 200 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

5. საქართველოს ისტორია (XIX-XX სს.), XI კლასის სახელმძღვანელო, პირველი გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2002. 208 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2003. 208 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

მესამე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2004. 208 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

მესამე გამოცემის განმეორება, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2006. 208 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

6. საქართველოს ისტორია, VII კლასის სახელმძღვანელო, პირველი გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2003. 148 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2005. 148 გვ.

7. მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, საქართველოს ისტორია VII კლასი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2003. 152 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

8. საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან 1801 წლამდე, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2014. 246 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

9. საქართველოს ისტორია, XIX-XX საუკუნეები, საკითხავი წიგნი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2014, 352 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

2. ინგლისურ ენაზე

1. The Black Sea, Zone of the contact, Authors: T. Dundua, R. Metreveli, M Vachnadze, V. Guruli. Tbilisi, 2003. 52 p.

3. რუსულ ენაზე

1. История Грузии, Учебник для VII класса, Издательство „Артануджи“, Тбилиси, 2003, 123 стр. (соавторы: Мераб Вачнадзе, Михаил Бахтадзе).

2. История Грузии (XIX-XX века), Учебник для IX класса, Издательство „Артануджи“, Тбилиси, 2001. 188 стр. (соавтор: Мераб Вачнадзе).

3. История Грузии (с древнейших времен до 1801 года), Учебник для X класса русской школы, Издательство „Артануджи“, Тбилиси, 2002, 208 стр. (соавторы: Мераб Вачнадзе, Михаил Бахтадзе).

4. История Грузии (XIX-XX века), Учебник для XI класса средней школы, Издательство „Артануджи“, Тбилиси, 2003. 212 стр. (соавтор: Мераб Вачнадзе).

5. История Грузии, С древнейших времен до 1801 года, Книга для чтения, Издательство „Интеллекти“, Тбилиси, 2014, 237 стр. (Соавторы: Мераб Вачнадзе, Михаил Бахтадзе).

11. История Грузии. XIX-XX вв. Издательство „Интеллекти“, Тбилиси, 2015, 288 стр. (Соавтор: Мераб Вачнадзе).

4. სომხურ ენაზე

1. საქართველოს ისტორია, VII კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2003. 128 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

2. საქართველოს ისტორია VIII კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2005. 100 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

3. საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები), IX კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2002. 186 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

4. საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან 1801 წლამდე), X კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2003, 208 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე);

5. საქართველოს ისტორია (XIX-XX სს.), XI კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2003, 192 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე);

5. აზერბაიჯანულ ენაზე

1. საქართველოს ისტორია, VII კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2003, 126 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

2. საქართველოს ისტორია VIII კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2002. 102 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

3. საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები), IX კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2002. 184 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

4. საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან 1801 წლამდე), X კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2002. 208 გვ. (თანაავტორები: მერაბ ვაჩნაძე, მიხეილ ბახტაძე).

5. საქართველოს ისტორია (XIX-XX სს.). XI კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2003. 192 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

ბ) საუნივერსიტეტო

1. საქართველოს ისტორია XX საუკუნე, სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რედაქტორი პროფესორი ვახტანგ გურული, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2003. 274 გვ.

2. ქართული დიპლომატიის ისტორია, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003. 638 გვ. (თანაავტორი).

3. საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რედაქტორი: პროფესორი ვახტანგ გურული, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2004. 264 გვ.

4. რუსეთის ისტორია, XIX საუკუნე, სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003. 144 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

მეორე გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004. 144 გვ.

5. რუსეთის ისტორია, უძველესი დროიდან 1801 წლამდე, სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2004. 158 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

6. რუსეთის ისტორია, XX საუკუნე, ნაწილი პირველი. 1900-1937, სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005. 211 გვ.

7. რუსეთის ისტორია 1938-1953, გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2005. 110 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

მეორე ტირაჟი, გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2006. 110 გვ.

8. რუსეთის ეკლესიის ისტორია (სალექციო კურსი). ნაწილი პირველი (988-1801), გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2007. 102 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

9. რუსეთის ეკლესიის ისტორია (სალექციო კურსი), ნაწილი მესამე (1901-2001), ნაკვეთი პირველი (1901-1945). გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2007. 86 გვ. (თანაავტორი: მერაბ ვაჩნაძე).

10. საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი I. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2017. 648 გვ.

11. საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი II. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2018. 624 გვ.

12. საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი III. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2019. 624 გვ.

13. ქართული დიპლომატიის ისტორია, აკადემიკოს როინ მეტრეველის რედაქციით. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2022. 730 გვ. (თანაავტორი).

V. პიესები

1. არავინ წინასწარმეტყველი ... (პიესა ორ მოქმედებად), გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2007. 128 გვ.

მეორე გამოცემა: არავინ წინასწარმეტყველი (პიესა ორ მოქმედებად), ჟურნალი „ქართული ელიტა“, №2, მარტი, 2012. გვ. 54-55; №3, ივნისი, 2012. გვ. 55-56; №4 სექტემბერი, 2013. გვ. 10-11.

2. მეფე ერეკლეს წუთისოფელი (პიესა ორ მოქმედებად), გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2007. 120 გვ.

3. რუსეთის მბრძანებელი (პიესა ორ მოქმედებად), ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, №4, 2008, გვ. 33-39; №5, 2008. გვ. 29-38; №6, 2008. გვ. 38-33; №7, გვ. 34-39;

VI. ლიტერატურათმცოდნეობა

1. ნუ გაახშობთ მხარზე ამოსულ ნაძვს! - გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“, 2010, №68, 10-16 ივნისი, გვ. 13.

2. ადამიანად არყოფნის სევდა. გოდერძი ჩოხელის გახსენება, გაზეთი „ლიტერატურული გაზეთი“, 2010, №28, 11-24 ივნისი, გვ. 14.

3. ცოდვილის სიკვდილი. გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“, 2010, №70, 24 -30 ივნისი, გვ. 7.

4. მართალი გოდერძი, გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2010. 48 გვ.

5. დედამიწიდან გადაფრენაზე მეოცნებენი. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010. 52 გვ.

6. გოდერძი ჩოხელის სამყარო, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2012. გვ. 19-25.

7. მოთხრობებად ქცეული ადამიანები, გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდა“. ჟურნალი „ცისკარი 1952“, 2015, №4, გვ. 99-105.

8. წინასწარმეტყველება, გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანი“. ჟურნალი „საგურამო“, 2016, N1, გვ. 66-74.

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტიფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
აღ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22

